

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი



# ადმოსავლეთი და დასავლეთი ქართულ ხალხურ ზღაპრებში

ზეპირი და ლიტერატურული ტრადიციები

თბილისი  
2019



პროექტი განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ხელშეწყობით. პუბლიკაციაში გამოთქმული ნებისმიერი აზრი ეკუთვნის ავტორებს და შესაძლოა, არ ასახავდეს სამეცნიერო ფონდის შეხედულებებს.

ნაშრომში ინტერდისციპლინურად შესწავლილია ფოლკლორულ-ლიტერატურული სიუჟეტების ურთიერთგავლენის საკითხები კულტურული გარემოს ცვალებადობის ფონზე და წარმოდგენილია პროცესი, თუ როგორ იქცევა ზღაპრები მედიუმად ქვეყნებსა და ხალხებს შორის.

ავტორები:

ელენე გოგიაშვილი, მთავარი რედაქტორი

დარეჯან გარდავაძე

ანდრო გოგოლაძე

ნინო ქავთარაძე

თეა თათეშვილი

**Orient and Occident in Georgian Folktales:**

**Oral and Literary Traditions**

**Authors:**

Elene Gogiashvili, Editor

Darejan Gardavadze

Andro Gogoladze

Nino Kavtaradze

Tea Tateshvili



ნიგში გამოყენებულია ილუსტრაციები

ქართული ხელნაწერებიდან

© საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

© ელენე გოგიაშვილი, დარეჯან გარდავაძე,

ანდრო გოგოლაძე, ნინო ქავთარაძე,

თეა თათეშვილი, 2019

ISBN 978-9941-8-0967-5

## წინათქმა

პროექტი „აღმოსავლეთი და დასავლეთი ქართულ ხალხურ ზღაპრებში: ზეპირი და ლიტერატურული ტრადიციები“ განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფუნდამენტური კვლევების გრანტის ფარგლებში [FR 217488]. პროექტის მიზანი იყო ინტერდისციპლინური პერსპექტივით შესწავლა (1) ზეპირსიტყვიერი ტექსტებისა, რომლებშიც ლიტერატურული გავლენის კვალი შეინიშნება და (2) წერილობითი წყაროებისა, რომლებშიც ფიქსირებული ან ინტერპრეტირებულია ხალხური წარმოშობის სიუჟეტები. პროექტი მომზადდა სხვადასხვა სფეროში მომუშავე (ფოლკლორისტიკა, აღმოსავლეთმცოდნეობა, ლიტერატურათმცოდნეობა, ისტორია) მეცნიერთა ჯგუფის მიერ: ელენე გოგიაშვილი (პროექტის ავტორი და ხელმძღვანელი), დარეჯან გარდავაძე, ანდრო გოგოლაძე, ნინო ქავთარაძე, თეა თათეშვილი.

ინტერდისციპლინური კვლევის შედეგად არაერთი სიახლე გამოვლინდა:

- ევროპისა და აღმოსავლეთის ასახვა ქართულ ზღაპრებში: სიუჟეტები, მოტივები, პერსონაჟები;
- ლიტერატურული და ფოლკლორული სიუჟეტების ურთიერთმიმართების კვლევისას გამოჩნდა სიუჟეტის გავრცელების კონკრეტული გზები;
- დაზუსტდა ინფორმაცია იმ სოციალურ და კულტურული გარემოს შესახებ, სადაც ევროპული თუ აღმოსავლური წარმოშობის სიუჟეტები იყო მიმოქცევაში;
- გამოიკვეთა უცხოური წარმოშობის სიუჟეტთა ეროვნული თავისებურებები, თუ როგორ ხდება მათი რეცეფცია ნაციონალურ ნიადაგზე;
- ქართული ისტორიული ქრონიკების ანალიზის მიხედვით დადგინდა, ზღაპრების რომელი მოტივები იყო აქტუალური ისტორიული პირებისა თუ ფაქტების გადმოცემისას;

- გამოვლინდა ქართულ საისტორიო ქრონიკებში დაცული თხზულებების ჟანრული თავისებურებანი აღმოსავლური, ევროპული და ნაციონალური თხრობითი ტრადიციების გათვალისწინებით.

ფოლკლორული სიუჟეტის წარმოშობის საკითხი ყოველთვის ნათლად არ იკვეთება, კულტურული ფონის ცვალებადობა კი მუდამ შესამჩნევი და ინტერესის აღმძვრელია. წინამდებარე მონოგრაფია შესაძლებელს ხდის, თვალი გადადევნოთ კულტურულ-ისტორიულ პროცესს, თუ როგორ იქცევა ზღაპრები მედიუმად ქვეყნებსა და ხალხებს შორის.

# შინაარსი

შესავალი.....9

## I ნაწილი

ისტორიული ქრონიკები და ფოლკლორული ტრადიცია

I თავი. აღმოსავლეთისა და დასავლეთის  
ისტორიულ-გეოგრაფიული სურათი  
„ქართლის ცხოვრებაში“.....22  
ანდრო გოგოლაძე

II თავი. შუა საუკუნეების წარმოდგენები  
სამყაროს შესახებ .....32  
ანდრო გოგოლაძე

III თავი. ლეონტი მროველის  
ფოლკლორული წყაროების შესახებ.....47  
ანდრო გოგოლაძე

IV თავი. „ალექსანდრიანის“  
ლიტერატურულ-ფოლკლორული მოტივები  
„ვახტანგ გორგასლის ცხოვრებაში“ .....57  
ანდრო გოგოლაძე

V თავი.  
ისტორიული ფიგურის ფოლკლორული  
ტრანსფორმაცია: ალექსანდრე მაკედონელი .....91  
ელენე გოგიაშვილი

## II ნაწილი

### აღმოსავლური ზღაპრები ევროპაში

VI თავი. XVII-XVIII საუკუნეების ევროპული ზღაპარი... 114  
თეა თათეშვილი

VII თავი. აღმოსავლური ზღაპრების  
კრებულები ევროპაში ..... 130  
ელენე გოგიაშვილი

VIII თავი. აღმოსავლეთის ხიბლი და  
ფრანგული ფილოსოფიური ზღაპარი ..... 149  
ნინო ქავთარაძე

IX თავი. აღმოსავლური თხრობის მაგია ..... 170  
დარეჯან გარდავაძე

## III ნაწილი

### აღმოსავლური სიუჟეტები ქართულ ზეპირსიტყვიერებაში

X თავი. პოპულარული ლიტერატურულ-  
ფოლკლორული სიუჟეტები XVII-XVIII საუკუნეების  
საქართველოში ..... 192  
ელენე გოგიაშვილი

XI თავი. „ათას ერთი ღამის“ ზღაპრები  
ქართულ ზეპირსიტყვიერებაში ..... 210  
ელენე გოგიაშვილი

<b>XII თავი. ლიტერატურული ჟანრის</b>	
<b>ფოლკლორული ადაპტაცია: ჩარჩო თხრობა .....</b>	<b>226</b>
<b>ელენე გოგიაშვილი</b>	

#### **IV ნაწილი**

##### **ქალი პერსონაჟები**

<b>XIII თავი. ქალები უსამართლობის წინააღმდეგ .....</b>	<b>252</b>
<b>ელენე გოგიაშვილი</b>	

<b>XIV თავი. ქალები სიკვდილის წინააღმდეგ .....</b>	<b>273</b>
<b>ელენე გოგიაშვილი</b>	

<b>XV თავი. ქალები ბედისწერის წინააღმდეგ .....</b>	<b>290</b>
<b>ელენე გოგიაშვილი</b>	

<b>ბოლოთქმა .....</b>	<b>316</b>
-----------------------	------------

<b>Summary .....</b>	<b>318</b>
----------------------	------------

<b>ბიბლიოგრაფია .....</b>	<b>342</b>
---------------------------	------------

<b>შემოკლებანი .....</b>	<b>359</b>
--------------------------	------------

<b>ილუსტრაციები .....</b>	<b>360</b>
---------------------------	------------

<b>სახელთა საძიებელი .....</b>	<b>361</b>
--------------------------------	------------

<b>ადგილთა საძიებელი .....</b>	<b>366</b>
--------------------------------	------------



## შესავალი

1898 წელს აკაკი წერეთელმა საზღაპრო სიუჟეტთა გავრცელების საკითხს პატარა, მაგრამ მრავლისმომცველი წერილი უძღვნა. არსებითად, აკაკი წერეთლის პუბლიცისტური წერილებიდან იწყება საზღაპრო სიუჟეტთა სესხებისა და ორიგინალობის საკითხის შესწავლა ქართულ ფოლკლორისტიკაში. მან რამდენიმე მნიშვნელოვანი ასპექტი გამოყო: 1) სხვა ქვეყნის ლიტერატურული და ფოლკლორული ნაწარმოების გავლენა, 2) ეროვნული ლიტერატურის ხალხური ინტერპრეტაციები და 3) მწერლის მიერ გადაამუშავებული ზეპირსიტყვიერი მასალა.

„ძველი ხალხების მითოლოგია, განსაკუთრებით ბერძნებისა, სულ ჩვენ ზღაპრებში არიან მოქცეული; აქვე შევხვდებით ჰომეროსისა და სხვა ძველი დროის მწერლების თხზულებათაც ნაწყვეტ-ნაწყვეტათ, მაგრამ ქართული ხასიათით და სულით კი, ვინ იცის, ჩვენ გადმოგვიქართულებია, თუ იმათ გადაურჯულებიათ ჩვენი რამე?“. <sup>1</sup>

ჩვენი მონოგრაფიული კვლევის იდეა სწორედ წინამორბედ ფოლკლორისტთა შრომებიდან მომდინარეობს, რომლებმაც ლიტერატურული და ხალხური სიუჟეტების ურთიერთმიმართების შესწავლას ჩაუყარეს საფუძველი.

1894 წელს, როცა ქართული ხალხური ზღაპრები ინგლისურ ენაზე დაიბეჭდა ლონდონში, მთარგმნელი მარჯორი უორდროპი შესავალში წერდა: ერთი მხრივ, ბიზანტიასთან რელიგიური და პოლიტიკური კავშირის, მეორე მხრივ სპარსეთთან და თურქეთთან მუდმივი კონტაქტის წყალობით იბერიელთა ფოლკლორში ბევრი რამ არის შეთვისებული ქრისტიანობიდან და ისლამიდან, რაც ისტორიულ და ლიტერატურულ ძიებათათვის მდიდარ მასალას სთავაზობს მკვლევრებს.<sup>2</sup>

<sup>1</sup> წერეთელი, აკაკი. რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად. ტ. V. პუბლიცისტური და კრიტიკული წერილები. თბილისი 1990, გვ. 147.

<sup>2</sup> Georgian Folk Tales translated by Marjory Wardrop. Published by David Nutt in the Strand. London 1894, p. VIII.

აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ხიდად ყოფნა ქართულ კულტურას ბედისწერად გასდევს და ეს ხალხური ზღაპრის შესწავლისთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია. მდიდარი მნიგნობრული ტრადიციის მქონე ქვეყნის ასევე მდიდარი და მრავალფეროვანი ზეპირსიტყვიერება მუდმივად მიმზიდველი და აღმოჩენებით სავსეა მკვლევართათვის. ქართული ფოლკლორისადმი ინტერესი არასოდეს განელეებულა მეცნიერთა მხრიდან და უამრავი ღირებული ნაშრომი გამოქვეყნდა. რიგი საკითხებისა კი კვლევის გაგრძელებას მოითხოვს.

ალექსანდრე ხახანაშვილმა 1901 წელს თავის ნარკვევებში ქართული სიტყვიერების შესახებ არაერთგზის გაუსვა ხაზი ქართული ზღაპრების მნიშვნელობას ლიტერატურული ნაწარმოებებისთვის: „გვაქვს საფუძველი, ვიფიქროთ, რომ „რუსუდანიაანის“ ავტორი ზეპირგადმოცემებს იყენებდა და კიდევაც თუ ვერ დავამტკიცებთ, რომ ყველა მოთხრობა ხალხური სიტყვიერებიდან არის გადმოტანილი, ზოგიერთზე მაინც დანამდვილებით ვიტყვით, რომ მისი მოთხრობის წყარო ხალხური გადმოცემები უნდა ყოფილიყო.“<sup>3</sup>

მომდევნო თაობის ქართველ მეცნიერთა ნაშრომებში სიღრმისეულად არის დამუშავებული ლიტერატურულ და ზეპირ წყაროთა ურთიერთკავშირის ბევრი საკითხი: შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ფოლკლორული ვერსიები (ნ. მარი, ვ. კოტეტიშვილი, მ. ჩიქოვანი, კ. კეკელიძე, თ. ქურდოვანიძე, ზ. კიკნაძე, ე. ქორიძე, მ. კარბელაშვილი და სხვ.), მოსე ხონელის „ამირანდარეჯანიანი“ და ამირანის ეპოსი (ნ. მარი, მ. ჩიქოვანი, ქს. სიხარულიძე და სხვ.), „შაჰნამეს“ ქართული ხალხური ვერსიები (ნ. მარი, ვ. მაცაბერიძე, ალ. გვახარია), სულხან საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისას“ იგავ-არაკთა ხალხური წყაროები (მ. ჩიქოვანი, ე. ვირსალაძე და სხვ.).

<sup>3</sup> Хаханов, Александр. Очерки по истории грузинской словесности. Выпуск 3. Литература XIII-XVIII вв. Москва: Университетская типография, 1901, с. 8.

ქართული ხალხური ზღაპრის კვლევა ქართულ სამეცნიერო სივრცეში სხვადასხვა კულტურულ-ისტორიულ ასპექტს მოიცავდა: გენეზისს, თემატიკას, მორფოლოგიურ-სემანტიკურ ანალიზს, სოციალურ ფუნქციას, მითოლოგიური რელიქტების ძიებასა და სხვა, მაგრამ ნაკლები ყურადღება ეთმობოდა ხალხურ ტექსტებში ლიტერატურული გავლენის საკითხს.

უნდა აღინიშნოს რომ, XX საუკუნის ფოლკლორისტიკაში, ევროპელებიც და მითუმეტეს, ქართველები, ზეპირსიტყვიერების სიძველეს ცოტა გადაჭარბებულადაც აფასებდნენ. რამდენადაც ზეპირი მოთხრობები საუკუნეების მანძილზე გადაეცემოდა თაობიდან თაობას, წინაპართა რწმენების მნიშვნელოვან საბუთს წარმოადგენდა. ეს რომანტიკული დამოკიდებულება ფოლკლორული შემოქმედების მიმართ XIX საუკუნიდან მომდინარეობდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობებების გავლენით.

ჩვენი კვლევა ემსახურება იმ ღიად დარჩენილ კითხვებზე პასუხის ძიებას, რაც ხალხურ ტექსტებში ლიტერატურულ გავლენასთან არის დაკავშირებული და არასაკმარისად გაშუქებული ქართულ ფოლკლორისტიკაში.

ზეპირსიტყვიერი მასალის, განსაკუთრებით კი პროზაული ჟანრების – ხალხური ნოველის, ჯადოსნური ზღაპრის, თქმულების კვლევისას აუცილებელ პირობას წარმოადგენს ლიტერატურული წყაროების გათვალისწინება: ბევრ ხალხურ გადმოცემას მდიდარი წერილობითი ტრადიცია აქვს და უამრავი ფოლკლორული ნიმუში თავისი სიუჟეტით ლიტერატურიდან მომდინარეობს, რაც ხალხში ზეპირი გზით გავრცელდა და მთხრობელთა ფანტაზიით გადამუშავდა.

ხალხური ზღაპრების ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი ცვლილების ფენომენიაა. ზღაპრის მოტივსა თუ კომპოზიციას შესაძლოა რამდენიმე ვარიაცია ჰქონდეს და ყოველთვის არ არის ადვილი გადაწყვეტა, თუ რომელი მათგანი დგას უფრო ახლოს თავდაპირველ ფორმასთან. სანყისი მოტივი ხშირად სრულიად გადასხვაფერებულია

ცვლილების გამო, მაგრამ ცვლილება შეიძლება თვითონვე გადაიხაროს ძველი ფორმისკენ იმ შემთხვევაში, თუ თვითონ ვერ დაიმკვიდრებს თავს. თუ მოტივი განსაკუთრებულად პოპულარულია, ეს სხვადასხვა მთხრობელის ახალ ინტერპრეტაციას განაპირობებს.

ხალხური ზღაპრის სიუჟეტებისა და მოტივების მითოლოგიასთან კავშირის გამო ზღაპარი უძველეს ფოლკლორულ ჟანრად არის მიჩნეული, მაგრამ ამავდროს ის ლიტერატურის ძლიერ გავლენას განიცდის. ქართულ ფოლკლორში ამგვარ მოვლენას ხშირად ვაწყდებით ლიტერატურული ნაწარმოებების გახალხურებული ვერსიების სახით, რომლებიც სრულად ტრანსფორმირებული არიან ზეპირი თხრობის კანონების შესაბამისად.

მართალია, სიუჟეტთა სესხების თეორია და გეოგრაფიულ-ისტორიული მეთოდი XIX საუკუნიდან იღებს სათავეს, მაგრამ ისინი მუდმივად აქტუალურია ფოლკლორისტიკაში. ფილოლოგიური მეთოდი არასოდეს ძველდება. ფოლკლორისტიკები ლიტერატურათმცოდნეობისა და ენათმეცნიერების მეთოდებს ყოველთვის წარმატებით იყენებენ, იქნება ეს წერილობით დოკუმენტებთან, ძველ კულტურათა ლიტერატურებთან თუ ისტორიულ წყაროებთან დაკავშირებით. ეს ყველაფერი ფოლკლორისტიკის ლიტერატურული საბუთია, რომელიც ფოლკლორული სიუჟეტის გავრცელებას ადასტურებს გარკვეულ ეპოქაში.

ჩვენი ნაშრომის მიზანი იყო ხალხური ზღაპრების ლიტერატურული წყაროების დადგენა და გავრცელების გზის კვლევა კულტურულ-ისტორიულ კონტექსტში.

ჩვენმა ინტერესის სფერომ ქართული საისტორიო ქრონიკებიც მოიცვა, რამდენადაც საზღაპრო სიუჟეტების გავრცელება მათიანეებშიც დასტურდება ბრძოლების აღწერისას, მითოლოგიური წარსულის სურათის აღდგენისას, ისტორიული პირების ასახვისას.

კვლევის ძირითადი ობიექტია ქართული ხალხური ზღაპრის საერთაშორისო სიუჟეტები და მოტივები, სა-

ხელდობრ, ზღაპართა ის ტიპები, რომელთა ლიტერატურული და ფოლკლორული წყაროები ფიქსირებულია სიუჟეტთა საერთაშორისო კატალოგში „The Types of International Folktales“ (Helsinki 2004).

რამდენადაც ჩვენი ინტერდისციპლინური კვლევა მიმართული იყო აღმოსავლური და დასავლური კულტურული ურთიერთდამოკიდებულების ჩვენებისკენ ქართულ ხალხურ ზღაპრებში, აუცილებელი იყო, პროექტში მონაწილეობა მიეღო სხვადასხვა დარგის სპეციალისტს: ფოლკლორისტიკა, ფილოლოგია, ისტორია, აღმოსავლეთმცოდნეობა.

წიგნის პირველი ნაწილი ეთმობა საისტორიო ქრონიკებს, რომლებშიც ასახულია მითოლოგიურ-ზღაპრული სიუჟეტები; ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებულ მოსაზრებებს ქართული მატრიანების ფოლკლორული წყაროების შესახებ; ისტორიული პირების ზღაპრის პერსონაჟად ტრანსფორმაციას; აღმოსავლეთისა და დასავლეთის აღქმას შუა საუკუნეების ქართულ საზოგადოებაში.

წიგნის მეორე ნაწილში წარმოდგენილია ევროპის ქვეყნებში, მათ შორის საქართველოშიც, აღმოსავლური ზღაპრების თარგმნის, ადაპტაციებისა და კვლევის ისტორია, მიმოხილულია ევროპული ზღაპრის თავისებურებები და აღმოსავლური თხრობის ტრადიციები.

წიგნის მესამე ნაწილში განხილულია აღმოსავლური წარმოშობის სიუჟეტები ქართულ ზეპირსიტყვიერებაში კონკრეტული ხალხური ტექსტების სტრუქტურულ-ტიპოლოგიური და შედარებით-ისტორიული ანალიზის საფუძველზე.

წიგნის მეოთხე ნაწილი ეხება ქართული და ევროპული ზღაპრების ურთიერთმიმართებას, ლიტერატურული და ხალხური სიუჟეტების ევროპულ გადამუშავებებს და მათ რელიგიურ-მსოფლმხედველობრივ ასპექტებს ქალ-პერსონაჟებზე ფოკუსირებით.

ყოველ ზღაპარში მოთხრობილია თავგადასავალი, და ყოველი ზღაპარი მოგვითხრობს თავის თავგადასავალს

ქვეყნებსა და საუკუნეთა შორის. წინამდებარე ნაშრომით შევეცადეთ, წარმოგვედგინა ქართულ ხალხური ზღაპრების ზეპირი და ლიტერატურული ცვლილებები თავის ისტორიულ და კულტურულ კონტექსტში.

**ელენე გოგიაშვილი**  
თბილისი, 2019 წლის დეკემბერი



**I ნაწილი**

**ისტორიული ქრონიკები  
და  
ფოლკლორული ტრადიცია**







ძველ ქართულ საისტორიო მწერლობაში მსოფლიოს ისტორიულ-გეოგრაფიული და ეთნიკური სურათი ბიბლიური ტრადიციის და ქრისტიანული მსოფლმხედველობის გავლენით ყალიბდება. ოიკუმენე, ქართველთა ეთნარქების ლეგენდარული და ბიბლიური მამამთავრების საცხოვრისის საზღვრებთან არის გააზრებული.<sup>4</sup>

საერთოდ, ძველი მსოფლიოს გეოგრაფიული სურათის მეტ-ნაკლებად სრული აღწერილობა ანტიკური ხანის ბერძენ მწერლებთან გვხვდება. ძველი აღმოსავლეთის წყაროების (ასირიული, ბაბილონური, ქალდეური) გეოგრაფიული მსოფლმხედველობის არეალი საკმაოდ შეზღუდული იყო და არ სცდებოდა მცირე აზიის, შუამდინარეთის, სპარსეთის და ეგვიპტის საზღვრებს. მაგრამ ანტიკური ხანაში, დროთა განმავლობაში, ბერძენ ავტორთა ცნობებში ოიკუმენემ მეტნაკლებად რეალური ისტორიულ-გეოგრაფიული აღწერილობა მიიღო. ბერძენ-სპარსელთა ომებმა, ალექსანდრე მაკედონელის აღმოსავლეთში ლაშქრობებმა და ბერძენთა საზღვაო ექსპედიციებმა ინდის ნაპირებიდან სპარსეთის ყურისკენ, აღმოსავლეთის შეცნობის არეალი მკვეთრად გააფართოვა.<sup>5</sup> ძვ.წ. VI საუკუნეში ბერძენმა გეოგრაფმა და მოგზაურმა სქილაქს კარიანდელმა სპარსეთის მეფის დარიოსის დავალებით იმოგზაურა ინდის ნაპირებიდან სპარსეთის ყურისაკენ. მისმა ჩანაწერებმა ჩვენამდე არ მოაღწია, მაგრამ ამ ცნობებით სარგებლობდნენ ჰეროდოტე და ჰეკატეოს მილეტელი. ჰეროდოტეს მიერ

---

<sup>4</sup> ოიკუმენე (Ὀικουμενίου) პირველად ბერძენმა გეოგრაფმა ჰეკატეოს მილეტელმა აღწერა, როგორც ბერძენებით დასახლებული მიწები. ის, ასევე, გულისხმობდა ევროპის (ჩრდილოეთის გარდა) მცირე და წინა აზიის, ინდოეთის და ჩრდილოეთ აფრიკის ხალხებით დასახლებულ მიწებს.

<sup>5</sup> პლატონის და არისტოტელეს ნაშრომებმა განსაზღვრა კოსმოგრაფიული, ფიზიკურ-გეოგრაფიული და მეტეოროლოგიური ცოდნის საფუძვლები. არისტოტელეს ცნობილი ტრაქტატი ცის შესახებ შუა საუკუნეებში ხშირად თარგმნილი იყო, როგორც ტრაქტატი „ცის და სამყაროს შესახებ“ (De caelo et mundo).

შუა აზიის, სკვითიის მდინარეების და ეგვიპტის ისტორიულ-გეოგრაფიული აღწერილობა ობიექტურ ინფორმაციებს შეიცავს. რაც შეეხება, ჰეკატეოს მილეტელის მემკვიდრეობას, მან, ფაქტობრივად, საფუძველი ჩაუყარა გეოგრაფიული მეცნიერების კლასიკურ შესწავლას. ფასეულია მისი ცნობები კავკასიის, შუა აზიის და ინდოეთის ისტორიულ-გეოგრაფიულ და ეთნოგრაფიულ არეალზე.<sup>6</sup>

ელინისტურ ეპოქაში ასევე დიდი როლი ითამაშა პტოლემეაიოსების ეგვიპტეში არსებულმა ალექსანდრიის სკოლამ (ჰიპარქე, ერასტოფენე, კლავდიოს პტოლემეაიოსი). შემდგომში, რომაელ ავტორთა (პომპინიუს მელა, პლინიუს უფროსი, თეოფანე მილეტელი, მაკრობი) ცნობებმა კიდევ უფრო განავითარა მეცნიერული ცოდნა ფიზიკური გეოგრაფიის, ასტრონომიის, კარტოგრაფიის, სამყაროს გარემომცველი ბუნებრივი მოვლენების შესწავლის დარგში.<sup>7</sup>

ადრეული შუა საუკუნეებიდან ანტიკური ხანის რაციონალური შეხედულებები გეოგრაფიაზე და სხვა მეცნიერებებზე ბიბლიურმა მსოფლმხედველობამ გადაფარა. რომის ცივილიზაციის დაცემის პერიოდში შემცირდა ოიკუმენეს ჰორიზონტი და ადგილი მითოლოგიურმა თუ ლეგენდარულმა ამბებმა და მცდარმა თეორიებმა დაიკავა. ძველი აღთქმის გეოგრაფიული ცოდნის არეალი, ძირითადად, მოცემული იყო დაბადების წიგნში, სადაც

<sup>6</sup> Райт, Дж.К. Географические представления в эпоху крестовых походов. Исследование средневековой науки и традиции в Западной Европе. Москва: „Наука“, 1988, с. 18, 42-43.

<sup>7</sup> კარტოგრაფიული მეცნიერების განვითარების რამდენიმე ეტაპს გამოყოფენ. პირველი ეტაპი ანტიკური ბერძნული კარტოგრაფიაა, შემდგომი – ელინისტურ-რომაული, რომელიც მოიცავს ძვ. წ. II – ახ. წ. IV საუკუნეებს. მომდევნო ეტაპია შუა საუკუნეების კარტოგრაფია, რომელიც ქრისტიანული მსოფლმხედველობის გავლენით ყალიბდება და XIV საუკუნემდე პერიოდს მოიცავს. აღსანიშნავია, რომ შუა საუკუნეების კარტოგრაფიის განვითარებაში დიდი წვლილი მიუძღვით არაბი გეოგრაფების, მოგზაურებისა და სწავლულების ნაშრომებსაც. თუმცა, როგორც ქრისტიანული, ისე ისლამური კულტურული სამყაროსათვის, კარტოგრაფიული მეცნიერების დამახასიათებელი ნიშანი თეოკრატიული, რელიგიური პრინციპებია.

სამყაროს ალეგორიულმა სურათმა დიდი გავლენა იქონია ადრეული თუ შუა საუკუნეების კარტოგრაფიაზე და გეოგრაფიული ცოდნის საზღვრებზე. რაც არ უნდა ზედაპირული ყოფილიყო სამყაროს ბიბლიური სურათი, შუა საუკუნეების საზოგადოება მაინც მას ანიჭებდა უპირატესობას და არა ანტიკური ავტორების, სტრაბონის ან კლავდიოს პტოლემეაიოსის მეცნიერულ მემკვიდრეობას.

შუა საუკუნეების მანძილზე ქრისტიანული ცივილიზაციის ცენტრად რჩებოდა კონსტანტინოპოლი. ბიზანტიურმა ცივილიზაციამ დიდი გავლენა მოახდინა, როგორც დასავლეთის, ასევე აღმოსავლეთის ხალხების ცოდნაზე, მაგრამ, ეს უმთავრესად ეხებოდა ხელოვნების, არქიტექტურის, ფილოსოფიის და მწერლობის საკითხებს. რაც შეეხება, ანტიკური გეოგრაფიული მემკვიდრეობის ცოდნის გაღრმავებას, აქ ბიზანტიელების ინტერესი ნაკლები იყო, რადგან ისინი ანტიკური ხანის მეცნიერთა მიღწევებს ქრისტიანული მსოფლმხედველობის ჭრილში განიხილავდნენ.<sup>8</sup>

შუა საუკუნეების მსოფლიო რუკები იშვიათი გამოცემისაა გარდა, მონასტრებში იქმნებოდა. აქედან გამომდინარე, ამ პერიოდის კარტოგრაფია მთლიანად ორიენტირებული იყო ქრისტიანული მსოფლმხედველობის ტრადიციაზე. ეკლესიის მამების თუ სწავლულების მიერ შედგენილი რუკები დამოუკიდებელ ქმნილებებს არ წარმოადგენდნენ. ისინი თან ერთვოდნენ აპოკრიფულ ტექსტებს და ამიტომ ამ რუკებზე არსებული ვიზუალური მასალა ემყარებოდა სამყაროს შექმნის ბიბლიური ტრა-

---

<sup>8</sup> მართალია, ეგრეთწოდებული „კაროლინგების აღორძინების“ ეპოქაში მეტი ყურადღება დაეთმო ინტელექტუალური განვითარების საქმეს, მაგრამ ჯვაროსნული ლაშქრობების ეპოქამდე ცოდნა ძირითადად არ სცილდებოდა ძველი თუ ახალი აღთქმის გეოგრაფიული თვალსაზრისის საზღვრებს. სირთულე კიდევ იმაში მდგომარეობდა, რომ დასავლეთში რენესანსის პერიოდამდე ბერძნული ენის ცოდნა ძალიან მწირი იყო. Ле Гофф, Ж. Интеллектуалы в средние века. Перевод с французского А. Руткевича, Санкт-Петербург-Москва 2003, с. 10-11; Райт, Дж. К., Географические представления в эпоху крестовых походов. Исследование средневековой науки и традиции в Западной Европе. Москва: „Наука“, 1988, с. 47-49.



დიციის, წარღვნის და ესქატოლოგიური ხასიათის თხზულებებს.<sup>9</sup>

შუა საუკუნეების საზოგადოების თვალსაწიერის ჩამოყალიბებაში დიდი როლი ითამაშა აგრეთვე ანტიკური თუ ქრისტიანული ხანის ლეგენდებმა და რომანებმაც. ალექსანდრე მაკედონელთან დაკავშირებულმა ლეგენდების ციკლმა, შეიძლება ითქვას, განსაზღვრა იმ ეპოქის ადამიანთა შეხედულებები აღმოსავლეთის ხალხების ეთნოკულტურულ სურათზე. რომანი „ალექსანდრიანი“ საფუძვლად დაედო არა მარტო ქრისტიანულ სამყაროში და მუსლიმურ აღმოსავლეთში გავრცელებულ ეპოსს, არამედ ჯვაროსნულ აღმოსავლეთში დაბადებულ ლეგენდას ძლევაშობილი მეფის, იოანე პრესვიტერის შესახებ. მისი ლეგენდების მთელი ციკლი თავისი საკვირველი სამყაროთი აისახა კიდევ შუა საუკუნეების კარტოგრაფიულ რუკებზე და პორტალანებზე.

სწორედ, ამ მსოფლმხედველობის კონტექსტში შეიძლება მოვიაზროთ ძველ ქართულ საისტორიო თხზულებებში არსებული ინფორმაციები დასავლეთისა და აღმოსავლეთის მსოფლიო სურათის შესახებ. მართალია, იმდროინდელი ევროპელ სწავლულთა შეხედულებები უცხო იყო ქართველი საზოგადოებისათვის, მაგრამ ის ცოდნა, რაც ჩანს ამ ნარატივებიდან, ჰაგიოგრაფიული თუ ეპიკური ჟანრის თხზულებებიდან, სწორედ შუა საუკუნეების საზოგადოების მსოფლმხედველობაზე მიუთითებს.

---

<sup>9</sup> ამ კუთხით შეიძლება გამოვარჩიოთ რამდენიმე ევროპელი ავტორი: VIII საუკუნის ესპანელი ბერი ბეატიუსი, რომლის აპოკალიფსურ კომენტარებს დართული აქვს მსოფლიო რუკა, კოტომიანა ანუ ანგლოსაქსური რუკა (დაახლ. 1000 წ.); გვიდოს მსოფლიო რუკა (1119 წ.); ლამბერ დე სენ-ომერის მსოფლიოს რუკა (XII ს.); ფსალმუნის მსოფლიო რუკა (XIII ს.); ებსტროფის მსოფლიოს რუკა (1235 წ.); რიჩარდ ჰალდინგემის ჰერეფორდის მსოფლიოს რუკა (1280 წ.); საინტერესოა, რომ ამ რუკებზე საქართველოს და ზოგადად კავკასიის ფიზიკურ-გეოგრაფიული და ეთნოკულტურული სურათი უმეტესად დაკავშირებულია ძველი ლეგენდების, აპოკალიფსური წარმოდგენებისა და რომანების სიუჟეტებთან. ამ ავტორების კარტოგრაფიული რუკები იხ. ალექსანდრე თვარაძის მონოგრაფიაში „საქართველო და კავკასია ევროპულ წყაროებში“ (2004).

**აღმოსავლეთისა და დასავლეთის  
ისტორიულ-გეოგრაფიული სურათი  
„ქართლის ცხოვრებაში“**

ლეონტი მროველი პირველი ისტორიკოსია, რომელიც ქართული ტომების საცხოვრისის დეტალურ გეოგრაფიულ აღწერილობას გვაძლევს. შეიძლება ჩავთვალოთ, რომ მისი თხზულება მთავარი წყაროა ანტიკური და შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული საზღვრების შესასწავლად. ლეონტის მიხედვით, კავკასიელთა ბიბლიური წინაპარის თარგამოსის წილხვდომი ქვეყანა ასეა დახასიათებული:

„ესე არს საზღვარი ქუეყანისა მისისა: აღმოსავლით ზღუა გურგენისა (კასპიის, ასევე მას დარუბანდის ზღვას უწოდებს – ა.გ.), დასავლით ზღუა პონტოსი (შავი ზღვა – ა.გ.), და სამხრით ზღუა ორეთისა (ორეთი მცირე აზია, ორ ხმელეთს შორის – ა.გ.), და ჩრდილოთ მთა კავკასია.“<sup>10</sup>

მაგრამ განსხვავებით ამ რეალებიდან, მისი ველტ-ბილდი ძველი და ახალი აღთქმის ტრადიციულ სქემაშია მოქცეული. მიუხედავად ამისა, ყველა ეს აღწერილობა მაინც უკავშირდება არა კონკრეტული რეგიონის ქვეყანათმცოდნეობას, არამედ ქართველი ერის ისტორიის გაბმულ თხრობას.

ლეონტის გეოგრაფიული ცოდნის საზღვრები ნათლად ჩანს მისი თხზულების ქრონოლოგიური ჩარჩოების ფონზეც: ქართველთა ეთნოგენეზის და სახელმწიფოებრიობის წარმოშობის თეორია ბიბლიურ და აღმოსავლურ –

<sup>10</sup> ლეონტი მროველი. „ცხოვრება ქართუელთა მეფეთასა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა“. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტომი I. თბილისი: „სახელგამი“, 1955, გვ. 4-5. შემდგომში შემოკლებით – ქც I.

აქემენიანების – პოლიტიკურ-კულტურულ სამყაროს განეკუთვნება. ლეონტისთვის ელინისტური სამყარო არის არა ბერძნულ-სპარსული, არა ალექსანდრეს მემკვიდრეობა, არამედ აშკარად სპარსული – აქემენიანთა (ნებროთიანები), არშაკიანთა და სასანიანთა.

ლეონტი მროველი კავკასიელთა ამბავს იწყებს ნებროთზე ამბების მოთხრობით: „პირველი მეფე ყოვლისა ქუეყნისა.“ ნებროთი სპარსული სამყაროს გმირი – ბაბილონის სამეფოს დამაარსებელია, ბიბლიის მიხედვით – ნოეს ვაჟის ქამის ძის ქუშის ერთ-ერთი შვილი. მისი მემკვიდრეები არიან ბაბილონელები, ასურნი და სხვა ბიბლიური ხალხები. ნებროთი, თარგამოსის მსგავსად, ბიბლიური პერსონაჟია. თორაში ის „ნიმროდის“ სახელით გვხვდება. ასევეა ძველი აღთქმის ბერძნულ თარგმანში. ის შუამდინარეთის მეფეა, რომელმაც მრავალი ხალხი დაიმორჩილა.<sup>11</sup> სწორედ თარგამოსის მემკვიდრეებს მოუხდათ ბრძოლა მასთან. ლეონტის ვერსიით, ჰაოსი არის უფროსი ძმა თარგამოსიანთა ძეთა (შვიდი ძმა: ქართლოს, ბარდოს, მოვაკან, ჰეროს, ლეკან, კავკასან, ეგროს). ჰაოსი ამარცხებს და კლავს ლეგენდარულ მეფეს ნებროთს. ავტორს ჰაოსისა და ნებროთის პირისპირ შებრძოლება ეპიკური ჟანრისთვის დამახასიათებელი სტილით აქვს აღწერილი:

„ვითარ ესმა ნებროთს, განწყრა და წარმოემართა მათ კერძო ყოვლითა ძალითა მისითა [...] და იყო იგი ჭურვილი რკინითა და რვალითა ტერფთაგან ვიდრე თხემამდე [...] და წარვიდა [ჰაოს] და მივიდა პირისპის მახლობლად ნებროთისა და სტყორცა ისარი და ჰკრა მკერდსა ნებროთის-

---

<sup>11</sup> „ნებროთის ნიგნი“ სპარსული ზოროასტრული სარწმუნოების ავესტაა, ერთგვარი ზოროასტრული ბიბლია, რომლის ძირითადი ტექსტები ალექსანდრე მაკედონელის გამოჩენამდე არსებობდა. ხოლო თავდაპირველად არშაკიდების მმართველობის დროს (ძვ. წ. აღ. 250 – ახ. წ. აღ. 224 წწ.) ჩაინერა და დასრულებული სახე VI საუკუნეში, სასანიანთა პერიოდში მიიღო. „წერილ არს ცხოვრებასა სპარსთასა“ – ამგვარი ფორმითაც გვხვდება „ნებროთის ნიგნის“ (ავესტა) აღნიშვნა ლეონტი მროველთან.

სა, ფიცარსა ზედა რვალისასა და განვლო ზურგით. მაშინ დაეცა ნებროთ და იოტა ბანაკი მისი.“<sup>12</sup>

ძლევამოსილი მითოსური გმირის სახე აქვს მოცემული ლეონტი მროველს ჰაოსის მემკვიდრის, აფრიდონის და-ხასიათებისას:

„ხოლო მიერთგან განძლიერდეს სპარსნი მიერ მზისა აღმოსავლითგან, ნათესავნი ნებროთისნი. და გამოჩნდა ნათესავთა შორის ნებროთისთა კაცი ერთი გმირი, რომლისა სახელი აფრიდონ რომელმან შეკრა ჯაჭვითა ბევრასფი, გუელთა უფალი, და დააბა მთასა ზედა, რომელ არს კაცთა შეუვალიო. ესევეთარი წერილ არს ცხოვრებასა სპარსთასა. აფრიდონ ეუფლა ყოველსა ქუეყანასა სპარსთასა.“<sup>13</sup>

<sup>12</sup> ქც I, გვ. 6-8. მანანა სანაძის აზრით, „ქართლის ცხოვრების“ ნებროთი სპარსეთის პირველი აქემენიანი მეფეა. ნებროთის და კავკასიელ მამამთავართა შერკინება კი მდინარე არაქსთან, სპარსეთის პირველი აქემენიანი მეფის, კიროს I დიდის სკვითებთან ბრძოლის ამბის ხალხურ ეპოსად ტრანსფორმირებული ვერსიის ბიბლიური გაფორმებაა. ამ ბრძოლის სრული ვერსია აქვს მოცემული ჰეროდოტეს, რომლის ცნობების უტყუარობაში ეჭვის შეტანა შეუძლებელია. ჰეროდოტეს გადმოცემით ძვ.წ. 530 წელს კიროსი სკვითებთან ამ ბრძოლაში დაიღუპა. ამ ბერძნულ წყაროზე დაყრდნობით განმარტავს მ. სანაძე „ქართლის ცხოვრების“ თარგამოსიანებისა და ნებროთიანების შებრძოლების ამ ვერსიას. მ. სანაძის მოსაზრებით, ძველი ქართლის ცხოვრების ავტორი ჯუანშერია, უძველესი დროიდან ვახტანგის მეფობის ჩათვლით (VI საუკუნის შუა ხანებამდე), და ამგვარად, ლეონტის ავტორობით მიჩნეული თხზულება „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“, რომელიც ვახტანგ გორგასლის მეფობამდე მოდის, ჯუანშერს დაუნერია. რაც შეეხება ვახტანგის შემდგომ ეპოქის აღწერას (VI-VIII სს.) ეს ლეონტის და სხვა უცნობი (ანონიმი) ავტორების ნაშრომია. მ. სანაძეს ლეონტი ძველი ქართლის ცხოვრების საერთო რედაქტორად მიაჩნია. მეცნიერი თვლის, რომ ჯუანშერი, რომელიც ვახტანგ გორგასლის თანამედროვეა, რეალურ ისტორიას აღწერს, რომელიც შემდგომმა გადამწერებმა თურედაქტორებმა დაამახინჯეს, ახალი მითოლოგიური და ზღაპრული ელემენტებით შეავსეს. იხ. სანაძე, მ. ქართველთა ცხოვრება. ნიგნი III. ქართველი მეფეების და პატრიკოსების ქრონოლოგია (ფარნავაზიდან აშოტ კურაპალატამდე). თბილისი 2016, გვ. 22-23, 85-86.

<sup>13</sup> ქც I, გვ. 6-8; რაც შეეხება აფრიდონის მითოლოგიზირებულ სახეს, მ. სანაძის აზრით, იგი აქემენიანთა მეფე ქსერქსეა (ძვ. წ. IV ს.).

მირიან მეფეც ქრისტიანთა საქმეების გამოკითხვისას ეყრდნობა ნებროთის წიგნს, რომელიც წინასწარმეტყველებს მესიის გამოჩენაზე. ლეონტი მროველის თვალსაზრისით, ნებროთის წიგნიც წმინდაა, რომელიც მეფეს გზას უნათებს ჭეშმარიტებისაკენ, რადგან სწორედ ამ წიგნში მოიპოვებს მეფე იმ წერილს, რომელიც ამცნობს, რომ ამქვეყნიური დიდება წარმავალია და ხსნა სწორედ სასუფეველშია. ლეონტი მროველთან და ჯუანშერთან ნათლად ჩანს, რომ მემატრიანეები ცდილობენ წინა პლანზე წამოსწიონ მეფეების სპარსული წარმომავლობა, რომელიც ძველი აღთქმის სამყაროს მამამთავრებს უკავშირდება. ნებროთის სპარსულ-ფალაური მითოლოგიზირებული მეფის სახე სწორედ ამის დასტურია.<sup>14</sup>

ქართულ მსოფლმხედველობაში ცეცხლის რჯულის მეცნიერნი მოგვები სპარსელთა აღმნიშვნელ ეთნონიმებად არიან აღიარებული. ლეონტი მროველი უფლის მოვლინებაზე აღნიშნავს: „იშვა უფალი ჩუენი იესო ქრისტე, ბეთლემს ურიასტანისასა და მოვიდეს მისსა მოგუნი ძღუნისა შეწირვად, და მათ მოგუთა შესლვასა იერუსალიმს მოვიდა ამბავი მცხეთასა, ვითარმედ სპარსთა იერუსა-

---

<sup>14</sup> ქართული პანთეონიც (პოლითეისტური, იგივე რაც წარმართული) ახლოს დგას ზოროასტრულ ღვთაებებთან და მის სპარსულ ფესვებზე მიაწინებს. თვით პირველი ქრისტიანი მეფე მირიანი წმიდა ნინოსთან საუბრის დროს აღნიშნავს, რომ ქართლის მთაზე მდგარი კერპები მათი სისხლისმიერი წინაპრების შემკვიდრეობას წარმოადგენენ: „ღმერთნი ქართლისანი, არმაზ და ზადენ [...] ძუენი ღმერთნი მამათა ჩუენთანი, გაცი და გაიმ.“ მირიანიც ხომ ქართლში „აღიზარდა მსახურებასა მას შინა შვდთა მათ კერპთასა და ცეცხლისასა“ (ქც I, გვ. 106; 65). ზოროასტრიზმში მესიის მოვლინებაზე ჩანს ჯუანშერის თხზულების პასაჟიდან, როცა ნებროთის სამეფოს აღწერილობაა მოცემული: „და განუტევენ ნათესაენი ესე, ვითარცა ვინ ინებოს, რამეთუ წარუვლიან უფალსა, ხოლო მეფობა შენი მეფობდეს ყოველთა ზედა მეფეთა, არამედ ჟამთა უკანასკნელთა მოვიდეს მეუფე ცისა, რომლისა შენ გნებავს ხილვა მისი, ერსა შორის შეურაცხსა; შიშმან მისმან განაქარენეს გემონი სოფლისანი, მეფენი დაუტეობდნენ მეფობასა და ეძიებდნენ სიგლახაკესა. მაშინ გიხილოს ჭირსა შინა და გიჭსნეს ღმერთმან“ (ჯუანშერი. „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“. ქც I, გვ. 162).

ლიმი ნარტყუნესო". აქ მემატთანე ყვება ისტორიას, რომ მცხეთელ ურიებში გავრცელდა ცრუ ინფორმაცია და მეორე ნელს დადასტურდა, რომ ეს მოგვნი ძღვენიტ მივიდნენ და ამის გამო იქმნა სიხარული.<sup>15</sup>

ლეონტის ველტბილდი ბიბლიური და ძველი სპარსულ-ფალაური სამყაროს გავლენის ნათელი სურათია. ეს კარგად ჩანს მისი თხზულების ქრონოლოგიური ჩარჩოების ფონზეც – ქართველთა ეთნოგენეზის და სახელმწიფოებრიობის წარმოშობის პრობლემა ბიბლიურ და აღმოსავლურ – აქემენიანების სამყაროს განეკუთვნება. როცა ქართლის სამეფოს ტახტი ასფაგურის სიკვდილის შემდეგ დარჩა უძეოდ, დიდებულებმა სპარსეთის მეფე ქასრეს (ხუასრო) სთხოვეს უფლისწული მეფედ (ქართლის პირველი ქრისტიანი მეფე მირიანი) და შესთავაზეს ასფაგურის ასულზე დაქორწინება, რათა ამ ორი გვარის ფარნავაზიანთა და ნებროთიანთა კავშირი-ნათესაობა არ განყვეტილიყო: „ვაუნყოთ ქალისა მის ნათესაობა ქართლოსიანთა და ნებროთინთა და დიდებულთა არშაკუნიანთა და მეფეთა ჩუენთა ფარნავაზიანთა, და ვითხოვოთ მისგან დამჭირვა სჯულსა ზედა მამათა ჩუენთა“.<sup>16</sup>

ლეონტისთვის სახელმწიფოებრიობის გარიჟრაჟი დაკავშირებულია სახელების ეტიმოლოგიასთან, როგორც ქართლის სამეფოს და ქართველთა წარმომავლობა ქართველთა ეთნარქთან ქართლოსთან. თუმცა მისი თვალსაწიერი საინტერესო არის იმ კუთხით, თუ როგორ წარმო-

---

<sup>15</sup> სამეცნიერო ლიტერატურაში მიჩნეულია, რომ მოგვების სამშობლო სპარსეთია. მართალია სახარებაში მოგვების სამშობლო ზოგადად „აღმოსავლეთია“, მაგრამ ის, რომ ისინი ზოროასტრულ სამყაროს განეკუთვნებიან, ამას შუა საუკუნეებში გავრცელებული ტრადიციაც მონიშნავს. სამი მოგვის მისტიფიკაცია ძველი სპარსეთის მითოლოგიურ და სულიერ სამყაროს უკავშირდება: ნებროთს, ბაალამსა და ზოროასტრს. სახარებისეული მოგვების სახელები კასპარი, ბალთაზარი, მელქიორი გვიანდელია, VIII საუკუნის. ამ საკითხზე იხ. თეიმურაზ თათარაშვილის სადოქტორო ნაშრომი „ირანული რელიგიები საქართველოში III-XII საუკუნეებში“. დისერტაცია. თბილისი 2015, გვ. 99.

<sup>16</sup> ქც I, გვ. 63.

უდგენია შუა საუკუნეების ავტორს ქრისტიანული მსოფ-  
ლმხედველობიდან ეს სამყარო.

რაც შეეხება ჯუანშერის შეხედულებებს, მას გაქრისტი-  
ანებული ხოსროიანების (მირიანი და მისი მემკვიდრეები –  
გორგასალი; გორგასლის მემკვიდრეები – ბაგრატიონები)  
წინაპრებად ნებროთი გამოჰყავს და მისთვის ქრისტიან  
მეფეთა წინაპრებად ცეცხლის მსახურთა მამამთავართა  
წარმოდგენა პრობლემას არ ქმნის, რადგან ნებროთიანე-  
ბი ძველი აღთქმის მიხედვით სამყაროს შემოქმედს სისხ-  
ლისშიერად უკავშირდებიან. განსაკუთრებით, ეს ნათლად  
ჩანს, ვახტანგ გორგასლის მიმართვაში ჯარისადმი საბერ-  
ძნეთში ლაშქრობის წინ: „ხოლო თქუენ, მკვდრნო ქართლი-  
სანო, ნათესაენო მეფეთა ქართლისთანო, რომელი დღეს  
მთავრობასა ზედა დადგინებულ ხართ ჩუენ, მეფეთაგან,  
რომელნი ვართ ნათესაენი ნებროთ გმირისანი, რომელი  
უწინარეს ყოველთა მეფეთა გამოჩნდა ქუეყანასა ზედა,  
რომელი ლომსა ძალითა ვითარცა თიკანსა მოიყვანებდა,  
კანჯართა და ქურციკთა ქუეით იყრობდა.“

ინდოეთში ლაშქრობის დროს, ვახტანგისა და სინდეთის  
მეფის სიტყვიერ პაექრობაში („არაკი სინდთა და ვახტანგ  
მეფისა“) ვახტანგი სინდეთის მეფეს განუმარტავს, თუ რა-  
ტომ დგას ბრძოლაში ქრისტიანთა მტრების სპარსელების  
მხარეს – სპარსელები მიუხედავად ცეცხლის მსახურებისა,  
არიან სჯულის მეცნიერნი და წიგნიერნი, რომელთა შესა-  
ხებ დაბადებაში (ანუ ძველ წიგნებში) არის მოთხრობილი.<sup>17</sup>

---

<sup>17</sup> ლეონტი მროველისთვის ალექსანდრე მაკედონელის მემკე-  
იდრეობა მჭიდროდ არის დაკავშირებული აქემენიანებთან. მისი  
სარდლის სელევკის ჩამომავლები სირიის და სპარსეთის მეფეები  
(„ასურასტანის მეფენი“ – ე.ი. ასურეთის, შუამდინარეთის) იგივე  
ნებროთიანები არიან, რადგან ლეგენდარული ნებროთის მემ-  
კვიდრეობა ერგოთ მათ საბრძანებლად. საქართველოში ზორო-  
ასტრიზმის გავლენის კვალი დღეს ნათლად ჩანს ჩვენს დრომდე  
მონღოლური მრავალი საკულტო ნაგებობების ნაშთებისგან. დედო-  
ფლის მინდორზე აღმოჩენილი მაზდეანური ტაძრის საძირკველი.  
ასევე ვახტანგ გორგასლის ეპოქაში მოგვთა უბანი მცხეთაში.  
ამას მონუმობს ასევე ანაჰიტას და მითრას კულტების არსებობა ქა-  
რთლში და დასავლეთ საქართველოშიც.

ჯუანშერს ნებროთის ამბავში მისი სამყაროს აღწერილობა აქვს მოცემული, რომელიც ბიბლიური გეოგრაფიის საზღვრების გარშემოწერილობას ემთხვევა. მემატიანის აღწერილობაში, ნათლად ჩანს, იმდროინდელი ველტილდის სურათი.<sup>18</sup> ჯუანშერის თხზულების მთავარი გმირი ეახტანგ გორგასალიც ქართველებისა და თავის წარმომავლობას ამ სქემაში ათავსებს. ეს მისტიფიკაცია ჩანს ნებროთის საბრძანებლის პოლიტიკურ-კულტურულ სამყაროსთან: „ხოლო ნებროთ ენითა სპარსულითა რქუა: მე ვარ მიქაელ ანგელოზი, რომელ დადგინებულ ვარ ღმრთისა მიერ მთავრობასა ზედა აღმოსავლისასა. განვედ ქალაქით მაგით, რამეთუ ღმერთი ჰფარავს მაგას ვიდრე გამოჩინებადმდე სამოთხისა, რომელი-ესე დგას მახლობლად ნაშენებსა მაგას შენსა, რომელ შორის არს მთა ესე, რომლისაგან აღმოვალს მზე და გამოვლენ მისგან ორნი მდინარენი: ნილოსი და გეონი. რამეთუ გეონს გამოაქუს სამოთხით ხე სურნელი და თივა, რომელი შეეზავების მუშკსა. ან წარვედ შენდა, და დაჯედ ორთავე მდინარეთა შორის, ეფერატსა და ჯილასა.“<sup>19</sup>

<sup>18</sup> ასე წარმოუდგენია ჯუანშერს გარესამყარო, როცა ის სამყაროს ბიბლიურ სურათზე მოგვითხრობს: „და დაუტევეს ყოველი ქალაქი და წარვიდეს. და დაუტევენა ჰინდურად მზრახველნი ჰინდოეთს, სინდნი – სინდეთს, ჰრომნი – ჰრომს, ბერძენნი – საბერძნეთს, აგ და მაგუგ – მაგუგეთს, სპარსნი – სპარსეთს, ხოლო პირველი ენა ასურებრი იყო, და ესე არიან შვდნი ენანი, რომელნი ნებროთისამდე ზრახვიდეს“. ჯუანშერი, ქც I, გვ. 162-163.

<sup>19</sup> ქც I, გვ. 162; ნებროთის საბრძანებელია ბაბილონი – შუამდინარეთი – სამოთხის კარი და მისგან გამომავალი ოთხი მდინარე – გეონი (ჯეონი) ნილოსი, ეფერატი, ჯილა (ტიგროსი) სამოთხის მდინარეების გეოგრაფიული ლოკალიზაცია შუა საუკუნეების ლათინურ წყაროებში და კარტოგრაფიულ რუკებზე მრავლად გვხვდება. მეზუთე და მეშვიდე ჯვაროსნული ლაშქრობების მემატიანეები, ჟაკ დე ვიტრი და ჟან დე ჟუანვილი ნათლად ასახავენ ჯვაროსნული ეპოქის მსოფლიოს სურათს აღმოსავლეთზე, რომელთა ცნობებს ბიბლიური და ანტიკური მემკვიდრეობის კვალი ადევს. როგორც ჩანს, ასეთივე სურათი გვხვდება ჩვენ შუა საუკუნეების ქართულ წყაროებში აღმოსავლეთის შესახებ. Жуанвилъ, Жан де. Книга благочествыхъ речений и добрыхъ деяний нашего святаго короля Людовика. Санкт-Петербург 2012, с. 49-50. საქართველო და ჯვაროსნული აღმოსავლეთი ჟაკ დე ვიტრის ცნობების მიხედვით. თბილისი 2015, გვ. 175-176; 221-222.

მიუხედავად იმისა, რომ VII საუკუნიდან ირანში ისლამი გავრცელდა, სასანიანების ეპოქის შემდგომ, ზოროასტრიზმის კულტურული მემკვიდრეობის კვალი ნათლად ჩანდა ისლამის დროინდელ სპარსულ მწერლობაში. დაყიყის და ფირდოუსის შემოქმედებაში გვხვდება ზოროასტრული მემკვიდრეობის კვალი. დაყიყიმ (X ს.) ირანის ძველი ლეგენდარული ისტორია გალექსა. ფირდოუსის (X ს.) პოემა „შაჰ-ნამე“ (მეფეთა წიგნი), შეიძლება ითქვას, წარმოადგენს ისლამამდელი სპარსეთის ისტორიულ მატრიანეს. ზოროასტრული თემატიკა გვხვდება პოეტების გორგანის, უნსურისა და მოჰამად ჯარირ თაბარის შემოქმედებაშიც.<sup>20</sup>

რაც შეეხება დასავლეთის პოლიტიკურ-გეოგრაფიულ საზღვრებს, აქ ძველი ქართველი მემატრიანეებისათვის ამოსავალი წერტილი ალექსანდრე მაკედონელის სამყარო და მასთან დაკავშირებული ლეგენდების ციკლია. აქედან გამომდინარე, ლეონტისთვის ანტიკური საბერძნეთი ფაქტიურად არ არსებობს, ისევე, როგორც ანტიკური რომი. რომი მისთვის მხოლოდ საბერძნეთია და ისიც აღმოსავლეთის იმპერია – ბიზანტია, რომელიც ქრისტიანული იმპერიაა. ქართლის ცხოვრების ბერძნები რომაელები არიან. რომს, „ჰრომს“ ახსენებს იშვიათად და ისიც მხოლოდ იმ კონტექსტში, როცა საკითხი წმინდა მიწაზე განვითარებულ მოვლენებს შეეხება. რაც შეეხება დასავლეთს, მისი ცოდნა არ სცილდება საბერძნეთის საზღვრებს. ისიც ალექსანდრე მაკედონელის სამყაროსთან აქვს დაკავშირებული – ალექსანდრეს სამშობლო – მაკედონი. ალექსანდრეს მემკვიდრეობის საკითხის განხილვისას მისი ნაამბობი ჩამოჰგავს ბიბლიურ სიუჟეტს კავკასიის ხალხთა წინაპრების შესახებ, რომელიც მამამთავართა სახელებიდან მოდის. აქაც, ალექსანდრეს მემკვიდრეობა განხილულია როგორც სარდლებს შორის განაწილებული სამყარო, რომელთაგან მოდის სამეფოების და ეთნოსების სახელწოდებები: ანტიოქოს, ჰრომოს, ბიზანტიოს და პლატონ. ერთადერთი რეალური ისტო-

<sup>20</sup> თათარაშვილი, თ. ირანული რელიგიები საქართველოში III-XII საუკუნეებში, დისერტაცია, თბილისი 2015, გვ. 44-45.

რიული პირი ანტიოქოსია, სელევკიდების სამეფოს დამაარსებელი. დანარჩენი პირების დაკავშირება შემდგომდროინდელი ამბებისა და ზოგადი ინფორმაციების – მითების საფუძველზეა მოცემული: ჰრომოს – რომუსის ალეგორიაა და რომის და თრაკიის დაარსებას ალექსანდრეს სარდალს მიანერს. ბიზანტიოს – საბერძნეთის და ქართლის ფლობას. ამ სახელთან მას გაიგივებული ჰყავს ახალი რომის, ქრისტიანული რომის – საბერძნეთის (ბიზანტიის) სამეფო. ლეონტისთვის ბიზანტია ეს ალექსანდრეს მემკვიდრეობაა და არა ანტიკური რომის პოლიტიკურ-კულტურული სამყარო. რაც შეეხება პლატონს, აქ მასში იგულისხმება პტოლემეაიოსი, ეგვიპტის სამეფოს დამაარსებელი.

ლეონტი მროველის და ჯუანშერის თხზულებებში, დასავლეთის და აღმოსავლეთის სამყარო ძირითადად, ზოგად გეოგრაფიულ-ტოპონიმიკურ ქრილშია წარმოდგენილი. ნაკლებად არის საუბარი ამ გეოგრაფიული ნომენკლატურების საზღვრებზე, ადგილმდებარეობაზე, მითუმეტეს, როცა საკითხი ეხება სპარსეთის და საბერძნეთის გაღმა მხარეებს, მაგალითად, დასავლეთით რომის საზღვრებსან სპარსეთის აღმოსავლეთ მხარეებს – ავღანეთს, შუა აზიას, ინდოეთს, რომ არაფერი ვთქვათ ჩინეთზე და მონღოლეთზე. ეს გეოგრაფიულ ნომენკლატურები მხოლოდ მაშინ ჩდება ჩვენს წყაროებში, როცა მათ პოლიტიკურ-კულტურულად, ამ სამყაროსთან შეხება აქვს ქართულ სახელმწიფოს. მემატიაანეების მსოფლმხედველობიდან ჩანს, მათი წარმოდგენა გარემომცველი სამყაროს მიმართ. მათთვის ბიბლიური და მითოლოგიური გმირები, არსებული ოიკუმენეს მამამთვარეები არიან და აქედან გამომდინარე მათი საცხოვრისის ჰორიზონტი არის განმსაზღვრელი იმდროინდელი თვალსაწიერისა.<sup>21</sup>

<sup>21</sup> რაც შეეხება ჯუანშერის თხზულებაში სპარსეთის გაღმა ქვეყნებს, რომელზეც საუბარია ვახტანგ გორგასლის ლაშქრობების კონტექსტში, კერძოდ: ინდოეთს, ჯორჯანეთს, აბაშეთს, სინდეთს. ამ სამყაროს ისტორიულ-გეოგრაფიული ლოკალიზაციის საკითხი განხილული გვაქვს შემდეგ თავში, რომელიც ეხება „ალექსანდრიანის“ ეპოსის გავლენას ვახტანგ გორგასლის თავგადასავლის ისტორიულ ასპექტებზე.

თუმცა აღსანიშნავია ერთი რამ: შუა საუკუნეებიდან ქართულ მატრიანეებში გეოგრაფიული ველტბილდი თანდათან ფართოვდება და ეს არა მარტო პოლიტიკურ-სამხედრო და კულტურულ სფეროებს ეხება, არამედ ზოგადად სამყაროს აღქმის, შეცნობის საკითხებს, რაც ჯვაროსნულმა ეპოქამ კიდევ უფრო გააღრმავა და გაამდიდრა.

**შუა საუკუნეების წარმოდგენები  
სამყაროს შესახებ**

ადრეულ შუა საუკუნეებში (VI-VII სს.), ადამიანთა მსოფ-  
ლმხედველობის თვალსაწიერი ჯერ კიდევ ბიბლიურ და  
მითოლოგიურ ტრადიციებს ემყარებოდა. ზოგადად, შუა  
საუკუნეების საზოგადოებას ნითელ ზოლად გასდევდა  
ცივილიზაციათა კონფლიქტი ქრისტიანულ და ისლამურ  
სამყაროს შორის. სწორედ ამ პოლიტიკურ, რელიგიურ-  
კულტურულ ჭიდილში, ცოდნის საზღვრები მკვეთრად გა-  
ფართოვდა. არაბების გამოჩენამ და ისლამური სივრცის  
ახალმა საზღვრებმა, გიბრალტარიდან თურქესტანამდე  
ახალი რეალობა შექმნა, როგორც აღმოსავლეთის ქრის-  
ტიანული სამყაროსთვის, ასევე დასავლეთ ევროპის სა-  
ზოგადოებისთვისაც.<sup>22</sup>

არაბულმა ცივილიზაციამ შემოინახა ანტიკური სამ-  
ყაროს მიღწევები, ასტრონომიის, გეოგრაფიის, კარ-  
ტოგრაფიის, ფიზიკური-გეოგრაფიის, მათემატიკის და  
სხვა მეცნიერებებში. არაბთა მიერ დაარსებულ სასწავ-  
ლო-სამეცნიერო ცენტრებში, მათ გვერდით თავიანთ  
მეცნიერულ ნაშრომებს ქმნიდნენ ქრისტიანი და იუდე-  
ველი სწავლულებიც. აღმოსავლეთ ხალიფატში ჰარუნ  
არ-რაშიდის (IX ს.) მმართველობის პერიოდში ითარგმ-  
ნა პტოლემეაიოსის გეოგრაფია, ხოლო ალ მუმნის (IX ს.)  
ხელისუფლების დროს, სწავლულმა ალ-ხორეზმიმ და-  
წერა ტრაქტატი „ნიგნი დედამინის შესწავლისთვის“,  
რომელიც XII საუკუნეში ლათინურად ითარგმნა და გავ-  
რცელდა ევროპაში. აღმოსავლეთში, თავისი ტრაქტა-

<sup>22</sup> აღმოსავლეთის ქრისტიანული პოლიტიკური და კულტურუ-  
ლი სამყაროს საზღვრები ეხება არა მარტო ბერძნული მრწამსის,  
არამედ აღმოსავლეთ რომის იმპერიაში მცხოვრებ სხვადასხვა  
ქრისტიანული კონფესიის ხალხებსაც.

ტებით ასტრონომიის და მედიცინის სფეროში გამოიჩინა ავიცენა (იბნ სინა IX-X სს.), ხოლო პირინეებზე, კორდოვის საამიროში – ავეროესი (იბნ რუშდი XII ს.) და ალ ბიტრუჯი (XII ს.). განსაკუთრებული ადგილი განათლების და მეცნიერების საქმეში დაიკავა სიცილიაში ნორმანთა მმართველობის დროს, როჯერ II-ის მეფობის პერიოდში არსებულმა სკოლამ. აქ, თავისი ტრაქტატები და კარტოგრაფიული რუკები შექმნა იმ დროის დიდმა სწავლულმა ალ-იდრისიმ (XI ს.). მან უმნიშვნელოვანესი გამოკვლევები ჩაატარა დედამიწის ფიზიკური-გეოგრაფიის, კლიმატის, ბუნებრივი რესურსების შესასწავლად. ალ-იდრისის ნაშრომები თავმოყრილია „როჯერის ტაბულის“ („როჯერის ნიგნი“) სახელით ცნობილ ტრაქტატში და მისმა კვლევებმა დიდი გავლენა იქონია ჯვაროსნული ეპოქის სწავლულთა მემკვიდრეობაზეც. არაბებმა ძველი ბერძნულიდან, სირიულიდან და სხვა ენებიდან თარგმნეს არისტოტელეს, პტოლემეაიოსის, სხვა სწავლულთა ნაშრომები და ორიგინალური ტრაქტატები. მოგვიანებით, XII საუკუნეში, ეს ტექსტები, არაბულიდან ლათინურად ითარგმნა, რაც ხელმისაწვდომი გახდა დასავლეთის საზოგადოებისთვის. ამ ფაქტმა კი იმ დროის ევროპაში „არისტოტელიზმით“ გატაცება გამოიწვია.<sup>23</sup>

შუა საუკუნეებში ქართული საზოგადოების თვალსაწიერიც გარე სამყაროზე საგრძნობლად გაფართოვდა. თავისი როლი ამ საქმეში, სამონასტრო-საგანმანათლებლო ცენტრებმა და თბილისის საამიროს არსებობის პერიოდში ქალაქში მოღვაწე მუსლიმი სწავლულების კულტურულ-სამეცნიერო მემკვიდრეობამაც ითამაშა. 1122 წლის შემდეგ, როდესაც თბილისი, ერთიანი ქართული მონარქიის ცენტრი გახდა, აქ მცხოვრებ მუსლიმურ მოსახლეობას გარკვეული შეღავათები მიენიჭა. შუა საუკუნეების

<sup>23</sup> Райт, Дж. К. Географические представления в эпоху крестовых походов, Исследование средневековой науки и традиции в Западной Европе, Москва: „Наука“, 1988, стр. 76-82.

თბილისი ერთ-ერთ მნიშვნელოვანი კულტურულ-სამეცნიერო ცენტრი იყო როგორც ქრისტიანულ, ისე მუსლიმურ აღმოსავლეთში.<sup>24</sup>


ცოდნის არეალის გაფართოებას, ჩვენი ქვეყნის გარშემო მიმდინარე პოლიტიკური მოვლენებიც უწყობდა ხელს. იმდროინდელი ქართული საზოგადოების თვალსაწიერი, ძირითადად, ნარატიულ და ლიტერატურულ თხზულებებშია შემორჩენილი. როგორც ვიცით, ქართულ ეპიკურ ჟანრს, ნათლად ეტყობა აღმოსავლური (სპარსულ-არაბული) ლიტერატურული ტრადიციების გავლენა, რაც გარემომცველი სივრცის გეოგრაფიულ და ეთნიკურ სურათში ვლინდება.<sup>25</sup>

ჯვაროსნულმა ლაშქრობებმა დიდი როლი ითამაშა გარემომცველი სამყაროს შემეცნების საკითხებში. ცოდ-

---

<sup>24</sup> თბილისში მცხოვრებ მუსლიმ სწავლულებს, თუ სხვადასხვა პროფესიის ადამიანებს, არაბულ სამყაროში „ათ-თიფლისის“ ან ათ-თაფლისის (ე.ი. თბილისის მაცხოვრებელი, თბილისიდან გამოსული) ზედწოდებებით (ნისბა) მოიხსენიებდნენ. ნისბა, არაბულ სამყაროში, ადამიანის არაბულ-მუსლიმური რთული სახელის შემადგენელი ნაწილია, რომელიც მის ეთნიკურ, რელიგიურ, პოლიტიკურ-სოციალურ კუთვნილებას, ასევე, დაბადების და საცხოვრებელი ადგილების რეალობას აღნიშნავს. არაბები თბილისს თიფლისს ან თაფლისს უწოდებდნენ. და ამ სწავლულთა სამეცნიერო მემკვიდრეობა, ცნობილი იყო მთელ მუსლიმურ აღმოსავლეთში. გოჩა ჯაფარიძის თვალსაზრისით, რადგანაც ამ სწავლულთა დიდი ნაწილის ეროვნული კუთვნილება უცნობია, სავსებით სავარაუდოა, მათ შორის გამამჟღავნებელი ქართველებიც ყოფილიყვნენ, რაც თბილისში არაბობის პერიოდში იშვიათ მოვლენას არ წარმოადგენდა. ჯაფარიძე, გ. „ნისბა ათ-თიფლისი VIII-XIV საუკუნეების ისლამურ სამყაროში“. ძიებანი I, თბილისი 2012, გვ. 46-82.

<sup>25</sup> XI-XII საუკუნეების ქართულ ნარატივებში, ბიზანტიელების (წყაროებში „ბერძნები“, რიგ შემთხვევებში „რომაელები“, „პრომთა ქვეყანა“), თურქების (სელჩუკიანები, ასევე რუმის სელჩუკთა მმართველები – „საბერძნეთის სულტნები“), არაბების („სარკინოზნი“ – ბიბლიური ნარატივები) ევროპელების („ფრანგნი“ – ფრანგები და ზოგადად ევროპელები, „ფრანგეთი“ – საფრანგეთი; „ვენეტიკნი“ – ვენეციელები, გერმანელები – „ალემანები“) მოხსენიება მხოლოდ მათი ეროვნული და რელიგიური კუთვნილების განმარტებით გვხვდება.



[2] ასტროლოგიური კალენდარი, XVIII ს., A1580, 11v.

ნის გაზრდას ასევე ხელს უწყობდა ახალი მოკავშირეების ძიების პრობლემა მუსლიმთა წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ მხრივ მნიშვნელოვანია XII საუკუნის შუა ხანებში ჯვაროსნულ აღმოსავლეთში გავრცელებული ლეგენდების ციკლი იოანე პრესვიტერის სამყაროს შესახებ. ეს თქმულება ზღაპრულ ელემენტებს შეიცავდა და გაჯერებული იყო შუა საუკუნეების ხალხთა წარმოდგენებში აღმოსავლეთზე არსებული ლეგენდარული ამბებით. თუმცა, ამ ზღაპრული სამეფოს შესახებ გადმოცემებმა, რომლებიც საუკუნეების მანძილზე ფუჭი იმედებით კვებავდნენ ჯვაროსანთა წარმოდგენას სავარაუდო მოკავშირის შესახებ, დიდი ნელილი

შეიტანა აღმოსავლეთის ისტორიულ-გეოგრაფიული ცოდნის გაფართოებაში. ამ მითიური, ნესტორიანული მრწამსის მეფე-ხუცესის მისტერია იმდენად სიცოცხლისუნარიანი იყო, რომ XIII-XIV საუკუნეებში, ევროპელი მოგზაურების და დიპლომატების მისიებში, რომლებიც შორეულ აღმოსავლეთში, იერუსალიმის დასაბრუნებლად, მოკავშირეებს მონღოლთა მმართველებში ეძიებდნენ, იოანე პრესვიტერის სამეფოს მონახულების და მოძიების საკითხი კიდევ დღის წესრიგში იდგა. ამ ლეგენდის ქრონოლოგიური ციკლები იმით არის საინტერესო, რომ ნათლად ჩანს, თუ როგორ რეალურ სახეს ლებულობდა გარესამყაროს სურათი შუა საუკუნეების ხალხთა წარმოდგენებში.

**აღმოსავლეთი ჟამთააღმწერელის თხზულებაში.** XIII საუკუნის დასაწყისში აღმოსავლეთიდან მოსულმა მონღოლებმა არაერთგვაროვანი განცდა გააჩინეს მაშინდელი საზოგადოების აზროვნებაში. იმდროინდელი ევროპის და ახლო აღმოსავლეთის ჯვაროსნული სამყაროსათვის აღმოსავლეთი თავისი ეთნიკური, გეოგრაფიული და პოლიტიკური სივრცით ნახევრადზღაპრულ სამყაროდ აღიქმებოდა. როდესაც მონღოლები ამ თვალსაწიერის არეალში შემოვიდნენ, მაშინ დაიბადა ყალბი წარმოდგენა მათი წარმომავლობის, რელიგიური მრწამსისა და სამხედრო მიზნების შესახებ. ამ დროს სირია-პალესტინაში მყოფ ჯვაროსნებს მძიმე დღეები ედგათ და შორეული აღმოსავლეთიდან გამოჩნდა უცხო ძალა, რომელიც თავის გზაზე ყველაფერს ანადგურებდა და ეს გრიგალი პირველ რიგში შუა აზიასა და ირანის მუსლიმებს დაატყდათ თავს. შორეული, უცნობი მიწებიდან მოსულ მონღოლთა მეთაური ჩინგიზ-ხანი ჯვაროსნებს – ახალი პრესვიტერი, ხოლო მისი ჯარი მეფე-ხუცესის ის ძღვევამოსილი არმია ეგონათ, რომელიც აგერ უკვე თითქმის საუკუნეა იერუსალიმის დასახსნელად მოემართებოდა. სწორედ ამ მოვლენებმა ხელახალი რეინკარნაცია მოახდინა თითქმის მივიწყებული მეფე-ხუცესის ლეგენდისა, რომელსაც

ამჯერად ევროპელები ჯერ კიდევ უნახავი მონღოლთა მმართველების ისტორიულ სახეებში ხედავდნენ.<sup>26</sup>

ჩინგიზ-ხანის ხელისუფლებაში მოსვლის, მისი ლაშქრობების შესახებ მსგავსი სიუჟეტები გვხვდება აღმოსავლურ წყაროებში, კერძოდ, სპარსელი ისტორიკოსების და სახელმწიფო მოღვაწეების, ალა ად-დინ ათა მალიქ ჯუვეინის, რაშიდ ად-დინის, ასევე არაბ ისტორიკოსის იბნ-ალასირის, ებრაელ აბულ ფარაჯის (ბარ ჰებრაია), სომეხი სმბატ სპარაპეტის თხზულებებში. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ განსხვავებით ევროპელი ავტორებისაგან, რომლებიც, მონღოლთა გამოჩენას ჯვაროსნული ლაშქრობების ასპექტში განიხილავდნენ, მათ, მეტნაკლებად უფრო რეალური ინფორმაციები აქვთ ამ საკითხებზე. მიუხედავად იმისა, რომ არც აღმოსავლელ მემკვიდრეების ცნობებია აღნიშნულ მოვლენებზე ზღაპრული სიუჟეტებისგან თავისუფალი, მაინც ამ ავტორების მიერ მოცემული აღმოსავლეთის სურათი, უფრო ობიექტურ ისტორიულ-გეოგრაფიულ რეალიებს შეიცავს.

მსგავსი ტრადიცია შეინიშნება XIV საუკუნის ქართველი ისტორიკოსის ფამთაალმნერელის თხზულებაში. ავტორს საინტერესო ცნობები აქვს მოცემული აღმოსავლეთის შესახებ. ეს ნათლად აჩვენებს, თუ როგორ გაფართოვდა საუკუნეების განმავლობაში ქართული საზოგადოების

<sup>26</sup> მონღოლების ქრისტიანთა მოკავშირეებად წარმოსახვაში თავისი როლი მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის დროს (1217-1221 წწ) ჯვაროსანთა წრეებში გავრცელებულმა წინასწარმეტყველებებმაც ითამაშა. მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის აქტიური პროპაგანდისტი და მონაწილე ყაყ დე ვიტრი, თავის ნერილებში, რომელიც კორესპოდენციის სახით, ეგზავნებოდა რომის პაპს და ევროპის სხვადასხვა საეკლესიო თუ სწავლულ პირებს, ჩინგიზ-ხანის გამოჩენას, სწორედ იოანე პრესვიტერის საკრალური მისიის ასპექტში აღიქვამს და ეს მონღოლთა ლაშქრობების ჯვაროსნული ინტერპრეტაციაა. *Lettres de Jacques de Vitry* ed. R. B. C. Huygens. Traduit et présenté par G. Duchet-Suchaux, Brepols, 1998; Gian Andri Bezzola. *Die mongolen in abendländischer sicht* (1220-1270). München. 1974; თვარაძე, აღ. მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობა და „დავით მეფის რელაციო“. კრებული „ანალები“ №3. თბ. 2008; გოგოლაძე, ა., ნითლანაძე, თ. ლეგენდარული სამეფო შუა საუკუნეების ევროპულ ქრონიკებსა და რუკებში. ყურნალი „გეორგიკა“ № 32, 2009; საქართველო და ჯვაროსნული აღმოსავლეთი ყაყ დე ვიტრის ცნობების მიხედვით. თბილისი 2015.

თვალსაწიერი გარემომცველ სამყაროზე. როგორც ჩანს, სპარსელ მემატიანეთა ნაშრომებმა გარკვეული გავლენა მოახდინა ჟამთააღმწერლის მსოფლმხედველობაზე. მემატიანე საკმაოდ თანმიმდევრულად გადმოგვცემს ჩინგიზ-ხანის მიერ მონღოლი და თათარი ტომების და ხატაეთის დამორჩილების ამბებს. ჟამთააღმწერლის მიერ აღწერილი ამბავი, ასევე, ძალიან ჰგავს პლანო კარპინის, გიომ დე რუბრუკის, პლანო კარპინის და სხვა ევროპელი დიპლომატების თუ მოგზაურების აღწერილ ისტორიებს.<sup>27</sup>

საინტერესოა ჟამთააღმწერელის მიერ მონღოლთა სახელმწიფოს ფუძემდებლის ჩინგიზ-ხანის დახასიათება. ავტორი აქ ყურადღებას ამახვილებს მონღოლთა მეთაურის რელიგიურ მისტიკრიებზე, თუ როგორ გამოეცხადა ჩინეთში მას იესო ქრისტე: „ვითარმედ ჩინგიზ-ყაენი აღვიდა მთასა მაღალსა, და გამოუჩნდა უფალი იესო ქრისტე, ღმერთი ყოველთა, და მან ასწავა სამართალი, სჯული, სინმიდე და სიმართლე, ტყუილისა, პარვისა და ყოვლისა ბოროტისაგან განშორება და რქუა: „თუ მცნებანი ესე დაიმარხნე, ყოველი ქუეყანა შენთვის და ნათესავისა შენისათვის მიმიცემიეს. წადი და აღილე ყოველი ქუეყანა, რაოდენი გეძლოს“. ხოლო, როცა ჩინგიზ-ხანი ხატაეთში იმყოფებოდა: „შევიდა ეკლესიათა, იხილა მუნ ხატი მაცხოვრისა იესო ქრისტესი, მეყსეულად თაყუანი-სცა და თქუა: „აჰა კაცი იგი, რომელი მთასა ჩინეთისასა ვიხილე, ამა სახითა იყო, ამან მასწავა ყოველი ესე წესი. ესე შეიყუარა ჩინგის-ყაენმან და მას აკურთხევდის და ამისი მცნება, რაოდენიცა ამცნო, ყოველივე მტკიცედ დაიცვა“.<sup>28</sup>

სპარსულ წყაროებს იყენებს ამ მოვლენების გადმოცემაში XVII საუკუნის ქართველი ისტორიკოსი ფარსადან გორგიჯანიძეც. როგორც ვიცით, მან, თითქმის მთელი შეგნებული ცხოვრება ირანში გაატარა სხვადასხვა თანამდებობებზე და მისთვის ხელმისაწვდომი უნდა ყოფილიყო სპარსელი მემატიანეების ინფორმაციები. ჟამთააღმწერ-

<sup>27</sup> რ. კიენაძის აზრით, ჯუვეინის თხზულება იყო ჟამთააღმწერლის მთავარი წყარო. კიენაძე, რ., ჟამთააღმწერლის სპარსული წყაროები. საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობითი საკითხები. თბილისი 1982. გვ. 73-74.

<sup>28</sup> ჟამთააღმწერელი, ქც II, გვ. 161-163.

ლის მსგავსად, ისიც აღნიშნავს, ხატაეთში და ჩინეთში მყოფ ჩინგიზ-ხანზე უფლის მცნებების გავლენას: „გამოცხადა იესო ქრისტე ჯვარცმული და ასწავლა სამართალი და უბრძანა: შენ და შენი შვილნი და შვილის შვილნი და ჩამომავალნი ნათესავნი თქვენნი გაძლიერდებიან ქვეყანათა ზედან ზღვათა და ხმელეთს დაიჭერენ. გაგზავნეთ ყველგან ლაშქარნი და მოგეცემა გამარჯვება. რა ეს სასწაული ნახა ჩინგის ხან, გაკვირვებული შეიქნა. მივიდა ხატაეთს და შევიდა სალდართა მათთა შიგან. ნახა ჯვარცმა იმავე სახით, რომე ჩინეთის მთაზე ენახა.“<sup>29</sup> აღსანიშნავია, რომ უამთაალმწერელი და ფარსადან გორგიჯანიძეც ასხვავებენ ერთმანეთისგან ჩინეთს და ხატაეთს. ხატაეთი მდებარეობდა შუა აზიაში, შვიდმდინარეთის აუზში, თურქესტანის მხარეებში. ეს იყო ყარა-ხატაეთის სამეფო, რომელიც ჩამოაყალიბა ყარა-ხატაელთა ტომების მეთაურმა იელუ დაშმა XII საუკუნის 40-იან წლებში. ამ ხალხებს და მათ მეთაურებს, მემადიანეები და მეცნიერები ნესტორიანული მრწამსის მიმდევრებად იცნობენ და იოანე პრესვიტერის ისტორიულ პროტოტიპად მიაჩნიათ. საბოლოოდ, ეს სამეფო, XIII საუკუნის 20-იან წლებში გაანადგურეს მონღოლებმა.

შემდგომ, უამთაალმწერელს დეტალურად აქვს აღწერილი ჩინგიზ-ხანის ხელისუფლებაში მოსვლის ისტორია. კერძოდ, თუ როგორ გამოჩნდა თათრებში კაცი, სახელით თემურჩი (თემურჩინი, ჩინგიზი), რომელიც იყო თავისი პატრონის (მონღოლთა ტომების მეთაურის) ონ-ხანის ერთ-ერთი გამორჩეული სარდალი. თუ როგორ შეშურდა ონ-ხანს მისი დიდების და განიძრახა მისი მოკვლა. შემდგომ აღწერილია მათი შებრძოლება, ონ-ხანის დამარცხების ამბავი და ჩინგიზ-ხანის მიერ ხატაეთის სამეფოს დაპყრობის ისტორია.

უამთაალმწერელი გვიხასიათებს მონღოლთა დამოკიდებულებას ისლამის მიმართ: „საძაგელი უჩნდათ სჯული მოამედის მიერ ქადაგებული.“<sup>30</sup> ეს კი, მონღოლთა შორის

<sup>29</sup> ფარსადან გორგიჯანიძე. H: 2140, გვ. 49.

<sup>30</sup> უამთაალმწერელი, ქც IV, გვ. 185. მსგავსი ინფორმაციაა ვახუშტი ბატონიშვილთანაც. იხ. ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქც IV, გვ. 204.

მცხოვრები და მათი გავლენის ქვეშ მრავლად არსებული ნესტორიანელი ტომების, კერძოდ უილურების, კერაიტების და ნაიმანების დამსახურება იყო. მაშინდელი მონღოლების რელიგიურ პოლიტიკას ხშირად ისინი განსაზღვრავდნენ, რადგან თავიანთი განვითარებით წარმართ მონღოლებზე შედარებით მაღალ საფეხურზე იდგნენ და მონღოლი ხანების სამსახურშიც მაღალი თანამდებობები ეკავათ.<sup>31</sup>

მონღოლებზე იმდროინდელი მცდარი შეხედულებების ნათელი სურათია, საქართველოს მეფის რუსუდანის და ამირსპასალარ ივანე მხარგრძელის წერილები, გაგზავნილი 1223 წელს, რომის პაპ ჰონორიუსისადმი. ამ ეპისტოლეებში ქართველთა დედოფალი და მისი ვაზირი აღნიშნავენ, რომ საქართველოს საზღვრებთან მოსული თათრები ქრისტიანები ეგონათ: „ჯვრის ნიშნით იყვნენ შენიღბულნი და გარეგნულად ქრისტიანობის აღმსარებლებს ჰგავდნენ“.<sup>32</sup> ვფიქრობთ, რომ ამ წერილებში აღნიშნული მონღოლთა ქრისტიანობა არის გამოძახილი იმ ხმებისა, რაც დაკავშირებული იყო ნესტორიანული მრწამსის იოანე პრესვიტერის და ჩინგიზ-ხანის სახეების აღრევასთან. ამავე დროს, საყურადღებოა წერილის ის ფრაგმენტი, სადაც რუსუდანი აღნიშნავს, რომ მონღოლები „კარგი ქრისტიანები“ არ იყვნენ. საქართველოს მეფე ამ ცნობაში არ უარყოფს მონღოლთა ქრისტიანობას, მაგრამ ის აზრი გამოსჭვივის, რომ ნესტორიანელები ქრისტიანობის სწორი მცნებიდან აცდენილი მწვალებლები იყვნენ.

აღმოსავლეთის დეტალური გეოგრაფიული აღწერილობა უამთააღმწერელთან გვხვდება, როდესაც საუბარია ჩინგიზ-ხანის მიერ შვილების და შვილიშვილებისთვის ქვეყნების განაწილებაზე: „გარნა ვაჰსენოთ პირველი ჯსენებულისა ჩინგიზ-ყაენისა ვითარცა მოინივნეს თათარნი ქუეყანასა ჩუენსა, მეოტი სულტანი ჯალალდინ იელტოდა და დაუტევა სამეფო მისი, ადვილად ჴელთ იგდეს თუ-

<sup>31</sup> Гумилев, Л. В поисках вымышленного царства. Санкт-Петербург. 1994, с. 175-176, 199.

<sup>32</sup> ტაბალუა, ი. საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში. თბ. 1984. გვ. 176-178.

რანი<sup>33</sup>, სათურქეთი<sup>34</sup>, და ყოველი ხუარასანი<sup>35</sup>. და განჰყო  
ოთხად ლაშქარი თვისი და განაჩინა შვილნი ოთხნი ყაე-  
ნად. პირმშოსა მისცა ნახევარი ლაშქარი და წარავლინა  
დიდსა საყიფჩაყეთსა<sup>36</sup> ვიდრე ბნელეთამდე<sup>37</sup>, ოსეთსა<sup>38</sup>, ხა-  
ზარეთსა<sup>39</sup>, რუსეთსა<sup>40</sup> ვიდრე ბორღართა<sup>41</sup> და სერბეთამ-

<sup>33</sup> დღევანდელი ავღანეთის ტერიტორია, ადრე ირანის აღმოსავე-  
ლეთ მხარეებს უწოდებდნენ. თუმცა ქართულ წყაროებში ირან-თურა-  
ნი ზოგადად ირანის აღმნიშვნელი იყო.

<sup>34</sup> დღევანდელი თურქესტანი, ყაზახეთის სამხრეთ-აღმოსავლეთი

<sup>35</sup> დღევანდელი ირანის ჩრდილო-აღმოსავლეთი, მოცავდა თურ-  
ქმენეთის და ავღანეთის მხარეებს

<sup>36</sup> ზოგადად, მთელი ჩრდილოეთ კავკასიის და ვოლგისპირეთის  
ტერიტორია, რომელიც XI საუკუნიდან ამ თურქულენოვანი ხალხ-  
ებით იყო დასახლებული.

<sup>37</sup> ამ გეოგრაფიულ ნომენკლატურას რეალური საზღვრები არ  
აქვს. ეს ზოგადად უკიდურესი ჩრდილოეთია. ამ გეოგრაფიული  
სივრცის ასეთი დასახლება სხვა ადრინდელ ქართულ წყაროებ-  
შიც გვხვდება. მისი საფუძველი, ძველ წინასწარმეტყველებებში,  
აპოკალიპტური ხალხების ადგილსაცხოვრის აღნიშნავს

<sup>38</sup> შუა საუკუნეებში აღნიშნავდა, ზოგადად ჩრდილოეთ კავკასი-  
ის მხარეებს, დარიალისა და დარუბანდის გავლით, ალანთა ტომე-  
ბით დასახლებულ მიწებს. ქართულ წყაროებში ალანთა, ოსთა კარს,  
სნორედ სპარსული ტერმინით გამოხატავდნენ-დარიალი, დარი-  
ალანი – ოსთა კარი. ოსეთში გადასასვლელი

<sup>39</sup> ხაზარები, როგორც ეთნიკური ჯგუფი, ფამთაალმწერლის ეპო-  
ქაში აღარ არსებობდნენ. ამ შემთხვევაში კასპიის კარის, დარუბან-  
დის ჩრდილოეთით, ვოლგისპირეთის მიწებს მოიაზრებს. ხაზა-  
რეთს ქართულ წყაროებში ბნელეთსაც უწოდებდნენ და ხაზართა  
ტომებს, როგორც ველურ, კაცისმჭამელ, აპოკალიპტურ ხალხებად  
წარმოსახავდნენ.

<sup>40</sup> ამ შემთხვევაში, კონკრეტული სამეფოს საზღვრები აქ არ არის  
მოაზრებული, რადგან მაშინდელი რუსეთი სამთავროებად იყო დაყ-  
ოფილი, რომლებიც ოქროს ურდოს ემორჩილებოდნენ. «ქართლის  
ცხოვრებაში» რუსეთის, როგორც ქვეყნის, გეოგრაფიული სივრცის  
დასახლება პირველად სნორედ ფამთაალმწერელთან გვხვდება.  
რაც შეეხება რუსებს, როგორც ეთნიკურ ჯგუფს, მათი გამოჩენა «ქა-  
რთულ ცხოვრებაში» პირველად სუმბატ დავითის ძესთან ფიქსირდ-  
ება, ბიზანტიელების მხარეზე ქართველებთან ბრძოლის დროს 1021  
წელს: «ტალმანი მეფისანი რუსნი». ხოლო «ისტორიანი და აზმანის»  
ავტორთან გვხვდება ინფორმაცია რუსთა დიდ მთავარზე ანდრიაზე,  
როცა საუბარია გიორგი რუსის საქართველოში ჩამოყვანაზე.

<sup>41</sup> ამ შემთხვევაში, თრაქიის მხარეში არსებული სამეფო, ბულ-  
გარელები. ასევე ამ დროს არსებობდა ვოლგისპირეთის ბულგართა  
სამეფო, რომელიც დასახლებული იყო თურქულენოვანი ხალხებით  
და აღიარებდნენ ისლამს. XIII საუკუნეში მონღოლებმა დაიპყრეს  
და შევიდა ოქროს ურდოს შემადგენლობაში.

დე<sup>42</sup>, კავკასია ჩრდილოთა ყოველთა მკვდროვანთა, ხოლო მეორესა შვილსა ჩალათას მისცა ლაშქარი და უილურთა ქუეყანა სამარყანდამდე და ბუხარა ვიდრე ალამუთის ქუეყანამდე<sup>43</sup>. ვგონებ ესე არს თურანი. მესამესა შვილსა ოქოთას მისცა თვისი ტახტი საჯდომად და ყარაყურუმი<sup>44</sup>, ჩინ-მაჩინი<sup>45</sup>, ემელისა და ყუთუყის ქუეყანა<sup>46</sup> და ხატაეთი. და მეოთხესა შვილსა თული ერქუა, მამსა მისცა ლაშქარი ოქოთის ზედამოკიდებული ქუეყანა აღმოსავლეთით<sup>47</sup>.

ჟამთააღმწერელს ასევე დეტალურად აქვს მონლოლების დახასიათება და მათი გეოგრაფიული საცხოვრისის აღწერილობა. თხზულებაში ეს ამბავი სათაურით აქვს

---

<sup>42</sup> შეიძლება აქ ვივარაუდოთ, ბიზანტიის იმპერიის დასავლეთის, ბალკანური მიწები. მაგრამ, აღსანიშნავია, რომ ამ დროისათვის სერბეთი ცალკე სამეფოდ არსებობდა და ჟამთააღმწერელი ალბათ იცნობს ამ ქუეყანას, როგორც ბიზანტიისაგან დამოუკიდებელს.

<sup>43</sup> საინტერესოა ასასინების („ჰაშაშინები“) ორდენის ამბავის გადმოცემა ჟამთააღმწერელის მიხედვით. ქართველი მემატიანე მათ მულიდებს („მულიდნი“) უწოდებს, კაცებს მიპარვით მკვლელებს, ალამუთის პატრონებს, რომლის ასალებადაც მონლოლები ქართველებთან ერთად შვიდი წელი იბრძოდნენ. როცა მონლოლებმა ალამუთი აიღეს, ასასინები: „ილტვოდეს ეგვპტედ, რომელ არს მისრეთი. რამეთუ აიღეს დედანული და ხუასტაგი და ყოველი სიმდიდრე მათი, და მუნ დაამკვდრნა სულტანმან მისრეთისამან, და ან რომელ მულიდნი მისრეთით გამოვლენ, იგივე ალამუთელნი არიან, მუნ დამკვდრებულნი.“ ჟამთააღმწერელი, გვ. 227. ასასინების ორდენი ჯერ კიდევ XI საუკუნეში ჩამოყალიბდა ირანში, სელჩუკი სუნიტი მმართველების წინააღმდეგ საბრძოლველად. შემდგომში, XII საუკუნეში ისინი სირიაშიც დამკვიდრდნენ და ამ შიიტ ფანატიკისებს ყველა უფრთხოდა, თვით ძლევა მოსილი სალაჰ ად-დინიც კი. სირიის ასასინების ორდენის მეთაურს ლათინურ წყაროებში „მთების უზუცეს“, „მთის მოხუცს“ უწოდებდნენ.

<sup>44</sup> უშუალოდ მონლოლეთი, დიდ ყაენთა საბრძანებელი. წყაროები მას მონლოლთა იმპერიის დედაქალაქად იცნობენ.

<sup>45</sup> სავარაუდოდ ჩინეთია. შეიძლება მოვიაზროთ, ასევე მის გეოგრაფიულ სივრცეში ხატაეთიც. თუმცა, ჟამთააღმწერელს, ხატაეთი და ჩინეთი ცალ-ცალკე აქვს აღნიშნული.

<sup>46</sup> ამ მხარეების თუ ქვეყნების ინდენტიფიკაცია ფაქტიურად შეუძლებელია. შეიძლება ვივარაუდოთ, მონლოლ-თათართა ხალხების საცხოვრისი, ის მიწები, რომელიც ხატაეთს – ყარა-ხატაეთის სამეფოს ესაზღვრებოდნენ.

<sup>47</sup> ჟამთააღმწერელი, ქც II, გვ 180-181

გამოყოფილი: „ამბავი ჩინგიზ-ყაენისა, თუ ვითარ გამოჩნდეს ქუეყანასა აღმოსავლეთისასა“: „ქუეყანასა მზისისა აღმოსავლეთით-კერძო, რომელსა ეწოდების ჩინმაჩინი, გამოჩნდეს კაცნი ვინმე საკვრველნი ადგილად ყარყუმად წოდებულსა, უცხო სახითა, წესითა, და შესახედვიდცა. რამეთუ არცა ძველთა წიგნთა შინა სადამე იპოების ამბავი მათი; რამეთუ უცხო-ენა, უცხო-სახე, უცხო-ცხოვრება, პუროს გემო არა იცოდინან, ჯორცითა და პირუტყუთა სძითა ცხოვნდებოდეს. ხოლო იყვნეს ტანითა სრულ, გვამითა ახოვან და ძლიერ ფერკითა, შუენიერ და სპეტაკ ჯორცი-თა, თუალითა მცირე ჭურიტ და გრემან, განზიდულ და საჩინო, თავითა დიდ, თმითა შავ და ჯშირ, შუბლ-ბრტყელ, ცხვრითა მდაბალ ესოდენ, რომელ ღანუნი უმაღლეს იყვნინან ცხვირთა და მცირედნი ოდენ ნესტუნი ჩნდინან ცხვირთა; ბაგენი მცირე, კბილნი შეწყობილნი და სპეტაკ, ყოვლად უწუერული, ესევეითარი აქუნდა უმსგავსო სახე... და მოისარნი იყვნეს რჩეულნი, მაგრითა მშვლდითა უც-თომრად მსროლელნი, რომელთა ნაკრავსა ვერამან სა-ჭურველმან დაუდგნის, უფროს ცხენსა ზედა ივნეს მწნე, რამეთუ აღზრდა მათი ცხენსა იყვის, საჭურველისა არასა მქონებელნი მშვლდისა და ისრისა კიდე... ამათ აქუნდათ სჯულად ერთისა ღმრთისა უკუდავისა თაყვანისცემა, პირი მზის აღმოსავლეთით ქმნიან და სამისა ჩოქისა ქნა და სამჯერ თაყუანისცემა, და შუა-თითის წუერისა ნებსა დადება და დატკაცუნება და მეტი არარაჲ. ხოლო ულურ-ნი<sup>48</sup> კერპის მსახურნი იყვნეს, რომელთა ქუჯნად უქმობ-დეს. ნოლო მოიპოვეს წერილიცა. ამა მცირედითა ასოთა,

<sup>48</sup> უიღურები, ისტორიულ აღმოსავლეთ თურქესტანში, დღე-ვანდელ ჩინეთში მცხოვრები თურქულენოვანი ჯგუფი. ჟამთააღმ-წერელს აღნიშნული აქვს, რომ მონღოლებმა მათგან მიიღეს ან-ბანი. ეს ეთნიკური ჯგუფი, სხვა მონღოლურ-თურქული ტომე-ბის, კერაიტების, ნაიმანების მსგავსად, მონღოლებმა დაიპყრეს. როცა საუბარია მონღოლთა შორის არსებულ ქრისტიან თემებზე, სწორედ ამ ეთნიკურ ჯგუფებზეა საუბარი. X საუკუნეში კერაიტ-ების ტომების მეთაურმა ნესტორიანული მრწამსის ქრისტიანული მოძღვრება აღიარა.

რამეთუ ათექუსმეტითა ასოთა დასწერენ წიგნსა, რომელ ადვილ სასწავლოცა არს. ამათვე შექმნეს ქორონიკონის სახედ ათორმეტი წელიწადი ათორმეტთა პირუტყვთა ცხოველთა სახელსა ზედა, და თითოსა პირუტყუსა და ცხოველსა თითთა წლის მთავრობა განუჩინეს, ვითარ ძველ ოდესმე ელინთა ბრძენთა ათორმეტთა ზოდთა, რომელ არიან ეტლნი მზისანი და მთვარისანი. მათ ეტლთა თითოეულთა მისცეს მზისა საჯდომად ოცდაათი დღე... ესე არს სახელი ათორმეტ ცხოველთა, რომელთა მისცეს მთავრობა თვთოსა წლისა თვთოსა პირუტყვისსა, რომლისა პირველ ყვეს ყალღუნ, რომელ არს თავგვ, მერმე ზროხა, ავაზა, კურდღელი, ვეშაპი, გუელი, ცხენი, ცხოვარი, ყაპუზუნა, ქათამი, ძაღლი და ღორი. ესენი აქუნდეს წელიწადის სათუალავად, ვითა ჩუნ ქართველთა ქორონიკონი. ხოლო აქუნდათ წესად ერთისა ღმერთის თაყუანისცემა, რომელსა თენგირი უწოდეს ენითა მათითა. ხოლო ესენი მცირედთა საზრდელით განემორებოდეს, რამეთუ ყოველსა სულიერსა ჭამდეს, ჯორცსა კატისასა, ძაღლსა და ყოველსავე. ამათხო ნათესავნი მრავალ გუარად განყოფილ იყვნეს... ესენი ენითა მათითა უწოდიან თავთა მათთა მანლოლ, ხოლო ქართველნი თათრად, რომელთა ეგონებ ერთსოფლელად.<sup>49</sup>

მონღოლთა პოლიტიკური და ეთნოლოგიური სურათის გადმოცემის გარდა, ძალიან საინტერესოა, ასევე აღმოსავლეთის სხვა ქვეყნების და გეოგრაფიული მხარეების და ნომენკლატურების აღწერილობაც. რა თქმა უნდა ეს ინფორმაციები XIII საუკუნის ცნობილი მოვლენების ასპექტშია მოცემული, მაგრამ, ის ნათლად გვიჩვენებს იმ დროის ქართული ინტელექტუალური საზოგადოების თვალსაწიერის საზღვრებს. კერძოდ, უამთააღმწერელს მოცემული აქვს შუა აზიის და ირანის, კერძოდ, ხორეზმის ისტორიულ-გეოგრაფიული დახასიათება, მისი საზღვრები, რომელიც დიდი სულთნის მუჰამედის საბრძანებელი იყო. ეს აღწერილობებიც მონღოლთა ლაშქრობების მარ-

<sup>49</sup> უამთააღმწერელი, ქც II, გვ. 157-160

შუტების და მათი ისტორიების კუთხით არის გაშუქებული. „ქუეყანანი ჯეონს აქეთ, ხუარასნისა და ერანისა“. აღნერილი აქვს ჩინგიზ-ხანის ლაშქრობების მოკლე ამბავი ხორეზმელებთან: „ებრძოდა კუალადცა სულტანი ჯალალდინ მრავალჯერ, რამეთუ სამჯერ ჯეონს იქით შეება და ოთხჯერ ხუარასანს ჯეონს აქეთ“.<sup>50</sup> მოცემული აქვს, მონღოლების ლაშქრობის მარშრუტი აღმოსავლეთიდან დასავლეთსაკენ, როცა ლტოლველ ხორეზმშაჰ მუჰამედს და ჯალალ ად-დინს მოსდევდნენ. კერძოდ შუა აზიის გავლით ირანისაკენ: „განვლეს თურანი, ჯეონი, ხუარასანი, ერაცი, ადარბადაგანი, და მოინივნეს განძას... და მოინივნეს საზღვართა საქართველოსათა“.<sup>51</sup>

ჟამთააღმწერელს, ცალ-ცალკე აქვს გადმოცემული მონღოლთა დაპყრობების შედეგად ჩამოყალიბებული უზარმაზარი იმპერიის საზღვრები და ჩინგიზ-ხანის მემკვიდრეებს შორის განაწილებული ულუსებში შემავალი ქვეყნების გეოგრაფიული სურათი. მემატთანე ჩრდილოეთის ურდოს – ოქროს ურდოს, ბათო ყაენის სამეფოს, ასე ახასიათებს: „ბათო ყაენსა ეპყრა, რომელსა ჰქონდა ოსეთი (ჩრდ. კავკასია), დიდი ყივჩაღეთი, ხაზარეთი და რუსეთი, ვიდრე ბნელეთამდის და ზღუამდე დარუბანდისა“ (კასპიის ზღვა).

ასეთი დეტალური აღწერილობის საფუძველი, საქართველოში მონღოლთა ბატონობის თითქმის ასწლოვანი ისტორია იყო. ჟამთააღმწერლის თხზულებაზე და მის ნყარობზე მეცნიერთა დაკვირვებით, ჩვენი მემატთანე XIII-XIV საუკუნეების მიჯნაზე ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. მისი თხზულებას ისტორიოგრაფიაში „ასწლოვან მატთანედაც“ იცნობენ, რომელიც მოიცავს პერიოდს, გიორგი IV ლაშას მეფობიდან, გიორგი V ბრწყინვალეს გა-

<sup>50</sup> ჯეონი – მდინარე ამუ-დარია, მის დასავლეთით ხვარასანი, იგივე ხორასანი, ხორასანი ირანის ჩრდილო-აღმოსავლეთია, დღევანდელი თურქმენეთის ტერიტორიის სამხრეთ-დასავლეთი ამუ-დარიამდე.

<sup>51</sup> ჟამთააღმწერელი, ქც II, გვ. 163-164

მეფებამდე და მასში მთლიანად მოქცეულია მონღოლთა ბატონობის ისტორია საქართველოში. აღსანიშნავია, რომ ასეთი მდიდრული ისტორიულ-გეოგრაფიული დახასიათება აღმოსავლეთისა, მანამდე ქართულ წყაროებში არ გვხვდება და მონღოლთა ბატონობის შედეგად ეს თვალსაწიერი ქართული საზოგადოების ცოდნაში გაიზარდა. მართალია, უამთააღმწერლი თხზულების რიგ ფრაგმენტებში ჩანს, ძველი სახარებისეულ-აპოკალიპსური მემკვიდრეობის კვალიც, მაგრამ მემატყიანე მეტად რეალურ გეოგრაფიულ ნომენკლატურებს აგვიღწერს და გვიხასიათებს, ვიდრე „ქართლის ცხოვრების“ წინამორბედი ავტორები.

**ლეონტი მროველის ფოლკლორული  
წყაროების შესახებ**

საისტორიო ქრონიკების ძირითად მიმართულებას განსაზღვრავს იდეოლოგია, ხოლო მხატვრულ გაფორმებას, მათ შორის, ფოლკლორულ მოტივებს, მხოლოდ დამატებითი მნიშვნელობა ენიჭება. შუა საუკუნეებში ხალხური გადმოცემების ჩანაწერები არ არსებობს. სამაგიეროდ, საისტორიო ქრონიკებში ზეპირსიტყვიერი მასალის ერთგვარ გადამუშავებას ვხვდებით, განსაკუთრებით ისეთ ფაქტებთან, რომლებიც არ არის დადასტურებული ისტორიული მონაცემებით.

ლეონტი მროველის ფოლკლორული წყაროები შეიძლება ყოფილიყო როგორც ქართული ფოლკლორული სიუჟეტები, ასევე სხვა ხალხთა ფოლკლორული და ლიტერატურული მოტივებიც.<sup>52</sup>

რა შეიძლება ყოფილიყო ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრებისა“ და „ნინოს ცხოვრების“ ფოლკლორული წყაროები?

ლეონტი მროველის თხზულებების ბიბლიური და ფოლკლორული წყაროების შესახებ არაერთი ქართველი ისტორიკოსი შენიშნავს (დ. ბაქრაძე, ალ. ხახანაშვილი, მ. ჯანაშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ნ. ბერძენიშვილი, მ. სანაძე).<sup>53</sup>

<sup>52</sup> ამ საკითხის გარშემო იხ. კეკელიძე, კ. ქართული ლიტერატურის ისტორია. ტომი I. თბილისი 1975, გვ. 176; სირაძე, რ. ქართული აგიოგრაფია. თბილისი 1987, გვ. 107-121; კიკნაძე, ზ. შუამდინარული მითოლოგია. თბილისი 1976, გვ. 119-122; ჩიქოვანი, მ. ბერძნული და ქართული მითოლოგიის საკითხები. თბილისი 1971, გვ. 45-46.

<sup>53</sup> სანაძე, მ. ქართველთა ცხოვრება. ნიგნი III. ქართლის მეფეების და პატრიკოსების ქრონოლოგია (ფარნავაზიდან აშოტ კურაპალატამდე). თბილისი 2016, გვ. 21-22; ბაქრაძე, დ. საქართველოს ისტორიის პირველდაწყება, „მნათობი“, №2, 1872, გვ. 52; ბაქრაძე, დ. ისტორია საქართველოსი უძველესი დროიდან X საუკუნის დასასრულამდე. ტფილისი 1889, გვ. 2; ჯანაშვილი, მ.

ტერმინები „ამბავი“ და „ცხოვრებანი“. ლეონტი მროველს კავკასიელთა წინაპრებზე გადმოცემისას აღნიშნული აქვს, რომ ეს არის „ამბავი რვათა ძმათა“. ლეონტი მროველის თხზულება ასე იწყება: „ცხოვრება ქართუელთა მეფეთასა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა“ და ამბავს რვა ძმის შესახებ მოსდევს „ამბავი ქართლისა“. „რვათა ძმათა“ ამბავში კავკასიელთა წინაპრებზეა ნაამბობი, რომლებიც თავიანთი ოჯახებით, წარღვნის შემდეგ დაემკვიდრნენ არარატის და მასისის მთებს შორის. რაც შეეხება „ამბავს ქართლისა“, აქ მემამათიანე უშუალოდ ქართველთა ეთნარქის ქართლოსის და მისი მემკვიდრეების ქართლში დამკვიდრებას გვამცნობს.

ლეონტი მროველი სხვა შემთხვევებში ისტორიული ამბების გადმოცემისას იყენებს ტერმინის „ცხოვრებას“ : „ცხოვრება ფარნავაზისა“, „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“, „ცხოვრება მირიანისა“.

უნდა აღინიშნოს, რომ ძველ საისტორიო მწერლობაში „ამბავი“ და „ცხოვრება“ სინონიმები არ არის. „ამბავი“ – მხატვრულ, მოთხრობას გულისხმობს და ახლოს დგას ზღაპართან, ლეგენდასთან. „ამბავი“ ზეპირი გადმოცემაა.

„ცხოვრება“ უფრო საისტორიო ხასიათის ნაწარმოებს მიესადაგება, მაგრამ რიგ შემთხვევებში „ცხოვრება“ „ამბავით“ არის შეცვლილი. ეს ეხება, არა მარტო ძველ, არამედ მოგვიანო საუკუნეების ქართულ საისტორიო მწერლობასაც. მაგალითად, XVIII საუკუნის ისტორიკოსი პაპუნა ორბელიანი თავის თხზულებას უწოდებს „ამბავნი ქართლისანი“, რომელიც XVIII საუკუნის მეორე ნახევრის ქართლის ისტორიას მოგვითხრობს.<sup>54</sup>

ამ ტერმინების გამოყენება ისტორიულ ქრონიკებში შესაძლებლობას გვაძლევს ლეონტის წყაროების კლასიფი-

---

საქართველოს ისტორია ტ. I. ტფილისი 1906, გვ. 4-5; ხახანაშვილი, აღ. კვალი საერო პოეზიისა „ქართლის ცხოვრებაში“, „ივერია“, 1888, №№ 135, 214, 218 ; ბერძენიშვილი, ნ. საქართველოს ისტორიის საკითხები III. თბილისი 1966, გვ. 328; ჯავახიშვილი, ივ. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა. თბილისი 1977.

<sup>54</sup> ახვლედიანი, გ. „ქართლის ცხოვრების“ ფოლკლორული წყაროები. თბილისი 1990, გვ. 15-16.

კაციისა. ივანე ჯავახიშვილის აზრით, ლეონტის გადმოცემა თარგამოსიანთა მემკვიდრეთა შესახებ, რომელიც ერთ ნათესაობას ეხება, შეიძლება იყო ხალხში გავრცელებული ზეპირსიტყვიერი გადმოცემა ქართველთა და სხვა კავკასიელ ტომთა მონათესაობაზე. კორნელი კეკელიძე მიიჩნევდა, რომ ლეონტის ეს გადმოცემა არ შეეძლო ეპოვა არც ბიბლიაში და არც სხვა წერილობით წყაროში. კ. კეკელიძის მოსაზრებით, ლეონტის წყარო შეიძლება ყოფილიყო იპოლიტე რომაელის ქრონიკა, რომელიც სომხებს თარგამოსის შთამომავლებად იხსენიებს და მოსე ხორენელის ისტორია. აქედან ლეონტის შეეძლო გამოეტანა დასკვნა, რომ ქართველებიც თარგამოსიანების ჩამომავლებად წარმოეჩინა.<sup>55</sup>

ნიკო ბერძენიშვილი, კორნელი კეკელიძე და რევაზ ბარამიძე მიუთითებენ, რომ კავკასიის ხალხთა წარმოშობის ლეონტისეული ტრადიცია – ეს არის პოლიტიკური და იდეოლოგიური სქემა საერთო წარმომავლობის, მათი საერთო ნათესაობის, საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლის და არსებულ პერიოდში – ლეონტის ეპოქაში (X-XI საუკუნეები) საერთო პოლიტიკური მდგომარეობის ასახვისა.<sup>56</sup>

<sup>55</sup> ჯავახიშვილი, ივ. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა V-XVIII სს. ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლად. ნიგნი I. ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით. თბილისი: „თსუ გამომცემლობა“ 1945, გვ. 174-175; Кекелидзе, К. Идея братства закавказских народов по генеалогической схеме грузинского историка XI века Леонтия Мровели. ეტიუდები III. თბილისი 1955, გვ. 100-101. ნ. ბერძენიშვილი და გ. მელიქიშვილი მიუთითებენ ლეონტის ვერსიაში სომხური საისტორიო ტრადიციის გავლენაზე. იხ. მელიქიშვილი, გ. საქართველოს უძველესი და ძველი ისტორიის წყაროები, საქართველოს ისტორიის ნარკვევები I, თბილისი 1970, გვ. 50-53; ბერძენიშვილი, ნ. VIII, თბილისი 1975, გვ. 261; IX, თბილისი 1979, გვ. 17.

<sup>56</sup> ბერძენიშვილი, ნ. საქართველოს ისტორიის საკითხებიდან. მრავალთავი I. თბილისი 1964, გვ. 12; Кекелидзе, К. Идея братства закавказских народов по генеалогической схеме грузинского историка XI века Леонтия Мровели; კეკელიძე, კ. ეტიუდები III, თბილისი 1955, გვ. 100-101; ბარამიძე, რ. ხალხთა მეგობრობის იდეა ადრეულ ქართულ პროზაში (V-XII სს). ლიტერატურული ურთიერთობანი II. თბილისი 1969, გვ. 66-68; ახელედიანი, გ. ირანული თქმულება ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრებაში“, – განთიადი, №3, 1990, გვ. 181-188.

კავკასიელთა წინაპრების წარმომავლობისა და მათი სახელმწიფოების გენეზისის ირანულ მითოლოგიურ პერსონაჟებთან დაკავშირება შესაძლოა ზეპირსიტყვიერ წყაროებსაც ეყრდნობოდეს. ლეონტი პირდაპირ არ წერს, რომ მან ეს ამბები სპარსთა ცხოვრებიდან აიღო, მაგრამ მისივე ცნობაში, რომელიც შეეხება აფრიდონის და ნებროთის ამბავს, აღნიშნულია: „ესევეთარი წერილ არს ცხოვრებასა სპარსთასა“. ეს ირიბად მიანიშნებს, რომ იგი იყენებდა ამ წყაროებს. მის თხზულებაში გვხვდებიან ირანული ეპოსის ცნობილი გმირები: აფრიდონ, ქაიხოსრო, ფარაბოროტი, სპანდიატ რვალი, არდაშირი: „გამოჩნდა ნათესავთა შორის ნებროთისთა კაცი გმირი, რომლისა სახელი აფრიდონ, რომელმან შეკრა ჯაჭვით ბევრასფი გუელთა უფალი და დააბა მთასა ზედა, რომელ არს კაცთა შეუვალი“.<sup>57</sup>

ისტორიოგრაფიაში არაერთგზის დაისვა საკითხი ლეონტი მროველის წყაროს „შაჰ-ნამესთან“ მიმართების შესახებ. ფირდოუსის და ლეონტის გმირები სწორედ ძველი ირანული ეპოსის პერსონაჟები არიან. („ქართლის ცხოვრების“ აფრიდუნი, ქეკაპოსი და სხვანი, ფირდოუსთან გვხვდებიან ფერიდუნად, ქაიქაოსად და სხვ.). ჯერ კიდევ XIX საუკუნეში კავკასიოლოგმა ვსევოლოდ მილერმა აღნიშნა, რომ ფირდოუსის „შაჰ-ნამე“ არ უნდა ყოფილიყო „ქართლის ცხოვრების“ მთავარი წყარო. მილერის აზრით, ეს საერთო სიუჟეტები ჯერ ხალხში იქნებოდა გავრცელებული, ხოლო შემდეგ ლეონტი შეიტანდა თავის თხზულებაში.<sup>58</sup> ამავე მოსაზრებას გამოთქვამენ ალექსანდრე ხახანაშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, ნიკო მარი, პავლე ინგოროყვა.<sup>59</sup> მათი აზრით, ძველი ირანული ეპოსის ტრადიცია გავრცელებული იყო იმ დროის სპარსეთსა და სა-

<sup>57</sup> ქც I, გვ. 12-13.

<sup>58</sup> Миллер, В. Эскурсы в область русского народного эпоса. Москва 1892, стр. 86.

<sup>59</sup> მარი, ნ. „ვეფხისტყაოსანი“, გაზ. „თეატრი“ 1890, № 12; ხახანაშვილი, ალ. კვალი საერო პოეზიისა ქართლის ცხოვრებაში, „ივერია“ 1888, № 56, გვ. 1-2; ინგოროყვა, პ. გიორგი მერჩულე, თბილისი 1954, გვ. 576.

ქართველოში და შესაძლებელია, „ქართლის ცხოვრებისა“ და „შაჰ-ნამეს“ წყაროც ყოფილიყო.

მ. ანდრონიკაშვილის აზრით, ლეონტი მროველის წყარო, რომელსაც ავტორი „სპარსთა ცხოვრებას“ უწოდებს, საფიქრებელია არის „შაჰ-ნამე“, ხოლო რომელი ვერსიით სარგებლობს ავტორი, არ არის გარკვეული: უშუალოდ ფირდოუსის პოემით, ახალი სპარსული ვერსიით, არაბული თარგმანის თუ ირანული ეპიკური თქმულებების ზეპირგადმოცემებით.<sup>60</sup>

გ. მამულიას აზრით, ლეონტის მიერ მოხსენიებული „სპარსთა ცხოვრების“ ნიგნი ეს არის „ხოდა ნამეს“ ერთ-ერთი არაბული ვერსია. ლეონტი სარგებლობდა არა ფირდოუსის „შაჰ-ნამეთი“, არამედ ფალაური ეპოსის ქართული ვერსიების ლიტერატურული რედაქციებით.<sup>61</sup>

**ფარნავაზის სიზმარი.** მეცნიერთა აზრით, ფარნავაზის თავგადასავალის სიუჟეტი ძველი ხალხური თქმულებების გადმოცემების კვალია: სიზმრის ნახვა რაიმე მნიშვნელოვანი ამბის წინ; მზის სხივის გამოცხადება ადამიანის დასახმარებლად; მზის დედამიწაზე ჩამოსვლა; დილის ნამი, მზის პირისბანა; სიზმრის ნახვის შემდეგ სანადიროდ წასვლა; ნადირის დადენება; ირმის ისრით დაჭრა; ამინდის გაუარესება, თავშესაფარის ძებნა, გამოქვაბულში შეღწევა, ამოქოლილი კარის დარღვევა; ღამის გასათევად კლდოვანებში (გამოქვაბულში) დარჩენა; წინაპართა განძის პოვნა და სიხარული.

ეს სიუჟეტები დამახასიათებელია არა მარტო ქართული, არამედ მსოფლიოს ხალხთა ფოლკლორისათვის. რევაზ ბარამიძის აზრით, „მეფეთა ცხოვრების“ ის მონაკვე-

<sup>60</sup> ანდრონიკაშვილი, მ. ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობებიდან I. თბილისი 1966, გვ. 147.

<sup>61</sup> მამულია, გ. ლეონტი მროველისა და ჯუანშერის წყაროები (ფალაური ეპოსი ლ. მროველის და ჯუანშერის საისტორიო თხზულებებში, „მაცნე“ №4, 1964, გვ. 268; „ქართლის ცხოვრების“ წყაროს დადგენისათვის, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, თბილისი 1964, გვ. 251-256.

თი სადაც ფარნავაზის თავგადასავალია გადმოცემული, კომპოზიციურად შეკრული, ერთი მთლიანი მოთხრობაა. იგი წარმართული მწერლობის ძეგლია, რომელიც ლეონტი მროველმა გარკვეული რედაქციული ცვლილებების შემდეგ ჩართო თავის მატიანეს შემადგენლობაში.<sup>62</sup>

ქართლის პირველი მეფის ფარნავაზის ისტორია ზღაპრულ-მითოლოგიური მოტივებით არის გადმოცემული: მცხეთელ ჭაბუკს, ფარნავაზს დაესიზმრა, რომ სახლიდან გასვლა ენადა და ვერ გადიოდა. ამ დროს სარკმლიდან მზის შუქი შემოვიდა, ნელზე შემოერტყა და გარეთ გაიყვანა დიდ ველზე, სადაც მან მზე იხილა, მინაზე ჩამოსული. ფარნავაზმა მზის პირის ცვარი სახეზე იცხო და გამოელვიდა. მას სიზმარი კეთილად ენიშნა. მეორე დღეს ფარნავაზი სანადიროდ წავიდა და დაედევნა ირემს. დაჭრილი ირემი კლდის ძირას დაეცა. კლდე რომელიც დახშული იყო ქვის ნაშენით და დარღვეული იყო სიძველის გამო. ფარნავაზმა გამოქვაბული დაარღვია და შიგნით შევიდა, რათა ავდარს შეფარებოდა. აი აქ ნახა დიდძალი განძი, რომლის წყალობით შეძლო ჯარის შეკრება და ქვეყნის გათავისუფლება დამპყრობლებისგან.<sup>63</sup>

ფარნავაზის სიზმარს განსაკუთრებული სიმბოლური დატვირთვა აქვს მის თავგადასავალში. ეს მოტივი საშუ-

---

<sup>62</sup> ბარამიძე, რ. ქართული საისტორიო პროზა. თბილისი 1971, გვ. 72-93. საკითხის გარშემო იხილე ასევე: სიხარულიძე, ქს. ქართული მწერლობა და ხალხური შემოქმედება. თბილისი 1956; შანიძე, ა. ქართული ხალხური პოეზია I (ხევსურული). თბილისი 1931; ჩიქოვანი, მ., ბერძნული და ქართული მითოლოგიის საკითხები. თბილისი 1973; უმიკაშვილი, პ. ხალხური სიტყვიერება III. თბილისი 1964; კიკნაძე, ზ. ფარნავაზის სიზმარი, „მაცნე“, ენის და ლიტერატურის სერია, № 1, 1984; ლლონტი, ალ. ქართლური ზღაპრები და ლეგენდები. თბილისი 1948; ვირსალაძე, ელ. ქართული სამონადირეო ეპოსი. თბილისი 1964; ალასანია, გ. შავიოვრაფიის და საისტორიო მწერლობის შედარებითი შესწავლისათვის. „მაცნე“, ენის და ლიტერატურის სერია, № 4, 1983; Аласания, Г. Параллельные легенды о Тимур Лянте в сочинении Иоанна Багратиона, – Писменные памятники Востока, Москва 1982; Миллер В. Осетинские этюды. Уч. Зап. Императорского Московского Университета, вып 1. Москва 1881.

<sup>63</sup> ქც I, გვ. 21-22.

ალებას გვაძლევს დავინახოთ მჭიდრო კავშირი ქართულ ზეპირსიტყვიერ და მნიგნობრულ ტრადიციებს შორის. მზის სხივის სასწაულებრივი ძალა ქართულ ზეპირსიტყვიერებაში ერთ-ერთი მთავარი მოტივია. ფარნავაზის ისტორიაში მზის ნამი მკედრეთით აღმდგარი გმირის ნიშანია და ამავე დროს, მის მომავალ დიდებას, მეფობას წინასწარმეტყველებს. ფარნავაზი მზის ცვარის ცხებით მზის ბუნებას, მის მაძლს ეზიარება, რაც მის მომავალ მეფობას მოასწავებს.<sup>64</sup> მზის სხივის მოტივი გვხვდება ქართულ ფოლკლორში სხვა მეფეებთანაც გვხვდება, კერძოდ, თამარ მეფესთან და ერეკლე მეორესთან, აგრეთვე სხვა ქართულ თქმულებებსა და ზღაპრებშიც (გმირების სხეულზე მზის ნიშნების გამოსახვა, მზესთან დაკავშირებული მეტსახელები, მზესთან ნათესაობა და სხვა).

რაც შეეხება ნადირობის საკითხს, კორნელი კეკელიძის აზრით, ეს ეპიზოდიც ფოლკლორის გავლენითაა დამუშავებული და გვაგონებს ეპიკური, სადევეგმირო ლიტერატურული თხზულებების „ამირანდარეჯანიანის“ და სხვათა სიუჟეტებს, თუმცა ლეონტის თხზულებაში ეს ამბავი შევიდა არა „ამირანდარეჯანიანიდან“, არამედ იმავე წყაროდან, რითაც სარგებლობს ამ ცნობილი ქართული ეპოსის ავტორი.<sup>65</sup>

ქართულ ფოლკლორში ირემი მაგიური ცხოველია. მისი ერთ-ერთი თვისებაა გაცოცხლების უნარი. ამასთან დაკავშირებით საინტერესო ინფორმაციის შემცველია XV საუკუნით დათარიღებული საბუთი, რომელიც მოგვითხრობს დავით აღმაშენებლის მიერ გაცემულ წყალობაზე ავშანდაძეებისადმი. როდესაც დავითი გელათს აშენებდა, ხარაჩოდან გადმოვარდნილა და სასიკვდილოდ დაშავებული „სამი დღე მკვდარი იდვა“. ავშანდაძეების წინაპარს ირმის რძის აბაზანაში განუბანია მეფე და მოურჩენია. ამის შემდეგ მეფეს მისი გვარისადმი წყალობა გაუღია. ეს საბუ-

<sup>64</sup> კიკნაძე, ზ. ქართული ფოლკლორი. თბილისი 2008, გვ. 66-69.

<sup>65</sup> კეკელიძე, კ. ლეონტი მროველის ლიტერატურული წყაროები, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, III, 1923, გვ. 27-56.

თი ჯერ კიდევ XIX საუკუნეში მარი ბროსემ მიიჩნია ნატყუარად. ივანე ჯავახიშვილიც აღნიშნავს, რომ ავშანდაძეთა სასისხლო სიგელის თხრობა ნამდვილ ზღაპარს წააგავს: მეფის სამკურნალოდ სამას ხუთი ექიმი შეუყრიათ, მაგრამ მათ ვერა უშველიათ რა და მხოლოდ ვინმე ავშანდაძეთა წინაპარს თორმეტი ფური ირმის რძის აბაზანით განუკურნავს დაშავებული დავით აღმაშენებელი.<sup>66</sup> ეს დოკუმენტი ქართულ მეცნიერებაში ნაყალბევად ითვლება და ისტორიკოსისთვის არ წარმოადგენს ღირებულ წყაროს, მაგრამ კულტურის ისტორიის თვალსაზრისით მისი მნიშვნელობა გაცილებით დიდია. ეს ნაყალბევი ქრონიკა ადასტურებს კონკრეტული ფოლკლორული სიუჟეტის გავრცელებას კონკრეტულ გარემოში და კონკრეტულ ეპოქაში. ეს ამბავი კიდევ ერთი არგუმენტია იმისთვის, რომ გადაჭრით ვთქვათ: მითოლოგიური მოტივი ირმის მაგიური ძალის შესახებ ქართულ ფოლკლორულ ტრადიციაში უწყვეტად არსებობს უძველესი დროიდან მოყოლებული დღევანდლამდე.

ზღაპრულ-მითოლოგიური პარალელები ეძებნება ფარნავაზის ამბავში გამოქვაბულში ნაპოვნი განძის მისტიკრიას. ნ. მარი ამ ეპიზოდს სპარსულ ზღაპართან აკავშირებდა.<sup>67</sup> განძის პოვნის მოტივი დამონმებულია ასევე სვანურ თქმულებაში, რომლის მიხედვით ჯიხვს დადევნებული მონადირე ოქროთი სავსე გამოქვაბულთან აღმოჩნდება. გივი ახვლედიანის მოსაზრებით, ფარნავაზის ისტორიის ეს ეპიზოდები აშკარად ფოლკლორული ხასიათისაა და მემკვიდრის წყარო ხალხური სიტყვიერებაა. თუმცა, როგორც ის და სხვა მკვლევარები აღნიშნავენ, ზოგადად ფარნავაზის თავგადასავალში გარდა ზეპირსიტყვიერებისა, ისტორიული წყაროების მონაცემებიც არის გამოყენებული.<sup>68</sup>

<sup>66</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული დამწერლობათმცოდნეობა ანუ პალეოგრაფია, ნატყუარი საბუთები, თხზულებანი 12 ტომად, ტ. IX, თბილისი 1996, გვ. 509-512.

<sup>67</sup> Март, Н. Боги языческой Грузии по древнегрузинским источникам. ЗВОИРОО XIX. Санкт-Петербург 1901, с. 6.

<sup>68</sup> ახვლედიანი, გ. ქართლის ცხოვრების ფოლკლორული წყაროები. თბილისი 1990, გვ. 15-16.

ხალხური ეპოსის კვალი ჩანს ასევე ლეონტის მიერ საბრძოლო შერკინებების აღწერისას, როდესაც მემატიანე გადმოგვცემს ქართლის მეფეთა ლაშქრობების ისტორიებს.

როგორც ვახტანგის ისტორიაში, ასევე ლეონტის გმირებსაც უხდებათ მოწინააღმდეგის დევგმირებთან (ბუმბერაზებთან) შერკინება, სადაც ეს ეპიზოდები საგმირო ეპოსის ენით არის გადმოცემული. ეს ეხება, როგორც ჩვენს მიერ წინა თავში აღწერილ ბრძოლებს ნებროთიანებსა და თარგამოსიანებს შორის, ასევე მოგვიანო ხანის მეფეთა ამბებს. კერძოდ, ისტორია შერკინებისა არშაკსა და ადერკს შორის, ფარსმან ქველის, მირდატის, ამაზასპის საბრძოლო ხელოვნებას. ლეონტის გმირები პირისპირ საბრძოლო შეტაკებებში ამარცხებენ მოწინააღმდეგეებს, რომლებიც მტერთა გამორჩეულ ფალავნებს (ბუმბერაზებს) წარმოადგენენ. ეს შეტაკებები მართლაც ეპიკურ ჟანრშია მოთხრობილი, რომლის ფინალიც, საბოლოო შედეგი საერთო საბრძოლო კამპანიის ბედს წყვეტს.

ამის ერთ-ერთი ნათელი მაგალითია ფარნავაზის შვილიშვილის ქართლის მეფის მირვანის შეტაკების ისტორია კავკასიელ (დურძუკებთან – ლეკები) მთიელებთან. „ქართლის ცხოვრებაში“ აღწერილი ეს ეპიზოდი კავკასიის მთების მისადგომებთან ტიტანურ ბრძოლას აღწერს: „მაშინ მირვან გარდაჰდა ცხენისგან, მივიდა ქუეითთა თანა თვსთა, და წარუძღვა წინა ქუეითთა, ზურგით შემოადგინნა მკედარნი, და მივიდა კართა მათ შინა, ვითარცა ჯიქი სიფიცხითა, ვითარცა ვეფხი სიმწნითა, ვითარცა ლომი ზახილითა, იქმნა მათ შორის ბრძოლა ძლიერი, ხოლო მირვან ვერ ჰკუეთდა მახვლი დურძუკთა, ვითარცა კლდესა სიძსა და დგა უძრავად, ვითარცა კოშკი მტკიცე [...] ხოლო იძლივნეს დურძუკნი და ილტვოდეს [...] და შევიდა მირვან დურძუკეთს, და მოაოჭრა დურძუკეთი და ჭართალი. და შეაბნა კარნი ქვტკირითა, და უწოდა სახელად დარუბალ“.<sup>69</sup>

<sup>69</sup> ქც I, გვ. 28.

მირვანის ლაშქრობის ამ ეპიზოდში კიდევ ის არის საინტერესო, რომ გამარჯვებულმა ქართლის მეფემ შექმნა დარუბალის (დარუბანდი სპარსულად ჩაკეტილ, დახშულ კარს ნიშნავს) მაგიური კარი. მემატიანე მას მიაწერს კავკასიის კარების, ჩრდილოეთის ველურ და სამხრეთის ცივილიზებული სამყაროს წყალგამყოფის შექმნას. მსგავსი მოტივი შემდგომში ალექსანდრე მაკედონელს მიეწერება – დარუბანდს ასევე „ალექსანდრეს კარს“ უწოდებდნენ წყაროები. ვახუშტი ბაგრატიონი გელათის აღწერილობისას დავით აღმაშენებელს მიაწერს დარუბანდის ციხის კარის გელათში გადმოტანას: „ჰკიდავს ზღუდის კარი ბჭესა მისსა, რკინისა, აღმაშენებლისა მოტანილი დარუბანდიდამ“.<sup>70</sup>

გივი ახვლედიანს შედარებული აქვს ლეონტის გადმოცემული ამბავი ამირანიანის ეპოსთან. კერძოდ, საკითხი ეხება თარგამოსიანების და ნებროთიანებს ბრძოლის ეპიზოდების ფოლკლორულ ხასიათს:

ქართლის ცხოვრება	ამირანიანი
ბრძოლა სასტიკი – „სასტიკება ჰაერისა“	ქარი – გრიგალი – მტვერი ფეხისა
ბრძოლა ფეხისა – „ღრუბელი სქელი“	ღრუბელი სქელი – ჩრდილი ლაშრისა
ელვა აბჯრისა – „ელვა ცისა“	ნაპერნკლის ცეცხლი – ანარეკლი გელაზისა
ხმა ბუმბერაზთა – „ხმა ქუხილისა“	მინის ხუვილი – დევგმირთა ბრძოლა
ტყორცნა ქვისა – „სეტყვა ხშირი“	ნინკალი ხშირი – ზღვას გამავალი ჯარის ფეხის ხმა
დათხევა სისხლისა – „ღვარი ნვიმისა“	წვიმა ხშირი – ყამარის დედის ცრემლები

„ქართლის ცხოვრებაში“ უხვადაა ბელეტრისტული ელემენტები, იდეალიზებულია მეფეები და გმირები და ისინი ხალხური ეპოსის გმირთა ნიშან-თვისებებს ატარებენ.<sup>71</sup>

<sup>70</sup> ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქც IV, გვ. 754.

<sup>71</sup> ახვლედიანი, გივი. „ქართლის ცხოვრების“ ფოლკლორული წყაროები. თბილისი 1990, გვ. 46-47.

**„ალექსანდრიანის“  
ლიტერატურულ-ფოლკლორული მოტივები  
„ვახტანგ გორგასლის ცხოვრებაში“**

ალექსანდრე მაკედონელი ჯერ კიდევ თავის სიცოცხლეში იქცა ლეგენდარულ გმირად, ხოლო გარდაცვალების შემდეგ მისი თავგადასავალი კიდევ უფრო დაშორდა ისტორიულ რეალობას. მისმა თანამედროვემ, არისტოტელეს დისწულმა და მონაფემ კალისტენემ ალექსანდრეს ბიოგრაფიაში მრავალი ზღაპრული ამბავი შეიტანა (დაახლ. ძვ.წ. 360-328 წწ.). სწორედ კალისტენეს მიერ შექმნილმა პანეგირიკმა ალექსანდრეზე სათავე დაუდო მისი თავგადასავლის გაიდებას. მომდევნო საუკუნის ისტორიკოსებმაც ბევრი საკვირველი ამბავი მიუმატეს ალექსანდრეს ცხოვრებას და თავგადასავალს. სწორედ ამ ვერსიების საფუძველზე მოგვიანებით, შეიქმნა რომანი „ალექსანდრიანი“, რომლის ავტორად კალისტენეს თვლიდნენ. მიუხედავად იმისა, რომ კალისტენეს ამ თხზულებასთან საერთო არ ჰქონდა, ის მაინც ფსევდო-კალისტენეს რომანად მონათლეს და მისი ავტორობით დამკვიდრდა იგი შემდგომი ხანის მწერლობაში. რომანის შექმნის ადგილად მიჩნეულია პტოლემეაიოსების ეგვიპტე, რომელთაც ის თავიანთი მმართველობის ლეგიტიმაციისთვის სჭირდებოდათ.<sup>72</sup>

<sup>72</sup> ფსევდოკალისტენეს ავტორობით შეთხზულ უცნობი ავტორის რომანს II-III საუკუნეებით ათარილებენ. Тронский, И. История античной литературы, Москва 1983, стр. 250-251; Костюхин, Е. Александр Македонский в литературной и фольклорной традиции. Москва 1972, стр. 21-22; ყაუხჩიშვილი, ს. ბერძნული ლიტერატურის ისტორია. თბილისი 1949; ალექსანდრიანი. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, კომენტარები, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო რ. მირიანაშვილმა, თბილისი 1980, გვ. 3-6; ქავთარია, გრ. ფსევდო-კალისტენეს ალექსანდრიანი და ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, – ქართული დიპლომატია, ნელინდეული, IX, თბილისი 2002, გვ. 526-531.

ფსევდოკალისტენეს რომანმა დიდი როლი ითამაშა როგორც ევროპის, ისე აღმოსავლეთის ხალხთა ლიტერატურულ მემკვიდრეობაზე. ამ რომანის პოპულარობაზე მეტყველებს ისტორიოგრაფიაში გამოთქმული ის მოსაზრებაც, რომ ჯვაროსნული ეპოქის ცნობილი თქმულება აღმოსავლეთის ძღვეამოსილ მბრძანებელ იოანე პრესვიტერზე, სწორედ „ალექსანდრიანის“ გააზრების და მისი ფოლკლორულ-ლიტერატურული მემკვიდრეობის საფუძველზე შეიქმნა და ეს თქმულება ალექსანდრეს ლეგენდად ქცეული თავგადასავლის თავისებურ გაგრძელებას წარმოადგენს<sup>73</sup>. როგორც ცნობილია, „ალექსანდრიანის“ გმირმა ალექსანდრე მაკედონელმა აღმოსავლეთში ლაშქრობისას დაამარცხა ინდოეთის მეფე პორი, შერეკა ურნმუნო, ველური ხალხები მთებში და ჩაკეტა ისინი დიდი კარებით. სავარაუდოდ, აქ ვხვდებით გოგისა და მაგოგის ხალხთა ალეგორიას. სწორედ ალექსანდრე მაკედონელს მიეწერებოდა შუა საუკუნეებში ამ ხალხთა დამარცხება და დიდი მთების იქით გადარეკვა. შუა საუკუნეების გეოგრაფიულ წარმოდგენებში ეს ხალხები, ძირითადად, კავკასიის ქედის ჩრდილოეთით ცხოვრობდნენ. XII საუკუნის ავტორი, იერუსალიმის წმინდა საფლავის მეფსალმუნე ანსელუსი (ანსო) გოგისა და მაგოგის ხალხების საცხოვრის კასპიის კარების ჩრდილოეთით მო-

<sup>73</sup> იაკობ ლურიე ვარაუდობს, რომ იოანეს ეპისტოლე (1165 წ.), ძირითადად, აგებულია ფსევდოკალისტენეს „ალექსანდრიანზე“. ორივე ნაწარმოებში ინდოეთი აღწერილია, როგორც ბედნიერების და ნეტარების მხარე, მინიერი სამოთხე. XV საუკუნის ბოლოს ევროპელებს ჯერ კიდევ სჯეროდათ, რომ ინდოეთში, სადღაც აღმოსავლეთში, კიდევ ცხოვრობდა ძღვეამოსილი ქრისტიანი მეფე-ხუცესი, რომელიც მათ დაეხმარებოდა ურნმუნობთან ბრძოლებში. *Александрия. Роман об Александре Македонском по русской рукописи XV века. Издание подготовили М.Н. Ботвинник, Я.С. Лурье и О.В. Творогов, Москва/Ленинград 1965, с. 155-157.* გოგოლაძე, ა. იოანე პრესვიტერის ლეგენდის ისტორიული და ბიბლიური საფუძვლების შესახებ. თბილისი 2005, გვ. 77 – 79; ასეთი ვერსიები ჯერ კიდევ ადრე იქნა გამოთქმული ევროპულ ისტორიოგრაფიაში. იხ. Zarnke, Fr., *Der Prister Johannes*, Leipzig, 1879; Opper, G., *Der Presbyter Johannes in Sage und Geschichte*, Berlin 1864.

იაზრებს, რომელსაც ქართველთა მეფე დავით IV აღმაშენებელი იცავდა.<sup>74</sup>

ეს ყველაფერი ისტორიულ-გეოგრაფიულად ლოკალიზდება აღმოსავლეთში, კერძოდ, ინდოეთის მხარეებში. ინდოეთი შუა საუკუნეების გეოგრაფიული თვალსაზრისით სამ ნაწილად იყოფოდა: ეთიოპიად, მიდიად და მთელ უკიდურეს აღმოსავლეთად. ეს შეხედულებები ევროპაში გავრცელდა პლანო კარპინის, გიომ რუბრუკვის, მარკო პოლოს და სხვათა გადმოცემების საფუძველზე. ინდოეთს უწოდებდნენ მთელ აღმოსავლეთს.<sup>75</sup> „ალექსანდრიანი“ ფანტასტიკური სიუჟეტები ამ მხარეებზე საფუძვლად დაედო აღმოსავლეთის ამგვარი კუთხით აღქმას. სწორედ ამ ცოდნამ შვა 1165 წელს იოანე პრესვიტერის სახელით შედგენილი ეპისტოლე. ეს ეპისტოლე კი შექმნილია უცნობი ავტორის მიერ, რომლის მიზანი იყო გამოეწვია ჯვაროსანთა აღტკინება და მიეცა მათთვის იმედი იმისა, რომ აღმოსავლეთში არსებობდა ქრისტიანი მბრძანებელი, რომელიც მათ დაეხმარებოდა წმინდა მიწაზე მაჰმადიანთა წინააღმდეგ ბრძოლაში<sup>76</sup>.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ „ალექსანდრიანის“ მთარგმნელები, გადამწერები, მისი ისტორიის გაგრძელებების ავტორები თავისი ეპოქის რეალობიდან გამომდინარე თავიანთ თხზულებებს უმატებენ ახალ სიუჟეტებს, ახალი ფერებით ამკობენ მას. ალექსანდრეს ადარებენ თავიანთ

---

<sup>74</sup> ავალიშვილი, ზ. ჯვაროსანთა დროიდან, ოთხი საისტორიო ნარკვევი. თბილისი 1989, გვ. 17-19.

<sup>75</sup> Джовани дель Плано Карпини, История монголов; Гильом де Рубрук, Путешествие в восточные страны; Книга Марко Поло, Москва 1997.

<sup>76</sup> ინდოეთი შუა საუკუნეების გეოგრაფიული თვალსაზრისით სამ ნაწილად იყოფოდა: ეთიოპიად, მიდიად და მთელ უკიდურეს აღმოსავლეთად. ეს შეხედულებები ევროპაში გავრცელდა პლანო კარპინის, გიომ რუბრუკვის, მარკო პოლოს და სხვათა გადმოცემების საფუძველზე, ინდოეთს უწოდებდნენ მთელ აღმოსავლეთს. Джовани дель плано Карпини, История монголов; Гильом де Рубрук, Путешествие в восточные страны; Книга Марко Поло. Москва 1997.

სახოტბო გმირებს, მეფეებს, რაინდებს. პარალელებს ავლებენ ალექსანდრეს გმრობებსა და მათი გმირების ისტორიებს შორის. თვით „ალექსანდრიანის“ თარგმანებიც კი თავისებურად შეცვლილია, ზოგიერთი პასაჟი აკლია, ზოგი რამ დამატებულია. ერთი კი ცხადია, ალექსანდრეს გმირი მისაბაძი მაგალითია შემდგომი თაობების საზოგადოებისთვის. ჯეფრი ჩოსერი თავის ერთ-ერთ პერსონაჟს „კენტერბერულ მოთხრობებიდან“ ათქმევინებს, ალექსანდრეს ისტორია იმდენად ცნობილია, რომ ყველამ ვინც მიიღო განათლება აუცილებლად უნდა სმენოდა მასზე ან მის საქმეებზე: „The story of Alexander is so widespread that every creature who has discretion has heard somewhat or all of his fortune“.<sup>77</sup>



[3] ალექსანდრე მაკედონელის ცხოვრება, 1800 წ., S3619, 149v-150r.

„ალექსანდრიანის“ უძველეს ქართულ თარგმანებს ჩვენამდე არ მოუღწევიათ, არადა მისი კვალი აშკარად შეიმჩნევა ძველ ქართულ მწერლობაში. გარდა ამისა, სავარაუდოა, რომ ქართველი მემკვიდრეები იცნობდნენ ბერძენი

<sup>77</sup> Chaucer, Geoffrey. The Monk's Tale. NeCastro, Gerard, ed. and trans. eChaucer: <http://ummutility.umm.maine.edu/necastro/chaucer>

მწერლების ნაწარმოებებსაც, რომლებიც ალექსანდრეს შესახებ ისტორიულ ცნობებს გადმოგვცემენ.

პავლე ინგოროყვა აზრით, „ალექსანდრიანის“ უძველესი ქართული თარგმანი IV-VII საუკუნეებს მიეკუთვნება. მისი, ამ უძველესი ქართული ვერსიის კვალი ჩანს, სწორედ „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მატიანეში და ლეონტი მროველთან. იგი ვარაუდობს, რომ ეს ძეგლი მოგვიანებით IX-XII საუკუნეებში უთარგმნიათ და მისი ფრაგმენტები შემონახულია დავით აღმაშენებლის ისტორიკოსთან (XII ს.) და მონღოლთა ხანის ქართველ მემატიანე, ჟამთააღმწერელთან<sup>78</sup>.

კორნელი კეკელიძის აზრით, უნდა არსებულიყო ქართული „ალექსანდრიანის“ ორი ვერსია, ერთი, რომლითაც უსარგებლია „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ავტორს და ლეონტი მროველს, ხოლო მეორე, რომლითაც სარგებლობდა დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, თამარ მეფის ისტორიკოსი და „აბდულმესიანის“ ეპოსის ავტორი. მკვლევარს მოაქვს ფრაგმენტი ლეონტის თხზულებიდან, „ალექსანდრიანის“ კვალთან დაკავშირებული: მემატიანე ამბობს, რომ როგორც ალექსანდრეს წიგნში წერია, იგი, ეგვიპტელი ნეკტანების ძე, საბერძნეთის ქვეყნიდან გამოჩნდა, რომელსაც მაკედონი ჰქვია. ეს ცნობა სწორედ ამ წიგნიდან უნდა იყოს შემოტანილი ჩვენს მატიანეში და ამავე დროს მისი გავლენაა ის, რომ ლეონტის მოჰყავს ცნობა ქართველთა წარმართობის შესახებ<sup>79</sup>. აქ, როგორც ჩანს კ. კეკელიძე პარალელებს ავლებს „ალექსანდრიანში“ ალექ-

<sup>78</sup> ინგოროყვა, პ. რუსთაველის ეპოქის სალიტერატურო მემკვიდრეობა, - რუსთაველის კრებული, თბილისი 1938, გვ. 60. ალექსანდრე ბარამიძე ფსევდოკალისტენეს „ალექსანდრიანის“ ქართულ თარგმანებს IX-XI საუკუნეებით ათარიღებს. იხ. ბარამიძე, აღ. ქართული „ალექსანდრიანი“, - საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, IX, 1936, გვ 40-41.

<sup>79</sup> კეკელიძე, კ. ლეონტი მროველის ლიტერატურული ნყარობი, თსუ მოამბე, III. თბილისი 1923, გვ. 51; ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. I. თბილისი 1951, გვ. 219; კეკელიძე, კ., ბარამიძე, აღ. ქართული ლიტერატურის ისტორია. ტ. I. თბილისი 1954, გვ. 138, 155-156;

სანდრე მაკედონელის მიერ ურნმუნო და ველური ხალხების მთებში შერეკვასა და ლეონტის მიერ ნახსენებ ქართველთა და სხვა კავკასიელ ხალხთა წარმართობაზე, რომლებიც ცხოვრობდნენ კავკასიის მთების ძირში და, რომლებიც დაამარცხა ალექსანდრემ ქართლში შემოსვლის დროს. საფიქრებელია, რომ ლეონტი მროველი, არა მარტო ფსევდოკალისტენეს რომანს იცნობს, არამედ თვით ბერძნული მწერლობის იმ კლასიკურ ნიმუშებს, რომლებიც მეტ-ნაკლები სიზუსტით აღწერენ ალექსანდრე მაკედონელის თავგადასავალს და ისტორიას. ველურ ხალხები ლეონტისთან, მარტო ფსევდოკალისტენეს „ალექსანდრიანის“ გავლენით არ უნდა იყოს მოთავსებული კავკასიაში. ამაზე ადრე, ამის შესახებ წერენ ჰეროდოტე, სტრაბონი და პლუტარქე<sup>80</sup>.

ალექსანდრეს ისტორია და მისი თავგადასავალი XII-XIV სს. ქართულ მწერლობაშიც აისახა. მისი გმირი სამაგალითო იყო იმ ეპოქის ქართველი ისტორიკოსებისა თუ პოეტებისათვის. დავით IV აღმაშენებლის ისტორიკოსი დავითს ახალ ალექსანდრეს უწოდებს<sup>81</sup>.

აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგიერთი ქართველი მემკვიდრე ალექსანდრეს „ისქანდერის“ სახელით იხსენიებს<sup>82</sup>, რაც აღმოსავლური მწერლობის გავლენით აიხსნება, რადგან სპარსული და არაბული მწერლობა ალექსანდრეს ისქანდერის სახელით იცნობს.

ჩანს, რომ ძველი ქართული საისტორიო მწერლობა კარგად იცნობს ალექსანდრეს თავგადასავალს, როგორც ლეგენდარულს, ისე ისტორიულს, მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ „ალექსანდრიანის“ ქართულ ორიგინალურ თარგმანს ჩვენამდე არ მოუღწევია. გვაქვს მხოლოდ გვიანი, XVIII საუკუნის არჩილ მეფისეული თარგმანი. არჩილმა

<sup>80</sup> ქავთარია, გრ. ფსევდო-კალისტენეს ალექსანდრიანი და ძველი ქართული მწერლობა, - ქართული დიპლომატია, IX, 2002, გვ. 537-540

<sup>81</sup> დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, „ცხოვრება მეფეთმეფისა დავითისი“. ქც I, გვ. 359, 338.

<sup>82</sup> „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“. ქც II, თბილისი 1959, გვ. 7.

214

მამა ქალწულნი. ქვაპყუაქმელინი. ლლითი. ლლიანა  
 ცმსწილნი. პატრის. ეპიტოლოქმას. ქმსსხუტის. ზს  
 უფუტო ვეაყ შენქვი პაქდენის ვისხუ. ქვიწოლქ ლდ  
 ას აქს წყმას. ქანცქენი შაპი. ქალაპი. გვეც. ქანყთ  
 მანას ვუქმა ვას თქმანას. - შეხუქ ლენიპლა მიუქ ვს  
 ნუპას ზნ გუქქ ზმლითს ვხუტს ზნ. ქალილო. ქქანსუ  
 ხა ქქენას. ქქანსუ ქქანყ ტვერუთს ვნ შაპილო: ქქანსუ  
 ლდ მამ. სუკუნიქქმას ვუქ. ქალილოქლდ ლნ. ზნ მიუქ  
 მსგუხელოთ ან ვეათს ვქლითს ან ზსხუთს. მიუქარ. ქქმას.  
 ქქვას შინსუტყუ იწ შინსუტყუხს ჭულითს შინსუტის: -  
 ალოქქსამ. ყ. სქქს მშინსუთს უწ ქრქმთქს. თანხას ქვეთს.  
 ქქანსუთს წილცუქვს შრქუნი სქლმან. ზქს ღქს სქმათ  
 მს. შინსუთს. შინსუ. შინსუ. შინსუ. მიუქს ხმანსუ ყოაქლ  
 იყ ვუქლას სქა ყუყენთ. სქქუნი სქლმანი. ვქს ვეან-  
 თანხას ვსუ ვუქალოთ თქმას. სქქას ზნ: ვქუელი ვქლ  
 მს ვლქანას. აქქას: ვქუელი ნაქს ვლქათს ზნ: ქქუელი  
 თქმას ვეანს სქქანსუქს ზნ: ქქანსუქს მქანთს ვქან  
 მანს ქქუქლან სქუქსუქლან. ქქანსუქლთ აქლმ-სქქანსუქლ.  
 სქქუქლ ვუქ მქქანსუქლ. ვქქანს. ქქანსუქლანი. სქქანთს ყ  
 ვსქანსუქლთ ამი ვქქანსუქლთ ვლქ. ვქქანს ქქანთს მქანს ვქანს ქქ  
თან

[4] ალექსანდრე მაკედონელის ცხოვრება, 1800 წ. S 3619, 214r.

იგი თარგმნა რუსეთში გადასახლებისას. ეს თარგმანი კი, როგორც მკვლევრები ვარაუდობენ, სერბულ-რუსულის დედნისეული პირია. რუსეთში „ალექსანდრიანი“ გავრცელდა XV საუკუნიდან. იგი თარგმნეს სერბულიდან<sup>82</sup>.

<sup>82</sup> Александрия. Роман об Александре Македонском по русской рукописи XV века. Издание подготовили М.Н. Ботвинник, Я.С. Лурье и О.В. Творогов, Москва/Ленинград 1965, стр. 345-351.

ქართულ ისტორიოგრაფიაში სხვადასხვა ვარაუდია გამოთქმული არჩილისეული „ალექსანდრიანის“ დედნის შესახებ. ალექსანდრე ხახანაშვილი ფიქრობს, რომ ქართული ვერსია ითარგმნა სერბულიდან, რადგან რუსული პირისგან განსხვავებით იგი მსგავსებას ხედავს ქართულ და სერბულ ვერსიებს შორის.<sup>84</sup> ეს სერბული ვერსია კი მომდინარეობს ბერძნული დედნიდან. კორნელი კეკელიძის მიხედვით, არჩილმა იგი თარგმნა რუსულიდან, რომელიც სერბული ვერსიიდან მომდინარეობს.<sup>85</sup> არჩილისეული „ალექსანდრიანი“ გაულექსავს მდივან-მნიგნობარ პეტრე ჩხატარაისძეს. სწორედ მას აქვს ცნობა, რომ „ალექსანდრიანი“ უთარგმნია არჩილს.<sup>86</sup>

„ალექსანდრიანის“ ქართული ვერსიის უძველესი ხელნაწერი (იოანე ბაგრატიონისეული) მოიპოვა ფრ. სიხარულიძემ. ეს ხელნაწერი დაცულია სანკტ-პეტერბურგის საჯარო ბიბლიოთეკაში. მკვლევარმა აღწერა და დაახასიათა იგი. ამავე დროს, საჯარო ბიბლიოთეკაში მან მიაკვლია ეფრონისეული რედაქციის ერთ-ერთ რუსულ დედანს, რომელიც ყველაზე ახლოს დგას ქართულთან.<sup>87</sup>

---

<sup>84</sup> А.Хаханов, Грузинская повесть об Александре Македонском и сербская Александрия. ЖМНП, 1893, №9, стр 241-252; ალ. ბარამიძე მხარს უჭერს ალ. ხახანაშვილის მოსაზრებას. იხ. ბარამიძე, ალ., ნარკვევები, II (XV-XVIII სს.), თბილისი 1940, გვ. 235-236.

<sup>85</sup> კეკელიძე, კ. ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. II, თბილისი 1958, გვ. 262; რუხაძე, ტრ., ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVIII სს. თბილისი 1960, გვ. 25-30.

<sup>86</sup> როგორც კორნელი კეკელიძე ვარაუდობს, არჩილისეული „ალექსანდრიანი“ გალექსილი უნდა ყოფილიყო 1713-1728 წლებში. პეტრე ჩხატარაისძეს კი იგი გაულექსავს „იმერთა-ოდიშ-გურიის გამგებლის“ ბეჟან დადიანის და მისი სარდლის გიორგი ჩიჩუას ბრძანებით. იხ. კეკელიძე, კ., ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. II, თბილისი 1958, გვ. 262-264. ალექსანდრე ბარამიძის აზრით, ქართულ ენაზე ალექსანდრიანის სამი რედაქცია შენახულა, აქედან ორი პროზაული და ერთი გალექსილი. იხ. ბარამიძე, ალ., ნარკვევები, II (XV-XVIII სს.), თბილისი 1940, გვ. 245.

<sup>87</sup> სიხარულიძე ფრ. რუსეთ-საქართველოს კულტურული ურთიერთობის ისტორიიდან, საისტორიო კრებული II, თბილისი 1971

ალექსანდრეს გმირს ძველი ქართული მწერლობა კარგად იცნობს. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ და ლეონტი მროველი შემთხვევით არ უკავშირებენ ქართული სახელმწიფოს შექმნის ტრადიციას ალექსანდრე მაკედონელს.<sup>88</sup>

მემატიანეები გარკვეულ ზღვარს დებენ ალექსანდრეს გამოჩენამდე ქართლში არსებულ ვითარებასა და მისი მოსვლის შემდგომ პერიოდს შორის. ალექსანდრეს გამოჩენამდე აქ ცხოვრობენ ველური ხალხები და სავარაუდოდ, ქართული საისტორიო ტრადიცია თვითონ ქმნის ამ ხალხთა ველურობის ხატს, რადგან მისი სურვილია ქართული სახელმწიფოს წარმოშობა დაუკავშიროს არა ბუნ-თურქებს,<sup>89</sup> არამედ ბერძენთა „უსწორო დიდ ხელმწიფეს“. მათი ვერსიით, ალექსანდრე მაკედონელმა გაანადგურა ისინი და ქართველი მოსახლეობა განმინდა უნმინდური ტომებისგან<sup>90</sup>.

---

<sup>88</sup> ვალერი ვაშაკიძე თვლის, რომ ლეონტი მროველი თავის ნაშრომში იყენებს ფსევდოკალისტენეს „ალექსანდრიანის“ იმ რედაქციას, რომელიც VII-VIII სს. არის დათარიღებული. ქართველი მემატიანე, ავტორის აზრით, თითქმის ზუსტად მიჰყვება წყაროს, რომანის ტექსტს. ვაშაკიძე, ვ., მეფეთა ცხოვრება და ბერძნული ალექსანდრიანი, ისტორიული წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევა, თბილისი 1991, გვ. 43-46.

<sup>89</sup> ბუნ-თურქების კავკასიაში მოსვლას და მათი დასახლების საკითხს ქართული საისტორიო ტრადიცია, ალექსანდრეს მოსვლამდეც აღწერს. VI საუკუნეში მიდიის მეფე ყიაყსარის (ქაიხოსრო) მიერ დევნილნი მოდიან ქართლში. ამ ეთნიკური ტერმინის გარშემო ისტორიოგრაფიაში მრავალი მოსაზრებაა გამოთქმული: ბუნ-თურქებს აიგივებდნენ, პირველყოფილ თურქებთან, შუბოსან თურქებთან, ადგილობრივ თურქებთან. ბოლო დროს მანანა სანაძემ ეს მომთაბარეები, სკვითების და კიმერიელების ჩამომავლებად მიიჩნია და ტერმინი ბუნ-თურქი იხმარება არა ეთნოსის სახელად, არამედ, ამ ხალხების ნომადური, მომთაბარული ცხოვრების წესის აღსანიშნავად. ქართულ საისტორიო ტრადიციაში ანტიკური ეპოქის „ბუნ-თურქი“ და „თურქი“ „ხონის“ (ჰუნები) და „ხაზარის“ სინონიმი. იხ. სანაძე, მ., ქართველთა ცხოვრება, წიგნი III, ქართველი მეფეების და პატრიკიოსების ქრონოლოგია (ფარნავაზიდან აშოტ კურაპალატამდე), თბილისი 2016, გვ. 33-37.

<sup>90</sup> „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ ქართლის პირველ მეფედ აღიარებს „არიან ქართლის“ მეფის ძეს აზოს, რომელიც ალექსანდრე მაკედონელმა დატოვა მმართველად.

გრანი ქავთარია აღნიშნავს, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ავტორის და ლეონტი მროველის ცნობები ქართლში ალექსანდრეს მოსვლისა და აქ ველური ხალხების – ხორცისმჭამელების შესახებ, „ალექსანდრიანის“ არც ერთ ვერსიაში არ გვხვდება. ეს ისტორია მემატრიანეების შეთხზულია, რადგან ალექსანდრე არა დამპყრობლის, არამედ განმათავისუფლებლის როლშია გამოყვანილი<sup>91</sup>.

მაგრამ მართო ამ თხზულებებში ჩანს „ალექსანდრიანის“ გმირის თავგადასავლის კვალი? ჩვენი ვარაუდით, ალექსანდრეს რომანის, მისი გმირის ისტორიის და თავგადასავლის სიუჟეტები შეიძლება დავინახოთ „ქართლის ცხოვრების“ ავტორის ჯუანშერის თხზულების გმირის ვახტანგ გორგასლის ისტორიულ-მესიანისტურ ფიგურაში და მის სახელმწიფოებრივ საქმიანობაში.<sup>92</sup>

ვახტანგის გმირის ბიბლიურ და მითიურ პერსონაჟებთან მსგავსების ვერსიები, ჯერ კიდევ ადრე გამოითქვა ქართულ ისტორიოგრაფიაში. ვახტანგის ომები ხაზარებთან, ინდოეთთან, სინდეთთან, სპარსეთთან, ბერძნებთან, აბაშებთან, ლიტერატურული პერსონაჟების ამბების გადმოტანაა ისტორიულ სინამდვილეში. ეს ყველაფერი შეთხზული უნდა იყოს, უმთავრესად, „ამირანდარეჯანიანის“ ეპოსის ზეგავლენით.<sup>93</sup>

<sup>91</sup> ქავთარია, გ. ფსევდო-კალისტენეს ალექსანდრიანი და ძველი ქართული მწერლობა, – ქართული დიპლომატია IX, 2002, გვ. 538-540.

<sup>92</sup> ჯუანშერი, „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“. ქც I, გვ. 139.

<sup>93</sup> კეკელიძე, კ. ვახტანგ გორგასლის ისტორიკოსი და მისი ისტორია, – „ჩვენი მეცნიერება“, №4. 1923, გვ. 36-37. სარგის კაკაბაძეც ვახტანგის თავგადასავალს ირანული ხალხური ეპოსის მემკვიდრეობად თვლის. Какабадзе, С. О древнегрузинских летописцах XI-го столетия. Тифлис 1912, с. 19-24; ასეთი კრიტიკული დამოკიდებულება აქვთ ივ. ჯავახიშვილს, ლ. ჯანაშიას და ნ. ლომოურს. იხ. ჯავახიშვილი, ივ., ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, ნიგნი I. ტფილისი 1916; ჯანაშია, ლ., „აღმოსავლეთ საქართველო IV-V საუკუნეებში“, საქართველოს ისტორიის ნარკვევები II. თბილისი 1973; ლომოური, ნ., საქართველოს და ბიზანტიის ურთიერთობა V საუკუნეში, თბილისი 1989.

ჯუანშერის თხზულებისადმი კრიტიკული დამოკიდებულება XIX საუკუნის ისტორიოგრაფიამ დაამკვიდრა. მის თხზულებას გარკვეული უნდობლობა გამოუცხადეს ე. ეიხვალდმა, ო. სენეკოვსკიმ, ვ. ლანგლუამ, ვ. მილერმა.<sup>94</sup> ლანგლუამ ვახტანგს ახალი ფსევდოალექსანდრე უწოდა. როგორც ჩანს, მეცნიერს მხედველობაში აქვს ფსევდოკალისტენეს „ალექსანდრიანის“ გმირის მსგავსება ვახტანგ გორგასალთან.

ჯუანშერის თხზულებას სანდო წყაროდ მიიჩნევდნენ მარი ბროსე და თედო ყორდანი. თ. ყორდანიამ ერთ-ერთმა პირველმა ივარაუდა, რომ ვახტანგის ისტორიკოსი შეიძლება ყოფილიყო მეფის თანამედროვე. მარიამ ლორთქიფანიძემ ვახტანგ გორგასლის მემამტიანის თხზულება სანდო საისტორიო წყაროდ მიიჩნია.<sup>95</sup>

რაც შეეხება ჯუანშერის თხზულებას, როგორც სანდო ისტორიული თხზულების რეაბილიტაციას, ვახტანგ გოილაძემ მას სრული ნდობა გამოუცხადა. მან დანერილებით განიხილა ვახტანგის მეფობის თითოეული ასპექტი და თითქმის ყოველ, მანამდე ლეგენდარულად აღქმულ ამბავს, ისტორიული საფუძველი მოუძებნა.<sup>96</sup>

ლელა პატარიძემ ჯუანშერის მცდელობას – მისი გმირი ბიბლიურ დავითთან, რომის კეისართან, ლეგენდარულ ნებროთიანებთან გაეიგივებინა თუ მათ ჩამომავლად წარმოეჩინა, გარკვეული ახსნა მოუძებნა: ჯუანშერმა ქრისტიანული მისტიციზმით შეფერადებული „დიდი

<sup>94</sup> ვახტანგ გოილაძე ჯუანშერის თხზულებისადმი კრიტიკულ დამოკიდებულების დამკვიდრებას ქართულ ისტორიოგრაფიაში, სწორედ ამ ევროპელი თუ რუსი ისტორიკოსების დამსახურებად თვლის. გოილაძე, ვ., ვახტანგ გორგასალი და მისი ისტორიკოსი, თბილისი 1991, გვ. 19-25

<sup>95</sup> ყორდანი, თ. ქრონიკები, I, ტფილისი 1892. გვ 34-35 მ. ლორთქიფანიძე აღნიშნავს, მიუხედავად იმისა, რომ „ეს თხზულება დატვირთულია სადევეგმირო ზღაპრული ეპიზოდებით, მაგრამ ის ძირითადად ნაწილი, რომელიც V საუკუნის მეორე ნახევრის ქართლის რეალურ ისტორიას ეხება ფრიად მნიშვნელოვანი წყაროა ამ ხანის ისტორიისათვის“. იხ. ლორთქიფანიძე, მ. ქართლი V საუკუნის მეორე ნახევარში, თბილისი 1979, გვ. 90.

<sup>96</sup> გოილაძე, ვ. ვახტანგ გორგასალი და მისი ისტორიკოსი. თბილისი 1991.

მეფის“, ძლევამოსილი ხელმწიფის და მისი ხელისუფლების პოლიტიკური იდეალი მოგვეცა.<sup>97</sup>

ბოლო დროს, ვახტანგ გორგასლის ისტორიკოსის თხზულების ისტორიული რეალიების საფუძვლების შესახებ ფუნდამენტური ნაშრომი გამოსცა მანანა სანაძემ. მკვლევარმა ქართული და უცხოური წყაროების შეჯერების და გაანალიზების საფუძველზე, ქრონოლოგიურ ქრილში გაიაზრა ვახტანგ გორგასლის მმართველობის ასპექტები და ბიზანტიასპარსეთის კავკასიისათვის ბრძოლის ფონზე მოგვეცა მისი საგარეო და საშინაო პოლიტიკის მეთოდური სურათი.<sup>98</sup>

მიუხედავად იმისა, რომ ძველი ქართველი მემატიანეების თხზულებები ზღაპრულ თავგადასავლებად არ მიგვაჩნია, ვთვლით, რომ ლეონტი მროველისა და ჯუანშერის თხზულებებს მაინც ეტყობათ მითიური თუ ბიბლიური ფრაგმენტების კვალი და რიგი საკითხების გააზრება სიფრთხილეს მოითხოვს. მსგავსი იერი სხვა ერთა მემატიანეების თხზულებებსაც ეტყობათ. მითუმეტეს, როცა საუბარია ამა თუ იმ ხალხების წარმომავლობასა და სახელმწიფოთა გენეზისზე. ეს დამახასიათებელია, როგორც აღმოსავლეთის, ისე ევროპის ქვეყნების ისტორიებისთვის<sup>99</sup>.

<sup>97</sup> პატარიძე, ლ., მეფობის იდეა „ვახტანგ გორგასლის ცხოვრებაში“, – საქართველოს შუა საუკუნეების ისტორიის საკითხები, IX, თბილისი 2008, გვ. 103-106; ჯუანშერის „დიდი მეფე“ ვახტანგ გორგასალი ბოლო დიდი მეფეა ქართლის მეფეთა შორის არაბების გამოჩენამდე. ვახტანგი ამ ტიტულს იღებს იმ პერიოდში, როცა შაჰმა მას ცოლად მისცა თავისი ასული და სომხეთი და ყოველი მეფენი კავკასიანი. „დიდი მეფობა“ სწორედ სომხეთის მიღების შემდეგ მიიღო ვახტანგმა, რადგან სასანიდების დროს სომხეთის მეფეები „დიდი მეფეების“ ტიტულით იხსენიებიან. იხ. მინიშვილი, ნ., „დიდი მეფე“ ვახტანგ გორგასალი, ქართული დიპლომატია, ნელინდეული, X, თბილისი 2003.

<sup>98</sup> სანაძე, მ. ქართველთა ცხოვრება, წიგნი III, ქართველი მეფეების და პატრიარქოსების ქრონოლოგია (ფარნავაზიდან აშოტ კურაპალატამდე), თბილისი 2016.

<sup>99</sup> ვახტანგ გოილაძე ჯუანშერის თხზულებაში არსებულ ლეგენდარულ ისტორიებს გვიანდელ ჩანართებად მიიჩნევს. კერძოდ, ჯუანშერის მიერ შედგენილ „ცხოვრებაში“ XI საუკუნეში რედაქტორს ცვლილებები შეუტანია. სწორედ ამ ეპოქაში მომხდარა ამ თხზულების გამდიდრება ასეთი ხასიათის ამბებით და ის ძველი „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“ პირვანდელი სახით აღარ მოგვეპოვება. გოილაძე, ვ., ვახტანგ გორგასალი და მისი ისტორიკოსი. თბილისი 1991, გვ. 61-65

ამდენად, არ არის გასაკვირი, თუ ქართველი მემკვიდრე თავის გმირს ბიბლიურ – ლეგენდარულ პერსონაჟებს უკავშირებს. ალექსანდრე მაკედონელი ხომ იმ დროისთვის ყველასათვის მისაბაძი გმირი იყო.

ეს მსგავსება ჩანს ვახტანგის გმირულ საბრძოლო თავგადასავალში. ჯუანშერის თხზულებაში ძლევამოსილი გმირია, დარიალის მფლობელი – ალანების კარის დამცავი, ხაზარების, პაჭანიკების, ალანების წინააღმდეგ მებრძოლი. ეს ერები ასოცირდებიან გოგისა და მაგოგის ხალხებთან, რომლებიც ალექსანდრე მაკედონელმა აღმოსავლეთში ლაშქრობისას მთებში ჩაკეტა და ფაქტობრივად საზღვარი გაავლო ცივილიზებულ და ველურ სამყაროს შორის.

მემკვიდრის ცნობით, ვახტანგმა უზარმაზარი ლაშქარი შეჰყარა ოსეთის დასალაშქრად: „ხოლო დაიმორჩილა ოვსნი და ყივჩაყნი და შექმნა კარნი ოვსეთისანი, რომელთა ჩვენ დარიანისად უწოდებთ“.<sup>100</sup> ოსეთში ლაშქრობის დროს ვახტანგმა ილაშქრა პაჭანიკეთს და ჯიქეთს.<sup>101</sup> მისმა ლაშქრობამ ფაქტობრივად მთელი ჩრდი-

---

<sup>100</sup> ჯუანშერი, „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“. ქც I, გვ. 156. ჯუანშერთან დარიალი იწოდება ასევე დარიალანად, „დარიალანის კარი“. მანანა სანაძე ვახტანგის ლაშქრობაში მოიაზრებს კავადის მეფობის ხანაში სპარსელების სამხედრო ექსპედიციას ჩრდილოეთ კავკასიაში, ალანების და ხაზარების (ჰუნების) წინააღმდეგ, რომელსაც ადგილი უნდა ჰქონოდა 492-493 წლებში. ეს იყო სპარსელთა საპასუხო დამსჯელი ლაშქრობა, იმ თავდასხმის გამო, რომელიც მოაწყვეს ალანებმა, ჰუნების დახმარებით კავკასიაში სპარსელთა გავლენის რეგიონებზე, ქართლზე, რანზე და მოვაკანზე (მტკვრის ორივე სანაპიროს ალბანეთი). სანაძე, მ. ქართველთა ცხოვრება. წიგნი III. ქართველი მეფეების და პატრიკიოსების ქრონოლოგია (ფარნაეაზიდან აშოტ კურაპალატამდე). თბილისი 2016, გვ. 329-331

<sup>101</sup> ვ. გოილაძის აზრით, ტექსტში თავდაპირველად პაჭანიკები არ უნდა ყოფილიყვნენ, ეს ვახტანგის „ცხოვრებაში“ გვიანდელი რედაქტორ-გადამწერის ჩამატებულია. პაჭანიკების ნაცვლად აქ უნდა ყოფილიყვნენ ოსების მეზობლად მცხოვრები მომთაბარე ჰუნურ-თურქული მოდგმის ტომები, რომლებიც V ს-ის მეორე ნახევარში მოსულები არიან ჩრდილო კავკასიაში და ოსებთან ერთად ხშირად ლაშქრობენ ქართლში. გოილაძე, ვ. ვახტანგ გორგასალი და მისი ისტორიკოსი. თბილისი 1991, გვ. 40-41.

ლოეთ კავკასია მოიცვა. ძლევამოსილი მეფე ურიცხვი ნადავლით დაბრუნდა უკან. რა თქმა უნდა, ამ ლაშქრობაში ზოგადად არაფერია ზღაპრული, თუ არ ჩავთვლით ვახტანგის საომარი თავგადასავლის მომენტებს, კერძოდ გოლიათებთან შებრძოლებას, ხაზართა გოლიათის თარხანის და ოსთა ბუმბერაზის ბაყათარის შერკინებაში დამარცხებას. არც ეს ორთაბრძოლებია გასაკვირი, ომებისათვის დამახასიათებელი, მონინალმდეგეთა რჩეული ვაჟკაცების ბრძოლის წინ გამოწვევა, მაგრამ ვახტანგის ისტორიაში სხვა ლაშქრობების დროსაც ჩანს ასეთი ფაქტები, რაც ახასიათებს „ალექსანდრიანის“ გმირს, რომელიც ასევე პირისპირ ბრძოლებში ამარცხებს მონინალმდეგეებს, მაგალითად, ინდოეთის მეფე პორს და სხვა ზღაპრულ არსებებს. საერთოდ, ასეთი სარაინდო შერკინებები დამახასიათებელია ეპოსური და ბიბლიური გმირებისთვის.

ფსევდოკალისტენეს და ჯუანშერის გმირები ალექსანდრე და ვახტანგი, ორივე ახალგაზრდაა, გოლიათებისა და ბუმბერაზების მძლეველნი. ქართველი მემატიანე ხაზს უსვამს ვახტანგის ძლევამოსილებას, სამხედრო ნიჭს, მამაცობას. მისი გმირი სნორუპოვარი რაინდია, ისევე, როგორც ალექსანდრე: ისინი არა მარტო დიდი მეფეები, არამედ დიდი რაინდები არიან, საბრძოლო ასპარეზობაში თავგამოჩენილნი. რაც შეეხება, დარიალის კარის გავლით ოსეთში ლაშქრობას, ეს ისტორიული რეალობაა, ისევე, როგორც ვახტანგის მიერ ალანების კარის ჩაკეცვა, ციხეთა სისტემის შექმნა, რაც, ამავე დროს, ალექსანდრეს ნამოქმედარის ავტორისეული გააზრებაა. ალექსანდრე მაკედონელის მსგავსად ვახტანგ გორგასალიც ცივილიზებულ სამყაროს იცავს კაცისმჭამელთაგან. „ალექსანდრიანში“ ალექსანდრე მისდევს წარმართებს, „სდია მათ, ვიდრე მალალთა და დიდთა მთამდე, რომელთა ბორცვნი ჩრდილოეთისანი ეწოდება. იხილა რა ალექსანდრემ, ადიდა ლმერთი და შექმნა კარნი დიდნი სპილენძისანი, შელესა სუნკალითით (სუნკალითი რომელსაც არც ცეცხლი

ეკარებოდა და არც რკინა) და კართა მათ კადსპიდნი ეწოდებოდას.“<sup>102</sup>

ფსევდოკალისტენესთან არ ლოკალიზდება წარმართი ხალხების საცხოვრისი. რომანში ეს ამბები ინდოეთის მეფის პორის სამეფოს დაპყრობის შემდგომ, სადაც აღმოსავლეთში ხდება, მაგრამ მოგვიანო ხანის მატიანეები ალექსანდრეს მიერ ველურ ხალხთა მთებში ჩაკეტვის ამბებს კავკასიაში ათავსებენ. მარკო პოლო, სამყაროს აღწერილობაში, როდესაც დეტალურად ჩერდება საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიულ საზღვრებზე (თხზულების ქვეთავი „საქართველოს მეფეები“), სწორედ ამ ვერსიას ეყრდნობა – კავკასიაში ალექსანდრეს ლაშქრობის და იქ სიმაგრეთა აგების შესახებ. წყაროდ კი სწორედ „ალექსანდრიანს“ ასახელებს: „ეს ის პროვინციაა (საქართველო. ა. გ.) რომელიც ალექსანდრემ ვერ გამოიარა, რადგან ერთი მხრიდან ზღვა ესაზღვრება, მეორედან კი მთები. ამ მხრიდან ისეთი ვიწრო ბილიკია, რომ ცხენით გავლა შეუძლებელია. ეს ვიწრო გზა თორმეტ მილზე მეტი სიგრძისაა, ასე, რომ ქვეყნად ცოტა ვინმე თუ შეძლებს მის გამოვლას. ამიტომ ალექსანდრემაც ვერ გამოიარა. აქვე ააგებინა ალექსანდრემ კოშკი და დიდი ციხე-სიმაგრე, რათა მათ მასზე ვერ გაელაშქრათ. მას რკინის კარი ჰქვია. ეს ადგილი მოხსენიებულია ალექსანდრეს წიგნში, სადაც ნათქვამია, რომ მან თათრები მთებში მოიმწყვდია, თუმცა ეს თათრები არ იყვნენ, არამედ ხალხი, რომელსაც კუმანები ჰქვია და სულ სხვა ტომია, რადგან თათრები იმ დროს არც ყოფილან.“<sup>103</sup>

<sup>102</sup> ალექსანდრიანი. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, კომენტარები, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო რევაზ მირიანაშვილმა. თბილისი 1980, გვ. 143-144.

<sup>103</sup> კუმანები გაიგივებულნი არიან ყივჩალებთან. გიომ დე რუბრუკი (XIII ს.) აღნიშნავს, რომ კუმანებს ყივჩალებს უწოდებენ. ნოდარ ლადარია ფიქრობს, რომ ალექსანდრე ეს სიმაგრეები ქართველთაგან თავდასაცავად შექმნა. მარკო პოლო, ქვეყნიერების მრავალფეროვნებისთვის, XIV საუკუნის ტოსკანური ვერსია. თარგმანი იტალიურიდან, შესავალი სტატია და კომენტარები ნოდარ ლადარიასი. თბ. 2007, გვ. 13-14.

ისტორიკოსები ვარაუდობენ, რომ კადსპიდნი – ეს არის ალანთა კარი, რომელიც ალექსანდრემ ჩამოკიდა თერგის ხეობაში ორ მთას შუა. რუსულ დედანში ის ასპიტის კარია.<sup>104</sup> ლეონტი მროველი კავკასიაში ამ ორ მთავარ გადმოსასვლელს, დარუბანდს – ზღვის კარს, ხოლო დარიალს (დარიალა) არაგვის კარს უწოდებს.<sup>105</sup> კასპიის კარებს პროკოფი კესარიელი დარიალს უწოდებს, თუმცა სხვა ბიზანტიელ მწერლებთან, ის ხან როგორც დარიალს, ასევე დარუბანდს აღნიშნავდა. რომაელი ისტორიკოსი პლინიუსიც კასპიის კარს კავკასიის კარად (დრიალი-დარიალი) მოიხსენიებს.<sup>106</sup>

ანტიკური წყაროები კავკასიის მთებს სხვადასხვა სახელით მოიხსენიებდნენ. თეოკრიტოსი (ძვ. წ. IV-III სს) და ვერგილიუს მარონი (ძვ. წ. I ს) კავკასიის მთებს სკვითიის მთას უწოდებდნენ. კლავდიოს პტოლემეაიოსი დასავლეთ კავკასიის გადმოსასვლელს სარმატიის კარიბჭედ მოიხსენიებს, რომელსაც დარიალად მიიჩნევს და აღნიშნავს, რომ მის სიახლოვეს იყო ალესანდრეს სვეტები. ეს ეტიმოლოგიები დაკავშირებული იყო იმ ეთნოსებთან, რომლების სარგებლობდნენ ამ გზებით სამხრეთ კავკასიაში მოსახვედრად. იოსებ ფლავიუსი (ახ. წ. I ს) ჰირკანიის კარს

---

<sup>104</sup> „Ворота те называются аспидовим“. Александрия. Роман об Александре Македонском по русской рукописи XV века. Издание подготовили М.Н. Ботвинник, Я.С. Лурье и О.В. Творогов, Москва/ Ленинград 1965, с.120. ალექსანდრიანი. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, კომენტარები, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო რევაზ მირიანაშვილმა. თბილისი 1980, გვ. 190

<sup>105</sup> ქც I, გვ. 12. დარიალის და დარუბანდის გადმოსასვლელების ისტორიული და სამხედრო სტრატეგიულ საკითხებზე რომისა და პართიის, რომისა და სასანიდების, ბიზანტიისა და სასანიდების ურთიერთობაში იხ. ინაძე, მ. კასპიის კარი (დარიალი და დარუბანდი) ახ.წ. I-VI საუკუნეთა საერთაშორისო დიპლომატიური ურთიერთობებში, – ქართული დიპლომატია, წელიწდეული. III, თბილისი 1996.

<sup>106</sup> პროკოფი კესარიელი, „ომი სპარსელებთან.“ გეორგიკა (ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ), ტ. II, თბილისი 1965; სანაძე, მ. ქართველთა ცხოვრება. წიგნი III. ქართველი მეფეების და პატრიკიოსების ქრონოლოგია (ფარნავაზიდან აშოტ კურაპალატამდე). თბილისი 2016, გვ. 330.

უნოდებს იმ გასასვლელს, რომელიც ალექსანდრე მაკედონელმა რკინის კარით ჩაკეტა. დარუბანდი და დარიალი, ანტიკურ ავტორებთან კასპიის ბჭენი, რიგ შემთხვევაში მიდიიდან პართიაში გადასასვლელს აღნიშნავდა, ხოლო კავკასიის მთები – „კავკასოსი“ – ინდოეთის, ჰინდიყუმის მთებად არის წარმოჩენული. კურციუს რუფუსი (ახ. ნ. I ს) ალექსანდრეს ლაშქრობის აღწერაში კავკასოსის მთების ლოკალიზაციას ამაძონების ქვეყნის გავლით ახდენს, რომელთა სამყოფელს მდინარე ფასისის მიდამოებში მოიაზრებს. თუმცა ფლავიოს არიანე (ახ. ნ. II ს) კავკასოსის მთების გეოგრაფიულ ლოკალიზაციას ინდოეთში ახდენს, გამომდინარე იქიდან, რომ ავტორის აზრით, ალექსანდრე მაკედონელს კავკასიაში არ უღაშქრია.<sup>107</sup> ქართულ ისტორიოგრაფიაშიც არ არის კასპიის კარის ერთმნიშვნელოვანი ლოკალიზაცია.<sup>108</sup>

კავკასიის მთებში სიმაგრეთა სისტემის შექმნას ძველი ფალაური ეპოსიც ეხმიანება, რომელიც მითოლოგიური გმირის სპანდიატის კავკასიაში ლაშქრობის ამბებს მოგვითხრობს. სწორედ, ეპოსის გმირს სპადიატს მიენერება დარიალის კარის შებმა. გურამ მამულუას მოჰყავს არაბი ავტორის მასუდის ცნობა, რომელიც გადმოგვცემს, რომ სპარსთა

<sup>107</sup> ანტიკური კავკასია. ენციკლოპედია. ტ. I. წყაროები. თბილისი 2010, გვ. 163-166, 356ბ, 227, 493-495.

<sup>108</sup> ს. ჯანაშია მასში დარუბანდს გულისხმობს, თ. ყაუხჩიშვილი პირკანიის კარს დარიალად მოიზრებს, ხოლო მ. ინაძე და ნ. ნიკოლოზიშვილი აღნიშნავენ, რომ წყაროთა მონაცემების მიხედვით ამ ისტორიულ-გეოგრაფიულ ნომენკლატურებს ერთმნიშვნელოვანი ლოკალიზაცია არ გააჩნიათ. ჯანაშია ს. შრომები II. თბილისი: „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა“, 1952, გვ. 77; ყაუხჩიშვილი თ. ბერძენი მწერლები საქართველოს შესახებ. V. თბილისი 1983, გვ. 63; ინაძე, მ. კასპიის კარი (დარიალი და დარუბანდი) ახ. ნ. I-VI საუკუნეთა საერთაშორისო დიპლომატიური ურთიერთობებში, – ქართული დიპლომატია, ნელინდეული. III. თბილისი 1996; ნიკოლოზიშვილი ნ. ქართული ელინიზმის და ქრისტიანობის სათავეებთან „მოქცევაჲ ქართლისაჲსა“ და „ქართველ მეფეთა ცხოვრების“ მიხედვით. დისერტაცია. თბილისი 2006, გვ. 36-37; გოგოლაძე ა., გოგოლაძე მ. ტერმინ „ალექსანდრეს კარის“ წარმომავლობის საკითხი, კრბ. ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი, XII, თბ. 2010, გვ. 24-31.

უფლისწულს სპანდიატს გუშთასფის ძეს ალანეთის და კავკასიას შორის ჩამომავალი მდინარის პირას მიუვალ კლდეზე ციხე აუგია და ჯარიც ჩაუყენებია მასში კავკასიისკენ მომავალი გზის დასაცავად. ეს ამბები გადმოცემული იყო იბნ მუკაფფას მიერ გადმოღებულ არაბულ ხელნაწერში.<sup>109</sup>

წარმართა სამყოფელს, კერძოდ, გოგისა და მაგოგის ხალხთა საცხოვრისს შუა საუკუნეების კარტოგრაფია, ძირითადად, კავკასიის ჩრდილოეთში ათავსებს. მათი გამოსვლის ამბავი იოანეს გამოცხადებაში, აპოკალიფსში გვხვდება: სატანა გათავისუფლდება, გამოვა დედამიწის ოთხივე კუთხეში, რათა შეაცდინოს ერები, გოგი და მაგოგი, შეკრიბოს ისინი საბრძოლველად [...] გამოვიდნენ დედამიწის სივრცეზე, გარს შემოურტყნენ წმიდათა ბანაკს და საყვარელ ქალაქს“ (გამოცხადება 20:7-8). ჯვაროსნული ეპოქის წყაროები ამ ხალხებს ძირითადად კავკასიაში წარმოადგენენ, ქართველ მეფეებს კი დარიალის და დარუბანდის გადმოსასვლელების დამცველებად და ამ წარმართთა შემაკავებლად თვლიან. ამით ისინი ყურადღებას ამახვილებენ ალექსანდრე მაკედონელის მემკვიდრეობაზე და არც თუ ისე იშვიათად, ახდენენ ქართველი მეფეების მასთან შედარებას. ეს ჩანს XIII საუკუნის ჯვაროსანი რაინდის დე ბუას წერილში, სადაც საქართველოს მეფის გიორგი IV ლაშას შედარება და მსგავსებაა ალექსანდრესთან.<sup>110</sup>

<sup>109</sup> გ. მამულია თვლის, რომ, ახ. წ. I-II საუკუნეებში სპანდიატის ციკლმა იბერ-ალანთა მიერ მიდიის დალაშქვრის ყამს დიდი ცვლილებები განიცადა და ლეგენდარულ სპანდიატს ისტორიული პროტოტიპიც გამოჩნდა პართიის მეფის ვოლოგეზ I (ის ირანის მეფის გუშტასფის ისტორიული პროტოტიპია) ძმის ტირიდატის სახით, რომელზეც ჯერ კიდევ ადრე ცნობილი აღმოსავლეთმცოდნე ი. მარკვარტმა გააკეთა მინიშნება. მამულია, გ. ლეონტი მროველისა და ჯუანშერის წყაროები (ფალაური ეპოსი ლეონტი მროველის და ჯუანშერის საისტორიო თხზულებებში). „მაცნე“ №4, 1964, გვ. 250-252.

<sup>110</sup> ავალიშვილი, ზ. ჯვაროსანთა დროიდან. ოთხი საისტორიო წარკვევი. თბილისი 1989, გვ. 95-111; გოგოლაძე, ა. მეფე-ხუცესის ტრანსფორმირებული ვარიანტი დე ბუას ეპისტოლეში, – სამეცნიერო კრებული მიძღვნილი აკად. მარიამ ლორთქიფანიძის დაბადების 85 წლისთავისადმი, თბილისი 2007.

გოგისა და მაგოგის ხალხთა შესახებ ცნობებს ძველ ქართულ მწერლობაშიც ვხვდებით. აბოს მარტილობის ავტორი მაგოგის ძეებს ხაზარებს უწოდებს.<sup>111</sup> ჯუანშერი კი მათ „აგ და მაგუგ – მაგუგეთის“ ფორმით იცნობს.<sup>112</sup> გოგისა და მაგოგის ხალხთა ჩამონათვალი ფსევდოკალისტენეს ამ რომანშიც გვხვდება. ქართველი მთარგმნელი სახელებს ხშირად მექანიკურად თარგმნის. ეს სახელები თვით რუსულ ტექსტში დამახინჯებულად არის წარმოდგენილი და რთულად დასადგენია. „ალექსანდრიანში“ მოცემულია მათი სახელების ქართული თარგმანი: ლოლთი და მალლოთი, ნალოსნი, ალასიე, ზანხი, აეარნესი, თითიე, ანევი, ფარნაზი, ალემიადი, ზანერიოთი, თეინანი, მართიანი, ხომინი, არლმართი, ანულაფი, ძალლთავი, ფარდეი, ალონეს, ფისონი, კენიანნი, სალათარი.<sup>113</sup> მსგავსი სურათი აპოკალიპტური ხალხებისა ჩანს, 1165 წლით დათარიღებულ იოანე პრესვიტერის ეპისტოლეში, რომელთა სამყოფელი აბსტრაქტულ გეოგრაფიულ სივრცეში, ზოგადად ჩრდილოეთში მოიაზრება. მათი იდენტიფიკაცია არ არის ადვილი, მიუხედავად იმისა, რომ ბიბლიური გეოგრაფია ამ ხალხებს ძირითადად კავკასიაში და მისი ჩრდილოეთით ათავსებს: „ამ ხალხების სახელებია გოგ და მაგოგ, ანიე და აგიტი, აგრიმანდრი, არმეი, ანაფრაგეი, კასბეი, ალანეი. ესენი და ბევრი სხვა ტომები ალექსანდრე დიდმა ჩრდილოეთში უჩვეულოდ დიდ მთებს შორის ჩაკეტა... ეს წყეული ხალხები მოვარდებიან ქვეყნის დასასრულამდე ანტიქრისტეს დროს დედამიწის ოთხივე ნაწილიდან, მათი რიცხვი ზღვაში ქვიშის ტოლია. წინასწარმეტყველის ნათქვამის თანახმად ეს ერები დაესწრებიან სამსჯავროს მათი ამაზრზენი ქმედებების გამო, ზეციდან ჩამოწვება ცეცხლი და ლეთის რისხვა მათ

<sup>111</sup> „მარტილობა ჰაბომისი“. ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, თბილისი 1947.

<sup>112</sup> ჯუანშერი, „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“, ქც I, გვ. 163.

<sup>113</sup> ალექსანდრიანი. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, კომენტარები, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო რევაზ მირიანაშვილმა. თბილისი 1980, გვ. 57, 144.

იმგვარად გაანადგურებს, რომ მათგან ფერფლიც აღარ დარჩება".<sup>114</sup>

ვახტანგის ლაშქრობა ჩრდილოეთ კავკასიაში, რკინის კარებს გაღმა მარტო საკუთარი დის გამოხსნის და ოსების ქართლში თარეშის აღკვეთის მოსათხრობად არ უნდა ჰქონდეს ნაამბობი ისტორიკოსს. ჯუანშერი ვახტანგის ამ ქმედებაში თავისებურ საკრალურ იდეას დებს. მისი გმირი ძღვევამოსილი ხელმწიფეა, რომელმაც დაიმორჩილა გოგისა და მაგოგის ძეები. განდევნა ისინი კავკასიის გადაღმა და დარიალის კარები ჩაუკეტა. იგი ალექსანდრე მაკედონელის საქმეების გამგრძელებელია და აღმოსავლეთის ცივილიზებულ სამყაროს იცავს წარმართთაგან.

ეს მსგავსება ალექსანდრესა და ვახტანგის ბიოგრაფიებშიც შეიმჩნევა. „ალექსანდრიანის“ მიხედვით, ჯერ კიდევ ალექსანდრეს ყმანვილობისას, როცა იგი თხუთმეტი წლის იყო, მამამისი ფილიპე მძიმედ გახდა ავად. ეს რომ გაიგეს მაკედონიის ჩრდილოეთით მცხოვრებმა ტომებმა, კუმანებმა,<sup>115</sup> თავს დაესხნენ მაკედონიას. ალექსანდრემ მიუხედავად ნორჩი ასაკისა, ილაშქრა მათ წინააღმდეგ, გადარეკა ისინი მთების იქით და უამრავი ტყვე წამოასხა.

ამავე დროს, ფილიპეს სნეულებით ისარგებლა პელაგოლის მეფე ანაკორნოსმა, რომელსაც შეუყვარდა ფილიპეს ცოლი ოლიმპიადე, მოულოდნელად თავს დაეცა ფილიპეს სასახლეს და გაიტაცა ოლიმპიადე. ამ შემთხვევაშიც ალექსანდრემ იკისრა დედის დახსნა ტყვეობიდან და დაედევნა თავდამსხმელებს. მან დაამარცხა მეფე

---

<sup>114</sup> Oppert, G. Der Presbyter Iohannes in Sage und Geschichte. Berlin 1865, S. 30. Гумилев, Л. В поисках вымышленного царства. Санкт-Петербург 1994; გოგოლაძე, ა. იოანე პრესვიტერის ლეგენდის ისტორიული და ბიბლიური საფუძვლების შესახებ. თბილისი 2005, გვ. 77-78.

<sup>115</sup> კუმანები – პოლოცები – ყივჩაღები, ასე აქვს განმარტებული რ. შირიანაშვილს. „ალექსანდრიანი“, გვ. 191. საერთოდ, „ალექსანდრიანის“ ქართულ თარგმანში ეთნიკური და ისტორიულ-გეოგრაფიული სახელების აღწერისას ბევრი უზუსტობაა დაშვებული. ეს ან რუსულიდან არასწორად თარგმნის ბრალია ან გვიანდელი ანაქრონიზმებით არის გამოწვეული.

ანაკორნოსი, დაიხსნა დედა ტყვეობიდან და პელაგოლის დატყვევებული მეფე მიჰგვარა მამამისს.<sup>116</sup>

მსგავსი ისტორია უკავშირდება ვახტანგის ყმანვილობის პერიოდს. ვახტანგის მამის მირდატის გარდაცვალების შემდეგ, ოსები შემოვიდნენ ქართლში, დაარბიეს და შემუსრეს ციხე-ქალაქი კასპი, ტყვედ წაიყვანეს მეფის და მირანდუხტი და დარუბანდის გზით დაბრუნდნენ ჩრდილოეთ კავკასიაში. ამ პერიოდში ბერძნებმაც ისარგებლეს ქართლის მძიმე მდგომარეობით და დაიკავეს ეგრისი ციხე-გოჯამდე. როდესაც ვახტანგი თხუთმეტი წლის გახდა მოიწვია წარჩინებულები, შეკრიბა ლაშქარი და შევიდა ოსეთში დარიალის გზით და დაამარცხა ოსებისა და ხაზარების გაერთიანებული არმია, დაარბია ოსეთი, ჯიქეთი და პაჭანიკეთი, გაათავისუფლა თავისი და და უამრავი ტყვე მოიყვანა ქართლში, ჩაკეტა დარიალის კარი და ოსებს, ყივჩალებს და მათ ნათესავენს აღარ ძალუძდათ გადმოსვლა ქართლში.

სწორედ კუმანების დამარცხების და დედამისის ოლიმპიადეს დახსნის შემდეგ იწყება ალექსანდრე მაკედონელის გმირული თავგადასავალი. ალექსანდრე ლაშქრობს ათენზე, იკავებს საბერძნეთს, შემდეგ რომს-იტალიას, იგი კიდევ უფრო დასავლეთით მიიწევს და მიაღწევს ლიტოვის ქვეყნამდე<sup>117</sup> და ოკეანე-ზღვამდე, სადაც შეებრძოლება ფრთოსან დედაკაცებს. ამის შემდეგ, იგი აღმოსავლეთით მიემართება, გადალახავს ბოსფორის სრუტეს და შედის აზიაში ასი ათასი მაკედონელით. პირველად ალექსანდრე მიდის იერუსალიმში და ათავისუფლებს სპარსელთა ბატონობისაგან (საერთოდ, აზიაში გადმოსული ალექსანდრეს მიერ ქვეყნების და ქალაქების დაპყრობა ფსევდოკალისტენეს ახსნილი აქვს, როგორც მათი

<sup>116</sup> ალექსანდრიანი. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, კომენტარები, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო რევაზ მირიანაშვილმა. თბილისი 1980, გვ. 72-73.

<sup>117</sup> ლიტოვის ქვეყანა – ჯადოსნური ქვეყანა. რუსულ დედანში წერია Волшебные страны. რუსული თარგმანის დამახინჯებაა. „ალექსანდრიანი“, გვ. 57.

სპარსელთა მონობისაგან გათავისუფლება). იერუსალიმიდან ალექსანდრე ეგვიპტეს მიემართება, ეგვიპტიდან გამოსვლის შემდეგ, ეფრატთან ამარცხებს სპარსეთის მეფე დარიოსს და ტრიუმფით შედის ბაბილონში. ბაბილონიდან ლაშქრობს სპარსეთზე, იპყრობს მას და აქედან განაგრძობს სვლას აღმოსავლეთისაკენ. ალექსანდრემ მიაღწია ნეტართა და ბრაჰმანთა კუნძულებს, მივიდა სამოთხის კარამდე, შემდეგ გაემართა ინდოეთისაკენ და დაამარცხა ინდოეთის მეფე პორი, დაიკავა მისი ქალაქი ლიამპოლე, შერეკა უნმინდური ხალხები მთებში და ჩაკეტა ისინი „კადსპიდნის“ კარებით. კიდევ მრავალ ზღაპრულ ადგილებს მოივლის ალექსანდრე და ამის შემდეგ ბრუნდება ბაბილონში.

მსგავსი ამბავი აქვს მოთხრობილი ჯუანშერსაც; ოსეთის ლაშქრობიდან დაბრუნების შემდეგ, ვახტანგი სპარსელებთა ერთად მიდის საომრად ბერძნების წინააღმდეგ. ბიზანტიაში ლაშქრობის შემდგომ ბრუნდება უკან, უპირისპირდება სპარსელებს, რომლებიც ქართლში შემოდნიან, მაგრამ კონფლიქტი მალე მოგვარდა ვახტანგსა და სპარსეთის შაჰს შორის. შაჰის თხოვნით იგი ემზადება სალაშქროდ აღმოსავლეთში; მანამდე მოილოცებს იერუსალიმს და მიდის ჯორჯანეთში, ინდოეთში, სინდეთში და აბაშეთში, სადაც ვახტანგმა მრავალი საგმირო საქმე ჩაიდინა. მრავალი წლის განშორების მერე ბრუნდება ქართლში.

ვფიქრობთ, რომ საერთო სიუჟეტები მართლაც არსებობს ალექსანდრესა და ვახტანგის ისტორიაში. რა თქმა უნდა ჯუანშერი ვახტანგის თავგადასავალში ვერ ჩასვამდა არამინიერ და ზღაპრულ არსებებთან შებრძოლების ისტორიებს, რადგან მისი თხზულება ფსევდოკალისტენეს რომანისგან განსხვავებით ისტორიულ ასპექტებს შეიცავს, მაგრამ მოტანილი მაგალითები გვაძლევს იმის საფუძველს, რომ მათში მსგავსება დაეინახოთ. სავარაუდოა, რომ როგორც ალექსანდრე მაკედონელის ისტორია შეიმოსა დროთა განმავლობაში ზღაპრული ამბებით,

ასევე ვახტანგის თავგადასავალმაც თანდათანობით ლეგენდარული ელფერი მიიღო. ნიშანდობლივია, რომ მათ ისტორიებში ასეთი სიუჟეტები მრავლად ჩანს იმ დროს, როცა ავტორთა თხრობა ეხება სამყაროს ისეთ ეთნიკურ და ისტორიულ-გეოგრაფიულ მხარეებს, რომელთა შესახებ იმ ეპოქაში ნახევრადრეალისტური წარმოდგენები არსებობდა.

როგორც ვნახეთ, ოსეთში ლაშქრობის შემდეგ იწყება ვახტანგის დიდი საგმირო საქმეების, შორეულ ქვეყნებში ლაშქრობების ისტორია. მარშრუტი შემდეგია: საბერძნეთი, იერუსალიმი, ბაღდადი (ქორნილი ვახტანგის დისა და სპარსთა მეფისა. ექვსი თვე ბაღდადს ილხენდნენ მექორნილები. ძალიან ჰგავს ასეთი ისტორიები რომანული ჟანრის სიუჟეტებს), ჯორჯანეთი, ინდოეთი, აბაშეთი, მართლაც საოცარი თავგადასავალია – მთელი აღმოსავლეთი თავისი ისტორიულ-გეოგრაფიული და ეთნიკური წარმოსახვითი სამყაროთი. იმ ეპოქის წარმოდგენებით ეს მხარეები, კერძოდ, ინდოეთი, ზღაპრული სამყაროა, რომელიც მაშინდელი გეოგრაფიული თვალსაწიერით მთელ აღმოსავლეთს მოიცავს. სამყარო, რომელიც ასოცირდება მინიერ სამოთხესთან, ბრაჰმანთა და ნეტართა სამყოფელთან, იქ სადაც ცხოვრობდნენ ადამი და ევა და, სადაც იმოგზაურა ფსევდოკალისტენეს ალექსანდრე მაკედონელმა, რომელმაც მრავალი საგმირო საქმე ჩაიდინა.

საოცრად ჰგავს ალექსანდრეს და ვახტანგის აღმოსავლური თავგადასავალი ერთმანეთს. ჯუანშერის თხზულების გააზრებისას ძალაუნებურად თვალწინ წარმოგვიდგება ისტორიული და ლეგენდად ქცეული გმირი-ალექსანდრე მაკედონელი.

საბერძნეთის ლაშქრობაში წასული ვახტანგი ფაქტობრივად მთელი კავკასიის მხედრობის მეთაურია. მას მხარში უდგანან: ალბანეთის (რანის და მოვაკანის) სპარსელი პიტიახში, დედის ძმა ვარაზ-ბაკური, რომლის სარდლობის ქვეშ გაერთიანებული იყვნენ ლეკთა მეფე და ადარბადაგანის სამხედრო ძალები, ასევე სომხეთის პიტიახშები

- არშაკუნიანთა სამეფო საგვარეულოს წარმომადგენლები თრდატ დიდის ჩამომავალნი<sup>118</sup>. აქაც ვახტანგი პირისპირ ბრძოლაში კლავს ბერძენთა სპასპეტს პალეკარპოს, ლმერთს სთხოვს დახმარებას და მისი ძალის რწმენით ებრძვის მონინაალმდეგეს. საბერძნეთში ლაშქრობის შემდეგ, ვახტანგი, ფაქტობრივად, შუამავლის როლს კისრულობს კეისარსა და შაჰს შორის საზავო მოლაპარაკებაში. ბერძნები და სპარსელები ვახტანგის ძალისხმევით სადავო საზღვრების საკითხებშიც თანხმდებიან. ირანის შაჰი იძულებული ხდება შეურიგდეს ვახტანგის ქრისტიანობას და რთავს ნებას მოილოცოს იერუსალიმი, თავად მიაცილებს ვახტანგს და მის ოჯახს წმინდა მინისაკენ, აძლევს მას უამრავ ოქრო-ვერცხლს, ხოლო თვითონ ანტიოქიას ელოდება<sup>119</sup>.

იერუსალიმიდან მობრუნებულ ვახტანგს შაჰი დიდი პატივით ხვდება, მიჰყავს ბაღდადს<sup>120</sup>, სადაც იგი გადაიხდის ქორწილს, შეირთავს რა ვახტანგის დას მირანდუხტს,

<sup>118</sup> ჯუანშერი, „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა,“ ქც I, გვ. 159; მანანა სანაძე ჯუანშერის თხზულების და ბერძნულ-რომაული წყაროებზე დაკვირვების მეშვეობით გვაძლევს ვახტანგის ლაშქრობის მარშუტებს და დაპყრობილი გეოგრაფიული პუნქტების იდენტიფიკაციას. კერძოდ ამ კოლიციურ ლაშქარს ბრძოლები ჰქონდა ბიზანტიელებთან - კარნუ-ქალაქის (თეოდოსიოპოლი), ეკლეცის (ბერძნულ-რომაული აკილისენე, სომხური ეკელეაცი - ეფერატის ზემო წელში), ანძორეთის (ნაზიანზინი - ძველი კესარიის (დღ. კაისერი) სამხრეთ-დასავლეთით, დღ. სოფელი ნენიზი), სტერის (კაპადოკიის სატალა), პონტოს ქალაქი დიდის (დღევანდელი ტრაპიზონი) მიდამოებთან. ვახტანგის ეს ლაშქრობა 502-507 წლების სპარსეთ-ბიზანტიის ომის ერთ-ერთ ეტაპად მიაჩნია მკვლევარს. სანაძე, მ., ქართველთა ცხოვრება. წიგნი III. ქართველი მეფეების და პატრიკიოსების ქრონოლოგია (ფარნავაზიდან აშოტ კურაპალატამდე). თბილისი 2016, გვ. 314-318.

<sup>119</sup> ვ. გოილაძე ფიქრობს, რომ ჯუანშერის მიერ დასახელებული ანტიოქია არ არის ჩვენთვის კარგად ცნობილი ქალაქი მდინარე ორონტზე. იმ პერიოდში ანტიოქია ბიზანტიის იმპერიის საზღვრებში შედიოდა. ავტორის აზრით, ეს უნდა იყოს ნისიბინი. გოილაძე, ვ. ვახტანგ გორგასალი და მისი ისტორიკოსი. თბილისი 1991, გვ. 160-166.

<sup>120</sup> როგორც მეცნიერები ვარაუდობენ, ბაღდადი ანაქრონიზმია და გვიანდელი ჩამატებაა.

უხვად დააჯილდოებს ვახტანგის ოჯახს და დიდი პატივით გამოისტუმრებს უკან.

მემატიანეს ირანის შაჰის ასეთი გულუხვობა და ვახტანგისა და მისი ოჯახისადმი სიყვარული ახსნილი აქვს, არა მასთან ნათესაობით, არამედ ვახტანგის ძლევამოსილებით და ავტორიტეტით, რომელმაც ბერძნები და სპარსელები მოარიგა, ჩაკეტა დარიალის გადმოსასვლელი და დაამარცხა უნმინდური ხალხები. ამავე დროს, ვახტანგი სპარსელების შემწედ გამოდის აღმოსავლეთის ლაშქრობაში, არა როგორც მათი ქვეშევრდომი, არამედ მოკავშირე. იგი თავისი მრავალრიცხოვანი არმიით მიემართება სპარსელების მტრების წინააღმდეგ. ვახტანგის გაერთიანებულ ლაშქარში არიან ქართველები, ბერძნები, სომხები, სხვა კავკასიელები, სპარსელები. ძალიან ჰგავს ეს მრავალრიცხოვანი არმია ალექსანდრე მაკედონელის ჭრელ ლაშქარს, რომელიც ბაბილონიდან მიემართებოდა აღმოსავლეთისკენ, კერძოდ, ინდოეთისკენ. რა თქმა უნდა, პარალელს არ ვავლებთ ვახტანგის და ალექსანდრეს ჯარების ეთნიკურ შემადგენლობას შორის, მაგრამ აქაც საერთო სურათთან გვაქვს საქმე. ორივე გმირი სპარსელთა სიძეა. ალექსანდრე როქსანას მეუღლეა. როქსანა სპარსეთის მეფის ასულია, ვახტანგ გორგასლის მეუღლეც ბალენდუხტ დედოფალი სპარსეთის შაჰის ასულია. შემდგომში სპარსეთის ახალი შაჰი ხდება ქართველთა მეფის სიძე. ორივე მეფე ბერძნული სამყაროს წარმომადგენელია. ალექსანდრე ბერძენ-მაკედონელთა მეფეა, ვახტანგი მართალია ქართველთა მეფეა, მაგრამ ბერძნული რჯულის მატარებელია, ქრისტიანი ხელმწიფეა. ორივე ებრძვის სპარსელებს, მაგრამ რიგ შემთხვევებში სპარსელების მოკავშირეებიც ხდებიან და ენათესავეებიან მათ. მართალია, ალექსანდრე ებრძვის დარიოსს, მაგრამ ამავე დროს მათ შორის კავშირიც და ურთიერთსიმპათიაც მყარდება. რომანის სიუჟეტი ისე ვითარდება, რომ მიუხედავად ალექსანდრეს და დარიოსის წინააღმდეგობისა და ბერძენთა მიერ სპარსელებს ძლევისა, ალექსანდრე მაკე-

დონელი გამოყვანილია არა სპარსეთის დამყრობლად და მოძალადედ, არამედ მის გამაერთიანებლად, ახალი იდეის ავტორად – დასავლეთის და აღმოსავლეთის გაერთიანების იდეისა, როცა ყველა მისი ქვეშევრდომი თანასწორია მეფის წინაშე, ესენი იქნებიან ბერძნები, მაკედონელები, სპარსელები, ეგვიპტელები, ბაბილონელები თუ სხვა. ამიტომაც ალექსანდრე თავისი სამეფოს სატახტო ქალაქად ბაბილონს ირჩევს. ფსევდოკალისტენე მაკედონელებს და სპარსელებს ათქმევინებს: „დიდო მეფეო ალექსანდრე ყოვლისა ამის სოფლისა მეფეო და სპარსეთის ბატონო“. <sup>121</sup> დარიოსის დამარცხების შემდეგ ალექსანდრე ბერძენ-სპარსელთა ჯარებით მიემართება ინდოეთისაკენ.

ვახტანგიც სპარსელების მოკავშირე, ნათესავი და სიძე – ქართველ-სომეხ-ბერძენ-სპარსელთა ჯარებით მიემართება აღმოსავლეთისაკენ და იბრძვის ინდოეთის, სინდეთის დასაპყრობად. ამ ომებში ჯუანშერს ვახტანგი გაერთიანებული ჯარების წინამძღოლად გამოჰყავს და იქ მოპოვებულ გამარჯვებას მის სარდლობას, ვაჟკაცობას და სამხედრო ნიჭს მიაწერს.

პირველად მოკავშირეები შედიან ჯორჯანეთში. შემდეგ ლაშქრობა გრძელდება ინდოეთისაკენ, „და შევიდეს ჰინდოეთად, ხოლო ვახტანგ მეფემან მოკლა ბუმბერაზი თხუთმეტი და დაყვეს ბრძოლასა შინა ჰინდოეთისასა სამი წელი და დაიპყრეს უმრავლესი ქვეყანანი ჰინდოეთისანი“. შემდეგ მიემართება ეს ლაშქრობა სინდეთისაკენ. სინდეთში ვახტანგის ლაშქრობის ისტორია ჯუანშერს ვრცლად აქვს მოთხრობილი, გადმოცემული აქვს სინდთა მეფის და ვახტანგის კამათი. სინდთა მეფე ვახტანგს ახსენებს სპარსელთა ბოროტებას ქრისტიანთა მიმართ და აფრთხილებს, რომ სპარსელების სამსახური მას სიკეთით არ მიუბრუნდება. ვახტანგი პასუხობს, რომ იგი აქ მოსულა არა სპარსელების, არამედ ქრისტეს მსახურად, „რომ ჩემი

---

<sup>121</sup> ალექსანდრიანი. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, კომენტარები, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო რევაზ მირიანაშვილმა. თბილისი 1980, გვ. 112.

აქ მოსლვით პირველად გამომიხსნია იერუსალემი, წმინდა ქალაქი, სადა დადგეს ფეხნი უფლისა ჩუენისა იესოს ქრისტესნი“. ვახტანგი სინდთა მეფეს ასევე ახსენებს, რომ ის სპარსელთა ნათესავია და, მიუხედავად სპარსელთა არაქრისტიანობისა, მაინც „მეცნიერნი არიან ღმრთისასა დამბადებელისანი და რწამს ცხოვრება სულიერი“.<sup>122</sup>

აქ იკვეთება ვახტანგის ჩამომავლობა – ნებროთის მემკვიდრეობა.<sup>123</sup> ნებროთისა, რომელიც იყო სპარსელთა გმირი, დიდი ხელმწიფე, რომლის ქვეყნის საზღვარი მზის ამოსვლის კიდემდეა, რომლის მხარეებში მოედინებიან სამოთხიდან გამომავალი „ორნი მდინარენი: ნილოსი და გეონი, რამეთუ გეონსა გამოაქუს სამოთხით ხე სურნელი და თივა, რომელი შეეზაეების მუშქსა“.<sup>124</sup> ნებროთის ძღვევამოსილება და ხელმწიფობა გრძელდება მანამ, სანამ არ გამოჩნდება მესია.

აღსანიშნავია, რომ ეს მდინარეები სამოთხიდან მომავალნი აღწერილია, როგორც „აღუქსანდრიანში“, ასევე იოანე პრესვიტერის ეპისტოლეში. აქ მოცემულია მდინარეების სახელები გეონი, ფისონი, ტიგროსი და ევფრათი, რომლებიც სამოთხიდან გამოდიან. იოანე პრესვიტერის

---

<sup>122</sup> ჯუანშერი, „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“, ქც I, გვ 187-188, 191-193.

<sup>123</sup> მზია ანდრონიკაშვილი გვაძლევს ვახტანგის სახელის დაქარაგმებულ განმარტებას: ვა(რან)ხ(ხვასრო)თანგ. იგი მიიჩნევს, რომ ეს სპარსული სიტყვების ქართული გაერთიანებული ფორმაა. „ვარან“ ძველი ინდო-ირანული ღვთაების ინდრას ეპითეტია, „ხოსრო“ ძველირანულად სახელოვანი. „ქართლის ცხოვრებაში“ სასანური დინასტიის აღსანიშნავად გამოიყენებოდა. ანდრონიკაშვილი, მ. ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობებიდან. I. თბილისი 1966, გვ. 516-517; მ. სანაძე ვახტანგის განმარტების ასეთი გააზრებით, მის სასანურ წარმომავლობაზე და პოლიტიკურ-კულტურულ გავლენაზე მიუთითებს. სანაძე, მ. ქართველთა ცხოვრება, წიგნი III, ქართველი მეფეების და პატრიკიოსების ქრონოლოგია (ფარნავაზიდან აშოტ კურაპალატამდე), თბილისი 2016, გვ. 308-309. ქართული ისტორიული ტრადიცია ქართლის მეფეთა ჩამომავლობას აქემენიანთა (ნებროთიანები), არშაკიანთა და ხოსროიანთა (სასანიანები) წარმომავლობას უკავშირებს.

<sup>124</sup> ჯუანშერი, „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“, ქც I, გვ. 162.

სამეფოში სამოთხიდან მოედინება ინდუსი (გეონი), რომელიც უკვდავებას ანიჭებს ადამიანს.<sup>126</sup> მდინარე ფისონი სამოთხის მდინარედ დასახელებულია 1122 წლის ცნობაში, რომელიც ეხება ინდოეთის პატრიარქის იოანეს ელჩობას რომის პაპთან. იოანე პატრიარქის სამშობლოში, ინდოეთში, ფისონი მოედინება სამოთხიდან. საერთოდ, იოანე პრესვიტერის თქმულების ერთ-ერთ წყაროდ მეცნიერები მიიჩნევენ სწორედ ამ პატრიარქის ელჩობას რომის პაპთან.<sup>126</sup>

აქაც ჩანს საერთო ხაზი ჯუანშერის და ფსევდოკალისტენეს თხზულებისა. ორივე ავტორი თავიანთი გმირების წარმომავლობას ბიბლიურ, ღვთიურ საფუძველს უძებნის. ვახტანგი თუ ნებროთის მემკვიდრეა, ალექსანდრე მაკედონელი ნეკტანების, ამონის ძეა – ღმერთის შვილი. ავტორთა იდეაა თავიანთი გმირები ჩვეულებრივ მოკვდავთაგან განასხვაონ და მათ მეფობას საკრალური დატვირთვა მიანიჭონ.<sup>127</sup>

ვახტანგი პირისპირ შეტაკებაში ამარცხებს სინდთა მეფეს, მაგრამ არ ჰკლავს. დაჭრილ სინდთა მეფეს შეინყალებს და მიჰგვრის სპარსთა მეფეს. ვახტანგის შუამავლობით სპარსელები მას ათავისუფლებენ და სინდეთს იმორჩილებენ. სინდეთის შემდეგ ვახტანგი მიდის აბაშეთის დასაპყრობად, „და მოვიდეს მუნით აბაშეთს, ხოლო აბაშნი ცხოვრობდნენ ქუეყანაში, რომელს გარს შემორტყმოდა წყალი და ლერწმინანი ნათესები.“<sup>128</sup> აბაშეთის დაპყრობის შემდეგ ვახტანგი ბრუნდება ურჭაში<sup>129</sup>. ვახ-

<sup>125</sup> ალექსანდრიანი. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, კომენტარები, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო რევაზ მირიანაშვილმა. თბილისი 1980, გვ. 78-79.

<sup>126</sup> Olschki, L. „Der Brief des Presbyters Johannes“. Historische Zeitschrift CXLIV, 1931, S. 1-14; Хенниг, Р. Неведомые земли, т. I-III, Москва 1961-1962.

<sup>127</sup> Кинжалов, Р.В. Легенда о Нектанебе в повести „Жизнь и деяния Александра Македонского“, – Древний мир, Сборник статей. Москва 1962.

<sup>128</sup> ჯუანშერი, „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“, ქც I, გვ. 195

<sup>129</sup> ურაპა-ურჭა – შუა საუკუნეების ედესა, დღევანდელი ურფა. გადმოცემით ედესა ამ ქალაქს ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობების დროს ეწოდა.

ტანგი მრავალი წლის განშორების შემდეგ სამშობლოში ბრუნდება.

რამდენად სარწმუნოა ვახტანგის ზემოდასახელებულ ქვეყნებში ლაშქრობების ისტორია? როგორც აღვნიშნეთ, მკვლევრებს ეჭვი შეაქვთ მის სინამდვილეში, მაგრამ ისტორიოგრაფიაში გამოთქმულია მოსაზრებები, რომ ჯუანშერის ცნობები სარწმუნოა და ის პირიქით ავსებს ბერძენი და სირიელი ავტორების ცნობებს, რომლებიც სპარსელთა აღმოსავლეთში ლაშქრობის შესახებ მოგვითხრობენ.<sup>130</sup>

სარგის კაკაბაძემ და ვახტანგ გოილაძემ ვახტანგის აღმოსავლეთში ლაშქრობებს, ისტორიული საფუძველი მოუძებნეს და ამ მხარეებსაც სინდეთს, ინდოეთს, აბაშეთს რეალური ისტორიულ-გეოგრაფიული საზღვრებიც მოუნიშნეს.<sup>131</sup> მათი აზრით, ვახტანგის ლაშქრობები სპარსთა რეალური სამხედრო კამპანიების ნაწილი იყო, რომელიც V საუკუნის 60-70-იან წლებში ირანის შაჰმა ჰეროზმა აწარმოა გურგანელების (ჯორჯანეთი), ჰუნების, კიდარიტების, ქუშანების წინააღმდეგ.<sup>132</sup> წყაროებში მოხსენიებული

---

<sup>130</sup> ს. კაკაბაძე თვლის, რომ ჯუანშერის თხზულებაში მოიპოვება ის ცნობები პეროზის ლაშქრობის მიმართულებებზე ინდოეთის და სინდეთის მხარეებში, რომელიც არ გვხვდება პროკოფი კესარიელის, აგათიას, ევტიქის, აბულ ფარაჯის და სხვათა მონაცემებში. კაკაბაძე, ს. ვახტანგ გორგასალი და მისი ხანა. თბილისი 1994, გვ. 260-261.

<sup>131</sup> კაკაბაძე, ს. ვახტანგ გორგასალი და მისი ხანა. თბილისი 1994, გვ. 255-260; ვ. გოილაძე ჯორჯანეთს-გურგანს კასპიის ზღვის აღმოსავლეთით ათავსებს, სინდეთს მდინარე ინდის ქვემოწელზე, ინდოეთი კი არის ქუშანთა სახელმწიფოს გაერთიანება, რომელსაც IV-V სს. ქართველები ჰინდოეთად იცნობენ. რაც შეეხება აბაშეთს, ავტორის აზრით, ისიც სპარსეთის მოსაზღვრეა, კერძოდ სისტანის მხარე, სადაც არსებობდა ჰუნი-ქუშანების სახელმწიფო და მას არავითარი კავშირი არ აქვს ეთიოპიასთან – აბისინიასთან. გოილაძე, ვ., ვახტანგ გორგასალი და მისი ისტორიკოსი. თბილისი 1991, გვ. 166-181.

<sup>132</sup> მ. სანაძე ვახტანგის ინდოეთში ლაშქრობას 507/8-515/16 წლებში ვარაუდობს. მისი აზრით, ეს ამბები არის შუა აზიაში ჰუნ-ჰეფთალიტების წინააღმდეგ კავადის ლაშქრობების ინტერპრეტაცია, რომელშიც ქართველთა მეფემ მიიღო მონაწილეობა, როცა სპარსეთის მეფის დავალებით რვა წლის მანძილზე წასული იყო აღმოსავლეთის ლაშქრობაში. სანაძე, მ. ქართველთა ცხოვრება, წიგნი III, ქართველი მეფეების და პატრიკიოსების ქრონოლოგია (ფარნავაზიდან აშოტ კურაპალატამდე), თბილისი 2016.

სინდეთი, ინდოეთი და აბაშეთი კი ამ ტომების ადგილ-საცხოვრისად მიიჩნიეს. რაც შეეხება აბაშეთის ლოკალიზაციას, ვ. გოილაძე უარყოფს აბაშეთის და აფრიკის ეთიოპიის იგივეობას და ჯუანშერის აბაშეთს ათავსებს სპარსეთის მოსაზღვრე მხარის – მცირე ქუშანთა სახელმწიფოს გაერთიანებაში. ს. კაკაბაძე „აბაშეთში“ მოიაზრებს კასპიის ზღვის სანაპიროზე, ასტრბადის ახლოს, ისტორიული გურგანის ნავსადგურ აბესკუნის მხარეებს.<sup>133</sup>

მეცნიერთა მოსაზრებები საინტერესოა, მაგრამ ამ მხარეების ისტორიულ-გეოგრაფიული ლოკალიზება იმ ეპოქის ისტორიული წყაროებით რთულია. მათ გეოგრაფიულ მდებარეობას დაჰკრავს მეტ-ნაკლებად ზღაპრული ელფერი. დედამიწის ამ კუთხეებზე ასეთი ცოდნა კარგად აისახა მაშინდელ ევროპულ და აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიულ-ლიტერატურულ მემკვიდრეობაში. ინდოეთი, ზოგადად მთელი აღმოსავლეთია. თვით აბისინიაც (ეთიოპია) მაშინდელ მსოფლიო პანორამაში მის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად მოიაზრებოდა.<sup>134</sup>

თვით იოანე პრესვიტერის სამყაროც, ზოგადად ინდოეთია – მთელი აღმოსავლეთი დედამიწის კიდემდე.

---

<sup>133</sup> კაკაბაძე, ს. ვახტანგ გორგასალი და მისი ხანა, თბილისი 1994, გვ. 259-260; მარი ბროსემ ყურადღება მიაქცია, ქართლის ცხოვრების სომხურ თარგმანში (XII საუკუნე) „აბაშეთის“ განმარტებას, რომელიც „ქუშაქთა ქვეყანას“ ეწოდება. მისი აზრით, ჯუანშერის აბაშები იყვნენ ინდოეთის აბისენები ანუ ჰაბაშები. Brosset, M. Histoire de la Géorgie depuis l'antiquité jusqu'au XIXe siècle. St. Pétersbourg 1849, p. 189-190.

<sup>134</sup> Джовани дель Плато Карпини, История монголов; Гильом де Рубрук, Путешествие в восточные страны; Книга Марко Поло, М. 1997; Hennig, R. „Das Christentum im mittelalterlichen Asien und sein Einfluss auf die Sage vom Priester Johannes“. HV 29, 1935; Lettres de Jacques de Vitry ed. R. В. С. Huygens. Traduit et présenté par G. Duchet-Suchaux, Brepols 1998. Дюрог Хомем, Карта Индийского океана 1558 г. А. Г. Юрченко, Книга Камней, Санкт-Петербург 2007; თვარაძე, ალ. საქართველო და კავკასია ევროპულ წყაროებში, თბილისი 2004; საქართველო და ჯვაროსნული აღმოსავლეთი ყაყ დე ვიტრის ცნობების მიხედვით. ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, შესავალი, შენიშვნები და კომენტარები დაურთეს ა. გოგოლაძემ, თ. ნითლანაძემ, თ. ქარჩავამ, ნ. სილაგაძემ, თბილისი 2015.

იოანეს სამეფო სამი ინდოეთისგან შედგება და გადაჭიმულია დანყებულ მზის ამოსვლიდან უდაბნოს გადაღმა და ჩადის უკაცრიელი ბაბილონის ქვეყანაში, ბაბილონის გოდოლის შორიხლოს. ალექსანდრე დიდმა ამ ადგილებში წარმართი ხალხები ჩაკეტა მთებში და ეს არის ამაზონების და ბრაჰმანების სამყოფელი. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ იოანე პრესვიტერს აბისინიის მეფედ მიიჩნევდნენ. XIV საუკუნეში პორტუგალიელებმა ექსპედიციებიც კი მოაწყვეს მისი სამეფოს მოსაძებნად.<sup>135</sup>

ჯუანშერის მიერ მოხსენიებული აბაშეთი თუ არაა ჩვენთვის ცნობილი აბისინია, აფრიკის აღმოსავლეთის ქვეყანა და ის არის სპარსეთის მოსაზღვრე, სინდეთიდან მომავალ გზაზე აღმოსავლეთით მდებარე მხარე (როგორც ამას ვ. გოილაძე ვარაუდობს), მაშინ იმავე მემატიანის მიერ VIII საუკუნეში საქართველოში მურვან-ყრუს ლაშქრობაში დაფიქსირებული აბაშები ვინ უნდა იყვნენ? სავარაუდოდ, ეთიოპიელები. საეჭვოა, არაბების ლაშქარში ყოფილიყვნენ სპარსეთის აღმოსავლეთით მდებარე ქვეყნის მეომრები.<sup>136</sup> ხსენებული ქვეყნები იმდროინდელი გეოგრაფიული თვალსაზრისით ერთ კონკრეტულ ადგილას შემოსაზღვრულ ეთნო-პოლიტიკურ არეალში არ მიაზრებოდნენ.

ნიშანდობლივია ასევე, ჯუანშერის და ფსევდოკალისტენესთან დაფიქსირებული სამხედრო ძალების გრანდიოზული რიცხვი. აქ საუბარია ასეულ ათასებზე. ფსევდოკალისტენესთან ალექსანდრე მაკედონელისა და მისი მონინააღმდეგეების ძალთა რაოდენობა მართლაც ფანტასტიკურია. ეს ტენდენცია რომანის იმ მონაკვეთებში

---

<sup>135</sup> Oppert, G., Der Presbyter Iohannes in Sage und Geschichte. Berlin 1865, S. 6-8.

<sup>136</sup> ვ. გოილაძე აღნიშნავს, რომ აბაშეთის ეთნიკურ-გეოგრაფიული სურათის ძიების დროს მხედველობაში არ აქვს მურვან ყრუს ლაშქარში მყოფი აბაშები, რადგან ისინი იხსენიებიან ჯუანშერის თხზულების გაგრძელებაში, რომელსაც ფსევდოჯუანშერის დანერვილად მიიჩნევს. გოილაძე, ვ. ვახტანგ გორგასალი და მისი ისტორიკოსი. თბილისი 1991, გვ. 170.

ჩანს, სადაც საუბარია ალექსანდრეს ბრძოლებზე აღმოსავლეთში სპარსეთის მეფის დარიოსის, ინდოეთის მეფის პორის და სხვა მითიური ქვეყნების მეფეთა წინააღმდეგ.

დარიოსთან ბრძოლის დროს, მოგვითხრობს ფსევდო-კალისტენე, მაკედონელებმა „მოსრეს სპარსნი ოთხასი ათასი“, როდესაც ალექსანდრე შეება დარიოსს და ინდოეთის მეფის პორის არმიას, მისი ლაშქარი „ათასჯერ ათასითა რჩეულითა მხედრითა შევიდა“ ბრძოლაში სპარსელთა წინააღმდეგ, როცა სპარსელ-ინდოთა ლაშქარი ათასჯერ ათასი სპარსელისგან და ოთხი ათასჯერ ათასი ინდოელისგან შედგებოდა. დარიოსის დამარცხების შემდეგ, ალექსანდრეს, პორთან ომის დროს მოუწია ინდოელთა ასი ათას საომარ სპილოსთან შებრძოლება<sup>137</sup>.

ჯუანშერსაც დაუჯერებელი ციფრები აქვს მოყვანილი: ოსეთზე ლაშქრობის დროს ვახტანგს ჰყავს ასი ათასი მხედარი, სამოცი ათასი ქვეითი, ვარაზ-ბაკურის თორმეტი ათასი მხედარი, სხვა კავკასიელთაგან ორმოცდაათი ათასი მხედარი.<sup>138</sup> ოსეთზე ლაშქრობიდან დაბრუნებისას ისტორიკოსი ასეულ ათასობით ტყვეზე ლაპარაკობს. საბერძნეთზე ლაშქრობის დროს ვახტანგის ლაშქარი მოკავშირეებითურთ შეადგენდა დაახლოებით ოთხას ათას მხედარს. ინდოეთზე, სინდეთზე და აბაშეთზე ლაშქრობის დროს ვახტანგის ჯარში ორმოცდაათი ათასი ქართველი, სომეხი და ბერძენი მხედარი იყო, ხოლო ვახტანგის და სპარსელების ბოლო ბრძოლის დროს ძალთა თანაფარდობა ზღაპრულ ციფრებს აღწევს: „იყო ლაშქარი ვახტანგისა ორას ორმოცი ათასი, ხოლო სპარსთა შვიდას ორმოცი ათასი“.<sup>139</sup>

უნდა აღვნიშნოთ, რომ ჯუანშერი ლაშქრის რაოდენობის აღწერისას ჰიპერბოლიზაციის საკითხში ორიგინალ-

<sup>137</sup> ალექსანდრიანი. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, კომენტარები, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო რევაზ მირიანაშვილმა. თბილისი 1980, გვ. 100-136

<sup>138</sup> ჯუანშერი, „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“, ქც I, გვ. 150-151

<sup>139</sup> იქვე, გვ. 158-159, 186, 202.

ლური არ არის. ეს კვალი არა მარტო მისი ეპოქის მემატია-ტიანეების ნაშრომებს ემჩნევა, არამედ უფრო მოგვიანო პერიოდის ავტორთა თხზულებებსაც. თანაც, ეს დამრგვალებული ციფრები იმის მანიშნებელია, რომ ავტორი აზვიადებს რეალობას. ელინისტური ხანის „ალექსანდრიანიც“ ხომ თითქმის მთლიანად ლეგენდარულ ამბებს შეიცავს და ისტორიულ სინამდვილეს კი, ზღაპრული ფერებით არის მოსილი. სწორედ ამ მემკვიდრეობის კვალი ატყვია ჯუანშერის თხზულებასაც. მართალია, მსგავს ციფრებს სხვა ქართველი მემატია-ტიანეების თხზულებებშიც ვხვდებით, მაგრამ ჯუანშერის მიერ მოტანილი ასეულ ათასები მართლაც გამორჩეულია. ამავე დროს უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თხზულების იმ ნაწილში, სადაც საუბარია ვახტანგ გორგასლის მეფობის შემდგომ პერიოდზე, არსად ასეთი სიმრავლე დაფიქსირებული არ არის. VIII საუკუნეში მურვან ყრუს დიდი და მასშტაბური შემოსევის აღწერის დროსაც კი, მემატია-ტიანის მიერ დასახელებული რიცხვი 30-35 ათას არ აღემატება, მაშინ როცა ვახტანგის მეფობის აღწერისას ბევრჯერ ასეულ ათასებზე არის მონაცემები.<sup>140</sup>

ამრიგად, ფსევდოკალისტენეს რომანმა გარკვეული გავლენა მოახდინა ჯუანშერის მიერ ვახტანგის პანეგირიკის შექმნაში. არ ვფიქრობთ, რომ ჯუანშერის თხზუ-

<sup>140</sup> ვ. გოილაძეს ჯუანშერი მხოლოდ ვახტანგის მეფობის აღმწერად და მის თანამედროვედ მიაჩნია. ჯუანშერი იყო ერისთავთა უფროსი, შიდა ქართლის პატრონი, სპასპეტი. შემდგომი ისტორია VI-VIII საუკუნეებისა, უცნობი ავტორის მიერ არის დაწერილი. გოილაძე, ვ. ვახტანგ გორგასალი და მისი ისტორიკოსი. თბილისი 1991, გვ. 43; მ. სანაძე ასკენის, რომ „ქართლის ცხოვრების“ ანტიკური და ადრე შუა საუკუნეების ისტორიის მოთხრობილი ამბების მსოფლიოში ცნობილ ისტორიულ მოვლენებთან სინქრონიზაცია, მოხდა არა საკუთრივ თხზულების პირველმქმნელის ჯუანშერ ჯუანშერიანის მიერ (VI საუკუნის II ნახევარი) არამედ ბევრად გვიან, სავარაუდოდ, XI საუკუნის ისტორიკოს-რედაქტორის ლეონტი მროველის მიერ. სანაძე, მ., ქართველთა ცხოვრება, ნიგნი III, ქართველი მეფეების და პატრიკიოსების ქრონოლოგია (ფარნავაზიდან ამოტ კურაპალატამდე), თბილისი 2016, გვ. 22-23.

ლების ის ფრაგმენტები, რომლებიც მოვიყვანეთ ალექსანდრეს და ვახტანგის თავგადასავლების პარალელუბად, წარმოადგენს მხოლოდ ზღაპრულ ამბებს, მაგრამ მიგვაჩნია რომ ჯუანშერმა ალექსანდრე მაკედონელის თავგადასავლის გავლენით მოგვცა დიდი მეფის, კავკასიელთა გმირის, ძღვევამოსილი რაინდის, ქრისტიანული მისტიციზმით შემოსილი ხელისუფალის სურათი. ის რომ ვახტანგ გორგასლის ისტორიაში რიგი ლეგენდარული ამბები გვიანდელი რედაქტორ-გადამწერის ნაყოფია, ვფიქრობთ, თხზულებას საერთო ხასიათს არ უცვლის. შუა საუკუნეების ქართველი მემატიანეების თუ რედაქტორ-გადამწერებისთვის ალექსანდრე მაკედონელი კვლავ რჩებოდა მისაბაძ გმირად და ძღვევამოსილი, სამართლიანი მმართველის იდეალად, რაც იმ ეპოქის თუ მოგვიანო ხანის მემატიანეთა თხზულებებსა და ლიტერატურულ მემკვიდრეობაში აისახა.

ისტორიული ფიგურის  
ფოლკლორული ტრანსფორმაცია:  
ალექსანდრე მაკედონელი

ანტიკურ პერიოდში ალექსანდრე მაკედონელის შესახებ თხრობის ორი ტრადიცია არსებობს – ისტორიული და ლიტერატურული. ისტორიული ნაწარმოებია ფლავიუს არიანეს (დაახლ. 86-160 წწ.) „ალექსანდრეს ლაშქრობა“ (Anabasis Alexandri), რომელიც ოფიციალურ გადმოცემებს ეყრდნობა: მიმონერებს, კარის დღიურებს, აგრეთვე ლაშქრობის მონაწილეების ნაწერებს. თხრობის ისტორიული ტრადიციის პარალელურად განვითარებულია ლიტერატურული ტრადიციაც, რომლის ფუძემდებლად მიჩნეულია კალისტენე (დაახლ. ძვ.წ. 360-328 წწ.). მან ზღაპრული ამბებით გაამდიდრა ალექსანდრეს ბიოგრაფია და ამით დაუდო სათავე ალექსანდრეს გაიდევალებას მომდევნო საუკუნეების მწერლობაში.

ალექსანდრე მაკედონელის შესახებ შექმნილ ლიტერატურულ ნაწარმოებებში ავტორებს – პლუტარქეს (დაახლ. 46-120 წწ.), კვინტუს კურციუს რუფუსს (დაახლ. I ს.), დიოდოროს სიცილიელს (დაახლ. ძვ. წ. 90-30 წწ.) გამოყენებული აქვთ იგივე მასალა, რაც ისტორიულ თხზულებებში, მაგრამ ისტორია მხოლოდ ფონია ალექსანდრესა და მასთან დაკავშირებული მოვლენების ასახვისთვის. წინა პლანზე სხვა პრობლემატიკაა წამოწეული – უპირველეს ყოვლისა, ფილოსოფიური და ეთიკური. ალექსანდრე ხდება დადებითი ან უარყოფითი მაგალითი. ის არის, ერთი მხრივ, დიდი რეფორმატორი, რომელიც მისაბაძი უნდა იყოს ყველასთვის, მეორე მხრივ, წარმატებით თავბრუდახვეული მანკიერი ტირანი, რომელიც თავისმა მისწრაფებებმა დალუპვამდე მიიყვანა.

ანტიკურ ეპოქაშივე ჩანს ტენდენცია ალექსანდრეს პიროვნების უფრო მეტად დაინტიერესებისა, ვიდრე ისტორიის დაწვრილებითი აღწერისა. ალექსანდრე მაკე-

დონელის ბიოგრაფიის დასაწყისშივე პლუტარქე წერს: „მე ცხოვრებასა ვწერ და არა ისტორიას. დიად ამბებში ყოველთვის ცხადად როდი ჩანს სიკეთე თუ მანკიერება; ერთი პატარა საქმე, ერთი სიტყვა ან მოსწრებული თქმა ხშირად უფრო ნათლად გვიჩვენებს ადამიანის ხასიათს, ვიდრე სისხლისმღვრელი ბრძოლები, დიდძალი ჯარის სარდლობა და ქალაქთა გარემოცვანი“.<sup>141</sup>

ლეგენდები ალექსანდრე მაკედონელზე პლუტარქესთვის არ წარმოადგენს ისტორიულ მასალას, მაგრამ ამ ლეგენდების გავრცელებას, რომლებიც ხალხს სჯერა, პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. პლუტარქეს მიერ აღწერილი ბიოგრაფიის მიხედვით ალექსანდრე იდეალიზებულია. ის არის მეფე-ფილოსოფოსი და მეფე-ესთეტი, მსოფლიოს დამპყრობელი, უნიჭიერესი და დიდსულოვანი ადამიანი. მისი ერთადერთი ნაკლი პატივმოყვარეობაა. სწორედ ამის გამო პლუტარქეს ბიოგრაფიული ჟანრი შუა საუკუნეებში ვერ განვითარდა: ქრისტიანული ლიტერატურისთვის მიუღებელი იყო მოძღვრება კეთილშობილ პატივმოყვარეზე. პლუტარქეს მხოლოდ რენესანსის დროს მიაქციეს ხელახლა ყურადღება.

ანტიკურ ლიტერატურულ ტრადიციაში არ გამოიკვეთა ალექსანდრე მაკედონელის ერთიანი სახე. ის აღტაცებასაც იწვევდა და იმედგაცრუებასაც. ანტიკურ ეპოქაში ალექსანდრეს ორი პოლარული პორტრეტია შექმნილი. მისი სახე ერთდროულად იდეალიზებულიც არის და დაცემულიც.

IV-XVI საუკუნეების ევროპულ და აღმოსავლურ ლიტერატურულ ტრადიციაში ალექსანდრე მაკედონელის შესახებ ლეგენდათა მთელი ციკლი შეიქმნა. ფსევდოკალისტენეს „ალექსანდრიანში“ გამონაგონი ისეთივე საპატიო ადგილს იკავებს, როგორც რეალობა. ფსევდოკალისტენეს რომანში ისტორიული ამოცანები აღარ არის მთავარი. ალექსანდრეს სახით აღფრთოვანება აისახა ფსევდოკალისტენეს „ალექსანდრიანის“ ფენომენალურ გავრცელე-

<sup>141</sup> პლუტარქე: რჩეული ბიოგრაფიები. ძველბერძნულიდან თარგმნა, შესავალი წერილი და განმარტებები დაურთო აკაკი ურუშაძემ. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, 1975, გვ. 383.

ბაში, ეს რომანი არც ისტორიული სიზუსტით გამოირჩევა, არც მაღალმხატვრულობით. ალექსანდრიანის ვერსიებს ეხვდებით იმ ხალხებშიც კი, რომლებთანაც არც ალექსანდრეს ჰქონია შეხება და არც მის ლეგენდებს; დანყებული შორეული ჩრდილოეთიდან შვედური ვერსიით, შუა აზიაში მონღოლურის გავლით დამუშავებულია მალაიზიასა და სხვა სამხრეთაღმოსავლურ აზიურ ენებზე.<sup>142</sup>

ევროპაში ალექსანდრეს რომანი იულიუს ვალერიუსის ლათინური თარგმანის (III-IV სს.) საფუძველზე გავრცელდა და დიდი პოპულარობა მოიპოვა შუა საუკუნეებში. აღმოსავლეთში „ალექსანდრიანის“ პირველ თარგმანს საფუძველად ბერძნული დედანი დაედო. ეს ნაწარმოები ითარგმნა ფალაურ, სირიულ, კობტურ, ეთიოპიურ, სომხურ ენებზე.

ალექსანდრეს რომანის სერბიული ვერსია რუსულ მწერლობაში XV საუკუნეში გაჩნდა. ამ დროისათვის ორი ერთმანეთისგან განსხვავებული ვერსია არსებობდა: ქრონოგრაფიული „ალექსანდრია“ (თარგმნილი არა უგვიანეს XII საუკუნისა), რომელიც ფსევდოკალისტენესეულ ალექსანდრეს მოქმედებათა თარგმანს წარმოადგენს, და სერბიულიდან მომდინარე „ალექსანდრიანი“. XVI საუკუნის რუსეთში იგი არ იყო ფართოდ გავრცელებული, მაგრამ სულ მალე საერო მწერლობის ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ ნაწარმოებად იქცა. XVII-XVIII საუკუნეებში არ არსებობდა თითქმის არცერთი რუსული ხელნაწერი კრებული, რომელშიც არ ყოფილიყო შეტანილი სერბიული „ალექსანდრიანი“.<sup>143</sup> „ალექსანდრიანის“ მოტივები რუსულ ნოველისტურ ზღაპრებშიც არის გადასული.<sup>144</sup>

<sup>142</sup> Gero, Stephen. „The Legend of Alexander the Great in the Christian Orient“. *Bulletin of the John Rylands Library* 75 (1) (1993): 3-9.

<sup>143</sup> ალექსანდრიანი. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, კომენტარები, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო რევაზ მირიანაშვილმა. თბილისი: „მეცნიერება“, 1980, გვ. 4-5; ვაშაკიძე, ვ., მეფეთა ცხოვრება და ბერძნული ალექსანდრიანი, ისტორიული წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევა, თბილისი 1991, გვ. 37-49; *Александрия. Роман об Александре Македонском по русской рукописи XV века*. Издание подготовили М.Н. Ботвинник, Я.С. Лурье и О.В. Творогов, Москва/Ленинград 1965, стр. 5-6; Бертельс, К.Э. Роман об Александре. Москва/Ленинград 1948.

<sup>144</sup> Пропп, В., *Русская сказка*. Москва: „Лабиринт“, 2000, стр. 111.

XVII-XVIII საუკუნეთა მიჯნაზე ქართველმა მეფემ და პოეტმა არჩილმა (1647-1713) ქართულად გადმოთარგმნა რუსულიდან ალექსანდრეს რომანი.

ამგვარად, შუა საუკუნეებში თხრობით ტრადიციას ალექსანდრე მაკედონელის შესახებ სამი წყარო აქვს: ანტიკური, ევროპული და აღმოსავლური. ალექსანდრეს მიმართ ინტერესი სარაინდო იდეალებს უკავშირდება. თვითონ სარაინდო რომანს ბევრი რამ აქვს გამოყენებული ანტიკური ტრადიციებიდან. ბიზანტიურმა რომანმა გავლენა მოახდინა როგორც ევროპულ, ისე მცირე აზიურ, კერძოდ სპარსულენოვან ლიტერატურაზე. სავარაუდოდ, ევროპელი მენესტრელები ჯვაროსნულ ლაშქრობებში სხვადასხვა აღმოსავლურ ფოლკლორულ გადმოცემას უნდა გაცნობოდნენ ალექსანდრეზე. ამ გადმოცემების გავლენა აშკარად იგრძნობა შუასაუკუნეების ევროპულ თხზულებებზე, ისტორიულ თქმულებებზე, ლეგენდებზე, ზღაპრებზე, რომანტიკულ ისტორიებზე და ანექდოტებზეც.<sup>145</sup>

ევროპელი მკითხველი თავის ცნობისმოყვარეობას აღმოსავლეთის ქვეყნების მიმართ იმ მხატვრული ნაწარმოებებითაც იკმაყოფილებდა, რომლებიც ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობებს აღწერდნენ.<sup>146</sup> შუა საუკუნეების სარაინდო რომანის კოსმოპოლიტიური სამყარო გზას უხსნის ალექსანდრეს ევროპულ სივრცეში. სარაინდო ღირსების კოდექსი ყველასთვის სავალდებულოა. ამ რომანების გმირი ალექსანდრე მაკედონელიც სხვა ჯვაროსანი რაინდების გვერდით იბრძვის შორეულ ქვეყნებში. ბერძენი სარდალი არ იპყრობს სხვის მიწებს, არამედ მათ პატრონობს და თავის ვასალებად აქცევს. რაინდობის კოსმოპოლიტიური იდეალები არ არის შემოსაზღვრული

---

<sup>145</sup> Tomkowiak, Ingrid. „Zur Popularität des Herrscherbildes in der Volkserzählung“. Als es noch Könige gab. Forschungsberichte aus der Welt der Märchen. Hrsg. Heinz-Albert Heindrichs, Harlinda Lox. München: Diederichs, 2001, S. 155-168.

<sup>146</sup> Köhler, Ines; Schenda, Rudolf: Alexander-Volksbücher. In: Enzyklopädie des Märchens. Bd. 1. Berlin / New York: Walter de Gruyter, 1977, S. 287-291.

დროითა და სივრცით. ეს იდეალები ანტიკური პერიოდის დამპყრობელზეც ვრცელდება. ადრეულ შუა საუკუნეებში დასავლეთ ევროპაში ისტორიას ახალი კანონზომიერებები აქვს: ნარსული მჭიდროდ უკავშირდება თანამედროვეობას და მისი მსგავსია. შუა საუკუნეების ქრონიკის სამყარო კოსმოპოლიტიურია და საკუთარი ქვეყნების ისტორია თავისუფლად ეწერება მსოფლიო ისტორიაში.<sup>147</sup>

ანტიკური გმირები შუა საუკუნეების ლიტერატურაში რაინდებად შემოდიან, როგორც ბარონები და გრაფები, რომელთა შორის ალექსანდრე მაკედონელი ყველაზე მეტად პოპულარულია. სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ შუა საუკუნეების მოთხრობები ალექსანდრეს ლაშქრობების შესახებ მთლიანად ისტორიზმს ექვემდებარება და მორალურ-რელიგიური თვალსაზრისისა ც არის შეფასებული, შემდგომ ეპოქებში კი თხრობა უფრო სათავგადასავლო ხასიათს იღებს და ბოლოს ხალხურ წიგნებში (folk literature) გადადის.<sup>148</sup>

ხალხური წიგნების ტრადიციამ უამრავ ქვეყანაში შემოინახა ხსოვნა ალექსანდრე მაკედონელის ზღაპრულ თავგადასავლებზე. საბერძნეთში უწყვეტი გადმოცემები არსებობს ფსევდო-კალისტენეს ტექსტიდან მოყოლებული ვიდრე XX საუკუნის ბერძნულ ლიტერატურამდე: XVI-XX საუკუნეებში პოემა ალექსანდრეზე არანაკლებ 14-ჯერ, ხოლო პროზაული ვერსია 43-ჯერ გამოიცა ფართო მკითხველისთვის. ალექსანდრეს რომანი მრავალჯერ დაიბეჭდა საფრანგეთში, ესპანეთში, გერმანიაში, შვედეთში, იტალიაში, რუმინეთში, პოლონეთში, ჩეხეთში, რუსეთში და სხვ.<sup>149</sup>

<sup>147</sup> Tomkowiak, Ingrid. „Herrschaft, Herrscher“. Enzyklopädie des Märchens. Handwörterbuch zur historischen und vergleichenden Erzählforschung. Bd. 6. Berlin/New York: Walter de Gruyter, 1990, S. 894-916.

<sup>148</sup> Костюхин, Евгений Алексеевич: Александр Македонский в литературной и фольклорной традиции. Москва: „Наука“, 1972, с. 42.

<sup>149</sup> Köhler, Ines; Schenda, Rudolf: Alexander-Volksbücher. In: Enzyklopädie des Märchens. B. 1. Berlin / New York: Walter de Gruyter, 1977, S. 287-291.

ალექსანდრეს თავგადასავლებში უამრავი ფოლკლორული მოტივი შევიდა, განსაკუთრებით ზესკნელსა და ქვესკნელში გამგზავრება უკვდავების საძებნელად. მეცნიერთა აზრით, ეს წარმოდგენები ქრისტიანული რელიგიის გავლენის ქვეშ არის მოქცეული, მაგრამ უფრო ადრინდელია თავისი წარმოშობით. ეს არის ზღაპრული წარმოდგენები ქვესკნელის სამეფოზე: უფრო მკვეთრად არის გამოხატული ეს წარმოდგენები ეპიზოდებში, სადაც ალექსანდრე ჩადის ბნელ მღვიმეში და პოულობს ოქროს სიბნელეში. ალექსანდრეს მეომრები ვერ ხედავენ სიბნელეში, რომ ქვები ოქროსია, გადაყრიან და მერე ნანობენ. ჯადოსნური ქვები, რომლებიც ბნელ სამეფოშია, გამოძახილია რწმენისა გარდაცვლილთა სამეფოზე, სადაც ყველაფერს ოქროსფერი დაკრავს. ცნობილია, რომ ბულგარულ ხალხურ გადმოცემებსა და სიმღერებში აღწერილ ალექსანდრეს ღვთაებრივ დაბადებასა და ბრძოლებს უფრო მეტი საერთო აქვთ ფოლკლორულ სიუჟეტებთან, ვიდრე ლიტერატურულ წყაროებთან. ფოლკლორული გაფორმება არ არის შემთხვევითი არც სერბულ და რუსულ ალექსანდრიანში: ძველ რუსულ ლიტერატურაში მთელი სფეროები იყო, სადაც ფოლკლორული წარმოდგენები ბატონობდა, სადაც შენარჩუნებული იყო ფოლკლორული ასახვის პრინციპები.

აღსანიშნავია, რომ ევროპულ ფოლკლორში ისტორიულ პირთა სახეები, მაგალითად, ალექსანდრე მაკედონელის, პოლგერ დანსკეს, კრალი მარკოს, მათიას კორვინუსის, ჰარუნ-ალ-რაშიდის, ფრიდრიხ დიდის, ნაპოლეონის – ურთიერთმსგავსია და ერთმანეთის ამბებსაც იმეორებენ.<sup>150</sup> საერთაშორისო სიუჟეტები თავის ისტორიულ განვითარებაში ერთი ჟანრიდან შეიძლება გადავიდნენ მეორეში, მაგალითად, მითოლოგიური გადმოცემიდან – ზღაპარში

---

<sup>150</sup> Tomkowiak, Ingrid. „Zur Popularität des Herrscherbildes in der Volkserzählung“. Als es noch Könige gab. Forschungsberichte aus der Welt der Märchen. Hrsg. Heinz-Albert Heindrichs, Harlinda Lox. München: Diederichs, 2001, S. 155-168.

ან ლეგენდაში. თუმცა სიუჟეტების მონაცვლეობასაც თავისი კანონზომიერება აქვს. როგორც წესი, მითოლოგიური სიუჟეტი იმ შემთხვევაში იქცევა ზღაპრად, როდესაც ის თავის აქტუალობას კარგავს. ალექსანდრეს როგორც ნოველისტური ზღაპრის გმირი სრულებით განსხვავებულია ალექსანდრესგან როგორც ლიტერატურულ გმი-



[5] ალექსანდრე მაკედონელის ცხოვრება, 1800 წ.,  
„ალექსანდრესგან იოანთეს მიმართ კითხვა იყო“. S3619, 150რ.

რისგან: ლიტერატურაში მისი ზღაპრული, ფანტასტიკური თავგადასავლებია აღწერილი, ზღაპარში კი უბრალო მოკვდავის თვისებები და ადამიანური სისუსტეები.

ისკანდერის პოეტური სახე აღმოსავლეთის ქვეყნებში X-XI საუკუნეებიდან განვითარდა. ამ დროისთვის გაიზარდა ძველი ქრონიკებისადმი ინტერესი, რამდენადაც ისინი ბრწყინვალე გამარჯვებებსა და წარმატებებს გადმოსცემდნენ და ხოტბას ასხამდნენ მმართველებს. ალექსანდრე მაკედონელი ჩნდება ფირდოუსის პოემა „შაჰ-ნამეში“ (940-1020 წწ.), რომელშიც ირანის მეფეების ისტორიაა გადმოცემული. ისკანდერი ფირდოუსის ნაწარმოებში ირანის კანონიერი შაჰია, რომელმაც სახელი გაითქვა ლაშქრობებით. ამ ლაშქრობების ისტორიას პოეტი ძირითადად ფსევდო-კალისტენეს მიხედვით გადმოსცემს, თუმცა ბევრი ახალი ეპიზოდი აქვს ჩართული. ისკანდერის ასახვისას ფირდოუსი ორიენტირებულია ნორმებზე, რომელიც ხალხური ეპოსისთვის არის დამახასიათებელი: გმირი უსაზღვროდ თვითდარწმუნებულია, როგორც მისი თანამედროვე სხვა ეპიკური გმირები, თუნდაც „შაჰ-ნამეს“ სხვა პერსონაჟები.<sup>151</sup>

ალექსანდრე მაკედონელი ჩნდება სპარსელი პოეტის ნიზამი განჯევის (1141-1209) თხზულებებში. ნიზამის პოემაში შევიდა ის გადმოცემები ისკანდერზე, რომელმაც აღმოსავლეთის ბევრი ხალხისთვის არის ცნობილი, და განსაკუთრებით პოპულარული მათგან არის გადმოცემა ისკანდერის რქების შესახებ.<sup>152</sup> ნიზამისთან გვხვდება იგავი ისკანდერის ანდერძზე, რომლის თანახმად ის ანეული ხელით უნდა დაემარხათ, მუჭში მინით. ეს იგავი გვხვდება აზერბაიჯანულ და ყაზახურ ფოლკლორშიც. ძნელია თქმა, არსებობდა თუ არა ეს ლეგენდა ნიზამამდე, ანდა

<sup>151</sup> Ashraf, Ahmad. „Iranian Identity iii. Medieval Islamic Period“. Encyclopaedia Iranica. 2012. <http://www.iranicaonline.org/articles/iranian-identity-iii-medieval-islamic-period>

<sup>152</sup> Rzasoy, Seyffadin G. „Alexander the Great in Azerbaijan's Literature and Folklore“. Visions of Azerbaijan 2010, pp. 80-84. <http://www.visions.az/literature,219/>

ეკუთვნის თუ არა ეს თვითონ პოეტს, მაგრამ თვითონ ფაქტია საინტერესო – ნიზამის პოემა კავშირშია ფოლკლორთან. ეს იგავი მსგავსია პოემის ერთ-ერთი ძირითადი იდეისა – მინიერი არსებობის ამაოება. ხალხურმა იგავებმა თავისი წვლილი შეიტანეს პოემის იდეურ შინაარსში. სრულიად კანონზომიერია, რომ ფოლკლორულ ჟანრთაგან ნიზამისთან ყველაზე მეტად იგავები გვხვდება, რამდენადაც ამ ჟანრის ღია დიდაქტიკა ყველაზე მეტად პასუხობს პოემის ამოცანებს. ნიზამი ადამიანური ცხოვრების იდეალს ხატავს, განსაზღვრავს მის აზრს. ნიზამის ტრადიციას მიჰყვებიან სხვა პოეტებიც: ამირ ხოსროვი (1253-1325 წწ.), ჯამი (1414-1492 წწ.), ნავოი (1441-1501 წწ.). პოეტებს იზიდავს არა ბერძნული რომანი, არამედ ნიზამის ფილოსოფიური შინაარსი. ალექსანდრეს გამოგონილი ამბავი მოხერხებულ სქემად გადაიქცა, რომელიც შეიძლება სხვადასხვა იდეით შეივსოს.

საქართველოში ორივე ლიტერატურული ტრადიცია, აღმოსავლურიც და ევროპულიც, პოპულარულია შუა საუკუნეებში. ზოგიერთ ქართულ საისტორიო ქრონიკაში ალექსანდრეს მოხსენიება ისქანდერის სახელით ადასტურებს იმას, რომ ქართველ მემკვიდრეებს ალექსანდრიანის აღმოსავლური ვერსიებიც (მაგალითად, სომხური, სპარსული, სირიული) უნდა ჰქონოდათ ხელთ.<sup>153</sup>

მიუხედავად იმისა, რომ ქართული თარგმანი „ალექსანდრიანისა“ XVIII საუკუნეზე ადრინდელი არ მოგვეპოვება, ალექსანდრე-ისქანდერის სახელის მოხსენიება სხვადასხვა სახის ლიტერატურულ ტექსტსა თუ საისტორიო ქრონიკაში იმაზე მეტყველებს, რომ შუა საუკუნეების საქართველოში ალექსანდრე მაკედონელის შესახებ ლეგენდები უცნობი არ იყო.

ქართულ ფოლკლორში ალექსანდრე მაკედონელის ფიგურა მხოლოდ ნოველისტურ ზღაპრებში ჩნდება. ამ მიზე-

<sup>153</sup> გოგოლაძე, ა. ფსევდოკალისტენეს „ალექსანდრიანის“ მემკვიდრეობა ძველ ქართულ მწერლობაში („ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა“). თბილისი: „მერიდიანი“, 2008, გვ. 34.

ზის ახსნა თხრობითი ჟანრების სპეციფიკაში უნდა ვეძიოთ.

ფოლკლორის თხრობითი ჟანრებიდან ნოველისტური ზღაპარი პერსონაჟების ასახვის მრავალფეროვნებით გამოირჩევა. მიუხედავად იმისა, რომ ნოველისტური ზღაპარი ისეთივე მკაცრ ეპიკურ კანონებშია მოქცეული, როგორც ზეპირსიტყვიერების სხვა ჟანრები, მისი პერსონაჟები ლიტერატურული გმირების მსგავსად სხვადასხვა ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში გვევლინებიან. სიუჟეტთა საერთაშორისო საძიებელში ჯადოსნური ზღაპრების მხოლოდ 450 ტიპი არსებობს, ნოველისტური ზღაპრებისა და ანექდოტების ტიპები კი 1000-ზე მეტი. თუ ჯადოსნური ზღაპრის მთავარი გმირების უმრავლესობა ერთმანეთს ჰგავს, ნოველისტური ზღაპრისა და ანექდოტების პერსონაჟები სხვადასხვა ხასიათითა და მორალით გამოირჩევიან. მაშინ, როცა ხალხურ ჯადოსნურ ზღაპარში სრულიად გამორიცხულია გმირის ინდივიდუალობის ასახვა, ნოველისტური ზღაპარი მთქმელს მეტი იმპროვიზაციის შესაძლებლობას აძლევს. ჯადოსნური ზღაპარი „ინტერნაციონალურია“, რომლის სტრუქტურა, მოტივები და თემატიკა საერთოა ინდოევროპული და მისი მეზობელი ქვეყნების კულტურის წრეში. ამის საპირისპიროდ, ხალხური ნოველები ორიგინალობით გამოირჩევიან.

ნოველისტური ზღაპარი ფოლკლორისტიკაში ტრადიციულად განმარტებულია როგორც რეალისტური მოთხრობა საყოფაცხოვრებო თემაზე. ალექსანდრე ლლონტის განმარტებით, ხალხური ნოველის სიუჟეტი იშლება ჩვეულებრივ გარემოში, სადაც მოქმედებენ ცოცხალი ადამიანები. ხალხური ნოველის შინაგანი შინაარსი ადამიანის ამქვეყნიური ცხოვრების კონკრეტული მოვლენებია, საზოგადოებრივ ურთიერთობებში, სოციალურ კლასთა დამოკიდებულებაში რომ მყლავნდება, ხოლო გარეგანი მხარე – მისი ფორმაა თხრობისა. ამ ფორმას თვით შინაგანი შინაარსი განსაზღვრავს.<sup>154</sup> თეიმურაზ ქურდოვანი-

<sup>154</sup> ლლონტი, ალ. ქართული ხალხური ნოველა. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, 1963.

ძე ხალხურ ნოველას ასე ახასიათებს: საყოფაცხოვრებო უანრის ზღაპრების სპეციფიკა ის არის, რომ ისინი მოგვითხრობენ რეალურად შესაძლებელ, მაგრამ მაგრამ „რალაციით“ განსაკუთრებულ ამბებებს. საყოფაცხოვრებო ზღაპარში „პერსონაჟებად გამოყვანილი არიან ჩვეულებრივი, ოღონდ გარკვეულნილად უცნაური ქალები და კაცები. ისინი დასახლებული არიან ყოველდღიურ ყოფასთან მიმსგავსებულ სამყაროში“.<sup>155</sup>

ნოველისტური ზღაპრების ტიპებში ლიტერატურული გავლენა ადვილი შესამჩნევია. ალექსანდრე მაკედონელის ნოველისტური ზღაპრის პერსონაჟად ქცევას სწორედ ლიტერატურული ტრადიცია განაპირობებს. ასევე ხდება სხვა ლიტერატურული მოტივების ფოლკლორში გადასვლის შემთხვევაშიც. ფოლკლორული პერსონაჟი იმავე თვისებებს ამჟღავნებს, რასაც მისი ლიტერატურული პროტოტიპი.

პირველი ჩანაწერები ხალხური ნოველებისა ალექსანდრე მაკედონელზე XIX საუკუნიდან გვაქვს. „კავკასიის ადგილთა და ტომთა აღწერის მასალათა კრებულში“ (Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа) 1890 წლის №10 გამოშვების III განყოფილებაში დაბეჭდილია ქართლში ჩანერილი ორი ტექსტი.

ერთი ჩანაწერი გადმოგვცემს გაქვავებული ქალაქის ამბავს, რომლის შესახებაც ალექსანდრე მაკედონელმა სოლომონ ბრძენისგან შეიტყო. ალექსანდრე ჯარით შევიდა ამ ქალაქში და გაქვავებული მეფე-დედოფალი ნახა. დედოფალს თითებში წერილი ჰქონდა: „ყველაფერი წაიღონ, მხოლოდ გვირგვინი ღვთისაა“. ალექსანდრემ ხელი არ ახლო გვირგვინს. შემდეგ ხმელეთის მპყრობელმა ალექსანდრემ ზღვის დამორჩილებაც მოინდომა. ზღვაში ჩალა ჩაყარა, ცეცხლი წაუკიდა და ასე დაიმორჩილა. ზღვის პატრონმა ალექსანდრეს სამი მარცვალი მისცა: ერთს თუ შეჭამდა, გაახალგაზრდავდებოდა, მეორეს შეჭამდა – ბრძე-

<sup>155</sup> ქურდოვანიძე, თ. ქართული ზღაპარი. თბილისი: „მერანი“, 2002, გვ. 194.

ნი გახდებოდა, მესამეს კი შეეძლო ექიმად ექცია. ალექსანდრემ ხაბაზს უბრძანა ამ მარცვლებით პური გამოეცხო. საუბედუროდ ხაბაზს, რომელმაც არ იცოდა მარცვლების მაგიური ძალის შესახებ, გამომცხვარი პურები ნაცარში ჩაუცვივდა, მეფეს აღარ გაუგზავნა და მათხოვარს მისცა. ალექსანდრემ სხვა პური შეჭამა და ჯადოსნურმა ძალამ რომ არ იმოქმედა, ხაბაზი დაიბარა. ხაბაზის მეშვეობით ალექსანდრემ გაახალგაზრდავებული და დაბრძენებული მათხოვარი მოძებნა და სასახლის ექიმად დააყენა. მან სიკვდილის დღეც კი უნინასწარმეტყველა ალექსანდრეს. მაკედონელის სიკვდილის შემდეგ ხალხმა ეს ბრძენი აიყვანა ტახტზე (ჩანერილია გორის მაზრის სოფელ ქინნისში სოლომონ გულიშვილისგან, ჩამწერი გორის სამასწავლებლო სემინარიის მონაფე პავლე პრიხნია).<sup>156</sup>

იმავე კრებულში დაბეჭდილი მეორე ტექსტი ალექსანდრე მაკედონელზე მოგვითხრობს, თუ როგორ დაიმორჩილა მან ქვეყნის სამი ნაწილი. როცა მეოთხე ნაწილის დაპყრობაც მოინდომა, რომელშიც ლარიბები ცხოვრობდნენ, მოფრინდა ანგელოზი და ურჩია: „ამ ქვეყანას ხელს ნუ ახლებთ, თორემ თავები წაგეცლებათო“. ალექსანდრემ არ დაუჯერა. ამის გამო მის ჯარისკაცებსა და პირად ამალას უჩინარმა ძალამ თავები წააცალა, ლარიბთა ქვეყნის მკვიდრებმა კი ალექსანდრე ქვებით ჩაქოლეს (ჩანერილია გორის სამასწავლებლო სემინარიის მონაფის, ვინმე სურკოვის მიერ).<sup>157</sup>

ალექსანდრე მაკედონელის პერსონაჟი ქართულ ხალხურ ნოველაში თავნება და ხარბია. 1930-იან წლებში ჩანერილ ერთ ქართულ ნოველისტურ ზღაპარში აღწერილია, თუ როგორ ემორჩილებოდა ალექსანდრეს მთელი ქვეყანა: დასავლეთი და აღმოსავლეთი, ჩრდილოეთი და სამხრეთი. მაგრამ მისი გული მაინც არ დაკმაყოფილდა.

<sup>156</sup> СМОНПК 1890, №10, III, ქართული გადმოცემები და ზღაპრები. გვ. 37-44.

<sup>157</sup> СМОНПК 1890, №10, III, ქართული გადმოცემები და ზღაპრები. გვ. 44.

ალექსანდრემ გადანყვიტა, ცაზე კიბე მიედგა და მინა გაეთხარა, რათა მთელი სამყაროს ბრძანებელი გამხდარიყო. ცაზე ასვლა ვერ შეძლო, მაგრამ მინისქვეშა ქვეყნების დაპყრობის სურვილი კვლავ არ ასვენებდა. მეფემ ისიც იცოდა, რომ მის ამ გადანყვიტებას მოხუცებულები შეენინააღმდეგებოდნენ და ბრძანება გასცა, ახალგაზრდებს თავები მოეკვეთათ თავიანთი მამებისთვის და სამუშაოდ გამოცხადებულიყვნენ. ამასთან, დაეფიცებინათ: „მამაჩემი მინის ზემოთ არ დამიტოვებიაო“. ერთმა მოხუცებულმა კაცმა შეიღს უთხრა: „ჩემი სიმაღლე მინა მოთხარე, ჩამაგდე შიგ და დაიფიცე, რომე მამაჩემი მინის ზემოთ არ დამიტოვებია თქო და შენ რომ ნახვალ, მეც იქ მოვალ. იმ სულელ მეფეს ვირი უფრო ჭკვიანი ჰყავს, ვიდრე თვითონ არის. სამუშაოზე საჭმელი ვირით წაიღე და მინის თხრას რომ დაინყებთ, მისი ჩოჩორი მალლა დატოვე დაბმული. ვირი კი, სადაც მუშაობთ, იქ გააჩერე. როცა მინას ამოთხრით და იქიდან სიმყრალის სუნი ამოვა, ვირს სუნი შეანუხებს და გაიქცევა. შენ წაატანე კუდზე ხელი და ამოგიყვანს. თუ გინდა, შენი სულელი მეფეც ამოიყვანე“.

ბიჭი ისე მოიქცა, როგორც მოხუცმა მამამ დაარჩია. როცა მინიდან სიმყრალის სუნი ამოვიდა, ვირი ზემოთ ამოხტა და ბიჭიც და მეფეც თან ამოიყოლა. დანარჩენები მინაში დარჩნენ და დაიღუპნენ. მხოლოდ მამა-შვილი და მეფე გადარჩა. მეფემ რომ გაიგო, ბიჭი მამის დარიგებული იყო, უთხრა: ასეთი ჭკვიანი მამა თუ გყავდა, რატომ მოკვეთე თავიო. ბიჭმა გადარჩენილი მამა მიუყვანა. მეფემ მოხუცს მადლობის ნიშნად ნახევარი სახელმწიფო შესთავაზა. მოხუცებული გაბრაზდა და უპასუხა: „შენ სად გაქვს სახელმწიფო? თუ მკვდრების ქვეყანას მაძლევ, რად მინდა? სანამდე ხალხი დაიხოცებოდა, მანამდე რატომ არ მომეცო?“

მამინ მეფემ ფული შესთავაზა. მოხუცმა ჯიბიდან კაცის გამხმარი გული ამოიღო, მინაზე დადო და უთხრა: „ბევრს არაფერს გთხოვ, ეს გული რომ დაფაროს, იმდენი ფული მომეცი“.

მეფემ ფული დააყარა გულს, მაგრამ გული ზემოთ ამოხტა. კიდევ დააყარა ფული, მაგრამ გული ისევ ზემოთ ხტებოდა. მთელი ხაზინა მოატანინა, მაგრამ გული მაინც ვერ დაფარა.

მოხუცმა გაიცინა და თქვა: „ხომ ხედავ, ეს კაცის გამხმარი გულია, ამას ერთი მუჭა მინა დაფარავს, მეტი არაფერი. შენ რომ მთელი ქვეყანა გქონდა, ქვესკნელში რალა გინდოდა, რომ მინას თხრიდი?“ მოხუცმა გულს მინა დააყარა და მაშინვე დაიფარა. ასეა ადამიანი – მისი გული ვერაფრით დაკმაყოფილდება, მაგრამ ერთი მუჭა მინა ყველაფერს დაავეინყებს.<sup>158</sup>

ალექსანდრე მაკედონელი ასევე უარყოფითი თვისებებით არის წარმოდგენილი სხვა ნოველისტურ ზღაპარში (1960-იან წლებში ჩანერილი ტექსტი). „მაკედონელის ზღაპარში“ მოთხრობილია სხვა ისტორია ალექსანდრეზე, მაგრამ იგივე მორალური სახით – ძლიერი, მაგრამ გაუმადლარი მეფე:

მაკედონელი იყო სასტიკი მებრძოლი იყო. ერთხელ ბრძენს უთხრა, რომ ომი სურდა. ბრძენმა უპასუხა, რომ ერთი სახელმწიფო არსებობდა, სადაც ვერავინ შევიდოდა. მარტო მაშინ შეაღწევდა ვინმე, კლდეს თუ გაჭრიდა, რადგან ეს სახელმწიფო გაქვავებული იყო. მაკედონელმა დაუნყო ჭრა კლდეს. ათი წელიწადი ჭრა, ბოლოს გაჭრა და შევიდა. ჭიშკარში ება ცხენი, გაქვავებული. ზედ ეწერა ჭიშკარს: მარჯვნივ შემოატრიალებ ცხენს – გაიღება, მარცხნივ – დაიკეტება. შევიდენ ქალაქში და დაინყეს სიმდიდრის გამოზიდვა. ხელმწიფის სასახლეში ეწერა: „ყველაფერი წაიღეთ, ოღონდ ხელმწიფის გვირგვინს ნუ ახლებთ ხელსო“. ველარ გაძლა მაინც მაკედონელი და წაატანა დედოფლის გვირგვინს ხელი. ხელმწიფის უკან ხმლიანი კაცი იდგა, დედოფლის უკან კი კომბლიანი კაცი. როგორც კი წაატანა ხელი გვირგვინს, მაკედონელს კომბალი მოხვდა, დაეცა და ცოცხალ-მკვდარი ძლივს მოაბრუნეს.

<sup>158</sup> ლლონტი, ალ. გურული ფოლკლორი. თბილისი: „თსუ გამომცემლობა“, 1937, გვ. 203-204.

როცა მაკედონელმა სიმდიდრე შინ ნამოილო, კიდევ უთხრა ბრძენს, ომი მინდაო. ვერ ძლებოდა ამდენი სიმდიდრით. ბრძენმა ურჩია, ზღვა დაეპყრო. მაკედონელმა გადაასხა ზღვას ნავთი და ნაუკიდა ცეცხლი. შემოუთვალა ზღვის ხელმწიფემ: „რა გინდა ჩვენგან, ნაილე საჩუქარი, ოლონდ უჰაეროდ ნუ დაგვხოცავო. ერთ რამეს გაჩუქებ და მოგვეშვიო“. გამოუგზავნა პურის ფქვილი. ეს ფქვილი გაახალგაზრდაეების ნამალი იყო. მაგრამ მეპურემ პური კარგად ვერ გამოაცხო, თონეში ჩაუცვივდა, ამიტომ ადგა და მეფეს სხვა პური მიართვა. მაკედონელმა შეჭამა, მაგრამ ვერ გაახალგაზრდავდა. დაიბარა მეპურე და უბრძანა სიმართლე ეთქვა. მეპურემ აღიარა: „ის პურები ვერ გავაჩერე თონეზე, ჩაუცვივდა და ჩემი პური მოგართვიო. ის პურები კი მათხოვარმა ჩამოიარა და მივეციო“.

როცა მაკედონელი ავად გახდა, ბრძენს ჰკითხა, როდის მოვკვდებიო? ბრძენმა უპასუხა: „შენ მაშინ მოკვდები, როცა მიწა რკინად იქცევა და ცა სპილენძადო“. მაკედონელმა მოითხოვა ბალში ჩასვლა. იქ ჰქონდა გაკეთებული მიწა რკინად და ცა სპილენძისა. დაინახა და ეგონა, მართლა მიწა რკინად გადაქცეულა და ცა სპილენძად და მოკვდა“ (ფოლკ. არქ. I 15024).

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ალექსანდრე მაკედონელი როგორც ფოლკლორული პერსონაჟი ნაკლებად მომხიბვლელია, ვიდრე ალექსანდრე მაკედონელი როგორც ლიტერატურული გმირი, მაგალითად, სირიულ ფოლკლორში ნოველისტური ზღაპრები ატარებენ საგმირო და ჯადოსნური ზღაპრებისთვის დამახასიათებელ ელემენტებს და იქ ალექსანდრეს სახეც ჰეროიკულია.<sup>159</sup> ეს სრულიად ბუნებრივია, რადგან ნოველისტური ზღაპრის პერსონაჟი ძალიან დაშორებულია შუასაუკუნეების რაინდობის იდეალს. არის იშვიათი შემთხვევები, როცა ალექსანდრე მაკედონელი ჯადოსნური ზღაპრის

<sup>159</sup> Костюхин, Евгений Алексеевич: Александр Македонский в литературной и фольклорной традиции. Москва: „Наука“, 1972, стр. 150.

გმირია. ჩრდილოკავკასიურ, კერძოდ, ოსურ ფოლკლორში გვხვდება ერთი ჯადოსნური ზღაპარი ალექსანდრე მაკედონელზე. ტექსტი სტრუქტურულად ჯადოსნური ზღაპრის სქემაზეა აგებული, მოტივებში საგრძნობია ლეგენდების გავლენა, ფინალი კი სხვა ნოველისტური ზღაპრების მსგავსია.

შორეულ წარსულში ცხოვრობდა ერთი ხელმწიფე ალექსანდრე მაკედონელი, რომელსაც ერთი გიჟი კვიცი ჰყავდა და ვერავინ ბედავდა მის გახედვნას. ხელმწიფემ საუკეთესო ცხენოსნები დაიბარა, მაგრამ ვერავინ მოახერხა კვიცის დამორჩილება. ბოლოს ხელმწიფემ გადაწყვიტა, თვითონ გაეხედნა თავისი ცხენი. აბრეშუმის თოკი შემოიხვია წელზე და წელ-წელა, ფერებ-ფერებით მიუახლოვდა ცხენს. მერე ერთი ისკუპა და ელვის უსწრაფესად კისერზე ჩამოეკიდა. დიდი ბრძოლის შემდეგ ცხენი ადამიანის ენით დაელაპარაკა: „ვარგებულხარ მხედრად და მეც გამოგადგები მერნად. ახლა კი სამი დღით გამიშვი იალალზე თავისუფლად. მერე როცა ჩემი თავი დაგჭირდეს, კვესი ჩამოჰკარი და აბედს მოუკიდე. სადაც არ უნდა ვიყო, აბედის სუნი მეცემა და შენთან გაეჩნდები.“ წავიდა ცხენი საბალახოდ. ხელმწიფე კი შევიდა თავის სასახლეში მოსასვენებლად.

ერთხელ აღმოსავლეთის ხელმწიფე დიდი ჯარით მოადგა ალექსანდრე მაკედონელის სახელმწიფოს საზღვარს და ხარკის გადახდა უბრძანა. ალექსანდრემ უპასუხა, რომ მეორე დღეს ბრძოლის ველზე შეხვედროდნენ. მან თავის ცხენს მოუხმო და დახმარება სთხოვა. ცხენმა იმედი მისცა.

მეორე დღეს საომრად გამონყობილი ალექსანდრე და მისი ჯარი მტრის შესახვედრად გაემართნენ. ალექსანდრემ მოწინააღმდეგე ხელმწიფეს შუაკაცები მიუგზავნა მოსარიგებლად და ასე დააბარა: „მე ჯერ ახალგაზრდა ვარ და, ომი რა არის, არც მინახავს. არც ვაპირებ შენთან შებრძოლებას, სად გაგიმკლავდები! ხარკის სრულად გადახდა ჩემს სახელმწიფოს არ შეუძლია. შეგვიძლია ჩვენი

ქონების მებათედი მოგცეთ და თავი დაგვანებე. თუ ამ პირობაზე არ დაგვეთანხმები, ჩემი ჯარის განწყევტას მირჩევნია, მე მომკლა. ჩემი სიკვდილის შემდეგ, ჩემი სახელმწიფოც შენ დაგრჩება და ჩემი ჯარიც. მხოლოდ ასე შევთანხმდეთ: ჩემს ჯარს შენი ჯარიდან მოშორებით დავაყენებ. მე თვითონ ცხენით გეახლები და ნიშანზე დაგიდგები. სამჯერ მესროლე შენი საომარი ისარი. თუ მომარტყავ და მომკლავ, შენ დაგრჩება ჩემი სახელმწიფო. მე კი იქვე დამმარხე, სადაც სული ამომძვრეს. ხოლო თუ შენს სამსროლას გადავურჩი, მაშინ მეც მომეცი ორჯერ სროლის ნება. მეტს არაფერს არა გთხოვ-თქო”.

ხელმწიფემ მიხვდა, რომ რალაც ეშმაკობა იმალებოდა ალექსანდრეს დანაბარებში, მაგრამ მაინც დათანხმდა ორთაბრძოლას.

როცა შუაკაცებმა გადასცეს მისი პასუხი ალექსანდრე მაკედონელს, მან თავისი ცხენი იხმო და ამ მორიგების ამბავი უთხრა. ნუ გეშინიაო, დაიმედა ცხენმა. მარცხენა ყურში შეუშვა ალექსანი და მარჯვნიდან გამოუშვა. იგი საუკეთესოდ აღჭურვილ მეომრად იქცა: შეჯავშნული ფარით, შუბით, მშვილდ-ისრით შეიარაღებული.

ორთაბრძოლა გაიმართა. მოწინააღმდეგე ხელმწიფემ სამჯერ ესროლა ალექსანდრეს მშვილდ-ისარი, მაგრამ ააცდინა. გადარჩენილმა ალექსანდრემ აღმოსავლეთის ხელმწიფეს წინ ისრის ნამტვრევები დაუყარა და უთხრა: „მიპატიებია ეგ შეცდომა და არ მოგკლავ. დიდი სახელმწიფო გაბარია და შენს ხელქვეითმყოფ ხალხს უსაქმურობას ნუ შეაჩვევ. ომს შეეშვი, მინის დამუშავებაზე დასაქმე ხალხი, ჭირნახული მოიყვანე, საქონელი მოამრავლე, შენ თვითონ გადამიხდი იმდენ ხარკს, რაც მე შემომითვალე. თუ სახელმწიფოში მშვიდობა არ გექნება და სამჯერ გირჩივლებენ ჩემთან, მაშინ კი დაგსჯი!“

ის დღე ალექსანდრე მაკედონელისათვის მეორედ დაბადების დღე იყო – მთელ დედამიწას მოედო მისი სახელი. მისი გონიერების, გულკეთილობის, ვაჟკაცობის ამბავი მთელმა ქვეყანამ შეიტყო.

კაცის თვალი ვერაფრით გაძლება და მაკედონელსაც აღარ აკმაყოფილებდა, რაც მოიპოვა: სულ მეტ და მეტ ქვეყნებს იმორჩილებდა. სულ მოკლე ხანში ლამის ყველა სახელმწიფო დაიპყრო. მერე როგორც იყო, იფიქრა სახლში მობრუნება. როდესაც გზაში დასასვენებლად შეჩერდა მდინარის ნაპირზე, წყალი მოეწონა და მდინარის სათავეს პოვნა ისურვა. რამდენიმე მეომართან ერთად აუყვია მდინარეს და საღამოს ერთ მაღალ სასახლესთან მივიდნენ. სასახლეს ირგვლივ ხმლის პირები ჰქონდა დატანებული და ორმაგი რკინის კარები ჰქონდა. მის კართან მარტო ერთი კაცი იდგა შუბით, რომელმაც ალექსანდრე შიგნით არ შეუშვა. მისმა თვალებმა ისე შეამინეს ალექსანდრე, რომ კინალამ ცხენიდან ჩამოვარდა. ცხენიც აკანკალდა. ალექსანდრე მაკედონელმა უკან დაიხია და მხოლოდ ეს ჰკითხა: „ის მაინც მასწავლე, რა გააძღობს კაცის თვალს“. მეკარემ ადამიანის თვალის ბუდე გადმოუგდო და უთხრა: „ნაილე ეს და სასწორზე დადე, მაგისი წონა გააძღობს მხოლოდ კაცის თვალს“.

ალექსანდრე ჯიბეში ჩაიდო თვალი და წამოვიდა. როცა თავის ბანაკს მიაღწია, სასწორი მოითხოვა და ცალ მხარეს ეს ძვალი დასდო, მეორე მხარეს თავისი მშვილდი. უყურებს და ძვრაც ვერ უყო მშვილდმა იმ პატარა თვალს. ბოლოს მაჭიდონმა თავისი ხმალიც დაანონა, მაგრამ ვერც ამან გადმოსძლია ის ერთი ბენო თვალის ბუდე. ამ სანახაობას უამრავი ხალხი მოაწყდა. ბოლოს ერთმა მოხუცმა კაცმა აიღო თვალის ბუდე, მიწით გამოტენა, ეს მიწა სასწორის ცალ მხარეს დაცალა და მეორე მხარეს თვალი დაუდო. და ჰოი, საკვირველებავ! სასწორი შექანდა, მალლა აისროლა თვალი, მიწა კი ძირს თავის ადგილზე დაიპნა.

კაცის თვალს მიწის მეტი არაფერი გააძღობს! თვალი რაც მეტს ხედავს, მეტი უნდა. როცა მოკვდება და მიწას დააყრიან, მხოლოდ მაშინ ძლება, აღარაფერი უნდა.

ამ სასწორმა ალექსანდრე მაკედონელი გონს მოიყვანა. ამის შემდეგ სიკვდილამდე მშვიდად და უშფოთველად იცხოვრა.<sup>160</sup>

<sup>160</sup> ოსური ზღაპრები, თარგმნა მ. ცხოვრებოვამ. ცხინვალი: „ირისტონი“, 1974, გვ. 113.

ამქვეყნიური დიდების მოჩვენებითობა და ამაოება იმ უნივერსალურ რელიგიურ იდეათაგანია, რომელიც არსებობს ქრისტიანობაშიც, იუდაიზმსა და ისლამშიც. ადამიანი არ უნდა ისწრაფვოდეს დიდებისკენ, რამდენადაც მას მარადიული ნეტარება ელის სიკვდილის შემდგომ. ამ იდეებით არის განმსჭვალული თითქმის ყველა ხალხური გადმოცემა ალექსანდრეზე, მაგრამ, როგორც ვხედავთ, ხალხურ თხრობით ტრადიციაში ალექსანდრე იდეალურ გმირად არ არის წარმოდგენილი. ალექსანდრეს პერსონაჟი იჩენს ტენდენციას, გახდეს იდეალური გმირი, მაგრამ ის მაინც ვერ ხდება ზღაპრის გმირი თავისი წინააღმდეგობრივი ბუნების გამო. ამის მიზეზიც ხალხურ თხრობით უანრთა სპეციფიკაა. ალექსანდრე მაკედონელი ვერ იქცა ჯადოსნური ზღაპრის გმირად, რამდენადაც ამ უანრისთვის დამახასიათებელი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნიშანია გმირის მაღალი ზნეობრივი მხარე: ჯადოსნური ზღაპრის ცენტრალური ფიგურა არის ადამიანი. ყოველგვარი მოვლენა და დანარჩენ გმირთა მოქმედება მის ირგვლივ არის განლაგებული და ეს წესი ყველა ჯადოსნურ ზღაპარზე ვრცელდება ზოგადად.<sup>161</sup> ზღაპრის მთავარ გმირს აქვს შესაძლებლობა, თავად წარმართოს თავისი ცხოვრება, ეცადოს, არასრულყოფილი არსებიდან გადაიქცეს სრულყოფილად და ზღაპრის ბოლოს კიდევც მიაღწიოს ამას. თუკი ზღაპრის დასაწყისში გმირი აკრძალვას არღვევს და კარგავს რაიმე მნიშვნელოვანს, იგი ამით საბოლოოდ განწირული კი არ არის, არამედ ხსნა თვით მასზეა დამოკიდებული. შეიძლება ითქვას, ფოლკლორის არცერთ თხრობით უანრში არ არის ადამიანის სულიერი სიძლიერე ისე ხაზგასმული, როგორც ჯადოსნურ ზღაპარში. თქმულებისა და ლეგენდის ობიექტი ძირითადად ისტორიული ფაქტია, ხალხური ნოველისა და ანექდოტის – სახუმარო ამბავი, რომელშიც ადამიანი ხშირად უდიდესი სარკაზმის მსხვერპლია. ჯადოსნური ზღაპარი კი

<sup>161</sup> პროპი, ვ., ზღაპრის მორფოლოგია. თბილისი: „მეცნიერება“, 1984.

ადამიანს საუკეთესო მხრიდან წარმოაჩენს. ჯადოსნური ზღაპრის გმირი ფოლკლორის სხვა ჟანრების გმირებთან შედარებით ყველაზე მეტად არის იმ იდეალთან ახლოს, რომელშიც ქრისტიანულ მოძღვრებას შეეძლო ქრისტიანის სახე დაენახა. ამიტომ, ზღაპრებისთვის მიუღებელია მოძღვრება პატივმოყვარეზე, თუნდაც კეთილშობილზე. სწორედ ამ თვისების გამო ალექსანდრე ვერ ხდება ჯადოსნური ზღაპრის გმირი.

ალექსანდრე მაკედონელის კონტრასტული სახე მეტად ნაყოფიერი აღმოჩნდა მისი პორტერტის ლიტერატურული და ფოლკლორული განვითარებისთვის ადამიანის ხასიათის სირთულეებსა და წინააღმდეგობებზე ჩასაფიქრებლად.

ლიტერატურული ნაწარმოებები, ელინისტური და შუასაუკუნეების რომანები მეტად მიმზიდველად აღწერენ ბერძენ სარდალს. მოგზაურობა უცხო ქვეყნებში, ბრძოლები უდიდეს მტრებთან, გმირული ბუნება – ყოველივე ეს შუასაუკუნეების რომანს ზედმიწევნით შეესაბამება და ალექსანდრეს თემა ორგანულად ერწყმის მის იდეალებს. ხალხური გადმოცემები კი ალექსანდრე მაკედონელს დადებითზე მეტად უარყოფითი კუთხით ასახავენ. ქართულ ზღაპრებში ალექსანდრე ძლიერ მეფედ არის წარმოდგენილი, რომელსაც ცისა და მიწის დაპყრობა სურს, მაგრამ როგორც ყველა მოკვდავს თავისი სისუსტეები აქვს.



II ნაწილი

აღმოსავლური ზღაპრები  
ეპროვანი







XVII-XVIII საუკუნეებში აღმოსავლური ზღაპრების ევროპულმა თარგმანებმა ახალი ეპოქა შექმნა ლიტერატურულ და სამეცნიერო ცხოვრებაში. ევროპამ სხვა თვალთ დაინახა აზია, რომელიც მისთვის მანამდეც ნაცნობი იყო, მაგრამ დიდი აღმოჩენების ეპოქაში აღმოსავლეთის ქვეყნები სრულიად ახალი ღირებულებებით წარმოჩნდნენ. აღმოსავლეთმა ევროპელის ცნობიერებაში ქრისტიანული სამყაროსთვის უცნობი ფასეულობები შემოიტანა. ეს მხოლოდ მოგ ზაურობათა აღწერებში როდი იყო გამოხატული. აღმოსავლური სამყაროს შეცნობისკენ სწრაფვამ ენების შესწავლასა და ახალი ფილოლოგიური აზრის ფორმირებასაც დაუდო სათავე.

შორეული ქვეყნების დოკუმენტური, მაგრამ მხატვრული ხერხებით შემკული აღწერები ევროპელ მკითხველს ძალიან იზიდავდა. სამოგზაურო წიგნები მასობრივი კომუნიკაციის საშუალებას წარმოადგენდნენ: კონკრეტულ სურათებსა და დაკვირვებებს სთავაზობდნენ საზოგადოებას. ზღაპრების კრებულებს კი ყველაზე დიდი წარმატება ხვდა ნილად.

სამეცნიერო თვალსაზრისით, ზღაპრებს გამორჩეული ადგილი უჭირავს სხვა ფოლკლორულ ჟანრებს შორის, რადგან სწორედ ზღაპრების შესწავლით დაიწყო ფოლკლორისტიკამ, როგორც დამოუკიდებელმა სამეცნიერო დისციპლინამ, თავისი ისტორია.

ზღაპარი როგორც ფოლკლორული თუ ლიტერატურული ჟანრი თანაბრად გასაგები იყო ყველა ასაკობრივი ჯგუფისა თუ სოციალური ფენის წარმომადგენლისთვის, თემატიკური მრავალფეროვნება და თხრობის მარტივი სტილი კი ადვილად აღსაქმელი განათლებული მკითხველისა და წერა-კითხვის არმცოდნესათვის. სამოგზაურო წიგნების გვერდით ზღაპრების ნათარგმნი თუ საავტორო კრებულები ევროპელი მკითხველის უსაყვარლესი საკითხავი გახდა.

## XVII-XVIII საუკუნეების ევროპული ზღაპარი

ევროპულ ზღაპარს შუა საუკუნეების ლიტერატურის, განსაკუთრებით იტალიური ლიტერატურის, კვალი გასდევს. ისევე, როგორც აღმოსავლური ზღაპრის, დასავლური ზღაპრისთვისაც ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი ჯადოსნური ელემენტების სიჭარბეა. ზღაპრულ-ფანტასტიკური მოტივები, თავის მხრივ, არაერთხელ გახდა შუა საუკუნეების ლიტერატურის – სარაინდო რომანების, ტრუბადურთა სიმღერების, ფაბლიოებისა თუ სხვა ნაწარმოებების შექმნის შთაგონების წყარო. ზოგიერთი ხალხური ზღაპარი შუა საუკუნეების ცნობილი ტრუბადურების სიმღერებიდან მომდინარეობს. მაგალითად, ვალანტინისა და ურსონის ისტორია მეთოთხმეტე საუკუნის ტრუბადურების სიმღერის ადაპტაციას წარმოადგენს. არტურის რომანი „პერსეფონე“ ნაწილობრივ მოიცავს ტროილუსისა და ზელანდინის ისტორიას, რომელიც „მძინარე მზეთუნახავის“ ზღაპარში გვხვდება. „მელიის რომანი“ აღმოსავლურ იგავთა კრებულ „ქალილა და დიმნას“ ფრანგული ადაპტაციაა, სადაც ცხოველები დაჯილდოვებულები არიან მეტყველების უნართა და მახვილგონიერებით და, ჯადოსნური ზღაპრის პერსონაჟების მსგავსად თავიანთი სისუსტის კომპენსაციას ზებუნებრივი ნიჭისა და მოხერხების წყალობით ახდენენ.

შუა საუკუნეების ევროპული საგმირო ეპოსისთვის დამახასიათებელია ადამიანის განსაკუთრებულობის ხაზგასმა, რაც სატრფოს თვალში აამაღლებს მას. XVII-XVIII საუკუნეების ზღაპარში კი ცხოვრებისეული მოვლენებია გარდაქმნილი ფანტაზიისამებრ, შელამაზებული ჯადოსნური ელფერით.

ლიტერატურული ზღაპრის ჟანრის ფუძემდებლად ევროპაში მიჩნეულია გვიანი რენესანსის იტალიელი მწერა-

ლი ჯოვანი ფრანჩესკო სტრაპაროლა (დაახლ. 1500-1557 წ.წ.) გვევლინება, რომელიც თავის თხზულებაში „გასართობი ღამეები“ (Piacevoli Notti) ხალხური ზღაპრის მოტივებს იყენებს. „გასართობი ღამეები“ პირველად გამოქვეყნდა ვენეციაში ორ ტომად 1550-1553 წლებში. პირველ ტომში 25 ნოველა შევიდა, მეორეში კი 48. შემდგომ გამოცემაში 1555 წელს ორივე ტომი გაერთიანდა, რომლიდანაც ამოღებულია ერთი ამბავი და სანაცვლოდ ორი დაემატა. ამგვარად, 1555 წელს გამოცემული ვერსია შედგება 75 ამბისგან. „გასართობი ღამეებმა“ მაშინვე მოიპოვა წარმატება და ითარგმნა სხვადასხვა ენაზე. 1558-1613 წლებში ორ ათეულზე მეტი გამოცემა არსებობს ამ წიგნისა, რომელიც 1605 წელს საეკლესიო ცენზურამ დაგმო და გამოცემებიც შემცირდა.

„გასართობი ღამეებში“ მოთხრობილია ერთმანეთთან დაკავშირებული ისტორიები, რომლებიც მთლიანობაში ქმნიან ერთ ამბავს. მოქმედება მიმდინარეობს სასახლეში, ვენეციის მახლობლად მურანოს კუნძულზე. ოტავიანოს ქალიშვილი, მარია სფორცა კარნავალების დროს საცეკვაო ღამეებს აგრძელებს ორიგინალური გართობით. ის თავის გარშემო კრებს ათ ქალიშვილს, რომლებიც სამეფო კარის დიდებულთა წინაშე რიგრიგობით ყვებიან ამბებს, ღამეში ხუთ ამბავს, გარდა მეცამეტე და ბოლო ღამისა. ყოველი ამბავი გამოცანით მთავრდება.

სტრაპაროლა იმავე თემებს ამუშავებს, რასაც ბოკაჩო: მზაკვრობა, ინტრიგა, შურისძიება და სხვ. გარდა ამისა, „გასართობი ღამეებში“ მოთხრობილია ტრაგიკული და საგმირო ისტორიები და თხუთმეტოდე ჯადოსნური ზღაპარი. რეალისტურ და ჯადოსნურ ზღაპრებში სტრაპაროლა იყენებს მრავალ ლიტერატურულ ვარიანტს, სადაც ერთმანეთს ერწყმის იუმორი და ოცნება, ანტიკური სასიყვარულო ისტორიები და ჯადოსნური ამბები, პაროდებიც კი. „გასართობი ღამეები“ უპირველეს ყოვლისა იმით არის გამორჩეული ევროპულ ლიტერატურაში, რომ თვალწინ გვიშლის პირველ ლიტერატურულ ტრანსკრიფ-

ციებს ხალხური ზღაპრებისა, რომლებიც მანამდე მხოლოდ ზეპირად გადაიციემოდა.

ზოგიერთი მკვლევარი სტრაპაროლას „ბოკაჩოს მიმდევარს“ უწოდებს და ფიქრობს, რომ დასავლეთ ევროპული ზღაპარი ზოგადად ფორმას ბოკაჩოს „დეკამერონიდან“ იღებს. „გასართობი ღამეები“ ისევე, როგორც „დეკამერონი“, აგებულია „ჩარჩო თხრობის“ პრინციპზე: მოთხრობილია მოკლე ისტორიები, სადაც სიახლეს წარმოადგენს თხრობაში ჩართული ჯადოსნური ელემენტები. არსებობს განსხვავებული მოსაზრებებიც, რომელთა მიხედვითაც სტრაპაროლას ნაწარმოები ან ინდური ნარატივებიდან მომდინარეობს ან შექმნილია დამოუკიდებლად სტრაპაროლას მიერ.

ზღაპრები, რომლებიც ჩართულია „გასართობ ღამეებში“ შემდგომში ხდება ჯამბატისტა ბაზილეს, შარლ პეროს, მადამ დ'ოლნუას, კარლო გოცის ინტერესთა საგანი. ზღაპრების გამოცემები ევროპაში ჯერ გადამუშავებებით დაიწყო, შემდეგ კი ძმებ გრიმების კრებულში დაგვირგვინდა.<sup>162</sup>

ლიტერატურული ზღაპრის ტრადიციას აგრძელებს XVI-XVII საუკუნის ნეაპოლელი პოეტი ჯამბატისტა ბაზილე (1570-1632). მისი „ზღაპართა ზღაპარი ანუ ყმანვითა გასართობი“ („Lo cunto de li cunti ovvero lo Trattenemiento de peccenille“), რომელიც „პენტამერონის“ სახელით არის ცნობილი, შედგება 49 ხალხური ზღაპრისგან. კრებული 1634-1636 წლებში 5 წიგნად გამოქვეყნდა ნეაპოლში ჯან ალესიო აბატუტის (Gian Alesio Abbattutis) ფსევდონიმით. იგი წარმოადგენს პირველ ევროპულ კრებულს, რომელიც მხოლოდ ზღაპრებით არის დაკომპლექტებული. ეს კრებული რამდენჯერმე გამოიცა 1634-1728 წლებში ნეაპოლურად, შემდეგ კი იტალიურად და გერმანულად ითარგმნა.

ისევე როგორც სტრაპაროლას „გასართობ ღამეებში“, ბაზილეს „პენტამერონშიც“ აღებულია ჩარჩოვანი თხრო-

<sup>162</sup> ამ საკითხის ირგვლივ ვრცლად იხ. Коккьяра, Джузеппе. История фольклористики в Европе. Москва 1960; Bausinger, Hermann. Formen der 'Volksprosa'. Grundlagen der Germanistik. Berlin: E. Schmidt, 1980.

ბის მოდელი: ხუთ ლამეზე გადანაწილებული 49 ზღაპარი. მეორეხარისხოვანი ზღაპრები სტრუქტურულად უკავშირდებიან მთავარ ინტრიგას. ისევე როგორც სტრაპაროლა, ბაზილევ განიცდის ბოკაჩოს გავლენას, თუმცა მისი ნაწარმოების ზოგიერთი ამბავი შთაგონებულია ეზოპესა და „ათას ერთი ღამის“ ზღაპრებით. უნდა აღინიშნოს ისიც, თვით სტრაპაროლაც ტოვებს თავის კვალს ბაზილევზე. ისევე როგორც სტრაპაროლა, ბაზილევ უპირისპირებს თავის ზღაპრებში ერთმანეთს რელიგიასა და სექსუალობას, მიმართავს იმავე პუბლიკას, სამეფო კარსა და ზოგადად, არისტოკრაციას. ცდილობს თავი შეიკავოს ამ საზოგადოების აშკარა კრიტიკისგან და მხოლოდ სიტყვათა თამაშით, კომიკური სიტუაციებითა და ირონიით ცდილობს მაღალი საზოგადოების დაცინვას.

ჯამბატისტა ბაზილევს განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის ევროპული ზღაპრის, როგორც ლიტერატურული ჟანრის ჩამოყალიბებაზე.<sup>163</sup> ბაზილევსთან ზღაპარს აქვს მყარი სტრუქტურა: დასაწყისში არის პრობლემა, რომელიც უნდა გადაწყდეს, პერსონაჟები არ არიან მხოლოდ მეფეები და გლეხები, არამედ ჯადოქრებიც და შესაბამისად ჯადოქრობაც მნიშვნელოვან როლს თამაშობს ინტ-

---

<sup>163</sup> სამეცნიერო აზრი ლიტერატურული ზღაპრის ჟანრის ფორმირებასთან დაკავშირებით არ არის შეთანხმებული. შუა საუკუნეების ევროპულ წერილობით წყაროებში ზღაპარი იმ ფორმით, როგორსაც შარლ პეროს და ძმებ გრიმების კრებულებიდან ვიცნობთ, არ გვხვდება. თუმცა შუა საუკუნეების ტექსტებში ხშირად არის გამოყენებული ზღაპრის საერთაშორისო მოტივები და ზოგჯერ მთელი ტიპებიც. შუა საუკუნეების ზღაპრის ჩანაწერებს ეძღვნება მონოგრაფია: Ziolkowski, Jan M. *Fairy Tales from Before Fairy Tales. The Medieval Latin Past of Wonderful Lies*. Michigan, The University of Michigan Press, 2007, აგრეთვე სტატია Ziolkowski, Jan M. *Straparola and the Fairy Tale: Between Literary and Oral Traditions*. In: *Journal of American Folklore* 123 (490), 2010, pp. 377–397. doi:10.1353/jaf.2010.0002. იან ციოლკოვსკის ნაშრომები პასუხია იმ მეცნიერთა რადიკალურ თეორიაზე, რომლებიც ზღაპრის ჟანრის ისტორიას XVI საუკუნიდან იწყებენ, კერძოდ, რ. ბოტიგეიმერი. Bottigheimer, Ruth B. *Fairy Godfather: Straparola, Venice, and the Fairy Tale Tradition*. Philadelphia: University of Pennsylvania Press, 2002.

რიგის განვითარებაში. ბაზილეს „პენტამერონში“ ვხვდებით ზღაპრის თითქმის ყველა ელემენტს: ჯადოქრებს, გოლიათებს, უფლისწულებს, მეფის ასულებს, ფერიებს, მაგიურ საგნებს, მოლაპარაკე ცხოველებს, დაბრკოლებს, კვანძის გახსნის ბედნიერ დასასრულს. თუმცა არის განსხვავებაც: სექსუალური უხამსობა, თხრობის განვითარების არასაკმარისი ლოგიკა, ეს ის ასპექტებია, რომლებიც არ ფიგურირებენ XVIII-XIX საუკუნის ზღაპრებში. ჯამბატისტა ბაზილეს „პენტამერონში“ ვხვდებით იმ ხალხურ ზღაპრებსაც, რომლებიც გავრცელებულია იტალიის სამხრეთ ნაწილში.

ბაზილეს ზღაპრების ექო ისმის შარლ პეროსა და გრიმების ზღაპრებში, რომლებიც აღფრთოვანებული არიან ნეაპოლური ზღაპრებით. შეიძლება ითქვას, ევროპული ზღაპრის ლიტერატურული და მოკლე ნარატიული ფორმა იტალიური ზღაპრებიდან და ნოველებიდან „novella“, „conto“ იღებს სათავეს. ევროპაში ლიტერატურული ზღაპრის ჟანრის ფუძემდებლებად ჯოვანი ფრანჩესკო სტრაპაროლა და ჯამბატისტა ბაზილე ითვლებიან. მათმა კრებულებმა დიდი გავლენა მოახდინა ფრანგული ლიტერატურული ზღაპრის განვითარებაზეც.<sup>164</sup> 1690 წლების ფრანგი მწერლების ზღაპრების ერთ-ერთ წყაროს სწორედ სტრაპაროლასა და ბაზილეს მიერ ჩანერილი ლიტერატურული ტექსტები წარმოადგენდა. შარლ პერომ, მდამუშავებელ ლ'ერიტიემ, მადამ დ'ოლნუამ და სხვა მეზღაპრეებმა მოტივები, ეპიზოდები და ზოგჯერ, მთლიანი თარგი მათგან აიღეს.<sup>165</sup>

საფრანგეთში ჯადოსნური ლიტერატურული ზღაპარი XVII საუკუნიდან იღებს სათავეს. 1635 წელს რიშელიემ შექმნა ფრანგული აკადემია ფრანგული ენის უნიფიცირების მიზნით. აკადემიაში მხოლოდ მამაკაცები

<sup>164</sup> Piffault, Olivier. Il était une Foix les Contes de Fées. Paris : Seuil, 2001, p. 66.

<sup>165</sup> Bortigheimer, Ruth B. Fairy Tales: a new History. New York: Excelsior Editions, 2009, p. 57.

დაიშვებოდნენ. ქალებს არ შეეძლოთ აკადემიაში მამაკაცების გვერდით ლიტერატურული მოღვაწეობა. ამიტომ მათ გადანყვიტეს, შეექმნათ ლიტერატურული სალონი, სადაც შეძლებდნენ თავიანთი შემოქმედების ერთმანეთისთვის გაზიარებას. ამგვარად, აკადემიაში ქალების უარყოფის შედეგად ახალი ლიტერატურული სალონები დაარსდა. ეს ადგილები გარკვეულწილად მათი გართობისა და თავშექცევის ადგილსაც წარმოადგენდა. ასე რომ, ფრანგული ლიტერატურული ზღაპარი პარიზის არისტოკრატიული კულტურიდან იშვა, უანრი, რომელიც ძირითადად ქალთა მიერ იყო დამუშავებული და განვითარებული.

ფრანგულ ლიტერატურულ ზღაპარს ორი წყარო აქვს: ერთი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, იტალიელი წინამორბედების მნიგნობრული ტრადიცია და მეორე, ზეპირსიტყვიერება. ეს უკანასკნელი ეხება ჯადოსნურ ზღაპრებს, რომლებსაც ძიძები და ნერა-კითხვის არმცოდნე გლეხები ყვებოდნენ. მრავალი მკვლევარი და მათ შორის რუთ ბოტიგეიმერი მიიჩნევს, რომ ფრანგული ლიტერატურული ზღაპრის აყვავების ხანაა XVII-XVIII საუკუნეების მიჯნა, როდესაც ზღაპრის მთხრობელები ერთმანეთს ლიტერატურულ სალონებში ხვდებოდნენ, სალიტერატურო ენაზე ამუშავებდნენ უბრალო ზღაპრებს, რომლებიც თავიანთი ნერა-კითხვის არმცოდნე მსახურებისგან გაეგონათ, შექქონდათ ცვლილებები, ამატებდნენ მხატვრულ ხერხებს და ამგვარად ახდენდნენ ამ ზეპირი ტრადიციის ლიტერატურულ კულტურად ტრანსფორმაციას.<sup>166</sup> იმ უანრებს, რომლებიც ამგვარი ფემინური კულტურიდან აღმოცენდა, უწოდებენ „მონდენურს“ (ამქვეყნიურს, მინიერს), რადგან სალონის ვიზიტორები „წერდნენ მხოლოდ თავიანთი გართობისთვის“.<sup>167</sup> გართობის მიზნით ზღაპრებს

<sup>166</sup> Bottigheimer, Ruth B. *Fairy Tales: a new History*. New York: Excelsior Editions, 2009, p. 54.

<sup>167</sup> Darcos, Xavier. *Histoire de la littérature française*. Paris, Hachette Education: 1992, p. 173.

ემატებოდა იუმორისტული კრიტიკა და ამით გამოიხატებოდა დამოკიდებულება ცხოვრების მანკიერი მხარეებისადმი. ასე აიხსნება, თუ რატომ ეწოდებათ მათ „მონდენური ჟანრები.“ ეს „მინიერება“ გამოხატავს ლუი XIV-ის სამეფო კარის ზოგად ატმოსფეროს. ლუი XIV ხშირად აწყობდა დღესასწაულებსა და ბალეტებს და „მონდენური გართობა“ კონტროლდებოდა ლუი XIV-ის მიერ დადგენილი მკაცრი ეტიკეტით.

ამგვარად, XVII საუკუნეში ზღაპარმა შეაღწია პარიზის სამეფო კარზე, სადაც ის გახდა გართობისა და თამაშის საგანი. მწერლები ზღაპრის სტილით მახვილგონივრულად ამბობდნენ პრობლემატურ სათქმელს. ამ პერიოდში ზღაპარმა შეიძინა უკვე ის ფორმა, რასაც დღეს ჩვენ ლიტერატურულად დამუშავებულ ზღაპარს ვუწოდებთ.

ჯადოსნური ზღაპრის, როგორც საკუთრივ ლიტერატურული ჟანრის განვითარება უკავშირდება შარლ პეროს სახელს (1628-1703). ის თავის ლიტერატურულ კარიერას ოდების წერით იწყებს, რის წყალობითაც ხვდება სამეფო კარზე, როგორც მეფის მსახური და კოლბერის (ლუი XIV-ის დროს საფრანგეთის ფინანსთა მინისტრის) ასისტენტი კულტურულ საქმიანობაში. მალე ის ხდება ფრანგული აკადემიის ერთ-ერთი წევრიც და უპირისპირდება ბუალოსა და წინა თაობის მწერლებს, რომლებიც იცავდნენ ანტიკურ მიმბაძველობასა და კულტზე დაფუძნებულ ესთეტიკას. შარლ პერომ და მისმა თანამედროვეებმა შექმნეს პროგრესისა და თანამედროვეობის იდეა, მიიჩნევდნენ რა ანტიკურ ლიტერატურას როგორც ეტაპს და არა მისაბაძ მოდელს.

1694 წელს 66 წლის შარლ პერო, საფრანგეთის სამეფო კარის საინტენდანტოს გენერალური მდივანი, იწყებს ახალ ლიტერატურულ კარიერას – ის თავს უძღვნის ჯადოსნური ზღაპრების წერას და აქვეყნებს კრებულს „ზღაპრები“. პერო მოკრძალებით იმართლებს თავს წინასიტყვაობაში: ამ ზღაპრებში ფხიზელი მორალი დავინახე და ღირსად ჩავთვალე, საზოგადოებისთვისაც გამეც-

ნო. <sup>168</sup> ამ მორალის გამო, რაც თითოეულ ზღაპარს ბოლოს ლექსად ჰქონდა დართული, ზღაპრები იმავე ფუნქციას ასრულებდნენ, რასაც იგავ-არაკები.

შარლ პეროს კრებული იწვევს ახალ „კამათს“ ლიტერატურულ წრეებში, რადგან მისი ზღაპრები წარმოადგენდა გარკვეულწილად იმის მტკიცებას, რომ შესაძლებელია დაწერო ისე, რომ არ მიბაძო ანტიკურ ლიტერატურას. <sup>169</sup> მისი დებულება იყო ის, რომ „ავტორიტეტს ამჟამად ძალა აღარ აქვს, მისი კანონიერი დარგი მხოლოდ ღვთისმეტყველება და იურისპრუდენციაა, ყველა დარგში გონებას შეუძლია ისე იმოქმედოს, როგორც სუვერენს შეეფერება“. <sup>170</sup>

თავისი ზღაპრებით შარლ პერო აჩვენებდა, რომ საფრანგეთს აქვს თავის საკუთარი თხრობის ტრადიციები, რომლებიც შესაძლებელია ახლებურად გადაამუშავო. მართლაც, XVII საუკუნის 90-იანი წლებიდან ჯადოსნური ზღაპარი ხდება პოპულარული, მოდური ჟანრი და პეროც ერთი იმათგანია, ვინც ცდილობს ამ ჟანრის განვითარებას ლიტერატურულ სალონებში ქალ ავტორებთან ერთად (მადამ დ'ონუა, მადმუაზელ დე ფორსი, მადამ დე მიურა და სხვები).

თავის წინამორბედებისგან განსხვავებით, ზღაპრების კრებულის გამოქვეყნებით შარლ პეროს ორი მიზანი ამოძრავებდა: გართობასთან ერთად მას სურდა განათლებაც. ზღაპრების შესავალში პერო ხაზს უსვამს ზღაპრების დიდაქტიკურ როლზე ბავშვის აღზრდაში. მისი მტკიცებით, სწორედ ჯადოსნური ამბები აძლევს ბავშვს საშუალებას, მხიარულად, თამაშით შეისწავლოს ცხოვრების მთავარი საკითხები. პრინციებისა და პრინცესების ერთი შეხედვით უბრალო ზღაპრების მიღმა ღრმა აზრი იმალება. ამგვარად, პერო თავისი წინამორბედების ზღაპრებიდან ქმნის

<sup>168</sup> Perrault, Charles. Les Contes de fées. Paris 1837.

<sup>169</sup> Perrault, Charles. Contes. Paris: Gallimard, 1981 (édition présentée et annotée par Nathalie Froloff) (texte établi par Jean-Pierre Collinet), p. 18 (préface).

<sup>170</sup> პერო, შარლ. ზღაპრები. ფრანგულიდან თარგმნა გერონტი ქიქოძემ. თბილისი: „ნაკადული“, 1979, გვ. 4.

თანამედროვე ზღაპრებს, უმატებს რა „დაფარულ მორალს“ და ზღაპარს ანიჭებს დიდაქტიკურ ფუნქციას.

შარლ პეროსა და მისი თანამედროვეების გარდა XVII საუკუნეში ფრანგული ლიტერატურის ზღაპრის და ზოგადად ევროპული ზღაპრის, როგორც ლიტერატურული ჟანრის განვითარებაზე დიდ გავლენას ახდენს აღმოსავლური ზღაპრების კრებულის „ათას ერთი ღამის“ ანტუან გალანის ფრანგული თარგმანი, რომელიც 1704-1717 წლებში გამოქვეყნდა. ამავე პერიოდში ჩნდება ანტუან გალანის მიმბაძველების მიერ თარგმნილი სხვა აღმოსავლური ზღაპრების თარგმანებიც. ხაზი უნდა გავუსვათ იმ ფაქტს, რომ ამ თარგმანების ნყალობით დასავლური ზღაპარი განვითარების ახალ ეტაპზე გადადის. ყალიბდება ახალი ჟანრი: „აღმოსავლური ზღაპარი დასავლურად“ („le conte oriental à l'occidentale“), როგორც მას ჟან-ფრანსუა პერენი უწოდებს.<sup>171</sup> XVIII საუკუნე ეს არის ეპოქა, როდესაც ყალიბდება ზღაპრის ახალი ფორმა – ჯადოსნური ზღაპარი ფრანგულად ანუ აღმოსავლური ზღაპარი. ჟან-ფრანსუა პერენის ნაშრომში მოცემულია უამრავი ჰეტეროგენიული ტექსტის სინთეზი, რომელიც საფრანგეთში „ათას ერთი ღამის“ ანტუან გალანის თარგმანის შემოდგომ გამოჩნდა. პერენი თავისი წიგნის ვრცელ შესავალში აღწერს არა მარტო თეორიულ მოსაზრებებს და ზღაპრის მოკლე შინაარსებს, არამედ გამოყოფს მოტივებსაც. იგი ადგენს ზღაპრების კორპუსს 1704 წლიდან („ათას ერთი ღამის“ ფრანგული თარგმანის გამოქვეყნებიდან) 1774 წლამდე (ვოლტერის „თეთრი კუროს“ გამოქვეყნებამდე) და მასში გამოყოფს აღმოსავლური ზღაპრის პრობლემატიკისა და მისი ისტორიის სამ დიდ მიმართულებას ითვალისწინებს რა ეპოქის ინტერესებს, აღმოსავლეთის რელიგიებსა და ჰუმანისტური ცოდნის ახალ მიმდინარეობას. ეს ძირითადი მიმართულებებია:

---

<sup>171</sup> Perrin, Jean-François. L'Orientale allégorie. Le conte oriental au XVIIIe siècle en France (1704-1774), Honoré Champion, Paris, collection „Les dix-huitièmes siècles N° 186“, 2015.

1) გალანი და მისი მიმბაძველები პეტიდან (Pétis) დაწყებული გელეტით (Gueullette) დამთავრებული, რომელთა მიერ აღმოსავლური ზღაპრების თარგმნის ერთ-ერთ მიზანს იმ დროინდელ აღმოსავლეთზე ცნობადობის გაზრდა წარმოადგენდა;

2) ჰამილტონიდან (Hamilton) და კრებიონიდან (Crébillon) დაწყებული კაზოტი (Cazotte) დამთავრებული, რომლებიც ირონიული და სატირული გზით ცდილობდნენ სპარსული ლიტერატურის გავლენით მოდაში შემოსულ ფრანგული ინსტიტუტებისა და წეს-ჩვეულებების დაშლას;

3) ვოლტერის ფილოსოფიური ზღაპარი, სადაც ერთმანეთს ერწყმის წინა ორი მიმართულება. გარდა ამისა, პერენი თავის წიგნში საუბრობს ამ ჟანრისთვის დამახასიათებელ პოეტიკასა და სტილისტურ ანალიზზე, წინა პლანზე წამოწევს იმ პრობლემატიკას, რომლებიც აქტუალური იყო იმ ეპოქაში: გაუცხოება, სქესთა შორის განსხვავება, თვითმყოფადობის პრობლემატიკა, ჟანრული განსხვავება და ა.შ. ლიტერატურათმცოდნეობით საკითხებთან ერთად პერენი აქტიურად განიხილავს ფილოსოფიურ ცნებებს.

XVIII საუკუნის ბოლოს ჩნდება შევალე მეიერის ზღაპრების კრებული „Cabinet des fées“, სადაც თავმოყრილია ენციკლოპედიური მონაცემები ფრანგულ ზღაპრებზე, რომლებიც მეტად გავრცელებული და აქტუალური იყო მის ეპოქაში. ეს გამოცემა წარმოადგენს ფრანგულენოვანი ზღაპრების ენციკლოპედიური კრებულის შექმნის მცდელობას. ფრანგული „Cabinet des fées“-ს ოქროს ასაკი მთავრდება 1789 წელს საფრანგეთის პირველ რევოლუციასთან ერთად 41 ტომის უზარმაზარი კოლექციით. შარლ ჟოზეფ დე მეიერმა იგი შეადგინა 1761 წლის გერმანული „Cabinet der Feen“-სა და პოლმის მარკიზის „რომანების უნივერსალური ენციკლოპედიის“ იმიტაციით, შექმნა რა ფრანგული ზღაპრის ასწლიანი ისტორია პეროდან რუსომდე. მას უნებურად გამორჩა რამდენიმე ავტორი, თუმცა აღიარებს აღმოსავლურ ზღაპრებს, განსაკუთრე-

ბით „ათას ერთი ღამის“ ზღაპრებს, როგორც ფრანგული ზღაპრის ნაწილს და გვთავაზობს კრიტიკულ-სინთეზურ ესეს ჯადოსნურ ზღაპარსა და მისი წარმოშობის ისტორიაზე. შვეალიე მეიერის „Cabinet des fées“ წარმოადგენს ზღაპრების გაერთიანების პირველ მეცნიერულ მცდელობას, სადაც იდენტიფიცირებულია ავტორები და შედგენილია მათი ბიოგრაფიები. ავტორი აფიქსირებს ფრანგულ ზღაპარს როგორც კლასიკურ და როკოკოს ლიტერატურულ ფორმას და ზღაპართა კულტურულ სამყაროს წარმოადგენს, როგორც ჯადოსნური ზღაპრების არქიტექტოს. ამით ხსნის იმ ღრმა განსხვავებას, რაც არსებობს ფერიათა ანუ ლიტერატურულ ზღაპრებსა და ჯადოსნურ ანუ ხალხურ ზღაპრებს შორის: „conte de fées“ (littéraire) და „conte merveilleux“ (populaire).

ევროპული ზღაპრის კლასიკური მაგალითია „კონკია“, რომელიც ევროპასა და აღმოსავლეთის ქვეყნებში საყოველთაოდ გავრცელებული სიუჟეტია, მაგრამ მსოფლიოში ცნობილი გახდა სწორედ ევროპელი მეზღაპრეების მიერ ლიტერატურულად დამუშავებული მხატვრული ფორმით და რომლის საფუძველზეც ლიტერატურასა და კინემატოგრაფიაში უამრავი ინტერპრეტაცია შეიქმნა.

დაჩაგრული ობოლი გოგონას ამბავი კეთილი დასასრულით ხალხური ჯადოსნური ზღაპრის საერთაშორისო ტიპია: ATU510 Cinderella. ევროპაში კონკიას ლიტერატურული ვერსია ჯამბატისტა ბაზილეს, შარლ პეროსა და ძმებს გრიმებს უკავშირდება, თუმცა ზღაპრის ფაბულა გაცილებით ძველია. კონკიას ციკლის ზღაპართა შემადგენელი მოტივები ფიქსირებულია ჯერ კიდევ მეორე საუკუნეში ჩვენი წელთაღრიცხვით აპულეუსის „მეტამორფოზებში“.<sup>172</sup> ზოგიერთი მკვლევარის აზრით, მისი პირველი ვერსია სათავეს ჩინეთიდან იღებს ჩვენს წელთაღ-

<sup>172</sup> აპულეუსი. ოქროს ვირი. მეტამორფოზები. თარგმნა თ. ყიფიანმა. თბილისი: „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1963, გვ. 100-142.

რიცხვამდე IX საუკუნეში.<sup>173</sup> ევროპაში, აზიაში, აფრიკასა და ამერიკაში, სხვადასხვა კულტურულ გარემოში ნარმოქმნილი ვერსიების რიცხვი ორმოცდაათს აღემატება. თითოეულ ქვეყანაში მთავარ პერსონაჟს, პატარა გოგონას განსხვავებული სახე აქვს და თავად ზღაპარიც განსხვავებულ ნარატიულ ფორმას იძენს. კონკია მიეკუთვნება ზღაპართა იმ ტიპს, რომელშიც უამრავ ნარატიულ ტრანსფორმაციასა და მოტივთა შერწყმას ვხვდებით.

კონკიას ტიპის ზღაპარში მთავარი პერსონაჟის ჩამოყალიბებასა და მის ცხოვრებისეულ რეალიზაციაში დიდ როლს თამაშობს ორი ტიპის კავშირი. ერთი მხრივ, მისი კავშირი რომელიმე წინა თაობის ნათესავთან, მაგალითად, დედასთან ან დედის ხაზით ნათესავთან, და მეორე მხრივ, თავისი თაობის ადამიანთან, პერსონაჟთან, რომლის მეშვეობითაც ის შეიცნობს საკუთარ თავს და რომელსაც თავის ცხოვრებას უკავშირებს.

კონკია საკუთარი თავის, როგორც ქალის, რეალიზებას ნათლიის დახმარებით ახდენს. მისი საჩუქრები: კაბა, ეტლი თუ სხვა ელემენტები ეხმარება კონკიას წავიდეს მეჯლისზე, სადაც ახალგაზრდების თავშეყრის ადგილია. ნათლია, რომელიც ცდილობს კონკიას აპოვნინოს საკუთარი თავი, ამ საქციელით უპირისპირდება ბოროტ დედინაცვალს, რომელიც მას მძიმე შრომას აიძულებს:

„ნათლიამ ახლა მას შეახო თავისი ჯადოსნური ჯოხი და ძონძები ოქრომკედით ნაქარგ და მოსირმულ, ძვირფასი თვლებით მოოჭვილ კაბად გადააქცია. ერთი წყვილი ულამაზესი ბენვშემოვლებული ფეხსაცმელიც მისცა. ასე მორთულ მოკაზმული ნაცარქექია ეტლში ჩაჯდა. ნათლიამ დაუბარა, იცოდე, შუალამეს არ გადააცილოო; ერთი ნუთითაც რომ დააგვიანო, ეგ შენი ეტლი ისევ გოგრად გადაიქცევა, ცხენები თავგებად, ლაქიები – ხვლიკებად,

---

<sup>173</sup> Belmont, Nicole et Elisabeth Lemirre (dir.). *Sous la cendre. Figures de Cendrillon. Anthologie établie et postfacée par Nicole Belmont et Elisabeth Lemirre.* Paris, Librairie José Corti, „Collection Merveilleux“ 34, 2007, p. 423.

ხოლო ახალი ტანსაცმლის მაგივრად, ხელში ისევ შენი ძონძები შეგრჩებაო.

ნაცარქექია მეჯლისზე წავიდა, თან სიხარულით ცას ეწეოდა. მეფისნულს მოახსენეს, ვილაც წარჩინებული ქალიშვილი მოვიდა, მაგრამ მას არავინ იცნობსო. მეფისნული მაშინვე გაეშურა ქალის შესახვედრად. მან ეტლიდან ჩამოსვლისას ქალს ხელი გაუწოდა და დარბაზში შეიყვანა, სადაც სტუმრებს მოეყარათ თავი.<sup>174</sup>

არქაული ნიშნების მატარებელია კონკიას ტიპის ის ზღაპრები, სადაც დედის საჩუქარი ფიგურირებს. ევროპისა და აღმოსავლეთის ქვეყნებში კონკიას ციკლის გადმოცემებში ცნობილია შემწე ძროხის მოტივი, რომელსაც ქართულ ფოლკლორშიც ვხვდებით „გერისა და დედინაცვლის“ ზღაპრის სახით და ეთერიანის ეპოსში (ობოლი გოგონას მოტივით იწყება „აბესალომ და ეთერის“ ბევრი ვარიანტი). გულთმისანი ძროხა დედის მაგივრობას უწევს ობოლ გოგონას, კვებავს, რჩევას აძლევს და მასზე ზრუნავს მაშინაც კი, როცა იცის, რომ დაკლავენ. როცა დედინაცვალი თავს მოიავადმყოფებს და მეუღლეს სთხოვს ძროხის დაკვლას, ძროხა არიგებს გოგონას, როგორ მოიქცეს მისი სიკვდილის შემდეგ. გოგონა მის ტყავსა და ძვლებს ორმოში დამარხავს, მომავალში კი ორმოდან სადღესასწაულო კაბა, ქოშები და შეკაზმული რაში ამოდის, რომელთა წყალობითაც ობოლი უფლისწულს გაიცნობს და ბედს ეწევა:

„ქალი[...] იჯდა დაღონებული და მოაგონდა ფურის ნათქვამი, თქვა, – მოვთხრი ორმოს თავს და ფურის ძვლებს ვნახამო. ამოთხარა და ნახა, რომ ერთი მშვენიერი რაში აბია შეკაზმული და ერთი ხელიც სახელმწიფო ტანისამოსია თვალ-მარგალიტით შეჭედილი. ამოიღო ტანისამოსი, ჩაიცო, მოირთო, მოიკაზმა, ისეთი გახდა, თვალს

<sup>174</sup> პერო, შარლ. ზღაპრები. ფრანგულიდან თარგმნა გერონტი ქიქოძემ. თბილისი: „ნაკადული“, 1979, გვ. 25. პერსონაჟის სახელი მთარგმნელმა მაქსიმალური სიზუსტის დაცვით გადმოიტანა ქართულად. Cendrillon ითარგმნება როგორც „ნაცარქექია“.

უნდა რომ ნახოს. შეჯდა რაშზე და ნავიდა დლეობაში სალოცავათა.“<sup>175</sup>

კონკიას ბერძნულ ვერსიაში კონკიას დედა გადაიქცევა ძროხად. მამა ხელახლა დაქორწინდება და ძროხას დაკლავს, მაგრამ გოგონა მის ძვლებს შეაგროვებს და დამარხავს. გარკვეული დროის შემდეგ ძვლების ადგილას მას ლამაზ კაბა, ნითელი ფეხსაცმელები და თეთრ ცხენი დახვდება.

დედის ძვლებიდან ქალიშვილისთვის კაბა იქმნება – ეს მოტივი ხაზს უსვამს იდეას, რომ ქალად გახდომის შესაძლებლობა თავისთავად კი არა, წინა თაობიდან მომდინარეობს. ეს მოტივი ძალიან ხშირია კონკიას ციკლის ზღაპრებში: მაგალითად, გრიმების „ცალთვალა, ორთვალა, სამთვალაში“ (ATU510A). ეს ვერსია იმით განსხვავდება ზემოთ ჩამოთვლილთაგან, რომ დედა-ძროხის ძვლებზე ამოდის ხე, რომელიც ისხამს ოქროს ნაყოფს და უფლისწულის ყურადღებას იქცევს. მთავარი გმირი ერთადერთია, რომელიც შეძლებს უფლისწულისთვის ოქროს ხილის მირთმევას. მისი დედინაცვალი და დები (ცალთვალა და სამთვალა) ამოდ ცდილობენ მათ მოკრეფას, მაგრამ მხოლოდ დაჩაგრული გოგონასთვის დახრის ხე ტოტებს. ქოშსაც მხოლოდ მხოლოდ კონკია ჩაიცვამს, რადგან სხვას არავის ერგება. ხის მოტივი, რომელიც დედის ნაწილებიდან ამოდის, ცენტრალურ ადგილს იკავებს ზღაპარში „ძროხა და ორი ობოლი“ (გავრცელებულია ჩრდილოეთ აფრიკაში), სადაც გარდაცვლილი დედა ჯერ ძროხის, შემდეგ ხის სახით განაგრძობს შვილების გამოკვებას. დედა-ძროხა აქაც კვდება დედინაცვლის გამო, რომელიც თავს მოიავადმყოფებს და ითხოვს ძროხის ღვიძლს, რომელიც მას განკურნავს. ძროხის დამარხული ძვლებიდან იზრდება ხე და ბავშვებს კვებავს. დედისეუ-

<sup>175</sup> უმიკაშვილი, პეტრე. ხალხური სიტყვიერება III. თბილისი: „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1964, გვ. 111 (მთქმელი ხანუმა შარვაშიძისა, სოფ. კუმისი. ჩამნ. პეტრე უმიკაშვილი. ფ. არქ.4142, 1860 წ. თბილისი).

ლი ხის ეს ქველმოქმედება გვხვდება დასავლეთ აფრიკულ ზღაპრებშიც.<sup>176</sup>

სიცოცხლის ხე ცოცხლებს გადასცემს გარდაცვლილის საჩუქარს. ეს ზღაპრები გარკვეულწილად დედის ქველმოქმედების საკრალიზებას ახდენენ. დედის მეტამორფოზები კი ქმნის საჩუქარს, რომელიც ქალიშვილს ანიჭებს ქალად გადაქცევის შესაძლებლობას. ამ საჩუქრისთვის კი საჭიროა, დედამ საკუთარი სიცოცხლე გაიღოს. დედის საჩუქრის წინაპირობა კი სიკვდილზე დათანხმებაა.

კონკიას ტიპის ზღაპრებში ქალთა პერსონაჟები ამბივალენტურნი არიან. უფროსი თაობის წარმომადგენლები: დედინაცვალი და ნათლია ორ დაპირისპირებულ სასიცოცხლო ძალას განასახიერებენ. ერთი გამანადგურებელია, მეორე – კეთილი. ზოგ ზღაპარში ობოლის მფარველი ორი ჰიპოსტასით გვხვდება. მაგალითად „გერისა და დედინაცვლის“ ზღაპარში მთავარ გმირს გარკვეულწილად ორი მფარველი ანგელოზი ჰყავს: ძროხა და დედაბერი. ძროხა კვებავს, დედაბერი კი ოქროსთმინად გადააქცევს. მათი მაგიური ძალები დაჩაგრული გერის სასიკეთოდ არის მიმართული.

ზღაპრებში „ცალთვალა, ორთვალა, სამთვალა“ და „ობოლი და მისი ძროხა“ თვითონ დედა პერსონაჟი წარმოადგენს უარყოფით ფიგურას. დედა ატყვევებს, ცუდად ექცევა, აიძულებს მძიმე სამუშაოს შესრულებას და აშიმშილებს. კეთილისმსურველი დედის სახე ამ ზღაპარში ცხოველის მიღმა იმალება, რომელიც დაჩაგრულ გოგონას საზრდოს აწვდის და მოკლულიც კი ეხმარება მას უფლისწულთან შეხვედრასა და მის მოხიბვლაში.

ევროპული ზღაპარი წარმოდგენილია როგორც გარკვეული რაოდენობის უცვლელი ელემენტების ერთობლი-

---

<sup>176</sup> Belmont, Nicole et Élisabeth Lemirre (dir.). *Sous la cendre. Figures de Cendrillon. Anthologie établie et postfacée par Nicole Belmont et Élisabeth Lemirre.* Paris, Librairie José Corti, Collection Merveilleux, 34/2007, p. 425.

ობა. ეს არის სამყარო, სადაც ცხოველები ლაპარაკობენ და სადაც პერსონაჟებს შეუძლიათ შეასრულონ წარმოდგენელი ქმედებები დროისა და სივრცის მიღმა. მისი ძირითადი დანიშნულებაა ბავშვი მოამზადოს ზრდასრულობისთვის. ამიტომაც მათი სიუჟეტი ძირითად რთულ სიტუაციაში მყოფი გმირის ამბავს ეფუძნება, რომელმაც უნდა გადალახოს ბევრი წინააღმდეგობა, დაბრკოლება, გაუძლოს არაერთ გამოცდას, რათა პიროვნებად ჩამოყალიბდეს და ჰქონდეს სტაბილური ცხოვრება თავის ოჯახთან ერთად. ამგვარად კლიშე, რომლითაც ყველა ზღაპარი მთავრდება, „ისინი დაქორწინდნენ და შვილები შეეძინათ“ – არის ის ოცნება, რომლის განხორციელებასაც ცდილობს ზღაპრის გმირი მრავალი სირთულის დაძლევის გზით.

## აღმოსავლური ზღაპრების კრებულები ევროპაში

აღმოსავლური ზღაპრების ევროპული გადაამუშავებები XVII-XIX საუკუნეების ლიტერატურული ზღაპრის უანრულ მახასიათებლად იქცა.

„ათას ერთი ღამე“ ევროპაში გვიანი შუა საუკუნეებიდან გახდა ცნობილი. მის კვალს მეცნიერები ხედავენ XV საუკუნის ავტორის ჯოვანი სერკამბის რომანსა და XVI საუკუნის მწერლის არიოსტოს ნაწარმოებში „შმაგი ორლანდო“. თავად „ათას ერთი ღამის“ სრული ტექსტი კი ევროპაში მხოლოდ XVII-XVIII საუკუნეთა მიჯნაზე გამოქვეყნდა ფრანგი მოგზაურისა და მეცნიერის ჟან ანტუან გალანის თარგმანის მეშვეობით. მან არაბული ზღაპრების გამოცემა 1704 წელს დაიწყო სათაურით „Les mille et une Nuits. Contes arabes traduits en Français“.



## MILLE ET UNE NUIT.

CONTES ARABES.

TRADUITS EN FRANÇOIS.

Par Mr. GALLAND, de l'Académie  
Royale des Inscriptions & Belles-Lettres.

TOME TROISIÈME.

Troisième Edition, revue &amp; corrigée.



Seul et Seul Dépôt à Paris.

A LA HAYE.

Chez PIERRE HUSSON, Marchand  
Libraire, au coin du Capel-brug.

M. DCC. VI.

[6] „ათას ერთი ღამის“ გალანისეული თარგმანი, 1706-1765.

ფრანგი მოგზაური, დიპლომატი და მეცნიერი ანტუან გალანი (1646-1715) არაბულ ზღაპრებზე 1701 წლიდან მუშაობდა. მისი ბიოგრაფიიდან ცნობილია, რომ იგი ბავშვობიდან სწავლობდა ლათინურს, ბერძნულსა და ებრაულს. 1661 წელს პარიზში გადასვლის შემდეგ აღმოსავლური ენებიც ისწავლა და სორბონაში აღმოსავლური კატალოგიც შეადგინა. 1670-76 წლებში წელს გალანი ოსმალეთში ახლდა ფრანგ ელჩს, მარკიზ დე ნუანტელს. 1677 წელს კვლავ იმოგზაურა აღმოსავლეთში, 1679 წლიდან კი ოსტნდოეთის ფრანგული კომპანიის დაკვეთით ათი წელი იმყოფებოდა აზიაში და ზედმინეწვით გაეცნო აღმოსავლურ გარემოს თურქული, არაბული და სპარსული ენების შესწავლის ჩათვლით. საფრანგეთში დაბრუნების შემდეგ ანტუან გალანი აღმოსავლურ ბიბლიოთეკასთან თანამშრომლობდა.

1700 წელს გალანმა „სინდბადის მოგზაურობის“ თარგმანი მოამზადა და მხოლოდ ამის შემდეგ აღმოაჩინა, რომ ეს მოთხრობა ერთი დიდი წიგნის, „ათას ერთი ღამის“ ნაწილი იყო. მთარგმნელმა სასწრაფოდ მოიპოვა ხელნაწერი ალექსოდან. თავდაპირველად სამი ტომი მიიღო, პირველი 281 ღამე, 1702-03 წლებში – გაგრძელება. ეს ხელნაწერები ამჟამად დაკარგულია. 1704-06 წლებში გამოვიდა გალანის წიგნის პირველი შვიდი ტომი „Les mille et une Nuits. Contes arabes en Français“ მის მიერ მოპოვებული ხელნაწერების საფუძველზე, რომელთა შორის არ იყო „სინდბადის მოგზაურობა“. 1709-1717 წლებში გამოცემული VIII-XII ტომების პირველწყარო დაკარგულია. ცნობილია მხოლოდ ის, რომ მის კრებული მომზადდა ჰანა დიაბის ჩანაწერებზე დაყრდნობით.<sup>177</sup>

ჰანა დიაბი სირიელი მარონიტი იყო. ანტუან გალანმა იგი 1709 წელს პარიზში გაიცნო ვინმე ლუკასთან, რომელიც აღმოსავლეთის ქვეყნებში მოგზაურობდა და სწორედ მას ჩამოჰყვა ჰანა დიაბი საფრანგეთში. ცნობები ჰა-

<sup>177</sup> Grotzfeld, Heinz. Galland, Antoine. In: Enzyklopädie des Märchens. Bd. 5. Berlin/New York: Walter de Gruyter, 1987, S. 660-662.

ნა დიაბზე ანტუან გალანის დღიურებშია შემორჩენილი. ჰანამ არაბულის გარდა თურქული, ფრანგული და პროვანსული იცოდა.

ჰანამ გალანს არაბული ზღაპრები უამბო „ათას ერთი ლამიდან“ და ჩანერას შეპირდა. რამდენად შეასრულა ეს დაპირება, არ არის ცნობილი. მხოლოდ ალადინის ამბავზე შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ გალანს არაბული ხელნაწერი გადასცა. გალანს თავის დღიურში 6 მაისსა და 2 ივნისს შორის შუალედში აქვს ჩანერილი მოსმენილი ამბები, რომელთაგან ზოგიერთი თავის „Les mille et une Nuits. Contes arabes traduits en Français“-ში გადაიტანა. ერთ-ერთი მათგანი, მაგალითად, „აბანოზის ხის ცხენი“ თავიდან გადმოსცა, სხვები, მათ შორის „ალადინი“ და სავარაუდოდ „ალი ბაბა“, ხელახლა თარგმნა ჰანას არაბული ხელნაწერიდან, რომელიც დღესდღეობით გამქრალია.<sup>178</sup>

XIX საუკუნის ბოლოს მიაკვლიეს „ალადინისა“ და „ალი ბაბას“ არაბულ ტექსტებს, რომლებიც მეცნიერებმა გალანისეული ფრანგული ვერსიის არაბულ თარგმანად მიიჩნიეს. აღმოსავლური, გალანის ტექსტისგან დამოუკიდებელი ვერსია „ალადინისა“ და „ალი ბაბას“ ზღაპრებისა დღემდე არ არის ნაპოვნი.

ჰანამ გროცფელდი და სხვა ორიენტალისტი მკვლევრები მიიჩნევინა, რომ ჰანას მოთხრობილი ამბები არ მიეკუთვნება აღმოსავლურ „ათას ერთი ლამის“ კორპუსს. „წერილობითი საბუთის უქონლობაზე მიანიშნებს გალანის გამონათქვამი mettre par écrit (ჩანერილი). ეს გვაფიქრებინებს, რომ ჰანამ ეს ამბები ახლო აღმოსავლეთის თხრობით ტრადიციაზე დაყრდნობით შეთხზა, რომელსაც „ათას ერთი ლამის“ ცალკეული კომპილატორები XVII-XVIII საუკუნეებში მიმართავდნენ“.<sup>179</sup> მხოლოდ გალანისა და ჰანას შემთხვევით შეხვედრას უნდა ვუმადლოდეთ, რომ ეს თხზულებები

<sup>178</sup> Grotzfeld, Heinz. Hanna Diyab. In: Enzyklopädie des Märchens. Bd. 6. Berlin/New York: Walter de Gruyter 1990, S. 485.

<sup>179</sup> Grotzfeld, Heinz. Hanna Diyab. In: Enzyklopädie des Märchens. Bd. 6. Berlin/New York: Walter de Gruyter 1990, S. 486.

საქვეყნოდ ცნობილი გახდა და გამოცემის შემდეგ „ათას ერთი ღამის“ განუყოფელ ნაწილად იქცა.

აღმოსავლური ზღაპრების სხვა კრებულები. 1785-89 წლებში პოლიგრაფებმა შარლ ჟოზეფ დე მეიერმა და შარლ-ჟორჟ-თომას გარნიემ გამოსცეს ფერიათა ზღაპრების კრებული „Le cabinet des fées, ou Collection choisie des contes des fées, et autres contes merveilleux“ ორმოცდაერთ ტომად. ტომეული დაიბეჭდა პარიზის, ამსტერდამის, ჟენევის გამომცემლობებში.

ეს არის ყველაზე ვრცელი გამოცემა ფრანგული და აღმოსავლური ზღაპრებისა XVII-XVIII საუკუნეებში. ტომებს ახლავს ბიბლიოგრაფია და შენიშვნები მაშინდელი ცნობილი გამომცემლებისა და ავტორებისა. კორპუსი შედგენილია როგორც ევროპული ლიტერატურული ზღაპრებისგან, ასევე შესულია „ათას ერთი ღამის“ და სხვა აღმოსავლური მოთხრობების ტექსტები.

1786 წელს გამოსულ ტომში მოთხრობათა ორი ციკლია: 1) სპარსეთის სულთანი ქალისა და მისი ვეზირების ამბავი და 2) ზულმას მოგზაურობა. მოთხრობათა პირველ ციკლში ჩართულია ეგვიპტის სულთან აქშიდის ისტორია, რომელიც ATU976 სიუჟეტს შეიცავს.

1812 წელს აღმოსავლური ზღაპრების ინგლისური კრებული გამოსცა ჰენრი უილიამ ვებერმა „Tales of the East“, რომელიც აღმოსავლური წარმოშობის ყველაზე პოპულარულ რომანტიკულ ისტორიებსა და მათ ევროპულ მიბაძვებს შეიცავდა. ნიგნს ვრცელი შესავალი და ავტორ-

LE CABINET  
DES FÉES,  
OU  
COLLECTION CHOISIE  
DES CONTES DES FÉES,  
ET AUTRES CONTES MERVEILLEUX,  
*Orals & figures.*

TOME TRENTE-SEPTIÈME



A GENÈVE,

CHEZ BARDE, MARGOT & Compagnie,  
Imprimeurs-Libraires.

& se trouve à PARIS,

Chez CROCHET, Libraire, rue & hôtel Serpente.

M. DCC. LXXXVI

[7] Le Cabinet de fées, 1785.

თა შენიშენები ერთვის.<sup>180</sup> მასში შედის 1) არაბული ლამე-  
ები და ახალი არაბული ლამეები; 2) სპარსული ზღაპრები,  
აღმოსავლური ზღაპრები და დამატებითი ზღაპრები არა-  
ბული ლამეებიდან; 3) მონღოლური, თურქული, თათრუ-  
ლი და ჩინური ზღაპრები და სხვა.

1825 წელს არაბული ზღაპრები, შევსებული თუნისური  
ხელნაწერის საფუძველზე, გერმანულად თარგმნა მაქს  
ჰაბიხტმა. ამ კრებულში შედის ზღაპრები „ათას ერთი  
ლამიდანაც“ და სხვა ისტორიები, რომლებიც მიენერება  
„ათას ერთი ლამეს“, მაგრამ არ არის მისი ორგანული ნა-  
წილი და ზოგიერთი ხალხური წარმოშობის უნდა იყოს.<sup>181</sup>  
ზღაპრები ამ კრებულიდან დაბეჭდილია გუსტავ ვაილის  
კრებულშიც, რომელიც 1838 წელს და შემდგომ წლებში  
მრავალჯერ გამოიცა გერმანიაში.

ეს წიგნები წარმოადგენენ აღმოსავლური და ევრო-  
პული ლიტერატურული ზღაპრების კრებულებს, რომ-  
ლებიც, თუ მთარგმნელებსა და ავტორებს ვერწმუნე-  
ბით, ჭეშმარიტი აღმოსავლური წყაროებიდან უნდა იყოს  
გადმოტანილი ევროპულ ენებზე. საერთო ჯამში, ეს გა-  
მოცემები ლიტერატურული ზღაპრების გარდა ხალხურ  
თხრობით ტრადიციასაც ასახავენ. მათში ხალხური სიუ-  
ჟეტებიც მრავლად გვხვდება, თუმცა საფუძველიანად გა-  
დამუშავებული სახით.

აღმოსავლური ზღაპრები საქართველოში. სულხან-  
საბა ორბელიანის (1658-1725) „სიბრძნე სიცრუისა“<sup>182</sup> იმა-  
ვე პერიოდში შეიქმნა, როცა ევროპა აღმოსავლეთით იყო  
გატაცებული. „სიბრძნე სიცრუისას“ ორიგინალობის სა-  
კითხის შესახებ ჯერ კიდევ ალექსანდრე ცაგარელს ეკუთ-

<sup>180</sup> Weber, William. Tales of the East. Edinburgh 1812.

<sup>181</sup> Habicht, Max. Tausend und Eine Nacht. Arabische Erzählun-  
gen. Zum erstenmal aus einer Tunesischen Handschrift ergänzt und  
vollständig übersetzt von Max Habicht, F. H. Von der Hagen und Karl  
Schall. 15 vols. Breslau: Josef Max und Komp. 1825.

<sup>182</sup> ორბელიანი, სულხან-საბა. სიბრძნე სიცრუისა. თბილისი:  
„საბჭოთა მწერალი“, 1957.

ენის გამოკვლევა. მან სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკები „ჰანჩატანტრას“, „ჰიტოპადეშას“, „ანვარი სოჰაილის“, „ათას ერთი ღამის“, მხითარ გოშისა და „თუთი-ნამეს“ არაკებს შეადარა და მივიდა დასკვნამდე, რომ „სიბრძნე სიცრუისა“ არ არის ამ კრებულების თარგმანი და მიბაძევა, არამედ ორიგინალური ქართული ნაწარმოებია: „მისი შინაარსი ამოღებულია მთლიანად ხალხის წიალიდან და, თუ ზოგიერთი არაკი უცხო ერთა არაკებში პოულობს შესატყვისს, ის, ყოველ შემთხვევაში, ლიტერატურული გზით არ უნდა იყოს შემოსული ჩვენშიო“.<sup>183</sup> უახლესმა ლიტერატურათმცოდნეობითმა კვლევებმა აჩვენა, რომ პერსონაჟების სახეებისა და ფაბულური პასაჟების დამუშავების თვალსაზრისით სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“ სრულიად ორიგინალური ნაწარმოებია.<sup>184</sup> მოუხედავად ამისა, მისი მსგავსება სხვა აღმოსავლურ იგავ-არაკების კრებულებთან მაინც შესამჩნევია სწორედ იმ მიზეზის გამო, რომ ქართული ლიტერატურა არ არის შორს ევროპაში მიმდინარე კულტურული პროცესებისგან და როგორც ევროპაში, ისე საქართველოში აღმოსავლური ზღაპრები მთავარი ლიტერატურული ტრენდია.

უფრო ადრეც, შუა საუკუნეების ქართულ ლიტერატურაში გვხვდება თხზულებები, რომელთა სიუჟეტები მკვლევრებს ავარაუდებინებს, რომ ისინი „ათას ერთი ღამის“ ზღაპრებიდან უნდა ყოფილიყო გადმოღებული, მაგალითად, „ბახთიარნამე“ და „თიმსარიანი“.

„ბახთიარნამე“ XIII საუკუნეში შედგენილი თხზულებაა, რომელიც სპარსულიდან ქართულად ითარგმნა 1703-1711 წლებში ვახტანგ მეექვსის ბრძანებით. ნაწარმოებს საფუძვლად უდევს სინდბადის ამბავი, რომელიც „ათას ერთი ღამის“ კრებულშიც არის შესული, თუმცა მის ორ-

<sup>183</sup> კეკელიძე, კორნელი. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია II. თბილისი: თსუ გამომცემლობა, 1958, გვ. 455.

<sup>184</sup> პოპიაშვილი, ნინო. პერსონაჟის ხატვის თავისებურებები სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე-სიცრუისაში“. ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია. თსუ, 2005.



[8] სულხან-საბა ორბელიანი. მხატვარი ლადო გუდიაშვილი

განულ ნაწილად არ ითვლება. „ბახთიარნამე“ აღწერს აჯამის მეფე აზდაბახთის შვილის ბახთიარის ამბავს. ნაწარმოების სტრუქტურა აგებულია არაკების თხრობაზე, რომლებსაც ცხრა ვეზირი ჰყვება.<sup>185</sup> „თიმსარიანი“ შეიცავს შვიდი ვეზირის მოთხრობილ არაკებს. ქართული სა-

<sup>185</sup> კეკელიძე, კორნელი. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია. თბილისი: თსუ გამომცემლობა, 1958, გვ. 471-472.

თაური მომდინარეობს სპარსული სიტყვისგან „თიმსარი“, რაც იგავ-არაკს, ამბავს ნიშნავს. ეს თხზულება ფართოდ იყო გავრცელებული აღმოსავლურ და დასავლურ სამყაროში. არსებობს მისი ფალაური, არაბული, სპარსული, ებრაული, ასურული, ბერძნული და ესპანური თარგმანები. „თიმსარიანი“ ქართულად თარგმნილია „დიდი სინდბადის“ XII საუკუნის სპარსული პროზაული ვერსიიდან თეიმურაზ მეორის მიერ. თვითონ სპარსული დედანი, ე.წ. სამარყანდის რედაქცია დაკარგულია.<sup>186</sup> მიუხედავად სტილისტური მსგავსებისა, „ბახთიარ-ნამე“ და „თიმსარიანი“ არ არის „ათას ერთი ლამის“ თარგმანები.

„ათას ერთი ლამის“ მსგავსი ჩარჩო თხრობის პრინციპი სხვა თხზულებებში გვხვდება, მათ შორის ყველაზე ადრე – „ამირანდარეჯანში“, შემდგომ კი „ჩარდავრიშიანსა“ და „რუსუდანიანში“.

საყურადღებოა 1967 წელს გამოქვეყნებული ვახტანგ სიდამონიძის მცირე ნარკვევი „ათას ერთი ლამის“ ფრაგმენტულ თარგმანებზე. არსებობს ცნობები ლეონიდ ბარათაშვილის, კირილე ლორთქიფანიძის და სილოვან ხუნდაძისეული თარგმანების შესახებ. ვ. სიდამონიძე იმონმებს 1903 წელს გაზეთ „ივერიაში“ დაბეჭდილ წერილს. უცნობი კორესპონდენტი მკითხველს არწმუნებდა, რომ არსებობდა „ათას ერთი ლამის“ სრული ქართული თარგმანი და ის ქართლის სოფელ ხცისში თავად თომა ციციშვილის ოჯახში ინახებოდა. „თურმე, შენიშნავს კორესპონდენტი, – სხვა თარგმანის გამოცემა დაუპირებია ვასილ ბეჟანეიშვილს და წიგნის დასურათებაზე მოლაპარაკებაც გაუმართავს მხატვარ შმერლინგთან. ჩინებული საქმეა, მაგრამ უკეთესია, რომ „ათასერთლამიანის“ ძველი თარგმანი გამოსცეს, რადგანაც ხალხის გუნებისად იქნება თარგმნილი, როგორც სპარსულიდან და არაბულიდან გადმოღებული ყოველი სიტყვაკაზმული თხზულება. ვერ წარმოგვიდგენია, ახლა რომ ვინმემ თარგმნოს და გამოსცეს „ყარამანიანი“.

<sup>186</sup> კეკელიძე, კორნელი. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია. თბილისი: თსუ გამომცემლობა, 1958, გვ. 472-476.

კარგს ვიზამთ, „ათას ერთი ღამის“ ხელნაწერს თუ მივაკვლევთ და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას გადავცემთ“.<sup>187</sup> ჯერჯერობით, ეს ხელნაწერი, რომელზეც გაზეთ „ივერიის“ კორესპონდენტი მიუთითებდა, მიკვლეული არ არის.

საქართველოში „ათას ერთი ღამის“ პირველი თარგმანები მესამე ენიდან – რუსულიდან შესრულდა.<sup>188</sup> თავად რუსული თარგმანები XVIII საუკუნეში გამოჩნდა 1763-1795 წლებში. გალანის გადამუშავების რუსული თარგმანები მეტად პოპულარული გახდა, XIX საუკუნის მეორე ნახევარში უამრავი რუსული გამოცემა მომზადდა ცალკეული ზღაპრებისა. 1864 წლიდან 1918 წლამდე რამდენიმე ათეული წიგნი გამოვიდა სახელწოდებით „Арабские сказки“.<sup>189</sup>

„ათას ერთი ღამის“ ქართული თარგმანი არაბულიდან სრულად, კომენტარებითა და სამეცნიერო აპარატით გამოიცა 1967-1984 წლებში.<sup>190</sup>

**ზღაპრის აღმოსავლური წარმოშობის თეორია მეცნიერებაში.** XVII საუკუნის ევროპაში აღმოსავლური ზღაპრებით მხოლოდ მხატვრული ლიტერატურა არ იყო დაინტერესებული. ფილოლოგიურ მეცნიერებაში მთელი

---

<sup>187</sup> სიღამონიძე, ვახტანგ. ათას ერთი ღამის ადრეული თარგმანები. გაზ. ლიტერატურული საქართველო, №27, 7 ივლისი 1967, გვ. 5.

<sup>188</sup> „ათას ერთი ღამის“ ცალკეული მოთხრობის ქართული თარგმანები მხოლოდ XIX საუკუნის ბოლოდან ჩნდება, ისიც რუსული ენიდან. ასეთი გამოცემებია: ათას ერთი ღამე. არაბული ზღაპრები. მოთხრობა შაჰერაზადასი. ქართულად გადმოღებული და გამოცემული ს. ს-ძის მ...საგან. ტფილისი 1894; ათას ერთი ღამე. ყრმათა საკითხავი. არაბული ზღაპარი სურათებით. თარგმანი მოსე ჯანაშვილისა. ტფილისი 1895; ალადინი ანუ თვალთმაქციური ღამა და ზღაპარი დისა და ძმისა. ნათარგმნი რუსულიდან არტემ ხუდადოვისაგან. ტფილისი 1888.

<sup>189</sup> Крымский, Агафангел. Тысяча и одна ночь. Энциклопедический Словарь Ф.А.Брокгауза и И.А.Ефрона. Т. 67, Санкт-Петербург, 1901, с. 270-273.

<sup>190</sup> ათას ერთი ღამე, I. არაბულიდან თარგმნა და განმარტებები დაურთო ნანა ფურცელაძემ. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, 1969.



მიმდინარეობა შეიქმნა აღმოსავლური წარმოშობის სიუჟეტთა და მოტივთა კვლევისათვის.


ევროპელ აღმოსავლეთმცოდნეთა მიერ სიუჟეტთა მსგავსებისა და გავრცელების საკითხის დასმა უპირველეს ყოვლისა ინდურ და არაბულ ხალხურ გადმოცემებს უკავშირდება. ინდური ხალხური არაკების კრებული „ჰანჩატანტრა“ („ხუთი წიგნი“) VI საუკუნეში შეიქმნა და მაშინვე ითარგმნა ფალაურ და ასურულ ენებზე, VIII საუკუნეში კი ფალაურიდან არაბულად თარგმნეს „ქილილა და დამანას“ სახელწოდებით. სწორედ აქედან გავრცელდა სხვა ქვეყნებში.

ინდური იგავების ქართულ ზეპირსიტყვიერებასთან მსგავსებას ვახტანგ მეექვსემ მიაქცია ყურადღება XVIII საუკუნის დამდეგს. „ქილილა და დამანას“ წინასიტყვაობაში იგი წერდა: „იმითიც საცნაურ არს, რაოდენსაცა საქართველოსა შინა ანუ არაკსა, ანუ იგავსა, ანუ ზეპირს მუნასიბსა ლექსსა იტყვიან, უფროსი ერთი ამაში სწერია“.<sup>191</sup>

1816 წელს საფრანგეთში გამოქვეყნდა „ქილილა და დამანა ანუ ბიდჰაის იგავები არაბულ ენაზე“, რომლის ავტორი, ორიენტალისტი სილვესტრ დე სასი ხალხური გადმოცემების გავრცელებას იკვლევდა. ბუდისტური ლიტერატურის შესწავლისას მან ყურადღება მიაქცია ბრაჰმანებისა და ბუდისტი რელიგიური პირების მიერ ინ-

---

<sup>191</sup> ჩიქოვანი, მიხეილ. ქართული ფოლკლორი. თბილისი 1946, გვ. 121; ქილილა და დამანა. იგავ-არაკების კრებული. სპარსულიდან თარგმნილი მეფე ვახტანგ მეექვსისა და სულხან-საბა ორბელიანის მიერ. ტექსტი დაადგინა, შესავალი კომენტარები და ლექსიკონი დაურთო მ. თოდუამ. თბილისი 1975. ქილილა და დამანა. იგავ-არაკები. ქართულად გადმოკეთებული ვახტანგ VI-ისა და სულხან-საბა ორბელიანის მიერ. აღ. ბარამიძის და პ. ინგოროყვას რედაქციით. თბილისი 1949; ჰუსეინ იბნ ალი ქაშეფი. ქილილა და დამანა. სპარსულიდან თარგმნილი მეფე ვახტანგ მეექვსისა და სულხან-საბა ორბელიანის მიერ. ტექსტი ორიგინალს შეუდარა, გამოკვლევა, კომენტარები და ლექსიკონი დაურთო მაგალი თოდუამ. ქუთაისი 2006; ქილილა და დამანა მოთხრობილი მ. თოდუას მიერ. თბილისი 2012; წიგნი ქალილასა და დიმნასი. არაბულიდან თარგმნა, განმარტებანი და ბოლოთქმა დაურთო გიორგი ლობჯანიძემ. თბილისი: „ბაკმი“, 2016.



[10] სიბრძნე სიცრუისა. 1959 წ., მხატვარი ლადო გუდიაშვილი

ტერპრეტირებული ლეგენდების, აფორიზმებისა და ანდაზების აურაცხელ რაოდენობას. დე სასიმ ამ გამოკვლევით სათავე დაუდო ხალხური ლიტერატურის გავრცელების საკითხის შესწავლას აღმოსავლურ სამყაროში, მისმა მოსწავლემ, ლუაზელერ-დელონშანმა კი ეს პრობლემატიკა დასავლურ კულტურაზეც განაზოგადა ნაშრომში „ინდური იგავ-არაკებისა და მათი ევროპაში მოხვედრის შესწავლის გამოცდილება“.<sup>192</sup>

იგავებისა და ზღაპრების ინდური წარმომავლობის საკითხის შესწავლის ისტორიაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს გერმანელი ენათმეცნიერის, სანსკრიტოლოგის, თეოდორ ბენფეის მოღვაწეობას. მისი სრული თარგმანი და მონოგრაფიული გამოკვლევა „პანჩატანტრას“ შესახებ ორიენტალისტიკის შედეგად არის აღიარებული. ასეთივე მნიშვნელობა აქვს ამ ნაშრომს ფოლკლორისტიკაში. ზუსტ თარგმანთან, სხვადასხვა რედაქციის შედარებასა და ისტორიულ-კულტურულ ანალიზთან ერ-

<sup>192</sup> Кокхъяра, Джузеппе. История фольклористики в Европе. Москва 1960, с. 320.

თად ბენფეის უყურადღებოდ არ დარჩენია „პანჩატანტრას“ ხალხურ თხრობით ტრადიციაზე გავლენის საკითხი. იგავების, ნოველისტური ზღაპრების, ლეგენდებისა და გამოცანების შესწავლის საფუძველზე ბენფეიმ დაასკვნა, რომ ზღაპრებისა და სხვა ხალხური მოთხრობების დიდი რაოდენობა ინდოეთიდან გავრცელდა მსოფლიოში. მისი აზრით, ეს გავრცელება დაიწყო ჩვენი ნელთალრიცხვის X საუკუნიდან, როცა „პანჩატანტრას“ მოთხრობებს აღმოსავლეთში ჩამოსული მოგზაურები და ვაჭრები გაეცნენ. ხალხური ლიტერატურა უპირველეს ყოვლისა ზეპირ ტრადიციაში არსებობდა, მოგვიანებით კი ზეპირს ლიტერატურული ტრადიციაც დაემატა: „X საუკუნეში, ისლამის ინდოეთში გავრცელების შემდგომ ჩვენი ცოდნა ამ ქვეყნის შესახებ კიდევ უფრო გაიზარდა. ამის შემდეგ მნივნობრული ტრადიცია ზეპირზე გაბატონებას იწყებს. ინდური ლიტერატურული ნაწარმოებები სპარსულ და არაბულ ენებზე ითარგმნება და ვრცელდება აზიის, აფრიკისა და ევროპის იმ ქვეყნებში, რომლებიც მუსლიმთა მიერ იყვნენ დაპყრობილი. ამ ქვეყნების ქრისტიანულ სამყაროსთან მჭიდრო ურთიერთობების შედეგად კი [ინდური ლიტერატურა – ე.გ.] მთელ ქრისტიანულ დასავლეთში ხდება ცნობილი. აღმოსავლეთთან შეხების ძირითადი ადგილები იყო ბიზანტია, ესპანეთი და იტალია“.<sup>193</sup>

ბენფეის დაკვირვებით, იგავები და ლეგენდები ბუდისტურ ლიტერატურასთან ერთად პირველი საუკუნიდანვე მოხვდნენ ჩინეთში, შემდგომ ტიბეტში და მონღოლეთში, მონღოლების მეშვეობით კი ევროპაში. ბენფეი თავის დებულებებს პანჩატანტრას სხვადასხვა თარგმანისა და რედაქციის არსებობით ხსნის. ზეპირი და ლიტერატურული ტრადიციების ურთიერთგავლენას იგი შემდეგნაირად ახასიათებს: „ევროპულ ლიტერატურაში ნოველებს პირველად ბოკაჩოსთან ვხვდებით, ზღაპრებს კი სტრაპარო-

<sup>193</sup> Benfey, Theodor. *Pantschatantra. Fünf Bücher indischer Fabeln, Märchen und Erzählungen.* Aus dem Sanskrit übersetzt mit Einleitung und Anmerkungen von Theodor Benfey. Leipzig 1859, S.XXII.

ლასთან. ხალხის მიერ ლიტერატურიდან აღებული და გადამუშავებული ისევ ლიტერატურაში მოხვდა, იქიდან კი კვლავ ხალხში დაბრუნდა. ამის შედეგად უამრავმა მოთხრობამ ეროვნული სულისა და შემოქმედი ინდივიდუუმების ერთობლივი ზემოქმედებით ის ნაციონალური ხასიათი მიიღო, რაც მხოლოდ ინდივიდუუმის შრომით მიიღწევა და რაც მას მაღალმხატვრულ ღირებულებას ანიჭებს".<sup>194</sup> ლიტერატურული ნაწარმოების ფოლკლორული საფუძვლის შესახებ ზეპირსიტყვიერების მკვლევრები ყოველთვის ხაზს უსვამენ იმ ფაქტს, რომ ინდივიდუალური შემოქმედების მიღმა ყოველთვის იგრძნობა ხალხური და ამა თუ იმ მწერლის ღრმად გასაცნობად მისი ქვეყნის ფოლკლორის მხატვრული სისტემის კარგი ცოდნაა საჭირო: „ქართული ლიტერატურის მწვერვალები სწორედ იქა გვაქვს, სადაც ლიტერატურა და ფოლკლორი ერთმანეთს შეხვდნენ“.<sup>195</sup>

ბენფეის უმთავრესი მიზანი იყო ამა თუ იმ მოტივის გავრცელების გზებზე დაკვირვება და ნაწარმოების შემოქმედებითი გენეზისი – თუ როგორ იქცევა ერთი ნოველა გადამუშავების შედეგად ახალ ნოველად.

წერილობითი და ზეპირი გზით გავრცელებული ნარატივების ურთიერთგავლენა განსაკუთრებით შესამჩნევია ბოკაჩოს, ჩოსერის, შექსპირის, ბაზილეს, სტრაპაროლას და სხვ. ნაწარმოებებში. ქართულ ფოლკლორშიც სხვა ხალხების მსგავსად, საზღაპრო სიუჟეტებში უხვად გვხვდება როგორც ნაციონალური მწერლობის, ისე ნათარგმნი ლიტერატურული ნაწარმოებების გახალხურებული ვერსიები. ცხადია, ურთიერთგავლენის პროცესი ორმხრივია და ფოლკლორის ლიტერატურული ინტერპრეტაციების მაგალითებიც უხვად გვაქვს. ქართველ ფოლკლორისტთა უმრავლესობა შუა საუკუნეებისა და ახალი ეპოქის მწერალთა შთაგონების ძირითად წყაროდ

<sup>194</sup> იქვე, გვ. XXVI.

<sup>195</sup> კოტეტიშვილი, ვახტანგ. ხალხური პოეზია. თბილისი: „საბჭოთა მწერალი“, 1961, გვ. 40.

ფოლკლორს მიიჩნევს: „ბევრი ხელოვანი გაიტაცა და მოხიბლა ხალხურმა პოეზიამ. არც ჩვენი მწერლობა წარმოადგენს ამ მხრივ გამონაკლისს. ქართველი მწერლები და პოეტები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ ზეპირსიტყვიერებას და ხშირად მას თავისი შემოქმედების წყაროდ იხდიდნენ.“<sup>196</sup>

ფრანგი ფილოლოგი გასტონ პარისი თავის ნაშრომებში „შუა საუკუნეების პოეზია“ (*La poésie du Moyen Age*) და „ფრანგული ლიტერატურა შუა საუკუნეებში“ (*La littérature française au Moyen Age*) თეოდორ ბენფეის თვალსაზრისს იზიარებს. ფრანგული ხალხური თხრობითი ტრადიციების შესახებ საუბრისას ის ამტკიცებს, რომ ახალ ნიადაგზე გადასვლისას საერთაშორისო წარმომავლობის სიუჟეტები და მოტივები ნაციონალურ თვისებებს იძენენ.<sup>197</sup>

უცხო სიუჟეტთა ტრანსფორმაცია ეროვნული თავისებურების მიხედვით – ამგვარ კონცეფციას აკაკი წერეთლის ნაწერებშიც ვხვდებით. წერილში „ზეპირსიტყვიერება“ (1897 წ.) აკაკი წერეთელი საკითხს სვამს ბიბლიური და ანტიკური მითოლოგიური მოტივების რეცეფციის შესახებ ქართულ ფოლკლორში: „ძველი და ახალი აღთქმა სულ ერთიანად გაღექსილი იყო და ტრიალებდა ჩვენს ხალხში. ვის არ გაუგონია ჩვენში საუცხოო შაირები „აბრამზე“, „იობზე“, „სოლომონზე“ და სხ?.. არც ერთი შესანიშნავი მოვლინება არ ყოფილა ჩვენში, რომ ხალხს უყურადღებოთ დაეგდოს და შაირი არ გამოეთქვას!..“<sup>198</sup>

საზღაპრო სიუჟეტთა წარმომავლობის, სესხების, გავრცელებისა და ორიგინალობის საკითხის შესწავლა ქართულ ფოლკლორისტიკაში აკაკი წერეთლის პუბლიცისტური წერილებიდან იწყება. მანამდე მხოლოდ ცალკეულ კომენტა-

<sup>196</sup> ჩიქოვანი, მიხეილ (რედ.). ქართული ხალხური პოეტური შემოქმედება. I. თბილისი: „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა“, 1960, 137.

<sup>197</sup> Кожухара, Джузеппе. История фольклористики в Европе. Москва 1960, с. 338.

<sup>198</sup> წერეთელი, აკაკი. რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად. ტ. V. პუბლიცისტური და კრიტიკული წერილები. თბილისი 1990, გვ. 147.


რებს ეხვდებით მითოლოგიურ სიუჟეტთა მსგავსების თაობაზე თეიმურაზ ბაგრატიონის, იოანე ბაგრატიონის, ივანე ცისკარიშვილის, დიმიტრი ყიფიანის ნაშრომებში.<sup>199</sup> აკაკი წერეთელს არაერთი დაკვირვება და თვალსაზრისი აქვს გამოთქმული ზღაპრების შესახებ, რომლებიც „მოხეტიალე სიუჟეტის“ თეორიასა და შედარებით-ისტორიულ მეთოდებს ეყრდნობა.

მეტად საინტერესო ინფორმაციის შემცველია აკაკი წერეთლის კომენტარი ბოკაჩოს ნოველის ქართული

გახალხურებული ვერსიის თაობაზე: „უფრო ახირებული კიდევ ის არის, რომ ჩვენ ზეპირსიტყვაობაშივე შევხვდებით ზოგჯერ უცხო ქვეყნის ხელოვნურ ნაწარმოებსაც, მაშინ, როდესაც ჩვენს ლიტერატურაში კი არა არის რა იმ გვარი. მაგალითად. ახალ-ქალაქის მაზრიდან შემოვიდა ერთი ზღაპარი „გულკეთილი ტერტერა“ – და ეს ზღაპარი თავიდან ბოლომდე გადაკეთებულია ბოკაჩოს ერთ ნოველათაგან, რომელსაც სახელათ ეს ჰქვია: „მადონა იზაბელლა და მისი საყვარელი ლიონეტო და ლამბერუჩიო და ბოლოს ქმარიც იზაბელლასი“. ამ ამბავს აქვე ქვემოთ დავბეჭდავთ, მაგრამ ჯერ ვიტყვი, რომ ეს ბოკაჩოს ნოველები ფრანგის პატრების გადმოტანილი უნდა იყოს ჩვენში და გავრცელებული, – სხვებ ვერ აიხსნება“.<sup>200</sup>

<sup>199</sup> ჯაგოდნიშვილი, თეიმურაზ. ქართული ფოლკლორისტიკის ისტორია. I. თბილისი 2004, გვ. 228-229; ხუმარსნავლა, კალმასობა. ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს ც. კახაბრიშვილმა და ც. კიკვიძემ. თბილისი 1990.

<sup>200</sup> წერეთელი, აკაკი. რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად. ტ. V. პუბლიცისტური და კრიტიკული წერილები. თბილისი 1990, გვ. 218.



[11] ქართული ხალხური ზღაპრების პირველი ინგლისური გამოცემა, 1894.

სიუჟეტის გავრცელების თემასთან აკაკი წერეთელს მუსიკალური ფოლკლორის გავლენის საკითხიც აქვს დასმული იმავე სტატიაში:

„ამ ოცდა ხუთი წლის წინეთ ხიზაბავრაში მოვდიო-  
დი და გზაში უცბათ რაღაც უცნაური სიმღერა მომესმა:  
მინდორში მწყემსები იმღეროდნენ. მეუცხოვა და შევა-  
ჩერე ცხენი, დაუგდე ყური და რა გამოდგა? ფრანცუ-  
ზებს ერთი ხალხური სიმღერა აქვთ, თუ როგორ წავიდა  
ჯვაროსნობის დროს რაინდი მალბრუგი სარკინოზების  
გასაჟღელტათ და რა გადახდა. ეს სიმღერა დღესაც ხში-  
რად გაიგონება საფრანგეთში, განსაკუთრებით გამდე-  
ლები უმღერიან ყმანვილებს. და სწორეთ ამ ლექსს იმ-  
ღეროდნენ ხიზაბავრელი მწყემსებიც. კილოც დაეცვათ  
და სიტყვებიც. მხოლოთ „მალბრუგის“ ნაცვლათ „ყაფ-  
ლანს“ ამბობდნენ და ლექსი იწყებოდა: „ყაფლან მიდის  
ჯარშია“ და სხვ. ხიზაბავრაში გაფრანგებული ქართვე-  
ლები ცხოვრობენ და, რასაკვირველია, პატრებისაგან  
ექნებოდათ მათ ძველებს ნასწავლი ეს ლექსი და ჩარჩე-  
ნილა. ესევე უნდა ვიფიქროთ ბოკაჩოს ნოველების შე-  
სახებაც“.<sup>201</sup>

ქართული ხალხური ზღაპრების შესახებ მე-19 საუკუ-  
ნეში გამოთქმული მოსაზრებები ცხადყოფს, რომ ქართ-  
ველი მკვლევრები „აღმოსავლურ თეორიას“ – „მოხეტია-  
ლე სიუჟეტთა“ თეორიას კარგად იცნობდნენ და ამასთან-  
ავე იმ ეპოქისთვის აქტუალურ ფოლკლორისტულ კვლე-  
ვებში მუდმივად ჩართული იყვნენ.

ალექსანდრე ხახანაშვილი ზღაპრების ისტორიულ-  
შედარებით ანალიზს მიმართავდა და გამოთქმული აქვს  
მეტად საგულისხმო ვარაუდები აღმოსავლურ-დასავ-  
ლური სიუჟეტების შესახებ. გაზეთ „Новое обозрение“-ში  
ალექსანდრე ხახანაშვილი მოსკოვში ახალგამოცემულ  
კრებულს (Этнографическое обозрение, кн. XIX. Москва  
1894) მიმოიხილავს, რომელშიც დაიბეჭდა ვინმე სუმცო-

<sup>201</sup> წერეთელი, აკაკი. რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად. ტ. V. პუბ-  
ლიცისტური და კრიტიკული წერილები. თბილისი 1990, გვ. 218-219.

ვის სტატია „ქმარი ცოლის ქორნილში“. ალექსანდრე ხახანაშვილის შეფასება კომენტარის ფარგლებს ცდება. იგი აგრძელებს კვლევას:

„ეს საერთაშორისო გავრცელების სიუჟეტია. ამ მოთხრობებისა და სიმღერების შესწავლა ლიტერატურის ისტორიკოსისა და ეთნოგრაფის მიერ ფართო სურათს შლის ხალხთა ლიტერატურულ ურთიერთობათა სურათისთვის, ნათელს ხდის მნიგნობრული ლიტერატურისა და ხალხური სიტყვიერების ურთიერთგავლენას. ბეჭდით ამოცნობა გავრცელებული საზღაპრო სიუჟეტია არა მხოლოდ რუსულ (ბილინა დობრინია ნიკიტინაზე), მალორუსულ, ბოშათა, ინგლისურ და სხვათა ფოლკლორში, ასევე ცნობილი მოტივია ქართულ ლიტერატურაში. სუმცოვის სტატიის შესავსებად მკითხველს შევახსენებთ პოემა „ბეჟანიანს“, „როსტომიანის“ („შაჰ-ნამეს“ ქართული თარგმანი, XVII ს.) გავრცობილ ვარიანტს, რომელშიც როსტომი დატყვევებულ ბეჟანს ნეკა თითის ბეჭედს შეუგზავნის და ამ საშუალებით ატყობინებს, რომ მის დასახსნელად სახელოვანი გმირი ჩამოვიდა. ერთ ძველ ფრანგულ სიმღერაში, დღემდე რომ არის ხალხში შემორჩენილი, ქმრის დაბრუნების მოტივი თქმულებათა სხვა ციკლის ნაწილია – მკვდარი სასიძო. რაინდი შვიდი წლის შემდეგ ბრუნდება შინ სწორედ იმ დღეს, როცა მისი საცოლე უნდა გათხოვდეს. ის ისეა შეცვლილი, ვერაინ იცნობს. მიინვევენ ვახშმად, ჯდება, თამაშობს ბანქოს და მოიგებს პატარძალს. როცა ნილაბს მოიხსნის, ყველა დაინახავს მკვდარს ცეცხლოვანი თვალებით. მკვდარი ნაიყვანს პატარძალს“.<sup>202</sup>

აღმოსავლური და ევროპული სიუჟეტების ურთიერთმიმართებას ეხება ვოლფგანგ გოლთერისა და ვლადისლავუს ნერინგის ნარკვევები, გამოქვეყნებული 1899 წელს ბერლინში. ისინი განიხილავდნენ მეგრული ზღაპრის – „სანატრიას“ მსგავსებას „ნიბელუნგების სიმღერას-

<sup>202</sup> Хаханов, Александр. „Этнографическое обозрение“. Новое обозрение, 1894, N3529.

თან".<sup>203</sup> „სანატრიას ზღაპრის“ რუსული თარგმანი 1880 წელს პეტერბურგში გამოსცა ალ. ცაგარელმა, ხოლო შემდეგ მარჯორი უორდროპმა შეიტანა „ქართული ხალხური ზღაპრების“ კრებულში. გერმანელი მკვლევრების აზრით, „სანატრიას ზღაპარში“ იყო ორი მოტივი, რომლებიც მეტ-ნაკლები სიზუსტით მისდევენ ზიგფრიდის საგმირო საქმეთა ეპიზოდებს. დასკვნა სხვადასხვაგვარია: გოლთერს მიაჩნია, რომ ქართული ზღაპარი გვიანდელია და ეყრდნობა ზიგფრიდის თავგადასავლებს. ნერინგი არ გამორიცხავს სიუჟეტების მთარულ ხასიათს და სანატრიას სათავგადასავლო ეპიზოდების უფრო შორეულ მიმართებებს „ნიბელუნგების სიმღერასთან“.<sup>204</sup>

ფოლკლორისტიკის დამოუკიდებელ დისციპლინად ჩამოყალიბება სამეცნიერო თეორიათა უწყვეტ კამათს უკავშირდება ზღაპრების წარმომავლობის გარშემო. „ალმოსავლური“ თეორია, რომლის სხვადასხვა სახელწოდებაა „მოხეტიალე სიუჟეტთა“, „სესხების“, „ნასესხობის“, „მიგრაციული“ – მთავარი საყრდენია ფაქტობრივად ყველა დანარჩენი ფოლკლორისტული სკოლისთვის, რომლებიც სიუჟეტების შედარებით შესწავლას მისდევს.

---

<sup>203</sup> Nehring, Wladislaus. Anklänge an das Nibelungenlied im mingrelischen Märchen? Zeitschrift für vergleichende Literaturgeschichte. Heft 13. Berlin 1899, S. 399-401; Golther, Wolfgang. Ein mingrelisches Siegfriedsmärchen. Zeitschrift für vergleichende Literaturgeschichte. Heft 13. Berlin 1899, S. 46-50.

<sup>204</sup> ხინთიბიძე, ელგუჯა. ქართული ლიტერატურა ევროპის მეცნიერებაში. თბილისი 2003, გვ. 187.

## აღმოსავლეთის სიბლი და ფრანგული ფილოსოფიური ზღაპარი

ევროპელთა ინტერესი აღმოსავლეთის მიმართ ყოველთვის დიდი იყო. ევროპის მკვიდრთა წარმოდგენით, აღმოსავლეთი მიუწვდომელ, საიდუმლოებით მოცულ და ამოუცნობ მხარედ მიიჩნეოდა, რაც ევროპულ კულტურაში აისახა კიდევ. არც ფრანგული კულტურა იყო გამონაკლისი: ფრანგები აღმოსავლეთით ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში დაინტერესდნენ. თავდაპირველად, ფრანგთა ცნობიერებას ხიბლავდა ლევანტი და წმინდა მიწა.<sup>205</sup> მოგვიანებით, „მინიერ სამოთხეზე“ წარმოდგენა ევფრატის, ტიბეტის, ინდოეთის და სპარსეთის ტერიტორიებს გასცდა. თურქეთისა და სპარსეთის კვალდაკვალ, ინდოეთი, ჩინეთი და იაპონია სულ უფრო მეტად იპყრობდა ევროპელთა ცნობიერებას.

ახლის შეცნობის გარდა, აღმოსავლეთი ეკონომიკური თუ პოლიტიკური თვალსაზრისითაც იყო მიმზიდველი. აღმოსავლეთსა და ევროპულ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობა არაერთგვაროვანი იყო, თუმცა ყოველთვის, ანტიკური ეპოქიდან თუ პირველი ჯვაროსნული ომებიდან მოყოლებული, ევროპის, კერძოდ კი საფრანგეთის დამოკიდებულება ევრაზიის უდიდესი ნაწილის მიმართ ამავე კონტინენტის შედარებით მცირე გეოგრაფიული არეალის პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ მიზნებს ემსახურებოდა და ხშირად ქვეყნების მმართველთა სურვილებითა და ზრახვებით იყო ნაკარნახები. ამას ცხადყოფს ფრანსუა პირველის და სულეიმანის მიმონერა, საფრანგეთის მეფეების ანრი II-ის და ანრი IV-ის, ლუი XIV-ის დიპლომატიური კავშირის დამყარების მცდელობა, რაც

<sup>205</sup> Martino, Pierre. *L'Orient dans la littérature française (au XVII et au XVIII siècle)*. Paris: Éditions HACHETTE et C, 1908, p. 18.

დასავლეთისა და აღმოსავლეთის დიდ სახელმწიფოების კავშირ-ურთიერთობის მაგალითებია.

აღმოსავლეთის შესწავლაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა სავაჭრო ურთიერთობების განვითარებამ და მოგზაურთა მონათხობმაც. 1670 წლიდან დაწყებული მრავალი ფრანგი მოგზაური ესტუმრა აღმოსავლეთის ქვეყნებს და თავიანთი შთაბეჭდილებები ჩანაწერების სახით გამოსცა: ფრანსუა მარტენი, პიერ დე ლავალი, დე ფეინესი, დე ბოვო, შარდენი, ბერნიერი. ვაჭრების, დესპანების, არქეოლოგების თუ უბრალო მოგზაურების ჩანაწერების წყალობით, აღმოსავლეთი მთელი სისავსით და ბრწყინვალეობით წარმოჩნდა ევროპელი მკითხველის წინაშე.

მისიონერულმა საქმიანობამ, რომელიც პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერსით იყო განპირობებული, აღმოსავლეთის შესწავლაში თავისი წვლილი შეიტანა. აღმოსავლეთის პოპულარიზაციაში მეცნიერებმაც თავიანთი სიტყვა თქვეს: XVII საუკუნეში იწერება სპარსული, არაბული, იაპონური და ჩინური ენების გრამატიკები. იქმნება ენციკლოპედიები.<sup>206</sup> 1697 წელს, გამოიცა ერთ-ერთი პირველი ფრანგი აღმოსავლეთმცოდნეს, ბართელემი დ'ერბელო დე მოლენვილის ნაშრომი „აღმოსავლური ბიბლიოთეკა“.<sup>207</sup> შესაბამისად, XVII საუკუნის ბოლოდან მოყოლებული, აღმოსავლეთით დაინტერესებულებს დასაბუთებული ინფორმაციის ამოკითხვა შეეძლოთ აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის, აღმსარებლობის, ტრადიციების, საზოგადოებრივი ცხოვრების წეს-ჩვეულებების, ხელოვნების შესახებ. XVIII საუკუნეში იქმნება შრომები აღმოსავლურ რელიგებსა და ფილოსოფიაზე. სწორედ ამ პერიოდში ფრანგულენოვანი მკითხველი გაეცნო ზოროასტრიზმს და კონფუციუსის მოძღვრებას. მრავალი მწერალი,

<sup>206</sup> Martino, Pierre. L'Orient dans la littérature française (au XVII et au XVIII siècle). Paris: Éditions HACHETTE et C, 1908, p. 144.

<sup>207</sup> ერბელო თავის ნაშრომს „აღმოსავლური ბიბლიოთეკა, ან ლექსიკონი აღმოსავლეთის ხალხთა შესახებ“ მთელი ცხოვრება წერდა. როგორც ცნობილია, ანტუან გალანმა თავისი წვლილი შეიტანა ტექსტის რედაქტირებაში.

მათ შორის მონეტესკიე და ვოლტერი მოგზაურთა ჩანაწერებითა და მეცნიერთა კვლევებით საზრდოობდნენ.<sup>208</sup>

საუკუნეების მანძილზე, აღმოსავლეთით გატაცებული ფრანგების წარმოდგენა აღმოსავლეთის შორეულ მხარეზე მრავალ სურათსა თუ გობელენზე აისახებოდა.<sup>209</sup> ეუენ დელაკრუა, ჟან-ოგუსტ დომინიკ ენგრი, ალექსანდ-გაბრიელ დეკამპი, იმპრესიონისტი თუ პოსტიმპრესიონისტი მხატვრები, პაბლო პიკასო და ანრი მატისი გატაცებული იყვნენ აღმოსავლეთის თემატიკით.

ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში, ფრანგულმა ლიტერატურამ შექმნა აღმოსავლეთის ევროპული სახე-ხატი. საგმირო ეპოსში და მომლოცველობის ციკლის რომანებში აღმოსავლეთი მტრულ<sup>210</sup> ან გასაოცარ მხარედ მოიაზრებოდა.<sup>211</sup> მრავალ სათავეგადასავლო რომანში მოქმედება აღმოსავლეთში ვითარდებოდა.<sup>212</sup>

XVII საუკუნეში აღმოსავლური სახელმწიფოების მიმართ ევროპელთა დამოკიდებულება შეიცვალა. – აღმოსავლეთი აღარ იყო ამოუცნობი მხარე. ამ პერიოდში

---

<sup>208</sup> მონეტესკიეს „სპარსული წერილები“ და ვოლტერის „ზადიგი“ აღმოსავლეთით გატაცებით დიდადაა დავალებული. ამ მხატვრულ-ლიტერატურულ ტექსტებში ასიახა XVI-XVII საუკუნეებში გავრცელებული წვეულებების აღმოსავლურ ყაიდაზე გამართვის ნესი.

<sup>209</sup> XVII-XVIII საუკუნეების საფრანგეთში მოდად იქცა აღმოსავლურ ყაიდაზე ჩაცმა. ამის შესანიშნავი მაგალითია ფრანგი ფერმწერის, შარლ-ანდრე ვალ ლოს (1705-1765) ტილოები, რომელზეც გამოსახულია თურქულ სამოსში გამოწყობილი მადამ დე პომპადური.

<sup>210</sup> ფრანგული საგმირო ეპოსის ცნობილ ნიმუშში, „სიმღერა როლანზე“, როლანი სარკინოზთა მსხვერპლი ხდება. თუმცა, 778 წელს რონსევალის ხეობაში როლანს და მეფე შარლემანს თავს დაესხნენ ბასკები.

<sup>211</sup> „ოკასენი და ნიკოლეტი“, XIII საუკუნის შანტეფაბლია, რომლის გალექსილი და პროზაული ტექსტურა მოგვეთხრობს ქრისტიანი ოკასენის და მამამადიანი ნიკოლეტის სასიყვარულო თავგადასავალს.

<sup>212</sup> „შარლემანის მომლოცველობა“, მიახლოებით 1150 წელს ალექსანდრიულით შექმნილი ტექსტია, რომელიც შარლემანის კონსტანტინოპოლსა და იერუსალიმში მოგზაურობის შესახებ მოგვითხრობს. ტექსტს ისტორიული საფუძველი არ ჰქონია.

ჩაეყარა საფუძველი ისეთ მიმდინარეობას, რომელიც ორიენტალიზმის სახელითაა ცნობილი, თუმცა აღმოსავლეთს მაინც შემორჩა ის მიმზიდველობა, რომელმაც ბევრ მწერალს უბიძგა ნაწარმოების სიუჟეტური ქარგა ეგზოტიკური პეიზაჟებით გაელამაზებინა. რომანებში მრავლადაა ჩინური, არაბული თუ სპარსული წარმოშობის პერსონაჟი<sup>213</sup> ან აღმოსავლური ჟღერადობის სახელი პქვია, როგორც მაგალითად ტეოფილ გოტიეს რომანის „მუმის“ ერთ-ერთი გმირი – თამარი. ეგზოტიკური ქვეყნების ხიბლი პერ ლოტის ესკაპისტური რომანების ძირითადი თემა ხდება.<sup>214</sup>

1811 წელს, რენე დე შატობრიანი აქვეყნებს მოგზაურობის ჩანაწერებს სათაურით „პარიზიდან იერუსალიმამდე“ („L'itinéraire de Paris à Jérusalem“). მის კვალდაკვალ, ალფონს დე ლამარტინი ქმნის პროზაულ ტექსტს „მოგზაურობა აღმოსავლეთში“ („Voyage en Orient“) და 1851 წელს, იმავე სახელწოდებით იბეჭდება ჟერარ დე ნერვალის ორტომეული.

აღმოსავლეთის შესწავლის და მისი გაცნობის საქმეში უდიდესი წვლილი მიუძღვის აღმოსავლური ზღაპრების თარგმანებს. მიუხედავად იმისა, რომ ანტუან გალანის მიერ თარგმნილი „ათას ერთი ღამის“ ზღაპრები სრულად არ მოიცავდა ორიგინალში შესულ ყველა ზღაპარს, წიგნი დიდ კულტურული მნიშვნელობის მოვლენა გახდა. თარგმანის პირველი წიგნი 1704 წელს გამოიცა. შემდეგი ექვსი ტომი 1709 წლამდე, მომდევნო ოთხი ტომი 1712-1717 წლებში გამოქვეყნდა, მათ შორის უკანასკნელი – მთარგმნელის გარდაცვალების შემდეგ. ზღაპრების თარგმანმა განაპირობა უდიდესი ინტერესი აღმოსავლეთის მიმართ და ევროპელ შემოქმედთა შთაგონების უშრეტ წყაროდაც იქცა.

<sup>213</sup> Martino, Pierre. *L'Orient dans la littérature française (au XVII et au XVIII siècle)*. Paris: Éditions HACHETTE et C, 1908, p. 30.

<sup>214</sup> ჯაკომო პუჩინის ცნობილი ოპერა „მადამ ბატერფლაი“ პიერ ლოტის რომანის „მადამ ქრიზანტემას“ გავლენით შეიქმნა.

სწორედ აღმოსავლეთის ხიბლი, სწავლულთა ნაშრომები აღმოსავლური რელიგიებისა და ფილოსოფიებზე, აღმოსავლური ზღაპრების თარგმანები ნოყიერი ნიადაგი გამოდგა ისეთი ახალი ჟანრის წარმოქმნისთვის, როგორცაა ფილოსოფიური ზღაპარი.

ფილოსოფიური ზღაპარი მცირე ზომის მხატვრული ლიტერატურული ტექსტია, რომლის ძირითად მხატვრულ ღირებულებას არსებული რეალობის ალეგორიული, გადატანითი მნიშვნელობის მქონე კრიტიკა წარმოადგენს. ხშირად სატირული ხასიათის ან დიდაქტიკური დანიშნულების ფილოსოფიური ზღაპარი გამოგონილ ამბავზეა აგებული. შეიძლება ითქვას, რომ ფილოსოფიური ზღაპარი, ლიტერატურული ზღაპრის ნაირსახეობაა. ორივე ეპიკური ნარატივის ნიმუშია და ორივე მცირე ზომისაა; ორივეს ტრადიციული ზღაპრის ელემენტები აერთიანებს, იქნება ეს იგავი, ჯადოსნული ზღაპარი, ანექდოტი, ლეგენდა. ლიტერატურულ ზღაპარს დიდაქტიკური დანიშნულება აქვს, იმ დროს როდესაც ფილოსოფიური ზღაპარი უფრო არსებული რეალობის კრიტიკისკენაა მიმართული, თუმცა ორივეში მკაფიოდაა გამოხატული ავტორისეული პოზიცია.

ლიტერატურული ზღაპარი (ისევე, როგორც ფილოსოფიური) ფოლკლორულისგან იმით გამოირჩევა, რომ მას ჰყავს კონკრეტული ავტორი და არ აქვს კოლექტიური ხასიათი. ამავე დროს, ლიტერატურული და ფილოსოფიური ზღაპრები ეპოქისთვის დამახასიათებელ მსოფლმხედველობას და ესთეტიკას წარმოაჩენს, მიუხედავად იმისა, სესხულობს თუ არა ხალხური ზღაპრებიდან პერსონაჟებს, სიუჟეტებს, კლიშიოებულ ელემენტებს თუ სიტყვა-მარკერებს. ორივე ჟანრში ქრონოტოპი რეალური და ირეალური სამყაროების თანაარსებობას ეფუძნება. მწერლის კონკრეტული მიზნიდან გამომდინარე, ლიტერატურული, მით უფრო ფილოსოფიური ზღაპარის არგუმენტირებულ თხრობას შეიძლება გროტესკული, სატირული და პაროდული სახე მიეცეს. ყოველ შემთხ-

ვევაში, სოციალ-ეკონომიკური თუ პოლიტიკურ-ისტორიული რეალობის ასახვა ლიტერატურული და ფილოსოფიური ზღაპრის დანიშნულებაა, სადაც ავტორის პირადი დამოკიდებულება მუავენდება; ყოველივე ეს კი ფოლკლორული ზღაპრისთვის უცხოა. ლიტერატურული ზღაპრის ყველაზე მნიშვნელოვანი მახასიათებელი პერსონაჟების (არა მარტო პროტაგონისტის) ფსიქოლოგიური ასპექტების წინა პლანზე წამოწევაა. როგორც ნებისმიერ ზღაპარში, ამ ფილოსოფიურ ნარატივშიც გამონაგონი ამბავია მოთხრობილი, ამიტომ თხრობისთვის ჯადოსნური ელემენტები არაა უცხო. ფოლკლორული ზღაპრების უმრავლესობას კეთილი დასასრული აქვს, ლიტერატურულ და ფილოსოფიურ ზღაპრებში ეს აუცილებელ პირობას არ წარმოადგენს. ფილოსოფიურ ზღაპარს ხშირად ახლავს ქვესათაური, სადაც ავტორი მკითხველს კონკტერულ იდეას თუ მოსაზრებას კარნახობს. ფილოსოფიური ზღაპარი თითქოს თავშესაქცევად იქმნება, მაგრამ უფრო დიდ მიზანს ისახავს: იგი ფილოსოფიური იდეის ილუსტრირებაა, რომლის განვითარებას, გავრცელებას და დამკვიდრებას ემსახურება, რაც პარადიის, კარიკატურის, ირონიის, შავი იუმორის, სატირის საშუალებით მიიღწევა.

სხვადასხვა ტიპის ფილოსოფიური ზღაპარი, შეიძლება განიხილებოდეს, როგორც ფილოსოფიური იდეის ან კონცეფციის გადმოცემის საპროგრამო, მხატვრული ფორმა. განმანათლებლობის ეპოქაში, როდესაც მკაცრი ცენზურა აზრის გამოხატვის თავისუფლებას ზღუდავდა, ფილოსოფიური ზღაპარი ხელსაყრელ ლიტერატურულ ჟანრად იქცა. პატარა ზომის და მოჩვენებითი სიმსუბუქის გამო, ზღაპრის ლიტერატურულ-ფილოსოფიური ნარატივი ბევრად უკეთ აღიქმებოდა, როგორც მაღალი წრის წარმომადგენელთა შორის, ასევე საზოგადოების დაბალ ფენებში, რადგან გადმოცემის იგავური ფორმა თქმულის მრავალმხრივ და ხშირად უფრო მარტივ აღქმას გულისხმობს.

ფილოსოფიური ზღაპარი შეიძლება განვიხილოთ როგორც მცირე ზომის ნარატივის ნაირსახეობა, რომელიც კარგად მოერგო სიტყვის ხელოვნების ძირითად ტენდენციებს და თანამედროვე ლიტერატურაში გამეფებულ კვლავწერის სპეციფიკას. ერთი მხრივ, ფილოსოფიური ზღაპარი სათქმელის თავისუფლებაზეა ორიენტირებული (იგულისხმება არსებული რეალობის კრიტიკული აღქმის შესაძლებლობა, რასაც ზღაპრის ნახევრად სახუმარო ხასიათი იძლევა და, მასთან ერთად – სიუჟეტის ორიგინალურობა, მისი უნიკალურობა); მეორე მხრივ, ფილოსოფიური ზღაპარი, როგორც მცირე ზომის მხატვრული ლიტერატურული ტექსტი, თანამედროვე ლიტერატურის უანრულ მრავალფეროვნებაზე მეტყველებს. ფილოსოფიური ზღაპრის მცირე ზომის ალეგორიულ ხასიათის ტექსტი მეოცე და ოცდამეერთე საუკუნეების ფრანგული ლიტერატურის ისეთ ტენდენციებთან თანაარსებობს, როგორცაა დოკუმენტურობისკენ სწრაფვა, მოთხრობილი ამბების ბიოგრაფიული ან ფსევდობიოგრაფიული ხასიათი. არსებული რეალობის კრიტიკა ერთ კონკრეტულ ფილოსოფიურ იდეაზე აგებული ფილოსოფიური ზღაპრის პირველადი დანიშნულებაა და სწორედ ამ მიზნით იგი ჩამოყალიბდა მეთვრამეტე საუკუნეში (ვოლტერი, ჯონატან სვიფტი, დენი დიდრო). შეიძლება ითქვას, რომ დღეს, ფრანგულ ლიტერატურაში, მხატვრულ-ლიტერატურული ტექსტების მცირე ფორმა ბატონობს, ამიტომ ფილოსოფიური ზღაპრის წარმატებაც ლოგიკურია, საკმარისია გავიხსენოთ სენტ-ევზიუპერი, ფრედერიკ ლენუარი, მორის დრიუონი, მათიე რიკარი, ალენ მონიე, ერიკ-ემანუელ შმიტი, მიშელ ტურნიე.

მიშელ ტურნიეს განსაკუთრებული ადგილი უკავია მწერალთა შორის. ფრანგული ლიტერატურის მოყვარულთათვის იგი კარგადაა ცნობილი, თუმცა ქართული საზოგადოება ტურნიეს შემოქმედებას რამდენიმე ხნის წინ გაეცნო: ქართულ მთარგმნელობით სივრცეს კიდევ ორი თარგმანი შეემატა: მიშელ ტურნიეს „გასპარი, მელქიო-

რი და ბალთაზარი" და „პარასკევა ანუ ველური ცხოვრება.“<sup>215</sup>

პატარაობიდანვე, მიშელ ტურნიე ლიტერატურით იმდენად არა, რამდენადაც ფილოსოფიით იყო გატაცებული.<sup>216</sup> ფრანგი მწერლის აზრით, მწერლის ძირითადი საწახარი ყველასთვის გასაგები ენით ურთულესი ფილოსოფიური მოსაზრებების და იდეების მინოდებაა. სწორად ამიტომ უნოდებს საკუთარ თავს ფილოსოფიის კონტრაბანდისტს, ხოლო საკუთარ ნახელავს – კონტრაბანდისტულ ფილოსოფიას.<sup>217</sup>

„პროზაიკოსი ვარ. პროზაიკოსისთვის კი ენა მხოლოდ იარაღია, რომელიც მაქსიმალური ეფექტურობით უნდა გამოიყენო. იდეაა ღირებული. ცეროდენას და ფიფქიას მსგავსი ზღაპრების მოყოლის ათას ერთი ხერხი არსებობს. სიტყვებს მნიშვნელობაა არა აქვს. ამბავია მთავარი. ჩემი საქმიანობა ამბების მოყოლაა. ყველა არსებულიდან ერთმანეთთან დაპირისპირებულ ორ ლიტერატურულ ჟანრს ვანიჭებ უპირატესობას: ზღაპარს და ნოველას. ნოველაში არც თუ ისე სამხიარულო ამბავი შეუღამაზებლადაა მოთხრობილი, რაც ადამიანების ბოროტებას, ეპოქაში გამეფებულ ძალადობას, ცხოვრების მახინჯ მხარეებს უსვამს ხაზს. [...] ზღაპარი პირიქით, ფარული აზრის მქონეა, მითებს შეიცავს: მითს კაციჭამიაზე, ჯადოსნურ სარკეზე, დაჩაგრულ მშვენიერებაზე, ბოროტ დედინაცვალზე... ადამიანის ფსიქიკის ფუნდამენტურ და უმნიშვნელოვანეს მხარეებზე. ზღაპარი ძირითად ფასე-

<sup>215</sup> „პარასკევა ანუ ველური ცხოვრება“ („Vendredi ou la vie sauvage“, 1977), მთარგმნელი ვ. რაქვიაშვილი; „გასპარი, მელქიორი და ბალთაზარი“ („Gaspard, Melchior, Balthazar“, 1980), მთარგმნელი ე. ჯიჯავაძე.

<sup>216</sup> ამონარიდი მიშელ ტურნიეს ინტერვიუდან ელექტრონულ გამოცემასთან „ტელერამა“ („Télérama“, რომელიც გამოქვეყნდა 2016 წლის 19 იანვარს, მწერლის გარდაცვალების მეორე დღეს.

<sup>217</sup> 2003 წლის 30 სექტემბერს, გაზეთ „კომერსანტის“ („Коммерсантъ“) კულტურის გაყოფილების კორესპონდენტთან, ალ. ნოვიკოვასთან საუბრისას მიშელ ტურნიე თავს „ფილოსოფიის კონტრაბანდისტს“ უწოდებს.

ულობებზე საუბრობს. მას დიდაქტიკური დანიშნულება აქვს. სახელწოდებიდან გამომდინარე, ზღაპარი შექმნილია იმისთვის, რომ ვინმემ მოყვეს<sup>218</sup> და სხვას გაუზიაროს [...]. მოკლედ ვიტყვოდი, რომ ნოველა დილით საკითხავია, ზღაპარი კი – საღამოს მოსასმენი... იმედი მაქვს მიმიხვდით, რომ ზღაპარს ნოველაზე მაღლა ვაყენებ.“<sup>219</sup>

მიუხედავად იმისა, რომ მიშელ ტურნიე ლიტერატურულ ოლიმპოზე მონიჭულ ასაკში გამოჩნდა, მან იმთავითვე მიიპყრო კრიტიკის ყურადღება და მკითხველის სიყვარულიც დაიმსახურა. მწერლის ორივე მეგზური, კრიტიკაც და მკითხველიც, კეთილგანწყობილი აღმოჩნდა ტურნიეს მიმართ.

კატა, ძალი, ველოსიპედი, ბალი და ტყე – მეტი არაფერი სჭირდებოდა სრული ბედნიერებისთვის პატარა, სუსტი ჯანმრთელობის მქონე ბიჭს.<sup>220</sup> უკვე მოგვიანებით, ფილოსოფია, ლიტერატურა, რელიგია ტურნიეს სამ მუზად და გატაცებად იქცა. მწერალი გაურბოდა პარიზის ხმაურიან ქუჩებს: ორმოცდაათ წელზე მეტხანს ეკლესიის მახლობლად, საცხოვრებლად გადაკეთებულ ყოფილ სენაკში, ეკლესიის ზარების ხმის და საეკლესიო მსახურების ფონზე ცხოვრობდა.<sup>221</sup>

„ერთი შეხედვით, ჩვეულებრივ ამბებზე ვწერ: თევზაობაზე, ნადირობაზე, სასიყვარულო სამკუთხედსა და მოგზაურობის შესახებ; თუმცა ყველა ჩემი ნაწარმოები ფილოსოფიითაა ნასაზრდოები. ჩემი ორიგინალურობაც სწორედ ამაშია. არც ავანგარდისტული მწერლობა და

<sup>218</sup> ფრანგულად „ზღაპარი“ არის „le conte“, რაც მომდინარეობს სიტყვიდან „conter“ და ნიშნავს „თხრობას“.

<sup>219</sup> ნაწყვეტი მიშელ ტურნიეს ინტერვიოდან ელექტრონულ გამოცემასთან „ტელერამა“ (2016 წლის 19 იანვარი).

<sup>220</sup> გამომცემლობა „გალიმარის“ („Gallimard“), საფრანგეთის აუდიო-ვიზუალური მასალების ეროვნული ინსტიტუტის თაოსნობით, TV5-ის მხარდაჭერით გადაღებული ინტერვიუ ბერნარ პიეოსთან: „თავის შესახებ მოგვითხრობს მიშელ ტურნიე“, („Michel Tournier se raconte“) (განთავსებულია 2012 წლის 20 სექტემბერს).

<sup>221</sup> აქ და შემდგომ, ციტატები თარგმნილია ნინო ქავთარაძის მიერ.

არც ფორმისმერი ექსპერიმენტები არ მხიბლავს. მსურს მარტივად ვწერო და შევთავაზო ფილოსოფია ისე, რომ მკითხველს ჩემს ნათქვამში ეჭვიც არ შეეპაროს.“<sup>222</sup>

ბუნებით მორიდებული ტურნიე ჯილდოებს და პოპულარობას არ შეუშინებია; არც წარმატებას დაუბრმავებია, როდესაც ცნობილი ფრანგი ჟურნალისტის და ტელეწამყვანის, ბერნარ პივოს<sup>223</sup> გადაცემაში, საფრანგეთის მომავალმა პრეზიდენტმა, ფრანსუა მიტერანმა სასაუბროდ სამ ახლად გამოცემული წიგნის ავტორთან ერთად მიიწვია. სტუმართა შორის იყვნენ: პატრიკ მოდიანო, რომელმაც სულ რამდენიმე კვირით ადრე გამოსცა რომანი „ბნელი ჯიხურების ქუჩა“,<sup>224</sup> მწერალი და პუბლიცისტი პოლ გიმარი და გონკურების ჯილდოს<sup>225</sup> მფლობელი მიშელ ტურნიე.

ტურნიეს შემოქმედება სხვადასხვა ასაკის და გემოვნების მკითხველს მოსწონს. განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს მისი ლიტერატურული ექსპერიმენტი, 1971 წელს გამოცემული წიგნი „პარასკევა ანუ ველური ცხოვრება“, რომელიც რობინზონ კრუზოს ტურნიესეული ვერსიაა და ფრანგი მწერლის ოთხი წლით ადრე გამოქვეყნებული ნაწარმოების „პარასკევა ან წყნარი ოკეანის კარიბჭეები“ ვარიანტი. ფრანსუა მიტერანის ყურადღება მიიპყრო მიშელ ტურნიეს ახალმა წიგნმა „სოლო“.

**ფილოსოფიური ზღაპრების კრებული „სოლო“.** მცირე ზომის მხატვრულ-ლიტერატურული ტექსტების კრებული „სოლო“ („Le Coq de bruyère“) მიშელ ტურნიემ 1978 წელს გამოსცა. მასში შესულია თოთხმეტი ტექსტი. ყველა

<sup>222</sup> ნაწყვეტი მიშელ ტურნიეს ინტერვიუდან ელექტრონული გამოცემისთვის ტელერამა („Télérama“), 2019 წლის 19 იანვარი.

<sup>223</sup> ბერნარ პივოს ცნობილი გადაცემა „აპოსტროფი“ („Apostrophe“) ეთერში გავიდა 1978 წლის 15 სექტემბერს.

<sup>224</sup> ნობელის პრემიის ლაურეატის, პატრიკ მოდიანოს ამ რომანს („ბნელი ჯიხურების ქუჩა“) იმავე წელს გონკურების ჯილდო მიენიჭა.

<sup>225</sup> 1970 წელს, გონკურების ჯილდო მიენიჭა მიშელ ტურნიეს რომანისთვის „ტყის მეფე“ („Le Roi des aulnes“).

ტექსტი განსხვავდება ერთმანეთისგან: ზოგს პირდაპირ პატარექტშივე აქვს მითითებული მხატვრული ფორმა: საშობაო ზღაპარი, ზღაპარი-ინიციაცია; ზოგი ყოფითი ხასიათის ნოველისტური ზღაპრის ქვეყანრს ეკუთვნის. კრებულში შესული მხატვრულ-ლიტერატურული ტექსტები განსხვავდება თავისი თემატიკითაც. ერთგან ჰიპოტექტის არსებობა ამოიკითხება (მითი, ფოლკლორული ან ლიტერატურული ზღაპარი); დანარჩენი – სიუჟეტის ორიგინალურობით ხიბლავს მკითხველს; თუმცა, ყველა ტექსტი მწერლის მკაფიო პოზიციას გამოხატავს ადამიანური ყოფის ზნეობრივი, პოლიტიკური, ეკონომიკური თუ რელიგიური ასპექტების შესახებ.

კრებულში „სოლო“ ერთი მხატვრულ-ლიტერატურული ტექსტი საშობაო ზღაპარია – „ჩემი სახარული თქვენში დარჩეს“<sup>226</sup> („Que ma joie demeure“). სიუჟეტი პიანისტის შესახებ მოგვითხრობს, რომელიც ყოველდღიურობასთან ჭიდილში ჰკარგავს მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანს და ღირებულს: საკუთარი ნიჭის, მონოდების რეალიზების საშუალებას. ვუნდერკინდი, რომელიც საყვარელი ქალის სიყვარულის და მეგობრის პატივისცემის გრძნობას დანებდა და ეული, საზოგადოების სისასტიკეს შეეჩეხა. პიანისტის, რომლის გვარია ბიდოში,<sup>227</sup> ბრძოლის ველი პატარა, უგვანო თეატრის სცენაა. ახლომხედველი ბიდოში ვერ ხედავს, მაგრამ კარგად ესმის უმეცართა ხარხარი, ხოლო ბოროტ მზერას საკუთარი სხეულის თითოეული უჯრედით გრძნობს; მაგრამ ბიდოში დაცინვა იმდენად კი არ იწვევს ზიზღს, რამდენადაც ადამიანთა უგუნურება, მშვენიერის დაუნახავობა. რაფაელ ბიდოშის უმწეო,

<sup>226</sup> იოჰან სებასტიან ბახის რელიგიური კანტატა 147 „Herz und Mund und Tat und Leben“ („ჩემი სახარული თქვენში დარჩეს“), რომელიც პირველად 1716 წელს შესრულდა.

<sup>227</sup> „Bidoche“ ფრანგულად ცუდი ხარისხის ხორცს, ნიშნავს. ნანარმოების რუსულ თარგმანში გვარი გადმოტანილია როგორც „Фихкадель“, დაკეპილი ან გატარებული ხორცის გუნდა, გუფთა. ნანარმოების უკეთ აღქმისთვის, კვლევაში პროტაგონისტის გვარი ხან „ბიდოშის“ სახითაა მონოდებული, ხან კი „გუფთის“.

ბერავი შესახედაობის მიღმა კეთილშობილური ამბოხის გრძნობა ღვივის. მისი შესაბრალისი გარეგნობა გასართობად მისულ ბრბოში სიცილს იწვევს და მხოლოდ მისმა მფარველმა ანგელოზმა, რაფაელმა იცის, რომ ღვთაებრივი მელოდია ისევ ბუდობს ერთ დროს საოცრად ნიჭიერ ბიჭუნაში, რომელმაც სახელიც გაითქვა და ქონება არა მისი ნიჭიერებით, არამედ მისი ღიმილისმომგვრელი, სანყალობელი გარეგნობით მოიხვეჭა. ერთხელაც, ჯამბაზად ქცეული რაფაელ ბიდოში, რაფაელ გუფთა ურბინოს შაპიტოში მაყურებლის წინაშე თავის ცნობილი ნომრით წარსდგა:

„და უეცრად, ჯოჯოხეთური ინსტრუმენტის ნომრის ჩვენებისას, საოცრება მოხდა: იმის ნაცვლად, რომ პიესის დასრულებისთანავე ფორტეპიანოს სტომაქიდან დაფასოებული ლორი, კრემიანი ნამცხვრები და კრიალოსანივით ასხმული სოსისები ამოყრილიყო, სულ სხვა რამ დატრიალდა [...] ცირკის ძველისძველი, ნახევრად დამსტვრეული ფორტეპიანო მორჩილად დაჰყვა მუსიკოს-ჯამბაზის თითებს და ღვთაებრივი მელოდია შაპიტოს ჩაბნელებულ ჭერს ასწვდა. ფორტეპიანოს სახურავი აინია და [...] იქიდან ამოფრინდა მშვენიერი, გასხივოსნებული, ფრთებშესხმული მთავარანგელოზი რაფაელი, რომელიც ყოველთვის მფარველობდა პიანისტს და იცავდა, რომ იგი საბოლოოდ გუფთად არ ქცეულიყო.“<sup>228</sup>

ტექსტის პერსონაჟების სახელები სიმბოლური მნიშვნელობის მქონეა. რაფაელ ბიდოში, იგივე რაფაელ გუფ-

---

<sup>228</sup> „Le numéro du piano diabolique était-il tout à fait au point ? [...] Le final prévoyait que [...] le malheureux Bidoche assistait à l'explosion de son piano qui vomissait sur la piste un vaste déballage de jambons, tartes à la crème, chapelets de saucisses [...] Or se fut tout autre chose qui se produit. [...] le pauvre vieux piano du cirque, turqué et rafistolé, obéissait merveilleusement à ses mains, et faisait monter la divine mélodie jusque dans les hauteurs obscures du chapiteau. [...] le clown musicien vit le couvercle du piano se soulever [...] un bel archange aux ailes de lumière, l'archange Raphaël, celui qui depuis toujours veillait sur lui et le gardait de devenir tout à fait Bidoche.“ Tournier, Michel. *Le Coq de bruyère*, Paris, Éditions Gallimard, 1997, p. 99.

თაა. პროტაგონისტის სახელი და გვარი ტურნიეს ნანარ-  
მოების ფიქციონალურ სამყაროს თითქოს ორ ნაწილად  
ყოფს: სულიერ და ხორციელ მხარედ. ამავდროულად,  
ტექსტის სხვა პერსონაჟების სახელებიც სიმბოლურია:  
ცირკის ჯამბაზი, რომელიც სიბერის გამო ბიდოშით  
(გუფთით) ჩაანაცვლეს, გვარად ბორდიუშია. „Borduche“  
ფრანგულიდან ნიშნავს „კუპატს“. რაფაელ ბიდოშის,  
გუფთას მეუღლეს ბენედიქტ პრიერი ჰქვია. „Bénédicté“  
ნიშნავს კურთხეულს „Prieur(e)“ – ილუმენს.

სულიერის ხორციელზე გამარჯვებით სრულდება  
ტურნიეს ეს პატარა მხატვრულ-ლიტერატურული ტექს-  
ტი, ერთი პიანისტის შესახებ გამონილი ამბავი, რომელიც,  
როგორც ამას თავად მწერალი ეპიგრაფში მიგვითითებს,  
შეიძლება მართალს ჰგავდეს.<sup>229</sup> ავტორი ადამიანის ქეშ-  
მარიტი რწმენით ნასაზრდოებ იმედზე მოგვითხრობს და  
გმობს სიბრიყვემდე დასულ კაცთმოძულეობას, ეწინააღმ-  
დეგება ყველა მინებებულ იარლიყს, საქონელზე დადებულ  
ეტიკეტს, არღვევს ყველა კლიშეს, რომელიც, როგორც  
ბორკილები სულისხმუთვამდე ბოჭავს ადამის მოდგმას.

რაფაელ ბიდოში ბავშვობიდანვე უკრავდა იოჰან სე-  
ბასტიან ბახის მარიამ ღვთიშობლისადმი მიძღვნილ კან-  
ტატას. სათაური კი ბიბლიიდან, იოანეს სახარებიდაა-  
ნაა აღებული: „გითხარით თქვენ, რათა ჩემი სახარული  
თქვენში დარჩეს. და სრულ იყოს თქვენი სიხარული“<sup>230</sup>. და  
მიუხედავად იმისა, რომ ყველას თვალში ბიდოში საცოდა-  
ვი შესახედაობის ჯამბაზი იყო, მისი სული ღვთაებრივი  
მუსიკით იყო გასხივოსნებული.

სხეულისა და სულის ერთიანობას ეხება კრებულში შე-  
სული მიშელ ტურნიეს კიდევ ერთი ფილოსოფიური ზღა-  
პარი, რომელსაც ქვესათაურად მინერილი აქვს: „ზღაპა-

---

<sup>229</sup> მიშელ ტურნიე ამ ნანარმოებს დარი კოულს უძღვნის და  
დასძენს: „Pour Darry Cowl, cette histoire inventée qui lui en rappel-  
lera une vraie.“ („დარი კოულს, გამოგონილი ამბავი, რომელიც მას  
მოაგონებს მართალს.“).

<sup>230</sup> სახარება იოანესი, 15.11.

რი-ინიციაცია<sup>231</sup>. ტექსტის სათაურია „ამანდინი ან ორი ბალი“ („Amandine ou les deux jardins“). ეს მხატვრულ-ლიტერატურული ტექსტი ყველა დანარჩენისგან თავისი სტრუქტურითაა გამორჩეული იგი დღიურის სახითაა დანერილი, რითაც ზღაპრის ტრადიციულ ფორმას ემიჯნება. ნაწარმოების ასეთი ფორმა მოყოლილის სიუბიექტურობას და მოთხრობილი მოვლენების ახლო კუთხიდან დანახვას გულისხმობს.<sup>232</sup> ამბავს პატარა, ათი წლის გოგონა ყვება. ტექსტში საერთოდ არა სხვა პერსონაჟი. გოგონა მოიხსენიებს დედას და მამას, თავის მშრომელ და მონეს-რიგებულ მშობლებს: ოჯახის სიმყუდროვეზე მზრუნველ ქალს და კაცს, რომელიც რუდუნებით უვლის ბაღს.<sup>233</sup>

ამანდინი თავიდანვე ახასიათებს საკუთარ თავს:

„კვირა. ცისფერი თვალები და ლალისფერი ტუჩები მაქვს. პუტკუნა ვარდისფერი ლოყები და ხვეული თმა. ამანდინი მქვია. სარკეში რომ ვიხედები, მგონია, რომ პატარა ათი წლის გოგონას იერი მაქვს. ეს არცაა გასაკვირი. მე ხომ ათი წლის პატარა გოგონა ვარ.“<sup>234</sup>

ამანდინს ჰყავს თოჯინა სახელად ამანდინა, სამი მეგობარი და კატა სახელად კლოდი. გოგონა ეჭვობს, რომ კლოდი მდედრია;<sup>235</sup> მაგრამ, მას შემდეგ, რაც კატის გაბერილი მუცლიდან „გამოძვრება ოთხი პატარა“ არსება, ამანდინი თავისი ეჭვების სისწორეში დარწმუნდება.

<sup>231</sup> ვგულისხმობ იმას, რომ „ინიციაცია“ ნიშნავს სულის აქტივობას ღვთაებრივი განმცხადების მისაღებას.

<sup>232</sup> Jouve, Vincent. La poétique du roman. Paris: Éditions SEDEX, 1997, p. 29.

<sup>233</sup> შესაძლოა ამ ეპიზოდში იკითხებოდეს ალუზია ვოლტერის, დიდი განმანათლებლის, ფილოსოფიური ზღაპრის ჟანრის ქომავლის გამონათქვამზე: „საჭიროა მოვეუაროთ ჩვენს ბაღს („Il faut cultiver notre jardin“). Tournier, Michel. Le Coq de bruyère. Paris: Éditions Gallimard, 1997, p. 36.

<sup>234</sup> „Dimanche. J'ai des yeux bleus, des lèvres vermeilles, des grosses joues roses, des cheveux ondulés. Je m'appelle Amandine. Quand je me regarde dans une glace, je trouve que j'ai l'air d'une petit fille de dix ans. Ce n'est pas étonnant. Je suis une petite fille et j'ai dix ans.“ Tournier, Michel. Le Coq de bruyère. Paris: Éditions Gallimard, 1997, p. 35.

<sup>235</sup> Claude, კლოდი, ფრანგული სახელია. ამ სახელს როგორც ბიჭებს, ასევე გოგონებს არქმევენ.

ქრისტიანობაში ინიციაცია ნათლობას, აღსარებას და შემდეგ ზიარებას გულისხმობს. ინკვირტშივე მოცემულია ამანდინის სახელი;<sup>236</sup> ტექსტის ფორმა – აღსარებითია, რადგან დღიურიების სახითაა დაწერილი. ამანდინის დღიურები მხოლოდ ოთხშაბათის და კვირის ჩანაწერებს მოიცავს. სულ თვრამეტი ჩანაწერია, აქედან პირველი კვირა დღესაა დაწერილი.<sup>237</sup> პატარა ათი წლის გოგონას დღიური ოთხშაბათის ჩანაწერით სრულდება მას შემდეგ, რაც იგი მეზობელ, მაღალი ლობის მიღმა მდებარე, გავერანებულ ბაღს მოინახულებს:

„ოდნავ მეშინია, მაგრამ ცნობისმოყვარეობა მძლევს. აქ ყველაფერს დიდხნის წინ მიტოვებულის იერი აქვს. სევდიანია და ლამაზი, როგორც დაისი.“<sup>238</sup>

ამანდინის საქციელი ახლის შეცნობის სურვილით ნაკარნახებ სამოთხის ბაღის დატოვებას ჰგავს. კედლის გადაღმა ბაღში ჯაგებმა ფესვი გაიდგა. ამოსული ბალახი გოგოს ყელამდე სწვდება. ამანდინი ნაცნობ სამყაროს ტოვებს და სრულიად უცნობ ადგილას მიდის. ტექსტში ორი სამყარო (ორი სივრცე) ერთი ლობითაა გამოყოფილი; ნარატიული დროის დასადგენად ორი დღე (ოთხშაბათი და კვირა) ფიგურირებს მხოლოდ. ყოველივე კი იმაზე მიუთითებს, რომ პატარა გოგონა ერთი მდგომარეობიდან – მეორეში, ერთი რეალობიდან მეორეში გადადის (ინიციაცია), მაგრამ არც ერთი სამყარო გამოგონი ან ჯადოსნული არაა. ტექსტში შიდა ფოკალიზაციაა გამოყენებული, შესაბამისად აღქმა პერსონაჟის ხედვაზეა მორგებული, რაც ერთმანეთს ადამიანის შიგა და გარე სამყაროსაც უპირისპირებს.

<sup>236</sup> Amandine ლათინური წარმომავლობის ქალის სახელია და ნიშნავს „საყვარელს“.

<sup>237</sup> ნიშანდობლივია, რომ ზიარება კათოლიკურ ეკლესიებში კვირა დღეს სრულდება.

<sup>238</sup> „J'ai un peu peur, mais la curiosité me pousse. Tout ici a l'air abandonné depuis longtemps. C'est triste et c'est beau comme un coucher de soleil...“. Tourmier, Michel. *Le Coq de bruyère*, Paris: Éditions Gallimard, 1997, p. 44.

ბალში ამანდინი მარმარილოს ხუჭუჭა, მომლიმარი, ფრთებიანი ბიჭის ქანდაკებას ნახავს. ოინბაზ ამურს ქვის მშვილდი, კაპარჭი და ისრები ხელიდან გავარდნიაო, შეთქმულივით საჩვენებელი თითი პირთან მიუტანია, თითქოს გოგონასთვის რალაც საიდუმლოს განდობა სურს.

ამანდინმა მიტოვებულ ბალში მცირე ხანი დაჰყო და უცნობი ალაგიდან დაბრუნებული, იმავე დღეს საკუთარ თავზე წერს:

„უცნაურ ბიჭს ზურგი შევაქციე და [...] კედლისკენ გავიქეცი. კედელზე ავძვერი. ბებერი მსხლის ხე. ვხტები. ისე ჩემი ბავშვობის ბალში ვარ. აქ ყველაფერი ნათელი და მონესრიგებულია. [...] ...ჩემს პატარა ოთახში ავდივარ. ვტირი. უმიზეზოდ, აი ასე. შემდეგ, ცოტა ხნით ჩავთვლემ. როდესაც ვიღვიძებ, სარკეში ვიხედები. ტანისამოსი არ გამჭუჭყიანებია. არაფერი მჭირს, თუმცა, კი, ფეხზე სისხლის კვალი მაჩნევია. უცნაურია, თითქოს ნაკანრი არსად მაქვს. ნეტა რატომ? ცუდია. სარკეს ვუახლოვდები. ჩემს სახეს ახლოდან ვაკვირდები. იგივე ცისფერი თვალები და ლალისფერი ტუჩები, პუტკუნა ვარდისფერი ლოყები, ქერა ხვეული თმა. მაგრამ ათი წლის გოგონას იერი აღარ მაქვს. [...] იმ უცნაურ ბიჭს ვგაეარ.“<sup>239</sup>

ამ ამბის პატარა პროტასგონისტის მონათხრობში ანდროგინის არქეტიპი ამოიცნობა.<sup>240</sup> ტექსტის მარტივ სი-

<sup>239</sup> „Je tourne brusquement le dos au garçon secret [...] Je monte dans ma petite chambre. Je pleure longtemps, très fort, pour rien, comme ça. Et ensuite. Quand je me reveille, je me regarde dans la glace. Mes vêtements ne sont pas salis. Je n'ai rien. Tiens, si, un peu de sang. Une trainée de sang sur ma jambe. C'est courieux, je n'ai d'écorchure nulle part. Alors pourquoi? Tant pis. Je m'approche du miroir et je regarde ma figure de tout près. J'ai des yeux bleus, des lèvres vermeilles, des grosses joues roses, des cheveux ondulés. Pourtant je n'ai plus l'air d'une petite fille de dix ans [...]. Je trouve que je ressemble au garçon de pierre...“ Tournier, Michel. *Le Coq de bruyère*, Paris: Éditions Gallimard, 1997, p. 94.

<sup>240</sup> მხედველობაში მაქვს, ერთი მხრივ კარლ იუნგის მოსაზრება ადამიანის ფსიქოლოგიის ანდროგინული ბუნების შესახებ, როდესაც ექვსი ან რვა თვის ასაკში ბავშვი საკუთარ თავს აღიქვამს სხვისგან გამოიჯენის ან მიმსგავსების ხარჯზე. მეორე მხრივ, მითი ზეესის მიერ ანდროგინების „შუაზე გაკვეთის“ შესახებ, რასაც ყვება პლატონი თავის ფილოსოფიურ ტექსტში „ნადიმი“. ნადიმი, გამომცელობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი 1964.

უყუტში შეგვიძლია ამოვიკითხოთ ყაკ ლაკანის სარკის ეფექტის გავლენაც.<sup>241</sup> თავად ავტორის თქმით, პატარა გოგონას ამბავი ინიციაციაა, და ნებისმიერი ინიციაცია ცვლილებასთან, ეს უკანასკნელი კი – ტკივილთანაა დაკავშირებული. ტურნიეს აზრით, ინიციაცია ქალისთვის ბევრად უფრო რთულია, რადგან ქალები დღესაც თავიანთი გინეკეის ტყვეები არიან და მათი ინიციაცია ამბოხთანაა გაიგივებული.<sup>242</sup>

„თოვლის ბებო“<sup>243</sup> („La Mère Noël“), კრებულში შესული კიდევ ერთი ზღაპარია, თუმცა ამბავი ყველაზე ნაკლებად ჰგავს გამონაგონს: თოვლის პაპის საპასუხისმგებლო და საპატიო როლის შესრულება სკოლის ახალ მასწავლებელს მოუხდა, რადგან მის წინამორბედს საპენსიო ასაკმა მოუწია. ყველაფერი კარგად დასრულდებოდა, საშობაო წარმოდგენაზე ჩვილ იესოს რომ არ მოშიებოდა. სანამ მასწავლებლის შვილს, რომელსაც იესოს როლი ერგო წილად, ეკლესიის სახელდახელოდ დამზადებულ ბაგაში წყნარად ეძინა, თოვლის პაპაც მშვიდად ურიგებდა სოფლის სხვადასხვა რელიგიური მრწამსისა თუ ათეისტი მოსახლეობის პატარებს საშობაო საჩუქრებს; მაგრამ, როდესაც ჩვილს ისე მოშივდა, რომ ველარაფერი ამშვიდებდა, მისი დაშოშმინება მხოლოდ თოვლის პაპამ შესძლო:

„თოვლის პაპა ეკლესიაში შემოიჭრა. დიდი ნაბიჯებით ბაგისკენ გაემართა. შემდეგ, თეთრი ბამბის გრძელი წვერი განზე გასწია, წითელი სადღესასწაულო მოსასხა-

---

<sup>241</sup> Jouve, Vincent. La poétique du roman. Paris: Éditions SEDEX, 1997, p. 29.

<sup>242</sup> ზღაპარი-ინიციაცია „ამანდინი ან ორი ბალი“ ცაქლკე 1977 წელს გამოქვეყნდა. გაზეთ „ლე მონდთან“ („Le Monde“) ინტერვიუში, მიშელ ტურნიე ტექსტის შიდა შრეების არსებობას არც აღიარებს და არც უარყოფს.

<sup>243</sup> ორიგინალში ტექსტის სახელწოდებაა „თოვლის დედა“ (La Mère Noël), რაც, ნაწარმოების შინაარსიდან გამომდინარე, სიუჟეტს უფრო ესადაგება. ქართულ თარგმანში, სათაურის აღქმის ეს ეფექტი იკარგება, რადგან „თოვლის პაპის“ ქართული შესატყვისი „თოვლის ბებოა“.

მის საკინძე შეიხსნა და საესე ძუძუ მყისვე დამშვიდებულ ჩვილ იესოს მოაწოვა".<sup>244</sup>

რთული გამოსაცნობი არაა, რომ თოვლის პაპა სინამდვილეში თოვლის ბებო იყო. ერთი შეხედვით, ეს პატარა ტექსტი უფრო ანეკდოტს ჰგავს, ვიდრე ფილოსოფიურ ზღაპარს; თუმცა, ტურნიემ სამ გვერდში მოახერხა და ნაწილებად გახლეჩილი საზოგადოების სახე დაგვანახა. სწორედ ამიტომ სვამს შეკითხვას ტექსტის დასაწყისში მწერალი: სუფევდა კი დაბა პულდრეზიკში მშვიდობა?<sup>245</sup> კლერიკალებად, რადიკალებად, საერო თუ სასულიერო პირებად დაყოფილ პატარა დაბაში „მტრობა და შუღლი ნელინადის დროებით იცვლიდა ფერს, წლის დასასრულის დღესასწაულებზე კი საარაკოდ აბრდღვიალდებოდა".<sup>246</sup>

ეს სამგვერდიანი მხატვრულ-ლიტერატურული ტექსტი ბევრზე დააფიქრებს მკითხველს: ქალისა და მამაკაცის თანასწორობაზე, გახლეჩილ საზოგადოებაზე, ერთიანობაზე, სიხარულზე და იმაზე, რომ სულ მცირე რამაა საჭირო მშვიდობამ რომ დაისადგუროს. ეს ზღაპარი სიცოცხლეს ასხამს ხოტბას, სიცოცხლის ქებათა ქებაა, სწორედ ამიტომაა ნამძღვარებული ქვესათაურით: „საშობაო ზღაპარი“.

კრებულში კიდევ ერთი ტექსტია, რომლის ქვესათაურია „საშობაო ზღაპარი“ – „ცეროდენას გაქცევა“ („La fugue du petit Poucet“). სათაურიდანვე ჩანს, რომ ტურნიე

---

<sup>244</sup> „On vit le Père Noël en personne faire irruption dans l'église. Il se dirigea à grands pas vers la crèche. Puis il écarta sa grande barbe de coton blanc, il déboutonna sa hoppelande rouge et tendit un sein généreux au Petit Jésus soudain apaisé.“ Tournier, Michel. *Le Coq de bruyère*, Paris: Éditions Gallimard, 1997, p. 31.

<sup>245</sup> ბრეტონში, ატლანტიკის ოკეანესთან ახლოს მდებარე დაბა პულდრეზიკში ტურნიეს კიდევ ორი ზღაპრის მოქმედება ხდება: „პიერო ან ლამის საიდუმლო“, და „ლეგენდა პურზე“, მაგრამ ორივე ტურნიეს მცირე ზომის მხატვრულ-ლიტერატურული ტექსტების სხვა კრებულშია გაერთიანებული.

<sup>246</sup> „Les hospitalités qui empruntaient les couleurs des saisons viraient à l'enluminure légendaire avec les fêtes de fin d'année.“ Tournier, Michel. *Le Coq de bruyère*, Paris: Éditions Gallimard, 1997, p. 29.

ყველასთვის ცნობილი ლიტერატურული ზღაპრის პერსონაჟზე აგებს თავის ამბავს; მაგრამ ტურნიეს ცეროდენა ისეთი მოხერხებული როდია, როგორც შარლ პეროს გმირი. მეოცე საუკუნის ცეროდენა სახლიდან გარბის, რადგან მშობლებს, საზოგადოების საპატივცემულო წევრებს, ურჩხულად ქცეული საზოგადოების პატარა ჭანჭიკებს, ეზოიანი სახლი ეპატარავებათ: მათ ბეტონის ცათამბჯენში გადანყვიტეს ცხოვრება, სადაც ზესწრაფი ლიფტია, ფანჯრების ნაცვლად მთლიანი მინებია და ჰაერი კონდიციონდება... მოკლედ, ცივილიზაციის მიღწევებით ტკბობა სურთ. სიმართლე უნდა ითქვას, ცეროდენას მშობლების სურვილზე ბევრი არაფერია დამოკიდებული: ქალბატონი და ბატონი პუსეები<sup>247</sup> მომხმარებლის ეპოქაში გამეფებული წარმოდგენების და სოციალური იერარქიის კარნახს არიან აყოლილნი. ცეროდენა კი პატარა ჩექმებზე ოცნებობს, როგორ ჩაიცვამს საშობაოდ ნაჩუქარ ნანატრ ფეხსამოსს და როგორ ითამაშებს საყვარელ ბაღში, ამიტომ ახალ სახლში გადასვლა მისთვის დამთრგუნველია და მიუღებელი. იგი სახლიდან გარბის:

„არც ნეონის განათება მინდა და არც კონდიციონერი. ხეები და ჩექმები მირჩენია. მშვიდობით. თქვენი ერთადერთი შვილი. პიერი.“<sup>248</sup>

ხეტიალის დროს ცეროდენა ერთ მიუსაფარს გადაეყრება, რომლის სახელია ლოგრი.<sup>249</sup> არც ლოგრი-კაციჭამიაა ხეების მოჭრის და მათ სანაცვლოდ მრავალსართულიანი ბეტონის კარკასების აშენების მომხრე. სწორედ ამიტომ მას, საზოგადოებაში არაინტეგრირებულ ელემენტს, მარგინალს რკინა-ბეტონის ცივილიზაცია დასაჭერად დასდევს. კაციჭამია ცეროდენას დაკარგული სამოთხის შესახებ უამბობს:

<sup>247</sup> „Poucet“ ფრანგულიდან ითარგმნება, როგორც „ცეროდენა“.

<sup>248</sup> Tournier, Michel. *Le Coq de bruyère*, Paris: Éditions Gallimard, 1997, p. 52.

<sup>249</sup> Logre – L’ogre, ფრანგულიდან ითარგმნება, როგორც „კაციჭამია“.

„როგორი იყო სამოთხე? ეს იყო ტევრი. უფრო უკეთ ტყენარგი, მწყობრად ჩამწკრივებული, ერთმანეთისგან შორი-შორს დარგული ხეები; არც ბარდები, არც ეკალნარი. [...] ყოველი ხე განსხვავებულ, ჯადოსნურ ნაყოფს ისხამდა.“<sup>250</sup>

ტურნიეს ამ მხატვრულ-ლიტერატურულ ზღაპარში საშობაო სასწაული იმ დროს ხდება, როდესაც სახლში ძალით დაბრუნებული ცეროდენა დაპატიმრებული კაცი-ჭამიას მიერ ნაჩუქარ ჩექმებს ჩაიცვამს და წარმოსახვით სამყაროში გადაეშვება, სადაც დიდრონი ხეები ხარობს და ყველაფერი ისეთი ლამაზია, როგორც სამოთხის ბაღში, რომელსაც ხისმჭრელის, ბატონი პუსეს ხელი არ შეჰხებია.

ტურნიეს ეს ფილოსოფიური ზღაპარი ადამიანისა და სამყაროს რთული, მრავალნახნაგოვანი ურთიერთობის შესახებაა: ადამიანი თავისივე შემქმნელ ბუნებას დაუპირისპირდა და დაივიწყა, რომ მოგებული ბრძოლა მოგებულ ომს სრულიად არ ნიშნავს.

მიშელ ტურნიეს კრებულის („სოლო“) მხოლოდ ოთხი ზემოხსენებული მხატვრულ-ლიტერატურული ტექსტის ქვესათაურშია მითითებული ჟანრი (საშობაო ზღაპარი, ზღაპარი-ინიციაცია); ოთხივე ტექსტში ქრონოტოპი რეალისტურია (თანამედროვე ქალაქი, დაბა); ამბავი თანმიმდევრულადაა მოთხრობილი; რეალობის ეფექტი იქმნება ყოფის ამსახველი დეტალებით (კონსერვატორიაში სწავლა, საცირკო წარმოდგენები, ხმაურიანი ურბანული გარემო, ცათამბჯენების ჯუნგლები, ბაღები, ეკლესია, სკოლა); ტექსტებიდან მხოლოდ ერთში – „ცეროდენას გაქცევა“, მწერალი იყენებს ნაცნობ პერსონაჟებს, თუმცა დანარჩენი ტექსტების მსგავსად, სიუჟეტური ქარგა თა-

<sup>250</sup> „Le Paradis, qu'est-ce que c'était? C'était un forêt. Ou plutôt un bois. Un bois, parce que les arbres y étaient plantés proprement, assez loin les uns des autres, sans taillis ni buissons d'épines.[...] En effet chacun de ces arbres avait ses fruits, et chaque sorte de fruit possédait une vertu magique particulière.“ Tournier, Michel. *Le Coq de bruyère*, Paris: Éditions Gallimard, 1997, p. 59.

ვისი ორიგინალურობით გამოირჩევა. ყველა ტექსტი ერთ ან რამდენიმე საჭირობოროტო, ადამიანის ყოფიერების ფუნდამენტურ საკითხს ეხება (რწმენა, იმედი, ეკოლოგია, მშვიდობა). თითოეული ტექსტი და მასში არსებული მრავალი შრე ბევრ, სამწუხაროდ მივიწყებულ, გაუფასურებულ ღირებულებებზე დაგვაფიქრებს.

ერთ-ერთ ინტერვიუში მიშელ ტურნიე აღიარებს, რომ ბავშვებისთვის არ წერს.<sup>21</sup> ძნელია არ დაეთანხმო მას, თუმცა ფრანგი მწერალის მხატვრულ-ლიტერატურული ტექსტების ნაკითხვის შემდეგ არც პატარები დარჩებიან გულგრილნი: „ვისაც აქვს ყური, სმენად, ისმინონ!“ (მათე 13:9)

ფილოსოფიიდან მწერლობამდე მცირე ნაბიჯია და ამ ნაბიჯის გადასადგმელად მიშელ ტურნიე, როგორც ბევრი ფრანგი მწერალი საკუთესო საშუალებად ზღაპარს მიიჩნევს.

---

<sup>21</sup> 2003 წლის 30 სექტემბერს, გაზეთ „კომერსანტისთვის“ („Коммерсантъ“) მიცემულ ინტერვიუში მიშელ ტურნიე დასძენს, რომ ბავშვებისთვის არ წერს, ცდილობს რაც შეიძლება კარგად წეროს და „თუ ბავშვებს მოუნდებათ, ისინი ნაიკითხავენ“ – აღიარებს ტურნიე გაზეთის კულტურის განყოფილების კორესპონდენტთან, ალ. ნოვიკოვასთან საუბრისას.

## აღმოსავლური თხრობის მაგია

„რომანები, ლექსები, ნოველები და სხვა ლიტერატურული ჟანრები მწერლის სულის მხოლოდ ერთ პატარა კარს ალებს და ხანდახან პატარა სარკმელსაც მისი მკითხველისკენ.

ზღაპარს კი იმაზე ბევრად მეტი შეუძლია, ვიდრე ერთი კარისა და ფანჯრის გაღება. ის ხიდს აგებს. ჩვენ ვკითხულობთ და ვისმენთ ზღაპრებს, მაგრამ დამკვირვებლის დისტანცია, რაც მკითხველს თანამედროვე ლიტერატურაში აქვს, ქრება ყოველ ნაბიჯზე, რადგან ზღაპარი, თუ ის კარგია, სიუჟეტში ჩაგვითრევს. ჩვენ ვეარგავთ დისტანციას და ვხეტილობთ – ვენდობით გარემოს, როგორი ეგზოტიკურიც არ უნდა იყოს, დაედივართ გმირებთან ერთად სხვადასხვა მხარესა და დროში.

არ არსებობს ლიტერატურული ჟანრი, ზღაპართან კონკურენციას რომ გაუძლოს. არსებობენ ხალხები, რომლებმაც არ იციან რომანი ან რომელიმე სალექსო ფორმა, მაგრამ არ არსებობს ხალხი, რომელსაც არ აქვს ზღაპარი.

ამიტომაც ზღაპარი უფრო მეტია, ვიდრე მომხიბვლელი მეტაფორა. ზღაპრები მართლა ხიდს წარმოადგენენ, რკინაბეტონის ხიდებზე უფრო ძლიერს სამყაროსთვის და ყველა საზღვრის მიღმა აღწევენ ადამიანთა გულებში, ცხადია, ეს ხიდი უხილავია, მაგრამ ჰაერიც ხომ უხილავია?!“<sup>252</sup>

რა არის ის მაგია, რითაც აღმოსავლურმა საზღაპრო კრებულებმა დაიპყრეს დასავლეთი და სრულიად ახალი სული შთაბერეს ევროპის ლიტერატურულ და კულ-

<sup>252</sup> Schami, Rafik. Eine zauberhafte Brücke nur für Kinder. In: Märchen als Brücke für Menschen und Kulturen. Forschungsbeiträge aus der Welt der Märchen. Hrsg. Harlinda Lox, Wilhelm Solms, Heinz-Albert Heindrichs. Kiel: Königsfurt-Urania Verlag, 2011, S. 314-316.

ტურულ ცხოვრებას? როგორ მოხდა, რომ „ათას ერთი ლამის“ ფრანგული თარგმანი, შესრულებული ანტუან გალანის მიერ, XVIII საუკუნის დასაწყისიდან ევროპაში აღმოსავლეთის ჯერარნახული, ეგზოტიკური სამყაროს ჯადოსნურ გასაღებად იქცა?! ევროპელი მკითხველის აღტაცება გალანის თარგმანით დასაწყისი გახდა აღმოსავლეთით, აღმოსავლური თემებით გატაცებისა და მისი უსაზღვრო სიყვარულისა კულტურულ დასავლეთში, ერთგვარი ფილოზოფიკალისტური ტენდენციის ჩამოყალიბებისა მწერლობაში, მხატვრობასა და მუსიკაში, სადაც აღმოსავლეთი პრაგმატული დასავლეთის რეალობისგან წარმოსახვითი თავის დაღწევის, გაქცევისა და თავის შესაფარებელ ადგილად იქცა, შეურყვნელ, საოცნებო, პირველქმნილ, ეგზოტიკურ სამყაროდ. რა უნდა იყოს ამ ნაბაძვით შექმნილი ზღაპრების ასეთი გაუნელებელი და არნახული პოპულარობის მიზეზი აღმოსავლურ და დასავლურ კულტურებში, რომელმაც საუკუნეებს გაუძლო?!

მსოფლიო კულტურის საგანძურში შესულმა „ათას ერთი ლამისა“ და აღმოსავლური კულტურული ელემენტებით გაჯერებულმა ანალოგიურმა თარგმნილმა საზღაპრო კრებულებმა კულტურათმორისი კომუნიკატორის შეუცვლელი როლი შეასრულეს XVIII-XIX საუკუნეების ევროპულ-ახლო აღმოსავლურ ურთიერთობებში და „აღმოსავლურ-დასავლური საკითხის“ განუყოფელ ნაწილად იქცნენ. მათი კვლევა დღემდე აქტუალურია დასავლურ და აღმოსავლურ სამეცნიერო წრეებში.

ბევრი მკვლევარი შენიშნავს, რომ არაბული და ახლოაღმოსავლური ზღაპრების პოპულარობის მიზეზი ევროპაში იყო მათი თავისუფალი თარგმანი და მისი შესაბამისობა იმდროინდელ ფრანგულ და ზოგადად, ევროპულ ლიტერატურულ გემოვნებასთან. გალანის თარგმანს მალე მოჰყვა მთელი რიგი დამატებები (დამატებული ტექსტები), რომლებიც ხშირ შემთხვევაში, იყო უფრო მეტად ფანტაზიის ნაყოფი, ვიდრე ნამდვილი თარგმანები. გალა-

ნის თარგმანის მომდევნო ევროპელმა მთარგმნელებმა, თავის მხრივ, „ათას ერთ ლამეს“ ასევე დაუმატეს ახალი ზღაპრები, რომლებიც არ მომდინარეობენ თვითონ „ათას ერთი ლამიდან“, მაგრამ შემდგენლებმა მაინც შეიტანეს ევროპულ საზღაპრო კრებულებში. ისინი წარმოადგენდნენ აღმოსავლური ლიტერატურული ზღაპრების კრებულებს, რომლებიც, თუ მთარგმნელებსა და შემდგენლებს ვერნმუნებით, ავთენტური აღმოსავლური წყაროებიდან უნდა იყოს გადმოტანილი ევროპულ ენებზე. თავად გალანის თარგმანში შესული ზღაპართა ის ნაწილი, რომლებიც „ათას ერთი ლამის“ არაბულ ორიგინალში არ იძებნება, „ათას ერთი ლამის“ შემდგომ ევროპულ თარგმანებში შეუცვლელნი გახდნენ – ფაქტს ვერსად წაუვალთ, გალანმა დაამკვიდრა კანონი, რომელიც სწორედ ინფორმაციის გადაცემა-შენახვის აღმოსავლურ ტრადიციას ემყარებოდა.

ბუნებრივია, „ათას ერთი ლამის“ ევროპული თარგმანების პოპულარობა გარკვეული პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიკური ფაქტორების თანხვედრასაც უნდა უკავშირდებოდეს ევროპაში. იმდროინდელი სამეცნიერო თუ პოპულარული ცოდნის ერთობლიობა აღმოსავლეთს აღწერდა და წარმოადგენდა, როგორც აღმაფრთოვანებელ კულტურულ „სხვას“ და ამ „სხვა“, „განსხვავებულმა“ აღმოსავლეთმა დიდი სამსახური გაუწია დასავლეთს საკუთარი თავის განსაზღვრის პროცესში, ერთგვარი ასიმეტრიული დამოკიდებულებითა და შებრუნებული სარკის ეფექტით აღმოსავლეთის საპირისპირო ხატად, იდეად და გამოცდილებად ჩამოყალიბებაში. ეს ის შემთხვევაა, როცა კულტურული განსხვავებულობის საფუძველზე მიზანმიმართულად მოხდა „უცხოვს“ ხატის, მოდელის შექმნა და მისი სტერეოტიპიზაცია.<sup>253</sup> ამ კუთხით გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ფრანგი ორიენტა-

<sup>253</sup> ცაგარელი, ლევან. კულტურის კვლევების შესავალი. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2016, გვ. 195-196.

ლისტი მეცნიერისა და მოგზაურის ჟან ანტუან გალანის მოგზაურობამ ახლო აღმოსავლეთში, ამ მოგზაურობისას მოძიებულმა და XVIII საუკუნის დასაწყისში თავისუფალი თარგმანით თარგმნილმა „ათას ერთი ლამის“ ზღაპრებმა ძალიან დიდი როლი ითამაშა „ჯადოსნური და რომანტიკული აღმოსავლეთის“ ხატის შექმნაში დასავლეთში.<sup>254</sup> განსაკუთრებული ინტერესის ცენტრში აღმოსავლური საზღაპრო კრებულები სწორედ XVIII საუკუნის დასაწყისიდან მოექცა, როცა გააქტიურებულ დასავლელ მოგზაურთა თვალთ დანახული აღმოსავლეთის აღწერების კონტექსტში, მათი მოგზაურობის ჩანაწერებში ჩართული აღმოსავლურ-დასავლური პარალელების ფონზე, ამ კრებულების ევროპულმა თარგმანებმა გარკვეული სტერეოტიპების ჩამოყალიბებას დიდად შეუწყო ხელი.

ბუნებრივია, ამ მოგზაურთა ჩანაწერებს, ისევე როგორც აღმოსავლური საზღაპრო კრებულების თარგმანებს, არ მოუცია „ნამდვილი აღმოსავლეთის“ სურათი, ეს არც იყო მათი მიზანი, თუმცა ამ მოგზაურობათა აღწერებმა და ამ ზღაპრებმა ჩამოაყალიბეს მათი დასავლელი მკითხველის წარმოდგენა აღმოსავლეთზე.

მაგრამ აქვე ისიც აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიკური მოტივები ცვლადი და წარმავალია, ამ ზღაპრების მიმართ ინტერესი კი რამდენიმე ასეული წელია, შემორჩა და კვლავაც ცოცხალია სახელოვნებო და კულტურის წრეებში, ისინი კვლავ ხდებიან არაერთი მხატვრული ქმნილების შთაგონების წყარო. ამის მიზეზი კი ალბათ გარეგან ფაქტორებზე მეტად შინაგან, ტექსტუალურ კომპონენტებსა და მათი გადაცემის გზებში უნდა ვეძებოთ.

პირველ რიგში, თუ ამ კრებულთა ტექსტების ჟანრული სპეციფიკის განსაზღვრას ვეცდებით, ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ითქვას, რომ ისინი არც ჩვეულებრივ ლიტერატურულ და არც ფოლკლორულ თხზულებათა რიგ-

---

<sup>254</sup> Hopwood, Derek. *Sexual Encounters in the Middle East. The British, the French and the Arabs*. Reading, UK: Ithaka Press, 2000, p. 17.

ში არ თავსდებიან. მათი უანრული სპეციფიკის, უანრული თავისებურების განსაზღვრის საკითხი მჭიდრო კავშირშია და დიდ მსგავსებას იჩენს ფოლკლორისა და შუა საუკუნეების საგმირო-სარაინდო და სამიჯნურო-რომანული ეპოსის უანრული ურთიერთმიმართებების საკითხებთან. ამ ტექსტებში გენეტური მჭიდრო კავშირი ფოლკლორთან, ხალხურ თქმულებებთან და გადმოცემებთან სრულიად აშკარაა, ერთი ჩარჩოთი შეკრულ თავშესაქცევ სამოგზაურო, საგმირო თუ სამიჯნურო ზღაპრულ სათავგადასავლო ამბებს, რომლებსაც მრავალი სალექსო ჩანართი – აფორიზმებისა და ბრძნული სენტენციების პოეტური განყოფილებები ახლავს და სადაც უხვად გვხვდება ფანტასტიკური ელემენტები, არაამქვეყნიური არსებები – ჯინები და გარდასახვის უნარის მქონე ფრინველები; მაგიური, ჯადოსნური საგნები – მფრინავი ხალიჩების, ყოვლისშემძლე ლამპრებისა და ბეჭდების, ჯადოსნური ბალების სახით, კოლექტიური შემოქმედებითი ბეჭედი ატყვია. ინდივიდუალური და ხალხური შემოქმედება აქ მჭიდროდ გადაჯაჭვულია ერთმანეთს. ხალხური სიუჟეტები, კომპოზიციური ქარგა, ლიტერატურული და ფოლკლორული მოტივები და დეტალები აქ კონკრეტული უჩინარი ავტორების, უფრო ზუსტად კი სახალხო ზეპირი მთქმელების ხელში დროთა განმავლობაში საგრძნობლად იცვლებოდა როგორც მთქმელთა, ისე მსმენელთა მისწრაფებებისა და გემოვნების შესაბამისად.

ამ გადმოცემებში ასახულია ცალკეული ისტორიული წყაროებიდან თუ ლიტერატურული პროტოტიპებიდან დაღმავალი გზით მომდინარე სიუჟეტური დეტალები თუ მოქმედი პირები, ისიც გასათვალისწინებელია, რომ ამ ლიტერატურულ პროტოტიპებს თავის დროზე პირველწყაროდ ზღაპრული გადმოცემები და თქმულებები, ხალხური ლეგენდები ედებოდა ხოლმე. ამრიგად, უშუალოდ თუ შუალობით, მაგრამ ლიტერატურული წყაროების არსებობა ამ გადმოცემებში ფაქტია. დიდაქტიკურ გადმოცემებს თუ ინდურ-ფალაურ ტრადიციებში ეძებნება

სათავე, საგმირო-სარაინდო და სამიჯნურო თავგადასავლებში უფრო ახლო აღმოსავლური ძველი თქმულებებისა და ლეგენდების გამოძახილი იგრძნობა. რეალურად, აქ საქმე გვაქვს კოლექტიურ ჩარჩოებში მოქცეულ ინდივიდუალური შემოქმედების ნაყოფთან.<sup>255</sup>

არსებითად, გალანმა და მისმა მიმდევრებმა გახადეს „ათას ერთი ღამე“ და სხვა ახლოაღმოსავლური ანალოგიური ზღაპრები ცნობილი და მიმზიდველი მთელ მსოფლიოში. როგორც ზემოთაც ითქვა, მათი თარგმანები უფრო თავისუფალი ადაპტაციებია – გალანმა და მისმა თანამედროვე თუ მომდევნო ხანის მთარგმნელებმა „ათას ერთი ღამის“ ზღაპრები საგრძნობლად გადააკეთეს და იმდროინდელ ევროპულ ლიტერატურულ გემოვნებას შეუფარდეს. ის იშვიათი ნარმატება კი, რომელიც გალანისეულ და მომდევნო მთარგმნელების მიერ ევროპულ ენებზე თარგმნილ „ათას ერთ ღამეს“ და სხვა აღმოსავლურ ზღაპრებს ხვდა წილად, ზემოაღნიშნული სოციალ-პოლიტიკური ფონის გარდა, რამდენიმე მნიშვნელოვანი კულტურული ფაქტორით აიხსნება. უპირველეს ყოვლისა, იმით, რომ თავად გალანს საოცარი ალლო და კულტურათმორისი კომუნიკაციისთვის აუცილებელი მაღალი კომპეტენცია აღმოაჩნდა, კარგი ცოდნა დასავლური სამყაროს საკომუნიკაციო კულტურული კონვენციური კოდებისა.

თანამედროვე სოციოლოგიისთვის უკვე ერთმნიშვნელოვნად ცხადია, რომ სოციუმში სოციალური ურთიერთობები ამ სოციუმისთვის გასაგები და აღქმადი საკომუნიკაციო სიმბოლური კოდებით იმართება. სოციალური სისტემის, სოციალური სტრუქტურების ფუნქციური საჭიროებები და მოთხოვნილებებიც ამგვარი საკომუნიკაციო კოდებით ამოიცნობა.<sup>256</sup>

<sup>255</sup> გვახარია, ალექსანდრე. სპარსული ხალხური პროზის ისტორიიდან (დასთანები). თბილისი: „მეცნიერება“, 1973, გვ. 57-58.

<sup>256</sup> Luhmann, Niklas. Love as Passion. The Codification of Intimacy. Stanford University Press, 1998, p. 18.

კულტურის სემიოტიკის კონტექსტში ნებისმიერი კულტურა გარკვეული კონვენციური კოდების სისტემაა, რომელთა მეშვეობითაც საზოგადოება თავის კოლექტიურ კულტურულ ინფორმაციას ხელმისაწვდომს ხდის ამ საზოგადოების წევრებისთვის. ამ კოდების ერთობლიობა ხდის გასაგებს ამა თუ იმ საზოგადოების კულტურულ მოდელებს, კულტურულ იდენტობას. ნებისმიერ საზოგადოების კულტურა, ერთი მხრივ, მისი ტრადიციების, წესჩვეულებებისა და არტიფაქტების ერთობლიობაა, მეორე მხრივ კი, კულტურული ფორმირებებისა და მედიალიზების სისტემა.<sup>257</sup>

კულტურული კომუნიკაცია სემიოტიკური კომპონენტის – კონვენციური კოდებისა და მათი მატარებელი და გადამტანი კომუნიკატიური მედიუმების გარეშე წარმოდგენილია. მედიუმები უზრუნველყოფენ კოლექტიურ ცოდნაზე წვდომას და მის სოციუმში გაზიარებას. ისინი კომუნიკაციის საზოგადოებრივად ინსტიტუციონალიზებულ საშუალებად გვევლინებიან. მათში აკუმულირებულია კოლექტიური ინფორმაციული ცოდნა.<sup>258</sup>

ამრიგად, კულტურები კომუნიკაციისა და ღირებულებების სისტემებია, მათ შორის წარმატებული გაცვლისთვის კი ორივე კულტურის კომუნიკაციისა და ღირებულებების სისტემების სრულყოფილი ცოდნაა საჭირო. სხვაგვარად წარმატებული კომუნიკაცია, კულტურული ტრანსფერი მათ შორის ვერ შედგება, რომ აღარაფერი ვთქვათ რეცეფციულ პროცესებზე.

გალანი და მისი ტიპის სხვა მთარგმნელები სწორედ კომუნიკატიური მედიუმები არიან, მათ აღმოსავლეთში მრავალწლიანი ცხოვრების, მოგზაურობის, სწავლაკვლევისა და მუშაობის საფუძველზე ამ კულტურის კონვენციური კოდებისა და ღირებულებების ღრმა ცოდნა აქვთ და რეალურად, აღმოსავლური სიმბოლური კოდე-

<sup>257</sup> ცაგარელი, ლევან. კულტურის კვლევების შესავალი. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2016, გვ. 18.

<sup>258</sup> იქვე, გვ. 50, 68.

ბის ინტერპრეტატორებად გვევლინებიან დასავლური საზოგადოებისთვის. ისინი გადმოცემათა იმპროვიზაციითა და ვარიაციებით ქმნიან ძლიერ და ნარუშლელ შთაბეჭდილებას ევროპულ აუდიტორიაზე.

ამ თვალსაზრისით, სახასიათო და საინტერესოა ის ფაქტი, რომ ადრეული შუა საუკუნეების ახლოაღმოსავლური, ჩვენს შემთხვევაში, არაბული ლიტერატურა ზეპირსიტყვიერია და ნარაციის ტრადიცია მრავალ კულტურულ ასპექტს მოიცავს, მათ შორის, სოციალურს. ეს ლიტერატურა, მართალია, არის საავტორო, მაგრამ იმ სოციუმის კუთვნილებაა, სადაც ბედუინური ტრადიციები და ცხოვრების წესი კოლექტიურ ფასეულობებს ემყარება. ამ ლიტერატურის მომავალი თაობებისთვის შენახვა-გადაცემაც ასევე ტრადიციული გზით ხდება – მთხრობელის, ზეპირი მთქმელის, ე.წ. „რავის“ მეშვეობით, რომელიც სწორედ ამ ტომობრივი ღირებულებების მატარებელია და კულტურულ მემკვიდრეობასაც ამ პრინციპით ინახავს კოლექტიურ მეხსიერებაში.

ესთეტიკური და მორალური შეფასების კრიტერიუმები ამ საზოგადოებაში, შეიძლება ითქვას, რომ ტომობრივი ცხოვრების გავლენის ქვეშ იმყოფება. ტომობრივი საზოგადოება ერთ ყალიბში აქცევს თავისი წევრების გრძნობებსა და გონებას და მათ აზრს, გემოვნებას, შეფასებას ერთნაირს, მსგავსს ხდის. იგივე ითქმის მხატვრულ ტექნიკაზე, რომელიც გამომსახველობით ხერხთა ერთგვარ მყარ, მუდმივ რეპერტუარს ემყარება არა მხოლოდ სიუჟეტებისა და კომპოზიციის, არამედ ლექსიკის, ფორმულათა და მხატვრულ სახეთა დონეზე. აქ ტიპური სტრუქტურების, ფორმების დადგენას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ესთეტიკურ შემეცნებაში ტრადიციულად დამკვიდრებული და მოწონებული შეხედულებანი თითქოს უგულვებელყოფს თვალთახედვის ინდივიდუალურ კუთხეს. აქ წინასწარაა დადგენილი ესთეტიკური კრიტერიუმები და მასთან შესაბამისობაში შემუშავებულია მხატვრული ხატები, რომლებიც მყარი

და მზა ფორმულების სახით არის მოცემული. რამდენადაც იდეალი ტომის კუთვნილებაა, პოეტს მაქსიმუმი, რისი გაკეთებაც შეუძლია, ამ იდეალის ასახვაა, მაგრამ არა მისი ხელახალი დადგენა-განსაზღვრა ან მისთვის წინაღედგომა.<sup>259</sup>

რავის მისია ნორმების კარგ ცოდნასა და მემკვიდრეობის შენახვა-გადაცემაში გამოიხატება, საზოგადოებრივ ღირებულებებსა და ფასეულობებზე დაფუძნებული ერთგვარი სოციალური მეხსიერების ფონდის ჩამოყალიბებაში.<sup>260</sup> რავის წარმოსახვას ასაზრდოებს არა პირადად განცდილი და აღქმული, არამედ იმ დროის გაბატონებული თვალსაზრისი, რომელიც ამ გრძნობის საერთო გაგებასა და მისი ხედვისა და დახატვის ეტიკეტს ეყრდნობა. ანუ სხვაგვარი ფორმულირებით, ესთეტიკურ გემოვნებას „სოციალური შეკვეთა“ აყალიბებს. ინდივიდუალური ხედვის კუთხე თითქმის იგნორირებულია.

ამ საზოგადოებაში მთხრობელის, ზეპირი მთქმელის (რავის) თავსმოხვეული დიდაქტიკური ამოცანა იყო ტომობრივი მორალის მაღალი კრიტერიუმების გამოხატვა და აღწერა. შესაბამისად, მისი წარმოსახვა შემოფარგლული იყო „მურუევას“<sup>261</sup> იდეალებით, რომლებსაც ის განასხეულებდა და ხორცს ასხამდა, აქებდა საკუთარ რეპერტუარში. ეს ამოცანა მას ხდიდა ერთგვარ show-man-ად, რომელსაც სახალხო თავყრილობის ორგანიზება უნდა გაეკეთებინა, მიღებული ნორმებისთვის მხარი დაეჭირა და ამ ყველაფერში მისი შინაგანი, პირადი გრძნო-

---

<sup>259</sup> ფურცელაძე, ნანა. მუალაკები – ისლამამდელი არაბული პოეზია (თარგმანი, წინასიტყვაობა, კომენტარები). თბილისი: „განათლება“, 1985, გვ. 21

<sup>260</sup> Оганесян Д. А. Хабар в культурном сознании общества доисламской и раннеисламской Аравии, Проблемы арабской культуры: Сб. ст. Памяти И. Ю. Крачковского. Москва 1987, с. 305.

<sup>261</sup> მურუევა – ერთგვარი სარაინდო კოდექსი ისლამამდელი (ჯაპილიის) პერიოდის არაბულ საზოგადოებაში, რომელიც აერთიანებდა საზოგადოების მიერ მონონებულ კოლექტიურ ღირებულებებს.

ბების გამოვლინება გამოირიცხებოდა, თუკი ისინი საყოველთაოდ მიღებულისა და აღიარებულის ზღვარს მიღმა აღმოჩნდებოდნენ.

სწორედ აქედან გამომდინარეობს თემატური მასალისა და მხატვრული გამომსახველობის საშუალებათა ტრადიციონალიზმი და საკმაოდ ფეხმოკიდებული იდეა შინაარსის „გაცვეთილობის“ შესახებ და იმაზე, რომ ყოველი ხელოვნება სწორედ ამ „გაცვეთილი შინაარსისთვის“ ფორმის მიცემამია.<sup>262</sup> დეტალურად დამუშავებული ეს გარკვეული სტანდარტები, რომელსაც მკაცრად მისდევდნენ როგორც ჯაჰილიის პერიოდის პოეტები, ისე მათი მუსლიმი იმიტატორები და ფილოლოგ-შემგროვებლები, ვინც მიიჩნევდნენ ამ სტანდარტებს ტექსტების აუთენტურობის საუკეთესო კრიტერიუმად, ორიგინალობისთვის დიდ ადგილს აღარ ტოვებდნენ.

ეს მოვლენა – მემკვიდრეობის რეპროდუქცია, ფუნქციონირება და არა შეცვლა და განვითარება, კვლავნარმოება უნინდელ საფუძველზე – ტრადიციული საზოგადოებებისთვისაა დამახასიათებელი, რომელსაც სჭირდება ნორმები, ნიმუშები, სტანდარტები, განმტკიცებული წარსულით, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. ბედუინური საზოგადოება კი სწორედ ტრადიციული საზოგადოება იყო, სადაც ჩამოყალიბდა ერთგვარი სოციალური მეხსიერება, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემოდა და საზოგადოებრივ ღირებულებებს ინახავდა. ეს სოციალური მეხსიერება შეიქმნა არასამწერლობო საზოგადოებაში და შენარჩუნდა შუა საუკუნეებში თვით სამწერლობო ხანაშიც.<sup>263</sup>

ამრიგად, ფაქტია, რომ ისლამამდელი არაბული საზოგადოება ზეპირსიტყვიერი კულტურული ტრადიციე-

---

<sup>262</sup> Khairallah As'ad E. Love, Madness and Poetry. An Interpretation of the Magnun Legend. Beirut 1980, p. 34-35.

<sup>263</sup> Оганесян Д. А., Хабар в культурном сознании общества доисламской и раннеисламской Аравии, Проблемы арабской культуры: Сб. ст. Памяти И. Ю. Крачковского. Москва 1987, p. 302-312.

ბის მქონე საზოგადოება იყო, სადაც, რეალურად, რავი<sup>264</sup> კულტურული მემსიერების ცოცხალ მედიუმს წარმოადგენდა. მისი დამახსოვრების ტექნიკა დამყარებული იყო მყარ ფორმულებსა და სქემებზე. მისი ზეპირსიტყვიერი გადმოცემა ხასიათდებოდა იმპროვიზაციითა და ვარიაციებით. ის ცოცხალი შესრულებითა და ხშირი გამეორებით აფართოებდა მსმენელი აუდიტორიის აღქმას, უნახავდა და გადასცემდა მომდევნო თაობებს კოლექტიურ ცოდნას, უზრუნველყოფდა ტრადიციის დაცვასა და შენარჩუნებას.

რავის ხელოვნება იმპროვიზებული შესრულებით ხასიათდებოდა, სწორედ ამ გზით გადასცემდა მსმენელ აუდიტორიას კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშებს. ამ საჯარო შესრულების, პერფორმანსის მედიური თავისებურება კი ისაა, რომ იგი შემსრულებლისა და მსმენელ-მაცურებლის ინტერაქციის საფუძველზე შემდგარი სოციალური აქტია, მონაწილენი მას აღიქვამენ როგორც ესთეტიკურ და ამასთანავე, როგორც სოციალურ პროცესს. ის ერთჯერადი მოვლენაა და შთაბეჭდილებისთვის საჭიროებს ხშირ გამეორებას. თავად პერფორმანსის პროცესი შემთხვევითობის მაღალი ხარისხით ხასიათდება და შემსრულებლის ვირტუოზობაზე დიდად არის დამოკიდებული მსმენელ-მაცურებლის მიერ მიღებული შთაბეჭდილების სიძლიერე.<sup>265</sup>

ზეპირსიტყვიერი გადაცემის კულტურული ტრადიციები და ტექნიკა იმდენად ფეხმოკიდებული და მყარი იყო წარმართ არაბთა შორის, რომ სამწერლობო ტრადიციის

---

<sup>264</sup> რამდენადაც „რავი“ იყო პოეტური მემკვიდრეობის ფიქსატორი, შემნახველი და გადამცემი, იმდენად „ჰაქავათი“ (მთხრობელი) იყო სახალხო გმირთა სარაინდო ისტორიების (ე. წ. „ჰიქამათების“ – ამბების, ისლამამდელ არაბთა ტომთაშორისი ომებისგადმოცემების და „სირათების“ – ე. წ. ხალხური რომანების) იმპროვიზებული შემსრულებელი.

<sup>265</sup> ცაგარელი, ლევან. კულტურის კვლევების შესავალი. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2016, გვ. 119-123.

შემოსვლისა და კულტურული მემკვიდრეობის ფიქსაციის მოთხოვნების გაჩენის შემდეგაც დიდი ხნის განმავლობაში განაგრძობდა არსებობას უკვე თვით ამ წერილობით ლიტერატურაში ისევე, როგორც საზოგადოების ცნობიერებასა და გემოვნებაში. შესაბამისად, წერილობით-ლიტერატურული ტექსტების კვლევის მეთოდებით ზეპირსიტყვიერი ლიტერატურის შესწავლა ნარუმატებლობისთვისაა განწირული, ამაზე მეტყველებს ტაჰა ჰუსეინისა და მარგოლიუსის დასკვნები ამ ლიტერატურის ნაყალბევობისა და არაავთენტურობის შესახებ მასში აღმოჩენილი უზუსტობებისა და ურთიერთწინააღმდეგობრივი ფაქტების გამო. სინამდვილეში, ზეპირსიტყვიერი ლიტერატურის არსებობა და სიცოცხლე სწორედ მის ვარიანტულობაშია, სამწერლობო ლიტერატურის კვლევის მეთოდებით ის ვერ იქნება შესწავლილი, შედეგი არარელევანტურია.<sup>266</sup>

ფორმისა და შინაარსის ფილოსოფიური კავშირის გათვალისწინებით სავარაუდოა, რომ ფორმის სტერეოტიპულობა განაპირობებდა შინაარსისასაც და პირიქით. სტილისტური და თემატური ინდივიდუალიზმის არარსებობის წყალობით ბევრი სალექსო ბეითი იქცეოდა ანონიმურად, ან უკიდურეს შემთხვევაში ადვილად მისაწერად ერთზე მეტი პოეტისთვის. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ისინი იქცეოდნენ ე.წ. „მოტივტივე ბეითებად“, რომლებიც თავს ამოყოფდნენ ერთსა და იმავე პოეტის სხვადასხვა ლექსში, ან სულაც ერთ თემაზე მწერ სხვადასხვა პოეტთა ლექსებში. ასეთ „მოტივტივე ბეითებს“ ხშირად ვნახულობთ ისლამამდელ და ისლამის ხანის პოეტებთანაც.

გასათვალისწინებელია ის შესაძლებლობაცა და ალბათობაც, რომ დეკლამატორს, გადამცემს – რაეის შეეთხზა ბეითი ან მთელი ლექსი და მიენერა იგი რომელიმე კონ-

<sup>266</sup> Monroe, James T. Oral Composition in pre-Islamic Poetry. *Journal of Arabic Literature*. Volume 3, 1972, p. 1-53; Куделин А. Б. Арабская литература: поэтика, стилистика, типология, взаимосвязи. Языки славянской культуры. Москва 2003, с. 58-84.

კრეტული პოეტისთვის ან თუნდაც გამოეგონებინა წარმოსახვითი პოეტი და მიენერა მისთვის მთელი დივანი, აგებული ამ „მოტივეტივე ბეითებით“ და როგორც კი იგი გამოგონებული იქნებოდა, ასეთი პოეტი უკვე წარმოადგენდა კონკრეტულ ზოგადს<sup>267</sup>, რომელიც ხორცს შეასხამდა პოპულარული მოტივების სულს კონკრეტული ადამიანის შემოქმედებაში.

ამრიგად, ზემოაღნიშნული მიზეზებით როგორც ისლამამდელი ზეპირსიტყვიერი, ისე ისლამის ხანის სამწერლობო ლიტერატურა ხშირად ქცეულა მისი გაუყალბებლობის (აუთენტურობის) გარშემო ატეხილი პოლემიკის საგნად არა მხოლოდ შუასაუკუნეების არაბ ფილოლოგებთან, არამედ თანამედროვე ლიტერატურის კრიტიკოსებთან (მაგალითისთვის თუნდაც ტაჰა ჰუსეინის შემთხვევა გამოდგება).

ჩვენთვის სრულიად მისაღები და გასაზიარებელია მკვლევარ ხაირალლაჰის მოსაზრება, რომ ამ „მოარულ ვერსიათა“ მთელი კორპუსი, რომლებიც კონკრეტულად არავის ეკუთვნის, კოლექტიური სტილისაა და წარმოადგენს საზოგადოებრივ ფონდს სტერეოტიპული ფასეულობებისა. ეს ვერსიები, რომელთაც ტრადიციული კრიტიკა და ფილოლოგია ამჯობინებს, ჩათვალოს ნაკლებსტილიზებულად, წარმოადგენს განსაკუთრებით მდიდარ ნიადაგს და ნამდვილ გამოხატულებას კოლექტიური ქვეცნობიერისა და საზოგადოების ესთეტიკური გემოვნებისა, სადაც ხორცი შეისხა ამ ვერსიებმა.<sup>268</sup>

ზეპირსიტყვიერი გადაცემის ტრადიცია და ტექნიკა რომ სამწერლობო ტრადიციის შემოსვლის შემდეგაც დიდხანს მძლავრობს შუა საუკუნეების არაბულ ლიტერატურაში, ამის დასტურია შუასაუკუნეთა არაბული აღ-

<sup>267</sup> Khairallah As'ad E., *Love, Madness and Poetry. An Interpretation of the Magnun Legend*, Beirut 1980, p. 52.

<sup>268</sup> Khairallah As'ad E., *Love, Madness and Poetry. An Interpretation of the Magnun Legend*, Beirut, 1980. gv. 8;

Pierre Cachia, *Exploring Arab Folk Literature*, Edinburgh University Press, 2011, gv. 5-9

მოსავლეთის „ადაბის“ ჟანრის ლიტერატურული კრებულები, რომელთა შემდგენლებიც რავეები არიან, უფრო მაღალი ხარისხის, ფილოლოგი რავეები, რომლებიც უკვე ფურცელზე ასრულებენ საზოგადოების მიერ მათთვის მინიჭებულ მთავარ მისიას – შეაზავონ ერთმანეთში სასარგებლო და სასიამოვნო, აღზარდონ, მაგრამ თავი არ შეანყინონ მკითხველს, თან გაართონ და ერთი თემიდან მეორეზე გადასვლით მრავალფეროვნება შეინარჩუნონ, მკითხველი არ დაღალდონ.<sup>269</sup>

ფორმით „ადაბის“ კრებულთა ეს მასალები წარმოადგენს „ხაბარების“<sup>270</sup> კორპუსს პოეტური ჩანარებით. პროზაულ-პოეტური ნაწილების ეს მოზაიკა ერთმანეთთან ადგენს ერთ განუყოფელ მთელს. ეს კავშირი მკვლევართა მიერ ახსნილია ეპოსისა და ლირიკის სინკრეტულობით. პროზაულ ნაწილს მიიჩნევენ ეპიკურ საწყისად, ხოლო პოეტური ნაწილი ემოციურად ავსებს მას. სწორედ ამგვარი სინკრეტული პროზაულ-პოეტური კულტურა ქმნიდა სოციალურ მეხსიერებას, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემოდა და საზოგადოებრივ ღირებულებებს ინახავდა. ეს სოციალური მეხსიერება ჩამოყალიბდა არასამწერლობო საზოგადოებაში და შუა საუკუნეებში შენარჩუნდა თვით სამწერლობო ხანაშიც.<sup>271</sup>

არაბებს ეპოსის არქონას უვსებდათ სწორედ ასეთი ისტორიები, გადმოცემები პოეტური ჩანარებით. „ადაბის“ კრებულთა მასალებში „ხაბარები“ ხშირად უხვადაა დოკუმენტირებული „ისნადით“ – ტექსტის აუთენტურობის გამყარების მიზნით იმ საიმედო, ავტორიტეტულ პიროვნებათა ჯაჭვით, ვინც ამ ამბებს გადმოსცემდნენ საუკუნეთა მანძილზე კრებულის ავტორამდე „კომპილატორამდე“.

<sup>269</sup> Абу-ль-Фарадж аль-Исбахани. Книга песен. Перевод А. Б. Халидова, Б. Я. Шидфар, Москва 1980. с. 13.

<sup>270</sup> ხაბარ (მრ. ახბარ) – ამბავი, ცნობა „ადაბის“ ჟანრის პოპულარულ ლიტერატურულ კრებულებში.

<sup>271</sup> Оганесян Д. А., Хабар в культурном сознании общества доисламской и раннеисламской Аравии, Проблемы арабской культуры: Сб. ст. Памяти И. Ю. Крачковского. Москва 1987. гв. 305

ეს მეთოდი ჰადისების შემკრებთა მიერ იქნა დანერგილი და სრულყოფილი. ამ მეთოდის გარკვეული გავლენა ისტორიული და „ადაბის“ მწერლობის სტილზე ცალკე მსჯელობის თემა<sup>272</sup>, მაგრამ აქ შეიძლება აღნიშვნა, რომ ნებისით თუ უნებლიედ, იგი უკვე წერილობითი ტრადიციისა და ტექსტების არსებობის პერიოდშიც კი კიდევ ერთხელ აღიარებს ზეპირი ტრადიციის უმაღლეს რანგს, რადგან საზოგადოებრივ ცნობიერებაში ზეპირი ტრადიცია ისევ აღიქმებოდა გადაცემის უფრო ზუსტ ფორმად.

„ხაბარების“ შედარებითი ანალიზი და მათში გადმოცემული ინფორმაციის ხასიათის გამოკვლევა უჩვენებს, რომ „ხაბარები“ უბრალოდ სოციალური ინფორმაციის მთელი კომპლექსის შენახვასა და დატევას კი არ ისახავენ მიზნად, არამედ მათ ინფორმაციის შერჩევის საკუთარი კრიტერიუმები აქვთ.<sup>273</sup> „ხაბარში“ აკუმულირებულია იშვიათი მოვლენები, ანომალიები, ყურადსაღები ამბები. კრიტერიუმებზე საუბრისას საინტერესოა იმის აღნიშვნა, რომ „ხაბარის“ ყურადღების ცენტრში ექცევა არა ბუნების ან ადამიანის აღწერა, პიროვნების გამოსახვა, არამედ მის მიერ ჩადენილი ქმედება, მოქმედება, ან რამე არსებითი ამ მოქმედებისთვის.<sup>274</sup>

მოქმედების ადგილის, ასევე მოგვიანებით „ისნადის“ ჯაჭვის ლაკონურად, მაგრამ კონკრეტულად და ზუსტად მითითება, „ხაბარს“ ანიჭებს ისტორიულობის თვალსაზრისით ზუსტი ცნობის შთაბეჭდილებას. თუმცა ისიც მხედველობაშია მისაღები, რომ „ხაბარი“, ისევე, როგორც პოეზია, VIII ს-მდე ზეპირი ხასიათისა იყო და VIII ს-ის შემდეგაც ინფორმაციის გადაცემის ზეპირი და წერილობითი საშუალებები კარგა ხანს პარალელურად თანაარსებობ-

---

<sup>272</sup> Giffen Lois Anita. Love, Poetry and Love Theory in Medieval Arabic Literature. Arabic Poetry, Theory and Development, Edited by G. E. von Grunebaum. Weisbaden 1973, p. 107-124.

<sup>273</sup> Оганесян Д. А., Хабар в культурном сознании общества доисламской и раннеисламской Аравии. Проблемы арабской культуры: Сб. ст. Памяти И. Ю. Крачковского. Москва 1987, с. 306.

<sup>274</sup> იქვე, გვ. 308

დნენ არაბებთან, ამიტომაც ფოლკლორში მოქმედი კანონების მიხედვით, „ხაბარი“ იცვლებოდა, მასში შედიოდა ნმინდა ზღაპრული მოტივები, რის შედეგადაც მისი ზუსტი ისტორიულ ცნობად, მონაცემად აღქმა ძნელდება, მაგრამ ამასთან ერთად ისიც გასათვალისწინებელია, რომ ლიტერატურული ფიქცია ნაყოფია შუასაუკუნეობრივი მსოფლმხედველობისა, რომლისთვისაც ირეალური და ზებუნებრივი წარმოადგენს რეალურის, ბუნებრივის, შესაძლებლის ნაწილს<sup>275</sup>. ეს ცვალებადობა, ერთი და იმავე ამბის ვარიანტულობა და მათი სხვადასხვა „ისნადით“ დოკუმენტირება, პროზაულ-პოეტური ნაწილების მოზაიკის მარტივად გამრავალფეროვნების შესაძლებლობა ახალი ჩანართებით – ეს ყველაფერი ფილოლოგი რავეიების საშემსრულებლო ტექნიკის დახვეწაზე მიუთითებს და ზეპირი ტრადიციის მეთოდების შენარჩუნებაზე ნერილობით ტექსტებში.

ზეპირსიტყვიერი გადაცემის ძლიერი ტრადიციები იგრძნობა იგავთა დალაგების ე.წ. ჩარჩოვანი თხრობის სისტემაში, რომელიც „პანჩატანტრამ“ „ქილილა და დამანას“ გადმოაყოლა და სადაც ამბავში ამბავს ჰყვებიან, ხოლო მოყოლილი ამბის გმირები, შეიძლება, კიდევ რამე სხვა ამბავს ყვებოდნენ. ზღაპართა დალაგების ასეთივე ჩარჩოვანი თხრობას მისდევს „ათას ერთი ღამეც“.<sup>276</sup> ეს ამბები შინაარსობლივად ერთმანეთისგან დამოუკიდებელნი არიან და მთხრობელთ ისინი მოჰყავთ ამა თუ იმ დებულეების საილუსტრაციოდ. ჩარჩო საკმაოდ თავისუფალი და ღიაა დანამატი ამბებისა და ჩანართი ისტორიებისთვის. სიუჟეტური ქარგის ჩარჩოვანი თხრობით აგებამ ფართო რეზონანსი ჰპოვა შუა საუკუნეთა ლიტერატურებში (არაბულ ლიტერატურაში ამის მაგალითად „ათას ერთი

<sup>275</sup> ალექსიძე, ალექსანდრე. ბერძნული სარაინდო რომანის სამყარო. თბილისი: თსუ გამომცემლობა, 1976, გვ. 145.

<sup>276</sup> Marzolph, Ulrich, Richard van Leeuwen, and Hasan Wassouf. *The Arabian Nights Encyclopaedia*. Volume I. Oxford/ Denver /Santa Barbara: ABC Clío, 2004, p. 9-12.

ლამე“ და მაკამებიც იკმარებს).<sup>277</sup> ჩარჩოვანი თხრობის ფუნქციური დატვირთვა ერთი მხრივ, შინაარსის შემავსებელი თავგადასავლების მოყოლაა, როგორც ეს „ათას ერთ ლამეში“, მეორე მხრივ, იგავად სათქმელი საილუსტრაციო მასალის მოხმობაა, როგორც „ქილილა და დამანასა“ და დიდაქტიკური ჟანრის ბევრ სხვა თხზულებაში. სიუჟეტთა აგების ჩარჩოვანი პრინციპი და მისი თავისებური გამოყენება სხვადასხვა ლიტერატურაში საინტერესო და საკმაოდ მდიდარ მასალას იძლევა შედარებითი კვლევებისთვის.<sup>278</sup> ჩარჩოვანი თხრობის პოპულარობის კვალი ქართულ მწერლობაზე ჩანს სულხან საბა ორბელიანის იგავ-არაკების კრებულში „სიბრძნე სიცრუისა“, რომელიც მისი ავტორის ღრმა განსწავლულობას და ამ ტიპის აღმოსავლური წყაროების კარგ ცოდნას გვიჩვენებს (ვგულისხმობთ „ქილილა და დამანას“, „ათას ერთ ლამეს“ და მსგავს კრებულებს, რომელთა გავლენა აშკარაა „სიბრძნე სიცრუისაზე“ როგორც კომპოზიციით – ე.წ. ჩარჩოვანი თხრობის გამოყენება, ისე შინაარსით – კრებულში ჩართული არაკები „ქილილა და დამანადან“, „ათას ერთი ლამიდან“). ამ მხრივ საინტერესოა, რომ „ქილილა და დამანას“ მეფე ვახტანგ VI-ის მიერ XVIII ს-ში შესრულებული თარგმანის რედაქტირებასა და ქართულ ენაზე გამართვაში სულხან-საბა ორბელიანსაც მიუძღვის დიდი წვლილი.<sup>279</sup> ეს ფაქტიც ადასტურებს სულხან-საბა ორბელიანის

<sup>277</sup> Beeston A. F. L., Johnstone T. M., Serjeant R. B., Smith G. R., *Arabic Literature to the End of the Omayyad Period. The Cambridge History of Arabic Literature.* Cambridge University Press, 2003, p. 486-489; დოლიძე, ნინო. მაკამის ჟანრი არაბულ ლიტერატურაში. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2010.

<sup>278</sup> Герхардт, Мия. Искусство повествования, Литературное исследование „1001 ночи“. Москва: „Наука“, 1984, с. 333-360.

<sup>279</sup> პროფ. მაგალი თოდუას ფუნდამენტური გამოკვლევით, სულხან-საბა „ქილილა და დამანას“ ისეთივე მთარგმნელია, როგორც მეფე ვახტანგ მეექვსე. იხ. ქილილა და დამანა, სპარსულიდან თარგმნილი მეფე ვახტანგ მეექვსისა და სულხან-საბა ორბელიანის მიერ. ტექსტი დაადგინა, შესავალი, კომენტარები და ლექსიკონი დაურთო მაგალი თოდუამ. თბილისი: „მერანი“, 1975.

საფუძვლიან ცოდნას აღმოსავლური წყაროებისა. ეს ის შემთხვევაა, როცა კარგი თარგმანი ხანდახან ახალ ლიტერატურულ ტრადიციებს უდებს ხოლმე სათავეს სათარგმნ ენაზე შექმნილ ლიტერატურაში და კულტურათა ჭეშმარიტი დიალოგის ხიდი ხდება.

თუ კვლავ „ათას ერთ ღამის“ გალანისეული თარგმანის პოპულარობის მაგიას დავუბრუნდებით, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ერთ-ერთი პირველი, ვინც ჩასწვდა ჭეშმარიტ მიზეზს ამ გაუნელებელი ხიბლისა, მაჰჯარის სკოლის<sup>280</sup> დიდი ლიბანელი მწერალი და მოაზროვნე, ამინ არ-რეიჰანი იყო, რომელიც ამ პოპულარობის გასაღებს გალანისა და მისი წარმატებული მიმდევრების მიერ აღმოსავლელი რავის საშემსრულებლო ტექნიკის დაუფლებაში ხედავს.<sup>281</sup> გალანს საოცარი ალლო და ტრანსკულტურული „რავის“ უნარები აღმოაჩნდა, ის კარგად ფლობდა როგორც დასავლური, ისე აღმოსავლური საზოგადოებების კონვენციურ კულტურულ კოდებს და სწორედ იმ სიმებს ეხებოდა, რომლებიც კოლექტიურ ცოდნას ამდიდრებდა. ის თარგმანის მისეული იმპროვიზაციითა და ვარიაციებით ნამდვილად ქმნიდა ძლიერ და წარუშლელ შთაბეჭდილებას. მის მიერ აღეპოელი რავის – ჰანა დიაბის პარიზში პოვნა და მასთან მჭიდრო თანამშრომლობა დასტურია იმ ფაქტისა, რომ მთქმელის ხელოვნება მისთვის მისაბაძი და შეუცვლელია. ეს ის შემთხვევაა, როცა მედიუმი ინფორმაციის უბრალო, მეორეხარისხოვანი გამტარი კი არაა, არამედ იგი აშინაარსებს გადასაცემ ინფორმაციას. მისი ფარული კვალი მუდამ თან სდევს ნიშნის მნიშვნელობას.<sup>282</sup>

<sup>280</sup> მაჰჯარის სკოლა – (სირიულ) ლიბანურ-ამერიკული ლიტერატურულ-ფილოსოფიური სკოლა, რომელიც ამერიკაში ემიგრანტმა ლიბანელმა კულტურის მოღვაწეებმა ჩამოაყალიბეს და რომელმაც დიდი როლი ითამაშა თავისი დროის აღმოსავლურ-დასავლურ კულტურულ ტრანსფერში.

<sup>281</sup> Rihani, Ameen F. *The Lore of the Arabian Nights*, Platform International. Washington 2002, p. 67-71.

<sup>282</sup> ცაგარელი, ლევან. კულტურის კვლევების შესავალი. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2016, გვ. 80.

მაჰჯარის სკოლის ინტერესი კი გალანის ფიგურითა და მისი მიმბაძველი „ათას ერთ ლამის“ სხვა ევროპელი მთარგმნელებით,<sup>280</sup> რომლებიც გალანის ყაიდაზე, ცდილობენ, ინფორმაციის გადაცემის აღმოსავლური ტექნიკის დაუფლებითა და სრულყოფით მოიპოვონ პოპულარობა, გასაკვირი სულაც არაა! ისინი თავადაც თავიანთი ეპოქის კულტურათშორისი კომუნიკაციის მაღალი უნარებით აღჭურვილი რავეები არიან, კომუნიკატიური მედიუმები, რომელთაც ბედმა არგუნათ ლიბანსა და ამერიკას, – აღმოსავლეთსა და დასავლეთს, – შორის გადებული ცხოვრების გზა, რამაც მათ მსოფლმხედველობას, მათ სულიერ სამყაროს წარუშლელი კვალი დაატყო და ისინი ორი კულტურის – აღმოსავლურისა და დასავლურის – ჭეშმარიტ შვილებად ჩამოაყალიბა. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მათი კულტურული მემკვიდრეობა და მხატვრული შემოქმედება ყველაზე მჭიდროდაა დაკავშირებული დასავლურ კულტურასა და ფილოსოფიასთან, დასავლურ ღირებულებებთან, ისევე როგორც დასავლეთში არაბული აღმოსავლეთისა და ისლამის ჭეშმარიტი ღირებულებების გატანა სწორედ ამ სკოლისა და მისი წარმომადგენლების დამსახურებაა.

---

<sup>280</sup> Cachia, Pierre. *Exploring Arab Folk Literature*. Edinburgh University Press, 2011, p. 43-50.



III ნაწილი

აღმოსავლური სიუჟეტები  
ქართულ  
ზევირსნიტყვიერებაში







აღმოსავლური ზღაპრებისა და ქართული ზღაპრების შეხვედრის ნერტილები ყველა ქვეყანაში შეიძლება ვიპოვოთ, ჯადოსნურში, რეალისტურში, ანეკდოტში. რაოდენობრივად ყველაზე მეტი მსგავსება „ათას ერთი ღამის“ მოთხრობებისა ნოველისტური და ანეკდოტური ტიპის ზღაპრებთან გვაქვს. თუმცა ქართული ხალხური ნოველების ლიტერატურული წყაროები მხოლოდ აღმოსავლური არ არის, არამედ ხშირ შემთხვევაში ქართული ნათარგმნი თხზულებებიდან მომდინარე.

ზეპირი ტრადიცია და ლიტერატურული ტრადიცია ერთმანეთის პარალელურ კატეგორიებს განეკუთვნება. აღმოსავლურ-დასავლურ საერთო საზღაპრო სიუჟეტებზე დაკვირვება საინტერესოა როგორც სიუჟეტთა ინტერნაციონალიზაციის თვალსაზრისით, ისე ლიტერატურული და ხალხური თხრობის ურთიერთმიმართების შესწავლისთვის.

## X თავი

### აოაუღარული ლიტერატურულ-ფოლკლორული სიუჟეტები XVII-XVIII საუკუნეების საქართველოში

მნიგნობრული და ზეპირი ტრადიციების ურთიერთკავშირი ხალხურ ნოველებში განსაკუთრებით თვალსაჩინოა. XVII-XVIII საუკუნეთა მიჯნაზე შექმნილ ორიგინალურ ქართულ თხზულება „რუსუდანიანს“ და ნათარგმნ მოთხრობა „ბახთიარ-ნამეს“ ფოლკლორისტიები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ ხალხური და ლიტერატურული სიუჟეტების სიმრავლისა და გადამუშავებათა მრავალფეროვნების გამო. არ უნდა იყოს ინტერესმოკლებული საკითხი, თუ როგორ არის წარმოდგენილი ლიტერატურული და ხალხური სიუჟეტების გადამუშავებები ფოლკლორულ დისკურსში: რომელი სიუჟეტური ტიპები წარმოადგენენ საერთო წყაროს ლიტერატურისა და ზეპირსიტყვიერების ჟანრებისთვის?

#### დაკარგული და ნაპოვნი ოჯახი ATU938

აღმოსავლურ და ევროპულ ნოველისტურ ზღაპრებს შორის ერთ-ერთი გამორჩეულია ამბავი კაცზე, რომელმაც ცოლ-შვილი დაკარგა და კვლავ იპოვა. ეს საერთაშორისო სიუჟეტი ქართულ ფოლკლორში ამგვარი ფაბულით გვხვდება:

ერთ კაცს ცოლი და ორი მცირეწლოვანი ვაჟი ჰყავდა. მის ცოლს ერთმა სოვდაგარმა დაადგა თვალი და როცა დრო იხელთა, მოიტაცა, ყუთში ჩასვა და მოიტაცა. ცოლის ძებნაში ქმარს ერთი შვილი წყალში ჩაუვარდა, მეორე კი მგელმა წაართვა. უბედური ქმარი ერთ მედუქნესთან მსახურად დადგა. განვლო რამდენიმე წელი. შემთხვევით კაცმა ყური მოკრა ორი ახალგაზრდა მგზავრის საუ-

ბარს. გაირკვა, რომ ბავშვობაში ერთი მეცხვარეს დაეხსნა მგლის პირიდან, მეორე კი მენისქვილეს გადაერჩინა დახრჩობას. ძმები ერთმანეთს გადაეხვივნენ. მამამ და შვილებმა მალე დაკარგული დედაც იპოვეს და ოჯახი კვლავ ბედნიერ ცხოვრებას დაუბრუნდა.

ზღაპარი უამრავი ვარიანტით არის ცნობილი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში.<sup>284</sup> საარქივო მასალების მიხედვით ირკვევა, რომ მას განსაკუთრებით ხშირად ჰყვებოდნენ აჭარაში.<sup>285</sup>

ATU938 ზღაპრის ტიპი ჩართულია „ათას ერთ ლამის“ ერთ-ერთ თხრობით ციკლში „მეფე შაჰ-ბახტი და მისი ვეზირი ალ-რაჰჰვანი“:

მეფე შაჰ-ბახტს ჰყავდა ვეზირი, სახელად ალ-რაჰჰვანი. ერთხელ მეფეს დაესიზმრა, თითქოს ვეზირმა მონამღლული ხილი მიართვა. მეფემ ბრძენს რჩევა ჰკითხა. ბრძენი თურმე ალ-რაჰჰვანის მტრებთან ყოფილა შეკრული და ვეზირის სიკვდილით დასჯა ურჩია. ვეზირი მორჩილებით დათანხმდა სასჯელს, მაგრამ ითხოვა, მეფესთან კიდევ ერთი ღამე დარჩენილიყო. მეფემ ნება დართო და ვეზირმა ამბის მბობა დაიწყო. ოცდარვა ღამის განმავლობაში ჰყვებოდა ამბებს, მათ შორის, მეფეზე, რომელმაც სამეფო დაკარგა. მისი მოსმენის შემდეგ მეფე შაჰ-ბახტმა ვეზირი ძველ თანამდებობაზე დააბრუნა, მისი მტრები კი დასაჯა.

ეს ჩარჩოვანი ისტორია შედის „ათას ერთი ღამის“ ე.წ. ბრესლაუს რედაქციაში<sup>286</sup> და კაისერის ხელნაწერში.<sup>287</sup> მე-

<sup>284</sup> ლიტ. ინსტ. ფოლკ. არქ. 16263 ფაი80, 11919 ფარ273, 122082 ბსკიფა12.

<sup>285</sup> ლიტ. ინსტ. ფოლკ. არქ. 122781 ბსკიფა20, 122276 ბსკიფა2, 122138 ბსკიფა5, 122056 ბსკიფა3.

<sup>286</sup> „ბრესლაუს რედაქცია“ მაქსიმილიან ჰაბიხტს ეკუთვნის, რომელმაც „ათას ერთი ღამე“ არაბულიდან თარგმნილი სხვა ზღაპრებით შეაესო ისე, რომ ათას ერთ ღამეზე გაენანილებინა. Habicht, Max Tausend und Eine Nacht. Arabische Erzählungen. Zum erstenmal aus einer Tunesisschen Handschrift ergänzt und vollständig übersetzt von Max Habicht, F. H. Von der Hagen und Karl Schall. 15 vols. Breslau: Josef Max und Komp. 1825.

<sup>287</sup> კაისერიში უკანასკნელ ნლებში აღმოჩენილი ხელნაწერი

ფე შაჰ-ბახტის და მისი ვეზირის ალ-რაჰვანის ციკლი აგებულია სინდბადის წიგნის მსგავსად და შეიცავს მორალური იგავების კორპუსს. სხვა ევროპული გამოცემები, რომლებშიც შაჰ-ბახტის ციკლი შედის, ბრესლაუს რედაქციას ეყრდნობა.

ზლაჰრის სიუჟეტურ ტიპთა საერთაშორისო კატალოგში ამგვარი ფაბულა აღწერილია როგორც ტიპი ATU938 – პლასიდასი.<sup>288</sup>

„პლასიდასის“ სახელწოდებით ცნობილი ლეგენდა ევროპაში შუა საუკუნეებში გავრცელდა ნმინდანთა ცხოვრებიდან, კერძოდ კრებულებიდან „Gesta Romanorum“ და „Legenda aurea“. პლასიდასი, ტრაიანის გენერალი, ნადირობის დროს დაინახავს ირემს, რომლის რქებშიც მოსახულია ჯვარი. მის ცოლსაც მსგავსი ხილვა აქვს. ორივე მონათლება, მონათლავენ თავის ორ ვაჟსაც. პლასიდასს შეარქმევენ ევსტახიუსს, მის ცოლს კი თეოფისტეს.

ხილვის ადგილას ისევე მიდის ევსტახიუსი და ირემიც ისევე გამოჩნდება. ქრისტე მიანიშნებს, რომ მან უნდა სინანულში გაატაროს გარკვეული დრო. მაგრამ შეუძლია აირჩიოს, ახლა თუ სიცოცხლის ბოლოს. ევსტახიუსი დაუყოვნებლივ სინანულს არჩევს. მას ჯერ მსახურები და საქონელი დაეხოცება, მერე ქონებას კარგავს და მიდის ეგვიპტეში ოჯახთან ერთად. მგზავრობის საფასურად მენავე ევსტახიუსს სთხოვს ცოლს. ბავშვებს ლომი და მგელი სტაცებენ და მათ მოგვიანებით ერთი გლეხი და ერთი მწყემსი გადაარჩენს. ოჯახდაკარგულ ევსტახიუსს მოჯამაგირედ მუშაობა უწევს.

---

(დაახლ. XV ს.) შეიცავს მეფე შაჰ-ბახტისა და მისი ვეზირის ციკლს, რომელშიც ჩართულია ამბავი სამეფოდაკარგულ მეფეზე. Ott, Claudia. Tausendundeine Nacht. Das glückliche Ende. Nach der Handschrift der Rašit-Efendi-Bibliothek Kayseri erstmals ins Deutsche übertragen von Claudia Ott. München: C.H. Beck, 2016, S. 246-258.

<sup>288</sup> Uther, Hans-Jörg. The Types of International Folktales. A Classification and Bibliography. Based on the System of Antti Aarne and Stith Thompson. Part 1. Helsinki: Academia Scientiarum Fennica, 2004, p. 580.

ნლების შემდეგ ევსტახიუსს იმპერატორის ლეგიონერები იპოვიან და დაბრუნებას სთხოვენ. რომის იმპერატორს სურს ევსტახიუსი კერპებს შეწიროს. ადრიანე ბრძანებს ევსტახიუსი მიუგდონ ლომებს, მაგრამ მხეცები მას არ მიეკარნენ. შემდეგ გახურებული რკინით დადაღეს. მისი დაუზიანებელი სხეული დაკრძალეს ქრისტიანებმა. მის საფლავზე აიგო ტაძარი.<sup>289</sup>

ამ ლეგენდის ბერძნული, ლათინური, ქართული, სომხური, კოპტური, გერმანული, ფრანგული, ინგლისური, ირლანდიური, ესპანური და სხვა ევროპული და აღმოსავლური ვერსიები შუა საუკუნეებშივე გავრცელდა. აგიოგრაფიული თხზულება სამნაწილიანია: 1) მონადირის ხილვა, გაქრისტიანება და ბედისწერის გაცხადება, 2) ამბავი კაცისა, რომელიც ყველაფერს კარგავს, იტანჯება და ბოლოს კვლავ იპოვის დაკარგულ ახლობლებს, 3) ევსტახიუსისა და მისი ოჯახის მარტილობა.

ირემთან დაკავშირებული სასწაულის მოტივი ბუდისტურ წყაროებში უფრო ადრეა დადასტურებული. ირემთან შეხვედრის მოტივი ცნობილია აგრეთვე იოანე დამასკელის ცხოვრებიდან (VIII ს.). კოპტური ლეგენდების მიხედვით წმ. თეოდორს ფურირემი ეცხადება რქებში უფლის კრავითა და ქერუბიმთა შარავანდედით.<sup>290</sup>

საკუთარი ბედისწერის არჩევის მოტივი – როდის ურჩევნია ადამიანს ტანჯვა, ახალგაზრდობაში თუ სიბერეში, „Gesta Romanorum“ და „Legenda aurea“-ს სხვა ლეგენდებშიც გვხვდება. ამბის დასრულება ოჯახის წევრების კვლავ შეხვედრით ლეგენდებშიც არის გავრცელებული და ზღაპრებშიც. „პლასიდასის“ სიუჟეტს ევროპულ და აღმოსავლურ ზეპირსიტყვიერებაში მრავალფეროვანი ვარიანტები და კონცეპტუალური გააზრება აქვს. ახლობლების დაკარგვისა და პოვნის მოტივიც წინარებუდისტურ და ბუდისტურ

<sup>289</sup> Legenda aurea. Das Leben der Heiligen. übers. E. Weidinger. Aschaffenburg 1986.

<sup>290</sup> Fischer, Helmut. Placidus. In: Enzyklopädie des Märchens. Bd. 10. Berlin/New York: Walter de Gruyter, 2002, S. 1070.

მოთხრობებშია დაფიქსირებული. აღმოსავლურ თხრობით ტრადიციაში პლასიდასის ამბავი ვაჭრის თავგადასავალზე არის გადატანილი. შუა საუკუნეების ევროპულ ლიტერატურაში პლასიდასის სიუჟეტს ვხვდებით ბერძნულ რომანში, გერმანულ და ფრანგულ რომანებში „Die gute Frau“ და „La bonne Dame“ (VIII ს.), ანგლო-ნორმანდიულ „Gui de Warewic“, ფრანგულ ეპოსში „Beuve de Hampton“, ესპანურ სარაინდო რომანში „Libro del Cavallero Cifar“.<sup>291</sup>

სიუჟეტური ტიპი ATU938 ქართულ ლიტერატურაში გვხვდება XVII-XVIII საუკუნეთა მიჯნაზე შექმნილ ორიგინალურ ქართულ და ნათარგმნ თხზულებებში: „რუსუდანიანსა“ და „ბახთიარ-ნამეში“. „რუსუდანიანში“ ATU938 არის ჩარჩოვან თხრობაში ჩართული ზღაპარი ხელმწიფე იბრეიმზე (მეექვსე კარი), ხოლო „ბახთიარ-ნამეში“ – აბუსფარის ამბავი (მეოთხე კარი).

ქართულ ზეპირსიტყვიერებაში საზღაპრო სიუჟეტის ATU938 მთავარი გმირი ხელმწიფე, ვაჭარი ან ლარიბი კაცია. ამ კონკრეტულ საზღაპრო ტიპზე პირველი გამოკვლევა ქსენია სიხარულიძეს ეკუთვნის. მან განიხილა ქართული ხალხური ზღაპარი „ლარიბი კაცი და სოვდაგარი“ ლიტერატურულ ტექსტთან, კერძოდ, „რუსუდანიანის“ მეექვსე კარში მოთხრობილ ზღაპართან („აქა ხელმწიფის იბრეიმის ამბავი“) მიმართებაში.<sup>292</sup>

მიუხედავად იმისა, რომ მანამდე ალექსანდრე ხახანაშვილს,<sup>293</sup> ნიკო მარს<sup>294</sup> და კორნელი კეკელიძეს<sup>295</sup> შენიშნუ-

<sup>291</sup> Fischer, Helmut. Placidus. In: Enzyklopädie des Märchens. Bd. 10. Berlin/New York: Walter de Gruyter, 2002, S. 1071.

<sup>292</sup> სიხარულიძე, ქსენია. ქართველი მწერლები და ხალხური შემოქმედება. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, 1966, გვ. 48-53.

<sup>293</sup> Хаханов, Александр. Очерки по истории грузинской словесности. Выпуск 3. Литература XIII-XVIII вв. Москва: Университетская типография, 1901.

<sup>294</sup> Марр, Н. „Грузинский извод сказки о трех остроумных братьях из Русуданиани“, – Восточные заметки. Санкт-Петербург, 1895, с. 221-259.

<sup>295</sup> კეკელიძე, კორნელი. ქართული ლიტერატურის ისტორია. II. თბილისი: „თსუ გამომცემლობა“, 1958, გვ. 426.



[12] რუსუდანინი, XVII ს., H 1036, 65v.

ლი ჰქონდათ „რუსუდანიანში“ ჩართული ზღაპრის მსგავსება ქართულ ხალხურ ზღაპართან, კონკრეტულად არცერთი ხალხური ტექსტი არ მიუთითებიათ. სამივე მეცნიერი ხელმწიფე იბრეიმის ზღაპრის შესაძლო წყაროდ ევსტახიუსის ლეგენდას ასახელებდა. ალ. ხახანაშვილი და ნ. მარი ამ ლეგენდის გადამუშავებას ვარაუდობდნენ, კ. კეკელიძე კი „ქრისტიანულ-სარწმუნოებრივ ტენდენციას“ ხედავდა „რუსუდანიანის“ მეექვსე კარში, ადარებდა რა ბიბლიური იოსების, იაკობის, დავითის, იობისა და ნმ. ევსტახიუსის ცხოვრებას. ალ. ბარამიძე „რუსუდანიანის“ მეექვსე კარში მოთხრობილი ამბავს სპარსული თხზულების „ბახთიარ-ნამეს“ ქართულ თარგმანს უკავშირებდა.<sup>296</sup>

ფოლკლორისტთა და ლიტერატურათმცოდნეთა მოსაზრებები ლიტერატურული და ხალხური ტექსტების ურთიერთმიმართებაზე ერთმანეთს ავსებს. ნერილობით წყაროთა ტექსტოლოგიური ანალიზი რიგ შემთხვევაში ლიტერატურულ გავლენას ადასტურებს, მაგრამ ფოლკლორულ მასალასთან შედარება ცხადყოფს, რომ ლიტერატურულ გავლენის პარალელურად არანაკლებ როლს თამაშობს ზეპირი ტრადიციაც.

უკანასკნელ ხანს „რუსუდანიანის“ ინტენსიური კვლევისას დალილა ბედიანიძემ არაერთი საგულისხმო მაგალითი წარმოადგინა ხალხურ მოტივთა ინტერპრეტაციისა ლიტერატურულ ძეგლში.<sup>297</sup> ფოლკლორისტიკის პოზიცია ზოგადად ასეთია: ხელმწიფე იბრეიმის ამბავს „რუსუდანიანში“ და აბუსფარის ამბავს „ბახთიარ-ნამეში“ საერთაშორისო საზღაპრო სიუჟეტი უდევს საფუძვლად.

ჩვენი კვლევის მიზანია არა რომელიმე წყაროს სიძველის დამტკიცება და რომელიმე ტრადიციის – ლიტერა-

---

<sup>296</sup> ბარამიძე, ალექსანდრე. ბახთიარ-ნამეს ქართული ვერსიისათვის (ვახტანგისეული თარგმანი), – ლიტერატურული ძიებანი IV, 1947, გვ. 129-173.

<sup>297</sup> ბედიანიძე, დალილა. ბედიანიძე, დალილა. „რუსუდანიანი“ და ხალხური სიტყვიერება (ფოლკლორთან სიახლოვე, ზოგიერთი მხატვრული თავისებურება), – გელათის მეცნიერებათა აკადემიის ურნალი, №7-8, 2017, გვ. 18-73.

ტურულისა ან ზეპირსიტყვიერის უპირატესობაზე მინიშნება, არამედ იმ თავისებურებების ჩვენება, რაც საერთაშორისო სიუჟეტს ახასიათებს ლიტერატურაში დამუშავების და ზეპირად გავრცელების შემთხვევაში.

ჩვენი აზრით, ქართულ ზღაპრებში სიუჟეტის აღმოსავლურ ნარმოშობაზე მიანიშნებს გმირების სოციალური სტატუსიც. პერსონაჟი სოვდაგრები, ვაჭართა ნრეში მომხდარი ამბები, უცხო ქვეყანაში მოხვედრა – ყოველივე ეს უნდა მეტყველებდეს იმაზე, რომ მთხრობელი ამით აზუსტებდა სივრცეს. ვაჭართა ეთნიკურობაც კი არის მითითებული ბევრ ტექსტში (თათარი, სომეხი). ჯადოსნური ზღაპრებისთვის დროისა და სივრცის დაკონკრეტება არ არის დამახასიათებელი. იქ მოტივების კომბინაციითა და ცალკეული დეტალებით შეიძლება ვივარაუდოთ გავრცელების გზა. ნოველისტურ ზღაპარში, როგორც გვიან შუა საუკუნეებში ჩამოყალიბებულ ჟანრში, უფრო მეტი სიახლოვეა ლიტერატურულ ტექსტებთან. ლიტერატურულ გავლენას უფრო მეტად განიცდის ხალხური ნოველა, ვიდრე ჯადოსნური ზღაპარი მიუხედავად იმისა, რომ პარალელურად არსებობენ ერთმანეთის გვერდით და თანაბარი ადგილი უკავიათ ქართულ საზღაპრო რეპერტუარში.

## ვინ უფრო დიდსულოვნად მოიქცა?

### ATU976

ლიტერატურული სიუჟეტის გახალხურების და, პირიქით, ზეპირად გავრცელებული სიუჟეტის ლიტერატურულად დამუშავების ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია ზღაპარი სულგრძელობაზე, რომლის საერთაშორისო სიუჟეტური ნომერია ATU976: ვინ უფრო დიდსულოვნად მოიქცა? ამ ტიპის მოთხრობა მიეკუთვნება რეალისტური ზღაპრების, ხალხური ნოველების კატეგორიას და სხვადასხვა ხალხური და ლიტერატურული ვერსიის შეჯერების საფუძველზე შემდეგნაირად არის აღწერილი:

ქორწილის ღამეს კაცი ნებას რთავს ცოლს, მოინახულოს თავისი ძველი შეყვარებული და შეუსრულოს ადრე

მიცემული პირობა (ან – ზოგი ვარიანტით, გააუქმოს ნიშნობა). გზაში ქალი გადაეყრება ყაჩაღებს, მაგრამ როცა თავის ამბავს უამბობს, ისინი უვნებლად გაუშვებენ. მას შემდეგ, რაც შეყვარებული მოისმენს ქალის ქმრისა და ყაჩაღის დიდსულოვნების ამბავს, ქალს ხელუხლებლად დაუბრუნებს უკან.<sup>298</sup>

ფოლკლორისტული და ლიტერატურათმცოდნეობითი კვლევებით დადგენილია, ამ სიუჟეტის სამშობლო ინდოეთია. პირველად ის დაფიქსირებულია ბუდისტურ თხზულებაში „Tripitaka“ (ახ.წ. III ს.). სხვა ადრეული ვერსიები გვხვდება ინდურ კრებულში „Vetalapancavimsatika“ (ამბების ოკეანე), ასევე „Tuti-name“-ს სხვადასხვა რედაქციაში. ეს სიუჟეტი ევროპის ლიტერატურულ ტრადიციაშიც არსებობს: ბოკაროს „დეკამერონსა“ და ჩოსერის „ფრანკლინის ამბავში“.<sup>299</sup>

ATU976 ტიპის ზღაპრის აღმოსავლური სიუჟეტის გადამუშავება გვხვდება 1786 წლის ფრანგულ გამოცემაში „Le cabinet des fées“. წიგნში მოთხრობათა ორი ციკლია: 1) სპარსეთის სულთანი ქალისა და მისი ვეზირების ამბავი და 2) ზულმას მოგზაურობა.

მოთხრობათა პირველ ციკლში ჩართულია ეგვიპტის სულთან აქშიდის ისტორია, რომელიც შეიცავს ATU976 სიუჟეტს: ეგვიპტის სულთანი სიკვდილის მოახლოებას იგრძნობს და შვილებს დაუბარებს, რომ მათთვის საგანძური აქვს, რომელიც ურთიერთშორის უნდა გაიყონ. სულთნის სიკვდილის შემდეგ მისი უმცროსი ვაჟი ზარდახშას მოიპარავს. ძმები მალევე იპოვიან ზარდახშას, მაგრამ ცარიელს. ისინი სიმართლის საძებნელად მიდიან ყადისთან, რომელიც აი ამ ამბავს უამბობს:

---

<sup>298</sup> Uther, Hans-Jörg. The Types of International Folktales. A Classification and Bibliography. Based on the System of Antti Aarne and Stith Thompson. Part 1. Helsinki: Academia Scientiarum Fennica, 2004, p. 608.

<sup>299</sup> Marzolph, Ulrich, Richard van Leeuwen, and Hasan Wassouf. The Arabian Nights Encyclopaedia. Volume I. Oxford/ Denver /Santa Barbara: ABC Clio, 2004, p. 412.

ერთ ყმანვილ ქალს თავისი ბიძაშვილი უყვარდა, მაგრამ სხვას მიათხოვეს. მან გულწრფელად გაუმხილა ქმარს, რომ მისი გული სხვას ეკუთვნოდა და ქმარმაც ასევე გულწრფელად გაუშვა იგი შეყვარებულთან. გზაში ქალს ყაჩალი გადაეყარა. ქალმა ყაჩალს თავისი ამბავი უთხრა. ყაჩალმა სულგრძელობა გამოიჩინა და ქალი გაუშვა. ქალის სატრფოზე იმდენად იმოქმედა ქმრის კეთილშობილმა საქციელმა, ქალი ქმარს უკან მიჰგვარა.

ამბის დასრულების შემდეგ ყადი ძმებს შეეკითხა, თუ ვინ უფრო დიდსულოვნად მოიქცა. უფროსმა ძმებმა უპირატესობა შეყვარებულს მიანიჭეს, უმცროსმა – ყაჩალს და ამით ყადიმ მასში ქურდი ამოიცნო.<sup>300</sup>

ეს ტექსტი ინგლისურად გამოქვეყნებულია 1812 წლის გამოცემაში „Tales of the East“ უილიამ ვებერის მიერ სათაურით „The History of Sultan Aqschid“.<sup>301</sup>

ინგლისურ და ფრანგულ გამოცემებში ეს ზღაპარი თურქული ზღაპრების ციკლში შედის. გერმანულ გამოცემებში კი ის „ორმოცი ვეზირის“ ნარატიულ ციკლს განეკუთვნება.

გერმანული ვერსია სახელწოდებით „Geschichte des Sultans Aqschid“ დაბეჭდილია 1825 წელს მაქსიმილიან ჰაბიხტის „ათას ერთი ღამეში“<sup>302</sup> და შემდგომ, გუსტავ ვაილის 1838 წლის გამოცემაში.<sup>303</sup> ორივე მთარგმნელი სათა-

---

<sup>300</sup> Le Cabinet de fées, ou collection choisie des contes de fées et autres contes merveilleux. Tome seizième. Amsterdam/Paris: [s.n.], 1785-89, pp. 173-187.

<sup>301</sup> Tales of the East, comprising the most popular romances of Oriental origin and the best imitations by European authors, with new translations and additional tales never before published. By Henry Weber [Texte imprimé]. Edinburgh: Ballantyne, 1812, pp. 203-206.

<sup>302</sup> Habicht, Max. Tausend und Eine Nacht. Arabische Erzählungen. Zum erstenmal aus einer Tunesischen Handschrift ergänzt und vollständig übersetzt von Max Habicht, F. H. Von der Hagen und Karl Schall. 15 vols. Breslau: Josef Max und Komp, 1825, (meToTxmete Rame).

<sup>303</sup> Weil, Gustav. Tausend und eine Nacht. Arabische Erzählungen. Zum Erstenmale aus dem arabischen Urtext übersetzt von Dr. Gustav Weil. 4 vols. Stuttgart/Pforzheim: Verlag der Klassiker, 1838.

ურშივე აცხადებს სანდო წყაროებს. ჰაბიხტი ირწმუნება, რომ მისი თარგმნილი „ათას ერთი ღამე“ თუნისურ ხელნაწერს ეყრდნობა, ხოლო ვაილი წერს, რომ მან პირველად თარგმნა უძველესი არაბული ტექსტი.

„ორმოცი ვეზირის“ მოთხრობათა ციკლი საერთოდ არ არის „ათას ერთი ღამის“ შემადგენელი ნაწილი. მხოლოდ ჰაბიხტი და ვაილი მიაკუთვნებენ მას „ათას ერთი ღამეს“. სხვა კრებულებში, ინგლისურში, ფრანგულში ეს ტექსტი უბრალოდ აღმოსავლური ზღაპარია.

„ორმოცი ვეზირი“ ჩარჩოიანი თხრობის ციკლია და შეესაბამება ისტორიებს „ქალთა მოხერხებისა და მზაკვრობის“ შესახებ, თუმცა განსხვავებულ ზღაპრებს შეიცავს. შენიშვნაში გერმანელი მთარგმნელი მიუთითებს, რომ „ორმოცი ვეზირის“ ისტორია არ არის „ათას ერთ ღამეში“, მაგრამ სრულყოფილებისთვის ჩართო სხვა წყაროებზე დაყრდნობით.<sup>304</sup>

ფრანგი აღმოსავლეთმცოდნე ვიქტორ შოვენის თავის კრიტიკულ შენიშვნებში არაბული ლიტერატურის შესახებ უარყოფს ამ ზღაპრის არაბული ხელნაწერიდან წარმოშობას და მას უცნობ წყაროს უწოდებს. არაბული ზღაპრების მოგვიანო ფრანგულ გამოცემებშიც არის ეს ზღაპარი ჩართული „უდარდელი სიყმანვილის მომხიბვლელი ზღაპრების“ სერიაში:

ჰაბიბი და ჰაბიბა ბიძაშვილები იყვნენ და ბალდადში ცხოვრობდნენ. ისინი ერთად იზრდებოდნენ და ერთმანეთი უყვარდათ, მაგრამ ჰაბიბა სხვას მიათხოვეს. როცა ის ქორწილის ღამეს ატირდა, ქმარმა ის თავის შეყვარებულს მიუყვანა. საბოლოოდ ჰაბიბი და ჰაბიბა ერთად დარჩნენ.<sup>305</sup>

<sup>304</sup> Marzolph, Ulrich, Richard van Leeuwen, and Hasan Wassouf. *The Arabian Nights Encyclopaedia*. Volume I. Oxford/ Denver /Santa Barbara: ABC Clio, 2004, pp. 187-188.

<sup>305</sup> Marzolph, Ulrich, Richard van Leeuwen, and Hasan Wassouf. *The Arabian Nights Encyclopaedia*. Volume I. Oxford/ Denver /Santa Barbara: ABC Clio, 2004, pp. 159-160.

ზღაპარი სულგრძელობაზე ჩარჩოში ჩასმული თხრობაა ხალხურ ტრადიციამიც. ჩარჩოს კი ATU655 ტიპი წარმოადგენს:

სამი კეთილშობილი ძმა მემკვიდრეობით მიიღებს მამის ქონებას. ერთ-ერთი მათგანი ძვირფას ქვას იპარავს. გაქურდული ძმები მიდიან ბრძენთან (სხვადასხვა ვარიანტით, მოსამართლესთან, მეფესთან ან სოლომონ ბრძენთან). გზად ძმები ხვდებიან ცხოველის ნაკვალევს და შემდეგ დედუქციურ დასკვნებს აკეთებენ: ის ცალთვალა აქლემია, რადგან ბალახი მხოლოდ ცალ მხარეს არის მოძოვილი, მასზე ფეხმძიმე ქალი იჯდა და ა.შ. როცა ძმები აქლემის პატრონს ნახავენ, ის მათ ქურდებად ჩათვლის. ყველანი ერთად მიდიან მოსამართლესთან (ან მეფესთან). ვახშამზე ძმები მსჯელობას იწყებენ, თუ რისგან არის პური და ღვინო დამზადებული, მათი მასპინძელი კი უკანონო შეილია. ყველა მათი ვარაუდი სიმართლე აღმოჩნდება.<sup>306</sup>

ამის შემდეგ მოსამართლე იწყებს ზემოთხსენებული ზღაპრის მოყოლას სულგრძელობაზე ATU976. გადანვეტილების მისაღებად, შეკითხვას უსვამს მსმენელებს, რათა მათი პასუხით ამოიცნოს, თუ ვის შეიძლებოდა მოეპარა ძვირფასი ნივთი. ქურდი მაშინვე გამოავლენს თავს, როცა უნებლიედ წამოსცდება პასუხი კითხვაზე: „ვინ უფრო დიდსულოვნად მოიქცა?“. ის პასუხობს, რომ ყაჩაღია ყველაზე სულგრძელი ან უპასუხებს სხვა შეკითხვებს ისე, რომ თავს გამოავლენს.

ATU655 ტიპის ქართული ლიტერატურული ვერსია გვხვდება XVII საუკუნის ნაწარმოებში „რუსუდანინი“, რომელიც კომპოზიციურად სწორედ ჩარჩო თხრობას წარმოადგენს. მეთერთმეტე კარში მოთხრობილი „აქა ხაზართა მეფის ამბავი და სამთა ძმათა დელამთ მეფის ძეთა“ შინაარსით ხალხურ ზღაპართან დიდ მსგავსებას ამჟღავნებს ისევე, როგორც სხვა ჩართული ზღაპრები ამ

<sup>306</sup> Uther, Hans-Jörg. *The Types of International Folktales. A Classification and Bibliography. Based on the System of Antti Aarne and Stith Thompson. Part 1.* Helsinki: Academia Scientiarum Fennica, 2004, p. 361.

თხზულებაში.<sup>307</sup> ვრცელი გამოკვლევა „რუსუდანიანში“ ჩართული ზღაპრების ხალხურ პარალელებზე 1966 წელს გამოაქვეყნა ქსენია სიხარულიძემ. „სამთა ძმათა დელამთ მეფის ძეთა“ ზღაპრის ქართულ ფოლკლორთან მიმართებაზე მან ხაზი გაუსვა ხალხური ზღაპრის განსხვავებას ლიტერატურულისგან – ხალხურ ტექსტს განსაკუთრებული დასაწყისი და დასასრული აქვსო. ქსენია სიხარულიძე არ იყენებს ტერმინს „ჩარჩო თხრობა“, თუმცა მას სწორედ ეს ჰქონდა მხედველობაში, როცა წერდა: „აქ საქმე გვაქვს ზღაპრის შინაარსის განვითარების ერთ-ერთ ტრადიციულ ხერხთან, ზღაპარში ზღაპრის თქმასთან“.<sup>308</sup>

საზღაპრო ტიპების ATU655 და ATU976 შერწყმით ხალხურ ტრადიციაში მივიღეთ სტრუქტურულად მთლიანი ერთი ზღაპარი, რომელიც თავისი რთული კომპოზიციითა და იდეური თვალსაზრისითაც მეტად საინტერესო ნარატივს წარმოადგენს.

ქართულ ფოლკლორში ამგვარი ზღაპრები გავრცელებულია „სამი ძმის“ სახელწოდებით და ზუსტად შეესაბამება

---

<sup>307</sup> ყველა მეცნიერი, ვინც კი „რუსუდანიანს“ შეხებია, მის ფოლკლორთან დამოკიდებულებას აუცილებლად ითვალისწინებს. Март, Н. „Грузинский извод сказки о трех остроумных братьях из Русуданиани“, – Восточные заметки. Санкт-Петербург, 1895, с. 221-259. კეკელიძე, კორნელი. ქართული ლიტერატურის ისტორია, II, თბილისი: თსუ გამომცემლობა, 1958, გვ. 423-433. „რუსუდანიანის“ ხალხური წყაროების შესწავლის ისტორიას და სხვა დამატებით საკითხებს უახლეს ხანებში შეეხო დალილა ბედიანიძე. იხ. ბედიანიძე, დალილა. „რუსუდანიანი“ და ხალხური სიტყვიერება (ფოლკლორთან სიახლოვე, ზოგიერთი მხატვრული თავისებურება). გელათის მეცნიერებათა აკადემიის ურნალი, №7-8, 2017, გვ. 18-73. ალ. ლლონტი საერთო აღმოსავლურ წყაროს ვარაუდობს როგორც ქართული ხალხური ზღაპრისთვის, ისე ვოლტერის მოთხრობისთვის „ზადიგი“. ლლონტი, ალ. „ვოლტერი და ქართული ზღაპარი“, გაზ. „სიტყვა ქართული“, №6, 1993.

<sup>308</sup> სიხარულიძე, ქსენია. ქართველი მწერლები და ხალხური შემოქმედება. ნიგნი მეორე. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, 1966, გვ. 59; ჩოლოყაშვილი, რ., ყველაშვილი, ი. ქალის სახე ნოველისტურ ზღაპრებში. კრებულში: მხატვრული აზროვნების ტრანსფორმაციის ფორმები ქართულ ფოლკლორში. რედ. რ. ჩოლოყაშვილი, ი. რატიანი. თბილისი: „სამშობლო“, 2016, გვ. 198-210.

ვისება საერთაშორისო კატალოგში აღწერილ ATU655 და ATU976 ტიპების კონტამინაციას, ანუ იმ კომბინაციას თხრობისა, რომელიც დამახასიათებელია ზეპირი ტრადიციისთვის. ლიტერატურულ ტექსტებში ეს ტიპები ცალცალკე არის გამოყენებული.

ქრონოლოგიურად ყველაზე ძველი ჩანანერი ხალხური ტექსტისა (თუ არ ჩავთვლით ალექსანდრე ხახანაშვილის ცნობას, რომ მისთვის ეს ზღაპარი ცნობილი იყო)<sup>309</sup> არის თედო რაზიკაშვილის მიერ გამოქვეყნებული „სამნი ძმანი“:

ხელმწიფე თავის სამ ვაჟს ნატვრისთვალს უტოვებს, რომელსაც ერთ-ერთი ძმა დამალავს. ძმები მეზობელ ხელმწიფესთან მიდიან მოსარიგებლად. გზად ისინი ხვდებიან თათარს, რომელსაც აქლემი დაეკარგა. ძმები გამოიცნობენ ცხოველის ნიშნებს – აქლემი ცალთვალა იყო, ზურგზე თაფლი და ძმარი ჰქონდა აკიდებული და ზედ ორსული ქალი იჯდა. თათარი ძმებს ხელმწიფესთან უჩივლებს. ხელმწიფე მიხვდება ძმების გონებაშეხილვას და კარგად გაუმასპინძლდება. ძმები ამბობენ, რომ პური სისხლით არის დანამული, ბატკანს ძაღლის ძუძუ აქვს ნანოვი, თვითონ ხელმწიფე კი მენისქვილის შვილია. ხელმწიფე მეცხვარესთან, ხაბაზთან და თავის დედას გამოჰკითხავს ძველ ამბებს და ძმების ნათქვამი სიმართლე აღმოჩნდება. ამის შემდეგ ხელმწიფის ასული ჰყვება ისტორიას დიდსულოვანი საქციელის შესახებ, რის შემდეგაც ნატვრისთვალის მიმთვისებელი გამოაშკარავდება და ნატვრისთვალსაც იპოვიან.<sup>310</sup>

ამ ზღაპრის ვარიანტი მცირედი განსხვავებებით ჩაინერა ელენე ვირსალაძემ ცხინვალში. ძმები სიმართლის

<sup>309</sup> ალექსანდრე ხახანაშვილი ამ ზღაპრის საერთაშორისო გავრცელების შესახებ იმონებდა თეოდორ ბენფეისა და ალექსანდრ ვესელოვსკის ნაშრომებს და თავად აღნიშნავდა, რომ ეს ზღაპარი სიტყვასიტყვით გაგონილი ჰქონდა მამისგან გორში. Хаханов, Александр. Очерки по истории грузинской словесности. Выпуск 3. Литература XIII-XVIII вв. Москва: Университетская типография, 1901, с. 49.

<sup>310</sup> რაზიკაშვილი, თედო. ხალხური ზღაპრები, I. თბილისი: „საქ. პოლიგრაფ. გამ-ბა“, 1952, გვ. 191.

საძებნელად ხელმწიფესთან მიდიან და ნატერისთვალის ქურდს დედოფალი ამოიცნობს ზღაპრის საშუალებით.<sup>311</sup>

გამოუქვეყნებელი ტექსტებიდან აღსანიშნავია 1961 წელს ფიქსირებული „სამი ძმა“, რომელიც შოთა რუსთაველის ლიტერატურის ფოლკლორულ არქივში ინახება. ამ ზღაპრის მოქმედი პირები არიან არა ხელმწიფის ვაჟები, არამედ უბრალოდ სამი ძმა (სოციალური სტატუსი არ არის მითითებული), ხოლო მოსამართლის ფუნქციას ასრულებენ მეცნიერი და მეცნიერის ქალიშვილი. ზღაპრის პირველი ნაწილი იგივეა, რაც რაზიკაშვილისეულ და ვირსალაძისეულ ვარიანტებში, ჩასმული ამბავი კი მეცნიერის ქალიშვილის მიერ არის მოგონილი როგორც საკუთარი თავგადასავალი. ქალი პირველ პირში ჰყვება ამბავს:

ერთი წვეულების დროს უცნობ ახალგაზრდა კაცს პირობა მისცა, რომ მასზე გათხოვდებოდა. ერთხელ წყაროზე წასული თათრებმა გაიტაცეს. ქალმა გამტაცებლებს უთხრა, რომ პირობა ჰქონდა მიცემული ცოლობაზე ერთი ბიჭისთვის და სთხოვა, ფიცს ნუ გაატეხინებდნენ. თათრებმა თვითონვე მიიყვანეს მასთან და გარეთ დაელოდნენ. ქალმა საქმროს უამბო თავისი თავგადასავალი. ბიჭი მოიხიბლა თათრების საქციელით და ქალს ძმობა შეჰფიცა. ქალი თათრებთან დაბრუნდა. თათარი, რომელსაც მისი შერთვა ჰქონდა გადანყვეტილი, მანაც უარი თქვა ქორწინებაზე და ძმად გაეფიცა. ქალი შინ დაბრუნდა და სხვაზე გათხოვდა.<sup>312</sup>

სამივე ტექსტში თვალში მოსახვედრია ის ფაქტი, რომ ძმები მაინცდამაინც მაჰმადიან ვაჭრებს ხვდებიან გზად. მოქმედება შესაძლოა მუსლიმურ გარემოში არ ვითარდება, მაგრამ არც ძალიან დაშორებულია.

„დიდსულოვანი საქციელის“ საზღაპრო ტიპი ATU976 საყოველთაოდ გავრცელებულია ევროპისა და აზიის

<sup>311</sup> ვირსალაძე, ელენე. რჩეული ზღაპრები I. თბილისი: „სახელგამი“, 1949, გვ. 204-209.

<sup>312</sup> ლიტ. ინსტ. ფოლკ. არქ. ფაქ56გვ14. მთქმელი ი. ჩანადირი, ჩამწერი ო. გოგიჩაიშვილი, 1961, სოფ. მისაქციელი.

ქვეყნებში და სამხრეთ ამერიკაშიც კი. არსებობს ამ ტიპის ხალხური ზღაპრის ვერსიები შოტლანდიაში, ირლანდიაში, სლოვენიაში, ბოსნიაში, საბერძნეთში, რუსეთში, თურქეთში, ისრაელში, სომხეთში, ყაზახეთში, თურქმენეთში, ტაჯიკეთში, ირანში, ინდოეთში, ჩინეთში, მექსიკაში, ჩილესა და არგენტინაში.<sup>313</sup> ზეპირსიტყვიერი ვერსიებიდან პროცენტულად ყველაზე ბევრი ინდოეთში, შუა აზიაში და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებშია დაფიქსირებული.<sup>314</sup>

ATU976 ტიპის ზღაპრის არამეული ვერსია სხვა ვერსიებთან შედარებით ვრცელია და ლიტერატურული სტილის გავლენა შეინიშნება. დიალოგებით, თხრობის ექსპრესიულობითა და პერსონაჟთა ემოციების ასახვით, რაც ხალხური ტექსტისთვის ნაკლებად არის დამახასიათებელი, ეს ზღაპარი „ათას ერთი ღამის“ მოთხრობების მსგავსად არის გადმოცემული. მოქმედი პირები სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენლები არიან: შეიხი, ვაჭარი, ყაჩაღი. ფინალურ მონოლოგში ქალის შეყვარებული ამ სოციალურ განსხვავებას ხაზს უსვამს და საკუთარ თავს მათზე მალლა აყენებს: „მე შეიხის შვილი ვარ, კეთილშობილი გვარისა. ამიტომ კეთილშობილება და რაინდობა მმართვეს. თუ ვაჭარი, რომელიც მთელი სიცოცხლე მოგება-ნაგებაზე ფიქრობს, სულგრძელობას იჩენს, მე მით უმეტეს არ შემფერის მასზე მდაბალი საქციელი“. მას შემდეგ, რაც ყოფილი შეყვარებული ქალს უკან დაუბრუნებს კანონიერ ქმარს – ვაჭარს, ისიც აღნიშნავს შეიხის უპირატესობას:

„ვხედავ, ეს ვაჟი ჩემზე ლამაზიცაა და ჩემზე კეთილშობილი გვარისაც. მაშ, როგორ მოხდა, რომ მამაშენმა თავისი ძმისწული დაინუნა სასიძოდ და შენი თავი მე მომათხოვა?! თუმცა, ამას ახლა არა აქვს მნიშვნელობა, ეს

<sup>313</sup> Uther, Hans-Jörg. *The Types of International Folktales. A Classification and Bibliography. Based on the System of Antti Aarne and Stith Thompson. Part 1.* Helsinki: Academia Scientiarum Fennica, 2004, p. 609.

<sup>314</sup> Schoenfeld, Elisheva. „Handlung: Die vornehmste Handlung (AaTh 976)“, *Enzyklopädie des Märchens. Bd. 6.* Berlin/New York: Walter de Gruyter 1990, p. 460.

ვაჟი დღეიდან ჩემი ძმაა [...] ახლა მე ალალი გულით გიბრუნებ ქალს, მაგრამ თუ ჩემი ცოლი გახდა და მერე კვლავ შენი ხსენება დაიწყო, მაშინ ჩვენ მხოლოდ სიკვდილი გაგვასწორებს. ჰოდა, დაფიქრდეს ქალი, თუ ამ პირობას ვერ მიიღებს, მაშინ სჯობს ახლავე წაიყვანო. – რაკი ჩემი ბიძაშვილი თანახმაა, შენი ვიყო, აღარც მე ვამბობ უარს შენს ცოლობაზეო, – თქვა ქალმა“.<sup>315</sup>

ATU976 სიუჟეტი დიდსულოვანი საქციელის შესახებ დამუშავდა XX საუკუნის ლიტერატურასა და კინემატოგრაფიაშიც.

ეგვიპტელი მწერლის თავფიკ ალ-ჰაქიმის ნოველა „ქორწინების ღამე“ ATU976 ტიპის ზღაპრის ლიტერატურული ვერსიაა, მოქმედება XX საუკუნეშია გადატანილი. ახალდაქორწინებული ქმარი შეიტყობს რა, მისი ცოლი იძულებით გაათხოვეს და სხვა უყვარს, გადანყვეტს განქორწინებას. თუმცა სანამ ცოლ-ქმარი ფორმალურ საკითხებს აგვარებს განქორწინებისთვის, ამასობაში ერთმანეთი შეუყვარდებათ.

ინდოელი რეჟისორის სანჯაი ლილა ბჰანსალიმ 1999 წელს გადაიღო რომანტიკული დრამა „Hum Dil De Chuke Sanam“ (ჰინდ. „მე ჩემი გული გაჩუქე, ძვირფასო“). ეს ფილმი მირჩა ელიადეს „ბენგალიური ღამეებისა“<sup>316</sup> და მაიტრეი დევის „ის არ კვდება“<sup>317</sup> მიხედვით შეიქმნა, მაგრამ ფაბულის მთავარი ხაზი სწორედ სიყვარულის სამკუთხედის ზღაპრისეულ ვერსიას ემთხვევა: მას შემდეგ, რაც ახალშერთული ცოლი (აიშვარია რაი) ქმარს (აჯაი დევგანი) ყოფილი შეყვარებულის (სალმან კჰანი) ამბავს გაუმხელს, ქმარს იგი მის საძებნელად მიჰყავს. ბოლოს შეყვარებულთა შეხვედრა მათი დაშორებით და ქალის

<sup>315</sup> ასურული ზღაპრები. კრებული შეადგინა, ასურულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო კონსტანტინე წერეთელმა. თბილისი: გამომცემლობა „ნაკადული“, 1975, გვ. 176.

<sup>316</sup> Eliade, Mircea. *Bengal Nights*. Chicago: University of Chicago Press, 1994.

<sup>317</sup> Devi, Maitreyi. *It Does Not Die: A Romance*. Chicago: University of Chicago Press, 1976.

ქმართან დაბრუნებით მთავრდება, რაც ორივეს ნებით ხდება – სანამ ცოლ-ქმარი მოგზაურობდა, მათ ერთმანეთი შეუყვარდათ.

ზღაპარი სულგრძელობაზე ერთნაირად მომხიბვლელი აღმოჩნდა ლიტერატურაშიც და ფოლკლორშიც, აღმოსავლეთშიც და დასავლეთშიც. ამაზე მეტყველებს ამ ზღაპრის გეოგრაფიულად გავრცელების არეალიც და ქრონოლოგიური დიაპაზონიც.

**„ათას ერთი ლამის“ ზღაპრები  
ქართულ ზეპირსიტყვიერებაში**

ქართულ ზღაპრებში ბევრ საერთაშორისო მოტივს ეძებნება პარალელი „ათას ერთი ლამის“ მოთხრობებთან, მაგრამ სიუჟეტური მსგავსება შედარებით იშვიათია. რამდენიმე საზღაპრო ტიპის, კერძოდ, ATU938 და ATU976 მაგალითზე ვხედავთ, რომ „ათას ერთი ლამის“ ზღაპრები სხვა სიუჟეტებთან კომბინირებულია. რაც შეეხება კომპოზიციურად დასრულებულ ზღაპარს „ათას ერთი ლამიდან“, ქართულ საზღაპრო რეპერტუარში დაფიქსირებულია „ალადინისა“ და „ალი ბაბას“ ვერსიები. მიუხედავად იმისა, რომ ორივე საზღაპრო ტიპი – ATU561 ალადინი და ATU954 ალი ბაბა სხვა მონათესავე ტიპებთანაც არიან კონტამინირებული,<sup>318</sup> ქართულ ზეპირსიტყვიერებაში არსებობს რამდენიმე ისეთი ტექსტი, რომლის პირველწყარო სწორედ ლიტერატურული ტექსტია, კერძოდ, ქართული თარგმანი.

საქართველოში „ათას ერთი ლამის“ რამდენიმე ზღაპრის თარგმანი XIX საუკუნის მიწურულს გამოქვეყნდა. მათ შორის არის „ალადინი ანუ თვალთმაქციური ლამპა“.<sup>319</sup> თარგმანი შესრულებულია მესამე ენიდან – რუსულიდან. თავად რუსული თარგმანები პირველად XVIII საუკუნეში გამოჩნდა 1763-1795 წლებში. 1864 წლიდან 1918

<sup>318</sup> ალადინის ზღაპარი ენათესავენა ტიპს ATU560 ნატვრისთვალის, ალი ბაბა კი ტიპს ATU956B ჭკვიანი გოგო და ყაჩაღები.

<sup>319</sup> ათას ერთი ლამე. არაბული ზღაპრები. მოთხრობა შაჰერაზადასი. ქართულად გადმოღებული და გამოცემული ს. ს-ძის მ...საგან. ტფილისი 1894; ალადინი ანუ თვალთ მაქციური ლამპა და ზღაპარი დისა და ძმისა. ნათარგმნი რუსულიდგან არტემ ხუდადოვისაგან. ტფილისი 1888; ათას ერთი ლამე. ყრმათა საკითხავი. არაბული ზღაპარი სურათებით. თარგმანი მოსე ჯანაშვილისა. ტფილისი 1895.

ნლამდე რამდენიმე ათეული წიგნი გამოვიდა და თითქმის ყველა გამოცემა ფრანგულიდან არის გადმოღებული სხვადასხვა დროს.<sup>320</sup>

„ალადინის ჯადოსნური ლამპარი“ და „ალი ბაბა“, შეიძლება ითქვას, ყველაზე ცნობილი ზღაპრებია „ათას ერთი ლამისა“, თუმცა მათი არაბული ხელნაწერები უფრო გვიანდელია, ვიდრე ანტუან გალანის ფრანგული თარგმანი. მხოლოდ XIX საუკუნის ბოლოს აღმოაჩინეს „ალადინისა“ და „ალი ბაბას“ არაბული ტექსტები, მაგრამ ისინი გალანისეული ფრანგული ვერსიის არაბულ თარგმანად ითვლება.<sup>321</sup> აღმოსავლური, გალანის ტექსტისგან დამოუკიდებელი ვერსია „ალადინისა“ და „ალი ბაბას“ ზღაპრებისა დღემდე არ არის ნაპოვნი.

ჰაინც გროცფელდი და სხვა ორიენტალისტი მკვლევრები მიიჩნევენ, რომ ჰანა დიაბის, ანტუან გალანის მთავარი ინფორმატორის მიერ მოთხრობილი ამბები არ მიეკუთვნება აღმოსავლურ „ათას ერთი ლამის“ კორპუსს. „წერილობითი საბუთის უქონლობაზე მიაწინებებს გალანის გამონათქვამი *mettre par écrit* (ჩანერილი). ეს გვაფიქრებინებს, რომ ჰანამ ეს ამბები ახლო აღმოსავლეთის თხრობით ტრადიციაზე დაყრდნობით შეთხზა, რომელსაც „ათას ერთი ლამის“ ცალკეული კომპილატორები XVII-XVIII საუკუნეებში მიმართავდნენ“.<sup>322</sup> ერთი სიტყვით,

<sup>320</sup> Крымский, Агафангел. „Тысяча и одна ночь“. Энциклопедический Словарь Ф.А.Брокгауза и И.А.Ефрона. Т. 67. Санкт-Петербург 1901, с. 270-273.

<sup>321</sup> პ. ზოტენბერგმა 1887 წელს პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში მიაკვლია „ათას ერთი ლამის“ ორ ხელნაწერს, რომელიც ალადინის ზღაპარს შეიცავდა. პირველი ხელნაწერი, ე.წ. Chavis-Manuskript, გალანის ხელნაწერს გარკვევით აჩვენებს. მეორე ხელნაწერი, ე.წ. Sabbagh-Manuskript 1703 წელს არის გადანერილი ბალდადელი გამომცემლის მიერ, უფრო ძველია, ვიდრე გალანისა და ჰანა დიაბის თანამშრომლობა. ენო ლიტმანი ამ რედაქციებშიც კი „ძლიერ ევროპულ გავლენას“ ხედავდა. Ranke, Kurt. Alad(d)in. In: Enzyklopädie des Märchens. Bd. 1. Berlin/New York: Walter de Gruyter, 1977, S. 241.

<sup>322</sup> Grotzfeld, Heinz. Hanna Diyab. In: Enzyklopädie des Märchens. Bd. 6. Berlin/New York: Walter de Gruyter 1990, S. 486.

გალანისა და ჰანას შემთხვევითი შეხვედრის გამო „ალადინი“ და „ალი ბაბა“ საქვეყნოდ ცნობილი გახდა და „ათას ერთი ლამის“ განუყოფელ ნაწილად იქცა.

მია გერჰარდტმა „ალადინსა“ და „ალი ბაბას“ უწოდა „მიუსაფარი ზღაპრები“, რადგანაც მათი არაბული ორიგინალები გალანის თარგმანამდე არ არსებობს. ისინი „ათას ერთი ლამის“ არაბულ რედაქციებში არ შედის.

### ალადინი

მეცნიერთა მოსაზრებები „ალადინის“ შესახებ უკვე ურთიერთშეთანხმებულია იმაზე, რომ ეს ზღაპარი ეგვიპტური წარმოშობისაა. მია გერჰარდტი XIV-XVI საუკუნეებს ვარაუდობს მისი შექმნის დროდ.<sup>323</sup> არსებობს ვარაუდი, რომ გალანს, შესაძლებელია, ეს ზღაპარი კონსტანტინოპოლში ან სმირნაში გაეგონა, სადაც ის ნლების განმავლობაში იმყოფებოდა და თავის თარგმანში ჩაერთო.

„ალადინის“ ზღაპარს ჯადოსნური ზღაპრის სტრუქტურა აქვს და საერთაშორისო სიუჟეტურ საძიებელში მინიჭებული აქვს ნომერი ATU561:

ჯადოქარი ბიჭს ავალებს ლამპარის ამოტანას განძეულის გამოქვაბულიდან. გამოქვაბული იღება და იკეტება ჯადოსნური ბეჭდის მეშვეობით. ბიჭი იპოვის ლამპარს, მაგრამ ვერ ამოდის გამოქვაბულიდან, რადგან ჯადოქარმა ჩაკეტა. ბიჭი ჯადოსნურ ლამპარს შემთხვევით შეეხება და გაჩნდება ჯინი, რომელიც მას გამოქვაბულიდან ამოიყვანს.

ალადინი ბრუნდება შინ დედასთან და ინატრებს სიმდიდრესა და სასახლეს. ჯინი სურვილს ასრულებს. ალადინი მეფეს სთხოვს ქალიშვილის ხელს, რომელიც სხვაზეა დანიშნული და მეფის დავალების შესრულების შემდეგ ცოლად ირთავს მეფის ასულს.

ჯადოქარი იგებს ალადინის ამბავს, მოტყუებით გაცვლის ჯადოსნურ ლამპარს სხვა ლამპარში და ჯინს ავა-

<sup>323</sup> Gerhardt, Mia. The Art of Story-Telling. A Literary Study of The Thousand and One Nights. Leiden: Brill, 1963, p. 323.



[13] ალადინი. 1895 წლის ქართული გამოცემა.  
აფრიკელი თვალთმაქცი ხედება ალადინს.

ლებს ალადინის სასახლის აფრიკაში გადატანას მეფის ასულიანად. ალადინი ჯადოსნური ბეჭდის წყალობით გადაფრინდება აფრიკაში, კლავს ჯადოქარს და ცოლს და სასახლეს დაიბრუნებს.<sup>324</sup>

<sup>324</sup> Uther, Hans-Jörg. The Types of International Folktales. A Classification and Bibliography. Based on the System of Antti Aarne and Stith Thompson. Part 1. Helsinki: Academia Scientiarum Fennica, 2004, p. 329.

„ალადინი“ და „ალი ბაბა“ სწორედ გალანის წიგნის გამოსვლის შემდეგ გახდა პოპულარული და მრავალრიცხოვანი ლიტერატურული, მუსიკალური და ქორეოგრაფიული გადამუშავება შეიქმნა. „ალადინი“ ერთ-ერთ უსაყვარლეს ზღაპრად იქცა. მისი ყველაზე დიდი გავრცელების არეალია ევროპა და ხმელთაშუაზღვისპირეთი. აზიის ქვეყნებიდან ეს ზღაპარი გვხვდება თურქეთში, ისრაელში, ერაყში, იემენში, ირანში, ტაჯიკეთში, უზბეკეთში, ინდოეთში, ინდონეზიასა და ფილიპინებზეც კი. ევროპული გზით გავრცელებულია ჩრდილო და სამხრეთ ამერიკაში. ჯერ კიდევ ანტი აარნემ აღნიშნა, რომ ალადინის ზღაპარი (მას ხელთ ჰქონდა ცამეტი ვარიანტი) ცალკეული შემთხვევების გარდა ლიტერატურულ ვერსიასთან მჭიდროდ არის მიბმული და ლიტერატურული წარმოშობის სიუჟეტია.<sup>325</sup> ლიტერატურათმცოდნეები და ფოლკლორისტები ერთხმად აღიარებდნენ ამ ზღაპრის ლიტერატურულ ფესვებს. ყველა ზეპირი ვარიანტი 1850 წლის შემდეგ არის ჩანერილი, გალანის კრებულის გამოსვლიდან 150 წლის შემდეგ.

ალადინის ზღაპრის ქართული ხალხური ვერსია „ლამპარი“ პირველად გამოაქვეყნა ალექსანდრე ლლონტმა 1948 წელს.<sup>326</sup> თვითონ ზღაპარი ჩანერილია 1937 წელს სოფელ ყარალაჯში. ეს ხალხური ტექსტი კომპოზიციის თვალსაზრისით ძალიან ახლოს დგას ალადინის ქართულ ლიტერატურულ ვერსიასთან „ალადინი ანუ თვალთ მაქციური ლამპა“. XIX საუკუნის ნათარგმნ ტექსტებში ჯინი გადმოქართულებულია როგორც „გრძნეული“, ხალხურ ზღაპარში კი ჯინის ფუნქციას ქაჯი ასრულებს. ხალხურ ზღაპარში გმირებს საკუთარი სახელები არ ჰქვიათ. ალადინის ნაცვლად არის უბრალოდ „ბიჭი“, რომელსაც მეტსახელად „კობტას“ ეძახიან, პრინცესა ბადრ-ალ-ბუდურის ნაცვლად – ხელმწი-

<sup>325</sup> Aarne, Anti. Vergleichende Märchenforschungen. Helsingfors: Drückerei der finnischen Literaturgesellschaft, 1908.

<sup>326</sup> ლლონტი, ალექსანდრე. ქართული ზღაპრები და ლეგენდები. თბილისი: „საბჭოთა მწერალი“, 1948, გვ. 193-203.



[14] ალადინი. 1895 წლის ქართული გამოცემა.  
სეფექალი ალადინს მიჰყვება.

ფის ქალი. მალრიბელი ჯადოქარი ქართულ ფოლკლორში მოხსენიებულია „თვალთმაქცად“. მიუხედავად იმისა, რომ ხალხურ ვერსიაში მოქმედ პირთა სახელები დაკარგული ან შეცვლილია, ვფიქრობთ, რომ მთხრობელის რეპერტუარში „ლამპარი“ წიგნიერი გზით მოხვდა. ამაზე მიანიშნებს ზღაპრის ფინალურ ეპიზოდებში მეორეხარისხოვანი პერსონაჟის სახელი „ფატინა“, რომელიც ქართულ ლიტერა-

ტურულ ვერსიებშია, და თვითონ ტექსტის სტრუქტურული მსგავსება ალადინის ზღაპრის თავდაპირველ ორიგინალთან, „ალადინი ანუ თვალთ მაქციური ლამპა“ (1895).

ცხადია, ხალხური ზღაპარი ლიტერატურულ ტექსტთან შედარებით მოკლეა. ზღაპრის სტილი ხალხურისთვის დამახასიათებელ ნიშნებს ატარებს, თხრობა ლაკონიურია. მოქმედ პირთა ემოციები არ არის აღწერილი. ეს განსაკუთრებით იგრძნობა პრინციესაზე შეყვარების და დაქორწინების ეპიზოდში. ლიტერატურულ ტექსტში ალადინის გრძნობები დაწვრილებით არის გადმოცემული, როცა ის დედას უამბობს, როგორც დაინახა და შეუყვარდა ერთი ნახვით სულთნის ასული.

ალ. ლლონტის ჩანანერის გარდა არსებობს კიდევ რამდენიმე გამოუქვეყნებელი საარქივო ტექსტი, რომელიც ალადინის ზღაპრის გახალხურებულ ვერსიას წარმოადგენს და უფრო მოკლედ გადმოსცემენ ჯადოსნური ლამპრის ამბავს. ეს ვერსიებიც ლიტერატურული გზით მოხვედრილი უნდა იყოს ფოლკლორში. ხალხური ტექსტი, ფაქტობრივად, შემოკლებული ვარიანტია ლიტერატურული ზღაპრისა. თავის ლიტერატურულ პირველწყაროს კომპოზიურად ემთხვევა, თუმცა ამოღებულია ქორწინების ეპიზოდის დეტალები და პერსონაჟთა სახელები. ლიტერატურულ ზღაპართან მსგავსება ყველაზე მეტად ზღაპრის შესავალში ჩანს, როცა პროტაგონისტი დახასიათებულია ჯიუტ, „თავის-ნათქვამ“ ბიჭად.

### ნატერის ლამფა<sup>327</sup>

იყო ერთი ცოლ-ქმარი. ყავდათ ამათ პატარა ბიჭი. ეს პატარა ბიჭი რასაც იტყოდა, უნდა შეესრულებინა და ამიტომ დაარქვეს მას თავის-ნათქვამი. მერე გაიგო ერთმა ვაჭარმა ამ პატარა ბიჭის ნათქვამი, რომ რასაც იტყოდა, აღარ გადათქვამდა. ამ ვაჭარმა იცოდა, რომ ერთ ადგილას ნატერის ლამფა იყო მინაში. მერე ნამოვიდა ეს ვაჭა-

<sup>327</sup> ლიტ. ინსტ. ფოლკ. არქ. | 2157 ფაქ56გვ206, მთქმელი სონა ყაზიშვილი, ჩამწერი ო. გოგიჩაიშვილი, გორი, სოფ. ფლავი, 1961 წ.

რი და ამ ბიჭის დედას უთხრა: მე შენი ქმრის ძმა ვარო. მერე იმან უთხრა, რომ ჩემ ქმარს თუ ძმა ყავდა, მე არ უნდა ვიცოდეო? იმას ძმა არა ჰყოლიაო. მერე ვაჭარმა უთხრა, რომ ჩვენ ფიცი გვქონდა ერთმანეთისთვის მიცემული, რომ არ გვეთქვა თუ ერთმანეთის ძმები ვიყავითო. ამ ვაჭარმა უყიდა ამ ბიჭს ტანსაცმელი, სათამაშოები და უთხრა იმის დედას, რომ როცა ეს სასკოლო გახდება, ნავიყვან და მე ვასწავლი ჩემთანაო. მერე როცა იაზრა ამ ვაჭარმა, რომ ბიჭს სკოლის დრო მოუვიდა, მივიდა და ნაიყვანა. თან ყველაფერი უყიდა იმის დედასა. ბევრი იარეს ამ კაცმა და ბავშვმა. ბავშვი იძახის: ვერ მივედით ძიაო? როცა დაილაღნენ, დასხდნენ დასასვენებლად. მერე ადგნენ და ისევ წავიდნენ. ამ კაცს ქონდა ერთი წკეპლა და ნატერის ბეჭედი. რომ მივიდნენ იმადგილას, სადაც ის ლამფა იყო, დაჰკრა წკეპლა ამ კაცმა და გაიხსნა დედამიწაი. სულ თვალ-მარგალიტით იყო სავეს ის ქვესკნელი. უთხრა ამ ბავშვსა: – იქ ვერ ჩახვალო? – რატომ ვერ ჩავალ, ჩავალო, – ამ ბავშვმა უთხრა, და ჩავიდა. გაივსო უბეები, ჯიბეები თვალ-მარგალიტითა და ის ლამფა გადმოიღო. მერე უთხრა იმ კაცსა: ამიყვანეო. თან ის ლამფაც ხელში უჭირავს. ამ კაცმა უთხრა, რომა ლამფა მომანოდეო და მერე ამოგიყვანო. არაო, – უთხრა ამ ბიჭმა, – ჯერ ამომიყვანე და ლამფასაც თან ამოვიტანო. მერე ამ კაცმა დაჰკრა წკეპლა და ისევ ისე გაამთელა დედამიწა. ის ბავშვიც იქ დატოვა და ის ლამფაცა. ის ბეჭედიც ამ ბავშვს შერჩა ხელზე იქა.

სადაც ეს ბავშვი დარჩა, არც საჭმელი იყო და არც სასმელი. ეს ბავშვი რომ შენუხდა და გაოგნდა უჭმელობით, გული წაუვიდა და გადაეარდა. მერე ის ხელი, რომელზეც ბეჭედი ეკეთა, რომ მთარტყა კედელს, გამოცვივდნენ იქიდან ქაჯები და უთხრეს, რა გიჭირს ეგრეთი, გვითხარო. არაფერი არ მინდა თქვენი, დედაჩემთან წამიყვანეთო, – უთხრა ამ ბიჭმა. ნაიყვანეს მერე ამათ და თავის დედასთან მიიყვანეს. ამ ბიჭმა უბითა და ჯიბეებით რაც თვალ-მარგალიტი მიიტანა, ის გაყიდეს და კარგად ცხოვრობდნენ. მერე ეს ბიჭი რასაც იტყვის, ის ლამფა ყველა-

ფერს აკეთებს და ისე შეუწყო ამ ლამფამ ხელი ამათა, რომ მართლა კაი ცხოვრებაში ჩავარდნენ. მერე მიუგზავნა ამ ბიჭის დედამ კაცი ხელმწიფეს, რომა შენი ქალი უნდა მომათხოვო რძლადო. მერე ხელმწიფემ უთხრა ამ ბიჭსა, რომ მოგათხოვებ ქალსა, მაგრამ ჩემი სახლიდან შენს სახლამდი ისეთი გზა უნდა გააკეთო, მთელ ქვეყანაზე არ იყოს ისეთიო. ადგა ეს ბიჭი და უთხრა თავის ლამფას: აბა, ჩემო ლამფა, შენი თავი ახლა მიჭირს და რაც ხელმწიფემ მითხრა, ის გააკეთეო. იმ ლამეს ლამფამ ისეთი გზა გააკეთა, რომ მართლაც არსად იყო ისეთი.

გამოიხედა მეორე დღეს ხელმწიფემ და რომ დაინახა ეს გზა, თქვა: ხელმწიფე ესა ყოფილა, მე რა ხელმწიფე ვარო. მერე უთხრა ამ ბიჭსა: ეხლა ისეთი ბალი უნდა გამიკეთო, რომ ხეხილი ზოგი ყვაოდეს, ზოგი მწიფდეს და ზოგი კიდევ იკრიფებოდესო. ამ ბიჭმა ხელმწიფის ნათქვამი უთხრა ყველაფერი ლამფასა და იმანაც ისე გააკეთა ყველაფერი, როგორც ხელმწიფეს უნდოდა. ნახა მეორე დღეს ეს ბალი ხელმწიფემ და ძალიან მეწონა. მერე იმ ბიჭმა უთხრა: ახლა რაღას მეტყვიო. – რასა და ისეთი სახლები უნდა ამიშენო, იმისთანა არსად არ იყვესო. უთხრა ამ ბიჭმა ლამფასა და ააშენა იმან ისეთი სახლები, რომ ხელმწიფის სახლებსა ჯობდა. უთხრა მერე ამ ბიჭმა: ახლა რაღას მეტყვიო. – არაფერსო, უთხრა ხელმწიფემ და დასწერეს ამ ბიჭს ჯვარი ხელმწიფის ქალზე.

მერე როცა დრომა და ხანმა გაიარა, ეს ბიჭი და დედამისი წავიდნენ სადღაც და ეს ქალი მარტო დარჩა. მერე იმ ვაჭარმა, რომელმაც ის ბიჭი ქვესკნელში ჩააგდო, გაიგო, რომა ის ბიჭი ცოცხალია და ამა და ამ ადგილას ცხოვრობსო. მერე ჩაალაგა რაღაც წვრილმანები კალათში, წამოვიდა იმ მხარეს, სადაც ის ბიჭი ცხოვრობდა და დაიწყო ყვირილი: ძველ ლამფებზე წვრილმანიო. იმ ქალმა არ იცოდა ის ლამფა თუ რა იყო. გამოიტანა და უთხრა იმ კაცსა: ძია, რას მომცემ ამ ლამფაშიო. ამ კაცმა იცნო ნატვრის ლამფა და უთხრა: შვილო, რაც გინდა, ის აილეო. მერე უთხრა ჩუმიად ლამფას: ეს გზა, ეს ბალი, ეს ქალი და მე ისეთ კუნ-



[15] ალადინი. 1895 წლის ქართული გამოცემა.  
აფრიკელ თეატრმაქცის ძმა ქალურს ტანისამოსში

ძულზე უნდა წაგვიყვანო, სადაც მე გეტყვიო. მართლაც, წაიღო ყველაფერი ამ ლამფამ და სადაც იმ კაცმა უთხრა, იქ დასვა. მერე ამ კაცმა იმ ბიჭის ცოლის ცოლად შერთვა მოინდომა, მაგრამ ქალმა უთხრა: მე ჩემი ქმარი სამ წელიწადს უნდა ვიგლოვოო, ახლოს არ მომეკაროო. ამ კაცმა ისეთი გაღაღანი შემოარტყა თავის სამყოფელსა, რომ ცხენიანი კაცი ვერ ჩაიხედავდა შიგა. ის ქალი ცალკეა,

ის კაცი კიდევ ცალკე. მოვიდა მერე ეს ბიჭი და ნახა, რომ აღარც სახლია, აღარც ბალი და აღარც არაფერი. მიარტყა ამ ბიჭმა ბეჭედი კედელს და რომ გამოცვივდნენ ქაჯები, უთხრა: ესა და ეს ხალხი აქ მომიყვანეთო. არაო, უთხრეს ამათ, აქ ვერ მოგიყვანთ, მაგრამ იქ კი წაგიყვანთო. წაიყვანეს და მიიყვანეს იმ კაცის სამყოფელ სასახლესთან. გალავნის კარები დაკეტილია. მერე ამ ბიჭმა ერთი თავი დაინახა და იმას შეეხვეწა: ოლონდ ეს კარები გამიღე და ისე შეგინახავ, როგორც საკუთარ სჯულისასო. თავი აცოცდა, აპკრა ცხვირი და გააღო კარები. რომ შევიდა ეს ბიჭი, დაინახა ცოლმა და უთხრა: როგორ გაბედე, რამ მოგიყვანა აქაო. ბიჭმა უთხრა: სად არის ის კაცი, მასწავლეო. მერე უთხრა: ამაღამ იმ კაცს უთხარი, სადაც ის ლამფა აქვს, ვახშამი გამართოს, მერე რომ გადმოიღებს იმას, შენ დაიხსომე, სად შეინახავსო. მერე უთხრა იმ კაცს ქალმა, რომ ამაღამ ვახშამი ჩვენ ერთად უნდა ვჭამოთო. ეს ქალი ყურს უგდებს: საიდან გადმოიღებს იმ ლამფასო. ამ კაცს ის ლამფა კედელში ჰქონდა დამალული და იქიდან გადმოიღო. პური რომ ჭამეს, მერე ისევ თავიანთ ოთახებში გავიდნენ. მეორე დღეს მივიდა ის ბიჭი და იმ კაცს ეძინა. ის წკეპლა გვერდზე ეგდო, რომლითაც მაშინ დედამინა გახსნა. ამ ბიჭმა აიღო ის წკეპლა, დაარტყა იმ კაცსა და უთხრა: შენცა ქცეულხარ ძალღათაო და იქცა ის კაცი ძალღათა. ბიჭმა უთხრა იმ თავის ლამფასა მერე: ლამფავ, ეს სასახლე საიდანაც მოიტანე, ისევ იქ წაიღეო. სახლი, კარი, ბალი, სუყველაფერი ძველ ადგილზე წამოიღო ამ ლამფამა.

მერე ის ძალღი დააბა იმ ბიჭმა ჯაჭვითა კარებზე და თითონ კარგი ცხოვრება დაიწყო. დღესაც კარგად ცხოვრობენ.

ალადინის ზღაპრის კიდევ ერთი ქართულ ხალხურ ვერსიაში, რომელიც 1962 წელს არის ჩანერილი, მაგიურ საგანს ლამპარის ნაცვლად წარმოადგენს ჯადოსნური ბურთი.<sup>328</sup>

<sup>328</sup> ლიტ. ინსტ. ფოლკ. არქ. | 20113, ფაკ 181 გვ 28, მთქმელი დარო მახარაშვილი, ჩამწერი ბონდო კაკულია, გურჯაანი, სოფ. ჭანდარი, 1962 წ.

კიდევ ერთი ტექსტი, რომელიც ალადინის კიდევ უფრო დაშორებულ ვერსიას წარმოადგენს „უჩინმაჩინის ქუდი“,<sup>37</sup> რომელშიც ჯადოსნური ნივთი არის არა ლამპარი, არამედ ქუდი, რომელსაც შეუძლია ადამიანი უჩინარი გახადოს.

ალადინის ყველა ვარიანტს შორის სტრუქტურული და არსებითი მსგავსებაა. შეიძლება ითქვას, დიფუზიის პროცესისთვის დრო არ დარჩა, რომ ზღაპარი რეგიონალური თავისებურებებით შევსებულიყო.

ალადინის ზღაპრის ტიპი ATU 561 მჭიდრო კავშირშია მეზობელ ტიპთან ATU 560 – ზღაპარი ნატერისთვალზე. ზღაპრის ეს ტიპი განსაკუთრებით დამახასიათებელია ხმელთაშუაზღვისპირეთის ხალხთა ფოლკლორისთვის: საძებარი ჯადოსნური ბეჭედი ან ძვირფასი თვალი, რომლიდანაც დემონური არსებები ამოდიან და გმირს ეხმარებიან. ATU 560 ტიპი ქართულ ფოლკლორშიც საკმაოდ გავრცელებულია. ქართული ფოლკლორის არქივში ATU 560 ტიპის 30-ზე მეტი ვერსიაა დაფიქსირებული. ამ ზღაპართა უმრავლესობის სათაურია „ნატერისთვალი“ და „ნატერის ბეჭედი“. ATU 561 და ATU 560 ტიპთა მსგავსების მიზეზი რეკვიზიტთა და ეპიზოდთა ნათესაობაა, მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ გენეტიკურადაც თავდაპირველად ერთი სიუჟეტი ყოფილიყო. ამის სასარგებლოდ მეტყველებს ლიტერატურული „ალადინისა“ და ხალხური „ნატერისთვალის“ პარალელური არსებობა სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპასა და ახლო აღმოსავლეთში.

### ალი ბაბა

„ალი ბაბა და ორმოცი ყაჩალი“ გალანის ფრანგული თარგმანის შემდეგ გახდა ცნობილი ისევე, როგორც „ალადინი“. ისტორიული თვალსაზრისით, ალი ბაბა ერთ-ერთი იდუმალი ზღაპარია გალანის ზღაპრებს შორის. მკვლევრები მას ვერ ათარიღებენ ზუსტად. წარმოშობით უნდა

<sup>37</sup> ჩიქოვანი, მიხეილ. ხალხური სიტყვიერება II. თბილისი: „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა“, 1952, გვ. 77-82.

იყოს სირიული, მთავარ გმირს კი თურქული სახელი აქვს. XVIII საუკუნის დასაწყისში ჟან ვარსიმ, ცნობილი ორიენტალისტი, სილვესტრ დე სასის მოწაფემ, „ალი ბაბას“ ერთი არაბული ხელნაწერი გადმოწერა უცნობი წყაროდან. ტექსტი 1910 წელს დ.ბ. მაკდონალდმა კელავ იპოვა ოქსფორდში და გამოაქვეყნა. ეს რედაქცია ენო ლიტმანმა შეიტანა „ათას ერთი ღამის“ მოთხრობებში 1953 წელს.<sup>300</sup> გალანისეული ხელნაწერი და ოქსფორდის ხელნაწერი არსებითად მსგავსია, მაგრამ ოქსფორდის უფრო დეტალურად გადმოსცემს ამბავს.

ზღაპარი შეიცავს ორ ნაწილს: ღარიბი შეშისმჭრელი მონმე ხდება, როგორ შედიან ყაჩაღები მთაში სიტყვებით: „სეზამ, გაიღე“. თვითონაც გაიმეორებს ამ ფორმულას, შედის და წამოიღებს ოქროს. ხარბი ძმაც წავა ოქროს საშოვნელად, მაგრამ ფორმულა დაავიწყდება და ყაჩაღები დაიჭერენ. რძლის თხოვნით კაცი წავა და მოიპარავს ძმის გვამს და დამარხავს. ყაჩაღებს უნდათ შურისძიება. ღამით დანიშნავენ ალი ბაბას სახლს. მისი ქალიშვილი ან მსახური ყველა სახლს დანიშნავს ქუჩაზე. ყაჩაღების უფროსი გადაიცვამს ვაჭრის სამოსს და სთხოვს შეშის მჭრელს ღამის გათევას და სთხოვს ზეთიან კარს საქონლისთვის. როცა მსახური ღამის ზეთის ამოსაღებად შევა, დაინახავს, რომ მხოლოდ ერთ კასრშია ზეთი და დანარჩენებში ყაჩაღები. დახოცავს ყაჩაღებს. ყაჩაღების უფროსი ისევ გადაიცვამს და მივა მათთან, მოითხოვს საჭმელს უმარლოდ, რომ არ შეანუხოს მასპინძელი. მსახური გოგო დაეჭვდება, იცნობს მას და მოკლავს. ბოლოს ცოლად გაჰყვება შეშის მჭრელის ვაჟს.

ტექსტთა ანალიზზე დაყრდნობით ევროპელი ფოლკლორისტიები „ალი ბაბას“ მთლიან სიუჟეტს სირიულ-პალესტინური ფოლკლორული ტრადიციიდან მომდინარედ მიიჩნევენ, რომელიც გავრცელებულია აღმოსავლეთ მედიტერანულ სივრცეში. სხვადასხვა ვარიანტია მოპოვე-

<sup>300</sup> Ranke, Kurt. Ali Baba und die vierzig Räuber. In: Enzyklopädie des Märchens. Bd. 1. Berlin/New York: Walter de Gruyter, 1977, S. 302.

ბული ლიბანიდან, სინას მთიდან, იერუსალიმიდან, საბერძნეთიდან და თურქეთიდან.<sup>331</sup>

ქართულ ფოლკლორულ მასალებში „ალი ბაბას“ სახელწოდებით მხოლოდ ერთი ტექსტი გვხვდება, თუმცა მონათესავე სიუჟეტები და საზღაპრო ტიპები ყაჩაღთა თემატიკაზე საკმაოდ ბევრია. „ალი ბაბას“ ქართული ვერსია 1962 წელს არის ჩანერილი სოფელ მოხისში. აქ ორმოცის ნაცვლად ოცი ყაჩაღია, სხვა დეტალები კი ლიტერატურულ სიუჟეტს შეესაბამება.

### ალი ბაბა და ოცი ყაჩაღი<sup>332</sup>

იყო და არა იყო რა. იყო ორი ძმაკაცი. ერთი შეძლებული იყო, მეორე შეუძლებელი. ერთი წვრილშვილი იყო, მეორე უშვილო. წვრილშვილიანს ყავდა ერთი ვირი. ნავიდა ეს კაცი შეშის მოსატანად. წაიღო ტომრები, ნაფოტებს ჩავეყრი შიგაო.

მიდის, მიდის და მიადგა ერთ დიდ მთას. დატვირთა ვირი შეშითა და დაბრუნდა. გზაში შეხვდა ოცი ყაჩაღი. ცხენებზე ჯდებიან და დატვირთული არიან. ამ გლეხს შეეშინდა, რო დაინახა ყაჩაღები. ვირი გააგდო და თვითონ ერთ ხეზე ავიდა: არ მომკლანო. ამ ყაჩაღებმა ვერ დაინახეს ეს კაცი და ამ მთის ძირში ნადავლი შეინახეს. რო მოვიდა მეთაური, მთას უთხრა: ზეცა, კარი გააღეო!

ეს მთა გადაიხსნა. გლეხი ხეზე ზის და ამ სიტყვებს კრეფს. რო შეინახეს ამ ყაჩაღებმა ეს ნადავლი, გამოვიდნენ იქიდან და თქვეს: ზეცა, კარი დახურეო!

<sup>331</sup> „ალი ბაბას“ ტიპის ზღაპარია თურქული „ლარიბი და მდიდარი ძმები“. თურქულ ვერსიაში დევები არიან ყაჩაღების ნაცვლად. ტყეში დგას ხე, რომელთანაც დიდი ქვა დევს. დევები ამბობენ სიტყვას „ჩანგა“, ქვა გაინევა და დევები შედიან ხეში. თუ იტყვიან „ჩუნგა“, ქვა დაკეტავს ხეს. ხის გავლით შესასვლელია გამოქვაბულში, იქ არის გაშლილი სუფრა და ოქრო-ვერცლით სავსე ორმოცი ოთახი, ჰკიდია დახოცილთა გვამებიც. Kúnos, Ignaz: Türkische Volksmärchen aus Stambul. Leiden: Brill, 1905, S. 231-234.

<sup>332</sup> ლიტ. ინსტ. ფოლკ. არქ. I 15806 ფაქ137გვ442, მთქმელი ეკატერინე ამბოკაძე, ჩამწერი ლალი ლოლობერიძე, სოფ. მოხისი, 1962 წ.

დაისწავლა ალიბაბამ ეს სიტყვები. წავიდნენ ეს ყაჩაღები. ჩამოვიდა ალიბაბა ხიდან და თქვა: მოდი, ერთი მეც ვიტყვი და თუ გაიღება კარიო. თქვა და რასა ხედავს?! გადაიხსნა მთა, სულ ოქრო-ვერცხლით. შევიდა ალიბაბა შიგა, ორი ტომარა გაავსო ოქროთი და წამოიღო სახში.

რო მოვიდა, ცოლი უეშმაკო ყავდა და რო გაიგო ესა, გაიქცა რძალთანა: ჩანახი მათხოვე, ოქრო უნდა ავრწყოო. ამ რძალმა თაფლი მოუსვა ჩანახს ძირზე, რო გაიგოს, რა მოიტანა ამ კაცმა. აანყო ამ ქალმა და წაუღო უკან. რძალმა ნახა, რო ოქროები მოიტანა მისმა მაზლმა.

რო მოვიდა იმისი ქმარი, უთხრა: – შენ დაგიდგეს თვალი, შენმა ძმამ ამდენი ოქრო მოიტანა და შენ სახში დაჯექიო.

ამ კაცმა ძმას გამოკითხა ამბავი. ალიბაბამ უთხრა: შენ ვინმეს ეტყვი და მე რო წავალ, მაშინ წაგიყვანო.

არ დაიშალა ამ კაცმა და წავიდა. მოასწრეს ყაჩაღებმა შიგა. რძალი მივიდა ალიბაბასთან. ალიბაბამ უთხრა: მაასწრებდნენო.

ალიბაბა წავიდა ამბის გასაგებად. მივიდა და ხედავს, რო ყაჩაღებს სუ დაუჭრიათ მისი ძმა და დაუყრიათ. თუ ამ კვდარს ვინმე წაიღებს, მტერი ის იქნებაო. ადგა ალიბაბამ, ტომრებში ჩაყარა დაჭრილი ძმის ასოები და წამოიღო სახში. მივიდა ხარაზთან და აანყობია ეს კვდარი. ყაჩაღებმა შეიტყვეს მტერი გვეოლიაო. უნდა ვეძებოთ ვის სახშიაო. ერთმა ითავა: მე წავალ, სოფელს მოვედები და ვიკითხავ, კვდარი სად დამარხესო.

ამ ალიბაბას გულთმისანი გოგო ყავდა. ყაჩაღი მივიდა ამ ხარაზთან და კითხა, კვდარი ხო მარ აგინყვიაო.

– კი ამა და ამ სახშია, ავანყვეო.

წავიდა ყაჩაღი, იპოვა და ნიშანი დაადო იმ არემარეს. უნდა მოვიდნენ ახლა ეს ყაჩაღები და უნდა აიკლონ აქაურობა. დაბრუნდა ეს ყაჩაღი და უთხრა, მივაგენიო.

გამოვიდა ალიბაბას გოგოი და შეღება ეს ზაბორი იმ ნიშანზე.

მოვიდნენ ყაჩაღები, მარა ვერ იპოვეს, გამობრუნდნენ. ახლა მეორეთი მონიშნა და დაადო შავი ნიშანი. ამ გოგომ ხელახლა შეღება და მაინც ვერ ნახეს.

მერე მეთაურმა უთხრა: ნავილოთ ოცი ქვევრი, ოცი ურემი და ორი უღელი ხარი, ვთხოვოთ იმ ოჯახს ღამის გათენებაო.

ამ გოგომ უკვე იცის, რაც უნდა მოხდეს. თხოვეს ღამის გათენება. – მობრძანდითო.

– თქვენ ქვევრში ჩასხედით, მე შევალ, შევზარხოშდები, გამოვალ, დავუსტვენ შუალამეზე და დავხოცოთო.

ამ გოგომ აადულა ერბო და ჩაასხა ქვევრებში, სუ ამოხოცა ეს ყაჩაღები. დარჩა მარტო მეთაური. დათვრა ეს მეთაური, უნდა რო ითამაშოს და მოკლას.

ამ გოგომ ითამაშა და ჩაკრა ხანჯალი ამ მეთაურსაც და მოკლა.

დარჩა ეს მთა უპატრონოთ. სუ ალიბაბას დარჩა. რალა ქნან? ეს ძმა დამარხა. რძალი დარჩა გაუბედურებული.

ნავიდნენ შემდეგ და მთაში რაც ოქრო-ვერცხლათ იყო, სუ წამოიღეს და გამდიდრდნენ.

„ალადინი“ და „ალი ბაბა“ ქართულ ფოლკლორში ლიტერატურული გზით დამკვიდრდნენ. საინტერესოა თავად ის მარშრუტი, თუ როგორ მოხვდნენ ისინი საქართველოში: რუსულად გადამუშავებული გალანის „ათას ერთი ღამის“ ცალკეული ზღაპრები ქართულად ითარგმნა XIX საუკუნის ბოლოს და მკითხველისთვის ცნობილი გახდა. XX საუკუნეში ნერა-კითხვის საყოველთაო ცოდნამ კიდევ უფრო ხელმისაწვდომი გახადა ლიტერატურა და ეს ზეპირსიტყვიერებაშიც მალევე აისახა. პარადოქსულად ჩანს, მაგრამ ფაქტია, რომ ორი აღმოსავლური ზღაპარი საქართველოში შემოვლითი გზით – რუსული თარგმანების მეშვეობით შემოვიდა ევროპიდან.

## ლიტერატურული ჟანრის ფოლკლორული ადაპტაცია: ჩარჩო თხრობა

ჩარჩო თხრობა ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მხატვრული ხერხია ლიტერატურული თხრობის ხელოვნებაში. „ჩარჩო მოთხრობებს“ (frame tales) ლიტერატურათმცოდნეობაში დიდი ყურადღება ეთმობა და არ ნელდება ინტერესი „ათას ერთ ლამის“, „ქილილა და დამანას“, „დეკამერონის“ თუ „სიბრძნე სიცრუისას“ შესწავლისადმი, მაგრამ ფოლკლორისტიკაში ჩარჩო თხრობის შესახებ სპეციალური ნაშრომი ჯერჯერობით არ არსებობს. არადა, ლიტერატურულ კრებულთა წყაროების ძებნა სწორედ ფოლკლორულ მასალებამდე მიდის. ჩარჩო თხრობის ჟანრის შესწავლა ფოლკლორისტიკაში კულტურულ-ისტორიული თვალსაზრისითაც აქტუალურია – ჩარჩო მოთხრობები თავისი დროის ზეპირი ტრადიციების საუკეთესო ამსახველები არიან.

„ჩარჩოვანი“ ჟანრის ისტორია საუკუნეებს მოიცავს და კულტურათა შორის არსებობს. ჩარჩო თხრობის გამორჩეული ჟანრული თავისებურებაა ფორმის მოქნილობა. ამგვარი სტილი მთხრობელსა და მოთხრობილს შორის დისტანციის შესაქმნელად გამოიყენება. ეს მისი თანდაყოლილი უნარია. ჩარჩოვანი თხრობა სხვადასხვა ნარატიულ ტრადიციას აერთიანებს, რაც სამეცნიერო კვლევებში სათანადოდ არის ასახული, თუმცა ტერმინ „ჩარჩო თხრობის“ მკაფიო განსაზღვრა ჯერჯერობით ვერც ლიტერატურათმცოდნეობაში მოხერხდა.

ჩარჩო თხრობის უძველესი ნიმუში ძველგვიპტურ პაპირუსზეა შემორჩენილი. ამბავი ფარაონ ხეოფსსა და მის ჯადოქარზე (დაახლ. ძვ.წ. XVI-XIII სს.) არასრული სახით არის ჩვენამდე მოღწეული. ფარაონის უფლისწული ჯადოქრის სასწაულებზე ჰყვება. მონათხრობები შეიცავენ

შემდეგ ამბებს: ცხოველების მეტამორფოზები, წყლის გაყოფა ბეჭდის საპოვნელად, წინასწარმეტყველება მომავალ დინასტიაზე, რომელიც არსებულ დინასტიას შეცვლის.<sup>333</sup>

შუა საუკუნეების აღმოსავლური და ევროპული ლიტერატურის ჩარჩო თხრობის პროტოტიპად მიჩნეულია სანსკრიტული „ჰანჩატანტრა“ (ახ.წ. VI ს.), რომელიც აერთიანებს ერთი ფილოსოფოსის მოძღვრებას იგავებით. თეოდორ ბენფეი ჩარჩო თხრობის უძველეს ტრადიციას ბუდისტურ ლიტერატურაში ეძებდა.<sup>334</sup>

ევროპაში ჩარჩო თხრობის ფორმა ჩნდება XII საუკუნეში, იოჰანეს დე ალტა სილვას „დოლოპათოსში“ – „შვიდი რომაელი ბრძენის“ ვერსიაში, XIII საუკუნეში „ქალილა და დიმნას“ ესპანურ თარგმანში, XIV საუკუნეში კი ყველაზე მეტად პოპულარულია. ყველაზე ცნობილი ჩარჩოვანი თხზულებებია: სპარსული „თუთი-ნამე“ (თუთიყუშის წიგნი), არაბული „ათას ერთი ღამე“ და „ქალილა და დიმნა“ („ჰანჩატანტრას“ ვერსია), სინდბადის წიგნისა და „შვიდი რომაელი ბრძენის“ ვერსიები, პეტრუს ალფონსის „Disciplina clericalis“, ბოკაჩოს „დეკამერონი“, მარგერიტ დე ნავარის „ჰეპტამერონი“, ჯონ გოუერის „Confession Amantis“ და ჯეფრი ჩოსერის „კენტერბერიული მოთხრობები“. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში ჩარჩოვან მოთხრობად არ ითვლება ის ნაწარმოებები, რომლებსაც აქვს ჩართული ამბები, მაგრამ არა აქვს მთავარი ჩარჩო. ბონი ირვინი ასეთ თხზულებებად მოიაზრებს ოვიდიუსის „ოქროს ვირს“, ჰომეროსის „ოდისეას“ და სერვანტესის „დონ კიხოტს“: იმის მიუხედავად, რომ ისინი შეიცავენ ჩარჩოვანი მოთხრობისთვის დამახა-

<sup>333</sup> Maspero, Gaston. Popular Stories of Ancient Egypt. Edited and with an Introduction by Hasan El-Shamy. Oxford/New York: Oxford University Press, 2002, p. 17-33.

<sup>334</sup> Benfey, Theodor. Panchatantra. Fünf Bücher indischer Fabeln, Märchen und Erzählungen. Aus dem Sanskrit übersetzt mit Einleitung und Anmerkungen von Theodor Benfey. Leipzig: Brockhaus, 1859, S. XXI.

სიათებელ სტრატეგიებს, მაგრამ ისინი არ მიეკუთვნებიან ჩარჩოვანი მოთხრობის ჟანრს.<sup>335</sup>

ჩარჩოვანი ნაწარმოები არ არის უბრალოდ ამბავთა ანთოლოგია. ის მხატვრული თხრობაა. აქ აღწერილია ზეპირი თხრობის აქტი, რომელშიც ჩარჩოვანი თხზულების პერსონაჟი ან პერსონაჟები იმავდროულად ამბის მოთხრობელებიც არიან. ირვინი ჩართული ამბის აღსანიშნად იყენებს სიტყვას „ინტერპოლაცია“, იმისთვის, რომ ჩასმული ამბავი გამიჯნოს ძირითადი ჩარჩოსგან.<sup>336</sup>


ჩარჩო თხრობა ემსახურება ერთი სისტემის შექმნას, რომელშიც ერთი და იგივე პერსონაჟი ან პერსონაჟები ამბებს ჰყვებიან. ჩარჩო მოთხრობები და მოკლე მოთხრობები შესაძლოა გადაჯაჭვულიც იყვნენ ერთმანეთზე. ჩარჩო მოთხრობების მოთხრობელი თავად უკეთებს ინტერპრეტაციას თავის მოყოლილ ამბავს, რათა ამით თავისი ცხოვრებისეული შეხედულებები გადმოსცეს.

ჩარჩოში ჩასმული მოთხრობები გრძელი და ჩახლართულია. თითოეული მათგანი მნიშვნელოვანია მთლიანი თხზულებისთვის. ისინი ხელს უწყობენ მთავარი ამბის ინტერპრეტაციას. მიუხედავად იმისა, რომ ჩარჩოს გავლენა აქვს საერთო შინაარსზე, ცალკე თუ ავიღებთ, საკმაოდ სუსტია. ის თავის მნიშვნელობას იძენს იმ შინაარსით, რასაც შეიცავს და ამიტომ არ დგას დამოუკიდებლად იმ მოთხრობებისგან, რომლებიც ჩართულია მასში. ამის საპირისპიროდ, ჩართული ამბავი შეიძლება ცალკეც შეგვხვდეს სხვა ჩარჩოში და სრულიად სხვა მნიშვნელობათა ველში.

ჩარჩოს ყოველი ტიპი შეიძლება შეიცავდეს ამბის სხვადასხვა ტიპს. ისინი ძირითადად ასახავენ საზოგადოების თავშეყრას ამბების მოსასმენად. ჩარჩოვანი სტრუქტურის ორი ძირითადი ტიპი არსებობს: მყარი და თავისუფალი. რაც უფრო მყარია ჩარჩო, მით უფრო მეტად ორგანიზებულია ჩართული ამბები, რომ თხზულება შეკრული გამოვიდეს. თავისუფალი ჩარჩო კი უფრო მრავალფეროვანია.

<sup>335</sup> Irwin, Bonnie. What's in a Frame? The Medieval Textualization of Traditional Storytelling. In: Oral Tradition, 10/1 (1995), p. 29.

<sup>336</sup> იქვე, გვ. 28.



[16] ჩარდავრიშანი, XVIII ს., H386, 88r.

ქართულ ლიტერატურაში ჩარჩოვანი თხზულებებით გატაცება XVII-XVIII საუკუნეების მთავარი ლიტერატურული ტენდენციაა. ჩარჩოვანი სტრუქტურა აქვთ როგორც აღმოსავლურ ნათარგმ კრებულებს („ბახთიარნამე“, „თიმსარიანი“, „ქილილა და დამანა“ და სხვ.), ისე ორიგინალურ ნაწარმოებებს (სულხან საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“, უცნობი ავტორის „რუსუდანიანი“).

ჩარჩოვანი მოთხრობის უნარი არა მხოლოდ კულტურათა შორის მონაცვლეობს, არამედ მნიგნობრობასა და ზეპირსიტყვიერებას შორის. თარგმანისა თუ გავრცელების ზეპირი გზის მეშვეობით ჩარჩოვანი თხზულება კულტურულ საზღვრებს კვეთს.

ფოლკლორისტიკაში მიღებულია აზრი და ამას ლიტერატურათმცოდნეებიც ეთანხმებიან, რომ გვიან შუა საუკუნეების ლიტერატურულ თხზულებებში ზეპირსიტყვიერების ნიმუშების ტექსტუალიზაციაც მოხდა და ბევრი თემა ფოლკლორიდან იქნა აღებული. წყაროების მრავალფეროვნებით განსაკუთრებით ჩარჩოვანი თხზულებები გამოირჩევა. ქართველ მეცნიერთა ნაშრომებში დაწვრილებით არის განხილული ძველი ქართული ლიტერატურული ძეგლების ფოლკლორული წყაროები, მაგრამ ჩარჩოვანი თხრობის საკითხი ფოლკლორში ჯერჯერობით შეუსწავლელია.

წინამდებარე ნაშრომში არ არის ამონურული ყველა კითხვა „ჩარჩოვან მოთხრობასთან“ დაკავშირებით ქართულ ფოლკლორში, მაგრამ წარმოდგენილია რამდენიმე ზღაპარი დისკუსიისთვის. ხალხური ჩარჩოვანი ზღაპრის ანალიზი მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ჩარჩოვან თხზულებათა კვლევისთვის, არამედ ზეპირი და ლიტერატურული ტრადიციების ურთიერთმიმართებისთვისაც.

### მოხუცი ნავეზირალი

„მოხუცი ნავეზირალის რჩევა“ პირველად გამოქვეყნდა 1899 წელს აკაკის კრებულში. ნესტორ ბაკურაძის (ფსევდონიმი „ქართველი ოსებში“) მიერ ჩანერილი ტექსტი ინახება შოთა რუსთაველის ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორულ არქივში (ფაა00162).<sup>337</sup>

<sup>337</sup> ლიტერატურულად გადამუშავებული ვარიანტები იხ. კრებულებში: იყო და არა იყო რა. ქართული ხალხური ზღაპრები. სულხან ქეთელაურის რედაქციით. თბილისი: „ნაკადული“, 1977, გვ. 362-370; ქართული ხალხური ზღაპრები. შეადგინა, გამართა და წინასიტყვა დაურთო ალ. ლლონტმა. თბილისი: „მერანი“, 1991, გვ. 362-369.



[17] რუსუდანისი, XVII ს., S 4625, 57r.

„მოხუცი ნავეზირალის“ ზღაპრის დასაწყისი „ათას ერთი ლამის“ სტრუქტურის გამარტივებული ვერსიაა. ხალხურ ზღაპარში გმირის მიერ მოთხრობილი ამბები არგუმენტებია იმისთვის, რომ სიკვდილით დასჯას გადაარჩინო ვეზირი. სიკვდილით დასჯისგან თავის დახსნა „ათას ერთი ლამის“ მთავარი კონცეფციაა, სადაც არგუმენტაციისთვის ამბები ფუნქციას იცვლიან და ყურადღების მისაქცევი მექანიზმის როლს ასრულებენ: მოთხრობა წყდება ყველაზე დაძაბულ მომენტში, რათა მეორე დღეს გაგრძელდეს. ქართულ ხალხურ ზღაპარს არ გააჩნია ამგვარი რთული სტრუქტურა. მასში ჩართული ამბავი მხოლოდ ორია, მაგრამ ამის მიუხედავად ტექსტი ჩარჩოვან მოთხრობას წარმოადგენს. ზღაპრის შინაარსი ასეთია:

ერთხელ ერთმა მეფემ გადაცმულმა გაისეირნა თავის ქალაქში. ლამის გასათევად ერთ სახლში დაბინავდა. შუალამისას გაიგონა, როგორ ადგა დიასახლისი და მძინარე ქმარს ხმალი მოუღერა: თუ გძინავს, არ გაიღვიძო, თუ გღვიძავს – მოგკლავო. მეფე ჩუმად უთვალთვალედა ქალს. ქალი თავის საყვარელთან წავიდა. ქალი და უკან ადევნებული მეფე მივიდნენ ერთ კლდესთან, საიდანაც ერთი არაბი გამოვიდა და ქალს უსაყვედურა, რატომ არ მომიტანე დანაპირებო. ქალი ტირილით გამობრუნდა. მეფემ მიასწრო სახლში, თავის ადგილას დანვა და არაფერი შეიმჩნია. მეორე საღამოს გადაცმული მეფე კვლავ ესტუმრა ნაცნობ ოჯახს. ლამით ქალი ადგა, ქმარი მოკლა, მოკვეთილი თავი ბაღდადში გაახვია და თავის საყვარელს მიაართვა. მეფემ, რომელიც სათვალთვალოდ ისევ გაჰყვა ქალს, დაინახა, როგორ გამოვიდა არაბი და საჩუქრის დანახვაზე ქალი კინწისკვრით გამოაგდო: – ამისთანა ვაჟკაცს უღალატე და არ დაინდე და მე როგორ შემეყვარებო. მეფე სასწრაფოდ უკან დაბრუნდა, თავმოჭრილი კაცის სისხლში ხელი დაისველა, ჭიშკარს დაჰკრა და სასახლისკენ გაეშურა. შინმისულმა ქალმა ჭიშკარზე სისხლი შენიშნა და ეჭვი აიღო, სტუმარმა არაფერი დამიშავოსო. ქმარი ეზოში დამარხა, მერე ქუჩას ჩამოუარა და სისხლიანი ხელით ნიშანი ყველა ალაყაფის კარს დაადო.

მეფემ მეორე დღეს ვეზირებს უბრძანა, ქალაქში ის სახლი ეპოვათ, რომლის ჭიშკარზეც სისხლიანი ხელის ანაბეჭდი იყო და იქ მცხოვრები სასახლეში მოეგვარათ. ვეზირები ბრძანების შესასრულებლად წავიდნენ, მაგრამ ამაოდ – ყველა კარი ერთნაირად იყო მონიშნული. მეფე დაფიქრდა და თავის პირველ ვეზირს გამოუცხადა: – სანადიროდ უნდა წავიდე ორი კვირით. სანამ მოვალ, ჯერ ჩემი ცოლი და ქალიშვილები დახოცე, მერე შენი, მერე კი რაც ჩემს ქალაქში დედათაგანი იყოს, დიდიან-პატარაინად უნდა განყვიტო.

ვეზირს ერთი მოხუცი პაპა ჰყავდა. როცა დამწუხრებულმა მეფისგან მიცემული დავალების შესახებ უამბო, მოხუცმა დაამშვიდა: – მეფეს უთხარი, რომ მე არ დაგანებე მისი ბრძანების ასრულება, პასუხს კი თვითონ გაცემო.

მეფე სასტიკად განრისხდა ვეზირის ურჩობაზე. სიკვდილით დასჯის წინ ვეზირმა სთხოვა, მისი პაპისთვის მოესმინა. მეფემ თხოვნა შეუსრულა და პაპა მოაყვანიდა. მოხუცი კი ამ ამბავს მოჰყვა:

– დიდებულო ხელმწიფე, მამათქვენის მამის ვეზირი გახლდით. ორმოცი ვეზირი ვიყავით. ერთ ღამეს ერთი ვეზირი გაქრა ისე, რომ ვერავინ გაიგო მისი ასავალ-დასავალი. მეორე ღამეს – მეორე დაიკარგა და ასე თითო-თითოდ ყოველ მომდევნო ღამეს. დავრჩი მე. მეორმოცე ღამეს, როცა ლოგინში ვინეჭი, კარზე დააკაკუნეს. წამოვხტი კარის გასაღებად, მაგრამ ცოლმა შემაჩერა და მითხრა: – სად მიდიხარ პერანგიანი? იქნებ ის იარაღიანია და შენ უიარალოდ ხომ არ გახვალ? ჩაიცვი, აისხი იარაღი და ისე გახედო. ჩავიცვი და გასულას ვაპირებდი, რომ ცოლმა ისევ შემაჩერა: – იქნებ ის ცხენით არის და შენ კი უცხენოდ მიდიხარო. მაშინვე შევკაზმე ცხენი და ისე გავედი გარეთ. დამინახა თუ არა მან, ვინც კარზე დამიკაკუნა, მომძახა: – უჰ, შენი გამჩენის ჭირიმე, შენი, ძლივს არ ვნახე ვაჟკაცი! ჩქარა მომყევო. მეც მივყევი. ვიარეთ, ვიარეთ და მივედით ერთი უზარმაზარი კლდის ძირში, გა-

მოქვაბულთან. ჩამოხტა ჩემი თანამგზავრი, მომცა ცხენი ხელში და მითხრა: – ამ გამოქვაბულში მტერი მყავს, უნდა შევიდე და დავეჭიდო. ერთს, როცა დავინახავე, მაშინ დავინივლებ, ერთს – როცა დავეჭიდები და ერთსაც – თუ მოვერიე, მაშინ. თუ მესამედ აღარ დავინივლო, იცოდე, რომ ის მომერია და მაშინ გასწი და ნადიო.

შევიდა გამოქვაბულში და გამარჯვებული გამოვიდა, ხელში ხელსახოცში შეხვეული რალაც გამოიტანა, შეჯდა ცხენზე და მითხრა: შეჯექე შენც და მომყევით. მივედით ერთ სასახლესთან. მან სასახლის ბაღში დამარხული კუბო ამომათხრეინა, რომელშიც მშვენიერი ვაჟი ესვენა. – მე ქალი ვარ, – მითხრა უცნობმა, – ეს მკვდარი კი ჩემი საქმროა. ჩვენმა მშობლებმა ქორწინების ნება არ დაგვრთეს. ამას ცოლმა უღალატა და მე – ქმარმა. ამ ხელსახოცში ჩემი მტრის, არაბის თავია, რომელიც მისი ცოლის საყვარელი იყო. ჩემმა საქმრომ ანდერძად დამიტოვა, რომ შური მეძია. მე დროზე მინდოდა მისი ანდერძის შესრულება, მაგრამ შენს მეტი ვაჟკაცი ვერ ვნახე, რომ ეს ჩემი ამბავი მეამბნა. ახლა მე ამას თავი უნდა დავაკლა ზედ და გთხოვ, ამ საფლავში ერთად დავგასაფლავო, შენ კი ღმერთმა მოგახმაროს ჩემი ცხენი და იარაღი.

ქალმა ჯერ ტირილით გული იჯერა, მერე ხანჯალი დაიცა და ზედ დააკვდა. ორივე ერთად დავასაფლავე და ნამოვედი.

აბა, დიდებულო ხელმწიფე! ჩემს ცოლს რომ ჩემთვის რჩევა არ მოეცა, მეც ხომ უკვალოდ გავქრებოდი და იმ ქალს რომ თავისი შეყვარებულისათვის ანდერძი არ აესრულებინა, იმ მშვენიერ ვაჟკაცს ხომ დარდად ჩაყვებოდა საიქიოში მტრის ჯავრი? ერთი ნუნკი დედაკაცის გულისთვის ქალაქში მთელი დედათაგანის განყვეტა როგორ გინებებია?

მეფეს დიდად მოეწონა მოხუცი ნავეზირალის რჩევა, თავის ბრძანებაზე ხელი აიღო, ვეზირს წყალობა უბოძა და მას შემდეგ თავის სამეფოს უფრო გონივრულად განაგებდა.

## „მოხუცი ნავეზირალი“ ჩარჩო-სქემაში

მეფეს გადანყვეტილი აქვს, თავისი ვეზირი ურჩობისთვის სიკვდილით დასაჯოს. ვეზირის პაპა მეფეს უამბობს ერთ ამბავს, რომელიც მას გადახდა თავს.

ორმოცი ვეზირი ვიყავით. ერთხელ ერთ ღამეს ერთი ვეზირი დაიკარგა უგზო-უკვლოდ, მეორე ღამეს – მეორე და ჩემი ჯერიც დადგა.

ერთ ღამეს ვილაცამ დააკაკუნა. სანამ კარს გავაღებდი, ცოლმა შემაჩერა: – სად მიდიხარ ჩაუცმელი და უიარალო? ჩავიცვი, ცხენზე შევეჯექი და ისე გავედი გარეთ. უცნობმა მხედარმა ერთ გამოქვაბულთან მიმიყვანა და მთხოვა, დავლოდებოდი, სანამ მტერს შეებრძოლებოდა. როდესაც გამარჯვებული დაბრუნდა, ხელში ხელსახოცში შეხვეული ნივთი გამოიტანა და სხვა ადგილას ნამიყვანა. მივედი ერთი სასახლის ბაღში. იქ ერთი ვაჟი იყო დამარხული. უცნობმა თავის ამბავი მიაგმო:

მე ქალი ვარ, ეს მკვდარი კი ჩემი საქმროა. ჩვენმა მშობლებმა ქორწინების ნება არ მოგვცეს. ამას ცოლმა უღალატა და მე – ქმარმა. ამ ხელსახოცში ჩემი მტრის თავია, რომელიც მისი ცოლის საყვარელი იყო. ჩემმა საქმრომ ანდერძად დამიტოვა, რომ შური მეძია. ახლა მეც თავს მოვიკლაე და გთხოვ, ამ საფლავში ერთად დაგვმარხო.

აბა, დიდებულო ხელმწიფევი ჩემს ცოლს რომ ჩემთვის რჩევა არ მოეცა, მეც ხომ დავილუპებოდი და უკვლოდ გაექრებოდი და იმ ქალს რომ თავისი შეყვარებულისათვის ანდერძი არ აესრულებინა, იმ მშვენიერ ვაჟეკაცს ხომ დარდად ჩაყვებოდა საიქიოში მტრის ჯავრი? ერთი ნუნკი დედაკაცის გულისთვის ყველა ქალი რატომ უნდა განყვიტო?

მეფეს დიდად მოენონა მოხუცი ნავეზირალის რჩევა და თავის ბრძანებაზე ხელი აიღო. ვეზირი სიკვდილით დასჯას გადარჩა.

ხალხური ზღაპრის პოეტიკას სისადავე ახასიათებს. როცა ლიტერატურული სიუჟეტი ზეპირსიტყვიერებაში გადაინაცვლებს, ფოლკლორული კანონების მიხედვით იცვლება – სტრუქტურა უფრო მარტივი, ხოლო პერსონაჟი – ნაკლებ ემოციური ხდება. ის მაინც ტრადიციული ნარატივის პროდუქტია და ადვილად ამოიცნობა: ორგული ცოლი, გულუბრყვილო ქმარი, სასტიკი მეფე და სხვა. გამორჩეული ხასიათები იშვიათია.

არსებობს უამრავი განსხვავებული დროითი ჩარჩო ყოველ ჩარჩოვან მოთხრობაში. რაც მეტია ჩარჩო, მით უფრო რთული სტრუქტურა აქვს ზღაპარს. ზღაპარი „გულუზარი“ შედგება ოთხი ამბისგან. ყველა მათგანი ჩართული მოთხრობაა, რომელსაც თვითმხილველი ჰყვება.

### გულუზარი

ზღაპარი „გულუზარი“ მიხეილ ჩიქოვანმა ჩაინერა 1938 წელს სამეცნიერო-ფოლკლორისტულ ექსპედიციაში მუშაობის დროს სოფელ იყალთოში 70 წლის გიორგი მრელაშვილისგან.<sup>388</sup>

ორმა მონადირემ, გიორგიმ და ალექსანდრემ, სანაძლეო დადო, ვინც უფრო საინტერესო ზღაპარს მოჰყვებოდა, ნანადირევი მას დარჩენოდა.

გიორგი ჰყვება ამბავს, თუ როგორ ჩაეფლო ერთხელ თოვლში ნადირობისას და როგორ გადაარჩინა უცნობმა მონადირემ. მანვე ნაიყვანა თავის ოჯახში და უმასპინძლა. უცნობი მონადირის სასახლეში გიორგიმ ნახა ჯაჭვით დაბმული მოხუცი კაცი, რომელიც მონადირის მამა აღმოჩნდა, ბავშვი, რომელიც თოვლში ჩაანვინეს და ისე

---

<sup>388</sup> პროფესიონალი მეზღაპრის შემოქმედებას მიხეილ ჩიქოვანმა ცალკე გამოკვლევა მიუძღვნა. მის რეპერტუარში ზღაპრების გარდა შედიოდა შრომის სიმღერები, საყოფიერო ლექსები, სანესჩვეულებო პოეზია, ლირიკულ-ეპიკური ლექსები და თქმულებები. მისი შესრულება იმპროვიზაციულობით გამოირჩეოდა. იხ. ჩიქოვანი, მ. ხალხური სიტყვიერება II. თბილისი: „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა“, 1952, გვ. 3-19.

დააძინეს, ცოლი, რომელსაც კისერზე ადამიანის თავი ჰქონდა ჩამოკიდებული. მონადირე ყველაფრის მიზეზს უხსნის. ის თავის თავგადასავალს უამბობს გიორგის, თუ როგორ უღალატა ცოლმა. გულზე ჩამოკიდებული კაცის თავი მისი მარადიული სასჯელია, საყვარელი რომ არასოდეს დაავინყდეს.

ეს არის მონადირე გიორგის მოყოლილი ამბავი. მეორე მონადირე, ალექსანდრე ასეთ ისტორიას ჰყვება: ალექსანდრე ხელმწიფის შვილია. მისი რვა ძმა ერთიმეორის მიყოლებით ნადირობისას გაუჩინარდა – ჯეირანს დაედევნენ და მოჯადოებულ სასახლეში აღმოჩნდნენ, სადაც მზეთუნახავმა მგლებად აქცია. ალექსანდრე დაკარგული ძმების კვალს გაჰყვა. ის მიადგა სასახლეს, რომელშიც ნახევრად გაქვავებული კაცი დახვდა. მისი რჩევით ალექსანდრემ მოახერხა მზეთუნახავისთვის ჯადოსნური თილისმის ნართმევა. მზეთუნახავი დაუმეგობრდა ალექსანდრეს, დაათვალიერებინა სასახლე და მისი ძმებიც კვლავ ადამიანებად აქცია. ალექსანდრემ სასახლეში ლამაზი ქალის, გულუზარის სურათი ნახა და მისი მოძებნა გადაწყვიტა. ძმები და მზეთუნახავი შინ გაისტუმრა, თვითონ კი ნახევრად გაქვავებული კაცის ნასწავლები გზით გულუზარის საპოვნელად გაემართა. გზად შეხვდა ერთ მეჩონგურეს, რომელიც დაკვრისას ხან ტიროდა და ხან იცინოდა. მან თავისი ამბავი უთხრა ალექსანდრეს: მონადირე ვიყავი. ერთხელ ერთ ქობში შევედი, სადაც სამი ქალი ცხოვრობდა და თურმე გადანყვეტილი ჰქონდათ, ვინც მათ ბეჭდებს გაიკეთებდა, ცოლად გაჰყოლოდნენ. სამივე ბეჭედი მე გავიკეთე და სამივე ჩემი ცოლი გახდა. მათ მთხოვეს, არ ეთქვა საყვედური სამი რამის გამო – ბავშვების, ნვიმიანი ამინდის და თონეში ჩავარდნილი პურის. მეჩონგურემ სამივე პირობა დაარღვია და მისი ცოლ-შვილი მტრედებად გადაიქცა. ალექსანდრემ მეჩონგურე გაამხნევა და ურჩია, სახლში შესულიყო და ჩონგური დაეკრა. საკრავის ხმა-

ზე მტრედები მოფრინდნენ. ალექსანდრემ მტრედები ოთახში გამოკეტა და თავისი ჯადოსნური თილისმით კვლავ ადამიანებად აქცია. მერე გამოემშვიდობა გახარებულ მეჩონგურესა და მის ოჯახს და გულუზარის ძებნა განაგრძო.

გზად ალექსანდრე შეხვდა ერთ მეუნაგირეს და ერთ ღრმად მოხუცებულ კაცს. ორივეს გულუზარის ტრფობა კლავდა. მათ ალექსანდრეს სთხოვეს, თუ ოდესმე გულუზარს იპოვიდა, მათ უნახავად არ წაეყვანა. ალექსანდრე ბოლოს მიადგა სასახლეს, რომელიც ერთ ფალავანს, სახელად ალიფოლადას ეკუთვნოდა და გულუზარი მისი ტყვე იყო. ოცი წელი თუ არავინ გამოჩნდებოდა გულუზარის პატრონი, ალიფოლადას ცოლი გახდებოდა. გულუზარს მოეწონა ალექსანდრე და გააფრთხილა, უკან გაბრუნებულიყო, რომ ალიფოლადას წერა არ გამხდარიყო. ალექსანდრემ უკან არ დაიხია, გულუზარის მეშვეობით შეიტყო, სად იყო ალიფოლადას სული. ალიფოლადამ თვითონ გაამხილა: საჯინიბოში არის ლაგამი, ის უნდა დასველდეს ზღვაში, გამოვა ორი რაში, რომლებიც მივლენ გამოქვაბულში, სადაც მისი ძალაა შენახული. ალექსანდრემ იპოვა ლაგამი, წაიღო ზღვასთან, გამოიხმო ორი რაში და მივიდა გამოქვაბულში. იქ ოქროს გალიაში სამი ჩიტი იჯდა. ალექსანდრემ დახოცა თუ არა ჩიტები, ალიფოლადაც მოკვდა. ალექსანდრემ გულუზარი თავის სასახლეში წაიყვანა. გზად გამოუარა მეუნაგირეს და მოხუცებულ კაცს, რომელმაც დაინახა თუ არა გულუზარი, მშვიდად განუტევა სული. სასახლეში დიდი ქორნილი გადაიხადეს. ის მზეთუნახავი, რომლისგანაც ჯადოსნური თილისმა ჰქონდა ალექსანდრეს, როგორც საკუთარი და, ისეთი პატივით გაათხოვა.

ალექსანდრეს ამბავი ძალიან მოეწონა გიორგის, მაგრამ მონადირეები მაინც ვერ შეთანხმდნენ, რომლის ზღაპარი ჯობდა. მათ ნანადირევი თანაბრად გაიყვეს და ერთმანეთს მეგობრულად გამოემშვიდობნენ.

## „გულუზარი“ ჩარჩო-სქემაში

ორი მონადირე დებს სანადლეოს, ვინც უფრო საინტერესო ზღაპარს მოჰყვება, ნანადირევი მას დარჩეს (ATU1920)

გიორგის თავგადასავალი ერთხელ ნადირობისას გიორგი თოვლში ჩაეფლო. ის გადაარჩინა უცნობმა მონადირემ, შინ წაიყვანა და უმასპინძლა. მონადირის სასახლეში გიორგიმ ნახა ჯაჭვით დაბმული მოხუცი კაცი, ბავშვი, რომელიც თოვლში ჩაანვინეს და ცოლი, რომელსაც კისერზე ადამიანის თავი ჰქონდა ჩამოკიდებული. მონადირემ ყველაფრის მიზეზი აუხსნა:

მონადირის ამბავი ბერიკაცი ჩემი მამაა. ავი ხასიათის გამო ჯაჭვით დავაბი. ბავშვს, რომელიც თოვლში ჩავანვინეთ და ისე დავაძინეთ, ნებისყოფას ეუნრთობთ. ქალი, რომელსაც კისერზე კაცის თავი ჰქონდა, ჩემი ცოლია. მილალატა და საყვარელი მოვუკალი. ეს მისი მარადიული სასჯელია (Mot.1882.2)

ალექსანდრეს თავგადასავალი გულუზარის საპოვნელად წასული ალექსანდრე გზად შეხვდა ერთ მეჩონგურეს, რომელმაც თავისი გასაჭირის შესახებ უამბო:

მეჩონგურის ამბავი (ATU400)

მონადირე ვიყავი. სამი ცოლი და სამი შვილი მყავდა. ცოლებმა მთხოვეს, არასოდეს მესაყვედურა. მე პირობა დავარღვიე: ბავშვებს გაუწყური, წვიმიან ამინდზე გაეზრაზდი და თონებში ჩაეარდნილი პურის გამო ვიწხუბე. ჩემი ცოლები და შვილები მტრედებად გადაიქცნენ და გაფრინდნენ.

ალექსანდრე მეჩონგურეს ცოლ-შვილის დაბრუნებაში დაეხმარა. მერე გულუზარის ძებნა განაგრძო.

(ATU302) ალექსანდრე მიადგა სასახლეს, რომელშიც გულუზარი ფალაქან ალიფოლადს ჰყავდა ჩაკეტილი. გულუზარის დახმარებით ალექსანდრემ დაამარცხა ალიფოლადი და გულუზარზე დაქორწინდა.

ალექსანდრეს ამბავი ძალიან მოეწონა გიორგის, მაგრამ მონადირეები მაინც ვერ შეთანხმდნენ, რომლის ზღაპარი ჯობდა. მათ ნანადირევი თანაბრად გაიყვეს და ერთმანეთს მეგობრულად გამოემშვიდობნენ.

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია „გულუზარის“ დასაწყისი ეპიზოდის მსგავსება სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისას“ ერთ-ერთ ამბავთან (ე. ვირსალაძე, ქს. სიხარულიძე, აღ. ლლონტი). ხალხური „გულუზარის“ და საბასეული „ჯიზი გურგენის“ მოტივების საერთაშორისო ანალოგებზე დაყრდნობით ქართველი ფოლკლორისტიები ვარაუდობდნენ, რომ ეს არაკი „სულხან-საბა ორბელიანმა აიღო მშობლიური ზეპირსიტყვიერების სალაროდან“. „სიბრძნე სიცრუისაში“ მოთხრობილია ლეონის თავგადასავალი, თუ როგორ გაიცნო მან ნადირობისას ჭაბუკი ჯიზი გურგენი და რა უცნაურობები ნახა მის სასახლეში. ლეონი ჰყვება ჯაჭვით დაბმული ბერიკაცის, ყინულიან წყალში მსხდომი ბავშვების და დასჯილი ცოლის ამბებს.<sup>339</sup>

ეს პარალელები ბუნებრივია გვიანი შუა საუკუნეების ლიტერატურისთვის. ჩამწერები და შემდგენლები ზეპირი ტრადიციისგან იღებდნენ სიცოცხლის ხალას უნარს, სწორედ იმ ელემენტებს, რაც საჭიროა აუდიტორიაზე ზემოქმედებისთვის, და ამას ნარმატივით აღწევდნენ ჩარჩოვანი თხზულებით. სპეციალურ ლიტერატურაში დადასტურებულია, რომ კრებულის შედგენის პროცესში ზეპირი პერფორმანსის ყაიდაზე ავტორი თუ რედაქტორი ბევრ ტრადიციულ ფორმას იყენებდა. ამიტომ ჩარჩოვანი მოთხრობა შუა საუკუნეების სხვა ჟანრებზე მეტად აჩვენებს ხალხური და ლიტერატურული ნარატივების ურთიერთკავშირს შუა საუკუნეებში.<sup>340</sup>

ჩარჩოვან ზღაპარს ქრონოტოპთან დაკავშირებით ამგვარი რამ ახასიათებს: ყოველთვის რომელიმე ერთი პერ-

<sup>339</sup> ქართულ ხალხურ ზღაპარ „გულუზარისა“ და სულხან-საბა ორბელიანის არაკ „ჯიზი გურგენის“ დეტალური ანალიზისთვის იხ. სიხარულიძე, ქსენია. ქართველი მწერლები და ხალხური შემოქმედება. ნიგნი მეორე. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, 1966, გვ. 110-115.

<sup>340</sup> Stephen Bechler. Rahmenerzählung. In: Enzyklopädie des Märchens, Bd. 11. Berlin/New York: Walter de Gruyter, 2004, S. 171.

სონაჟი ჰყვება ამბავს, ჩარჩოს მოქმედება ეფექტურად ჩერდება იმის მიუხედავად, რომ ყოველი ჩართული ამბის მოყოლით ჩარჩო დასასრულს უახლოვდება. მთხრობელი ჰყვება რა ამბავს, შეახსენებს მსმენელს წინა და მომდევნო ისტორიას. ტრადიციული ნარატიული სქემის მსგავსად, დროის ჩარჩო ციკლურია. მოქმედება სწორხაზოვანია. გმირები მიდიან დასკვნამდე, ადგილამდე, ან გადაწყვეტილებამდე, და იქ მისასვლელად თხრობამ უნდა გაიაროს გარკვეული დრო, რომელიც წარმოდგენილია ჩართულ ამბავში.

ქართულ ზეპირსიტყვიერებაში გვხვდება ისეთი ტექსტებიც, რომლებშიც სხვადასხვა ეპოსის გმირები ერთად იყრიან თავს და ამბებს ჰყვებიან, სახელდობრ, ამირანი, ტარიელი და როსტომი. ყველაზე ძველი ჩანაწერი პეტრე უმიკაშვილისეულია, ჩანერილი 1871 წელს, ინახება შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის არქივში: „ამირანი“ (I 19593ფაუგ002). ორი სხვა ტექსტი დაცულია საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის არქივში: „ამბოვი სამი გმირისა“ (№6/2375) და „ამირანის, როსტომისა და ტარილის დაძმობილება“ (№1/2370), ჩანერილი 1937 წელს.

ამ ხალხურ გადმოცემებს ჩარჩოვანი სტრუქტურა აქვს და ყოველმხრივ საყურადღებო ნარატივის წარმოადგენს. ეს ტექსტები შეიძლება განხილულ იქნას როგორც ეპოსის გაზღაპრებული ვერსიები ინტერტექსტუალურ კონტექსტში: ზღაპარში ერთმანეთს დაუძმობილდა სამი სხვადასხვა ეპოსის გმირი: „ვეფხისტყაოსნის“, „შაჰ-ნამეს“ და ამირანიანის. სამივე გმირი იმდენად პოპულარულია ქართულ ფოლკლორში, რომ ყველა ზეპირსიტყვიერებაში გვხვდება: მითოლოგიურ თქმულებებში, ისტორიულ ლეგენდებში, ჯადოსნურ ზღაპრებში, საგმირო ლექსებში და ანდაზებშიც კი. ამჯერად ჩვენთვის საინტერესოა ჩარჩოვან სქემაში მოთხრობილი ამბები, რომელშიც როსტომი, ტარიელი და ამირანი ერთმანეთს საკვირველ ამბებს უყვებიან. თქმულება მოგვყავს სრულად:

## ამბოვი სამის გმირისა<sup>341</sup>

ერთხალ ერთად შაიყარნეს სამნი გმირნი: ტარიალი, ამირანი და როსტომი. უთხრეს ერთმანეთსა: ვინ რაიმე ვნახეთ ხოყნიერობაზე სუყელაზე საკვირველი? როსტომმა თქო:

ერთხელ მინდორჩი დამილამდა, სულ მარტუაი ვიყავ, ძე ქრისტიანი იმ მინდორჩი არ მაიბადებოდა. ერთბაშად ჩემს წინ გავიგონე ფეხის ხმა. მივიხედე, მოვიხედე და დავინახე კაცი, ერთი მტკაველი ტანი ხქონდა და ერთი ციდაი წვერები. გამიკვირდა, რო ჩემს წინ გულიანად მიღბიჯავდა და დაეზბახე: – ეი, კაცო, ვინა ხარ და ან სად მიზღიხარ? იმ კაცმა მითხრა: მეო, მივდივარო როსტომის ჯოგის მასაპარავადაო. მემრე მე მკითხა: შენ ვინლა ხარო და ან სად მიზღიხარო. მე უთხარ: მეც როსტომის ჯოგის მასაპარავად მივდივარო.

მაშ, დავძმობილდეთ და ერთად ნავიდეთ, – უთხარ მე და ნავედით, ნავედით ორნივე ერთადა.

როცა ჯოგთან ივედით, ის საკვირველი კაცი გადაფრინდა ბაკრი და დეერია ცხენებსა. დაავლებს თითო თითოს ცხენსა ხელსა და გადმასტყორცნის გალავნის გარეთა.

სულ ბოლოს რო ცხენი გადმანიია, იმას ვეცი. მოუთხტა, მაგრამ მაინ ცარ დააგდა ნათეყვანი. როცა დიდი გზა გავიარეთ, მაში უთხარ, მე რას მინანოილებ-მეთქი.

იმ კაცმა შამაბლვირა და მითხრა გაჯავრებითა: თუ გინდა, ეგე ეგ კოჭლი ცხენი წაიყვანე, თუ არა და დაიკარგე აქათაო.

მე დავეყბულდი. როცა კიდევ კარგა გზა გავიარეთ, ვხკითხე, შენ არც რაისი არ გეშინიან-მეთქი?

არაო, არცრაისაცა არ მეშინიანო, გარდა როსტომის დაჭყვივილისა და იმის რაშის დაჭიხვივინებისაო.

ეს ამბოვი რო გავიგე, გამიხარდა, წამოვიყვანე ჩემი ნარგები კოჭლი ცხენი და წამოვე.

<sup>341</sup> საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის არქივი, №6/2375. მთქმელი თასო ჩქარიული, 90 წლის, ჩამწერი მ. ხუციშვილი, ხევი, 1937 წ.

შავჯე ჩემს რაშზე და ჩქარადვე ნამოვენე. ნამოეშქყივ-  
ლე მე, დაიშქიუნა ჩემმა რაშმა. ასთხტა ერთი უბედურობა.  
იმ კაცმა ერთი ციბრუტივით შამაიტრიალა და გაქრო.

დავირეკე ჩემი ცხენები და მოვრეკე შინა. მე იმ კაცი-  
ვით საკვირველი არა მინახია რა – ამ ხნისა და ადენი ჭირ-  
გადახდილობის პატრონსა.

ახლა ტარიალი მახყვა თავის საკვირელს ამბოვსა.

ერთხალ თორმეტი გმირი იმ გადახდილნი მოვდიო-  
დით. ერთს მინდორჩი დოგილამდა და ქოხს რასმე და-  
უნწყეთ ძებნა, რო თავი შაგვიფარა იმ ლამესა. ქოხი კი ვერა  
ვიპოვნეთ რა და ერთს საკურელს ხოხრიალას ნავადექით.  
თორმეტივ გმირი შიგ შავედით და კიდავ ადგილი დარჩა.  
იმ ლამეს იქ დავიძინეთ. დილაზე თურმე ჩამოუვლია ერთს  
მეცხორესა და მაშილა გავიღვიძეთ და დამტვრეულ-დამ-  
სხვრეულები გამოვედით. და ეს ორი კბილიც მაში დავიმ-  
ტრურიეო. მამრე თორმეტმა გმირმა ვინატრეთ, რო ის კა-  
ცი, ვისიც ის ხოხრიალა იყო, ცოცხალი გვანახვა. ვილო-  
ცეთ, ვილოცეთ, ბევრი ვილოცეთ და დაინყა ამ ხოხრია-  
ლამ ჩუჩუნი. იჩუჩუნა, იჩუჩუნა და დეეყოდა უშველებლი  
კაცი. ეხლა იმაზე ვილოცეთ, რო გაცოცხლებულიყო და  
თოლები კი არ ეეხედა!

– ვინა ხართ, ყმანო, ვინ ილოცეთ ჩემთვისო, ვინ გამა-  
ცოცხლეთ, თოლებიც ამახედებინეთ და იმ ღმერთს ვფი-  
ცავ, რამაც ხოყანა გააჩინა, რო არას გავნებთო.

თორმეტმა გმირმა ვილოცეთ და თოლებიც ავახედე-  
ბინეთ. მიიხედა, მაიხედა, გადაავლა თოლი მთა-ბარსა და  
თქო: – ძრიალ გამაცულილა ხოყანაო, სუყელას სისხლის  
ფერი აძესო. მთელს ხოყანას ცოდვა-ბრალის იარი, გა-  
უტანლობის და უნდობლობის სუსხი აქუო. ეს ხოყანა კი  
არა, ხოყნის ნაგრილიაო (აჩრდილი), ოხ, დიდებულო ჩემო  
დროვო, – ცას შახედა, მემრე თოლებზე ხელი დაიფარა,  
თქო: – დალოცვილო ღმერთო, ბედრიანს მკუდარს უბე-  
დური სიცოცხლე რასლა მამანახვეო.

მამრე მოგიბრუნდა და გვითხრა ჩვენა: – ნადით აიბ

ქოხჩი ჩემი ნადგომია და იქ პურის ნატეხი რამე დარჩებოდა და მომიტანეთო. მოუტანეთ. მამრე ჩვენი პური მიგოტანინა. მოუჭირა ხელი თავის პურსა და რძე გამეუდინა, მოუჭირა ჩვენ პურსა ხელი და – სისხლი გამეუდინა. მამრე გვითხრა: ხედავთო, თქვენს პურსა – როგორ ბოროტად გადაქცეულა ხოყანაო. მე თქვენს დროს სიცოცხლე არ მინდა და ილოცეთ, რო ისრივ ხობრიალად, გადამაქცია, თორო სულ ნიადად გაქცევთო.

ვილოცეთ, ვილოცეთ და ისრივ ის ხობრიალად დეეყუდა მინდორჩი. ჩვენ კი გაკურებულეებმა პირჯორი გამოვიწერეთ. მე ეს ვნახე საკვირველი.

ახლა ამირანმა უამბა თავის საკვირველი ამბოვი.

ერთხალ დამილამდა და ქოხს შევაფარე თავიო. შუალამის დროს წყალი მამწყურებიყო, გამოვე, მივიარე, მოვიარე და წყალი ვერცა ვიპოვნე. მეორეს დილაზე წამოვედა ერთს რუვს მივადექ. ემ რუვიჩი სისხლი ხან ჩამოვა და ხან დაშრება. დავხყევ ემ რუვსა და მივადე ერთს უშველებელს დევსა, რომენსაც წინ შუბი დეეყუდა და როც დეეძინებოდა, თავს შუბს დახკრავდა და სისხლი გადმაჩქეფებდა. მივე და უთხარ დევსა, რას შჩადიხარმეთქი ამასა. დევმა მითხრა, შენ ვინ კაცი ხარ, რო ეგრე გულადად მასულხარ ჩემთანაო. მე უთხარ, მე ამირანი ვარ-მეთქი. შამამხედა და გაუკვირდა, რო გაიგა ჩემი ამირანობა. ლმერთს შენთვი ხმა დიდი მოუცია და ტანი კი ბატარაი – მაგრამ არა უშავ რა, ვიცი, დამეხმარებიო. გზაზე გამაივლის ერთი თეთრი დევი და სულ გადმანათებს მთა-ბარსაო და მაში გამალუძეო. იმას მახყავ ერთი მზეთუნახავი ქალი და მე უნდა წავართოო. ადგა სამი წიხლი დახკრა მინასა და სამი ორმო გააკეთა და მითხრა, როცა ჩვენ ომს დავინყებთ, შენ იქი-აქა დაინყე ფრენა აი ამ ორმოჩიო. როცა ჩვენ შუას ომს ვიქნებით, შენ მეორეს ორმოჩი გადააფრინდი და დიდის ხმით დაიკივლეო, დახკარ და მეგეშველებიო. იმ დევს გული გაუთხტება და მე დავსძალავო.

ბატარა ხანია და გადმანათა თეთრმა დევმა, მოვიდა ახლოსა და გაიმართა ჩხუბი კიდეცა. მე როგორც იმ დევმა დამარიგა, ისრი ვიქცეოდი. როცა მეორეს ორმოჩი გადავფრინდი, დავიკვილე, დახკარ და მეგეშველები-მეთქი. ახლა მეორედ დავზდახე, დახკარ და მეგეშველები-მეთქი. ჩემმა გაგულადებულმა მოუქნია შავმა დევმა და დახკრა ხმალი ისრი, რო სული გააგდებინა.

მაკუდა თეთრი დევი და ის ქალი დარჩა შავს დევსა. მამრე იმ დევმა მითხრა, რო თუ რაიმე ღნახა საკვირველი, არა გაგიკვიროს რაო. მოვიხედე და დევს შუბლჩი თოლი გამოუვიდა. შავხედე და გამიკვირდა და უთხარ, ვაიმე, ეგ რა ამბოვია-მეთქი შუბლზე თოლი. დევმა მითხრა, აი შენცა არ გაშენებო და დალია სული. დავრჩით მე და ის ქალი. იმ ქალმაც გაიგა, რო მე ამირანი ვიყავ და მითხრა, მე შენს იქითა აღარ ნავალიო და ნადი ხარები მაიტან, ურემი და ეს მკუდრები დავმარხათო და ნავიდეთ აქათაო. მოვიყვანე ხარები და დაანყო მკუდრები ურემზე და ნავილეთ. ერთს დევს ფეხი გადმალვარდნიყო და მითხრა იმ ქალმა, არიქა, ის ფეხი გადმოვარდა და შააგდე ურემზეო.

მივე, ვეზიდე, ვეზიდე, მაგრამ ადგილზედითაც ვერ დავძარ. მაში მოვარდა ის ქალი, დასცა ხელი ფეხსა და შააგდა ურემზე, მამიბრუნდა და მითხრა:

ისამც ადგილი კრულია,  
სადაც შენ ამირანობდიო.  
ნესი რო იყოს დედათი,  
ადვილად გინადირებდიო,  
დაგკრავდი მათრახის ნვერსა,  
სულ გიდელ-გიდელ გაგრევი.

დახკრა ფეხი და გადაიარა მთანი ერთის ბობოქრობითა. მე ეგ ვნახე საკურელი.

იმ სამმა გმირმა დადევს პირობა, რო სადაც ერთს გაუჭირდებოდა, სუყელანი იქ ყოფილიყუნეს. მაში როსტომმა უთხრა ტარიალსა, ნეტაი შენი მზე ეხლა იყოს ქაჯეთით დასახსნელი და ომს გიჩვენებდიო.

## „ამბოვი სამის გმირისა“ ჩარჩო-სქემაში

დაძმობლდნენ ამირანი, როსტომი და ტარიელი. გმირები დასხდნენ და ამბების მოყოლა დაიწყეს, ვის უფრო უცნაური რამ გადახდენოდა თავს.

როსტომის მოთხრობილი ამბავი	ტარიელის მოთხრობილი ამბავი	ამირანის მოთხრობილი ამბავი
<p>როსტომი ჰყვება უცნაური ძალის მქონე კაცის ამბავს, რომელიც ცხენს ცხენზე სტყორცნიდა.</p>	<p>ტარიელმა თორმეტ გმირთან ერთად ღამე გაათია გამოქვაბულში, სადაც გოლიათის ჩონჩხი გაცოცხლდა და თავისი დროის ამბავს მოჰყვა:</p> <p>მის დროს პურიდან რძე გადმოდიოდა, ახლა კი სისხლიან პურს ჭამენ. გოლიათი ითხოვს, ისეე ჩონჩხად აქციონ.</p> <p>ტარიელისა და მისი მეგობრების ლოცვით გოლიათი კვლავ თავის პირვანდელ სახეს უბრუნდება.</p>	<p>ამირანი მომსწრე გახდა იმისა, თუ როგორ დახოცეს დევებმა ერთმანეთი ღამაში დევქალის გულისთვის. ამირანმა დევქალთან გაათია ღამე. მეორე დღეს, როცა დევების დამარხვა დააპირა, მათ გვამებს ვერ მოერია. ქალმა კი ერთი ფეხის დაკვრით ჩაყარა დევები საფულავში.</p>

როსტომი, ტარიელი და ამირანი პირობას დებენ, რომ ერთმანეთს გაჭირვების უამს მიეშველონ.

მიუხედავად იმისა, რომ ჩართო თხრობის ფორმა თავისი არსებით ლიტერატურულია, თავისი ადგილი უჭირავს ხალხურ თხრობით ტრადიციაშიც. ჩარჩო თხრობის შემცველი ზეპირსიტყვიერი ტექსტები შინაარსობრივად



[18] რუსუდანიანი, XVII ს, S 4625, 19r.

ლიტერატურული მოთხრობიდან და მისი მოტივებიდან მომდინარეობენ და არცთუ ისე ვრცელი მოცულობის არიან: მაქსიმუმ სამ ან ოთხ მოკლე მოთხრობას შეიცავენ. ჩარჩო თხრობის უანრი მოიცავს ტრადიციული მოთხრობების ყველა ტიპს: „მოხუცი ნავეზირალი“, „გულუზარი“ და „ამბოვი სამი გმირისა“ ლიტერატურულ და ხალხურ მოტივებს აერთიანებენ. ჩარჩოში ჩასმული მოთხრობის მთხრობელი ან თვითონ იცნობს პერსონაჟს, რომელსაც გადახდა თავგადასავალი, ან სხვა თვითმხილველისგან აქვს გაგონილი.

მართალია, ჩარჩო თხრობის უანრი უფრო მნიგნობრული ტრადიციის კუთვნილებაა, ვიდრე ფოლკლორულის, მაგრამ სწორედ ლიტერატურული უანრი ეძებს ზეპირ ტრადიციაში შთაგონებასა და ნარატიულ მასალას და ასე ინახავს ზეპირი თხრობის უამრავ ელემენტს, თუნდაც მის ტექსტუალიზაციას ახდენდეს.

ჩარჩოვან თხრობას ადვილად შეუძლია ადაპტაცია სხვადასხვა ლინგვისტურ და კულტურულ კონტექსტში. ჩარჩოს კომპლექსი ზეპირ ტრადიციაშიც ცოცხლობს და ხშირად პერფორმანსის კონტექსტზე არის დამოკიდებული. ქართული ზეპირსიტყვიერების მაგალითზე ვხედავთ, თუ როგორ იქცევა ჩარჩოვანი თხზულება ზეპირ გადმოცემად, რომელიც ადგილობრივი მსმენელის მოლოდინსაც აკმაყოფილებს და იმავედროულად ინარჩუნებს თავის ეგზოტიკურ წარმომავლობასაც.



**IV ნაწილი**

**ქალი პერსონაჟები**







ხალხური ნოველებისა და ჯადოსნური ზღაპრების კლასიფიკაცია შესაძლებელია არა მარტო სტრუქტურული და თემატური კრიტერიუმის საფუძველზე, არამედ პერსონაჟთა სქესის მიხედვითაც. არ უნდა იყოს ინტერესმოკლებული საკითხი, თუ როგორ არიან წარმოდგენილი ქალი პერსონაჟები ლიტერატურულ და ფოლკლორულ სიუჟეტთა გადამუშავებებში. განსაკუთრებით იქცევა ყურადღებას ძლიერი ფსიქიკისა და ნებისყოფის მქონე გმირი, რომელიც ზღაპრის ფინალს ცვლის.

## ქალები უსამართლოების წინააღმდეგ

ქალის პატიოსნებაზე დადებული სანაძლეოს თემა ხშირია ხალხურ ნოველისტურ ზღაპრებში როგორც ევროპულ, ისე აღმოსავლურ ფოლკლორში. „ზღაპრის სიუჟეტთა საერთაშორისო საძიებელში“ ეს ტიპი აღწერილია რეალისტური ზღაპრების კატეგორიაში როგორც ATU882 – სანაძლეო ცოლის პატიოსნებაზე:

ქმარი აქებს თავისი ცოლის პატიოსნებას და დანიძლავდება მეგობართან (ან მეტოქესთან). გმირის მონინა-აღმდეგე მოიხდის მსახურს, რომლის მეშვეობით საიდუმლოდ შედის ქალის ოთახში, ქალს არ ეკარება, მაგრამ ხედავს მის თანდაყოლილ ნიშანს მკერდზე (ან მისი ოთახიდან იპარავს რაიმე ნივთს: ბეჭედს, ტანსაცმელს) და ამბობს, რომ ქალი შეაცდინა. ქმარი ცოლის მოკვლას უბრძანებს მსახურებს სახლიდან მიდის. ქალი გაექცევა მკვლელებს და კაცის ტანსაცმელში გადაცმული მოგზაურობს. ის მოიპოვებს მაღალ თანამდებობას სხვა სამეფო კარზე, სადაც ხვდება თავის ქმარს და დაუმტკიცებს თავის უდანაშაულობას. ზოგ ზღაპარში ქალი მისდევს თავის ქმარს და ემსახურება რამდენიმე წლის განმავლობაში (კაცის ტანსაცმელში გადაცმული). ბოლოს მატყუარას ამხილებენ და წყვილი კვლავ შეერთდება.<sup>342</sup>

ხალხური ნოველის ამ ტიპის მრავალრიცხოვანი მაგალითები არსებობს, რომლებიც ლიტერატურულ და ზეპირ გადმოცემათა შორის ძლიერ ურთიერთგავლენაზე მეტყველებს. ამდენად, ATU882-ის პერსონაჟი ქალი

<sup>342</sup> Uther, Hans-Jörg: *The Types of International Folktales. A Classification and Bibliography. Based on the System of Antti Aarne and Stith Thompson. Part 1. Animal Tales, Tales of Magic, Religious Tales, and Realistic Tales, with an Introduction.* Helsinki, Academia Scientiarum Fennica, 2004, p. 505.

ლიტერატურისმცოდნეობით კონტექსტშიც უნდა განიხილებოდეს, რადგან ლიტერატურულ დისკურსში იმავე სტიერეოტიპებს ვხვდებით, რასაც ზეპირ გადმოცემაში. ამ მხრივ განსაკუთრებით გამორჩეულია უილიამ შექსპირის პიესები, რომლებშიც ანტიკურ მითოლოგიურ სიუჟეტებთან ერთად ზღაპრული მოტივებიც გვხვდება („ვენეციელი ვაჭარი“, „ზაფხულის ღამის სიზმარი“, „ჭირვეულის მორჯულება“, „მეფე ლირი“ და სხვ.). შექსპირის პიესების სასიყვარულო ამბები ბევრ რამეში ამჟღავნებს მსგავსებას ხალხური ზღაპრის რომანულ ურთიერთობებთან.

ხალხური პროზის ჟანრებსა და შექსპირის პიესებს შორის პარალელი რომ გავავლოთ, მაქს ლიუთის დაკვირვებით, ბევრ მსგავსებას ვიპოვიot. ხალხური ზღაპრის კონტრასტული ქორწინებები და შექსპირის გმირების სიყვარულიც მსგავსია. ხალხური ზღაპარი ერთმანეთს აახლოებს სხვადასხვა სოციალურ ფენებსა თუ ეთნიკურად განსხვავებულ ადამიანებს – მწყემსსა და პრინცესას, კონკიასა და პრინცს: „ზღაპარი არავითარ შემთხვევაში არ არის მხოლოდ ოცნების პოეზია, არამედ პოეტური მსოფლმხედველობა, რომელიც თავისებურად ხატავს ორ ურთიერთგანსხვავებულ და ერთმანეთისკენ მისწრაფულ პოლუსს, როგორც ამას შექსპირის სასიყვარულო ტრაგედიებში აღმოვაჩინთ: ოტელო, რომეო და ჯულიეტა, ანტონიოსი და კლეოპატრა, ტროილუსი და კრესიდა“.<sup>343</sup> შექსპირის კომედიებში არეკლილი სამყაროს სურათი არ არის უცხო ხალხური ზღაპრისთვის, რომელშიც გმირი იზოლირებულად ჩნდება თავიდან, მაგრამ შემდეგ ღია და უნივერსალურია სხვებთან ურთიერთობებში.

„ციმბელინი“. უილიამ შექსპირის პიესა „ციმბელინს“ საფუძვლად უდევს ძველი ბრიტანელი მეფის, ცინობელინუსის ლეგენდა, რომლის სიუჟეტი ფართოდ არის გავრცელებული შუა საუკუნეების ლიტერატურასა და

<sup>343</sup> Lüthi, Max. Shakespeares Dramen. Berlin, Walter de Gruyter, 1966, S. 106.

ზეპირ გადმოცემებში. შექსპირის პიესის ძირითადი წყაროა რაფაელ პოლინშედის (1529-1580) ქრონიკები, რომლის თხზულებებს შექსპირი სხვა ისტორიული პიესებისთვისაც იყენებდა („მაკბეტი“, „მეფე ლირი“). ბრიტანელი მონარქის, ცინობელინუსის რეალური ცხოვრება ჯერ კიდევ ჯეფრი მანმოუთმა (დაახლ. 1100-1155) აღწერა ბრიტანელ მეფეთა ისტორიაში („Historia Regum Britanniae“). „ციმბელინის“ ძირითადი მოტივები: ცოლის ერთგულების შემონახვა, სანაძლეო და საიდუმლო ხალის ამბავი კი ჯოვანი ბოკაჩო (1313-1375) „დეკამერონიდან“ მომდინარეობს. უახლეს კვლევებიდან აღსანიშნავია ელგუჯა ხინტიბიძის მონოგრაფია „შუა საუკუნეების ქართული პოემა ვეფხისტყაოსანი და შექსპირის გვიანდელი პიესები“, რომელშიც „ციმბელინის“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ უნდა ყოფილიყო.<sup>344</sup> მიუხედავად ლიტერატურული მოტივების გამოყენებისა, შექსპირის პიესა თავისუფალი ინტერპრეტაციაა ორიგინალური ქვე-სიუჟეტებითა და ისტორიული თემატიკის დრამატიზებით. თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში „ციმბელინი“ ნაციონალური იდენტობის კონტექსტშიც კი არის გააზრებული.<sup>345</sup>

ხუთმოქმედებიანი პიესა „ციმბელინი“ ბედნიერი დასასრულის გამო მიჩნეულია ტრაგიკომედიადა, თუმცა შექსპირის პიესების პირველ სრულ კრებულში (1623 წლის გამოცემა) მისი სახელწოდება იყო „ციმბელინის ტრაგედია“.

მეფე ციმბელინს სამი შვილი ჰყავდა პირველი ქორწინებიდან. მისი ორი ვაჟი გიდერიუსი და არვირაგუსი ბავშვობაში ერთმა დიდებულმა, ბელარიუსმა მოიტაცა და თავისთან გაზარდა. ქალიშვილი იმოჯენი მამის სასახლეში ცხოვრობდა მანამდე, სანამ არ გაექცა არასა-

<sup>344</sup> Khintibidze, Elguja. *Medieval Georgian Romance The Man in a Panther-Skin and Shakespeare's Late Plays*. Amsterdam: „Adolf M. Hakkert Publisher“, 2018.

<sup>345</sup> Escobedo, Andrew. „From Britannia to England: Cymbeline and the Beginning of Nations“ in: *Shakespeare Quarterly*, Volume 59/1, Spring 2008, pp. 60-87.

სურველ ქორწინებას კლოტენთან, მისივე დედინაცვლის შვილთან. იმოჯენი მამის სურვილის წინააღმდეგ დაქორწინდა პოსთუმუსზე. განრისხებულმა მეფემ სიძე რომში გააძევა. რომში პოსთუმუსი შეხვდა ცბიერ იაკიმოს, რომელმაც გამოიწვია სანაძლეოს დასადებად: თუ იაკიმო პოსთუმუსის ცოლს შეაცდენდა, მის ქონებას დაეპატრონებოდა. ცოლის ერთგულებაში დარწმუნებული პოსთუმუსი იაკიმომ სასტიკად გააცურა. ის სკივრში დამალული შეიპარა მძინარე იმოჯენის ოთახში, მოპარა ქმრის ნაჩუქარი სამაჯური და მის მკერდზე ხალი დაინახა, რომლის აღწერითაც მან სანაძლეო მოიგო. სასონარკვეთილმა პოსთუმუსმა თავის მსახურს, პისანიოს უბრძანა, მოეკლა იმოჯენი. მსახურმა არ შეასრულა ბატონის დავალება და იმოჯენს გაქცევაში დაეხმარა. კაცად გადაცმულმა იმოჯენმა სახელად „ფიდელე“ (ლათ. ერთგულება) დაიქვა და შემთხვევით ტყეში დაუმეგობრდა თავის უცნობ ძმებს. ბევრი ფათერაკის შემდეგ იმოჯენი რომაელთა ჯარის სამსახურში ჩადგა. რომაელებსა და ბრიტანელებს შორის ბრძოლა თავიდან ბრიტანელებისთვის არასასიკეთოდ მიმდინარეობდა. როცა რომაელები ბრიტანეთს მოადგნენ, პოსთუმუსი, რომელიც მანამდე რომაელთა ჯარში იბრძოდა, ბრიტანეთის მხარეს გადმოვიდა. ომი ბრიტანეთის გამარჯვებით დამთავრდა. მეფე ციმბელინმა თავისი დაკარგული შვილები იპოვა, ხოლო იმოჯენი და პოსთუმუსი კვლავ ბედნიერ ცხოვრებას დაუბრუნდნენ. იაკიმომ პოსთუმუსს წართმეული ქონება დაუბრუნა და სასჯელისთვის მოემზადა, მაგრამ პოსთუმუსმა დიდსულოვნად მიუტევა მას დანაშაული.

არსებითი მოტივები – სარისკო სანაძლეო, ქალის საიდუმლოს გაგება უცხო პირის მიერ, გმირის დევნა და სასიკვდილოდ გამეტება, ეჭვიანი ქმრის მოგზაურობა, დამნაშავეისთვის ნიღბის ჩამოხსნა – საერთოა ფოლკლორული და ლიტერატურული ტექსტებისთვის. ევროპულ ლიტერატურაში ეს თემა ფსევდოისტორიულ პერსონაჟებს – კრესცენციასა და ჰილდეგარდისს უკავშირდება.

შუასაუკუნეების გერმანულ ისტორიულ პოემაში „იმპერატორთა ქრონიკა“ (დაახლ. 1140-1150) გადმოცემულია ასეთი ამბავი:

რომის იმპერატორი დიტრიხი შინ არყოფნის დროს თავისი მეუღლის, კრესცენციას მფარველობას სთხოვს ძმას, რომელიც ფარულად შეყვარებულია ქალზე. კრესცენცია უარყოფს მაზლის სიყვარულს და მოახერხებს მისგან თავის დაცვას, ჩაკეტავს რა კოშკში, სახამ ქმარი დაბრუნდება. მაზლი ცილს სწამებს რძალს ლალატში. იმპერატორი დიტრიხი დაუჯერებს ძმას და ცოლის დასჯის ბრძანებას გასცემს. კრესცენცია სასწაულებრივად გადარჩება წყალში დახრჩობას. მას მეთევზე გადაარჩენს. კრესცენცია გაიქცევა სხვა ქვეყანაში, სადაც შერცოგის შვილის ძიძა გახდება. ერთი შურიანი მოხელე შერცოგის კარზე კრესცენციას შეცდენას დააპირებს, მაგრამ მისი ცივი უარის შემდეგ კლავს შერცოგის შვილს და დანაშაულს კრესცენციას დააბრალებს. კრესცენციას კვლავ დაუპირებენ წყალში დახრჩობას, მაგრამ ის წმინდა პეტრეს წყალობით გადარჩება და შეიძენს ღვთაებრივ უნარს, განკურნოს ავადმყოფები. კრესცენცია განკურნავს დარდისგან ლოგინად ჩავარდნილ შერცოგსა და თავის ქმარს, რომლებიც საკუთარი ცოდვებისგან დაისაჯნენ. იმპერატორი დიტრიხი იცნობს თავის ცოლს და ორივენი მონასტერში მიდიან.<sup>346</sup>

ამ ამბის მსგავსია ჟენოვევას ფსევდოისტორიაც (არაკანონიკური წმინდანისა), რომელიც ჩართულია მარტინ ფონ კოხემის (1634-1712), კაპუცინთა ორდენის მღვდლის რელიგიურ თხზულებაში:

გრაფი ზიგფრიდი ბედნიერად ცხოვრობდა თავის ღვთისმოსივ ცოლთან, ბრაბანის შერცოგის ასულ ჟენოვევასთან ერთად. ერთხელ, როცა გრაფი საომრად წავიდა, მეუღლე თავის მსახურს, გოლოს ჩააბარა. ჟენოვევაზე შეყვარებულმა და მისგან უარყოფილმა გოლომ შურისძიების მიზნით ქალს მზარეულთან ლალატში დასწამა ცილი და დილეგში ჩაამწყვდია. ქმარმა დაიჯერა ცოლის

<sup>346</sup> Uther, Hans-Jörg. „Crescentia“ in: Enzyklopädie des Märchens. Band 3. Berlin/New York, Walter de Gruyter, 1981, S. 168.

ლალატი და ბრძანა, ცოლიც და შვილიც მოეკლათ. მსახურებს შეეცოდათ დედა-შვილი, არ მოკლეს, ტყეში დატოვეს და სასჯელის აღსრულების ნიშნად გოლოს ძალის თვალები და ენა წაუღეს. ჟენოვევამ და მისმა ვაჟმა გამოქვაბულს შეაფარეს თავი. ჟენოვევას სასწაულებრივი საზრდო მოუვლინა ღმერთმა. ანგელოზმა მას ჯვარი მისცა, მწველი ირმისგან საკეებს იღებდა, ხოლო მგელმა ცხერის ტყავი მოუტანა ბავშვის შესამოსად. ომიდან შინ დაბრუნებულმა გრაფმა ინანა თავისი ნაჩქარევი გადანყვეტილება, როცა ჟენოვევას დატოვებული წერილი წაიკითხა. გავიდა შვიდი წელი. ერთხელ, ნადირობისას გრაფი ირემს დაედევნა, რომელმაც ჟენოვევას გამოქვაბულთან მიიყვანა. ქმარმა იცნო თავისი ცოლი და კვლავ სასახლეში დააბრუნა. ბოროტი მსახური დასაჯეს. ჟენოვევას დიდხანს აღარ უცოცხლია. მას ხილვა ჰქონდა, რომ ღვთისმშობელმა ანგელოზების დასთან ერთად ზეცაში წაიყვანა. ამის შემდეგ ჟენოვევა გარდაიცვალა. გრაფმა ცოლის სახელზე ტაძარი ააშენა და ვაჟთან ერთად მთელი ცხოვრება განდევნილობაში გაატარა იმავე გამოქვაბულში, სადაც მანამდე ჟენოვევა ცხოვრობდა.<sup>347</sup>

ქორწინებისა და ლალატის თემატიკა ხშირია ევროპულ ისტორიულ თქმულებებშიც. ჟენოვევა და კრესცენცია ფსევდონისტორიული პერსონაჟები არიან. რეალურად არსებული პიროვნება, რომელსაც უდანაშაულოდ უყენებენ ბრალდებას, არის ჰილდეგარდისი (758-783), იმპერატორ კარლოს დიდის მეორე ცოლი. მასაც იგივე ამბავი გადახდა, რაც კრესცენციასა და ჟენოვევას, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ მისი უდანაშაულობა სასწაულით დამტკიცდა: როცა ქმარმა მის ერთგულებაში ეჭვი შეიტანა, სამსჯავროზე დიდებულები მოიწვია. ამ დროს მოხდა სასწაული – ტაძარში შემოსულ მზის სხივზე ჰილდეგარდისის ხელთათმანი გაჩერდა, რაც მისი უმნიკვლობის დასტური იყო.<sup>348</sup>

<sup>347</sup> Vanja, Konrad. Genovefa. In: Enzyklopädie des Märchens. Band 5. Berlin/New York, Walter de Gruyter, 1987, S. 1004.

<sup>348</sup> Maaz, Wolfgang. Hildegardis. In: Enzyklopädie des Märchens. Band 6. Berlin/New York, Walter de Gruyter, 1990, S. 1018.

ერთგულებაში დაეჭვების თემა პოპულარულია შუა საუკუნეების ევროპულ საერო ლიტერატურაშიც. ყველა სიუჟეტი მსგავსია: ქმრის არყოფნაში მაზლი ან რომელიმე დიდებული ცდილობს ქალის შეცდენას, მაგრამ ამაოდ და შურის გამო მას ცილს დასწამებს ლალატში.

ამგვარ თემებზეა აგებული XIII საუკუნის ფრანგული პოემა „Le Comte de Poitiers“, ამავე პერიოდის რომანები „Le Roman du Roi Flore et la belle Jeanne“, „Le Roman de la Violette des Gerbert de Montreuil“, XIV საუკუნის დრამა „Comment Ostes, roy d'Espagne perdi sa terre par gager contre Beregnier“, რომლის გავლენით XV საუკუნეში შეიქმნა „Histoire de Gérard de Nevers et de la belle et vertueuse Euryanthe“ და XVIII საუკუნემდე დიდი პოპულარობით სარგებლობდა ევროპის სხვა ქვეყნებშიც – გერმანულად თარგმნა ფრიდრიხ შლეგელმა (1772-1829), ხოლო კომპოზორმა კარლ მარია ფონ ვებერმა (1786-1826) თავისი ოპერის, „ვერიანტეს“ ლიბრეტოდ გამოიყენა.<sup>349</sup>

შუა საუკუნეების ფრანგულ რომანებში მთავარი გმირი ფეოდალური წრის წარმომადგენელია. უდანაშაულოდ ბრალდებული ქალი ნებისყოფასა და ხასიათის სიმტკიცეს ავლენს, მაგრამ არ არის აქტიური პერსონაჟი და უკანა პლანზე დგას.

შუა საუკუნეების ეპიკურ ნაწარმოებებში ქალები მეორეხარისხოვანი პერსონაჟები არიან. ისლანდიურ საგებში ქალები მაშინ შემოდიან სიუჟეტში, როცა ეს მოქმედების განვითარებისთვის არის აუცილებელი, ძირითადად ცოლის, მოახლის ან ჯადოქრის ფუნქციით. საგმირო რომანების კეთილშობილი ქალებიც პასიური პერსონაჟები არიან. ისინი არ არიან წარმოდგენილი როგორც რეალური ადამიანები, არამედ როგორც კაცების სამყაროში მოქცეული ფილოსოფიური და ფსიქოლოგიური სიმბოლოები.<sup>350</sup> დიდგვაროვანი ქალები პლატონური სიყვარულის ობიექტები არიან მაშინ, როცა დაბალი ფენის გოგონებისა და რაინდების სა-

<sup>349</sup> Moser-Rath, Elfriede. Cymbeline. In: Enzyklopädie des Märchens. Band 3. Berlin/New York, Walter de Gruyter, 1981, S. 191-192.

<sup>350</sup> Moser-Rath, Elfriede. Frau. In: Enzyklopädie des Märchens. Band 3. Berlin/New York, Walter de Gruyter, 1987, S. 104.

სიყვარულო ურთიერთობები ნაკლებად იდეალიზებულია. გასართობი ფუნქცია ჰქონდა აგრეთვე იმ ხალხურ ნოველებს, რომლებიც მოღალატე ცოლის თემაზე იყო აგებული.

შუასაუკუნეების ევროპულ ლიტერატურაში ქალის ამბივალენტური სურათს ვხედავთ, რომელიც ბიბლიიდან იღებს სათავეს, ევასა და ღვთისმშობლის კონტრასტიდან. ამის მაგალითები მრავლად არის XVI-XVIII საუკუნეების ფრანგულ, იტალიურ და ესპანურ სატირაში.<sup>351</sup>

კაცად გადაცმული ქალის ეპიზოდი პირველად XIV საუკუნის იტალიურ ვერსიებში გვხვდება ანონიმი ავტორის თხზულებაში და ამით ბოკაჩოს „დეკამერონში“ ჩართულ ამბავს ჰგავს. მკვლევრები ვარაუდობენ, რომ იტალიური სიუჟეტები ერთმანეთთან გარკვეულ კავშირშია. მათი მოქმედების ადგილი არის პარიზი, გენუა და აღმოსავლეთის ქვეყნები. მოქმედი პირები ვაჭართა წრის წარმომადგენლები არიან.<sup>352</sup> „დეკამერონის“ ფართოდ გავრცელების შედეგად და მისი გავლენით შეიქმნა XVII საუკუნეში რამდენიმე გერმანული და ესპანური დრამატული ნაწარმოები. „დეკამერონმა“ დიდი როლი ითამაშა ლიტერატურული სიუჟეტების ფოლკლორულ გადამუშავებებშიც.

კაცის ტანსაცმელში შენიღბვას შექსპირის პიესაში დიდი დრამატული დატვირთვა ენიჭება, არსებითად, აქედან იწყება იმოჯენის მოქმედება და ბრძოლა სამართლიანობისთვის (მოქმედება III, სცენა V):

Imogen: There's more to be consider'd; but we'll even  
All that good time will give us. This attempt  
I am soldier to, and will abide it with  
A prince's courage. Away, I pr'ythee.<sup>353</sup>

<sup>351</sup> Moser-Rath, Elfriede. Frau. In: Enzyklopädie des Märchens. Band 3. Berlin/New York, Walter de Gruyter, 1987, S. 106.

<sup>352</sup> Moser-Rath, Elfriede. Cymbeline. In: Enzyklopädie des Märchens. Band 3. Berlin/New York, Walter de Gruyter, 1981, S. 192.

<sup>353</sup> ბევრ რამეზე დაეფიქრდები; მაგრამ ჩვენ  
შესაფერის დროს დაველოდებით. მეც ჯარისკაცი ვარ,  
და მუდამ წინმაველი, მამაცი უფლისწულისებრ.  
ნავიდეთ, გთხოვ.

Shakespeare, William. The complete Works. New Lanark, Scotland: Midpoint Press, 2001, p. 628.

იმოჯენის საბრძოლო განწყობას პიესაში პეროიკული სცენები აძლიერებს. შექსპირის „ციმბელინი“ რომის ეპოქის ქრონიკებსა და ინგლისის ისტორიას ეყრდნობა. სწორედ ამიტომაც ინგლისური რენესანსის მკვლევარი ენდრიუ ესკობედო ამ პიესას მოაზრებს, როგორც შექსპირის სკეპტიციზმის გამოვლინებას ეროვნული იდენტობის მიმართ. იგი „ციმბელის“ ისტორიულ პიესებთან ათანაბრებს, როგორც წყაროს ეროვნული ცნობიერების შესწავლისთვის.<sup>354</sup>

მოუხედავად იმისა, რომ „ციმბელის“ სიუჟეტი ისტორიული ქრონიკებიდან მომდინარეობს, მეცნიერები უფრო დამაჯერებლად მიიჩნევენ „დეკამერონის“ გავლენას იმოჯენის, პოსთუმუსისა და იაკიმოს ამბავთან დაკავშირებით.

უდანაშაულოდ ბრალდებული და დევნილი ქალის ამბავი მოტივთა ის კომპლექსია, რომელიც აერთიანებს ცილისწამებას, დასჯას, სასწაულებრივად გადარჩენას და შემდგომ რეაბილიტაციას. ამ სიუჟეტის ძირითადი შტრიხები ჯერ კიდევ ძველ ინდურ და აღმოსავლურ ფოლკლორში გვხვდება და ფართოდ არის გავრცელებული ხალხურ თეატრალურ სანახაობებშიც.

ზღაპრის ტიპთა საერთაშორისო საძიებელში ეს სიუჟეტი დაფიქსირებულია მსოფლიოს თითქმის ყველა კონტინენტზე და მისი მრავალრიცხოვანი ვერსიები არსებობს: ინგლისურ-კანადური, ფრანგულ-კანადური, მექსიკური, ბრაზილიური, ფინური, შვედური, ესტონური, ლიტვური, ლატვიური, დანიური, ისლანდიური, ირლანდიური, ინგლისური, პორტუგალიური, ფლამანდრიული, გერმანული, ავსტრიული, იტალიური, სარდინიული, უნგრული, ბულგარული, პოლონური, რუსული, ბელორუსული, უკრაინული, ქართული, თურქული, ირანული, ოსური, ტაჯიკური, სირიული, პალესტინური, იორდანული, იემენური, ინდური, ბოშური, ინდონეზიური, ეგვიპტური, მაროკოული, თუნისური, ალჟირული და სხვა.

---

<sup>354</sup> Escobedo, Andrew. From Britannia to England: Cymbeline and the Beginning of Nations. In: Shakespeare Quarterly, Volume 59/1, Spring 2008, pp. 60-87.

საქართველოში ამ ზღაპრის პირველი ფიქსირებული ტექსტი XVII საუკუნეში გვხვდება ბერნარდე ნეაპოლელის მიერ ჩანერილ ქართულ ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს შორის. მოგვყავს მთლიანი ტექსტი:

### უდანაშაულო ცოლი

იყო ბალდადს ერთი მდიდარი ხოჯა საედა და შეირთო ასეთი ცოლი, რომე მის უმშვენიერესი არ ინახვის რა. ქალაქს გარეთ ასეთი სასახლე აიშენა, რომ არას ჳელმწიფეს მის უკეთესი არა ჰქონდა. ორმოცი ლამაზი მუახლე ახლდა. ასერე უყუარდა ცოლი, რომ ერთს დღეს უმისოდ ვერ გაძლის. გამოვიდა ერთი ნელინადი, უთხრა ცოლსა: ერთი გეშტი მამივიდა, ჩინეთისაკენ წავალ და ნუ გენყინებაო. უთხრა: ბატონი ხარ, წადიო. გაუკეთა ალვა და კოლოფში ჩაუდვა და დაკლიტა. კლიტე თვითონ მისცა, უთხრა: შენის მეტს ნურავის აჭმეო. და დაუგდო მრავალი სახარჯო. ერთი ბებერი დედაკაცი კარზე დაუყენა. ჩემს წიგნს შემოგიტანდესო. აჰკიდა მრავალი საქონელი და წავიდა.

იარა და შუა გზას რომ მივიდა, ერთი ჩინეთის ხოჯა ალი მოვიდოდა ბალდადისაკენ და წინ დახუდა. აწვივა ხოჯა საედამ ხოჯა ალი. დასხდეს ლხინად. მოატანიდა ალვა. ჭამა თითონ ხოჯა სეიდამ, ხოჯა ალის არ აჭამა. უთხრა: მე რისთვი არ მაჭამეო? რა არისო? ხოჯა სეიდამ უთხრა: ასეთი დაბარებულობა მაქუს, სხუას ვერ ვაჭმევ!

ხოჯა ალიმ უთხრა: დავინაძლევინეთ, წავიდე ბალდადს და შენი ცოლი კიდევ ვნახო და მისი ნიშანიც მოგიტანო, რაც შენ საქონელი გაქუს მე მამცე, თუ არა და, რაც მე მაქუს – შენ მოგცემ.

მისცა წიგნი. ხოჯა სეიდა წამოვიდა ჩინეთისაკე. მოვიდა ჩინეთს. გამართა ქულბაქი და დაინყო ვაჭრობა.

წამოვიდა ხოჯა ალი და მოვიდა ბალდადს. და იკითხა ხოჯა სეიდის სასახლე სად არისო. იმათ უთხრეს: ჩუენ არ ვიცით, იმის სასახლეში კაცი ვერ შევა. ამ ქალაქს გარეთ არის. ერთი დედაბერი უთქს კარზედა. იმისმეტი ვერვინ შევა და ვერც ვინ გამოვა.

მივიდა ხოჯა ალი დედაბერთანა. ერთი ტომარა ფლური მისცა დედაბერსა. გაუკეთა ზანდუქი და ჩასვა შივა.

და სანერელი კალამი და ქალღმერთი თან ჩაიტანა. წინ ასრე დაქურეტილი იყო, იქიდან ყუელას ხედვიდა. შეიტანა დედაბერმა ზანდუკი. შეეხვენა დედაბერი ხოჯა სეიდის ცოლსა: მაქას ნავალ და ეს ზანდუკი შენთან შემინახეთ და პირდაპირ დაიდგით.

ხოჯა ალი სულ ხედავს ან რა აცვია ან რა ხურავს, ან რამდენი მუახლე ახლდა, ან რასა სვამს ან რასა სჭამს, ან რას სახისა ან სახელები რა ჰქუიან. ყოველდღე სხუა და სხუა ჩაიცვის.

მესამესა დღეს დედაბერი მევიდა, მოახსენა. დიდი ხანს უნახავი შვილი მამივიდაო და ველარ ნაველო. ზანდუკს ნავილებო. ქალმა უთხრა: დღეს აბანოში ნავალ და ჩემთან წამოდი! ნავიდა აბანოში ქალი, დედაბერიც მიყუა. ზანდუკი თან შეიტანა. უჭურეტს ხოჯა ალი: ან როგორ გაშიშულდა, ან როგორ ფუთა, ან როგორ შემოიხვივა, ან ქისა რომელმა ნაუსვა, ან რა ჩაიცვა, ან რა დაიხურა.

გამოვიდეს აბანოდამე. დედაბერმა ზანდუკი ნაილო. ამოვიდა ხოჯა ალი და ნავიდა ჩინეთისაკე. მივიდა ჩინეთს, რომელსაც ქულბაქზე ხოჯა სეიდა იჯდა – მივიდა, აჩუნა ნიგნი და გარდამოაგდო ქულბაქიდან, ნაართო საქონელი რაც ჰქონდა, გამოაგდო.

მივიდა ერთის მეჩიტის კარზედა და დაჯდა. ნიგნის წერა გამოიჩინა. ვისცა დაუნერის, ფული მისციან. იმით რჩება. ერთი შავი ყული ახლდა, სახელათ მირეაქ ერქუა. უბძანა ხოჯა სეიდა შავს ყულსა: მე სირცხვილით იქ ველარ ნავალ, შენ წადი და კაი ანბავი ეგონება და შეგიშვებენ და მოკალ!

წამოვიდა. მოვიდა. დაინახეს და კარი გაულეს. შევიდა. ფიცხლავ ქალს ჳელი წამოსწივა მოსაკლავად. მიეხვივნეს ორმოცი მუახლები. დაიჭირეს: რა დავაშავეთო, ჳელი შეუკრეს. მოახსენა შავმა ყულმა: ჩინეთის ხოჯა ალი მოვიდა, თქუენი ანბავი ყუელა ნიშნეულად უანბო. რა სახისა იყავით ან რა სახელები გერქუათ, რა გესვათ ან რა გეჭამათ, ან რა გეცვათ, ან რა გეხურათ – ყუელა ნიგნით მოუტანა!

ხოჯა სეიდის ცოლი მიხუდა: უსაცილოდ ეს დედაბერ-  
მა გვიყო, ზანდუკი რომ შემოგვიტანა! მოიკაზმა ქალი  
ვაჟურად. ორმოცი მოახლე ყულად მოჰკაზმა, აჰკიდეს  
ორმოცი აქლემი თვალი და მარგალიტი, ოქრო და ვერცხ-  
ლი. წამოვიდა ჩინეთისაკე. გალატოზი იქ იშოვნა. მივიდა  
ჩინეთს. ქალაქს გარეთ ასეთი ქარვასლა ააშენებინა ორ-  
მოცს დღესა და დაახატვინა ოქროს ვარაყითა და ლაჟურ-  
არდითა, რომე ჩინეთის ჯელმნიფეს არა ჰქონდა. დაჯდა  
ქულქაბზედა, დაუნყო იაფად ვაჭრობა. დაუარდა სიკეთი-  
სა და სილამაზის ჯმა. მოვიდიან ვაჭარნი ისრე, სავაჭრო  
არ უნდოდის, რომ იმისი ნახვა იამებოდის.

მოახსენეს ჩინეთის ჯელმნიფესა: ერთი ასეთი ვაჭარი  
მოვიდა ბალდადიდამე, რომე კაცის თვალთ იმის უშვე-  
ნიარესი არ ინახვის რა: სახელად ხოჯა სეიდანის შვილი  
სეიდა ჰქუიან. ორმოცი ლამაზი ყული ახლავს. წამოვიდა  
ჯელმნიფე სანახავად. შეატყობინეს ჯელმნიფე შენდა სა-  
ნახავად მოვა. გაშალა ფიცხლაე ფეთანდაზი. შვიდი ყუ-  
ლი მიაგება, შვიდი ხონი თვალი და მარგალიტი მიართვეს.  
ჯელმნიფეს თვალი იმ ვაჟზე დარჩა. თითო პეშვი თვალი  
და მარგალიტი აიღო. მოახსენეს: სრულ ჯელმნიფესათვის  
მოგვირთმევი. იამა და მოენონა ჯელმნიფესა და ამ ვაჟის  
აშიყი შეიქნა. გაბრუნდა, გამოუგყავნა კაცი, დაპატიჯა.  
დამპატიჯებელსა კაცსა ერთი ჯელი პატიოსანი ხალათი  
ჩააცვა.

ენეივა და მივიდა. დასხდეს ლხინად. მოატანინა მრავა-  
ლი საჭმელი და ღვინო მოართვეს. მოახსენა: სადა სეიდის  
შვილი და სად ღვინოს სმა! აღარც ჯელმნიფემ დაალივა.  
მოატანინა მრავალი მახა. დაუნყეს შარბათს სმა. დაპა-  
ტიჟა: ამალამ აქ იყო. მოახსენა: ვერ დავდგები, ქულბაქ-  
სა ვერ გაუშვებ! ჯელმნიფემაცა ნახა, მრავალი საქონელი  
მაქუს და მტერიც ბევრი მყავს, უკაცურს ვერ გაუშვებო.  
მოახსენა: როდისაც მიბრძანებ, კიდევ გეახლები!

წამოვიდა და უთხრა შავს ყულსა: შენი ბატონი სად  
არის, იმასთან მიმიყუანეო, დაარიგა თავისი მხლებელნი:  
არამც შეგიტყობინებიათ.

წაუძღვა და აჩუნა, მეჩიტის კარზე იჯდა წიგნისა საწერად. გამოართო და ნახა, მოეწონა და უთხრა: ჩემთან წამოდი, ვეზირად დაგაყენებ!

გაეხარდა და წამოჰყუა. მიიყუანა და გაუკეთა სახლი და დასვა. წამოვიდა მჭედელთანა. დალი შეაქნევინა თავის მამის სახელზედა. მოვიდა, ერთი ხალვათხანა გააკეთა. ლამაზგუარათ მოჰფინა და მორთო. ერთი მაყალი დადგა. გაიჭადა, ვაჟური ტანისამოსი გაიჭადა, ჩაიცვა ქალური ტანისამოსი. თავის ჩადრი წამოისხა და წავიდა ხოჯა აღისთანა. მივიდა, ხანდახან პირი ჩინის. დიალ იამა ხოჯა აღის. ჰკითხა: რომელიც გეპრიანება, აიღევითო. უთხრა: შენი თავი მინდაო. თუ თქუენ ჩემი თავი გინდა, მე თქუენი თავი მინდა. დაჰპატიჟა, ჩემსა წამოდიო.

წამოვიდენ. დასვა და კარგი ლხინი უჩუნა. მეღუინედა დადგა. ჩაუყარა ბანგი, დააღევინა. მოკუდა. გააჭურვია დალი, ჩახადა ნიფხავი და ტრაკზე დაადგა.

ქალი ისევ ვაჟად მოიკაზმა. გამოელვინა ხოჯა აღის. ჯელი მოივლო, ენოდა. ასე თქუა: მაყალზე დამინვაესო. წავიდა. ერთს კუირას კარში ველარ გამოვიდა. გამთელდა, აბანოში წავიდა. წავიდა ვაჟი ჯელმნიფესთანა და მოახსენა: აქ ერთი ჩემი ყული არის, ხოჯა აღი ჰქუიან, ის მიბოძოს. ჯელმნიფემ უბოძა. ვეზირნი და კარის კაცნი გაჰკუირდეს. ეს კაცი აქაური მემკვიდრე არის, აქაურის ქალანთრის ქალი უთქს. მოახსენა ვაჟმა: ჯელმნიფემ მოაყუანინოს, ანახვინოს, თუ მამის ჩემის დალი იჯდეს – არას მემართლებით.

მოაყუანინეს და ნახეს: საჯდომზე დალი იჯდა. მისცეს მისის ქონებითა ან რაც იმისის ქმრის საქონელი იყო. გამოესალმა ჩინეთის ჯელმნიფესა და წამოვიდნენ ბაღდადისაკენ. მოვიდეს შუა გზაზედა. დადგეს. მოასხმევინა ხოჯა სეიდა და ხოჯა აღი. დასხა და უთხრა ვაზირსა: ხოჯა აღის ჰკითხე, რისთვის ირჯება? ჰკითხა: რისთვის ირჯებო? ხოჯა აღიმ უთხრა: ამის მეტი არა ვიცი რა და ბაღდადის ხოჯა სეიდა ერთგან შევიყარენით და ლხინი ვნახეთ. მოატანინა ალვა და ჭამა. მე არ მაჭამა. დავნაძღვევდით. და მიველ ხოჯა სეიდისასა. ერთი ტომარა ფლური მივეც დე-

დაბერს. ჩამსო ზანდუკშია. ზანდუკი დაჭურეტილი იყო. სადაც ის ქალი იჯდეს, დედაბერმა იქ დამდგა. რასაც იქ მოდეს, ყუელა დავსნერე და ხოჯა სეიდას მოუტანე და ქულბაქიდამ გარდმოვაგდევი: თუ მრჯის იმათი ცოდვა, სხუა არა დამიშავებია რა.

აზატი უყო. ჩემს ყულობას ითქმევიანებდი! გაიკადეს საკაცო ტანისამოსი ქალმა და მისმა მხლებელთა. შეიტყო ხოჯა სეიდა დაუნაშებელი არისო. გამხიარულდეს და ნავიდეს თავის სახლში. მივიდეს, მრავალი საქონელი მოიტანეს.<sup>355</sup>

„უდანაშაულო ცოლის“ ამბავში მოქმედება მუსლიმურ გარემოში მიმდინარეობს, პერსონაჟთა სახელებიც და ტოპონიმებიც აღმოსავლურია.

ბერნარდე ნეაპოლელის მიერ ჩანერილი ზლაპრების შესახებ გამოკვლევაში მიხეილ ჩიქოვანმა განიხილა XVII საუკუნეში ჩანერილი ტექსტის ანალოგიები XX საუკუნეში ფიქსირებულ ნოველისტურ ზლაპრებთან. ის აღნიშნავს სიუჟეტურ მსგავსებას და სტილისტურ განსხვავებას: XVII საუკუნის ტექსტი სხვა სოციალურ და ეთნიკურ გარემოში ვითარდება, ბალდადსა და ჩინეთში კომერციული მოგზაურობის დროს, XX საუკუნეში ჩანერილი ვარიანტები კი საქართველოში, გლეხთა და ვაჭართა შორის.

ქართულ ნოველისტურ ზლაპრებში ATU882 ტიპის ვერსიები საკმაო რაოდენობით არის გავრცელებული როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს კუთხეებში. შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორულ არქივში ამგვარი ზლაპრების სხვადასხვა ვარიანტი ინახება, რომლებიც XX საუკუნის 50-60-იან წლებშია ჩანერილი.<sup>356</sup>

ყველა ამ ზლაპარში მოქმედება ქალაქურ გარემოში ვითარდება და კაცად გადაცმის მოტივიც ყველა ვერსიაში გვხვდება. ნიმუშისთვის მოყვანილია ქართლური ვარიანტის სრული ტექსტი:

<sup>355</sup> ტექსტი შენიშვნებით, გამოქვეყნებული მიხეილ ჩიქოვანის მიერ იხ. მრავალთავში I. ნ. ბერძენიშვილის რედ. თბ. 1964, გვ. 82-85.

<sup>356</sup> ლიტ. ინსტ. ფოლკ. არქ., I 4514 ფაქ58; I 4515 ფაქ58; I 18459 ფაი81; I 23457 ბსკიფა2; I 23681 ფაუფ0002.

ვაჭრები თურმე სხვადასხვა სახელმწიფოში მიდიოდნენ სავაჭროდ. წავიდენ ერთი სახელმწიფოდან მეორეში სავაჭროდ, იქიდან საქონლის შემოსატანად. სხვათა სახელმწიფოში მოიყარეს თავი ამ ვაჭრებმა ერთ სახლში, დაიწყეს იქ საუბრობა: ჩვენ აქა ვართ გამოგზავნილი და ვინ იცის ჩვენ ცოლებთან ვინ ერთობაო. ეხლა ერთ-ერთი ნამუსიანი კაციც ერია ამათში და ნამუსიანი ცოლიც ჰყავდა. ამ კაცმა თქვა, ჩემი ცოლი არასოდეს სხვაზე არ გამცვლისო და არ გამიბრძოლებსო. მერე ერთმა ხუმარა კაცმა კითხა, მე შენი ცოლი თუ შევაცდინე, შენი ქონება ჩემი იყოს და ჩემი კი შენისო, ეხლავე ვდებ ხელშეკრულებასო. ნამოვიდა ეს კაცი იმ სახელმწიფოდან და მივიდა ამ ვაჭრის ოჯახში. მივიდა იმ კაცის ცოლთან და უთხრა, მე შენი ქმარი ვნახეო. ქალმა როგორც სტუმარი ისე მიიღო და პატივი სცა. კაცმა დაიწყო სხვანაირი ლაპარაკი. ქალმა სტაცა ხელი და გააგდო გარეთ. დაღონდა ვაჭარი. არაფერი რომ არ გამოუვიდა და გადასწყვიტა ღონე ეხმარა. მისწავლეს ერთ დედაბერთან და უთხრეს, ის გასწავლის ყველაფერსო. მივიდა ვაჭარი დედაბერთან და უთხრა ასე და ასე მაქვს საქმეო და თუ გამიკეთებ დიდძალ ქონებას მოქცემო. მაშვინ დედაბერმა უთხრა, არა მაგ საქმეს მე ვერ გავაკეთებ, რომ გაიგოს იმ კაცმა, შენც მოგკლავს და მეცო. მაშვინ ვაჭარმა ფული დაახარბა. დედაბერი მოთაფლა. მაშინ დედაბერმა უთხრა, მე ერთ ზანდუკს შევკრავ, შენ შიგ ჩაგსვამო. მიუტან ამ ქალს და მერე შენ იციო. კარგიო, უთხრა ვაჭარმა. დედაბერი ასეც მოიქცა. გაამზადა ზანდუკი, ჩასვა ეს კაცი, ზურგზე მოიკიდა და მიადგა იმ ქალის კარებს და უთხრა, ამ ზანდუკს ერთი ღამით თუ შემინახავო. ქალმა უთხრა, როგორ არაო. მაშვინ დედაბერმა უთხრა, ამ ზანდუკში ოქრო-ვერცხლი მაქვს და თუ შეიძლება, სადაც შენ წევები, იქ შემინახეო. კარგიო, უთხრა ქალმა და მის საძინებელ ოთახში შეატანინა და დაადგმევინა. როდესაც დაღამდა, ქალმა გეიხადა ტანზე და დანვა. მაშვინ კაცი ამოვიდა ზანდუკიდან და დაინახა მკერდზე ხალი. აიღო ქალის ძვირფასი ტანსაცმელები და ჩამალა ყუთში. მეორე დღეს ბებერმა მოიკითხა ყუთი და ნაიღო. გა-

ხარებული კაცი გაიქცა იმ სახელმწიფოში, სადაც ამ ქალის ქმარი იყო. უამბო ყველაფერი. ასე და ასე არის შენი ცოლი და ამა და ამ ადგილზე ხალი აქვსო. ეს კაცი ნაგებული დარჩა და თავისი ქონება ამ კაცს მისცა. ეს კაცი დაბრუნდა თავის სახელმწიფოში ნაგებული. სანამ სახლში მივიდოდა, მან დაუძახა ერთ მოჯამაგირეს და უთხრა, რომ ნადი, ჩემი ცოლი მოჰკალი და მისი კაბა სისხლში ამოსერილი მომიტანეო. რა თქმა უნდა, დათანხმდა მოჯამაგირე და მივიდა ვაჭრის ცოლთან და უთხრა, თქვენი ქმრისგან თქვენი მოკვლა მაქვს დავალებულიო. ქალს ძალიან გაუკვირდა და შემდეგ მოჯამაგირეს უთხრა, შენ ერთ რამეს დაგავალე და გამიგონეო. კარგიო, უთხრა მოჯამაგირემ. მაშინ ქალმა უთხრა, მე ერთი მამალი მყავს, ნადი ის მამალი დაკალი, ამოსვარე ჩემი კაბა იმ სისხლში და მიუტანეო, ხოლო მე მამაკაცურად ჩავიცვამ და გავიქცევი ამ სახელმწიფოდანო. მაშინ შენც გადარჩები და მეცო. მართლაც, ასე მოიქცნენ. მოჯამაგირემ დაკლა მამალი – მოსვარა სისხლში ქალის კაბა და ვაჭარს მიუტანა. ამ ქალმა მამაკაცურად ჩაიცვა და გაიპარა სხვა სახელმწიფოში. ბევრი სიარულის შემდეგ მიადგა ერთ ზღვას და მივიდა ერთ გემთან და გემის მებატონეს უთხრა, თუ შეიძლება, მე შენთან ვიმუშავო მუშათო. მაშინ ბატონმა დიდის ამბით მიიღო და დაიწყო მუშათ მუშაობა, როგორც კაცი. რადგან კარგ მუშათ გამოირჩეოდა, მებატონეს ძალიან შეუყვარდა ეს მუშა. ერთხელ გემის პატრონმა დიდძალი ქეიფი მოაწყო. ამ ქეიფს დაესწრო დიდებული ფაშა. ფაშას მოეწონა ამ კაცის სამსახური, სინამდვილეში ქალი და გემის პატრონს სთხოვა, ეს ქალი მისთვის დაეთმო. გაუძნელდა გემის პატრონს, მაგრამ მისი დიდი ხატრი ჰქონდა და გაატანა. აქ ერთი დღე იყო ისეთი, რომელიც ბაზრობას ჰქონდა დათმობილი და ამ ბაზრობაზე ყველა სახელმწიფოდან მოდიოდნენ ვაჭრები და მოჰქონდათ საქონელი. ამ დღეს ყველაზე ადრე ეს კაცი მოვიდა, რომელმაც თავისი ქმარი მოატყუილა და ამ ქალს სთხოვა, რომ კარგი ადგილი მოეძებნა მისთვის. ქალმა მართლაც ისეთი ადგილი ამოურჩია, რომ სადაც კარგი გასავალი ექნებოდა მის საქონელს.

მეორე დღეს გაიმართა დიდი ბაზრობა. ამ კაცმა ამოიღო თავისი საქონელი გასაყიდდად. ამ ქალმა გაიხედა და იცნო თავისი საცვლები, რომლის მსგავსი არსად არ იყო. ქალმა უთხრა, ეს საცვლები მომყიდე, საცოლისთვის მინდაო. მისცა ვაჭარმა ეს და ქალმა შეინახა ეს ნივთები. დაუახლოვდა ეს ქალი, ვითომ კაცი ამ ვაჭარს და ჩუმად ჰკითხა, სად გიშოვნია ეს ძვირფასი საცვლებიო. მაშინ ყველაფერი მოუყვა ამ კაცმა, იქ როგორ მოხდა ეს ამბავი. მაშინ ამ ქალმა უთხრა, რა სხვა სახელმწიფოებში იარები, მე შენ დიდძალ ბაზარს გაგიხსნი აქო. მხოლოდ ის კაცი, რომელიც შენ მოატყუილე, აქ მომიყვანეო. რა თქმა უნდაო. და მოიყვანა ის ვაჭარი და დაანყებია ცოტ-ცოტა ვაჭრობა. მხოლოდ კაცი ვერ ცნობილობდა თავის ცოლს. ერთ დღეს იმ ქალმა უთხრა ფაშას, მოდი, ერთ დღეს წვეულება გავმართოთო და დაუძახოთო ღირსეულ ადამიანებსო. ფაშაც დათანხმდა და მოიწვია წვეულება, სადაც ეს ორივე ვაჭარი იყო. ქეიფის დროს ამ ქალმა მოითხოვა სიტყვა. მისცეს სიტყვა და დაიწყო ამ ქალმა, რომ მე ამა და ამ კაცის ცოლი ვარ და ამ ვაჭარმა ცრუ საქციელით ჩვენ დაგვაშორა ერთმანეთთან და მთელი ქონება წაართვაო და ქალმა კაცის ტანსაცმელი გაიხადა და ფაშას მიმართა: დიდებულო ფაშავ, ეხლა მითხარი, რა ეკუთვნის ამ კაცსო. მაშინ ფაშამ სიკედილით დასაჯა ეს ვაჭარი ბოროტი საქციელის გაკეთებისთვის. ეს ქალი თავის ქმარს დაუბრუნა და დაიწყეს ბედნიერი ცხოვრება.<sup>357</sup>

ზლაპრის ტიპი ATU882 სანაძლეო ცოლის პატიოსნებაზე ძალიან ჰგავს მონათესავე ტიპს – ATU883A უდანაშაულოდ ბრალდებული ქალიშვილი:

მშობლების არყოფნაში ნათესავი (მეგობარი, მღვდელი, მცველი) ცდილობს შეაცდინოს ახალგაზრდა ქალი. როცა ქალი უარს ეტყვის, ბოროტი პერსონაჟი შურისძიების მიზნით წერს ყალბ წერილს ქალის მამას და ბრალს სდებს უღირს საქციელში. მამა უბრძანებს ვაჟიშვილს

<sup>357</sup> ლიტ. ინსტ., I 4514, ფაქ58, გვ237.

დის მოკლას. ძმა დაინდობს დას (არ სჯერა რა მისი ცუდი საქციელის) და ცხოველის ღვიძლი (გული, სისხლი) მოაქვს მამასთან. ქალი გარბის. მას შემთხვევით შეხვდება მეფე და ცოლად შეირთავს. როცა მეფე ომში მიდის (როცა ქალი მამასთან მიდის ბავშვებით), მეფე აყოლებს მცველს (ძმას, ბიძას), რომ მიხედოს მის ცოლს. აქ ბოროტი პერსონაჟი ცდილობს კვლავ აცდუნოს ქალი. ქალი გაურბის მოძალადეს, მაგრამ კარგავს ბავშვებს. ქალი გაიქცევა კაცის ტანსაცმელში გადაცმული და მამის სახლში მსახურად დადგება. მიუხედავად მატყუარას ცრუ განცხადებისა, რომ ქალი დაიღუპა ან გაიქცა და ბავშვები დახოცა, მეფე ეძებს თავის ცოლს (მამა ეძებს ქალიშვილს). ბოლოს ყველა გმირი თავს იყრის ერთად და კაცად გადაცმული ქალი ჰყვება თავის თავგადასავალს. ბოლოს ოჯახი ისევ გაერთიანდება და ბოროტი ისჯება.

ეს სიუჟეტი დრამატულად არის დამუშავებული აღმოსავლურ ფოლკლორულ და ლიტერატურულ ვერსიებში, ზოგჯერ ტრაგიკული ფინალითაც, რაც მას ევროპული ტრადიციისგან ძირფესვიანად განასხვავებს.<sup>358</sup> „ათას ერთი ლამის“ ამბავი მოკლულ ქალზე (XVIII-XIX ლამეები) შემზარავი ცილისწამების ისტორიას გადმოსცემს: ხალიფა ჰარუნ არ-რაშიდი და მისი ვეზირები იპოვიან სკივრში დამარხულ აკუნულ ქალს და მოძებნიან მის მკვლელს. ირკვევა, რომ ქალი მისმა ქმარმა ეჭვიანობის გამო მოკლა. უცხო ქალაქიდან ჩამოტანილი ვაშლი, რომელიც ბავშვმა დაუფიქრებლად აიღო და ქუჩაში ვილაც კაცმა წაართვა, უბედურების მიზეზი გახდა – ქმარი დაარწმუნეს, რომ ვაშლი მისმა ცოლმა საყვარელს აჩუქა.<sup>359</sup>

<sup>358</sup> იხ. ტაჯიკური ხალხური ზღაპარი „მეჰრუბონუ“ და სომხური ზღაპარი „ერთგული და“. ტაჯიკური ზღაპრები. შეადგინა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ალექსანდრე გვახარიამ. თბილისი: „ნაკადული“, 1972, გვ. 118-129; სომხური ზღაპრები. კრებული შეადგინა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ზაზა ალექსიძემ. თბილისი: „ნაკადული“, 1976, გვ. 62-73.

<sup>359</sup> ათას ერთი ლამე რვა ტომად. ტომი I. არაბულიდან თარგმნა და განმარტებები დაურთო ნანა ფურცელაძემ. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, 1969, გვ. 151-158.

ხალხური ზღაპრების ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი ცვლილების ფენომენია. ზღაპრის მოტივსა თუ კომპოზიციას შესაძლოა რამდენიმე ვარიაცია ჰქონდეს და ყოველთვის არ არის ადვილი გადაწყვეტა, თუ რომელი მათგანი დგას უფრო ახლოს თავდაპირველ ფორმასთან.

საწყისი მოტივი ხშირად სრულიად გადასხვაფერებულია ცვლილების გამო, მაგრამ ცვლილება შეიძლება თვითონვე გადაიხაროს ძველი ფორმისკენ იმ შემთხვევაში, თუ თვითონ ვერ დაიმკვიდრებს თავს. თუ მოტივი განსაკუთრებულად პოპულარულია, ეს სხვადასხვა მთხრობელის ახალ ინტერპრეტაციებს განაპირობებს. ცნობილი შეედი ფოლკლორისტის, კარლ ვილჰელმ ფონ სიდოვის შენიშვნით, ტრადიციულ მთხრობელებს ყოველთვის აქვთ რამდენიმე ალტერნატიული გზა მოტივთა ცვლილებებში, ნაწილობრივ ეს გამონევეულია დავინწყებით, ნაწილობრივ კი იმისთვის, რომ ამბავი უკეთ მოერგოს მის შეხედულებებს, გემოვნებას ანდა სხვა მოტივებს ცნობილი ზღაპრებიდან და ლიტერატურული ნაწარმოებებიდან.<sup>360</sup> ATU882-ის ქართული ვერსიები ფოლკლორული გზით შექმნილი ჩანს. მიხეილ ჩიქოვანი ამ ზღაპარზე ლიტერატურულ გავლენას გამორიცხავდა: რადგან ბერნარდე ნეაპოლელის კრებული ქართველი მკითხველისთვის არ იყო ხელმისაწვდომი, ეს ნოველისტური ზღაპარი მხოლოდ ზეპირი გზით შეიძლება გავრცელებულიყო. თუმცა მეცნიერი იქვე აღნიშნავდა: „შესასწავლია ჩვენი ზღაპრის სპარსულ-არაბულ-ინდურ-თურქულ ფოლკლორთან მიმართება. სრულიად დასაშვებია, რომ ბერნარდეს კრებულში შესულ რომელიმე მოთხრობას აღმოსავლური ძირები აღმოაჩნდეს.“<sup>361</sup>

ლიტერატურული გავლენის სრული უგულვებელყოფა არ იქნება მართებული. 1912 წელს ქუთაისში შექსპირის

<sup>360</sup> Sydow, Carl Wilhelm von: „Folktale and Philology: Some Points of View“ in: *The Study of Folklore* (Ed. Alan Dundes). Prentice-Hall, Inc., Englewood Cliffs, N.J. 1965, pp. 237.

<sup>361</sup> მე-17 საუკუნეში ჩანერილი ქართული ზღაპრები. გამოსცა, გამოკვლევა და ვარიანტები დაურთო მიხეილ ჩიქოვანმა. მრავალთავი I. ნ. ბერძენიშვილის რედ. თბ. 1964, გვ. 137.

პიესები, მათ შორის „ციმბელინიც“ გამოიცა, რომელიც ბავშვებისთვის იყო ადაპტირებული.<sup>362</sup> თხრობას ლიტერატურული ზღაპრის სტილი აქვს და ორიგინალური ტექსტიდან ზოგიერთი ეპიზოდი ამოღებულია. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ხალხური ზღაპრის ზოგიერთ მთხრობელს ეს ლიტერატურული ნყაროც გამოეყენებინა ინტერპრეტაციისთვის.

დრამატურგიული ნაწარმოებები და ზღაპრები, ცხადია, არ არიან ერთმანეთის იდენტურნი. შექსპირისეული თხრობის ყველა ფორმა თავისთავადია. ხალხური ზღაპრის სტილისთვის არ არის დამახასიათებელი ემოციების გადმოცემა, მაგრამ მისი ტექსტი ყოველთვის იძლევა ინტერპრეტაციების საშუალებას, რასაც შექსპირის დრამატურგიაში ასე მრავლად ვხვდებით.

შექსპირის „ციმბელინი“ და ხალხური ზღაპრის ტიპი ATU882 ხოტბას ასხამს ქალის ერთგულებასა და პატიოსნებას. ორივეგან, პიესაშიც და ხალხურ ზღაპარშიც ქალის კეთილშობილება უპირისპირდება კაცის საეჭვო საქციელს – სანაძლეოს. არსებობს ნოველისტური ზღაპრების სხვა ტიპებიც უდანაშაულოდ ბრალდებული ქალის შესახებ, მაგრამ არსად გვხვდება ისეთი ემანსიპირებული გმირი ქალი, როგორც ATU 882-ში. ქალი შეუპოვრად იცავს თავის სიმართლეს, ამტკიცებს თავის უმნიკელობას და ბედნიერებასაც აღწევს. სიყვარული და ქორწინება ამ სიუჟეტში უმაღლესი ღირებულებისაა. ამ სიუჟეტის ინტენსიური გავრცელება მთელ ევროპასა და აღმოსავლეთის ქვეყნებში იმაზე უნდა მეტყველებდეს, რომ თავად თემა მეტად მიმზიდველი იყო მთხრობელისთვისაც და მსმენელისთვისაც. პასიური პერსონაჟი, რომელიც თავიდან მსხვერპლის როლში აღმოჩნდება, გამოავლენს აქტიურ პერსონაჟად გარდასახვის უნარს და თავის თავშივე პოულობს ძალას გადარჩენისა და თვითდამკვიდრებისათ-

---

<sup>362</sup> შექსპირის ოტელლო, ჰამლეტ და მეფე ციმბელინი, ყრმათათვის ნაამბობი სამსონ ყიფიანის მიერ. მეორე გამოცემა. ქუთაისი, თ. მთავრიშვილის და ამხ. ნიგნის მალაზიის გამოცემა, 1912, გვ. 49-69.

ვის. განსხვავებით შუა საუკუნეების რომანებისა, რომლებშიც მთავარი პერსონაჟი ქალი არ არის აქტიური და მოქმედების განვითარებაში ხშირად უკანა პლანზეა გადანაცვლებული, შექსპირის იმოჯენი ძლიერი ხასიათისა და სიცოცლისუნარიანია. შექსპირი არღვევს ლამაზი და უდანაშაულო მსხვერპლის როლში მყოფი ქალის კლიშეს და, პირიქით, აქტიურ, ქველმოქმედ და მიზანსწრაფულ პერსონაჟს ქმნის. სწორედ ამ მიზანსწრაფულობითა და დაულალავი მოძრაობით მისი პიესის გმირი გაცილებით ახლოს დგას ხალხურ ზღაპართან, ვიდრე ლიტერატურულ ნაწარმოებებთან.

## ქალაქი სიკვდილის წინააღმდეგ

ზღაპრის სიუჟეტურ ტიპთა საერთაშორისო საძიებელ-ში ნოველისტური ზღაპრების თემატურ რგოლში „ერთ-გულებისა და პატიოსნების გამოცდა“ 899-ე ნომრად „ალ-კესტისის“ სახელწოდებით აღწერილია სიუჟეტი ნანინას-წარმეტყველები სიკვდილის შესახებ. მსგავსი სიუჟეტი საფუძვლად უდევს ევროპის, აზიისა და აფრიკის ქვეყნებში გავრცელებულ უამრავ ზღაპარსა და თქმულებას. ბერძნული, იტალიური, უნგრული, სერბული, ხორვატული, ბულგარული, რუმინული, რუსული, თურქული, ებრაული, სომხური, ირანული, ინდური, სუდანური ტექსტები სიუჟეტურ მსგავსებას ამჟღავნებენ როგორც ერთმანეთთან, ასევე ანტიკურ მითოსთან: ქალი მზად არის ქმრისთვის (ან სატრფოსთვის) მსხვერპლად გაიღოს საკუთარი სიცოცხლე.

ATU 899 ტიპი შემდეგ მოტივებს შეიცავს:

- ახალგაზრდა კაცი განწირულია ნაადრევი სიკვდილისთვის: მას უწინასწარმეტყველებენ, რომ თავისი ქორნილის დღეს მოკვდება. ზოგ ვარიანტში ნორნები (ბედისწერის გამგებლები, ანგელოზი, სიკვდილი) წინასწარმეტყველებს მის სიკვდილს მისი დაბადებიდან მესამე დღეს.
- ღმერთი (წმინდანები, წმინდა გიორგი, დემეტრიუსი) შუამდგომლობენ მას ბედისმწერლებთან (სიკვდილთან), რომლებიც თანახმა არიან, არ მოკლან კაცი, თუ მის ნაცვლად სხვა მისცემს ნახევარ სიცოცხლეს.
- მისი ოჯახის წევრები უარზე არიან, მაგრამ საცოლედ დათანხმდება მისთვის სიკვდილზე. ღმერთი დაიცავს წყვილს და მშობლებს დასჯის.

ქართულ ფოლკლორში სიუჟეტი, რომლის მიხედვითაც ქალი მზად არის სიცოცხლე დათმოს თავისი სატრფოსთ-

ვის, გვხვდება პროზაული და სალექსო ფორმებით: ნოველისტური ზღაპარი „სიკვდილი და საცოლე კაცი“ და ლექსი „მენაცვალე“. ორივე ტექსტი მიემართება როგორც ლიტერატურულ ძეგლებს – ანტიკურ დრამა „ალკესტისს“ (ძვ.წ. V ს.), ძველინდურ ეპოს „მაჰაბჰარატაში“ ჩართულ სავიტრის ამბავს (ძვ.წ. IV ს.) და შუა საუკუნეების ოლუზურ (თურქმანულ ტომთა) ეპიკურ თქმულებას დუმრულზე (XV ს.), ისე მსოფლიოს ხალხთა ფოლკლორში არსებულ სიუჟეტურ ტიპს ქალის მიერ ბედისწერის შეცვლის შესახებ ATU 899.

ალკესტისი. ევრიპიდეს „ალკესტისის“ მითოლოგიურ საფუძველს მოტივთა ორი კონსტრუქცია წარმოადგენს: აპოლონის მითი და ალკესტისის მითი, რომლის მთავარი თემაა მსხვერღპენიერვა და გადარჩენა.

ევრიპიდეს დრამაში „ალკესტისი“ სიუჟეტი შემდეგნაირად ვითარდება:

მეფე ადმეტოსს მოიჩუბებინა ნანინასწარმეტყველები ჰქონდა, რომ თავისი სიცოცხლის გაფურჩქენის ხანაში დაიღუპებოდა. სიკვდილის დღე რომ მოახლოვდა, ადმეტოსმა ღმერთ აპოლონს სთხოვა, ეშუამდგომლა მოიჩუბებთან, რათა მის ნაცვლად სხვა მომკვდარიყო. ყველამ უარყო ადმეტოსის თხოვნა. მშობლებმა უარი განაცხადეს მის ნაცვლად სიკვდილზე. ადმეტოსის მეუღლემ, ალკესტისმა განირა თავი და სიკვდილის ღმერთს გაჰყვა. სიკვდილის წინ მან ადმეტოსს მხოლოდ ის სთხოვა, შვილებისთვის ღირსეული მამობა გაენია და სხვა ცოლი არ შეერთო: „ალკესტიდა: ჩემო შვილებო, გაიგონეთ? თქვენი მშობელი ცოლს არ შეირთავს! უცხო ქალსა ნებას არ მისცემს თქვენი დაჩაგვრის, მბრძანებლობის... არ შეურაცხმყოფს, პირობა მომცა.“<sup>363</sup>

დამნუხრებული ადმეტოსი მამამ სასტიკად გაკიცხა: „გაკადნიერდი, ბედს შეებრძოლე, რომ სიკვდილი გადაგენია... ცოლი მოჰკალ და ახლა მისი სიცოცხლით ცხოვრობ, გულადობაში ცოლმა გძლია, მისგან ძლეულმა, კიდევ მე

<sup>363</sup> ციტატები მოყვანილია წიგნიდან: ელადის მუზა. თარგმანი რ. მიმინოშვილისა. თბილისი: „ნაკადული“, 1963, გვ. 230-236.

გინდა, რომ მშიშარა მინოდო, შვილო? შესანიშნავად გიფიქრია... შენ რალა მოგკლავს, თუ ბევრს იშოვნი თავდადებულს, ერთგულ მეუღლეს? გეყო ძალა და თავხედობა სხვას მიაწერო დანაშაული, რაიც თვითონ ჩაგიდენია? გაყუჩდი, შვილო, ყველას უყვარს ქვეყნად სიცოცხლე... შენს საყვედურზე აი ჩემი მკაცრი პასუხი. “სწორედ იმ დღეს ადმეტოსის სასახლეში შემოიარა ჰერაკლემ, რომელიც თრაკიისკენ მიდიოდა. გაიგო რა მსახურებისგან, რაც მოხდა, მყისვე ალკესტისის საფლავისკენ გაეშურა, სიკვდილის ღმერთს ხელიდან გამოსტაცა ქალი და ადმეტოსს დაუბრუნა.”<sup>364</sup>

რომ არა მეტად დრამატული ფინალი, პიესა სატირულ ხასიათს იღებს, რასაც მრავალგზის აღნიშნავენ სამეცნიერო ლიტერატურაში: მოქმედი პირები, კერძოდ, ადმეტოსი, პროსატირულ პერსონაჟად მოიაზრება და მის საქციელს ირონიულად განიხილავენ.<sup>365</sup> ადმეტოსის შეფასება იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ შევხედავთ ალკესტისის თხოვნას – არ მოიყვანოს ოჯახში მის ნაცვლად უღირსი ქალი. ადმეტოსი ერთგული მეუღლეა და, მიუხედავად თავისი ნაკლოვანებებისა, მაინც დადებით გმირად ითვლება. ევრიპიდეს ნაწარმოების პოეტიკის განხილვას გვერდს აუუვლით და ამ საქმეს ლიტერატურის კრიტიკოსებს მივანდობთ. ევრიპიდე მითოსიდან მხოლოდ ცალკეულ მოტივებს იღებს. გადანყვეტილების მიღება ქმრის ნაცვლად სიკვდილზე და ნებით წასვლა ჰადესის სამეფოში ალკესტისის ცხოვრების ორი სხვადასხვა ეტაპია. ევრიპიდეს პიესაში მხოლოდ ერთია ასახული. გადანყვეტილება უკვე მიღებულია და დრამაში მოქმედება სიკვდილზეა აგებული.<sup>366</sup> პიესის კავშირი მითოლოგიურ გადმოცემას-

---

<sup>364</sup> Euripides, *Alcestis*. Edited and translated by David Kovacs. Cambridge/London: Harvard University Press, 1994.

<sup>365</sup> Gierke, Daniela: *Eheprobleme im griechischen Drama. Eine Studie zum Diskurs von Oikos und Polis im Athen des 5. Jahrhunderts von Christus*. München: Herbert Utz Verlag, 2014, S. 105.

<sup>366</sup> Seek, Gustav Adolf: *Unaristotelische Untersuchungen zu Euripides. Ein Motivanalytischer Kommentar zur ‚Alkestis‘*. Heidelberg: Carl Winter Universitätsverlag, 1985, S: 21.



[19] „სავიტრის“ ქართული გამოცემა, 1986.

თან მხოლოდ ამ მოტივით შემოიფარგლება და მეტი საერთო ნიშანი არც არის მოსალოდნელი დრამასა და მითს შორის. პიესა არა მითის ვარიაციას, არამედ მხოლოდ მითოსურ მოტივთა ფიქსაციას წარმოადგენს ძვ.წ. V საუკუნეში.

სავიტრი. ინდურ ეპოს „მაჰაბჰარატაში“ ჩართულია ერთი პოემა, რომელიც ქალის სიყვარულის საოცარ ძალაზე მოგვითხრობს. მეფის ასული სავიტრი თავის მეუღლეს სიკვდილისგან იხსნის. სავიტრის ამბავის მოკლე შინაარსი შემდეგია:

მეფის ასულ სავიტრის შეუყვარდება უფლისწული სატიავანი და დაქორწინებას გადაწყვეტს. ბრძენი ნარადა მას სამნუხარო წინასწარმეტყველებას აუწყებს – სავიტრის რჩეულს მხოლოდ ერთი წლის სიცოცხლე აქვს დარჩენილი. სავიტრის სიყვარული მტკიცეა და მისი გადაწყვეტილება უცვლელია. ახალგაზრდები ქორწინებიან და ერთ წელს სიყვარულსა და ნეტარებაში ატარებენ. როცა საბედისწერო დღე დგება, ცოლ-ქმარი ტყეში მიდის. სატიავანი შეშას ჩეხავს, შემდეგ მუშაობით დაღლილი თავს ცუდად გრძნობს, წამოწევა, ცოლს კალთაში ჩაუდებს თავს და დაიძინებს. ამ დროს მოდის სიკვდილის ღმერთი იამა, სატიავანს სულს ამოართმევს და სამხრეთისკენ, წინაპართა სულების სამყოფელისკენ მიჰყავს. სავიტრი დაედევნება მას. იამა ურჩევს, უკან გაბრუნდეს, რადგან მან უკვე მოიხადა თავისი ვალი. იამა სთავაზობს სავიტრის ყველა ამქვეყნიურ ბედნიერებას, სიმდიდრეს, მრავალშვილიანობას, დიდებას, მაგრამ სავიტრის სატიავანის გარეშე სიცოცხლე არ სურს. იამასთან საუბარში ქალი ისეთ კეთილგონიერებას და ერთგულებას იჩენს, რომ თვით სიკვდილსაც კი გულს მოულობს. მათი დიალოგი პაექრობის სახეს იღებს და სიკვდილი მარცხდება. იამა ეუბნება სავიტრის:

„რაც უფრო მეტად ვისმენ დღეს შენგან გულის საამო საზრიან სიტყვას, უფრო იზრდება ჩემში შენდამი თანაგრძნობა და პატივისცემა. ნყალობა რამე, თუნდაც უბადლო, ახლა ისურვე, ერთგულო ქმრისა.“ სავიტრი უპასუხებს:

„წყალობას ვირჩევ, რომლის ბადალი  
 არ მოუცია არც ერთ მწყალობელს,  
 ეს სიცოცხლეა სატიავანის,  
 რადგან მკვდარი ვარ მეც უიმისოდ.  
 არ ვისურვებდი მე ქმრის გარეშე  
 ბედნიერებას, ცას და სამოთხეს,  
 არც სილამაზეს და თვით სიცოცხლეს  
 მე უიმისოდ არაფრად მიღირს.  
 შენ ამისრულე ყველა სურვილი და  
 მომანიჭე შვილები ბევრი,

მაგრამ წამართვი ქმარი და ანი წყალობას  
ამას ვირჩევ მე მხოლოდ,  
ოლონდ იცოცხლოს სატიავანმა.“<sup>367</sup>

სავიტრის კეთილშობილებით მოხიბლული სიკვდილი  
ქმრის სულს დაუბრუნებს.

„ხოლო სავიტრიმ რა დაიბრუნა იამასგან  
მკვდარი ქმრის სული,  
მყის გაეშურა იქ, სადაც იყო დატოვებული  
მისი სხეული.  
და იქ მინაზე, სადაც დასტოვა,  
ისევ იქ ნახა წამონოლილი,  
მიიჭრა მასთან, წამოაყენა და  
მიისვენა თავის კალთაში.  
თითქოს შორიდან დაბრუნებულმა,  
სატიავანმა თვალი გააღო  
და მზერა სავსე ღრმა სიყვარულით  
მიაპყრო მისკენ დახრილ სავიტრის.  
ო, სამწუხაროდ, ძალიან დიდხანს  
მძინებია და არ გამაღვიძე.“

დუმრული. XV საუკუნის ოლუზურ ეპოსში „დედე ქორ-  
ქუთი“<sup>368</sup> გადმოცემულია ამბავი გმირ დელი დუმრულზე.  
სიკვდილის ანგელოზმა აზრაილმა გმირი დუმრული ალა-  
ჰის წინაშე წარადგინა შეწყალების მიზნით:

<sup>367</sup> ციტატები მოყვანილია წიგნიდან: სავიტრი. ეპიზოდი „მაჰაბ-  
ჰარატადან“. შესავალი, თარგმანი და კომენტარები ე. ალექსიძისა.  
თბილისი: „მეცნიერება“, 1986, გვ. 55-56. ინგლისური თარგმანი იხ.  
Sarma, Bharadvaja. Vyasa's Mahabharatam in Eighteen Parvas. The Great  
Epic of India in Summary Translation. Kolkata: Academic Publishers, 2008.

<sup>368</sup> ოლუზური ეპოსი თურქმენულ, თურქულ და აზერბაიჯანულ  
ხალხთა საერთო კულტურული მემკვიდრეობაა. „დედე ქორქუთის“  
ორი ხელნაწერი არსებობს: დრეზდენისა და ვატიკანის. კრებულის  
ლიტერატურულ რედაქციად მიჩნეულია XV საუკუნე. იხ. ჩიქოვანი,  
მ., ქორქუთის წიგნი და ქართული საგმირო ეპოსი, – მაცნე, ენისა  
და ლიტერატურის სერია, 3 (1979), გვ. 48-62.

„უზენაესმა აზრაილს უბრძანა: თუ სამაგიერო სულს იშოვის, ცოცხალი დატოვეო. დორმულს იმედი მიეცა: აკი მოხუცი დედა და მამა ჰყავს, იქნებ მათ იხსნან მისი სული! [...] სახელოვანი მხედარი და მოიერიშე მოხუც მამას ენვევა პირველად.

– მამა, შენს სულს გთხოვ. მომცემ თუ არა მას, თუ ამჯობინებ ასე დამიტირო: „შვილო ჩემო, მამაცო დორმულო?“ ... ყოყმანისა და ფიქრის შემდეგ თეთრწვერა მამა

აზრაილთან მგზავრობაზე აშკარად უარს აცხადებს. – სული ტკბილია, სიცოცხლე ძვირფასი! სულის მოცემა არ შემიძლია, ასე იცოდე ეს. შენ დედა გყავს, ჩემთვის ყველაზე ძვირფასი! ნადი, შვილო, დედასთან!

განზილებული ვაჟკაცი დედას ეწვია სულთამხუთათან ერთად, მასაც აუხსნა ვითარება.

– მამას ვთხოვე, უარი მითხრა. ახლა შენა გთხოვ, დედა, სულს! მომცემ თუ არა სულს, თუ ასე ტირილს ამჯობინებ: „შვილო ჩემო, დორმულო!“

– სული ტკბილია, სიცოცხლე ძვირფასი! სულის მოცემა არ შემიძლია, ასე იცოდე. მოხუცმა დედამ კვლავ ის სიტყვები წარმოთქვა, რაც მწუხარე მამას აღმოხდა. იმედგაცრუებულ კაცს აზრაილი მიეძალა, საჩქაროდ სულის ამოხდა დაუპირა, მაგრამ დორმულს კიდევ დარჩენოდა ქვეყნად სათქმელი და გასარიგებელი საქმე. ამის გამო მეუღლესთან მისვლის ნებას ითხოვს უკანასკნელად. ახლა სახელოვანი ვაჟკაცი აღარ ეძებს სულის მონაცვლეს, მეუღლეს მხოლოდ იმას სთხოვს, რომ მის ორ ვაჟს უპატრონოდ ნუ დაყრის და ისეთ კაცს ნუ გაჰყვება, ვინც გულით არ შეუყვარდება. ფიცის თანაბრად წარმოთქმული სიტყვები საყვარელ ცოლსა და მეუღლეს – სხვის შვილს მთელი არსებით შეძრავს, თანაგრძნობით განმსჭვალავს.

– დეე, ჩემი სული იყოს შენი სულის სანაცვლოდ! მტკიცედ გადაწყვიტა მან.

როცა აზრაილი სულის მისაღებად მოვიდა, დორმულიც იქ იყო. ის არ ფიქრობდა მეგობრის მიტოვებას და ორივეს ერთად წაყვანას ითხოვდა. უზენაესს კვლავ მო-

ენონა მამაცი კაცის საქციელი, ერთგულ ცოლ-ქმარს 140 წლის სიცოცხლე აჩუქა, ხოლო მოხუცის მშობლების სულელები მაშინვე მიიბარა."<sup>369</sup>

ქართული ხალხური ლექსი „მენაცვალე“. ქართულ ფოლკლორში ATU 899 ტიპის სიუჟეტი გარიტმული ფორმით გვხვდება ცნობილ ლექსში „მენაცვალე“:

– დედავ, დედაშვილობასა, სიკვდილ მითხოვს, მენაცვალე.

– მე შენ არას გენაცვლები, მამა გყავს და ინაცვალე.

– მამავ, მამავ, მამშვილობას, სიკვდილ მითხოვს, მენაცვალე.

– მე შენ არას გენაცვლები, დაი გყავს და ინაცვალე.

– დაო, დაო, დაძმობასა, სიკვდილ მითხოვს, მენაცვალე.

– მე შენ არას გენაცვლები, ძმავი გყავს და ინაცვალე.

– ძმაო, ძმაო, ძმაძმობასა სიკვდილ მითხოვს, მენაცვალე.

– მე შენ არას გენაცვლები, ცოლი გყავს და ინაცვალე.

– ცოლო, ცოლო ცოლქმრობასა, სიკვდილ მითხოვს, მენაცვალე.

– მე შენ არას გენაცვლები, საყვარელ გყავს, ინაცვალე.

– საყვარელო, საყვრობასა, სიკვდილ მითხოვს, მენაცვალე.

– გენაცვლები შენსა მზესა, გზა საით არს, გამასწავლე.

ქართული ხალხური ნოველა „სიკვდილი და საცოლე კაცი“. ეს ხალხური გადმოცემა სხვისთვის საკუთარი სიცოცხლის დათმობის მოტივზეა აგებული:

ერთმა მდიდარმა ვაჟმა ცოლის შერთვა გადაწყვიტა, გამონყო ნითელ ტანსაცმელში, ნითელი ცხენი ნითელი უნაგირით შეკაზმა და გაემართა ისეთი კაცის საპოვნელად,

<sup>369</sup> „დედე ქორქუთის“ ეპოსი თორმეტი თავისგან შედგება. დუმრულის ამბავი მეხუთე თავშია მოთხრობილი. შინაარსი ციტირებულია მიხეილ ჩიქოვანის ნაშრომიდან. ჩიქოვანი, მ., ქორქუთის წიგნი და ქართული საგმრო ეპოსი, – მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 3 (1979), გვ. 48-62.

რომელიც მას ცოლის თხოვნაში დაეხმარებოდა. ერთ ტრი-  
ალ მინდორზე შემოხვდა მასსავით წითელ ცხენზე ამხედ-  
რებული წითლად შემოსილი კაცი, რომელმაც უსალმოდ  
ჩაუარა გვერდით. ვაჟი დაედევნა და დახმარება სთხოვა.  
წითლადმოსილმა კაცმა უპასუხა: მე სიკვდილი ვარ და შენ  
რომ ცოლს მოიყვან, იმავე ღამეს უნდა მოგკლაო.

ვაჟი შინ დაბრუნდა და მშობლებს გამოუცხადა, რომ  
მისთვის სულერთი იყო, ვის შეირთავდა. მართლაც, მო-  
უძებნეს საცოლე, გადაუხადეს ქორწილი და როცა მეფე-  
პატარძალი საძინებელ ოთახში შევიდა, წითლად მოსილი  
სიკვდილი იქ დახვდა. სიკვდილმა უთხრა ვაჟს: სთხოვე  
დედას, რომ თავისი 110 წლის სიცოცხლიდან რამდენიმე  
წელი მოგცეს და არ მოგკლავო. ვაჟი მივიდა დედასთან,  
რომელმაც უარით გამოისტუმრა. ვაჟი მივიდა თავის მა-  
მასთან, შემდეგ და-ძმასთან, მაგრამ მათ არცერთი წუთი  
არ გაიმეტეს მისთვის. სიკვდილმა ვაჟს შესთავაზა, შენს  
ცოლს 80 წელი აქვს სიცოცხლე და მას სთხოვე, იქნებ  
მოგცესო. ვაჟს უმძიმდა სიცოცხლე ეთხოვა ახალშერთუ-  
ლი ცოლისთვის, რომელსაც ჯერ არც კი იცნობდა, მაგ-  
რამ მაინც გააღვიძა მძინარე ქალი და ყველაფერი აუხს-  
ნა. ქალმა 80 წელიდან 40 წელი მისცა ქმარს და სიკვდილი  
გავიდა ოთახიდან. ცოლ-ქმარი 40 წლის განმავლობაში  
ტკბილად ცხოვრობდა, დაზარდეს შვილები, 40 წლის შემ-  
დეგ კი სიკვდილი მოვიდა და ორივე წაიყვანა.<sup>370</sup>

საკითხის კვლევის ისტორია. ვახტანგ კოტეტიშვილ-  
მა, რომელმაც 1934 წელს გამოაქვეყნა „მენაცვალე“, ყუ-  
რადლება გაამახვილა ლექსის ანტიფონიურ ფორმაზე.  
მან პარალელი გაავლო მსგავსი ტიპის ევროპულ ხალხურ  
სიმღერებთან და სანესჩეულებო ჟანრს დაუკავშირა.<sup>371</sup>

<sup>370</sup> ლიტ. ინსტ. ფოლკ. არქ.: ფას226 გვ. 8, ID 1568. მთქმელი:  
მინა ცანავა, ჩამწერი: კალე ცანავა, 12.07.1965, გეგეჭკორის რ-ნი,  
სოფ. ნახუნაო.

<sup>371</sup> კოტეტიშვილი, ვახტანგ. ხალხური პოეზია. თბილისი: „საბჭო-  
თა მწერალი“, 1961, გვ. 80.

მიხეილ ჩიქოვანმა პირველმა მიაქცია ყურადღება ქართული ლექსის „მენაცვალეს“ სიუჟეტის მსგავსებას „დედე ქორქუთის“ ერთ-ერთ ამბავთან, რომელიც გმირ დუმრულს გადახდა თავს. მ. ჩიქოვანს გარდა ლექსისა, მაგალითად სხვა პროზაული ვერსიებიც მოჰყავს ქართული ფოლკლორიდან. მეცნიერი ვარაუდობდა, რომ „ოლუზურ სიტყვიერებაში ქორქუთის ლეგენდისებურ გადმოცემას მუნაზარეს, ანუ გაბაასების, სახე ჰქონდა და, სახალხო მგოსანთა რეპერტუარში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა.“ მ. ჩიქოვანმა ქართულ და ოლუზურ ფოლკლორულ პარალელებს შორის სიკვდილის პერსონიფიცირებულ სახეზეც მიუთითა: „აზრაილის ფუნქციას ქართულ ფოლკლორში მიქელგაბრიელი ასრულებს. ზოგჯერ უშუალოდ სიკვდილის სახელით გამოდის ეს პერსონაჟი და მარცხდება გლეხთან შეჯიბრში. ჩანს, სულის შენაცვლების სიუჟეტი საერთო პოპულარობით სარგებლობს ხალხურ პროზასა და პოეზიაში“.<sup>372</sup>

ირაკლი სურგულაძემ სტატიაში „ნაცვალობის კონცეფცია ქართულ მითოსში“ დასვა საკითხი ქართული ხალხური ლექსისა და ევრიპიდეს დრამა „ალკესტიის“ სიუჟეტური მსგავსების შესახებ. მან დანვრილებით მიმოიხილა ქართული ეთნოგრაფიული მასალა და მითოსურ-რელიგიური პლასტების მიმართება შუმერულ და ძველბერძნულ მითოლოგიურ სისტემებთან.<sup>373</sup> ქართული ენისათვის დამახასიათებელი მიმართვები „გენაცვალე“, „შემოგველე“ და „ჭირიმე“ უშუალო კავშირშია უძველეს ქართულ ტრადიციასთან, როცა დედა ან სხვა ახლობელი სხვადასხვა რიტუალის საშუალებით ცდილობდა ავადმყოფ შვილს ან სხვა ახლობელს „ჩანაცვლებოდა“. რიტუალში ხდებოდა იმიტაცია, რომ ის ავადმყოფის ნაცვლად

<sup>372</sup> ჩიქოვანი, მიხეილ. ქორქუთის წიგნი და ქართული საგმირო ეპოსი, – მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 3 (1979), გვ. 60.

<sup>373</sup> სურგულაძე, ირაკლი: მითოსი, კულტი, რიტუალი საქართველოში. თბილისი: „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 2003, 169-174.

მიდიოდა საიქიოში. აღმოსავლეთ საქართველოში ამ ნესს „თავშემოვლა“ ერქვა, რაც საყვარელი არსებისაგან ჭირის მოხდასა და ამის საკუთარ თავზე მიღებას გულისხმობდა. ი. სურგულაძემ ამ უძველეს ტრადიციათა სისტემას „ნაცვალობის ინსტიტუტი“ უწოდა.<sup>374</sup> „ნაცვალობის ინსტიტუტის“ თეორიას მხარს უჭერს ლინგვისტური მონაცემებიც.<sup>375</sup>

სავიტრის ისტორია ევროპაში ცნობილი გახდა XIX საუკუნიდან. რაღაც გრიფიტმა 1868 წელს ჟურნალში „The Calcutta Review“ გამოაქვეყნა სანსკრიტული მოთხრობები.<sup>376</sup> 1882 წელს ანჯელო დე გუბერნატისმა და ჟოზეფ გერსონ და კუნიაშ სავიტრის ეპიზოდი მთლიანად თარგმნეს სახელწოდებით „სავიტრი: ინდური დრამა ორ მოქმედებად.“<sup>377</sup>

ალკესტისა და სავიტრის სიუჟეტთა კომპარატივისტული შესწავლაც XIX საუკუნეში დაიწყო. 1875 წელს იტალიაში დაიბეჭდა მიქელე კერბაკერის ისტორიულ-შედარებითი ანალიზი ალკესტისისა და სავიტრის შესახებ.<sup>378</sup> სამეცნიერო ლიტერატურაში სავიტრი სხვა ანტიკურ ტრაგედიებთანაც არის შედარებული, უმეტესად, „ანტიგონესთან“.<sup>379</sup>

---

<sup>374</sup> სურგულაძე, ირაკლი: მითოსი, კულტი, რიტუალი საქართველოში. თბილისი: „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 2003, გვ. 174.

<sup>375</sup> ლევიძე, მარინე. კომუნიკაციის ეთნოსტილი და მიმართვის სააღერსო ფორმები ქართულსა და ინგლისურ ენებში. დისერტაცია. თბილისი 2017, გვ. 99.

<sup>376</sup> Griffith, Ralph T.H. Idylls from the Sanskrit. The Calcutta Review, Vol. XLVI (1868), 137-157.

<sup>377</sup> Gubernatis, Angelo De and Joseph Gerson Da Cunha (translators). Savitri: An Indian Dramatic Idyl in Two Acts. Harvard: Ronima's Union Press, 1882.

<sup>378</sup> Kerbaker, Michel. Savitri: episodio del Mahabharata recato in versi italiani: premessovi uno studio storico-comparativo sul mito di Savitri-Alceste. Perrotti 1875.

<sup>379</sup> Škof, Lenart. On Sacred Genealogies: Antigone and Savitri. O svetih genealogijah pri Antigoni in Savitri. Primerjalna Književnost. PKn (Ljubljana) 38.1(2015): 175-186.

ლიტერატურათმცოდნეობით კვლევას მალე მოჰყვა „ალკესტისის“ სიუჟეტის<sup>380</sup> არალიტერატურულ<sup>381</sup> უნრებთან დაკავშირებაც. 1925 წელს ავსტრიელმა ფილოლოგმა ალბინ ლესკიმ ნაშრომში „მითოსი და დრამა“ ვარაუდი გამოთქვა ევრიპიდეს „ალკესტისის“ ძველი ხალხური ზღაპრიდან წარმომავლობის შესახებ.<sup>382</sup> მას მხოლოდ სამი სიმღერა მოჰყავდა მაგალითად, რაც არგუმენტაციისთვის არ იყო საკმარისი. რამდენიმე წლის შემდეგ, 1933 წელს ბერძენმა ფოლკლორისტმა გეორგიოს მეგასმა გარდა იმ სიმღერებისა ოთხი ბერძნული ზღაპარი და მთელი რიგი პარალელები მოიხმო მსოფლიოს ხალხთა ფოლკლორიდან. გ. მეგასმა დაადგინა, რომ ალკესტისის სიუჟეტის ყველა მოტივი გავრცელებულია ევროპისა და აზიის ხალხთა ზეპირ თხრობით ტრადიციაში.<sup>383</sup>

მეგასმა გამოკვლევის შედეგად ამგვარი სურათი მოგვცა აღმოსავლურ და დასავლურ ფოლკლორულ ტრადიციაში გავრცელებული ალკესტისის მსგავსი სიუჟეტებისა:

<sup>380</sup> სამეცნიერო ლიტერატურაში ევრიპიდეს „ალკესტისზე“ შეთანხმებული აზრი არ არსებობს. უნარული თვალსაზრისით ეს პიესა კლასიფიკაციას არ ექვემდებარება: „პიესისთვის მთავარ თემად მეცნიერებს სხვადასხვა თემა აქვთ მოაზრებული: სიკვდილ-სიცოცხლის ურთიერთიმართების თემა, სიყვარულისთვის სასიკვდილო მსხვერპლშენიშვნის აზრიანობა-უაზრობის საკითხი, ღვთაებრივი წყალობის ორატორიული პრობლემა... „ნადარეიმვილი, ქეთევან. ქალი კლასიკურ ათენსა და ბერძნულ ტრაგედიაში. თბილისი: „ლოგოსი“, 2008, გვ. 192.

<sup>381</sup> რენესანსის შემდგომ პერიოდში ალკესტისის თემაზე უამრავი დრამატული ნაწარმოები შეიქმნა. გერმანიაში ალკესტისის თემა გადაამუშავეს ჰ. ზაქსმა (XVI ს.) და ვ. შპანგენბერგმა (XVII ს.), საფრანგეთში ა. პარდიმ (XVII ს.), იტალიაში ა. აურელიმ (XVII ს.) და სხვა. ალკესტისის თემაზეა შექმნილი ჰენდელის მუსიკალური ნაწარმოები „ადმეტუსი“ (1727), ლულის ოპერა „ალკესტისი“ (1674), ა. შვაიცერის მუსიკალური დრამა (1773). XIX-XX საუკუნეებში ალკესტისის ინტერპრეტაციები მუსიკაშიც და ლიტერატურაში კვლავ აქტუალური იყო. იხ. Frenzel, Elisabeth. Stoffe der Weltliteratur. Ein Lexikon dichtungsgeschichtlicher Längsschnitte. 7. verbesserte und erweiterte Auflage. Stuttgart: Alfred Kröner, 1988, S. 34-37.

<sup>382</sup> Lesky, A. Alcestis, der Myth und das Drama. In: Sitzungsbericht der Akademie der Wissenschaften in Wien. Philologisch-historische Kl. 203, 2. Abhandlung. Wien/Leipzig, 1925.

<sup>383</sup> Megias, Georgios A. Akestis. In: Enzyklopädie des Märchens. B. 1. Berlin/NewYork: Walter de Gruyter, 1977, 315-319.

A. ახალგაზრდა კაცს უდროოდ სიკვდილი ემუქრება.

1. ახალგაზრდა კაცი დედისერთაა (ბერძნულ, ბულგარულ, სერბულ, სლოვენურ, ჩრდილორუსულ, სპარსულ, სუდანურ ზღაპრებში).

2. მას ელის ქორნილის დღეს სიკვდილი (ბერძნულ, ბულგარულ, სერბულ, რუმინულ, ხორვატულ, რუსულ, ინდურ, სუდანურ ზღაპრებში).

3. ეს განაჩენი მისთვის ცნობილი ხდება

ა) დაბადებიდან მესამე დღეს მოირებისგან, რასაც შემთხვევით მოისმენს ის ადამიანი, ვინც ახალშობილის ოთახის გვერდით ათევს ღამეს (ბერძნულ, ბულგარულ და სერბულ ზღაპრებში).

ბ) სხვა დღეს სიკვდილისგან ან ანგელოზისგან იგებს, რომელსაც ის შემთხვევით შეხვდება (ბერძნულ, სერბულ, სპარსულ, ინდურ, სუდანურ ზღაპრებში).

გ) ბედისწერის აღსრულების დღეს სიკვდილის ან სიკვდილის ანგელოზის გამოჩენით (ბერძნულ, სომხურ, ბულგარულ, რუსულ ზღაპრებში).

B. ახალგაზრდა კაცის გადარჩენა შესაძლებელია, თუ

1. სხვა თავისი ნებით გაჰყვება სიკვდილს (ბერძნულ, სომხურ, სერბულ, ხორვატულ, სლოვენურ, უნგრულ, რუსულ, სუდანურ ზღაპრებში).

2. ვინმე თავისი სიცოცხლის ნახევარს გაუყოფს (ბულგარულ, ბერძნულ, სერბულ, რუმინულ სპარსულ, ინდურ ზღაპრებში).

3. თუ შუამავალი გამოჩნდება,

ა) ადამიანსა და მოირებს შორის (ბულგარულ ზღაპრებში) ან ადამიანსა და სიკვდილს შორის (ბერძნულ ზღაპრებში ჩნდება ნმინდა გიორგი და ნმინდა დემეტრიუსი).

C. თხოვნაზე უარს ამბობენ მშობლები. თანხმდება საცოლე ან ცოლი (ბერძნულ, სომხურ, ბულგარულ, სერბულ, ხორვატულ, სლოვენურ, უნგრულ, რუსულ, სუდანურ ზღაპრებში).

#### D. ღმერთი სიკვდილ-სიცოცხლისა

1. ქალს, რომელიც მზადაა თავგანწირვისთვის, სიცოცხლეს აჩუქებს (ბერძნულ, სომხურ, სერბულ, ხორვატულ, სლოვენურ, უნგრულ, რუსულ, სპარსულ, სუდანურ ზღაპრებში).

2. გულგრილ მშობლებს დასჯის (სომხურ, სერბულ, სუდანურ ზღაპრებში).

3. თავგანწირულ ქალს სამუდამოდ ქვესკნელში ტოვებს (სერბულ ზღაპარში).

მეგასი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ თავგანწირვის მოტივი ზოგადადამიანურ ღირებულებას წარმოადგენს და ერთნაირად აქტუალურია პრიმიტიულ საზოგადოებაშიც (რასაც სუდანური ზღაპარი ადასტურებს) და განვითარების მაღალ საფეხურზეც. ალკესტისის უამრავი ინტერპრეტაციები რენესანსის, ახალი ეპოქისა და თანამედროვე ლიტერატურაში ამ თემისადმი მუდმივ ინტერესზე მიუთითებს. თავგანწირვის, სიცოცხლისა და სიკვდილის ურთიერთდამოკიდებულება ერთდროულად პირობითიც არის და რეალურიც, შეუცნობელიც და შეცნობადიც. ის მოგვიანო საუკუნეების კლასიკურ დრამასთან და თანამედროვე თეატრთან ახლოსაც არის და შორსაც, „ის არის ობიექტური სურათი და სუბიექტური გამოცანა“.<sup>384</sup>

უახლესი კვლევებიდან აღსანიშნავია გუნილ ოზლემ აიაიდინისა და გრაიამ ანდერსონის სტატიები. აიაიდინს მოცემული აქვს ალკესტისისა და სავიტრის შედარება თურქულ და შუამდინარულ ეპოსთან ინიციაციის თეორიის კონტექსტში.<sup>385</sup> ანდერსონი ალკესტისის მოტივებს

<sup>384</sup> Seek, Gustav Adolf. Unaristotelische Untersuchungen zu Euripides. Ein motivanalytischer Kommentar zur 'Alkestis'. Heidelberg: Carl Winter/Universitätsverlag, 1985, S. 167.

<sup>385</sup> Ayaydin, Günil Özlem 2014. Masalla ölüme meydan okuyan insan: Alkestis, Dumrul, Inanna ve Savitri anlatılarının karşılaştırmalı incelemesi (Challenging Death through Fairy Tales: A Comparative Study of the Narratives of Alcestis, Dumrul, Inanna, and Savitri). Milli Folklor, 55(2014), pp. 15-24.

პოულობს XIV საუკუნის იემენურ ებრაულ გადმოცემაში და XX საუკუნის სომხურ ხალხურ პროზაში „სიყვარულის ზღაპარი“.<sup>386</sup>

ირაკლი სურგულაძის ეთნოლოგიური გამოკვლევით, ქართული ხალხური ლექსის „მენაცვალე“ შინაარსის ჩამოყალიბება უნდა მომხდარიყო არა მექანიკურ-დიფუზიური პროცესის საფუძველზე, არამედ იგი შეიძლება აღმოცენებულიყო ვრცელ კულტურულ-ისტორიულ სივრცეში, რომლისთვისაც დამახასიათებელია ძირითადი მითოსურ-სარწმუნოებრივი ღირებულების ერთიანი სისტემა. შემდეგ იგი კერძო ქვევარიანტების სახით მულაგნდება სხვადასხვა ეთნოსში. ქართველთა წინაპრები იმ კულტურული სივრცის ბინადარნი არიან, რომელსაც განეკუთვნებიან უძველესი, ადრესამინათმოქმედო ხანებიდან მის მეზობლად მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის ტომები, რომლებიც დღეს უდიდეს სივრცეზე განფენილობის მიუხედავად, მაინც ინარჩუნებენ სხვადასხვა ფორმით ადაპტირებულ მითოსურ-რელიგიურ და ნორმირებულ ქცევით კვანძებს, რომელიც შეიქმნა კულტურული თანაცხოვრების შორეულ ისტორიულ ეტაპზე“.<sup>387</sup>

ქართულ ზღაპრებში აღმოსავლური და დასავლური ლიტერატურული სიუჟეტების შედარება არაერთი დასკვნის საშუალებას იძლევა. თუ ძველ წერილობით ძეგლებს იმის დადასტურებად ჩავთვლით, რომ ეს სიუჟეტები ხალხურ თხრობით ტრადიციამაც არსებობდა, მაშინ შესაძლოა დადგინდეს კულტურული ზონები და ურთიერთობა კულტურულ რეგიონებს შორის.

მოტივთა მსგავსების სქემატური სურათი ამგვარად შეიძლება წარმოვადგინოთ:

---

<sup>386</sup> Anderson, Graham: *Fairy tale in the Ancient World*. London/ New York: Routledge, 2000, p. 117.

<sup>387</sup> სურგულაძე, ირაკლი. მითოსი, კულტი, რიტუალი საქართველოში. თბილისი: „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 2003, გვ. 173-174.

ATU899 ტიპის მოტივები	ალკესტისი	მენაცვალე	სიკვდილი და საცოლე კაცი	დუმრული	სავიტრი
ახალგაზრდა კაცი განწირულია სიკვდილისთვის	✓	✓	✓	✓	✓
სიკვდილი თანახმაა, არ მოკლას კაცი, თუ მის ნაცვლად სხვა ჩაეა ქვესკნელში ან მისცემს ნახევარ სიცოცხლეს.	✓	✓	✓	✓	
ოჯახის წევრები უარზე არიან	✓	✓	✓	✓	
საყვარელი ქალი დათანხმდება სიკვდილზე	✓	✓	✓	✓	
ცოლი უკან მისდევს სიკვდილს, რათა დააბრუნოს ქმარი					✓
ქალის კეთილშობილებით ორივე ცოცხალი რჩება	✓		✓	✓	✓
ქალი კვდება ან გაურკვეველია მისი ბედი		✓			

ქართულ ხალხურ ლექსში „მენაცვალე“ და ხალხურ ნოველაში „სიკვდილი და საცოლე კაცი“ ალკესტისის სიუჟეტი ადვილად ამოიცნობა, რომლის გავრცელების არეალი მოიცავს სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპას თურქეთის ჩათვლით და სამხრეთ კავკასიას. ქართული ფოლკლორული ვერსიები ამ კულტურულ წრეში ერთიანდება. სავიტრის ისტორია კი საკმაოდ დაშორებულია ქართულბერძნულ-თურქულ ვერსიებს. სავიტრის ამბავი მხოლოდ ერთგული ცოლის მოტივით ჰგავს ალკესტისის სიუჟეტს, პერსონაჟები კი თვისობრივად სრულიად განსხვავებულნი არიან. სამხრეთ ევროპულ და სამხრეთ კავკასიურ ტრადიციაში ალკესტის-დუმრულ-მენაცვალეს თხრობით ტიპში ქმრის ფიგურა არ წარმოადგენს ძლიერ პერ-

სონაუს. ადმეტოსი ისევე, როგორც „მენაცვალეს“ მთავარი მოქმედი პირი, სიკვდილს გაურბიან და საყვარელი ადამიანის მსხვერპლს ბუნებრივად იღებენ. მათ ფონზე დელი დუმრული და „სიკვდილი და საცოლე კაცის“ პერსონაჟი შედარებით ღირსეულად გამოიყურებიან. სავიტრის ქმარი სატიავანი კი არავისგან არაფერს ითხოვს. მისი ბედისწერის შეცვლას მთლიანად სავიტრი იტვირთავს. ფოლკლორული მოტივი ქალზე, რომელიც ცელის ბედისწერას, საგანგებო ყურადღების ღირსია და ამ თემას ეხება შემდეგი თავი.

## ქალები ბედისწერის წინააღმდეგ

აღმოსავლურ და ევროპულ თხრობით ტრადიციაში, მათ შორის ქართულ ფოლკლორში, ბედისწერის თემა თითქმის ყველა თხრობით ჟანრში, პოეტურსა თუ პროზაულში გვხვდება და მისი დამუშავება განსაზღვრულ კანონებს ექვემდებარება.

თქმულებები, ლეგენდები, შელოცვები და სანესჩვეულებო პოეზია, სოციალური ფუნქციით განსხვავდებიან ზღაპრისგან. ისინი გართობისთვის არ არიან განკუთვნილი, არამედ კონკრეტული ემპირიული მიზანი აქვთ ან რიტუალის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენენ. ამ ჟანრებში ბედისწერა მითოლოგიურ და რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებთან არის დაკავშირებული.

ზღაპარში, როგორც მხატვრულ გამონაგონში, წინასწარმეტყველება და ბედისწერა სიუჟეტის ერთ-ერთი კომპონენტია. ბედისწერა ზღაპარში არის არა რწმენის საგანი, არამედ სტრუქტურული რგოლი თხრობის ჯაჭვში. საკუთრივ ზღაპრის ჟანრში ბედისწერის თემის დამუშავება დამოკიდებულია ქვეჟანრებზე: ჯადოსნურ ზღაპარში, ხალხურ ნოველასა და ანეკდოტში სხვადასხვა წესი მოქმედებს.

ჯადოსნურ ზღაპრებში გვხვდება მხოლოდ ბედისწერის მოტივები, რომლებიც სტრუქტურული ელემენტებია და არა სიუჟეტის მთავარი ბირთვი. რაც შეეხება ანეკდოტებს, მათთვის ბედისწერაზე ამბის თხრობა უცხოა, სიუჟეტი კომიკურ სიტუაციებზეა აგებული, ხოლო ბედისმწერლების ნაცვლად პერსონაჟებად შემოდიან ბედი და იღბალი.

ბედისმწერლები, როგორც პერსონაჟები (ადამიანის, ფრინველის ან ანგელოზის სახით) ბევრ ზღაპარში შეიძლება შეგვხვდეს მოტივების სახით, მაგრამ ზღაპრის ტიპი, რომელშიც ბედისწერა სიუჟეტის განვითარებაში უმთავრეს როლს თამაშობს და მისი ახდენით მთავრდება ამბავი, მხოლოდ რამდენიმეა: ATU930 წინასწარმეტყ-

ველება, ATU930 ნანინასნარმეტყველები ცოლი, ATU931 ოდიპოსი. ბედისწერის განსხვავებულ კონცეფციას ქმნიან ზღაპრები, რომლებიც ნანინასნარმეტყველები სიკვდილისგან გადარჩენაზე მოგვითხრობენ. ასეთია ჯადოსნური ზღაპრის ტიპები ATU506\* არიდებული წინასნარმეტყველება და ATU516 ერთგული იოჰანესი.

**ATU930 წინასნარმეტყველება ქართულ ფოლკლორში** საკმაოდ გავრცელებული ტიპია. ეს არის ზღაპარი ღარიბ ბიჭზე, რომელსაც დიდი მომავალი ან მდიდარ გოგოზე ქორწინება აქვს ნანინასნარმეტყველები. მდიდარი კაცი (მეფე, ვაჭარი, ბატონი) შეიტყობს, რომ ღარიბი ბიჭი მისი სიძე (მემკვიდრე) გახდება და ცდილობს მის მოკვლას. ის იშვილებს ბიჭს, მერე კი სადღაც ატანს წერილს, რომელშიც ნაბრძანებია ბიჭის სიკვდილი. წერილს ცელის (ან ხელახლა წერს) შემწე და თვითონ მდიდარი კვდება. ბიჭი მართლაც დაქორწინდება მდიდრის ქალიშვილზე.<sup>388</sup>

სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს აზრი, რომ ეს მოტივი უძველეს წერილობით წყაროში – გილგამეშის ეპოსშიც საცნობია: მეფეს ქურუმები უწინასნარმეტყველებენ, რომ მისი ასული შობს ვაჟს, რომელიც მას სამეფოს წაართმევს. მეფე კოშკში ჩაამწყვდევს თავის ქალიშვილს, მაგრამ ამოდ. გილგამეში მაინც დაიბადება და წინასნარმეტყველება შესრულდება.<sup>389</sup>

ATU930 ტიპი ხშირად შერწყმულია ATU910K ტიპთან – სამჭედლოში წასვლა. ევროპულ ზღაპრებში მოქმედება ამგვარად ვითარდება:

---

<sup>388</sup> გამოქვეყნებული ვარიანტები ხშირად დასათაურებელია, როგორც „ბედისწერა“, მაგალითად: იყო და არა იყო რა. ქართული ხალხური ზღაპრები. ს. ქეთელაურის რედ., თბილისი: „ნაკადული“, 1977, გვ. 429-432. აგრეთვე იხ. ლიტ. ინსტ. ფოლკ. არქ.: ID7546 ფაა07400, ID12888 ფაკ41გვ465, ID13742 fak16gv115, ID14743 ფაკ41გვ504, ID15107 ფაა21993, ID16859 fak138gv220, ID18792 fak20gv109, ID19525 ფაკ110გვ138, ID20044 ფაა330გვ261, ID20067 ფაკ360-5გვ139.

<sup>389</sup> Brednich, Rolf Wilhelm. Schicksalserzählungen. In: Enzyklopädie des Märchens. B. 12. Berlin/NewYork: Walter de Gruyter, 2007, S. 1386-1395.

მომაკვდავი დიდგვაროვანი, რომელიც მთელი ცხოვრება მეფის კარზე მსახურობდა, თავის ვაჟს უგზავნის მეფეს. კაცი რჩევას აძლევს შვილს. პირველი: „არ იმეგობრობს შურიანთან და მატყუარასთან“ („არ ილაპარაკო, რაც ნახე“ ან „არ შეურაცხყო შენი ბატონის ოჯახი ღალატით“), მეორე: „გაიზიარე შენი ბატონის წარმატება და იღბალი“, მესამე: „არ ჩაუარო ეკლესიას ისე, რომ არ შეხვიდე“ („არ ჩაუარო გულგრილად წირვას“). მამის სიკვდილის შემდეგ ბიჭი იწყებს მეფის კარზე სამსახურს. ერთი შურიანი კაცი ცილს სწამებს მას დედოფალთან ღალატში. მამის რჩევის გამო, რომ გაიზიაროს ბატონის განცდები, თანაგრძნობას გამოხატავს დედოფლის მიმართ და ტირის მასთან ერთად. ამის გამო მათ სასიყვარულო კავშირს აბრალევენ და სიკვდილით დასჯას უპირებენ. ცილისმწამებელი ამბობს, რომ ბიჭი სამჭედლოს ცეცხლში დანვან ან სხვაგვარად მოკლან. ბიჭს გაგზავნიან სამჭედლოში. მკვლევები გაფრთხილებულნი არიან, რომ მოკლან ის, ვინც პირველი მოუტანს წერილს (ხელსახოცს). მამის დარიგების თანახმად კაცი შედის ეკლესიაში. ცილისმწამებელი, დარწმუნებული მის სიკვდილში, მიდის იმ ადგილას და მას კლავენ მის ნაცვლად. უდანაშაულო კაცი უამბობს ხალხს ცილისმწამებლის სიკვდილს. მას აფასებენ და ბედს ეწევა. უამრავი ვარიანტი ATU910K-ისა კომბინირებულია ATU930 ტიპთან. ზუსტი გამიჯვნა ტიპებისა შეუძლებელია, რადგან ბევრი ვარიანტი ორივე ტიპს განეკუთვნება. მიუხედავად იმისა, ATU910K და ATU930 ფუნდამენტურად განსხვავებული ტიპებია.<sup>390</sup>

ATU931 ოდიშოსი. სიუჟეტი კლასიკური წარმოშობისაა (ჰომეროსი, სოფოკლე), მაგრამ იმდენად გავრცელებულია ევროპისა და აღმოსავლეთის ხალხთა ფოლკლორულ ტრადიციაში, რომ საერთაშორისო საძიებელში

<sup>390</sup> Uther, Hans-Jörg. The Types of International Folktales. A Classification and Bibliography. Based on the System of Antti Aarne and Stith Thompson. Part 1. Helsinki: Academia Scientiarum Fennica, 2004, pp. 535, 568-569.

კლასიფიცირებულია როგორც ნოველისტური ზღაპარი ბედის წინასწარმეტყველებაზე. ეს ტიპი შეიცავს სხვადასხვა კომბინაციას მშობლის მკვლელობის, ინცესტის, მეგობართან შელაპარაკებისა და დაძმასთან კონფლიქტის ჩათვლით. წინასწარმეტყველებაში ან სიზმარში გაცხადებულია, რომ ახალდაბადებული ბავშვი გაიზრდება და მოკლავს მამას, დედას კი ცოლად შეირთავს. იმისთვის, რომ ბედისწერა აირიდოს, ბავშვი (ოიდიპოსი) გარბის. მას იპოვის და შეიფარებს მწყემსი, (ან იზრდება სხვა მეფის კარზე). უნებლიედ მოკლავს მამას (რომელიც მებალედ მუშაობს) და ვერ ცნობს. მერე ქორწინდება მის ცოლზე და ბოლოს იგებს სასტიკ სიმართლეს.

ეს სიუჟეტი უწყვეტად არსებობს ლიტერატურულ და ზეპირ ტრადიციებში ჰომეროსისდროინდელ ანტიკური ხანიდან მოყოლებული თანამედროვე სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ფოლკლორით დამთავრებული.

ქართულ ფოლკლორულ მასალებში გვხვდება შემდეგი შინაარსის ხალხური ნოველა:

ქმარი და ფეხმძიმე ცოლი ტყეში შეჩერდნენ მგზავრობისას. ქალმა იმშობიარა და გზა განაგრძეს. ცოტა ხანში ქმარს გაახსენდა, რომ ჩიბუხი დარჩა ტყეში და უკან დაბრუნდა. როცა იმ ადგილას მივიდა, სამი მოხუცი კაცი დაინახა. მათ თქვეს, ნუხელ რომ ბავშვი დაიბადა, თავის მამას მოკლავს და დედას ცოლად შეირთავსო. ქმარს ელდა ეცა ამ წინასწარმეტყველების გაგონებაზე, სასწრაფოდ ცოლთან დაბრუნდა და ყველაფერი უამბო. ცოლ-ქმარმა გადანყვიტა, ბავშვი გზაჯვარედინზე დაეტოვებინათ, რომ მგზავრებს ან საქონლის ჯოგს გადაეელო და გაეჭყლიტა. უპატრონოდ დაგდებულ ბავშვს ცხვრის ფარა მიუახლოვდა. ერთმა სარქალმა შეამჩნია ბავშვი, აიყვანა და მწყემსებს მიუყვანა გასაზრდელად. ბავშვი გაიზარდა. ერთხელ შემთხვევით ყური მოკრა თანატოლების ლაპარაკს და შეიტყო, რომ არ იყო მწყემსების ნამდვილი შვილი. მან გული აიცრუა გამზრდელზე და სახლიდან წავიდა თავისი ნამდვილი მშობლების საძებნელად. იარა, იარა და მივიდა

ერთ სოფელში და ერთ კაცს მოჯამაგირედ დაუდგა ვენახში სამუშაოდ. ერთხელ ვენახის პატრონმა გააფრთხილა, თუ ვინმე ვენახში შემოიპაროს, ცოცხალი არ გაუშვავო და იმავე ღამეს გადაწყვიტა, გამოეცადა მოჯამაგირე. როგორც კი ვენახში ვილაცის შემოსვლა გაიგო, მოჯამაგირემ თოფი ესროლა და თავისივე პატრონი დაჭრა. მევენახემ სიკვდილის წინ დაუბარა, რომ მისი ცოლ-შვილისთვის მოეველო. ასე დაქორწინდა მოჯამაგირე მის ქვრივზე და ამრიგად ასრულდა მოხუცების წინასწარმეტყველება.<sup>391</sup>

შუა საუკუნეებში ოიდიპოსის სიუჟეტის გავლენის ყველაზე მნიშვნელოვანი დადასტურებაა ლათინური ლეგენდა იუდა ისკარიოტელზე (XII ს.), რომელიც, როგორც მეცნიერები ვარაუდობენ, მართლმადიდებლური სამყაროდან დასავლეთ ევროპაში გავრცელდა და ბიბლიური ამბის დასაბუთებას წარმოადგენდა: იუდას დედას დაესიზმრა, რომ მისი შვილი ბოროტი გახდებოდა და ხალხს ავნებდა. ამიტომ ის თავიდან მოიშორა. გადაგდებული ბავშვი კუნძულ ისკარიოტის დედოფალმა იპოვა და იშვილა. იუდამ მოკლა დედოფლის ვაჟი და ქმარი და დედა შეირთო ცოლად. შემდეგ ის დაემონაფა ქრისტეს, მაგრამ სიხარბემ და შურმა საბოლოოდ თავისი უფლის გაცემამდე და თვითმკვლელობამდე მიიყვანა.<sup>392</sup>

ეს ლეგენდა ოიდიპოსის სიუჟეტის შუა საუკუნეების ასლს წარმოადგენს, რომელმაც საეკლესიო ლეგენდების ტრადიციის გავლით სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპულ ფოლკლორში გადაინაცვლა. ამგვარი შინაარსის არის ლეგენდა იულიანუს ჰოსპიტატორზე, რომელიც ცოდვილი წმინდანების ლეგენდების წრეს განეკუთვნება. ეს ლეგენდა უფრო დაშორებულია ოიდიპოსის სიუჟეტს. იულიანუსი ნადირობისას დაედევნება ირემს, რომელიც

<sup>391</sup> ლიტ. ინსტ. ფოლკ. არქ. ID1079ფაა12111. ტექსტის ჩანერის თარიღი უცნობია. მინანერით ვიგებთ: „ნაამბობი წინო გიორგის ასული ასათიანის, რომელსაც გაგონილი აქვს სოფ. ხიდისთავში – გორის მაზრაში მარინე ტლაშაძისაგან“.

<sup>392</sup> Brednich, Rolf Wilhelm. Schicksalserzählungen. In: Enzyklopädie des Märchens. B. 12. Berlin/New York: Walter de Gruyter, 2007, S. 1390.

უნინასწარმეტყველებს, რომ ის მშობლებს დახოცავს. იულიანუსი სხვა ქვეყანაში გარბის და ქორწინდება. მისი მის ძებნაში მშობლები მის სახლს მიადგებიან, სადაც იულიანუსის ცოლი გაუმასპინძლდება და ღამეს გაათევენებს. შინ დაბრუნებული იულიანუსი ლოგინში მწოლიარე წყვილს ცოლის ღალატად მიიჩნევს და თავის მშობლებს დახოცავს. ცოდვის მოსანანიებლად იულიანუსი პილიგრიმად მიდის. როცა ერთხელ ადამიანს წყალში დახრჩობისგან გადაარჩენს, ღმერთი მიუტევებს ცოდვებს. ამ ლეგენდას სხვა წმინდანებზეც ჰყვებიან ხალხურ ტრადიციაში, განსაკუთრებით სლოვენურ, ხორვატულ და რუმინულ ფოლკლორში.<sup>393</sup>

ზღაპრები ბედისწერაზე მეტნაკლები სიხშირით გავრცელებულია ევროპის ყველა ქვეყნის, ჩრდილოეთ აფრიკის და აღმოსავლეთის ხალხთა ფოლკლორში უკიდურესი აზიის ჩათვლით. ქართულ ფოლკლორშიც ზღაპრები წინასწარმეტყველებაზე მრავალფეროვნად არის წარმოდგენილი, გარდა ოიდიპოსისა, რომლის ქართული ვერსიაც არსებობს, მაგრამ ვარიანტების სიხშირით არ გამოირჩევა.

ქართულ ფოლკლორისტიკაში რამდენიმე სამეცნიერო ნაშრომი მიეძღვნა ბედისმწერლების მითოლოგიური და რელიგიური წარმომავლობის საკითხებს,<sup>394</sup> მაგრამ ზღაპრის ტიპების შედარებითი მეთოდით შესწავლაზე ყურადღება არ გამახვილებულა. ჩვენი დაკვირვების ობიექტია ის ზღაპრები, რომელთა ტიპობრივი კლასიფიკაციისთვის პირველადი კრიტერიუმი არის ბედისწერის შესრულება და ბედისწერის არიდება. ამისთვის შევარჩიეთ ზღაპრის ის ტიპები, რომელიც მკაფიოდ ასახავს სიუჟე-

<sup>393</sup> Brednich, Rolf Wilhelm. Schicksalserzählungen. In: Enzyklopädie des Märchens. B. 12. Berlin/New York: Walter de Gruyter, 2007, S. 139 f.

<sup>394</sup> არაბული, ამირან. წერა-მწერელნი, – ქართული ფოლკლორი 1(VIII), თბილისი 2002; კაპანაძე-გაფრინდაშვილი, ნათელა. ბედის „წერა-მწერელნი“ ქართულ საბავშვო ზეპირსიტყვიერებაში, – ქართული ფოლკლორი 3(XIX), თბილისი 2006; კობიაშვილი, ნინო. „ერთ ზღაპარი, ასრე ესმის უბედობა, თუნდა ბედი“, – კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა №7, თბილისი 2004.

ტის გავრცელებასა და დამკვიდრებას ფოლკლორულ და ლიტერატურულ ტრადიციებში.

შესრულებული ბედისწერა. საქართველოში დღესაც არსებობს ხალხური რწმენა, რომ ქორწინება ზეცაში წყდება და შეუღლება – ეს არის „ბედი“. ამგვარი წარმოდგენა ბევრ ხალხშია გავრცელებული: ცოლ-ქმრობა ნებით კი არა, ბედისწერით არის განსაზღვრული. ზღაპრის ტიპი ATU930A ნაწინასწარმეტყველები ცოლი სწორედ ამ თემის მხატვრული დამუშავებაა. სიუჟეტურ ტიპთა საერთაშორისო კატალოგის მონაცემებით, ზღაპრის ეს ტიპი აერთიანებს შემდეგ მოტივებს:

მოირები (ანგელოზები ან სხვა ღვთაებრივი არსებები) ახალშობილს ბედს უწინასწარმეტყველებენ. უცნობი მდიდარი ახალგაზრდა იგებს, რომ ახალდაბადებული გოგონა მისი ცოლი უნდა გახდეს. მას არ უნდა შეუხედავ ბავშვზე დაქორწინება და ცდილობს მის მოკვლას. გოგონა გადარჩება, გაიზრდება, დამშვენდება და შემთხვევის წყალობით შეხვდება მას, ვისაც მასთან ქორწინება ჰქონდა ნაწინასწარმეტყველები. ისინი ქორწინდებიან. ქორწილის შემდეგ კაცი აღმოაჩენს ქრილობას და მიხვდება, რომ ბედისწერა ახდა მიუხედავად მისი კრიმინალური მცდელობისა.

საქართველოში ATU930A ტიპის ზღაპრის ყველაზე ადრინდელი ჩანაწერი XIX საუკუნისაა. ზღაპარი ბედისწერაზე დაბეჭდილია ქართული ხალხური ზღაპრების პირველ კრებულში, რომელიც ლადო აღნიაშვილმა 1890 წელს გამოსცა.

ხელმწიფის შვილი ხვდება ანგელოზს, რომელიც კაცის სახით ეცხადება მას და ასწავლის გზას, თუ როგორ მივიდეს ბედისმწერელთან. ხელმწიფის შვილის ბედი ბედისმწერლის დავთარში წერია – ის ცოლად ფეიქრის ქალიშვილს შეირთავს. განაწყენებული უფლისწული იპოვის იმ ფეიქრის სახლს და ღამის გათევას ითხოვს. ფეიქრის პატარა გოგონა ცხრა წელიწადი ავადმყოფის სარეცელს არის მიჯაჭვული. უფლისწული ღამით დანით დაჭრის,

სასთუმალთან ფულს დაუტოვებს და გარბის. ბავშვი შევლას ითხოვს, თურმე მისი ავადმყოფობის მიზეზი სისხლია და ის სრულიად გამოჯანმრთელდება. უფლისწულის დატოვებული ფულით კი მშობლები სასახლეს ააშენებენ და მდიდრულად ცხოვრობენ. დრო გადის. ერთხელ ხელმწიფის შვილი შემთხვევით გაიცნობს ლამაზ ასულს, შეუყვარდება, ცოლად შეირთავს და მისი ცოლი სწორედ ის ფეიქრის გოგონა აღმოჩნდება.

ამ ზღაპრის პირველი ინგლისური თარგმანიც XIX საუკუნეშივე შესრულდა მარჯორი უორდროპის მიერ სწორედ ლადო აღნიაშვილის კრებულის საფუძველზე.<sup>395</sup>

ფოლკლორულ არქივში ამ ზღაპრის სხვადასხვა ვარიანტი ინახება. მაგალითისთვის სრულად მოვიყვანთ ერთ-ერთ ძველ ჩანანერს, რომელიც XIX საუკუნის მინურულს ქართლში ჩაინერა ნესტორ ბაკურაძემ (ცნობილია ფსევდონიმით ქართველი ოსებში) ვინმე მარიამ ჯანუაშვილისგან.

### ხენნიფე (არაკი)

იყო და არა იყო რა. იყო ერთი ხენნიფე. ამ ხენნიფეს ჰყვანდა ერთადერთი ვაჟი, რომელსაც დღე და ღამე შეჰხაროდა. ერთ ღამეს ამ ხენნიფის ვაჟმა ნახა სიზმარი, ვითომ ერთს უდაბურ ტყეში იყო, იქ მშვენიერი მაგიდა იდგა. მაგიდის გარშემო უსხდნენ სამი ბედისმწერლები, რომელნიც სწერდნენ ქვეყანაზედ ვის რა ბედი და იღბალი ენერა. სხვათა შორის, ბედისმწერლებმა თავიანთ დაეთარში ჩანერეს ეს ხენნიფის შვილიც ასე: ამა და ამ ხენნიფის შვილის ბედ-იღბალი ამა და ამ მენახირის ქალიაო.

ამ ხენნიფის შვილს გამოეღვიძა, მაგრამ გულში ჩაეჭრა ეს ბედისმწერლები და დღე და ღამე მოსვენება აღარა ჰქონდა. დილით გამოვიდოდა, ნავიდოდა სანადიროთ და უგზო-უკვლოთ დადიოდა, დაეძებდა იმ მენახირეს და მის ქალს.

ერთ დღეს, ხენნიფიშვილმა აიძსო ხურჯინი ჩვეულე-ბისამებრ ოქრო-ვერცხლით, შემოიკრა ცხენზედ, აილო

<sup>395</sup> Georgian Folk Tales translated by Marjory Wardrop. Published by David Nutt in the Strand. London 1894, pp. 23-25.

მშვილდ-ისარი, შეჯდა ცხენზედ და გაუდგა გზას. იარა, იარა, ბევრი იარა თუ ცოტა იარა, ერთ სალამოთი ერთ უდაბურ ტყეში გასნია ხენნიფიშვილმა და მიადგა, საინდანაც ბოლი ამოდოდა. შეხედა, ერთი პატარა ქოხი იყო. ხენნიფის შვილმა შესძახა, სახლის პატრონო, სტუმარი არ გინდათო. ეზოდან გამოვიდა ერთი დედაკაცი, ხენნიფის შვილს მიესალმა და უთხრა, სტუმარი ღვთისაა, მაგრამ თქვენი საკადრისი სახლი არა გვაქს და რა ვქნათო. ხენნიფიშვილმა უთხრა, შესაფერი არ მინდა, ოლონდ შინ შემიშვი და ღამე გამათევეინეთო. ხენნიფის შვილი შევიდა შინ, მოხსნა ცხენს ხურჯინი და თან შეიტანა.

სალამოზედ მოვიდა მენახირეც. ხენნიფის შვილს მიესალმა და რაც ღმერთმა მისცათ, ვახშამი მიაართვეს. ვახშამზედ რო ისხდნენ, ქოხის კუთხიდან ხენნიფის შვილს კენესა შემოესმა. ხენნიფის შვილმა ჰკითხათ, ეს რის კენესა არისო. მასპინძელმა მიუგო, ეს ჩვენი ქალი არისო. ეს შვიდი წელინადი არის ლოგინში კენესის, არცა კვდება, არცა რჩებაო.

ხენნიფიშვილმა გუნებაში იფიქრა, უსათუოდ ეს არის ჩემი ბედ-იღბალი, რომელიც ბედისმწერლებმა დამინერესო და მოინდომა ქალის მოკვლა. გაათავეს ვახშამი. ყმანვილი მოასვენეს და თავათაც დაიძინეს მენახირემ და მისმა ცოლმა. ხენნიფიშვილმა იფიქრა, მოდი ამ ქალს მოვკლამ და მაშინ ხო არ ამიხდება მაგის ცოლობაო. ნამოდგა შუალამისას ხენნიფიშვილი, მიიტანა ხურჯინით ოქრო-ვერცხლი და თავით დაუდო ქალს, თავისი სისხლისთვისო, მერე აიღო ერთი დანა, გადუნია ყელი და გამოუსვა ქალსა. თავათ გამოვიდა ჩუმად, შეჯდა ცხენზედ და გაუდგა გზას.

თურმე ხენნიფის შვილს სიჩქარით ყანყრატოში აუცდენია დანა და გვერდზე გამოუსვია ქალისთვის. სანამ კენესოდა თურმე, სისხლი იყო მისი სატკივრის მიზეზი. ბლომათ სისხლი რომ დიოდა, ქალს გული გაუნთავისუფლდა და დაუძახა დედას, მიშველეთო. დედა ნამოდგა, ანთო ჭრაქი, მიანათა, ნახა, რომ საბრალო ქალი სისხლის

გუბეში წევს. დედაკაცმა ქმარი გააღვიძა, ქალს მოუარეს. ის დღე იყო და ის. ქალი განთავისუფლდა და ისეთი გახდა, როგორც გაბადრული მთვარე. აბა ამ სანყალ ცოლ-ქმარს ქალიც მოურჩათ და ხურჯინითაც სიმდიდრე დარჩათ. მათ სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ადგა ეს მენახირე, აიყარა იქიდან, გადმოსახლდა სხვაგან, აიშენა სასახლე და დაიწყო მდიდრულათ ცხოვრება.

ერთხელ ჩამოიარა მეთარემ, მენახირის ქალი მაღალ ბალკონზედ გადმომდგარიყო და მეთარე შეაყვანიდა ეზოში. მეთარემ დაუკრა თარი, აიხედა, დაინახა მენახირის ქალი და თქო გუნებაში, ამისთანა მშვენიერი ქალი სწორეთ ჩვენი ხენნიფიშვილის საკადრისიაო. მეთარე დაასაჩუქრა ქალმა და გამოისტუმრა. მოვიდა თუ არა მეთარე შინ, მაშინვე გასნია ხენნიფიშვილთან. მივიდა და მოახსენა, ხენნიფიშვილო, ამა და ამ ალაგას ერთი სასახლე ვნახე. იმ სასახლეში ერთი მშვენიერი ქალია. სწორედ მთვარის დარია და ნამდვილად თქვენი საკადრისიაო.

ხენნიფიშვილს ჩაეჭრა გულში ქალის სიყვარული. ერთ დღეს შეჯდა ცხენზედ, გაიყოლა თან მხლებლები, იარა, იარა და მიადგა მენახირის სასახლის კარს, შეუგზავნა კაცი, რო ხენნიფიშვილი ვარ და ამაღამ მისტუმრეთო. გამოეგებნენ ხენნიფიშვილს და რასაკვირველია დიდი ანბით მიიღეს. იმ ღამეს ხენნიფიშვილმა მასპინძელს გამოუცხადა, შენი ქალის სათხოვნელად მოვედი და უნდა ცოლათ მამცეო. მასპინძელმა მოახსენა, თუკი გვიკადრებთ, ბატონი ბრძანდებით, დიდი სიამოვნებითაო. რასაკვირველია, გამართეს ქორწილი და დიდის ანბით წაიყვანა ხენნიფიშვილმა მენახირის ქალი თავის სახლში.

ხენნიფიშვილმა, რასაკვირველია, პირველ ღამეს დაუნყო ქალს ალერსი. ვნახოთ, რომა კისერსა და მხარსშუა მოავლო ქალსა ხელი და რალაცა დაკერებულევით ჭრილობა მოხვდა. ხენნიფიშვილმა ჰკითხა ცოლს, ქალო, ეს რა ანბავი არისო. არაფერიო, ქალმა უთხრა. არა, მაინც რა არის, უნდა მითხრაო. მაშინ დანერვილებით უამბო ცოლმა, რო მამაჩემი სანყალი მენახირე ყოფილა, ერთ უდაბურ

ტყევი გვიცხოვრიაო. მე თურმე შვიდი წელი სისხლით ავათმყოფი ვყოფილვარო. ერთ ღამეს გვეწვია ერთი უცხო სტუმარი. მას თურმე ჩემი ყელის გამოჭრა მოენდომებინა და სიჩქარით ამ ალაგას გაეჭრაო. მე სისხლი მდენოდა და მოვრჩიო. – შენ იყავიო? – ხენნიფის შვილმა პირჯვარი გადაინერა და სთქვა: – მაღლობა შენთვის ღმერთო, ცა და ქვეყანა დაიქცეს და ღვთის სიტყვა აღსრულდეს. უცხო მე ვიყავი, მე უნდა გამომეჭრა შენთვის ყელიო.

ხენნიფემ ამ თავის შვილს დაულოცა ხენნიფობა. სიკვდილამდინ მაღლიერი იყო თავის ბედისწერისა.<sup>396</sup>

ამ ზღაპრის რედაქტირებული ვარიანტი, სულხან ქეთელაურის მიერ გადამუშავებული, დაბეჭდილია კრებულში „იყო და არა იყო რა“ (1977) სათაურით „ბედისწერის ძალა“. მწერლის ფანტაზიით ბედისმწერლების ადგილსამყოფელი აღმოსავლეთია და იქამდე მისასვლელად გმირმა ცეცხლისა და ყინულის მთები უნდა გადაიაროს.<sup>397</sup>

ATU930A ტიპის ზღაპრის უახლესი ვარიანტი, სამეგრელოში ჩანერილი, მოცემული აქვს ნათელა კაპანაძე-გაფრინდაშვილს სტატიაში „წერა-მწერლების“ შესახებ:

„ჩემი დის სახლში ვიყავი და ამ დროს მეზობლის ქალი მშობარობდა. ოჯახი შეძლებული იყო და ძროხის ქურდი შეპარულიყო სახლში. დაბადებულა გოგონა, მოფრენილა სამი ანგელოზი. ერთს უთქვამს: ლამაზი იყოს და გარდაიცვალოს ადრეო; მეორეს უთქვამს: მახინჯი იყოს და ისე იცხოვროსო; მესამეს უთქვამს: აქ რომ ქურდია იმისი ცოლი გახთესო. ქურდი გაბრაზებულა, ეს ცოლად მე როდის მომესწრებაო, შეპარულა ბავშვთან, დაურტყამს დანა და სხვენზე აუგდია. ბავშვს ტკივილებისაგან ტირილი დაუწყია, დედ-მამას გაუგონია ხმა, ბავშვი ჩამოუყვანიათ სხვენიდან, ჭრილობა შეუხვევიათ და ბავშვი გადარჩენილა. 17 წლისა ძალიან კარგი გოგო გამხდარა. ერთხელ დედას გოგო გასვენებაში წაუყვანია, იქ ის ცხენის ქურდი

<sup>396</sup> ლიტ. ინსტ. ფოლკ. არქ. ID 7183, ფაა07438.

<sup>397</sup> იყო და არა იყო რა. ქართული ხალხური ზღაპრები. სულხან ქეთელაურის რედაქციით. თბილისი: „ნაკადული“, 1977, გვ. 401-404.

კაციც ყოფილა, მოსწონებია ეს გოგო ძალიან, ცოლობა უთხოვნია, გოგოც დათანხმებულა. კაცს ჭრილობა შეუმჩნევია გოგონასათვის და უკითხავს: ეს ჭრილობა საიდანა გაქვსო. გოგონას უამბნია კაციისათვის, რაც დაემართა ე.ი. რაც ბედი გინერია, იმას ვერ აცდებო ან სადაცაა ბედი შენი, იქ მიგიყვანს ბედი შენით, უბედოდ არაფერი არ ხდებაო“ (მთხრობელი: სიგუა ჭვატა დიმიტრის ასული, 89 წლის, გეგეჭკორი, სოფელი ნახუნაო).<sup>398</sup>

ATU930A ტიპის ზღაპარი საქართველოში ფართოდ არის გავრცელებული. XIX საუკუნიდან დღევანდლამდე ფიქსირებულია სხვადასხვა ვარიანტი, რომლებშიც ბედისმწერლები ან ანგელოზები წინასწარმეტყველებენ მომავალ ქორწინებას.

როცა ზღაპრის ტიპს განვიხილავთ მთლიანობაში და არა ცალკეულ მოტივებს, გვერდს ვერ ავუვლით გეოგრაფიულ-ისტორიული გავრცელების საკითხს.

ATU930A ტიპის ზღაპრის უძველესი ფიქსირებული ჩანაწერები IX-X საუკუნეების ორ ჩინურ თხზულებაშია შემორჩენილი. მკვლევრები ვარაუდობენ, რომ ისინი ლიტერატურული გადამუშავებები ხალხური გადმოცემისა, დღემდე პოპულარული ჩინეთში. გერმანელი ფოლკლორისტი როლფ ვილჰელმ ბრედნიხი, რომელმაც მონოგრაფია მიუძღვნა ბედისწერის საკითხს ფოლკლორში,<sup>399</sup> მიიჩნევს, რომ ATU930A თხრობითი ტიპი შესაძლოა ჩინეთში კი არა, ინდოეთშიც შექმნილიყო, როგორც ბუდისტური შინაარსის მოთხრობა, რადგან ბუდიზმში განსაკუთრებით დიდი როლი ენიჭება ბედისწერას.

მოთხრობები ბედისწერის წინასწარ განსაზღვრაზე ბუდისტური რელიგიის გავლენის არეალში ფართოდ არის გავრცელებული. იაპონიაში ATU930A ტიპი XVII საუკუნი-

<sup>398</sup> კაპანაძე-გაფრინდამვილი, ნათელა. ბედის „წერა-მწერელი“ ქართულ საბავშვო ზეპირსიტყვიერებაში, – ქართული ფოლკლორი 3(XIX), თბილისი 2006.

<sup>399</sup> Brednich, Rolf Wilhelm. Volkserzählungen und Volksglaube von der Schicksalsfrauen. Helsinki: Academia Scientiarum Fennica, 1964 (FFC 193).

დან არსებობს და უკავშირდება ბუდისტ ბერს, იოცოო კი-ოტოელს (892-864 წწ.).

ინდოეთში XIX-XX საუკუნეებში სამი ზეპირი გადმოცემაა ჩანერილი, მათ შორის ყველაზე ძველი პანჯაბური ვარიანტია: უფლისწული ცდილობს, ნანინასწარმეტყველები ქორწინება თავიდან აიცილოს ბავშვის მკვლელობით. ბავშვს სპილო გადაარჩენს და იმ სასახლეში მიიყვანს, სადაც უფლისწული ცხოვრობს. ბოლოს ისინი დაქორწინდებიან.<sup>400</sup>

ჩინურ და ინდურ გადმოცემებში წინასწარმეტყველები მამრობითი სქესის ღვთაებები არიან. ისინი თავის გადანყვეტილებას ბედისწერის წიგნში იწერენ, ანდა მომავალი ცოლ-ქმრის ბედს ძაფით აბამენ ერთმანეთს.

ნანინასწარმეტყველები ცოლის ზღაპრის განსხვავებული ვერსია არსებობს არაბულ და ებრაულ ლიტერატურულ ტრადიციაში. მონას უწინასწარმეტყველებენ თავისი ბატონის ქალიშვილზე ქორწინებას, რომელიც მეძავია და ბოლოს ობობის ნაკბენით უნდა მოკვდეს. ეს ამბავი ჩართულია „ათას ერთი ღამის“ ზოგიერთ რედაქციაში, მეფე შაჰ-ბახტისა და მისი ვეზირის ალ-რაჰვანის ნარატიულ ციკლში.<sup>401</sup> ამბავს ჰყვება ვეზირი სიკვდილით დასჯისგან თავის გადასარჩენად:

არაბთა ტომში დაიბადება გოგონა, რომელსაც ერთი მოხუცი ქალი უწინასწარმეტყველებს, რომ ის ასი კაცის

---

<sup>400</sup> Brednich, Rolf Wilhelm. Die Vorbestimmte Frau. In: Enzyklopädie des Märchens. B. 1. Berlin/NewYork: Walter de Gruyter, 1987, S. 207-208.

<sup>401</sup> ეს ჩარჩოიანი მოთხრობა ე.წ. ბრესლაუს რედაქციაშია, მაქსიმილიან შაბიხტის მიერ გამოცემული „ათას ერთი ღამის“ არაბულ ტექსტში თუნისური ხელნაწერის მიხედვით. *Hadha Kitab Alf layla wa-layla min al-mubtada' ila al-muntaha/Tausend und Eine Nacht. Arabisch. Nach einer Handschrift aus Tunis. Herausgegeben von Dr. Maximilian Habicht (and H. L. Fleischer). 12 vols. Breslau 1825-1843.* ეს მოთხრობა („Das Mädchen mit dem aufgeschlitzten Bauch“) შესულია „ათას ერთი ღამის“ ახლად აღმოჩენილ ხელნაწერში, რომელსაც თურქეთის ქალაქ კაისერიში მიაკვლია და გერმანულად თარგმნა კლაუდია ოტმა. Ott, Claudia. *Tausendundeine Nacht. Das glückliche Ende. Nach der Handschrift der Rasit-Efendi-Bibliothek Kayseri erstmals ins Deutsche übertragen von Claudia Ott. München: C.H. Beck, 2016.*

საყვარელი იქნება, ცოლად მოჯამაგირეს გაყვება და ობობის ნაკბენისგან მოკვდება (Mot. M345.1). წინასწარმეტყველების თავიდან არიდების მიზმით მოჯამაგირე ახალდაბადებულს ყელს გამოჭრის და გადააგდებს. ბავშვი გადარჩება, გაიზრდება და პროსტიტუციას დაიწყებს. მოჯამაგირე, რომელიც ამასობაში გამდიდრდა, ქორწინდება მასზე ისე, რომ არ იცის მისი ვინაობა. როცა გაარკვევს, რომ ორი წინასწარმეტყველება უკვე ასრულდა, ცდილობს თავი იხსნას მესამე წინასწარმეტყველებისგან. ობობისგან თავის დასაცავად ცოლ-ქმარი ცხოვრობს ჩაკეტილ სასახლეში (მდრ. Mot. M372). როცა ქმარი შეამჩნევს ობობას, ცოლი დააპირებს თვითონ მოკლას ფიცრით, მაგრამ ობობა ხელზე შეახტება და სასიკვდილოდ მონამლავს.

ეს ამბავი მკვეთრად განსხვავდება ATU930A ტიპის ევროპული და აღმოსავლური ვერსიებისგან : 1) მთავარი გმირი მოჯამაგირეა და არა დიდგვაროვანი, 2) წინასწარმეტყველებია პროსტიტუცია, 3) ამბავი ტრაგიკულად მთავრდება. სიუჟეტურ ტიპთა ძველ კატალოგში<sup>42</sup> ზღაპარი აღწერილი იყო ცალკე ტიპად, AaTh930B. ვერსიებს შორის განსხვავება თვალსაჩინო რომ გახდეს, მოგვყავს ზღაპრის შინაარსი უახლესი გერმანული გამოცემის მიხედვით:

#### მუცელგაფატრული გოგონა

ამბობენ, რომ არაბ ბედუინებს შორის ერთი ფეხმძიმე ქალი ცხოვრობდა. მას და მის ქმარს ბევრი მოჯამაგირე ჰყავდათ. როცა ქალს მუცლის ტკივილები დაეწყო და შუალამისას ბავშვი დაიბადა, ერთი მოჯამაგირე ცეცხლის მოსატანად გაგზავნეს. ტომში ერთი წინასწარმეტყველი ქალი იყო. მან მოჯამაგირეს ახალშობილის შესახებ ჰკითხა, ბიჭია თუ გოგო. „გოგონაა“, უპასუხა მოჯამაგირემ. „ეს გოგო ასი კაცის საყვარელი იქნება, – უწინასწარმეტყველა ქალმა, – ცოლად მამამისის მოჯამაგირე შეირთავს და ობობის ნაკბენისგან მოკვდება.“ შეიტყო რა ეს, მოჯამა-

<sup>42</sup> Aarne, Antti and Stith Thompson. The Types of the Folktale. A Classification and Bibliography. Second Revision, Helsinki 1961.

გირე შინ მივიდა, ახალშობილ ბავშვს მუცელი გაუფატრა და სახლიდან გაიქცა. დიდი ხანი უცხოობაში გაატარა, ცოტაოდენი ქონებაც დააგროვა და ოცი წლის შემდეგ თავის სამშობლოში დაბრუნდა. ერთი მოხუცი ქალის მეზობლად დასახლდა, რომელსაც სთხოვა, ღამით გასართობად ქალი მოეყვანა. „ერთი ქალი ვიცი, ღამაში და სახელგანთქმული სიყვარულის საქმეში“, უთხრა დედაბერმა. „ნადი და საჩქაროდ მოიყვანე, იმდენს გადავუხდი, რამდენსაც ითხოვს!“ დედაბერი ქალთან წავიდა და სტუმრის დანაბარები გადასცა. „მინდა იცოდეთ, რომ ძველ ხელობას აღარ მივდეგ, – უთხრა ქალმა, – მართალია ვმეძაობდი, მაგრამ ახლა ეს საქმე აღარ მომწონს და აღარ მინდა კვლავ მას მივდეგდე. თუ მას სხვა ურთიერთობა სურს, მხოლოდ იმ შემთხვევაში დავთანხმდები.“ დედაბერი შინ დაბრუნდა. ქალის ასეთ პასუხზე კაცი კიდევ უფრო აინთო მისი სურვილით და უყოყმანოდ შეერთო ცოლად. წყვილს ძალიან შეუყვარდა ერთმანეთი. რამდენიმე დღის შემდეგ, როცა მათ ბედნიერებას საზღვარი არ ჰქონდა, ქმარმა ცოლს სხეულზე ნაიარვეი შენიშნა. ცოლმა უამბო, რაც დედისგან გაეგონა. „კიდევ იყო ერთი წინასწარმეტყველება შენს სიკვდილზე, – ნამოიძახა შეძრწუნებულმა ქმარმა, – და მეშინია, რომ ისიც ასრულდება!“ „განა შეიძლება სიკვდილისგან ხსნა?“ „არა, მაგრამ მაინც უნდა გავფრთხილდეთ!“ ამის შემდეგ ქმარმა ქვის სახლი ააშენა და ყველა კუთხე-კუნჭული დაგმანა, ისე ეშინოდა ობობასი. ერთ დღეს ობობა მაინც შემოვიდა სახლში. „აღბათ სწორედ ეს არის ის ობობა, რომელმაც უნდა მომკლას, – თქვა ცოლმა, – მე თვითონ მოვკლავ!“ ამ სიტყვებით ფიცარი აიღო და ობობას დაარტყა. ფიცარი გასკდა, ერთი ხიჭვი ქალს ხელში შეერჭო და ხელი დაუჩირქდა. ქალს სისხლი მოენამლა და გარდაიცვალა.<sup>403</sup>

ბედისწერის ზღაპრების ქართული და აღმოსავლეთ ევროპული ვერსიები ყველაზე მეტ ურთიერთმსგავსებას

<sup>403</sup> Ott, Claudia. Tausendundeine Nacht. Das glückliche Ende. Nach der Handschrift der Rašit-Efendi-Bibliothek Kayseri erstmals ins Deutsche übertragen von Claudia Ott. München: C.H. Beck, 2016.

ამჟღავნებენ. ქართულ ენაში ბედის მნიშვნელობით უცხო სიტყვებიც გამოიყენება: ყისმათი და ილბალი. არაბული წარმოშობის ეს სიტყვები ბალკანეთშიც არის გავრცელებული სპარსულისა და თურქულის გზით. ქართული ხალხური ანექდოტების მსგავსია მაკედონიურ, სერბულ და ბულგარულ ზღაპრებში პერსონიფიცირებული კისმეთი (ყისმათი), რომელიც ადამიანს ეხმარება, მაგრამ თუ არ მუშაობს, ადამიანი ავადდება.<sup>404</sup> ქართულ ფოლკლორში ამგვარი ისტორიები ილბალსა და ჭკუას გადახდება.<sup>405</sup>

აღმოსავლური სიტყვების ქართულ ლექსიკაში დამკვიდრების საკითხის კვლევას ენათმეცნიერებს დაეთმობთ, ფოლკლორისტიკის პოზიცია კი შემდეგია: აღმოსავლურ გავლენამ მოიტანა უცხო სიტყვები ლექსიკაში, მაგრამ არა რწმენა-წარმოდგენათა ლოკალურ სისტემაში. აჭარულ და ლაზურ ფოლკლორში, ცხადია, მუსლიმური გავლენა მეტია,<sup>406</sup> მაგრამ ქრისტიანულ გარემოში აღმოსავლური სიტყვები, ამ შემთხვევაში ბედისწერასთან დაკავშირებული, ზოგადქართულ კონცეფციას შეესაბამება ბედისმწერლების შესახებ. ქართული მითოლოგიური და ქრისტიანული წარმოდგენები კიდევ უფრო თვალსაჩინოა ჯადოსნურ ზღაპრებში.

**არიდებული ბედისწერა.** ჯადოსნურ ზღაპარში შესაძლებელია გარდაუვალი სიკვდილის არიდებაც კი, თუ გმირი მოინდომებს. ამ ტიპის ზღაპრებში ბედისწერას ცვლის შემწე პერსონაჟი (მეგობარი ან და), რომელიც მზად არის, მსხვერპლად შეენიროს თავის საყვარელ ადამიანს.

---

<sup>404</sup> Radulivić, Nemanja. Serbian Folk Narratives Concerning Fate and Their Turkish Parallels. In: Journal of Turkish World Studies XII/2 (2012), pp. 453-462.

<sup>405</sup> იყო და არა იყო რა. ქართული ხალხური ზღაპრები. სულხან ქეთელაურის რედაქციით. თბილისი: „ნაკადული“, 1977, გვ. 306-311.

<sup>406</sup> იხ. ლაზური ზღაპრები „ბედ-ილბალი“, „ჭკუა და ილბალი“, „ილბალი“. ლაზური ზღაპრები. კრებული შეადგინა, გამოსაცემად მოამზადა, ბოლოსიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ზურაბ თანდილაევამ. თბილისი: „ნაკადული“, 1970, გვ. 71-78.

უძველესი ფიქსირებული ზღაპარი, რომლის მთავარი იდეა ბედისწერის არიდებაა, არის ძველეგვიპტური „განწირული უფლისწული“. იერატოკული ხელნაწერი პაპირუსზე დათარიღებულია დაახლოებით ძვ.წ. 1290 წლით, განეკუთვნება სეთ I და რამზეს II-ის პერიოდს.<sup>407</sup> ზღაპარს აკლია დასასრული:

სამეფო კარზე დაიბადა დიდი ხნის ნანატრი ვაჟი. პატორებმა, ბედისწერის ქალღმერთებმა მას სიკვდილი უწინასწარმეტყველეს ძალღის, ნიანგის ან გველის ნაკბენით. უფლისწული მამამ ჩაკეტილ კოშკში გაზარდა. ერთხელ ვაჟმა ბანიდან ქურჩაში გადაიხედა და დაინახა, კაცს მწევარი მიჰყვებოდა გვერდით. მან მსახურს ჰკითხა, რა სულიერი იყო და თვითონაც მოინდომა, ძალღი ჰყოლოდა. მამამ ვერ დაუშალა და ერთი მწევარი აჩუქა. უფლისწულმა მამას უთხრა: „მართალია სამი საფრთხისგან სიკვდილი მიწერია, მაგრამ ეს ვერ დამაბრკოლებს, ის გავაკეთო, რაც მსურს.“ მამამ მისცა იარაღი და მწევარი და აღმოსავლეთის სანაპიროსკენ გაისტუმრა. უფლისწული ნაჰარინას ქვეყანაში მივიდა, სადაც მეფის ერთადერთ ასულს საქმროებისთვის პირობა ჰქონდა დადებული, იმაზე დაქორწინებულიყო, ვინც მისი სარკმლის სიმაღლეზე ავიდოდა. ეგვიპტის უფლისწულმა ყველა დანარჩენ მეტოქეთა შორის გაიმარჯვა და თავისი ვინაობა გაამხილა: „ეგვიპტელი სარდლის შვილი ვარ, დედა მომიკვდა, მამამ სხვა ქალი შეირთო, რომელსაც ვძულდი და გამოვექეცი“. უფლისწული დაქორწინდა ნაჰარინას მეფის ასულზე. რამდენიმე დღე რომ გავიდა, მან ცოლს თავისი ნაწინასწარმეტყველები სიკვდილის შესახებ უამბო. ცოლმა სთხოვა, მწევარი მოეკლა. უფლისწულმა ვერ გაიმეტა თავისი გაზრდილი ცხოველი. მაშინ ცოლმა გადაწყვიტა, ქმარს გვერდიდან არ მოშორებოდა. ასე გადაარჩინა მან ქმარი გველის ნაკბენისგან. ცოლს იმედი ჰქონდა, რომ რადგან მისი ქმარი ერთხელ გადაურჩა სიკვდილს, დანარჩენ ორ საფრთხესაც აიცილებდა. ერთხელ მოხდა ისე, რომ უფლის-

<sup>407</sup> პაპირუსი Harris, #10060 დაცულია ბრიტანულ მუზეუმში.

ნულს თავისი ძალი გამოეკიდა და მდინარემდე სდია, სადაც ერთი ნიანგი ცხოვრობდა და თავის მუდმივ მტერს, ნყლის გოლიათს ებრძოდა. ნიანგმა უთხრა უფლისწულს: „მე შენი მესამე ბედისწერა ვარ. ან შენ უნდა მოგკლა, ან გოლიათი. თუ დაინახე, რომ გოლიათი დამარცხდა, შენ ნახავ შენს სიკვდილს.“

ზღაპარი აქ წყდება.<sup>408</sup>

„განწირული უფლისწული“ ყველაზე მეტად დგას ახლოს ხალხურ ზღაპრებთან მოტივებითა და სტრუქტურით, ვიდრე დანარჩენი ძველევგიპტური მოთხრობები. შეიძლება ითქვას, ეს ერთადერთი ზღაპარია უძველეს ფიქსირებულ ჩანაწერებს შორის. ევროპული ზღაპრის მოტივებიდან მას შეესაბამება ფერია-ნათლიების მიერ ბედის წინასწარმეტყველების მოტივი (Mot.F312). კოშკში ჩაკეტვის მოტივი (Mot.T381) ზღაპრებში ძირითადად ქალ პერსონაჟებთან არის დაკავშირებული (მდრ. დანაეს ამბავი ძველ ბერძნულ მითოლოგიაში), ვაჟის ჩაკეტვა კი იშვიათია და ეს მოტივი ქართულ და ბალკანურ ზღაპრებში გვხვდება (მდრ. ქართული ხალხური ზღაპრები უკვდავების მადიებელ ჭაბუკზე და „ბალავარიანის“ ქართული ვერსიები).

ამ შემთხვევაში ჩვენი ყურადღების ცენტრშია ბედისწერის ასრულება-არიდების თემა. ძველევგიპტურ მოთხრობებში ბედისწერა ადამიანს დაბადებიდან დაჰყვება, მასთან ერთად არის სიჭაბუკეშიც, ქარმაგობაშიც და სიკვდილის შემდეგაც. მიუხედავად იმისა, რომ ბედისწერის ქაღალღმერთები, ჰატორები განაგებენ ადამიანის ბედს, ღმერთის კეთილგანწყობა გაცილებით ძლიერია. „განწირული უფლისწული“ ითვლება ძველევგიპტური რელიგიური აზროვნების გამოხატულებად. როცა უფლისწულის მეუღლე გველს მოკლავს, ამბობს: „ხედავ, შენმა ღმერთმა შენი ბედი შენვე გადმოგცა. დანარჩენებიც შენს ხელში იქნება.“ ეგვიპტურ ცნება „ბედისწერას“ ეგვიპტოლოგები

---

<sup>408</sup> Maspero, Gaston. Popular Stories of Ancient Egypt. Edited and with an Introduction by Hasan El-Shamy. Oxford/New York: Oxford University Press, 2002, p. 154-158.

განმარტავენ როგორც „სიცოცხლის დროს“.<sup>409</sup> ეგვიპტური ბედისწერა არ არის საბოლოო და შეუცვლელი, არამედ ის შეიძლება სასიკეთოდ შემოტრიალდეს, თუ ადამიანმა ღმერთის წყალობა დაიმსახურა. მხურვალე ლოცვის შედეგად დაბადებული ნანატრი ვაჟს თავისი ღმერთი მფარველობს და არ დაიღუპება. მას ერთგული ცოლი და სიყვარული გადაარჩენს. ქალის სათნოება მთელ ზღაპარს ლაიტმოტივად გასდევს.

ბედისწერისგან გადარჩენა სულ რამდენიმე ზღაპრის ტიპში გვხვდება. ერთ-ერთი ტიპია ATU506\* არიდებული წინასწარმეტყველება:

უშვილო მშობლების ლოცვის შედეგად ბავშვი დაიბადება. ნაწინასწარმეტყველებია, რომ ის დაიღუპება 20 წლის ასაკში. ბავშვს ეხმარება მეგობარი (ან წმინდანი), რომელიც მფარველობს მას მადლობის ნიშნად. მეგობარი გადაარჩენს მას განსაცდელისგან და მისთვის მოიპოვებს მეფის ასულს. სანამ დაქორწინდებიან, მეგობარი დაყინებით ითხოვს ქალის შუაზე გაჭრას. ხმლის ყასიდად მოქნევის შემდეგ ქალი შიშისგან გველს ან შხამს გადმოანთხევს. გმირის ნაწინასწარმეტყველები სიკვდილი არიდებულია.

ქართული ზღაპრებიდან მაგალითად მოვიყვანო „მღვდლის ქალიშვილს“ პეტრე უმიკაშვილის კოლექციიდან. ზღაპარი ჩანერილია ქართლში 1870 წელს დავით ვეზირიშვილისგან.

იყო ერთი მღვდელი, რომელიც ყოველდღე ღმერთს ევედრებოდა, ვაჟიშვილი ებოძებინა. ერთხელ, როცა ლოცვა დაამთავრა და შინ დაბრუნდა, გაახსენდა, რომ ეკლესიის კარი ღია დარჩენოდა. მან თავის უმცროს ქალიშვილს სთხოვა, ეკლესიაში წასულიყო კარის დასაკეტად. ქალიშვილი ეკლესიას რომ მიუახლოვდა, ადამიანის ხმები შემოესმა.

„ერთმა თქვა: ეს მღვდელი, რომელიც აქ მოდის სალოცავათ, ღმერთმა შეიბრალა და უბოძებს ვაჟიშვილსა.

<sup>409</sup> Spies, Otto. Ägypten. In: Enzyklopädie des Märchens. Bd. 1. Berlin/NewYork: Walter de Gruyter, 1987, S. 195.

მაგრამ რა მიზეზი უნდა იყოს მისი სიკვდილისა, როცა სიკვდილის დღე მოუვა? ისა, რომ სახლის წინ მსხლის ხე უდგას, იმაზე ავიდეს ხილის მოსაკრეფად, ჩამოვარდეს იქიდგან და მოკვდესო. მეორემ თქვა: ჩვიდმეტის წლისა რომ შეიქნეს, შეჯდეს თავის მამის თეთრ ცხენზედა, წავიდეს სასეირნოდ, გადმოვარდეს ცხენიდან და მოკვდესო. მესამემ თქვა: როცა შეიქნეს ოცდარვის ან ოცდაათის წლისა, წავიდეს ქალის მოსაყვანადა, როცა დასაძინებლად დაწვნენ ცოლ-ქმარნი, მაშინ მოვიდეს ორი გველი, ერთი ერთ წალაში ჩაძვრეს, მეორეში და, როცა ისინი დაიძინებენ, ერთი ქმარსა ჩაუძვრეს მუცელში, მეორე – ცოლსა და მოკვდნენ. ვინც ჩვენ გაგვიგონოს და გაგვთქვას – გაქევედესო. იმისი წამალი რალა იყოსო? – თქვა პირველმა. მზის პირისნაბანიო. – მიუგო მესამემ.<sup>410</sup>

გოგონამ სახლში მისვლისთანავე სთხოვა მამას თეთრი ცხენის გაყიდვა და მსხლის ხის მოჭრა. ოჯახში მართლაც დაიბადა ვაჟი. ცოლის შერთვის დრო რომ დადგა, ქალიშვილმა ითხოვა, თან გაყოლოდა ძმას. როცა ჯვარი დაინერეს და ცოლ-ქმარი დასაძიებლად დაწვა, ვაჟის დას არ დაუძინია. ნახა, რომ მოვიდა ორი უშველებელი გველი, ერთი ერთ ჩექმაში ჩავიდა და მეორე – მეორეში. ქალმა დაავლო ჩექმებს ხელი, ჩააგდო ცეცხლში და დაწვა. ამით ძმა და რძალი სიკვდილს გადაარჩინა, მაგრამ თვითონაც უამბო ყველაფერი და ისიც, რომ მას ამისთვის გაქევაება ეწერა. ეს თქვა და გაქევადა. ძმა მაშინვე გაეშურა მზესთან მზის პირისნაბანის მოსატანად. სამ დღეს იარა და ტრიალ მინდორში გავიდა, სადაც ერთი ირემი იდგა

<sup>410</sup> უმიკაშვილი, პეტრე. ხალხური სიტყვიერება, III. თბილისი: „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1964, გვ. 234. გადამუშავებული ვარიანტი იხ. კრებულში: იყო და არა იყო რა. ქართული ხალხური ზღაპრები. სულხან ქეთელაურის რედაქციით. თბილისი: „ნაკადული“, 1977, გვ. 460-467. 1930-1961 წლებში ჩანერილი ვარიანტები ინახება შოთა რუსთაველის ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის არქივში (I 20701, 17348, 13041). 1960-1990 წლებში ჩანერილი ვარიანტები დაცულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოლკლორულ არქივში (თსუფა 10758, 3843, 12775).

ცაში მიბჯენილი რქებით. ირმის წყალობით ვაჟი მზესთან ავიდა, პირისნაბანი გამოართვა, შინ დაბრუნდა და და გააცოცხლა. ზღაპარში ქრისტიანული რეალიები და მზის პირისნაბანის მითოლოგემა ჰარმონიულად ერწყმის ერთმანეთს. მღვდლის ქალიშვილი ეკლესიაში ისმენს წინასწარმეტყველებას. არ არის დაზუსტებული მათი ვინაობა, არც გარეგობა. მხოლოდ ხმები ისმის მათი, ვინც მომავალში დაბადებულსთვის ბედს განსაზღვრავს. ერთი რამ ცხადია, ეს წინასწარმეტყველები მითოლოგიური გარემოდან მოსულებს ჰგვანან, რომლებმაც ქრისტიანულ ეკლესიაში გადანწყვიტეს ადამიანის ბედი. მიუხედავად ზღაპრის დასაწყისში ეკლესიისა და მღვდლის ხსენებისა, ზღაპარი მთავრდება ქართული მითოლოგიური წარმოდგენით მზის მაცოცხლებელ ძალაზე.

„მღვდლის ქალიშვილის“ მაგალითზე კარგად ჩანს თხრობითი სიუჟეტის ქრისტიანიზაცია. შეიძლება მკაფიოდ არა, მაგრამ მაინც იკვეთება ქრისტიანული მსოფლმხედველობრივი ნიშნები მოყვასისთვის თავდადებაზე. ქრისტიანული ცნობიერება იმ ზღაპარშიც კი შეიძლება იყოს ასახული, რომელშიც ქრისტიანული სახელები საერთოდ არ გვხვდება.

მეგობრისთვის თავდადება მთავარი კონცეფციაა ზღაპრის ტიპისა ATU516 ერთგული იოჰანესი. უფლისწულს უცხო მხარეში მცხოვრებ მზეთუნახავზე დაქორწინება სურს მისი სურათის ნახვის, სახელის გაგონების ან დასიზმრების შემდეგ. ერთგული მსახური (ძმადნაფიცო, მიცვალებული, რომელსაც მან პატივი მიაგო) ეხმარება მას. მსახური მოიპოვებს მზეთუნახავს. უკანა გზაზე ის შემთხვევით გაიგებს მომავლის წინასწარმეტყველებას, თუ რა საფრთხე ემუქრება ახალდაქორწინებულებს (ცხენიდან ჩამოვარდნა, გველის შხამით მოწამვლა და სხვ.). მსახურის მოქმედებები საფრხის თავიდან ასაცილებლად უცნაურად ჩანს გარშემომყოფთა თვალში. უფლისწული თავის მსახურზე ბრაზდება და კლავს, ან მსახური გაქვევდება, როცა წინასწარმეტყველების საიდუმლოს გაამ-

ხელს. უფლისწული და მისი ცოლი ინანიებენ თავის და-  
უფიქრებელ საქციელს და საკუთარ შვილებს შესწირავენ  
ღმერთს, რომ მსახური გააცოცხლოს. მსახურიც და შვი-  
ლებიც გაცოცხლდებიან.

ზღაპარში „ყარაბ-ოლლი და ალექსანდრე“ (მთქმელი  
იოსებ გოგებაშვილი, ჩამწერი ეფრემ გოძიაშვილი, სოფ.  
გრემისხევი, 1888 წ.), რომელიც ATU516 და ATU516C ტი-  
პების კონტამინაციას წარმოადგენს, გმირი მეგობარს  
მსხვერპლად ეწირება სრულიად უანგაროდ. ყარაბ-ოლ-  
ლი, რომელმაც სამაგალითო ძმობა და ფასდაუდებელი  
სამსახური გაუწია ალექსანდრეს ერთგული იოჰანესის  
მსგავსად, გაქეავდა, როცა საიდუმლო გათქვა. ალექსან-  
დრეს ცოლმა გაქეავებული მაზლი სასახლეში მიატანინა  
და ყოველდღე წყლითა და ცრემლით ალბობდა.

„ერთ ღამეს სიზმარში გამაეცხადა ანგელოზი და უთხ-  
რა იმ ქალსა: როდამდენ უნდა იტროვო და შენი სიცოცხ-  
ლე ეგრე მწუხარებით ატაროვო? თუ გაიმეტებო, შენ  
ორივე შვილებს ყელეები დასჭერიო, იმათი სისხლით ეგ ქვა  
გაჰბანეო და მაშინ გაცოცხლდებო. გამაელვიძა ქალსა  
და მიეცა დიდ სიხარულსა, რადგანაც ეს ჩვენება ნახა. იმ  
დღილით ალექსანდრე თავის სასამართლოში წავიდა. ყმან-  
ვილებს ისევ ეძინათ. ქალი მივიდა, ყმანვილებს ორივეს  
ყელეები დასჭრა და იმათი სისხლი გაშიატანა. გაჰბანა თუ  
არა, ყარაბ-ოლლი მაშინათვე გაცოცხლდა“. შინ დაბრუ-  
ნებულ ალექსანდრეს ცოლი შეეკითხა: რა გერჩინა, შე-  
ნი შვილები დახოცილიყვნენ, თუ შენი ძმა გაცოცხლებუ-  
ლიყო? „ალექსანდრემ უთხრა: შვილები საყვარლებიაო,  
მაგრამა ამისი გაცოცხლება მერჩინაო. მერე ცოლმა შე-  
იყვანა ალექსანდრე და თავისი შვილები უჩვენა, შენი ძმა  
ამათმა სისხლმა გაგიცოცხლაო. ალექსანდრემ თქვა: რა-  
ხან ამისი გაცოცხლება მელირსაო, შვილები მითომც არც  
კი გამჩენიაო. ღმერთს კიდევაც დიდი მადლობა შასწირა,  
რადგანაც ჩემი ძმის გაცოცხლება მელირსაო.“ ყარაბ-  
ოლლიმ დახოცილი ბავშვები წყაროს წყლით გააცოცხლა.  
„ახლა მეორე სიხარული იმ ყმანვილების გაცოცხლება

გაუხდათ და ღმერთს მადლობა გადაუხადეს, რომა ამ დიდი განსაცდელის შემდეგ ბოლოს სიხარული მიერგოთ.“<sup>411</sup>

მსხვერპლშენიერვის მოტივით ეს ქართული ზღაპარი უახლოვდება ქრისტიანულ ლიტერატურაში ცნობილ ამიკუსისა და ამელიუსის ლეგენდას, რომლის უამრავი ლიტერატურული და ზეპირი გამამუშავევა არსებობს გერმანიაში, საფრანგეთში, ინგლისში, უელსში, იტალიაში, ესპანეთში და დანიაში.<sup>412</sup> საერთო ფაბულა ასეთია:

ტყუპისცალივით მსგავსი ორი მეგობარი ერთმანეთს გასაჭირში ეხმარება. როცა ერთს ორთაბრძოლაში გამოინვევენ, მის ნაცვლად მეორე იბრძვის, რადგან უფრო ღონიერია. ერთ მათგანს მეორის ცოლთან მოუხდება ღამისთევა და სანოლში მახვილს დებს. შემდგომ, როცა ერთი მეგობარი ბრძოლაში იღუპება, ანგელოზი ეცხადება მეორეს და აუწყებს, რომ მისი გაცოცხლება შეიძლება, თუ თავისი შვილების სისხლში განბანს. მეგობარი უყოყმანოდ ხოცავს შვილებს მეგობრის გადასარჩენად. ამ მსხვერპლის სანაცვლოდ ყველა გაცოცხლდება, მეგობარიც და ბავშვებიც.

ერთგული მეგობრების ამბავი, რომელიც შექმნილია რელიგიური მოთხრობის „Vita Amici et Amelii“ საფუძველზე (დაახლ. 1100 წ.), ევროპულ ფოლკლორში საზღაპრო სიუჟეტად იქცა (ძმები გრიმების „ორი ძმა“ ATU303, „ერთგული მსახური“ ATU889, „ერთგული იოჰანესი“ ATU516 და სხვა.). ზღაპრის ეს ტიპები ორგანული ნაწილია ქართული ფოლკლორისთვის და ისევე პოპულარული, როგორც ევროპულში. ყურადღება მიიქცია ერთმა ტექსტმა, რომელიც აშკარად წიგნიერი მთქმელის პირით არის მოთხრობილი.

ზღაპარი „ერთგული ვეზირი“<sup>413</sup> ერთგული იოჰანესის ქართულ ვერსიას წარმოადგენს. ვეზირს ივანე ჰქვია და ზუსტად მისდევს გრიმების ზღაპრის შინაარსს.

<sup>411</sup> უმიკაშვილი, პეტრე. ხალხური სიტყვიერება, III. თბილისი: „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1964, გვ. 229-230.

<sup>412</sup> Denecke, Ludwig. Amicus und Amelius. In: Enzyklopädie des Märchens. B. 1. Berlin/NewYork: Walter de Gruyter, 1977, S.454-463.

<sup>413</sup> ლიტ. ინსტ. ფოლკ. არქ., 124001, ფაუფ 0017. მთქმელი კ. ჯიბლაძე, სამტრედია, ჭაგანი.

ქართულ ზეპირსიტყვიერებაში წინასწარმეტყველებისა და ბედისწერის თემა ზღაპრის ჟანრების მიხედვით განსხვავებულად არის ადაპტირებული. თუ ნოველისტურ ზღაპრებში ბედისწერა გარდაუვალია, ჯადოსნურში შესაძლებელია მისი შეცვლა და ეს კონცეფცია პირდაპირ კავშირშია გმირების მორალურ სახესთან. ჯადოსნური ზღაპრის დასასრული იცვლება იმის შესაბამისად, თუ რას დაიმსახურებს გმირი თავისი საქციელით. ამ ასპექტით ჯადოსნური ზღაპრები ქრისტიანულ მსოფლმხედველობასაც გამოხატავენ.<sup>414</sup>

ქართულ ფოლკლორში ვხვდებით ბედისწერის თემის აღმოსავლურ რეცეფციასაც და დასავლურსაც. ცხადია, მუსლიმურ გარემოში დამუშავებულმა სიუჟეტებმა მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავეს ევროპულ თხრობით ტრადიციაში, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მხოლოდ მუსლიმური გავლენით უნდა აიხსნას ბედისწერის მოტივის პოპულარობა საქართველოსა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში.

ბედისწერისადმი რწმენა არქაული ნიშნების მატარებელია და წინარექრისტიანული წარმოშობა აქვს. ამის საუკეთესო მაგალითი ქართულ ზღაპრებში მზესთან დასახმარებლად ასვლის მოტივია. რაც შეეხება აღმოსავლეთ ევროპის ფოლკლორს, ბედისმწერლები – მოირობი თანამედროვეობაშიც განსაკუთრებულ როლს თამაშობენ ახალ-

---

<sup>414</sup> „ერთგული იოჰანესის“ და „ყარაბ-ოღლი და ალექსანდრეს“ წარატივში სახარების ხალხური რეცეფცია იკითხება: „უფროსი ამისა სიყუარული არავის აქუს, რათა სული თვისი დასდუას მეგობართა თვისთა თვის“ (იოანე 15:13). ხალხური ზღაპრის ქრისტიანული ასპექტების შესახებ იხ. გოგიაშვილი, ელენე. მითოსური და რელიგიური სიმბოლიკის დინამიკა ზღაპრის სტრუქტურაში. თბილისი: „უნივერსალი“, 2011, გვ. 119-120; გოგიაშვილი, ელენე. ჯადოსნური ზღაპრის მითოსური და რელიგიური ასპექტები. დისერტაცია. თბილისი 2002, გვ. 94-95. „ერთგული იოჰანესის“ რელიგიური მსოფლმხედველობის ფსიქოლოგიური ანალიზისთვის იხ. Feyen-Mühlhausen, Rose Marie. Märchen – erlebte und gelebte Erziehung. Inaugural-Dissertation zur Erlangung der Doktorwürde der Philosophischen Fakultät der Rheinischen Friedrich-Wilhelms-Universität zu Bonn. Bonn 2011, S. 74-93.

ბერძნულ და სამხრეთსლავურ რწმენა-წარმოდგენებში.<sup>415</sup> ახალბერძნულ ტრადიციაშიც ბედისწერის გამგებელი სამი ქალია. ბალკანურ ფოლკლორშიც ბერძნულის გავლენით აიხსნება სამი ქალი დემონი, რომლებიც ახალშობილის ბედს წყვეტს. როლფ ვილჰელმ ბრედნიხმა განხილული მასალის მიხედვით დაადგინა, რომ ნანინასწარმეტყველები ცოლის ზღაპრის ევროპაში ჩანერილ 34 ვარიანტში ბედისმწერლები ქალები არიან და ეს ვარიანტები სტრუქტურულად ერთიანია აღმოსავლეთ ევროპულ ხალხურ რწმენა-წარმოდგენებში ურთიერთმსგავსი საფუძვლის გამო. სხვა ევროპულ ზღაპრებში ზოგჯერ ქრისტიანიზებული პერსონაჟები გვხვდებიან ბედისმწერელი ქალების ნაცვლად.<sup>416</sup>

სერბი ფოლკლორისტი ნემანია რადულოვიჩი ნარკვევში „შუბლზე დანერილი ბედი სერბულ ზეპირსიტყვიერებაში“<sup>417</sup> ხაზს უსვამს მოტივისა და რწმენა-წარმოდგენის კავშირს, რადგან მიგრაციის დროს მოტივი ამა თუ იმ არეალში მიღებულ და შეთვისებულ იქნა და საუკუნეთა მანძილზე არსებობდა სწორედ იმის გამო, რომ დაკავშირებული იყო რწმენასთან და უფრო მნიშვნელოვანი ფუნქცია ჰქონდა, ვიდრე უბრალოდ თხრობას. განსხვავებულ ფორმათა შედარება, როგორცაა სიტყვა-თქმები და გადმოცემები, სრულად წარმოაჩენს მათ ფენომენოლოგიას ფილოლოგიური და ეთნოლოგიური კულტურული საფუძვლის გათვალისწინებით.

მიუხედავად იმისა, რომ გეოგრაფიული მდებარეობითა და ხანგრძლივი ურთიერთობებით ბალკანეთიც და საქარ-

---

<sup>415</sup> Radulović, Nemanja. Serbian Folk Narratives Concerning Fate and Their Turkish Parallels. In: *Journal of Turkish World Studies* XII/2 (2012), pp. 453-462; Radulović, Nemanja. The Feminine Imaginarium in Traditional Legends about Fate (The Predestined Death – ATU 934). In: *Studia Mythologica Slavica* XVIII, 2015, pp. 63-79.

<sup>416</sup> Brednich, Rolf Wilhelm. Die Vorbestimmte Frau. In: *Enzyklopädie des Märchens*. Bd. 1. Berlin/NewYork: Walter de Gruyter, 1987, S. 207-208.

<sup>417</sup> Radulović, Nemanja. Fate Written on the Forehead in Serbian Oral Narratives. In: *Folklore. Electronic Journal of Folklore* 59(2014), pp. 39-40.

თველოც მუსლიმურ სამყაროსთან ახლოს იყო, ამ ქვეყნების ქრისტიანულ კულტურაზე მუსლიმური გავლენა საკმაოდ სუსტია. ეს ქართულ და ბალკანურ ხალხურ რწმენანარმოდგენებშიც და ზეპირსიტყვიერებაშიც აისახა, რომლის თვალსაჩინო მაგალითია ზღაპრები ბედისწერაზე.

თუ ამ ტიპის ზღაპრების კრიტიკიუმად შესრულებულ ან არიდებულ ბედისწერას ავიღებთ, ბედისწერას უმეტესად ქალები ეწინააღმდეგებიან. ქართულ ზღაპრებში „მღვდლის ქალიშვილი“ და „ყარაბ-ოლლი და ალექსანდრე“ გმირის გადარჩენა მხოლოდ ქალ პერსონაჟებს შეუძლიათ. ეს ორი ქართული ზღაპარი თავისი საერთაშორისო ვერსიებისგან განსხვავდება სწორედ ქალის როლის განსაკუთრებულობით. ქალი პერსონაჟების ფუნქციას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს როგორც ზღაპრის სტრუქტურულ ელემენტთა დონეზე, ასევე კონცეპტუალურად.

რა შეიძლება ვთქვათ წიგნის ბოლოს აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთიერთმიმართებაზე ქართულ ხალხურ ზღაპრებში? ამ კითხვას რომ ერთმნიშვნელოვანი პასუხი ჰქონოდა, ეს ნაშრომი არ დაინერებოდა. თუმცა ზოგადად მაინც შეიძლება ორიოდ სიტყვით შევაჯამოთ ჩვენი ინტერდისციპლინური პროექტის შედეგები.

ევროპული და აღმოსავლური თხრობითი ტრადიციები ქართულ ზღაპრებში სიუჟეტების, მოტივებისა და პერსონაჟთა სახეების ადაპტაციებში აისახა. ლიტერატურისა და ზეპირსიტყვიერების ურთიერთკავშირის კვლევისას დაზუსტდა ის სოციალურ-კულტურული გარემო, სადაც ევროპული თუ აღმოსავლური წარმოშობის სიუჟეტები იყო გავრცელებული და გამოიკვეთა ინტერნაციონალურ სიუჟეტთა ნაციონალური თავისებურებები.

ძველ ქართულ საისტორიო თხზულებებში არსებული ცნობები დასავლეთისა და აღმოსავლეთის მსოფლიო სურათის შესახებ შუა საუკუნეების ქრისტიანული მსოფლმხედველობის კონტექსტში მოიაზრება და ეს ქართულ ფოლკლორულ ტრადიციებშიც ჩანს. საქართველოს გეოგრაფიული სიახლოვე მუსლიმურ ქვეყნებთან ქართულ ზეპირსიტყვიერებაში მხოლოდ სიუჟეტთა გავრცელებით შემოიფარგლება. აღმოსავლური ზღაპრები სტრუქტურულად და კონცეპტუალურად განსხვავდებიან ქართული ხალხური ზღაპრებისგან. მხოლოდ ერთეული შემთხვევები შეგვიძლია დავასახელოთ, როცა ქართულ თხრობაში აღმოსავლური სტილი შემოდის ჩარჩო თხრობის სახით. ქართულ ხალხურ ზღაპრებში, ჯადოსნურსა და რეალისტურში, აღმოსავლური მოტივები იმგვარადვე არის დამუშავებული, როგორც ეს ევროპის ქვეყნებში მოხდა. აღმოსავლური წარმოშობის სიუჟეტები ისევე პოპულარულია XVII-XIX საუკუნეების საქართველოში, როგორც ევროპაში იყო იმავე პერიოდში.

ჩვენი წიგნით შევეცადეთ, გვეჩვენებინა ზღაპართა ხე-  
ტიალის გზები და მათი განუყოფელი ერთიანობა ჩვენი  
ქვეყნის საერთო ისტორიულ-კულტურულ პროცესებთან.  
თუკი ამ ნაშრომმა ახალი შეკითხვები აღძრა და შემდგომი  
კვლევისთვის ინტერესი გააღვივა, ჩავთვლით, რომ ჩვენი  
მცდელობა წარმატებული იყო.

## **ORIENT AND OCCIDENT IN GEORGIAN FOLKTALES: ORAL AND LITERARY TRADITIONS**

The project "Orient and Occident in Georgian folktales: oral and literary traditions", supported by the Shota Rustaveli National Science Foundation, Georgia [FR 217488] was led by the group of scholars, working in the field of various disciplines: philologist and folklorist Elene Gogishvili (principal investigator of the project), philologist and orientalist Darjan Gardavadze, historian and medievalist Andro Gogoladze, Roman philologists Nino Kavtaradze and Tea Tateshvili. The project deals with international types of the folktale, spread through folklore and literature. Thus, the goals of the project are discovery, mark and research of (1) folkloric texts influenced by literature and (2) literary sources fixing or interpreting motifs by folkloric origin.

The novelty of this interdisciplinary research is presented in various aspects:

- The images of Orient and Occident in Georgian folktales: plots, motifs, characters;
- Study of interrelation between the literary and folklore plots pointing to the specific ways in oral traditions;
- Detailed information about the social and cultural environment where the plots of either oriental or occidental origin were spread;
- National characteristics of the plots of foreign origin and identification of their reception in the national milieu;
- Analysis of Georgian narrative sources allowed the identification of the fairy-tale motifs describing some historical figures and facts;
- Determination of genre characteristics of Georgian historical chronicles in contexts of oriental, occidental and national oral narrative traditions.

The issue of origination of the folkloric plots is not always clear but variations of cultural background are always noticeable and attract interest.

Up until the 20<sup>th</sup> century, folktale scholars generally believed that oral traditions had existed unchanged for centuries, and thus provided an important source of evidence for the belief systems of their ancestors. Thus, oral traditions constituted a more important source for national identity than did later written sources. This romantic valuation, which originated during the 19<sup>th</sup> century and continued into the 20<sup>th</sup>, a period

of intense nationalization in Europe, had a lasting influence on the perceived importance of the documentation of oral tradition.

The researches of Georgian folklorists focused several cultural-historical aspects such were: origins, themes, morphological-semantic analysis, social functions, searching for mythological relicts of the folktale. However, the question of the literary influence in folkloric texts was open.

It is very important to consider literary sources in the study of oral narrative materials, particularly folk novellas, magic tales, and sages: the large numbers of the folktales has a rich literary tradition and some plots of the folktales come from the literature, spread and interpreted by folk narrators.

Variation is an important phenomenon in the tales, and it is not always easy to decide which of several variations of a fairy-tale motif or tale type is nearest to the original form. An original motif may be superseded by a new change, but a new change also gives way to the older form, being unable to assert itself at its expense. If a motif is particularly popular, this fact may induce various narrators to adapt it in different ways.

The connection of the fairy-tale motifs with mythology places the origins of the fairytale in the ancient times, but it is also heavily influenced by literature too. In Georgian folklore, there are various versions of literary works which are completely transformed according to the rules of the oral tradition.

In terms of methodology, the 19<sup>th</sup>-century theories such are the migration theory and the geographic-historical method, are still considerable, and philological research is far from being exhausted. The study of folklore still has its place in literary and linguistic studies. This can be noted in the justification of the use of old written testimonies, literature of the ancient cultures, taking them as an indication.

The goal of this work was the determination of the literary sources of folktales researching their geographic spread in their cultural-historical context. The interests of the project are focused on Georgian historical chronicles as well as there are some fairy-tale motifs recorded in the description of the battles, reconstruction of the mythological past etc. The central objects of the research are international motifs in Georgian folktales, namely the tale types registered in "The Types of International Folktales" by Antti Aarne, Stith Thompson and Hans-Jörg Uther (Helsinki 2004). Our interdisciplinary project envisaged research of Oriental and Occidental cultural relationships in Georgian folktales. Therefore it became necessary to include researches of various discipline in the project: folktale studies, philology, history, oriental studies.

**I. Historical Chronicles and Oral Narrative Tradition.** According to the medieval geographical tradition, the Orient was subdivided into three parts: Ethiopia, Media and the extreme East. These opinions disseminated in Europe as a result of narrations of Giovanni da Pian del Carpine, Guillaume de Rubrouck, Marco Polo, and others. India was the general title for the Orient, for the East.

In the formation of worldview of both European and Eastern peoples, the "Alexander Romance" by Pseudo-Callisthenes (2<sup>nd</sup>-3<sup>rd</sup> c. AD) has played a great role. The Latin version of "Alexander Romance" was spread throughout the Europe in the translation made by Julius Valerius, which is dated by the fourth century AD. We can discuss about the popularity of "Alexander Romance" also by the opinion which sounded in historiography that the famous legend about Prester John, the powerful ruler of the East, pertaining to the Middle Ages, had been created exactly based on the rethinking of "Alexander Romance" and this legend represents a sort of continuation of Alexander's legendary life.

The hero of "Alexander Romance", Alexander the Great has defeated King Porus of India during his eastern campaign. He has driven the faithless, savage peoples into the mountains and locked them up within the great gates. All of the above-described can be historically and geographically localized in the East, namely, in the provinces of India. Fantastic plotlines of "Alexander Romance" about these provinces have served as a basis for such a perception of the East in general. Exactly this information has given the origin to the epistle compiled under the name of Prester John in 1165. In the reality, this epistle was created by an unknown author, the aim of whom was to cause excitement of the crusaders and to inspire them with the hope that there was a Christian ruler in the East who would help them in their battle against Muslims in the Holy Land.

The translators, rewriters of "Alexander Romance", authors of its continuations, used to add new plotlines to their versions, and enriched them with new colours, proceeding from the reality of their own epoch. They compared their favourite heroes, kings, knights with Alexander, drew parallels between the exploits of Alexander and the stories of their heroes. Translations of "Alexander Romance" themselves were altered in a certain way, some episodes went missing, whereas others were added. One fact is certain that the hero of Alexander is a model example for the societies of future generations.

The early Georgian translations of "Alexander Romance" have not reached our times. Yet, traces of their existence are evidently noticeable in the ancient Georgian literature. Apart from it, presumably, medieval Georgian historians were familiar with the works of the other Greek

writers, too, who provided historical information about Alexander. This concerns the texts of "The Conversion of Kartli" and "The Life of Kings" by Leonti Mroveli. It is likely that Leonti Mroveli was familiar not only with the novel written by Pseudo-Callisthenes, but also with the classical samples of the Greek literature that describe adventures and history of Alexander the Great more or less exactly. It is also worth noting that some of the Georgian chroniclers refer to Alexander with the name of 'Iskandar' which can be explained by the influence of the oriental literature, as the Persian and Arabian literature is familiar with Alexander under the name of Iskandar.

According to the provided information, it can be clearly seen that ancient Georgian historical literature was well the adventures of Alexander, both legendary and historic, but the direct cause of this, the ancient Georgian original translation of "Alexander Romance" has not reached our times. We possess only the translation of the eighteenth century made by the King of Georgia, Archil. As believed by scholars, this translation is made either from Serbian or Russian.

Apart from Pseudo-Callisthenes, the Georgian historical literature was familiar with the work of the writers of antique and Hellenistic epochs. The tales of the conquest of Caucasus by Alexander have been told by the authors who do not appear in the Georgian sources, but who could still be original sources for the Georgian chroniclers. The Caucasus is also mentioned among the lands invaded by Alexander in works by Pliny (c. first century AD), Curtius Rufus (c. first century AD), Claudius Ptolemy (c. first century AD), Josephus Flavius (second century AD), Gaius Julius Solinus (third century AD).

These sources reveal that Alexander conquered the Caucasus, but it is difficult to prove this, as those chroniclers, who accompanied Alexander on his marches, or were his contemporaries, do not describe his arrival to Caucasus. The Caucasus referred to by the authors as Caucasos, Iron Gates, Sarmatian Gate, Hyrcanian Gates, is localized by researchers mainly in the east, south to the Caspian sea, or in the Central Asia and India. Thus, historiography has substantial suspicions that Alexander's Caucasian campaign is compiled by the Georgian chroniclers and has nothing in common with the historic reality.

Some plotlines of the adventures of the hero of "Alexander Romance" can be seen in the historical figure of the Georgian King Vakhtang Gorgasali (fifth century) in the chronicles by Juansher, one of the authors of "The Life of Kartli".

The versions regarding the similarity of King Vakhtang's literary image to biblical and mythological figures were made quite early in the

Georgian historiography. King Vakhtang's wars against Khazars, India, Persia, Greeks, Abashes, appears to be just transposition of the literary characters and plots into the historical reality. All of these must be compiled mainly under the influence of the knighthood romance of the medieval Georgia, "Amirandarejaniani".

Pseudo-Callisthenes and Juansher's heroes, Alexander and Vakhtang both are young and are able to defeat goliaths and giants in combats. The Georgian chronicler emphasizes Vakhtang's strength, his military talent, audacity. His hero is a matchless knight, just as Alexander; they are not only great kings, but also great knights, standing out during military contests.

Vakhtang Gorgasali built also made a system of fortresses defending the gates, which is the author's way of rethinking Alexander's exploits. Just like Alexander of Macedon, Vakhtang Gorgasali protects the civilized world from man-eaters.

The historian recites the story of Vakhtang's military campaign to the north Caucasus, beyond the iron gates, not only with the aim to describe how he saved his own sister and put an end to the raids of Ovis (Ossetians) in Georgia. Juansher puts some sort of a sacral idea in this action of Vakhtang. His hero is a powerful king, who forces Gog and Magog's sons to obey him. He drew them over the Caucasus range and closed the gates of Darial for them. He is a continuer of the deeds of Alexander the Great and defends the civilized world of the East from heathens.

This similarity can be noticed also in the biographies of Alexander and Vakhtang. According to the "Alexander Romance", in Alexander's teen years, when he was just fifteen, his father Philip fell seriously ill. When Cumans, the tribes residing in the north of Macedon, were informed of this, they intruded into Macedon. Alexander, despite his young age, made a campaign against them, drew them over the mountains and returned with many captive enemies.

In the Georgian version of Alexander Romance there is narrated the story that Anakornos, who fell in love with Philip's wife Olympias, took advantage of Philip's illness, made a sudden attack on Philip's palace and kidnapped Olympias. Alexander undertook the mission to release his mother from captivity and made a raid against the intruders. He defeated king Anakornos, saved his mother from captivity and brought the chained king of Pelavol to his father. There exists a similar story for the teen ages of Vakhtang Gorgasali, too. After the death of Vakhtang's father, Mirdat, Ovis intruded into Kartli, conquered and destroyed the fortress town Kaspi, took the king's sister Mirandukhti as captive and returned to the north Caucasus via the passage of Daruband. In this pe-

riod, the Greeks also took advantage of the hard situation of Kartli and occupied Egrisi upto the line of Tsikhe-Goji. When Vakhtang became fifteen years of age, he invited the nobles, gathered an army, entered Ovseti through Dariali, defeated the united army of Ovsi and Khazars, pillaged Ovseti, Jiket and the Pecheneg countries, freed his sister and brought many captives to Kartli. Since then he closed the gate of Darial, so Ovsi, Kipchaks and their relatives could not penetrate Kartli anymore.

Exactly after the defeat of Kumans and liberation of his mother Olympias, the epic story of Alexander the Great begins. Alexander undertakes a campaign against Athens, occupies Greece, then Rome, Italy. He moves more and more westward and reaches the Litov land and the ocean-sea, where he fights against winged women. After this, he goes eastward, crosses the Bosphorus strait and enters Asia with one hundred thousand Macedonians. Initially, Alexander goes to Jerusalem and liberates this city from the dominion of Persians (in general, Pseudo-Callisthenes explains the conquest of the countries and cities in Asia by Alexander as their liberation from the Persian slavery). From Jerusalem, Alexander marches to Egypt, and after he leaves Egypt, he defeats king Darios of Persia and enters the city of Babylon with triumph. From Babylon, he undertakes a campaign to Persia and invades it, and then continues his march to the east. Alexander reaches the islands of the blessed and of Brahmans, then he reached the gates of Paradise, after which he goes to India, defeats king Porus of India, takes his city Liampole, drives the impure peoples over the mountains and locks them up with the gate of 'Kadspidni'. Alexander visits yet many fairy places and then he returns to Babylon.

Juansher also narrates a similar story: Upon his return from the Ovseti campaign, Vakhtang joins the Persians in their fight with the Greeks. After the Byzantine war, he come back and opposes the Persians who are about to enter Kartli. The conflict between Vakhtang and the Persian Shah is soon sorted out. With the Shah's request, he gets prepared for the eastern campaign. Before that, he makes a pilgrimage to Jerusalem and then goes to the countries such as Jorjaneti, India, Sindeti and Abasheti, where he makes many epic deeds. After many years of absence, he finally returns to Kartli.

We believe that Alexandria and Vakhtang's stories by Juansher have similar plotlines. Of course, Juansher could not insert the stories of the fight against unearthly and supernatural creatures in Vakhtang's life, because, as distinct from Pseudo-Callisthenes' romance, his opus contains historic aspects and belongs to a different genre, but the cited examples still enable us to see resemblances between these two.

Arguable, just as Alexander the Great's story was adorned with fairy tales during the course of centuries, Vakhtang's adventures, too, took legendary colourings. It is remarkable that in their stories such fairy-tale plots appear to be abundant in the places where the author's narration concerns such ethnic and historical-geographical lands, about which there existed only semi-realistic representations in the respective epoch.

We do not consider the works of the ancient Georgian chroniclers to be only fairy-tale adventures, but we think that works of Juansher and of Leonti Mroveli still carry traces of mythological or biblical fragments and certain issues must be treated with caution. The same features can be found in opuses of the chroniclers of other nations, too. The more so, when it concerns the origin of various peoples or the genesis of countries or states. All of the above-said is characteristic both for the historiography of the eastern as well as for the European countries.

In Georgian folklore, the image of Alexander the Great appears only in the folktales which might be classified as realistic tales. The literary influences on the Georgian realistic tales are easy to discern. The evolution of the "Alexander Romance" hero into a folkloric hero follows a common pattern. Oral traditional stories about rulers reflect many agendas, showing the ruler as a just or unjust judge; as a gentle or cruel conqueror; or as a fearless and cunning general, whose human greatness is evident in the care of his soldiers and his reliance on God's help in the fight. Caucasian folktales about Alexander show miscellaneous interpretations of the hero, perhaps in part also because of the variety of literary and oral traditions, which influenced Georgian folklore.

The Georgian folktale "The Story of Alexander of Macedon" presents a haughty and selfish image of the ruler:

Once upon a time there lived a king, Alexander of Macedon, whom many countries obeyed: the West and the East, the North and the South. Yet his heart was still not satisfied. He wanted to build a staircase to the heavens, but he did not succeed. Then he decided to dig the earth and to conquer the lower worlds, too. The king knew well that the aged people would be against his decision and that is why he ordered the youth to behead their fathers and come to a certain place for work. At the same time, they should make an oath with this wording: 'I have not left my father above earth'. One of the old men told his son: 'Dig the soil as tall as I am, drop me in the ditch and then swear that you have not left your father above the earth. So, when you go there to the work, I will come there, too. That foolish king's donkey is cleverer than he himself is. Take your meal to work by a donkey and when you start digging in the ground, leave its offspring above, tied to a rope. As for the donkey, take it

with you as you dig. When you go deep into the ground and the stinking smells come out of it, the donkey will be bothered by the smell and will flee. You hold its tail and the donkey will take you up to the surface. If you wish, take with you that foolish king as well'.

The boy did as he was advised by the old father. When the stinking odour hit from the ground, the donkey sprang up and took the boy and the king with it. The rest of the young men remained down there and died. Just the boy, his father, and the king survived. When the king understood that the boy had received advice from his father, he reproached the boy, saying: 'if you had such a clever father, then why did you behead him?' The boy brought his father to him. The king offered half of his kingdom to the old man as a sign of gratitude. The old man got angry and replied: 'Where have you got a kingdom? If you are offering the land of the dead to me, why do I need it? Why did you not give it to me until the people died?'

Then the king offered him some money. The old man took a man's dried heart out of his pocket, laid it on the ground and said: 'I shall not ask much money, give me just enough to cover this heart'.

The king cast the money onto the heart, but the heart sprang above it. He cast some more, but the heart kept springing up. The king had to get his whole treasure-house brought to the spot, but he was still unable to cover the heart.

The old man laughed and said: 'Can you see it now, this is a man's dried heart, and it can be covered only by one fistful of soil, nothing more. While you had the whole country, why did you wish to conquer the lower world, why did you dig in the earth?' The old man cast the soil onto the heart and it was covered at once. Such is the nature of man: his heart will get satisfied in no way, but just one fistful of the soil will make him forget everything (retold after the book: Ghloni, A. Guruli folklori. Tbilisi 1937, pp. 203-204).

The folktale Alexander is far from the ideal of medieval knighthood; his image in the realistic tales and novelle is in general less attractive than in the "Alexander Romance". The figure of Alexander the Great in Georgian folklore derives from a literary image, not the historical person. In the Georgian folktales, Alexander is represented as a king who wants to conquer the heavens and the earth, but he has his own weaknesses.

II. **Oriental tales in Europe.** The magical and wonderful world of "The Thousand and One Nights", an excellent instance of intercultural communication, containing the magic stories of Indian, Persian and Greek origin, saturated with abundant elements of the Arabic-Islamic

culture. "The Thousand and One Nights" inspired numerous literary works of various genres and times. There is no doubt that the influence of the collection in Europe dates back to the 18<sup>th</sup> century when it was translated by Antoine Galland. Certainly, the popularity of "The Thousand and One Nights" can partly be explained by the historical context. In the 17<sup>th</sup> century, the economic and diplomatic relations between Europe and the Middle East intensified, which resulted in the European intellectuals' increased interest in the splendor of the exotic Orient. This development coincided with a phase of intellectual and scholarly fermentation in Europe subjecting the European cultural tradition to a fundamental revision and thereby paving the way to various forms of the Enlightenment epoch. Galland's "Mille et une nuit" stood at the juncture of these two major trends and got incorporated into both. Thus, Galland's French adaptation became a part of the East-West issue resulting in the vogue of oriental studies in arts and literature. The collection of Oriental tales and its imitations became a part of the European literary landscape retaining influence to this day.

A knowledge of Arabic literature has been usual for Georgian writers and scholars since the Middle Ages. Various Georgian literary sources suggest that the frame of the "Thousand and One Nights", as well as some of the individual narratives, were well-known in Georgia. The earliest Georgian text structured as a frame story is "Amiran-Darejaniani", a prose work in twelve chapters attributed to Mose Khoneli, a Georgian writer of the twelfth century. This narrative revolves around the hero Amiran whose adventures are related in five sections. The remaining sections are dedicated to other characters and have no strong connection with each other. This cycle of tales is influenced to some extent by the styles of medieval Near and Middle Eastern literatures, and its roots can also be traced in Georgian folk tradition and literature. Another, much later, chivalric romance with a frame story structure, by an unknown author, is "Rusdani" from the seventeenth century.

The literary sources for the Georgian folk tradition include works translated from other languages. "Chardavrishiani" (The four dervishes), "Bakhtiamame" (The book of Bakhtiar), and "Timsariani" (The seven viziers) are versions of medieval Persian romances, translated into Georgian in the eighteenth century.

The impact of the "Thousand and One Nights" on Georgian literary tradition is also noticeable in the didactic works of the Georgian writer and lexicographer Sulkhani-Saba Orbeliani (1658-1725). His book "Sibrdzne Sitsruisa" (The wisdom of the lie) is composed on the model of the frame tale with embedded stories. Among Sulkhani-Saba Orbeliani's

fables, some tales originate from the oral tradition as well as from "The Thousand and One Nights": for example, ATU 62, 'The Fox and the Cock', and ATU 670, 'Knowledge of Animal Languages'.

Despite Georgia's close cultural contacts with Arab world, "The Thousand and One Nights" as a whole was not translated into Georgian until the twentieth century. Here is a short historical background about the first printed editions of the Georgian translations of "The Thousand and One Nights".

1) The first Georgian printed edition is dated 1888. This is "The Lamp of Aladdin" and "The Tale of a Brother and a Sister", translated from the Russian language.

2) The next edition titled "The Thousand and One Nights. Arab Stories. Scheherazade's tales" is dated back to 1894. It is published in two books and translated from Russian, published in Tbilisi.

3) In 1895 Mose Janashvili, Georgian historian, ethnographer, and linguist, translated and published a fairy-tale from "The Thousand and One Nights" titled as "Reading for Children", translated from Russian.

4) The next printed edition dates back to 1904. This is "The Tale Narrated by Scheherazade of the Thousand and One Nights", translated from Russian, published in Kutaisi. This edition includes several illustrations.

